



ქეთევან გიგა შვილი
მაია ნინიძე

გამოცემათმცოდნეობა



ქვეყნის გიგაშვილი

ერა ნინიცი

გამოცემათმცოდნება

სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის
სტუდენტებისათვის

თბილისი
2020

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6

ე-726



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ (გრანტი №DP2016_18) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ‘**Textual Scholarship and Editorial Studies**’ (Grant № DP2016_18) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

© ქეთევან გიგაშვილი © მაია ნინიძე

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „ქავაპოლიგრაფი“ 2020

თბილისი, გურამიშვილის №14

E-mail: dzavapoligrafi@gmail.com

კომპიუტერული უზრუნველყოფა ხათუნა პაპუაშვილი

ISBN 978-9941-8-2105-9

‘Every text deserves to be well edited, even if no one is going
to read it’ (Caroline Macé)

„ყველა ტექსტი იმსახურებს კარგად გამოცემას, მაშინაც
კი, თუ არავინ აპირებს მის წაკითხვას“ (კაროლინ მასე)

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია რაფაელა
ფილოლოგიის დოქტორი ლელა შათირიშვილი

რეცენზენტები: ფილოლოგიის დოქტორი ლია კიკნაძე
ფილოლოგიის დოქტორი მაკა ელბაქიძე
ისტორიის დოქტორი გიორგი გოცირიძე

წინამდებარე სახელმძღვანელო პირველია საქართველოში გა-
მოცემათმცოდნეობის სფეროში. იგი განკუთვნილია სადოქტორო
საფეხურის სტუდენტებისათვის, თუმცა შეიძლება გამოყენებულ
იქნეს ფილოლოგის მიმართულებისა და მონათესავე დარგების
სამაგისტრო პროგრამებშიც, განსაკუთრებით, ტექსტოლოგის
განხრით.

რამდენადაც სახელმძღვანელო შეიქმნა „ტექსტოლოგისა და
გამოცემათმცოდნეობის“ სტრუქტურირებული სადოქტორო პრო-
გრამის ფარგლებში და დოქტორანტებთან ერთად კონკრეტული
საგამომცემლო კონცეფციების შემუშავების პარალელურად იწე-
რებოდა, წიგნში მცირეოდენი ცვლილებებით შევიტანეთ სალვაცი-
მეტყველო კრებულების (გიორგი კალანდაძე), ილია ჭავჭავაძის
მე-19 ტომის (ესმა მანია) და გრიგოლ ორბელიანის დღიურების
(თეა თვალავაძე) გამოცემათმცოდნეობითი კვლევის შედეგები.
ციფრული არქივების მომზადების კონცეფცია შემუშავდა მაია
ჯანგიძის მიერ მომზადებული გურამ რჩეულიშვილის ციფრუ-
ლი არქივის მაგალითზე. სახელმძღვანელოს შექმნაში აქტიური
დახმარება გაგვინდა პროექტის ახალგაზრდა მეცნიერმა ნათია
სიხარულიძემ, რომელმაც მოამზადა მასალები გალაკტიონის
თხზულებათა აკადემიური და საარქივო გამოცემების და ასევე
პოეტის ელექტრონული აკადემიური გამოცემის პერსპექტივების
შესახებ.

სახელმძღვანელო დააინტერესებს ჰუმანიტარული განათლე-
ბის მკითხველთა ფართო აუდიტორიას.

შესავალი

გამოცემათმცოდნეობა, როგორც ჰუმანიტარიის დაწყის, საქართველოში ცალკე სამეცნიერო დისციპლინად არასდროს ყოფილა გამოყოფილი, თუმცა ამ მიმართულების კვლევები ჩვენთან, რა თქმა უნდა, ხორციელდებოდა. იგი ყოველთვის შერწყმული იყო ტექსტოლოგიასთან და მასთან ერთად მოიაზრებოდა. რეალურად, გამოცემათმცოდნეობითი სამეცნიერო მუშაობა საქართველოში წარმოებდა ტექსტოლოგიის სახელით. ასე იყო ყველა იმ სამეცნიერო ცენტრსა თუ უნივერსიტეტში, სადაც ამგვარ საქმიანობას ენეოდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილ ხელნაწერთა ინსტიტუტში) თუ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

შედეგად, ფილოლოგთა წრეებში გამოცემა არა სამეცნიერო აქტივობასთან, არამედ ხელობასთან, კერძოდ, ბეჭდვასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან იყო გაიგივებული. ეს ტენდენცია კარგად ჩანს ქართულ „უნივერსალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც“, სადაც „ედიცია“ (ლათ.) ასეა ახსნილი: „ტექსტის მეცნიერული გამოცემა, ტექსტოლოგიის ერთ-ერთი გამოყენებითი სახესხვაობა.“

ცალკე სამეცნიერო მიმართულებად გამოცემათმცოდნეობა ქართულ რეალობაში პირველად გამოიყო „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ საღოქტორო პროგრამის ფარგლებში (რომლის ხელმძღვანელებიც წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორები გახლავან) და, შესაბამისად, ტერმინიც პირველად ამ პროგრამის დასახელებაში იქნა გამოყენებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მიმართულების სადოქტორო პროგრამა ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში, თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სამა-

გისტრო პროგრამა „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე“ (ხელმძღვანელი – პროფ. ირმა რატიანი).

პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიზნით, 2016 წელს მოვამზადეთ ამავე სახელწოდების საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი, რომელმაც სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარების კონკურსში გამარჯვების შედეგად (I ადგილი) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი მოიპოვა (216.422 ლარის ოდენობით). პროექტის ფარგლებში უკვე მომზადდა და 2018 წელს გამოიცა „ტექსტოლოგიის“ სახელმძღვანელო (ნინიძე, გიგაშვილი, 2018).

ამ ეტაპზე „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამა ეყრდნობა შემდეგ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს:

- „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ქეთევან გიგაშვილი);
- „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი გიორგი გოცირიძე);
- „ვოდევილი ქართულ მწერლობაში (აკადემიური გამოცემა)“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ქეთევან გიგაშვილი);
- „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი მაია ნინიძე);
- „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი მაია ნინიძე);
- „გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივის შექმნა“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი მაია ნინიძე);
- „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გურამ რჩეულიშვი-

ლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე (ორენოვანი გამოცემა)“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ქეთევან ხითარიშვილი).

ზემოთ დასახელებულ ინსტიტუციებს უდიდესი წვლილი მიუძღვით გამოცემათმცოდნეობის განვითარების საქმეში. სწორედ მათი დამსახურების წყალობით გვეძლევა შესაძლებლობა, თავისუფლად ვისაუბროთ ქართული გამოცემათმცოდნეობის ისტორიაზე, თეორიასა და პრაქტიკაზე, რაც სახელმძღვანელოში განხილულია მსოფლიო გამოცდილების შუქზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი მორგებულია სადოქტორო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე. მასში თემები წარმოდგენილია გამოცემათმცოდნეობის მოდულში შემავალი სალექციო კურსების შესაბამისად. ეს კურსებია:

1. გამოცემის ისტორია, თეორია და პრაქტიკა
2. აკადემიური გამოცემის საგამომცემლო კონცეფცია და სამეცნიერო აპარატი.

გამოცემის ისტორია, თეორია და პრაქტიკა მჭიდროდაა ერთ-მანეთთან დაკავშირებული და მათ გამოცემათმცოდნეობა – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი – აერთიანებთ. გამოცემის ისტორიას ცალკეული საგამომცემლო პრაქტიკების ერთობლიობა შეადგენს. ამავე დროს, თითოეული პრაქტიკული რეპრეზენტაცია გარკვეული საგამომცემლო თეორიის პროდუქტია.

გამოცემის ისტორია მოიცავს ხელნაწერისა და ხელნაწერი წიგნის ტრადიციასაც, როგორც ბეჭდური გამოცემის წინარე პერიოდს. რაც შეეხება სამეცნიერო აპარატსა და საგამომცემლო კონცეფციას, იგი აკადემიური გამოცემის თეორიის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს, რომლის გამოწვლილვით ანალიზსაც ეძღვნება ამ დასახელების სალექციო კურსი.

ნათქვამი რომ შევაჯამოთ, სახელმძღვანელო შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან შედგება: გამოცემის წინარე ისტორია, გამოცემის ისტორია, გამოცემის თეორია და პრაქტიკა.

თავი I

გამოცემათმცოდნეობის, როგორც ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა დარგის, არსი, კვლევის საგანი,

მიზნები და ამოცანები

გამოცემათმცოდნეობის ცალკე სამეცნიერო დისციპლინად გამოყოფა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მას გააჩნია:

ა) კვლევის ობიექტი საკუთარი პერსპექტივებიდან;

ბ) კვლევის საკუთარი მიზანი და

გ) კვლევის მეთოდები საკუთარი პერსპექტივებიდან.

გამოცემათმცოდნეობა ჰუმანიტარიის დარგია, რომელიც შეისწავლის გამოცემის ისტორიას, თეორიასა და პრაქტიკას. ამასთან, შეიმუშავებს გამოცემის სტრატეგიასა და საგამომცემლო კონცეფციას ყოველი ახალი გამოცემისთვის.

გამოცემათმცოდნეობითი კვლევები დაიწყო მას შემდეგ, რაც წიგნიერი კაცობრიობისთვის დღის წესრიგში დადგა ტექსტური მასალის მკითხველისთვის ამა თუ იმ ფორმით მიწოდების საჭიროება. იგი დროში თითქმის თანხვდება ტექსტოლოგიური კვლევების წარმოშობას, რადგან ტექსტოლოგიური მუშაობა ალექსანდრიის სკოლაში იმთავითვე ითვალისწინებდა ტექსტების იმ დროისთვის შესაფერისი კრიტიკული აპარატით რეპრეზენტაციას.

გამოცემათმცოდნეობა მოიცავს ფილოლოგიური საქმიანობის ფუნდამენტურ თეორიასა და პრაქტიკას, რადგანაც იგი ფართოდ ეხება ტექსტის შენახვას, დოკუმენტაციასა და გავრცელებას.

გამოცემათმცოდნეობის ინგლისურენოვანი შესატყვისებია ‘Editorial Studies’ და ‘Editorial Scholarship’. იმ ქვეყნებში, სადაც იგი უკვე კარგა ხანია დამოუკიდებელ დისციპლინად არის ჩამოყალიბებული, მოიცავს როგორც გამოცემის თეორიას, ანუ საგამომცემლო თეორიას (Editorial Theory), ისე საგამომცემლო პრაქტიკას (Edito-

rial Practice). მეთოდოლოგიურ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ტერმინი ‘Textual Editing’, რომელიც უფრო საგამომცემლო მოდელებს (მიდგომებს) გულისხმობს.

გამოცემათმცოდნეობის **კვლევის საგანი (ოპიტეტი)** შეიძლება იყოს გამოსაცემად გამიზნული ნებისმიერი ტექსტური მასალა, მიუხედავად უანრისა და ავტორისა. რამდენადაც სიტყვა „მცოდნეობა“ ფუნდამენტურ ცოდნასთან ან ასეთი სახის ცოდნის შექმნასთან არის დაკავშირებული, გამოცემათმცოდნეობის მთავარი სამიზნე აკადემიური გამოცემაა, ანუ გამოცემის ის ტიპი, რომელსაც ფუნდამენტური კვლევის შედეგად შემუშავებული თეორია სჭირდება.

გამოცემათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, **ძირითადი მიზანია** ყოველი გამოსაცემი ტექსტისთვის გამოცემის ტიპისა და ფორმატის შერჩევა, ხოლო აკადემიური გამოცემის შემთხვევაში ტექსტუალურად დასაბუთებული და კონტექსტუალურად ანოტირებული გამოცემის უზრუნველყოფა. ტექსტუალურად დასაბუთებული გულისხმობს მეცნიერულად სანდო ტექსტს, გამოსაყენებელს, მათ შორის, ენათმეცნიერული მიზნებისთვისაც, ხოლო კონტექსტუალურად ანოტირებული – ისეთ გამოცემას, რომლის სამეცნიერო აპარატიც მოწესრიგებული იქნება გამოსაცემი ტექსტური მასალის ჟანრის შესაბამისად.

ამის გათვალისწინებით, გამოცემათმცოდნეობის **მთავარ ამოცანებს** შეადგენს აკადემიური გამოცემისთვის მომზადებული ტექსტისთვის სამეცნიერო კონცეფციისა და საგამომცემლო სტრატეგიის შემუშავება. ეს მუდმივად მოითხოვს აკადემიური საგამომცემლო საკითხებისა და პრაქტიკის კრიტიკული ცნობიერების განვითარებასა და აკადემიური საგამომცემლო მეთოდების მუდმივ სრულყოფას დროის შესაბამისად. ამ ამოცანების წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მიღწევა გამართული სამეცნიერო აპარატისა და ანოტაციების მომზადება.

ტექსტური მასალის შენახვის, გავრცელებისა და რედაქტირების თანამედროვე ტექნოლოგიები, საავტორო უფლებებისა

და ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი მხარეები, ისტორიული ცვლილებები ავტორობის ცნებაში და ანოტაციის პრაქტიკაში, აგრეთვე თანამედროვე თეორიები ტექსტის შესახებ – ყველა ერთად არსებით როლს თამაშობს გამოცემაში.

გამოცემათმცოდნეობის მიმართულებით არაერთი სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამა არსებობს უცხოეთის უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. იგი წარმოდგენილია როგორც ცალკე, დამოუკიდებლად, ასევე ტექსტოლოგიასთან, ან სხვა რომელიმე მონათესავე დისციპლინასთან ერთად. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ბოსტონის უნივერსიტეტის (აშშ) საგამომცემლო ინსტიტუტის¹ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სახელწოდებით ‘Editorial Studies’, ბერნის უნივერსიტეტის (გერმანია)² სამაგისტრო პროგრამა ‘Master’s in Editorial Studies’, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის (გერმანია)³ სამაგისტრო პროგრამა ‘Editorial Theory and Textual Criticism’, გრონიგენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები)⁴ სამაგისტრო პროგრამა ‘Writing, Editing and Mediating’, ლიიდენის უნივერსიტეტის⁵ (ნიდერლანდები) სამაგისტრო პროგრამა ‘Book and Digital Media Studies’, რომლის ერ-ერთი სასწავლო კურსია ‘Textual Editing’, და ა. შ. ამ პროგრამების მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს ის გზები და საშუალებები, რომლითაც ისტორიული და ლიტერატურული დოკუმენტები შეიძლება წარდგეს მკითხველის წინაშე.

1 The Editorial Institute: <https://www.bu.edu/academics/grs/departments/editorial-studies/>

2 <http://www.philhist.unibe.ch/studies/study-programs/master-s-in-editorial-studies/index-eng.html>

3 <https://www.uni-heidelberg.de/courses/prospective/academicprograms/editionundtexten.html>

4 <https://www.rug.nl/masters/writing-editing-and-mediating/?lang=en>

5 <https://studiegids.leidenuniv.nl/en/courses/show/69999/textual-editing>

§2. გამოცემათმცოდნეობის მონათესავე დისციპლინები.

გამოცემათმცოდნეობისა და ტექსტოლოგიის

ურთიერთმიმართების საკითხი

გამოცემათმცოდნეობა ვითარდებოდა და იხვეწებოდა ტექსტოლოგიის განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, იგი ყველაზე მჭიდრო კავშირშია მასთან. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ორი დარგი ხშირად ერთმანეთის გვერდით მოიხსენიება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტექსტოლოგია ფართო, ინტერდისციპლინური ჰუმანიტარული დარგია, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექსტის კრიტიკას. იტალიელმა ფილოლოგმა აურელიო რონკაგლიამ თავის ნაშრომში (Roncaglia, 1975: 26) აღნიშნა, რომ ტექსტის კრიტიკა არის ფართო დისციპლინა, რომელიც ხელმძღვანელობს ტექსტების გამოცემას. ამ დისციპლინის ფარგლებში ჩატარებული კვლევების საბოლოო პროდუქტი აკადემიურად დადგენილი ტექსტია, რომელიც ტექსტოლოგიური კვლევების გზით (ატრიბუცია, დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია, თემატური ანოტირებული საძიებლების მომზადება და ა. შ.) კრიტიკული აპარატით მდიდრდება. მათ შორის ურთიერთმიმართებასა და მათი მკითხველამდე მიტანის გზებსა და საშუალებებს კი გამოცემათმცოდნე ადგენს.

გამოცემათმცოდნისა და ტექსტოლოგის ამოცანები იკვეთება როგორც ფუნდამენტურ კვლევებში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. ისტორიული თვალსაზრისით, გამოცემათმცოდნეს აინტერესებს გამოცემათა ზოგადი ასპექტები, ტექსტოლოგს კი – კონკრეტული. რაც შეეხება პრაქტიკულ საქმიანობას, გამოცემათმცოდნეობა შეიძუშავებს გამოცემის სტრატეგიას, პრინციპებსა და მოდელს, რომლის მიხედვითაც, ტექსტოლოგი ქმნის კონკრეტულ პროდუქტს. მნიშვნელოვანია, რომ გამოცემათმცოდნემ ყოველთვის გაითვალისწინოს ტექსტოლოგიის შესაძლებლობები, ტექსტოლოგმა კი თავისი საქმიანობა წარმართოს გამოცემისათვის შემუშავებული მოდელისა და პრინციპების მიხედვით.

გამოცემის მომზადების პროცესში ტექსტოლოგიური და გამოცემათმცოდნეობითი კვლევითი ამოცანები ერთმანეთს ენაცვლე-

ბა. სტუდენტებისათვის რომ უფრო ნათელი იყოს ეს პროცესი, წარმოვადგენთ თანმიმდევრულად:

1. პირველი ეტაპი – საგამომცემლო სტრატეგიის (გამოცემის ფორმატისა და ტიპის) განსაზღვრა;
2. მეორე ეტაპი – ძირითადი ტექსტის შერჩევა;
3. მომდევნო ეტაპი – საგამომცემლო კონცეფციის შემუშავება (სამეცნიერო აპარატის მოდელის განსაზღვრა);
4. მომდევნო ეტაპი – ტექსტის კრიტიკის კვლევითი ნაწილის შესრულება;
5. შემდგომი ეტაპი – ტექსტოლოგიური კვლევები;
6. ბოლო ეტაპი – სამეცნიერო აპარატის შექმნა.

გამოცემის სტრატეგიაში მოიაზრება გამოცემის ტიპისა (სა-მეცნიერო, პოპულარული, აკადემიური და სხვ.) და ფორმატის (ბეჭდური, ელექტრონული, ან ორივე ერთად) შერჩევა ტექსტების პუბლიკაციისთვის, ხოლო საგამომცემლო კონცეფციაში – სა-მეცნიერო აპარატის ფორმისა და შინაარსის განსაზღვრა. ტექსტოლოგიური კვლევები, როგორიც არის, მაგ., დათარიღებასთან, ატრიბუციასთან, პირთა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლოა, არც ითვალისწინებდეს გამოცემათმცოდნეობით ნაწილს, მაგრამ, თუ ტექსტოლოგიური კვლევები ტექსტის გამოცემასაც ისახავს მიზნად, გამოცემათმცოდნეობითი კვლევითი სამუშაო ასეთ დროს ავტომატურად იგულისხმება.

გამოცემათმცოდნეობის მონათესავე დარგება: პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა (წარწერათმცოდნეობა), პაპიროლოგია, ფილიგრანოლოგია, კოდიკოლოგია, ხელნაწერთმცოდნეობა, დიპლომატიკა (სიგელთმცოდნეობა), წყაროთმცოდნეობა, არქეოლოგია და სხვ., ანუ ყველა ის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც დაკავშირებულია ტექსტის შესწავლასთან.

მაგ., **პალეოგრაფიასთან** გამოცემათმცოდნეობას აკავშირებს ძველი და შუა საუკუნეების ხელით ნაწერი ტექსტების კვლევა. პალეოგრაფის, როგორც მკვლევარის, უპირველესი ამოცანაა, წაიკითხოს წარსულში ხელით შესრულებული ტექსტები სწორად და გაარკვიოს ორიგინალის შესრულების თარიღი და ადგილი. გამო-

ცემის ისტორიაში, რომელიც გამოცემათმცოდნეობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, თავისი ადგილი აქვს დათმობილი გამოცემის წინარე ეპოქას, რომელიც სწორედ ძველი და შუა საუკუნეების ხელით შესრულებული ნაწერების ტრადიციას უკავშირდება. გარდა ამისა, ტექსტების დათარიღება აკადემიური გამოცემის მომზადების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ამოცანას შეადგენს, აკადემიური გამოცემა კი გამოცემის თეორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. და ბოლოს: ამ ნაწერების მეცნიერული თუ აკადემიური გამოცემა უთუოდ გამოცემათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება.

გამოცემათმცოდნეობასთან ასეთსავე მიმართებაშია შემდეგი დარგები:

ეპიგრაფიკა, რომელიც მაგარ მასალაზე შესრულებულ ძველ წარწერებს შეისწავლის. ამ წარწერების სათანადო დონეზე გამოცემა გამოცემათმცოდნეობის ამოცანას შეადგენს. სწორედ გამოცემათმცოდნეობამ შეუწყო ხელი დარგის მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბებას XIX საუკუნეში, როდესაც გამოიცა ბერძნული და ლათინური წარწერების კორპუსები.

პაპიროლოგია, რომელიც ძველ, ძირითადად, ეგვიპტურ პაპირუსებს იკვლევს, თუმცა, ეგვიპტურის გარდა, ათასობით ტექსტია შესრულებული დაახლოებით სამი ათასი წლის განმავლობაში პაპირუსზე ლათინურ, არამეულ, ებრაულ, სპარსულ და სხვა ენებზე. II და IV საუკუნეებს შორის დამწერლობის შემცველმა ჩანაწერებმა ლათინურ სამყაროში გადაინაცვლა პაპირუსიდან (გრაგნილიდან) პერგამენტზე (კოდექსზე),¹ რომელიც ძველი ხელნაწერის მნიშვნელობითაც იხმარება). ფართო მნიშვნელობით, პაპიროლოგია გამოიყენება, როგორც ქაღალდის შემსწავლელი მეცნიერება („ქაღალდი“ – paper / papyrus და „პაპირუსი“ ეტიმოლოგიურად ერთი ძირიდან მომდინარეობს).

ფილიგრანოლოგია, რომელიც ხელნაწერზე დატანილ გამჭვირვალე საქარხნო ნიშნებს – ფილიგრანებს – სწავლობს, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჭვირნიშნის სახელით

1 კოდექსს უწოდებენ ფურცლებად აკინძულ, თანამედროვე წიგნის ფორმით შეკრულ ტექსტს და მას ხმარობენ გრაგნილის საპირაპიროდ, რომელსაც არა აქვს დაყოფილი გვერდები. წიგნის ასეთ ფორმას განსაკუთრებით იყენებდნენ ქრისტიანები ბიბლიური ტექსტების ასლების გასაკეთებლად.

დაამკვიდრა ივანე ჯავახიშვილმა. ჭვირნიშნის კვლევა მეცნიერებს ეხმარება ხელნაწერის დათარიღებასა და მისი სადაურობის დადგენაში. ხელნაწერის თარიღისა და წარმომავლობის გარკვევა კი ტექსტის აკადემიური გამოცემის შემადგენელია ნაწილია.¹

კოდიკოლოგია, რომელიც შეისწავლის ძველ ხელნაწერებს, ხელნაწერ წიგნებს, იკვლევს მათი შექმნის, შენახვა-გავრცელებისა და გამოყენების პროცესს. კოდიკოლოგიას მოიხსენიებენ, როგორც წიგნის (კოდექსის) არქეოლოგიას, მეცნიერებას წიგნების მატერიალური და ფიზიკური ისტორიის შესახებ. უფრო პრაქტიკული მნიშვნელობით, კოდიკოლოგია ავლენს მსგავსებებს კონკრეტულ ხელნაწერ წიგნებს შორის, სწავლობს რა სკრიპტორიუმებს, სადაც ისინი შეიქმნა. კოდიკოლოგიის ამოცანებია: ხელნაწერთა ისტორიის, მათით ვაჭრობისა და გამოყენების შესწავლა, კატალოგის შედგენა, მისი ბიბლიოგრაფირება და ა.შ.

ხელნაწერთმცოდნეობა. მას ზოგჯერ განმარტავენ, როგორც ბიბლიოგრაფიათმცოდნეობის, ან ტექსტოლოგიის სახეობას. აღნიშნავენ, რომ ტექსტოლოგია მოიცავს ხელნაწერთმცოდნეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის უფრო ფართო ტერმინია და არ შემოიფარგლება მხოლოდ მისით, არამედ შეისწავლის ნაბეჭდ წიგნსაც, წიგნის გამოგონებიდან დაწყებული დღევანდელობამდე. ხელნაწერთმცოდნეობა ნაწილობრივ ფარავს დიპლომატიკას, პალეოგრაფიას, კოდიკოლოგიას, პაპიროლოგიას. უფრო ზოგადად, ის ხელნაწერის წარმოების, გავრცელების, სამკითხველო აუდიტორიის, საზოგადოების მიერ მისი მიღების, საკუთრების, შენახვის ყველა ასპექტს მოიცავს.

დიპლომატიკა, რომელიც არის მეცნიერება ოფიციალური დოკუმენტების, ისტორიული საბუთების, სიგელების, ქარტიების და ა. შ. შესახებ, მათი ავთენტურობისა და ისტორიული მნიშვნელობის დადგენის თვალსაზრისით. ლეონარდ ბოილის განსაზღვრებით, „დიპლომატიკა არის ლიტერატურული კრიტიკის ფორ-

1 ჭვირნიშნის საშუალებით მოწმდებოდა ოსტატის მუშაობა, შეირჩეოდა ქაღალდის ხარისხი და ფორმატი (ზომა). სხვადასხვა ქარხნა სხვადასხვა ჭვირნიშნის იყენებდა. ზოგჯერ ჭვირნიშნად ქაღალდის დამზადების წელსაც სვამდნენ (ჭუმბურიძე, 2017: 25).

მა, რომელიც ემყარება დოკუმენტური ჩანაწერების დეტალურ განხილვას იმისათვის, რომ გავიგოთ, რას ამბობენ ისინი; ვნახოთ, რასაც ამბობენ, თანხვედრაშია თუ არა იმასთან, რაც ცნობილია ფაქტის შესახებ“ (Boyle, 1992: 82).

წყაროთმცოდნეობა, რომელიც ისტორიულ წყაროებს იკვლევს.

არქეოლოგია, რომელიც სწავლობს და ინტერპრეტაციას აძლევს გათხრების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტებს.

ყველა ეს დისციპლინა, ამავე დროს, ისტორიის დამხმარე დარგებად მოიაზრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინიძე, მ. გიგაშვილი, ქ. ტექსტოლოგია, სახელმძღვანელო დოკტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის, გამომცემლობა „პრინტჯეო“, თბ., 2018.
2. ჭუმბურიძე, ზ. ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები, გამომცემლობა „ნიგნი+ერი“, თბ., 2017.
3. Boyle, L. E. (1992). Diplomatics, in *Medieval Studies: An Introduction*, ed. James M. Powell, 2nd ed. [Syracuse: Syracuse University Press, 1992], p. 82.
4. Roncaglia, A. (1975). Principi e applicazioni di critica testuale. Bulzoni.

გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

1 <https://www.bu.edu/academics/grs/departments/editorial-studies/>

2 http://www.philhist.unibe.ch/studies/study_programs/master_s_in_editorial_studies/index_eng.html

3 https://www.uni-heidelberg.de/courses/prospective/academic_programs/editionundtext_en.html

4 <https://www.rug.nl/masters/writing-editing-and-mediating/?lang=en>

5 <https://studiegids.leidenuniv.nl/en/courses/show/69999/textual-editing>

თავი II

გამოცემის ნიურა ისტორია

ტექსტური ინფორმაციის შენახვისა და გადაცემა-გავრცელების ისტორია სამ ძირითად ეტაპს მოიცავს:

1. ბეჭდვის წინარე პერიოდს;
2. ბეჭდურ ერასა და
3. ელექტრონულ ერას.

ბეჭდვის წინარე პერიოდი, თავის მხრივ, შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან. ესენია:

1. ეპიგრაფიკული ძეგლების, ანუ წარწერების ტრადიცია;
2. ხელნაწერის ტრადიცია და
3. ხელნაწერი წიგნის ტრადიცია.

ამ ხანგრძლივ ისტორიას კიდევ ანაწერებენ ქვეპერიოდებად, რომლებსაც დასაბამს აძლევს მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან ტექნოლოგიური სიახლე:

ჩვ.წ.აღ-მდე:
დამწერლობის შექმნა;
პაპირუსის გამოგონება;
ანბანური დამწერლობის შექმნა.

ჩვ.წ.აღ-ით:
კოდექსის ფორმატის გავრცელება (II საუკუნიდან);
მოძრავი შრიფტის გამოგონება (დასავლეთში XV საუკუნის 50-იანი წლები);

ორთქლის ძრავის და მბრუნავი საბეჭდი მანქანის შექმნა (XIX საუკუნის 20-იანი წლები);

ფოტოგრაფია (XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლო);
ელექტრონული ტელეგრაფის გავრცელება (1844);
საბეჭდი მანქანის გამოგონება (XIX საუკუნის შუა წლები);
ოფსეტურ ბეჭდვაზე გადასვლა (1900-იანი წლები);
ორ და სამგანზომილებიანი ტიპოგრაფიული ასოთამწყობის გამოგონება (XX საუკუნის 70-იანი წლები).

შემდგომში ხმის ჩამნერი აპარატის, კინემატოგრაფიის, რა-დიოსა და ტელევიზიის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ტე-ქსტის შენახვა-გავრცელება აუდიო და ვიდეო ჩანაწერის სახით. კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა კი კიდევ უფრო დახვეწა, გააუმჯობესა და გაამარტივა ნებისმიერი ფორმატის ტექსტის შექმნა და გავრცელება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ წერილობითი ტექსტის შექმნისა და გავრცელების ძველი ფორმები ახლის გამოგონების შემდეგაც განაგრძობს არსებობას. დღესაც კი, ციფრულ ეპოქაში, მართა-ლია მცირე რაოდენობით, მაგრამ კვლავ იქმნება როგორც ქვასა და ლითონზე შესრულებული წარწერები, ისე ხელნაწერები და ხელნაწერი წიგნები.

ეს ისტორია გვიჩვენებს, ადრეულ საუკუნეებში შექმნილი სტატიკური ტექსტები დროთა განმავლობაში როგორ იქცა დი-ნამიკურ ტექსტებად, რომლებიც სხვადასხვა შინაარსის ნარატი-ვებად განსხვაულდა, როგორი პროგრესი განიცადა კაცობრიობის ინტელექტუალურმა შემეცნებამ, მოგვიანო საუკუნეებში როგორ შეიქმნა შეზღუდული დანიშნულების გამოსათვლელი მანქანები, რომლებიც თანდათან გარდაიქმნენ ალგორითმებზე აგებულ უნი-ვერსალურ მანქანებად, რამაც შესაძლებელი გახადა ტექსტების კომპიუტერული დამუშავება. მართალია, პირველი პროგრამი-რებადი ციფრული კომპიუტერი XX საუკუნის 40-იან წლებში გამოიგონეს, მაგრამ ტექსტის დამუშავება შედარებით ახალი პრაქტიკაა და ის სათავეს ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს. ამავე საუკუნის 90-იანი წლებიდან კომპიუტერმა უკვე დაიწყო სერიოზული ალტერნატივის შემოთავაზება ტექსტების დისტრიბუციისთვის. ამ დროიდან ის ჩაირთო ქსელებში, რამაც გაზარდა მისი, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტის, როლი. ნახევარზე ნაკლები საუკუნის განმავლობაში კომპიუტერმა მოა-სერხა ადამიანთა ცხოვრებაში თავის დამკვიდრება იმდენად, რომ დღეს საზოგადოებრივი საქმიანობა წარმოუდგენელია მის გარეშე. ციფრულ ეპოქამდე, მრავალი საუკუნის განმავლობაში, გა-

მოცემა, ძირითადად, ბეჭდვასთან იყო ასოცირებული. თანამე-დროვე ტექნოლოგიების პირობებში ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ბეჭდური მედია არ არის ტექსტური ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების საშუალება, რომ ეს ფუნქცია შეიძლება ციფრულ-მა მედიამაც შეასრულოს და კიდევ უფრო გაუმჯობესებული ხარისხით. ასევე, ბეჭდვამდე პერიოდში მთავარი მედია ჯერ ეპი-გრაფიკული ძეგლები იყო, შემდეგ – ხელნაწერი და ხელნაწერი წიგნი.

წარწერები ხელნაწერთან შედარებით მედიის სტატიკურ ფორ-მას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერ მოხდებოდა მათი პირების დამზადება, გავრცელება და ხელიდან ხელში გადაცემა. ხელნაწერები და ხელნაწერი წიგნები კი იქმნებოდა საჯარო გა-ვრცელებისთვის მცირე ტირაჟის სახით და ფუნქციონირებდა, როგორც გამოცემები, პუბლიკაციები. ამიტომაც, სამეცნიერო ლიტერატურაში მათთან მიმართებით ხშირად გვხვდება სიტყვა „გამოცემა“. ეს ეპოქა კაცობრიობის წიგნიერების გზაზე აღმას-ვლის საინტერესო ისტორიას ასახავს.

§1. ეპიგრაფიკული ძეგლების ტრადიცია

ერთი და იგივე ემპირიული მასალა შეიძლება ერთდროულად რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის კვლევის სფერო იყოს, მაგრამ თითოეული დარგი შესასწავლ ობიექტს თავისი პერსპექ-ტივებიდან ჭვრეტს და იკვლევს. სწორედ ამას ვგულისხმობდით, როდესაც ზემოთ დავწერეთ: „გამოცემათმცოდნეობის ცალკე სამეცნიერო დისციპლინად გამოყოფა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მას გააჩნია კვლევის ობიექტი საკუთარი პერსპექტი-ვიდან...“ ამდენად, ამა თუ იმ ცოდნის სისტემის ცალკე სამეცნიე-რო მიმართულებად გამოყოფისთვის აუცილებელი არ არის, მას ყველასგან დამოუკიდებელი კვლევის ობიექტი გააჩნდეს, მაგრამ აუცილებელი პირობაა, რომ ამ ობიექტს ის საკუთარი პერსპექ-ტივებიდან განიხილავდეს და სწავლობდეს.

ეპიგრაფიკულ ტრადიციასთან მიმართებითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის აინტერესებს პალეოგრაფიასაც, დიპლომატიკასაც, ენის ისტორიასაც, ტექსტოლოგიასაც, გამოცემათმცოდნეობასაც და ა. შ. მაგ., ეპიგრაფიკულმა ჩანაწერებმა, როგორც პალეოგრაფიულმა ძეგლებმა, შემოგვინახა დამწერლობის უძველესი სახეობები, რომლებიც საუკუნეებია აღარ გამოიყენება. ისინი მეცნიერებს საშუალებას აძლევს, თვალი მიადევნონ ამა თუ იმ ანბანის განვითარების თავისებურებებს, მათი გავრცელების დროულ თუ სივრცულ მასშტაბებს. ამ კუთხით მათი გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

ეპიგრაფიკული ძეგლები ფასდაუდებელ ინფორმაციას იტევს ენათა ისტორიის შესახებ და მდიდარ შესაძლებლობებს იძლევა მათი განვითარების დინამიკის რეკონსტრუქციისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასალა მკვდარი ენების შესახებ, როგორიცაა შუმერული, ქანაანური, ფინიკიური (რომელიც ერთ-ერთი უძველესია მარცვლოვან დამწერლობათა რიგში), ურარტული და სხვ. უფრო მეტიც: ბევრი მკვდარი ენისა თუ ცივილიზაციის აღმოჩენა სწორედ ეპიგრაფიკასთან არის დაკავშირებული.¹

ჩვენი დისციპლინისთვის – გამოცემათმცოდნეობისთვის ეპიგრაფიკული ძეგლები განიხილება არა როგორც პალეოგრაფიული მასალა, რომელიც ამა თუ იმ დამწერლობის (მათ შორის, ქართულის) განვითარების საინტერესო გზას გვიჩვენებს, არამედ როგორც ტექსტური ინფორმაციის გავრცელების საშუალება, მედია, რომელიც ამა თუ იმ ხალხის სამართლებრივი, სამხედრო, რელიგიური, ზნეობრივი, ყოფითი თუ სხვა წესრიგებების, ასევე ტრადიციების, კულტურის, ისტორიის, ზოგჯერ ლიტერატურის, ეთნოგრაფიის შესახებ გვიყვება. ამ კუთხით, თანამედროვე ბეჭდური მედიის ჩანასახი ტექსტური ინფორმაციის გავრცელების

1 მაგ., ფინიკიური ენა მხოლოდ წარწერებშია დოკუმენტირებული. უძველეს ნიმუშად სახელდება დაახლოებით ძვ. წ. X საუკუნით დათარიღებული კვიპროსის წარწერა. ფინიკიური წარწერების დიდი ნაწილი ძვ. წ. V საუკუნიდან მოიპოვება. ამ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლები, ფინიკიის გარდა, ფარავს კვიპროსს, საბერძნეთს, ეგვიპტეს, აფრიკის ჩრდილო სანაპიროს.

სწორედ ამ საშუალებაში ძევს. იმის გათვალისწინებით, რომ მე-დიის ეს ფორმა სტატიკურ ხასიათს ატარებდა და მისი პირების დამზადება ვერ მოხდებოდა, მისი მიზანიც ვერ იქნებოდა ინფორ-მაციის მასშტაბური გავრცელება.

წარწერები, როგორც პირველადი ისტორიული წყარო, უძვირ-ფასეს მასალას შეიცავს ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების შესასწავლად.

ეპიგრაფიკული ტრადიციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების მიზნებთან, რაც კა-ცობრიობას შეიძლებოდა გასჩენოდა კულტურული განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე. ამდენად, იგი ცივილიზაციის მო-ნაპოვარია და უთუოდ ავლებს ზღვარს კულტურის განვითარების ისტორიაში. ანტიკური სამყაროს პირველი ხელის ჩანაწერები სწორედ ეპიგრაფიკული მასალით არის ჩვენამდე მოღწეული. ამდენად, იგი წარმოადგენს ავთენტურ წყაროს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის, კულტურის, პალეოგრაფიისა და ენის შესასწავლად.

არქეოლოგიური მეცნიერების წინსვლამ არაერთ აღმოჩენას დაუდო სათავე, რომელთაც ხმირ შემთხვევებში გადაწიეს ამა თუ იმ მოვლენის დროითი საზღვრები, მანამდე ლეგენდის სახით არსებულ ბევრ პიროვნებასა თუ ფაქტს რეალური და ისტორიული შინაარსი შესძინეს.

თუ გადავხედავთ მსოფლიო ეპიგრაფიკულ რუკას, დავინახა-ვთ, რომ იგი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიებს აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში: ძველ ჩინეთს, ინდოეთს, სპარსეთს, შუამდინარეთს, ეგვიპტეს, ანტიკურ საპერძეთსა და რომს, კვიპროსს, თანამედროვე ესპანეთს, საფრანგეთს, ირლანდიას, ნორვეგიას, შვეციას და სხვ. არადასავლურ სამყაროში ეპიგრაფიკა განვითარებული იყო მაიას, ტოლტეკების, აცტეკებისა და ჩინეთის ცივილიზაციებში. აღსანიშნავია აგრეთვე აღდგომის კუნძულის ეპიგრაფიკა. ეს ჩამონათვალიც კი მიგვანიშნებს, რამ-დენად გავრცელებული იყო ტექსტური ინფორმაციის გადაცემის ეს სტატიკური მედია მთელ მსოფლიოში.

გამოქვაბულის კედლებსა და ქვის მონუმენტებზე ტექსტის ამოკვეთის უძველესი პრაქტიკა, რომელიც ასახავს დაპყრობებს, რელიგიურ ცერემონიებსა თუ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს, არსებობდა აზის ბევრ ქვეყანაში. ისინი გვაცნობენ უძველესი ეპოქების მეფეებისა და იმპერატორების საქმიანობას, გვიჩვენებენ მათი სამფლობელოების გაფართოებას, ათარიღებენ ამა თუ იმ მოვლენასა და სხვ.¹

სხვადასხვა სახის მასალაზე – ქვაზე, მარმარილოზე, მეტალზე, ხეზე, თიხაზე, ცვილის ფირფიტებზე, პაპირუსზე, პერგამენტზე და ა. შ. და სხვადასხვა ტექნიკით (ამოჭრით, ამოკვეთით, ამოტვიფრით, ამოკანვრით, გრავირებით, ხატვით, ხაზვით და ა. შ.) შესრულებული ეპიგრაფიკული ჩანაწერები წარმოადგენდა გაბატონებულ მედიას ბევრი უძველესი ცივილიზაციისთვის.

ჩინური ეპიგრაფიკული მასალის დიდი ნაწილი წაპოვნია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დაახლოებით 2500-იან წლებში ჩვ.წ.აღ-მდე ჩინელებს ტექსტური ინფორმაცია, ძირითადად, გადაჰქონდათ თიხის ნაწარმზე, ხოლო დაახლოებით 1500-იან წლებში ჩვ.წ.აღ-მდე – ბრინჯაოზე, მოგვიანო პერიოდში – ძვალზე, კუს ჯავშანზე, ცხოველის ტყავზე, სადაც ჩაწერილია სამეფო წინასწარმეტყველებები.² კლასიკური პერიოდიდან მოიპოვება დიდი ქვის ფილებზე შესრულებული ოდები, რომლებიც წაპოვნია შანსის პროვინციაში.

ჩინეთის იმპერატორმა 175 წელს ბრძანება გასცა, რომ კონფუციანიზმის 6 ძირითადი კლასიკოსის ტექსტები ქვაზე ამოეკვეთათ მათი შთამომავლობისთვის შემონახვის მიზნით. მომდევნო დროის იმპერატორები VI-VIII საუკუნეებში ქვაზე აკვეთინებდნენ სხვა ტექსტებსაც. ასე რომ, მედიის ამ საშუალებამ შემოგვინახა

1 აზის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, შრი ლანკაში, ნაპოვნია ეპიგრაფიკული ძეგლების ადრეული ნიმუშები, შესრულებული თამილ ბრაჟმის ანბანზე. წარწერები ამოკვეთილია ქვებსა და მაგარი მასალის ნატეხებზე და თარიღდება ძვ.წ. აღ-ის VI (ან VII) საუკუნით.

2 გამოყენებული ანბანი არის პიქტოგრამების, სიტყვებისა და სხვადასხვა სიმბოლოს ნარევი.

არა მხოლოდ ქრონიკები, არამედ ლიტერატურული ძეგლებიც.

ჩვ.წ.აღ-ის VI საუკუნის II ნახევარში ბუდისტმა ბერებმა ჩინეთში დაიწყეს რელიგიური შინაარსის ტექსტების ქვაზე ამოკვეთა. პირველი ტექსტები ამოიჭრა ფრიალო კლდეებზე ღია ცის ქვეშ. უგრძესი წარწერა ‘Diamond Sutra’ ტაიშან (Taishan) შეიცავს 2100 სიმბოლოს, რომელიც 2000 კვადრატული მეტრის ფართობზეა ამოკვეთილი. ასეთი წარწერები ერთეულია მთელ მსოფლიოში. ჩინური წარწერები იკვეთებოდა კლდის ფოსოების არქიტექტურულ ჩარჩოებში და ხდებოდა იკონოგრაფიული პროგრამის ნაწილი. უდიდესი ზომის ქვის ფილები ინარმოებოდა ქლაუდ დველინგის (Cloud Dwelling) მონასტერში 616 წლიდან დაახლოებით 1180 წლამდე. ბერებმა აქ დაახლოებით 15000 ფილა ამოჭრეს, რომელიც მოიცავდა 25 მილიონამდე სიმბოლოს. ეს იყო უდიდესი ეპიგრაფიკული პროექტი მსოფლიო ისტორიაში.

ჩინურმა წარწერებმა ხელი შეუწყო ლეგენდებიდან ისტორიული ფაქტების გამიჯვნას. მაგალითად, ჩინეთის იტორიის სამი პერიოდი (სიას დინასტია – 2070-1600 წლები ჩვ.წ.აღ-მდე; შანის დინასტია – 1600-1046 წლები; ჯოუსა და ცინის დინასტიები – 1046-207 წლები), დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთის სწავლულების მიერ მიჩნეული იყო ლეგენდის სფეროდ, მაგრამ არქეოლოგიური მასალების აღმოჩენამ ცხადი გახადა წერილობითი დოკუმენტების ისტორიულობა. ქალალდის გამოგონებამ (დაახლოებით 100 წელი ახ.წ.აღ-ით) შეასუსტა ეპიგრაფიკის როლი ჩინეთში.

პრატმის ანბანით შესრულებული წარწერები ინდოეთის სუბკონტინენტის ტერიტორიაზე ცნობილი იყო დაახლოებით III საუკუნიდან ჩვ.წ.აღ-მდე, თუმცა დღეს ინდოელი მეცნიერები ინდური ეპიგრაფიკის ისტორიის საწყისად მიიჩნევენ ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნეს.

დამწერლობის უძველესი ცნობილი სისტემა ინდოეთის სუბკონტინენტზე ნაპოვნია ბეჭდებზე, რომლებსაც იყენებდა ინდის ველის ხალხი 2500-იდან 1500 წლამდე ჩვ.წ.აღ-მდე.

მნიშვნელოვანი ძეგლებია ინდოეთის იმპერატორის, აშოკას (ქრისტემდე 272-232 წწ.), ნარწერები, აგრეთვე ჰათიგუმფას (Hathigumpha) ნარჩერა „სპილოს გამოქვაბული“, დაწერილი კალინგას (Kalinga) მეფის კარაველას (Kharavela) მიერ ბრაჟმის ანბანზე || საუკუნეში ქრისტემდე; ავღანისტანის კლდეზე ამოკვეთილი რაბატაკის (Rabatak) ნარწერა, აღმოჩენილი 1993 წელს რაბატაკის მხარეში; ჰატარა სოფელ ჰალმიდის ახლოს ნაპოვნი, ქვიშა ქვის ფიცარზე ამოკვეთილი 16-ხაზიანი ჰალმიდისა (Halmidi)¹ და თამილის სპილენძის ფირფიტის ნარწერები.

აშოკას ბრძანებები (ედიქტები) ინდოეთის უძველესი წერილობითი ძეგლებია. ეს არის 33 ნარწერისაგან შემდგარი კოლექცია, რომელიც შესრულებულია აშოკას სვეტებზე, რიყის ქვებსა თუ გამოქვაბულის კედლებზე და ნარმოადგენს ბუდიზმის პირველ ხელშესახებ საბუთს. ისინი დეტალურად მოგვითხრობს ბუდიზმის პირველ ფართო გავრცელებაზე აშოკას ხელშეწყობით. ნარწერები აღმოჩენილია დაახლოებით 35 ადგილას თანამედროვე ჰაკისტანისა და ჩრდილოეთ ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე.²

ინდური ნარწერები ფართოდ გავრცელდა ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში. ისინი აღბეჭდილი იყო კლდის პირებზე, სვეტებზე, ქვის ფიცრებზე, მოგვიანებით ასევე – ჰალმის ფოთლებზე, მონეტებზე, სპილენძის ფირფიტებზე, ტაძრის კედლებზე. სპილენძის ნარწერები უმთავრესად შეეხებოდა მინების გაყიდვის თემებს. დღეისათვის დაახლოებით 100.000 ინდური ნარწერაა აღმოჩენილი, რომელთაგან ბევრი კატალოგიზებული და თარგმნილია. ნარწერები შეიცავს ცნობებს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ასახავს სამეფო გენერალოგიებს, გვთავაზობს მოსაზრებებს ადრეული ინდური პოლიტიკური სტრუქტურის, კანონთა კოდექსებისა თუ რელიგიური გამოცდილებების შესახებ. ისინი ნარმოადგენს ინდური ენების უძველეს წერილობით ფორმებს და შეიცავს ინფორმაციას ამ ენების განვითარებისა და

1 ცნობილი უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლი ერთ-ერთ დრავიდულ ენაზე.

2 ისინი 1837 წელს გაშიფრა აღმოსავლეთმცოდნე ჯეიმს პრინსეპმა (James Princep).

გამოყენების შესახებ ინდოეთში. ეპიგრაფიკული ძეგლები ადასტურებს აშოკას მიერ მთელი ჩრდილოეთ ინდოეთისა და სამხრეთ ინდოეთის დიდი ნაწილის მართვის ფაქტს.

ეპიგრაფიკულად ჩანსერილი ისტორია **უძველეს სპარსეთში** იწყება აქემენიდების დინასტიის აღმავლობის პერიოდიდან, ჩვ.წ.აღ-მდე VI საუკუნიდან. წარწერებში ვხვდებით ინფორმაციას კიროს II დიდის მიერ მიღის, ლიდიის, ბაბილონის და პუरობის, კამბისის მიერ ეგვიპტის და ამორჩილების, მისი მემკვიდრეების (დარიოს I-დან დაწყებული) საბერძნეთში შეჭრის შესახებ. აქ მოთხოვობილია, თუ როგორ იქცა სპარსეთი მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოდ და როგორ ინარჩუნებდა ამ პოზიციას ორი საუკუნის განმავლობაში. იმპერიის საერთაშორისო გავლენები ხშირად ასახულია სამენოვან სამეფო წარწერებში – ტრადიციული მარცვლოვანი, სოლისებრი და ამწერლობის აქადური და ელამური ვერსიებით. დარიუსის გრანიტის სტელაზე წარწერა შესრულებულია ძველ სპარსულზე, ელამურზე, აქადურზე და იეროგლიფურ ეგვიპტურზე. გრძელი ტექსტები ეკუთვნით დარიუსა და ქსერქს I-ს.¹ დარიუსის წარწერა კლდოვან ნაწილზე მოიცავს რამდენიმე ასეულ ხაზს ძველ სპარსულზე, ელამურისა და აქადური ვერსიების გვერდით. მას ახლავს 11 მცირე წარწერა, რომლებიც გვიჩვენებს დარიუსის აჯანყებების ტრიუმფალურ წარმატებებს. ეს ტექსტი არის თვითდადასტურება იმისა, როგორ მოიპოვა და განამტკიცა დარიუსმა თავისი ძალაუფლება. სპარსეთის ისტორიის იგივე პერიოდი ფართოდ აქვთ აღნერილი ჰეროდოტეს, კტესიას (Ctesias) და სხვებს და მეცნიერებს შეუძლიათ, დარიუსის კერძო შეხედულებები შეუპირისპირონ ისტორიკოსთა მოსაზრებებს. ირანის ისტორიის არშაკიდებისა და სასანიდების პერიოდებიდან შემორჩენილია სამეფო წარწერები, რომლებიც ნათელს ჰქონება თავიანთ ეპოქებს ისლამურ და პურობებამდე ჩვ.წ.აღ-ით VIII საუკუნეში. ახალ ნიმუშებს ისევ პოულობენ ამ ტერიტორიებზე.

1 ქსერქსეს ერთ-ერთი წარწერა იპოვნეს პერსეპოლისთან, ქვის ფირფიტაზე 1967 წელს.

წარწერებით მდიდარია უძველესი მესოპოტამია. გადარჩენილი შუმერული ეპიგრაფიკული ძეგლები ჩვ.წ.აღ-მდე III და ადრეული II ათასწლეულიდან შეიცავს როგორც ისტორიულ, ისე სხვა ტიპის მასალას. „სარგონის მატიანე“ წარმოადგენს ლიტერატურული ლეგენდის ნაწილს, რომელიც მოგვითხრობს გამოჩენილ მოლვაწეებსა და წარსულის გმირულ საქმეებზე. სამეფო წარწერები, განსაკუთრებით აქადის მეფისა და ლაგაშის მბრძანებლის სარგონ I-ისა, ისტორიული დოკუმენტებია. ერთი ასეთი წარწერა, ამოკვეთილი ლაგაშის მმართველის სკულპტურაზე, ძვ.წ.აღ-ის XXII საუკუნით თარიღდება (ინახება ლუვრში). ძვ.წ.აღ-ის XVIII საუკუნით (1750) არის დათარიღებული ვულკანური წარმომობის კლდოვან სტელაზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც შეიცავს ჰამურაბის კოდექსს.¹

„შუმერელი მეფის სია“ შეიცავს ინფორმაციას სახელების, ადგილების, მითიური თარიღებისა და გმირობების შესახებ. ამ ტიპის წარწერები ქალაქ-სახელმწიფოს დაშლის პირობებში მეფის წოდების, მეფობის ერთიანობის ხელშესაწყობად კეთდებოდა. შემონახულია ბაბილონელ და ასირიელ მეფეთა სიებიც. ისტორიული დოკუმენტები თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს ასირიელ მეფეთა ანალებს, ჩანწერილს ქვის ფილებზე, სტელებზე (რომლებიც შეიცავს ნაგებობების დაარსების ნიშნებს), ასევე ბრინჯაოს კლდე-კარებზე, სკულპტურებზე, ობელისკებზე. ანალები წარმოადგენს პირველად ისტორიულ წყაროებს, სადაც ვხვდებით ცნობებს ასურეთის მიერ სირიის, ჰალესტინის, მცირე აზიის ნაწილის, კვიპროსის, არაბეთის, ეგვიპტის დაპყრობის შესახებ.

ორივე სახის ტექსტები (ლიტერატურული და ისტორიული) შემონახულია ბაბილონური და ასირიული პერიოდებიდან, ჰამურაბის მეფობის დროიდან (1792-1750), ჩვენი წ.აღ-ის VI ს-მდე.

ეგვიპტური წარწერების გაშიღვრამ ბიძგი მისცა ეგვიპტური

1 მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჰამურაბის სტელა თავდაპირველად დაფგმული უნდა ყოფილიყო ბაბილონელთა სამოსახლოს ცენტრში, რათა მოსახლეობა გასცნობოდა თავის უფლებებს. დამპყრობლებს ის უნდა წაელოთ სუსაში (შესაძლოა, 1200 წელს ჩვ.წ.აღ-მდე), სადაც 1901 წელს აღმოაჩინეს და ლუვრში გადაიტანეს.

ეპიგრაფიკის განვითარებას. წარმატებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გაამრავლა ტექსტური კორპუსები. თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი სოლისებრი აქადური წარწერები გარკვეულწილად ასრულებდა დამწერლობის საერთაშორისო დიპლომატიური მედიუმის ფუნქციას ეგვიპტის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე და ის დღესაც რჩება ეგვიპტური ეპიგრაფიკის განუყრელ ნაწილად.

არასამეფო წარწერები უძველესი ეგვიპტიდან მრავალრიცხოვანია მე-4 დინასტიის პერიოდში (ჩვ.წ.აღ-მდე XXVI-XXV საუკუნეები). აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პალერმოს ქვის წარწერა, რომელიც ინახავს ეგვიპტელი მეფის, სნეფრუს (Snefru), (ჩვ.წ.-მდე 2575-2465), მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ფრაგმენტულ ანალებს. ისტორიული ჩანაწერები იქმნებოდა შემდგომი ორი დინასტიის პირობებშიც: განსაკუთრებით პეპი (Pepi) I-ის დროს, რომელიც იყო მე-6 დინასტიის მე-3 მეფე (2325-2150 წწ. ჩვ.წ.აღ-მდე). წარწერებმა იკლო მე-12 დინასტიამდე პერიოდში (1938-1756 წწ.). აღსანიშნავია დედოფალ ხატშეფსუტის (1479-1458 ჩვ.წ.აღ-მდე) ტაძრის წარწერას შუა ეგვიპტეში.

ისტორიული დოკუმენტების ჩანერის ოქროს ხანა იწყება ჩვ.წ.-მდე XV საუკუნეში, მე-18 დინასტიის ხელისუფლების პირობებში, განსაკუთრებით თუთმოს (Thutmosis) III-ის, ამენჰოტეფ (Amenhotep) II-ისა და II-ის დროს. თუთმოსის ანალები კარნაკის ტაძრის კედლებზე აღწერს ოცნელიან უწყვეტ სამხედრო ლონისძიებებს აზიაში, კერძოდ, 16 ლაშქრობას. ეს ინფორმაცია შევსებულია არმანტის¹ სტელასა და გებელ ბარკალის (მთა) სტელას ინფორმაციით, ისევე როგორც დაპყრობილი მიწების სიებით კარნაკის სტელაზე. მსგავსი მასალის ჩანერა გაგრძელდა ამენჰოტეფ II-ისა და III-ის მეფობის დროს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ინფორმაცია გამდიდრებულია სოლისებრი დამწერლობით შესრულებული მიმოწერით უცხოელ მმართველებთან.

ეგვიპტეში, თელ ელ-ამარნასთან (Tell el-Amarna), აღმოჩენილია

¹ ქალაქი ზემო ეგვიპტეში.

თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი წერილები, რომლებიც თარიღდება ამენპოტეფ III-ისა (1390-1353 ჩვ.წ.აღ-მდე) და ამენპოტეფის (1353-1336 ჩვ.წ.აღ-მდე) მეფობის დროით. წერილები მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ჩასწვდნენ დიდ და პატარა სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების ბუნებას ჩვ.წ.აღ-მდე XIV საუკუნეში. ბაბილონური სოლისებრი დამწერლობის არქაული ფორმით შესრულებული წარწერები შეიცავს ეგვიპტური სასამართლოსა და უძველესი შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოებსა და ვასალურ სახელმწიფოებს შორის მიმოწერას. თიხის ფირფიტები დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში. მნიშვნელოვანი ნაწილი ინახება ბერლინში, ლონდონში, კაიროში და სხვ.

სემიტური ეპიგრაფიკული ძეგლები ერთ-ერთი უძველესი ფენაა დღემდე ცნობილ წარწერებს შორის. გამოყოფენ ადრეულ, შუა პერიოდის, მოგვიანო პერიოდისა და თანამედროვე სემიტურ წარწერებს.

უძველესი სემიტური ეპიგრაფიკული ძეგლების ფენაში მნიშვნელოვანია 1999 წელს იოანესა (John) და დებორა დარნელის (Deborah Darnell) მიერ ვადი ელ-ჰოლში (Wadi el-Hol) (ეგვიპტე) აღმოჩენილი წარწერა, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით 2000 წლით თარიღდება და ინახავს სემიტური ანბანის უძველეს ნიმუშს.¹

2010 წელს დოქტორ მაზარის არქეოლოგიურმა ჯგუფმა აღმოჩინა თიხის ფრაგმენტი, რომელიც შეიცავდა ძვ. წ.აღ-ის XIV საუკუნის აქადურ ლურსმულ წარწერას. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ტექსტი, ნაპოვნი იერუსალიმში. მოგვიანებით, 2012 წელს, მნიშვნელოვანი ებრაული წარწერა აღმოჩნდა უძველესი ჭურჭლის

1 ადრეულ სემიტურ წარწერათა შორის ასახელებენ სინურ, სხვაგვარად, პროტო-სინურ წარწერებს, რომლებმაც შემოინახეს ანბანური დამწერლობის უძველესი ნიმუშები. ისინი ამოკვეთილია ქვებზე სინას ნახევარკუნძულზე, ეგვიპტეში. ოთხი ასეთი წარწერა პირველად აღმოჩინა ბრიტანელმა არქეოლოგმა უილიამ ფლინდერს პეტრიმ (Sir William Flinders Petrie) 1904-1905 წლებში სინას ნახევარკუნძულზე, კერძოდ, სერაბიტ ელ-ხადიმში (Serabit el-Khadim), რის გამოცმათ მოისხენიებენ, როგორც სერაბიტ ელ-ხადიმის წარწერებს. ოთხივე მათგანი თარიღდება 1500 წლით ჩვ.წ.აღ-მდე. ასევე 1500 წლით თარიღდება მღვიმის შესასვლელის წარწერა, რომელიც სინას ნახევარკუნძულზეა შემონახული.

რკალზე. ჭურჭელი დათარიღდა ძვ. წ. აღ-ის XI-X საუკუნით, ბიბლიური მეფების, დავითისა და სოლომონის, პერიოდით. იგი 250 წლით უსწრებს ცნობილ უძველეს ებრაულ წარწერას ასევე იერუსალიმიდან, რომელიც თარიღდება ძვ. წ. აღ-ის VIII საუკუნით.

შეუა პერიოდის სემიტური წარწერებიდან გამოცემათმცოდნეობისთვის, ძირითადად, საინტერესოა:

თელ დანის¹ (Tell Dan) წარწერა, ამოკვეთილი ქვის ფირფიტაზე არამეულ ენაზე: შეიცავს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „ისრაელის მეფე“ და „დავითის სახლი“ და არის ერთ-ერთი იმ ორი არაბიბლიური წყაროთაგანი, რომელიც ადასტურებს ბიბლიური დავით მეფის არსებობას. იგი თარიღდება 850 წლით ჩვ. წ. აღ-მდე;

„მოაბიტის ქვის“ წარწერა, აღმოჩენილი 1868 წელს დიბონში:² ეს არის მეორე არაბიბლიური წყარო, რომელიც ასახელებს მეფე დავითს. შესრულებულია მოაბიტურ ენაზე. დღეს ის ინახება პარიზში, ლუვრის მუზეუმში. თარიღდება ჩვ. წ. -მდე 830 წლით;

ლოს ლუნას წარწერა, რომელიც შეიცავს 10 მცნებას და დაწერილია შეუა სემიტურ ანბანზე. თარიღდება 700 წლით ჩვ. წ. აღ-მდე;

თიხის ქოთნის ნატეხზე ებრაულ ენაზე შესრულებული წერილი, რომელსაც ებრაელი გლეხი ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 621 წელს უგზავნის რეგიონის ხელისუფლებას. აქ იგი ჩივის ტანსაც-მლის უსამართლოდ წართმევაზე და ითხოვს მის დაბრუნებას;

სეპტუაგინტას ფრაგმენტი, რომელიც შესრულებულია პაპირუსზე. აქ გამოყენებულია შეუა ებრაული ანბანი, რაც ადასტურებს წარწერის ებრაულ წარმომავლობას. იგი თარიღდება ჩვენი წ. აღ-ის I საუკუნით.

ანტიკური საბერძნეთის ისტორიულად მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული წარწერები განსხვავდება ზემოთ განხილული მასალის დიდი წარწერისაგან. ბევრ მათგანს პარალელი მოეძებნება ლიტერატურისა თუ ისტორიოგრაფიის მდიდარ ტრადიციაში. წარწერები შეიცავს ჩვენამდე პირველი ხელიდან მოღწეულ ფაქ-

1 თელ დანი არის ქალაქი ისრაელში, რომელიც წახსენებია ებრაულ ბიბლიაში.

2 მოაბიტელთა ქალაქი.

ტობრივ დეტალებს უძველესი სამყაროს შესახებ, მოგვითხრობს საკულტო პრაქტიკების თაობაზე, ინახავს პოლიტიკოსთა ვინაობებს, რომლებიც გამოსცემდნენ კონკრეტულ დეკრეტებს და გვთავაზობს ინფორმაციას იმ საშუალებების შესახებ, რომლითაც აღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღწეოდა. ისინი გვიყვება ინდივიდუალისა და მოქალაქეთა ჯგუფების დღესასწაულების აღნიშვნის სტილზე და სხვ.

უახლესი აღმოჩენების მიხედვით, სულ მცირე 200,000 წარწერაა შემორჩენილი ბერძნულ ენაზე, რომლებიც თარიღდება ჩვ.წ. აღ-ის 800 – ახ.წ. აღ-ის 600 წლებით, რაც 14 საუკუნეს მოიცავს. მათი გავრცელების გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა ათენთან ისინი მეტადაა თავმოყრილი. აქ დაახლოებით 20,000 წარწერაა ნაპოვნი.

ანტიკური ეპოქის გვიან VI საუკუნეში ათენელებმა დაიწყეს თავიანთი ოფიციალური საქმეების ქვაზე აღბეჭდვა. ისინი ხშირად წერდნენ გადაწყვეტილებებს მარმარილოს ქვებზე, რომლებიც ასახავს მათი იმპერიის ორგანიზაციული მოწყობის, სხვა ქვეყნებთან ტრაქტატებისა და ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკებს. სახელმწიფო გადაწყვეტილებები (იგივე ტრაქტატები, ასევე რეგულაციები, დაჯილდოებები) შემონახულია სხვა მეტალებსა და ქვის საგნებზეც.

წარწერები საბერძნეთში განთავსებული იყო საჯარო ადგილებში, როგორიც იყო ტაძრები და სავაჭროები (აგორები). უფრო ხშირი იყო ქვაზე აღბეჭდილი წარწერები აკროპოლისებში. როგორც ჩანს, კლასიკური ეპოქის ათენელები ცდილობდნენ, თავიანთი გადაწყვეტილებებისთვის მოენახათ რელიგიური დასაყრდენი. რელიგიური მნიშვნელობისაა, მაგ., ათენის ხარკის სიები. ძვ.წ. აღ-ის 454 წელს, დელის ლიგის (Delian League) ხაზინის ათენისთვის გადაცემის შემდეგ, ათენელებმა დაიწყეს იმპერიის ხარკის 1/60-ის შენირვა ათენის ღვთაება პოლიასის ხაზინის-თვის. ისინი წერდნენ რაოდენობებს, რასაც სწირავდა თითოეული საზოგადოება. წარწერები არაერთ ინფორმაციას შეიცავს

ამის შესახებ. ამდენად, ეს ძეგლები წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს ანტიკური ბერძნული სამყაროს ისტორიის შესასწავლად.

ე. ნ. დიპილონის წარწერა არის ერთ-ერთი უძველესი ბერძნული დოკუმენტი, რომელიც მოკლე ტექსტის სახით აღბეჭდილია თიხის ჭურჭელზე, კერძოდ, ღვინის დოქტე. იგი გათხრების დროს აღმოჩნდა ათენთან ახლოს, დიპილონის სამარხზე 1871 წელს და თარიღდება ძ.წ.აღ-ის 740 წლით.¹

ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი წარწერა V საუკუნის საბერძნეთიდან დაცულია ბრინჯაოს გველის სვეტზე. მასზე გამოსახულია გადაჭდობილი გველები, რომლებსაც ბერძნები სთავაზობენ აპოლონს, როგორც სამადლობელს თავიანთი გამარჯვებისათვის სპარსეთის ომებში. სპირალებში ამოკვეთილია 31 ბერძნული საზოგადოების სახელი, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ომში. წარწერიანი სტელა კვლავ დგას უძველეს იპოდრომზე სტამბოლში.²

ძველი რომის ლიტერატურული და ეპიგრაფიკული ჩანაწერები მწირი და ფრაგმენტულია. 1964 წელს პირჯიში (Pyrgi) აღმოჩნდა ოქროს ფირფიტები, რომლებიც შეიცავს ეტრუსკელთა მეფის, თეფარი ველიანას (Thefarie Velianas), მიძღვნას ქალღმერთ უნი ასტარტისადმი (Uni (Juno) Astarte) ეტრუსკულ და ფინიკიურ ენებზე. წარწერა თარიღდება დაახლოებით 500 წლით ჩ.წ.აღ-მდე.

1565 წელს რომში იპოვეს კოლუმნა როსტრატას (Columna Rostrata) მარმარილო, რომელიც წარმოადგენს გამარჯვების სვეტს და შეიცავს ჩანაწერს რომაელი კონსულის, გაიუს დუილიუსის (Gaius Duilius), კართაგენელებზე სამხედრო-საზღვაო გამარჯვების შესახებ. სვეტი რომში აღიმართა 260 წელს ჩ.წ.აღ-მდე. წარწერა გაჯერებულია ყალბი ინფორმაციით, შესაბამისად, მას ისტორიული ღირებულება არ გააჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ტექსტია ავგუსტუსის მმართველობის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი ‘*Res gestae divi Augusti*’, რომელიც არაერთ ადგილას იყო გამოფენილი.

1 წარწერა ბერძნული ანბანის გამოყენების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს ინახავს.

2 კონსტანტინე პირველმა ის გადაიტანა კონსტანტინოპოლში 324 წელს.

საუკეთესოა მისი ბილინგვური (ლათინური და ბერძნული) ვერსია, რომელიც ამოკვეთილია რომის ტაძრის კედლებსა და ავგუსტუსის ტაძრის კედლებზე ანკარაში (თურქეთი).

დროთა განმავლობაში რომში ეპიგრაფიკული ჩანაწერები გამდიდრდა. პოლიტიკური დოკუმენტაცია ქმნიდა რომის ჰეგემონიის დაცვისა და შენარჩუნების ერთ-ერთ იმპერიულ საყრდენს. რესპუბლიკური პერიოდის დიპლომატიურ დოკუმენტებს შორის მოიპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ტექსტი, მაგ., ‘*The Senatusconsultum de Bacchanalibus*’ – კონსულის ედიქტი სენატის ძალაუფლებაზე, შესრულებული ბრინჯაოს ფირფიტაზე. იგი აღმოჩნდა იტალიაში 1640 წელს. ამჟამად ვენაში ინახება ‘*Lex Acilia Repetundarum*’-ისა (123 წ. ჩვ.წ.აღ-მდე) და ‘*Lex Agraria*’-ს (111 წ. ჩვ.წ.აღ-მდე) კანონების XVI საუკუნეში აღმოჩენილი ნაწყვეტები.

ქალაქ ბანტიას (Bantia) ადგილობრივი კანონები ამოკვეთილია ბრინჯაოს ფირფიტაზე, რომელიც მიკვლეულ იქნა 1790 წელს. ერთ მხარეს ლათინური ტექსტია, ხოლო მეორე მხარეს – უგრძელესად ცნობილი ოსკური წარწერა. ორივე თარიღდება გვიანი || საუკუნით ჩვ.წ.აღ-მდე. ‘*The Lex Cornelia de Viginti Quaestoribus*’-ის ნაწილები (ჩვ.წ.-მდე 81 წელი) დაცულია დიდ ბრინჯაოს ფირფიტაზე, რომელიც აღმოჩენილ იქნა რომში. მოგვიანო პერიოდებში აღმონისტრაციული დეკრეტების რაოდენობა გაიზარდა ცენტრალიზებული ავტოკრატიის ზრდასთან ერთად. იმპერიული ხანის ტიპური რომაული ეპიგრაფიკული მასალა შეიცავს სამხედრო ჩანაწერებს, ოფიციალურ ტექსტებს.

უძველესი ძეგლები თურქულ ენაზე, რომლებიც დაწერილია ქვებზე და დათარიღებულია ჩვ.წ.აღ-ის ადრეული VIII საუკუნით, აღმოჩნდა გაცილებით გვიან XIX საუკუნეში სამხრეთ ციმბირსა და ჩრდილოეთ მონდოლეთში, ულან-ბატორის ახლოს. ისინი 1893 წელს გაშიფრა დანიელმა სწავლულმა ვილჰელმ თომსენმა (Wilhelm Thomsen). ტექსტები შეიცავს დაახლოებით ჩვ.წ.აღ-ის VII საუკუნის ცნობებს ცენტრალური აზიის შესახებ.

ეპიგრაფიკული მასალა აღმოჩენილია ჩინურ თურქისტანში,

ტურფანში (Turfan) გვიან XIX საუკუნეში სანსკრიტულ, სოგდიურ (Sogdian), ტოქარულ (Tocharian) და სხვა ენებზე შესრულებულ ტექსტებთან ერთად, რომლებიც ადასტურებს ბუდისტური, მანი-ქეველური, ნესტორიანული, ქრისტიანული რელიგიური საზოგა-დოებების თანაარსებობას.

ჩრდილოეთ ევროპაში ეპიგრაფიკული კულტურა, ძირითადად, ბერძნული სანაპიროს კოლონიებიდან და რომის იმპერიიდან გა-ვრცელდა.

კელტურ-იბერიული წარწერები იშვიათია ესპანეთისა და კელ-ტების მხარეში, გალიასა და ირლანდიაში. ისინი უფრო ხშირად მოკლეა, არ შეიცავს ღირებულ ისტორიულ ინფორმაციას, რომ არაფერი ვთქვათ მათ ლინგვისტურ და ონომასტიკურ შინაარსზე.

რუნიკული წარწერები მიგრაციების ეპოქიდან გვხვდება ვრცელ ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ საფრანგეთიდან გერმანიაზე გავლით დანიამდე და აღმოსავლეთისაკენ პოლონეთის გავლით რუმინე-თამდე, რომელსაც ემატება მოგვიანო პერიოდის უფრო მდიდარი მონაცემები ინგლისიდან და სკანდინავიიდან.

შვეციას აქვს 3000-მდე რუნიკული ძეგლი, ნორვეგიასა და დანიას – 400-400, ისლანდიას – შესამჩნევად ცოტა. ვიკინგებმა დატოვეს თავიანთი რუნიკული მოწოდების ბარათები სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით, პირეოსის ბერძნულ პორტში, შავი ზღვის სანაპიროზე, შოტლანდიაში, გრენლანდიაში და სხვ.

ჩრდილო ამერიკული ეპიგრაფიკის საყურადღებო ნიმუშია კენ-სინგტონის (Kensington) ქვის 90-კილოგრამიანი ფილა, რომელიც აღმოჩინეს მინესოტაში. მასზე ამოკვეთილ რუნიკულ წარწერებს ათარიღებენ 1362 წლით. ისინი სხვადასხვა შინაარსისაა: მიძღვნი-თი, სამახსოვრო, მაგიური, სამგლოვიარო და სხვ.

საქართველო, როგორც უძველესი წერილობითი კულტურის მქონე ქვეყანა, მდიდარ ეპიგრაფიკულ მასალას ფლობს.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ქართული კულტურისა და სალიტერატურო ენის ისტორი-ისათვის, არამედ გამოცემათმცოდნეობისთვისაც. მათ იმთავითვე

მიიქციეს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა განსაკუ-
თრებული ყურადღება. ეს ინტერესი დღესაც არ განელებულა.
მათი მეცნიერული შესწავლის ისტორია ქართველობიური მეც-
ნიერების განვითარების საწყისი ეტაპიდანვე იწყება. როგორც
ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „ზოგჯერ ერთ
სიტყვაძვირ წარნერას უფრო მეტი შეუძლია გვითხრას ხალხის,
ქვეყნის წარსულის შესახებ, ვიდრე სხვა რომელიმე წარატიული
წყაროს ათეულმა ფოლიანტებმა“ (გრიგოლია, 1966: 90).

საქართველოს ტერიტორიაზე დაცულია არა მხოლოდ ქართულ,
არამედ არამეულ, ბერძნულ და სხვა ენებზე შესრულებული წარნე-
რები. ამავე დროს, ქართული წარნერები გვხვდება საქართველოს
ფარგლებს გარეთ: პალესტინაში, ბულგარეთში, თურქეთში, აზერ-
ბაიჯანში, სომხეთში და ა. შ.

ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში გამოყოფენ ოთხ ჯგუფს:
ლაპიდარულს (ქვაზე ამოკვეთილს), მოზაიკურს (სადაც გამოყენე-
ბულია ქვის, შუმის, კერამიკის, ხის ან სხვა ნაირფერი მასალები),
ჭედურს (ლითონზე შესრულებულს) და ფრესკულს (საღებავით
შესრულებულს). მათგან უძველეს ფენას პირველი ჯგუფი განე-
კუთვნება.

შინაარსის თვალსაზრისით, ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებს
შემდეგ ჯგუფებად ყოფენ: საამშენებლო, იურიდიული, მემო-
რიალური, პილიგრიმული. თუმცა ზოგჯერ სხვაგვარ კლასიფი-
კაციასაც ვხვდებით. მაგ., მცხეთის ჯვრის ეპიგრაფიკული ძე-
გლები შინაარსობრივად დაყოფილია საამშენებლო-ქტიტორულ,
მოსახსენებელ, გამოსახულებების განმსაზღვრულ¹ და ხელოსანთა
ნიშნების შემცველ წარნერებად (ქართული ასომთავრული ანბანის
ცალკეული ასოები, რომლებიც ამოკვეთილია ტაძრის მოპირკეთე-
ბის სხვადასხვა ფილაზე).

წარნერები შეიძლება რამდენიმე წარატივს აერთიანებდეს. მაგ.,
მოხისის ღვთაების ეკლესიის წარნერა, რომელსაც X-XI საუკუ-

1 მათგან მოაღწია მხოლოდ ერთმა, დაზიანებული სახით: „ქობულ სტეფანოსი ადრნერსეს ძე“.

ნეებით ათარიღებენ, 4 სხვადასხვა ხასიათის ტექსტს შეიცავს: I ნაწილი საღვთისმეტყველოა, ანუ მეოხებაა ღმრთისადმი; II ნაწილი საამშენებლოა; III სავედრებელი ფორმულაა, ხოლო IV იურიდიული ხასიათისაა (ტაძრის მაშენებლები ეკლესიას სწირავენ ჭალაში მდებარე ვენახს, რათა ტაძარი უზრუნველყონ საზედაშე ღვინით):

„ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისათ)ა, მ(ამი)სა, ძ(ი)სა | და ს(უ)ლ(ი)სა ნ(მიდი)სა, ჩ(უე)ნ, ალმ|აოტისძეთა კ(უირიკ)ე და თ(ევდორ)ე {და} | ბ(ეშ)ქ(ე)ნ ალვაშ|ენეთ ნ(მიდა)ა | ესე ეკ|ლ(ე)ს(ია)ა | ს(აო)ხ(ა) დ ს(უ)ლ(ი)სა | ჩ(უე)ნ(ი)სა ღ(მერთ)ი | არს მ(ო)ნ(ა)მ(ე) | ჩ{უე}ნთა, ე|ს{ე} გ(ლახა)კთა | გუ{ი}ქ{მ}ნ{ი} | ა. პ|ირველ), | ჭ{ა}ლ{ა}ს ვე{ნა}ხი ვ(ი)ყ(ი)დეთ საზედ{ა}შ{ე}დ ამ{ა}ვე ეკლ|ესისათ{უი}ს“ (გელაშვილი, 2016).

იურიდიული შინაარსის ტექსტებში მოცემულია, მაგ., სამამულო მიწისმფლობელობის აღნიშვნა, ტაძრის მშენებლობის დაწყების დადასტურება ქტიტორების მიერ, შენირულების აქტები, საზღვრის აღმნიშვნელი ცნობები და ა. შ. ამგვარ ტექსტებს დიპლომატიკაშიც განიხილავენ, სადაც აერთიანებენ იურიდიულ საბუთებსა და იურიდიული აქტებს, ან ორ მხარეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამადასტურებელ წარწერებს. ქართული სამართლის ადრეული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლებია: ჯვარი თათვარაზისა (V-VI სს.), ჯვარი თათვარაზისა და მარიამისა (V-VI სს.), ჯვარი მარვულოსისა გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრიდან (VII ს.) და სხვ. X საუკუნიდან ეკლესიის კედლებზე გვხვდება ამოკვეთილი იურიდიული აქტები: აღაპები და ფეოდალურ საკუთრებასათან დაკავშირებული აქტები. იურიდიული აქტები ზოგჯერ ჩართულია საამშენებლო წარწერებშიც.

ეკლესია-მონასტრების კედლებზე შესრულებული წარწერები, ძირითადად, მემორიალური და საამშენებლო შინაარსისაა. მემორიალურის ჯგუფში ერთიანდება სასულიერო თუ საერო ხელი-სუფლების წარმომადგენელთა, „მშრომელთა“ (მლოცველთა, შემწირველთა, ეკლესიის მსახურთა, ავადმყოფების შემწეთა და სხვ), ქტიტორთა, ხელოსანთა მოსახსენებელ-სავედრებელი წარწერები.

განსაკუთრებით ხშირია მოსახსენებელი წარწერები, სადაც ავტორები ღმერთს საკუთარ თავს, ან სხვა პირებს ავედრებენ, რომელთაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ეკლესის ცხოვრებაში. ასეთებია, მაგ., ბოლნისის სიონის, პალესტინის, მცხეთისა და სხვა ტაძრებზე შესრულებული წარწერები.

საამშენებლო წარწერები შეიცავს ცნობებს ამა თუ იმ ტაძრის მშენებლობის ვადების, მისი დაწყებისა თუ დამთავრების შესახებ. მაგ., ბოლნისის სიონის მეორე სამშენებლო წარწერა მოგვითხრობს ბოლნისის სიონის მშენებლობის თაობაზე.¹

საამშენებლო წარწერები უმრავლეს შემთხვევაში მოსახსენებელიცაა.

მოსახსენებელი წარწერებია პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, ქართული მონასტრის ნანგრევებზე აღმოჩენილი სამი წარწერა, რომელთაგან უძველესი მ. თამარაშვილმა და ე. მაჭავარიანმა 430-იანი წლებით დაათარიღეს.

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი პალესტინის უდაბნოში, ასევე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში V საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების აღმოჩენის ფაქტს ქართლის სამეფოს ეკონომიკური ძლიერებითა და იმდროინდელი მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში – ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოებში – ქართული კულტურის მესვეურთა და სახელმწიფო მოღვაწეთა გავლენებით ხსნის, რაც მათ უნდა მოეპოვებინათ მაღალი ინტელექტუალური დონისა და კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით. შორეულ ეგვიპტეში ქართული ეპიგრაფიკული მასალის აღმოჩენამ რეალური საფუძველი შექმნა ქართული დამწერლობის V საუკუნეზე ადრე არსებობის დაშვებისათვის, რაც შემდგომმა აღმოჩენებმა დაადასტურა.

გვაქვს შეწირულობების შესახებ ინფორმაციის შემცველი წარწერებიც. მაგ., წყისის კონსტანტის წარწერა, რომელიც 616-

1 წარწერა საკმაოდ დაზიანებულია და მისი ამოკითხვა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. აღნიშნული წარწერის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით არსერთი შეხედულება არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში.

619 წლებით თარიღდება,¹ შეიცავს ცნობას ჯვრის აღმართვისა და ნასყიდი მიწის მცხეთის საყდრისთვის შენირვის შესახებ. წარწერა მოწმობს, რომ მცხეთის ჯვარი, რომლის მშენებლობაც ამ დროს ახალი დამთავრებულია, იმთავითვე საერთო ქართულ სალოცავს წარმოადგენდა.

შენირულების ეპიგრაფიკული ძეგლებიდან მნიშვნელოვანია XI საუკუნის ზემო კრიხის (ამბროლაურის რაიონი) კვირიკე კალატოზის წარწერა ეკლესისათვის 25 დრამის შენირვის შესახებ (ქართული წარწერების კორპუსი, 1980ბ: 85-86); 1046 წლის სავანის ეკლესის საურმაგ აქუნისძის წარწერა ეკლესისათვის აღკაზმულობის შენირვის შესახებ (იქვე, 60-61); XI საუკუნის უბისის ტაძრის სტეფანეს წარწერა.

ეკლესისათვის ქვის შენირვის ფაქტი დასტურდება ჯავახეთის წარწერებში. მაგ., ზველის წმიდა გიორგის ეკლესისადმი: „ესე ეკ(ლესია) წ(მიდის)ა გ(იორგის)ი, ესე ქვარ ე(კ)ლ(ესი)ას (შე) ვ(წ)ი(რენ) გ(ი)რ(შ)ელ(ის) ძემან“ და. ა. შ. ეკლესისადმი ჯვრის შენირვის ცნობილი ფაქტი გვაქვს არეშის წარწერაში: „ძემ(ა)ნ გ(უ)რგ(ე)ნ კურაპალა[ტი]სამ(ა)ნ [შ](ე)ნ(ი)რა არ(ე)შტი ს(ა)ყდ(ა)რსა [კუმ]რდ(ო)ესა სად[ი]დ(ე)ბლ(ა)დ ღმრთ(ი)სა“.²

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ტერიტორიაზე გხევდება ისტორიული, ლიტერატურული და სხვა შინაარსის შემცველი ძეგლებიც.

ისტორიული ცნობების შემცველი წარწერები დასტურდება საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

VII საუკუნის I ნახევარში აშენებული ატენის სიონის 853 წლის წარწერა შეიცავს ცნობას ბულა თურქის მიერ თბილისის გადაწვის, ასევე მისი ერთ-ერთი სარდლის ზირაქისაგან კახასა და მისი ვაჟის, თარზუჯის, შეპყრობის შესახებ. ტაძრის ინტერიერში ნუსხური შრიფტით ამოკვეთილი ერთსტრიქონიანი წარწერა გვამცნობს, რომ მეფე ბაგრატ I-ს (937-945წ.) მიქაელ ბალვა-

1 იგი უძველესი თარიღიანი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია.

2 ახალაძე: <http://dl.sangu.edu.ge/pdf/qapvols/qap-v1-5.pdf>

შისთვის 940 წელს სიგელით მიუცია ატენის ქვეყანა, რომლის ბრძანებითა და მატერიალური შემწეობით, 945 წელს ზღუდე აუშენებიათ ატენის სიონისთვის. ტაძრის დასავლეთის ფასადზე შემორჩენილია მეფეების – ბაგრატ IV-ის (1027-1072), დავით IV-ისა (1089-1125) და დემეტრე I-ის (1125-1156) წარწერები. მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ეს წარწერები თავად მეფეებს უნდა ამოკვეთათ.

სტელა წალკის მუნიციპალიტეტის გუნია-ყალიდან, რომელიც XIII საუკუნის დამდეგით თარიღდება, ინახავს მეფე ლაშა-გიორგისა და სამეფო კარის სავაზიროს დადგენილებას მიწის საუფლისწულო მფლობელობის შესახებ.

ისტორიული წარწერებით განსაკუთრებით მდიდარია ჯავახეთის მხარე. აქ დაცულ წარწერებში მოცემულია ინფორმაცია ძველი საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის შესახებ, მეფეებიდან დაწყებული, უბრალო ხალხით დამთავრებული. დასახელებულნი არიან უმაღლესი საერო და სასულიერო პირები: ბაგრატ IV, გიორგი III, თამარი, ლაშა-გიორგი, დავით ულუ VII, გურგენ კურაპალატი, ავაგ ამირსპასალარი, შალვა და ივანე ახალციხელები, ანტონ ჭყონდიდელი, კათალიკოსი იოანე ოქროპირი, ივანე ათაბაგი, ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი, ბასილი აკანელი, გიორგი საფარელი, და სხვ.

ისტორიულ-წყაროთმცოდნებითი შინაარსით გამოიჩინა არეშისა და ხუნამისის ქვაჯვრების წარწერები. ამათგან პირველი ადასტურებს კუმურდოს ტაძრის ადგილზე, 964 წლამდე გაცილებით ადრე, მაშინდელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სალოცავის არსებობის ფაქტს. წარწერა გარკვეულ ცნობებს ინახავს X საუკუნის ჯავახეთის მფლობელთა ვინაობის დადგენისათვის (ცისკარიშვილი, 1959: 8-9), ასევე IX საუკუნის საქართველოს ონომასტიკისა და ტოპონიმიკის საკულევად.

ქართულ ლაპიდარულ წარწერებში გვაქვს მეფეთა, ადგილობრივ მსხვილ ფეოდალთა, ერისთავთ-ერისთავთა საქმიანობის ამსახველი ცნობები. ამ მხრივ გამოიჩინა ახალქალაქის, წუნ-

დის, ვანის, მირაშენის, ვარნეთის, ზედა ვარძიის, ზედა თმოგვის, კვარშას, კუმურდოს, წუნდის, მერედისის და ა. შ. წარწერები. მაგ., მირაშენის წარწერა გადმოგვცემს სულთან ალფა-არსლანის შემოსევისას ფარსმან ერისთავთ-ერისთავის გმირობისა და ტრაგიკული დაღუპვის ამბავს. იჩქით გურგენისძის სამი წარწერა ადასტურებს, რომ წუნდა-თმოგვის მიდამოებს XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დამდეგს ძლიერი ფეოდალური საგვარეულო ოჯახი – გურგენისძები ფლობდნენ.

ჯავახეთის წარწერები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტების შესახებაც. აქ დასახელებულია უხუცესთა საგამგეო უწყების წევრი – გალატოზთუხუცესი (sic), გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობისა პარატის, სავაზიროს, წევრები – მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. XIV საუკუნის ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიაში ჩნდება მოლარეთუხუცესის სახელი, ხოლო XV-XVI საუკუნეებიდან – ახალი ინსტიტუტი – გამგებელი.

მცხეთის ჯვრის წარწერები ადასტურებს ქართლის სამეფოს ბიზანტიის კარზე დამოკიდებულებას. დადასტურებულია ბერძნული სოციალური ტერმინები: ვიპატოსი, პატრიკიოსი.

ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის მნიშვნელობის მქონეა 1940 წელს არმაზის ხევში აღმოჩენილი ორენოვანი ეპიტაფია, შესრულებული ბაზალტის სტელაზე ბერძნულ და არამეცულ ენებზე I-II საუკუნეებში. წარწერამ ამ პერიოდის საქართველოს ბევრი პოლიტიკური და კულტურული საკითხი გააშუქა, კერძოდ, ნათელი მოპფინა ამ დროს იბერიის მეფის ტიტულის მქონე ხელმწიფის მიერ სახელმწიფოს მართვისა და ქართლის სამეფო კარზე პიტიახშებისა (დიდისა და მცირის) და ეზოსმოძღვრის ინსტიტუტების არსებობის ფაქტებს.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ საზღვრებს, ბოლო დროის აღმოჩენებმა საქართველოს ტერიტორიაზე ეპიგრაფიკული ძეგლების დადასტურების ფაქტები წინაქრისტიანულ ეპოქაში გადაწია, რაც მოწმობს წარმართულ ეპოქაში ტექსტური ინფორმაციის

გადაცემის არსებობას. ეს ფაქტი უმნიშვნელოვანესია ქართული წერილობითი კულტურის ისტორიისათვის.

კერძოდ, ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ათ წარწერას ლევან ჭილაშვილი რუსთავში აღმოჩენილ ოთხ წარწერასთან ერთად წინაქრისტიანულ ხანას მიაკუთვნებს – ძვ.წ.-ის ბოლო საუკუნეებიდან ახ.წ.-ის IV ს-მდე. როგორც მეცნიერი მიუთთებს, „ნეკრესისა და რუსთავის წარწერებმა ქართული ანბანის შექმნის ისტორია შვიდი-რვა საუკუნით მაინც დააძველა და მართალია არასრულად, მაგრამ საკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენა მისი ორიგინალური სახე, განვითარების ეტაპები“ (ჭილაშვილი, 2004: 127). ნეკრესსა და რუსთავში აღმოჩენილი წარწერების ერთი ნაწილი წარმართობის პერიოდში შექმნილი ანბანითაა შესრულებული (ნინიძე, 2016: 84-92).

1950 და 1951 წლებში რუსთავის ნაქალაქარზე აღმოჩნდა სამი წარწერიანი ქვა, რომლებიც საფლავის ქვებად მიიჩნიეს. 1982 წელს მეოთხე წარწერასაც მიაკვლიეს, ასევე საფლავის ქვას. გიორგი ლომთათიძემ (1957) ეს წარწერები XI-XIII საუკუნეებით, ხოლო ლევან ჭილაშვილმა (1958) X-XI საუკუნეებით დაათარიღა. შემდეგ ამ უკანასკნელმა აზრი შეიცვალა და წარწერები ადრექრისტიანულ ეპოქაში შექმნილად მიიჩნია. ამაში მას დაეხმარა ნეკრესის ახლად აღმოჩენილი წარწერები და თავად რუსთავის ნაქალაქარზე ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა. ამის საფუძველზე მან რუსთავის წარწერების თარიღად II-IV საუკუნეები განსაზღვრა.

ტექსტური ინფორმაციის გადაცემის ეპიგრაფიკული მედია მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ადრეული პერიოდიდანვე მოექცა. ძველი ბერძენი ისტორიკოსები, თუკიდიდე და პოლიბიუსი, ეპიგრაფიკულ მასალას უკვე სამეცნიერო მიზნებისთვის იყენებდნენ. პირველად მათ ყურადღება მიაქციეს ეგვიპტურ და სხვა უძველესი ცივილიზაციის წარწერებს და დაიწყეს მეთოდოლოგიის შემუშავება მათ შესასწავლად. მოგვიანო პერიოდის ევროპელი სწავლულები რენესანსის დროს დაინტერესდნენ ბერძნული და ლათინური წარწერებით.

კოლა დი რიენცომ (Cola di Rienzo) XIV საუკუნეში შექმნა

წარწერების კოლექცია. ბიზანტიის ეპისკოპოსი კირიაკუს I (Cyriacus) XV საუკუნეში იყო ცნობილი ჩამწერი, რომელიც საბერძნეთში, ანატოლიასა და ეგვიპტეში მოგზაურობების დროს უძველეს წერილობით ძეგლებს იწერდა. მისმა მასალამ საფუძველი მოამზადა მომდევნო საუკუნეებში შექმნილი სხვადასხვა კომპილაციისთვის. მასალის პუბლიკაციის კონკურენტული ტიპოლოგიური მეთოდი შემოიღო მარტინ სმეტიუსმა (Martin Smetius) ლეიდენში გვიან XVI საუკუნეში, რასაც ადრეულ XVII საუკუნეში იანუს გრუტერისა (Janus Gruter) და ჯოზეფ სკალიგერის (Joseph Justus Scaliger) კოლექცია მოჰყვა.

ინდოეთში ეპიგრაფიკული მასალის სისტემური კვლევა XVIII საუკუნეში დაიწყეს.

XVIII საუკუნისა და ადრეული XIX საუკუნის განმავლობაში ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ეპიგრაფიკული მასალის უხვი გამოცემების შემდეგ, 1815 წელს, ავგუსტ ბიოკის (August Böckh) ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ბერძნული წარწერების პირველ სამეცნიერო გამოცემას ‘*Corpus Inscriptionum Graecarum*’-ის სახელწოდებით. გამოიცა 4 ტომი საძიებლებით (1828-1877). გერმანელმა სწავლულმა ულრიჰ ფონ ვილამოვიც-მელენდორფმა (Ulrich von Wilamowitz-Moellendorff) (1848-1931) 1902 წელს ითავა აკადემიური პროექტის ‘*Inscriptiones Graecae*’-ის განხორციელება, რომელიც გაგრძელდა იმ ისტორიული პერიოდიდან, სადაც ‘*Corpus Inscriptionum Graecarum*’ შეჩერდა და მან მოიცვა პროექტი ‘*Corpus Inscriptionum Atticarum*’.

ანატოლიის წარწერების გამოქვეყნება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო 1928 წლიდან და არაერთი ტომი გამოსცა. დიდ გამოცემებად მიიჩნევა ‘*Inscriptions von Olympia*,’ ‘*Inscriptiones Antiquae Orae Septentrionalis Ponti Euxini Graecae et Latinae*,’ ‘*Inscriptiones Graecae in Bulgaria Repertae*,’ ‘*Inscriptions de Délos*,’ ‘M. Guarducci’s *Inscriptiones Creticae*’ და სხვ.

შემდგომი ნაკადი ახალი მასალისა წარმოდგენილია ისეთ წლიურ გამოცემებში, როგორიცაა ‘*Supplementum Epigraphicum*

Graecum', 'Bulletin épigraphique' da 'La Revue des Etudes Grecques'.

არსებობს სხვა დიდი წამონაცემებიც, რომლებიც წარმოადგენს 'The Inscriptiones Graecae'-ის დამატებებს, მაგ., 'The Athenian Tribute Lists' da 'Inscriptions grecques et latines de la Syrie' 6 ტომად (1929-1967 წწ.). არის აგრეთვე უამრავი უფრო ლოკალიზებული თუ სპეციალიზებული კოლექციები.

თეოდორე მომსემ (Theodore Mommse) 1862 წელს ბერლინში დააარსა გამოცემა 'Corpus Inscriptio Latinarum', რომელიც შედგება 16 ტომისაგან (უხვი დანართებითურთ), მოიცავს კლასიკურ ლათინურ სამყაროს და მნიშვნელოვანია თავისი სისტემატიზაციით. მიმდინარე აღმოჩენები და კვლევები წარმოდგენილია 'L'année épigraphique'-ში 1888 წლიდან. ეტრუსკული წარწერები წაკლებად სრულყოფილად არის გამოქვეყნებული 'Corpus Inscriptionum Etruscarum'-ში. ბევრი მნიშვნელოვანი მოგვიანო აღმოჩენა ჩართულია იტალიელი არქეოლოგის, მასიმო პალოტინოს (Massimo Pallottino), 'Linguae Etruscae'-ის გამოცემაში და მ. ფაულერისა (M. Fowler) და რ. ვოლფის (R. Wolfe) გამოცემაში 'Materials for the Study of the Etruscan Language' (1955, ელექტრონული კორპუსი). რომაული სამყარო მოცემულია ე. დილის (E. Diehl) 'Inscriptiones Latinae Christianae Veteres'-ში, მ. ვერმასერენის (M. J. Vermaseren) 'Corpus Inscriptionum et Monumentorum Religionis Mithriacae'-სა და 'Inscriptiones Italiae'-ში.

რ. მაკალისტრერმა (R. A. S. Macalister) 'Corpus Inscriptionum Insularum Celticarum' -ში (1945-1949 წწ.) შეკრიბა ადრეული ტექსტები ირლანდიდან და სხვა ქვეყნებიდან. კრებულის – 'The Corpus Inscriptionum Semiticarum'; რომელიც გამოდიოდა პარიზში 1881 წლიდან, ცალკეული ტომები მოიცავს ფინიკიურ, არამეულ და სხვა ენათა არეალებს. ურარტული ტექსტები შეკრიბა ლემან-ჰაუპტმა (C.F. Lehmann-Haupt) 'Corpus Inscriptionum Chaldaicarum'-ში (1928-1935); უფრო ადრე აღმოჩენილი ხეთური იეროგლიფური ტექსტები გამოსცა ლ. მესერშმიდტმა (L. Messerschmidt) 'The antiquated Corpus Inscriptionum Hettiticarum'-ში. 'The Corpus Inscriptionum Iranicarum', რომლის მიზანიც არის, თავი მოუყაროს ირანისა და ცენტრალუ-

რი აზიის ეპიგრაფიკულ ძეგლებს, ლონდონში გამოიცემა 1955 წლიდან. 'The Corpus Inscriptionum Indicarum' გამოქვეყნდა 4 ტომად 1870-იანი წლებიდან, რომელთაც ერთვის ტომები 'Epigraphia Indica and South Indian Inscriptions.' ხეთური ტექსტები, ძირითადად, გამოცემულია ორ დიდ სერიაში: 'Keilschrifttexte aus Boghazköi' (გერმანიის აღმოსავლური საზოგადოება) და 'Keilschrifturkunden aus Boghazköi' (ბერლინის აკადემია).

ეპიგრაფიკული მასალა გამოქვეყნებულია აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების შესახებ მოხსენებითი ხასიათის გამოცემებში და არქეოლოგიური მასალისა და ანტიკური თემების ანალიზზე ორიენტირებულ პერიოდულ გამოცემებში, როგორებიცაა: 'Hesperia, Journal of Hellenic Studies,' 'Bulletin de correspondance hellénique,' 'Archeologia classica,' 'Studi Etruschi,' 'Syria' და სხვ. სპეციალური ეპიგრაფიკული სერიული პუბლიკაციებია 'Epigraphica' (მილანი, 1939 წლიდან), 'Kadmos' (ბერლინი, 1962 წლიდან), 'Zeitschrift für Papyrologie und Epigraphik' (ბონი, 1967 წლიდან) 'Chiron' (მიუნხენი, 1971 წლიდან) და სხვ.

ქართული ეპიგრაფიკული მასალის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ივ. ჯავახიშვილმა, დ. ბაქრაძემ, ა. ცაგარელმა, ე. თაყაიშვილმა, თ. უორდანიამ, მ. ჯანაშვილმა, ნ. მარმა, ი. აბულაძემ, კ. დანელიამ, ზ. სარჯველაძემ, ე. მეტრეველმა, ფ. დიუბუამ, მ. ბროსემ და სხვებმა.

წარწერებს შორის მეცნიერული კვლევის სფეროში ერთ-ერთი პირველი ბოლნისის სიონის წარწერები მოექცა. მათგან პირველად ფარნევანისა და აზარუხტის წარწერა გამოქვეყნდა. იგი გამოსცა მარი ბროსემ 1838 წელს, რაც იყო ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული პუბლიკაცია. დავით ეპისკოპოსის წარწერის ტექსტი არაერთხელაა გამოქვეყნებული. მათ შორის, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ლათინურ ენებზეც. ამ ორ წარწერასთან შედარებით, ასი წლით ნაკლები შესწავლის ისტორია აქვს საამშენებლო წარწერას, თუმცა გამოცემების რაოდენობით პირველს (დავით ეპისკოპოსის წარწერას) უტოლდება,

ხოლო ფარნეგანისა და აზარუხტის წარწერას აჭარბებს. დაბეჭ-დილია რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ლათინურ ენებზეც. პირველად იგი ლ. მუსხელიშვილმა გამოსცა 1938 წელს, რასაც მოჰყვა აკ. შანიძის პუბლიკაცია.¹

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ქვეყნდებოდა ეპიგრაფიკული ძეგლების კრიტიკული გამოცემები. 1980 წელს ტომეულების სახით დაიბეჭდა ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. პირველ ტომში შევიდა აღმოსავლეთ და სამხრეთ, ხოლო მეორე ტომში – დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლები.

ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური ტექსტების გამოცემის პირველი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ლაიდენის კონვენ-ციის სახელით არის ცნობილი, 1931 წელს შეიქმნა. 2000 წლიდან ჩრდილოეთ კარილინის უნივერსიტეტში შემუშავდა საერთო რეკო-მენდაციები ეპიგრაფიკული ძეგლების TEI-ს (Text Encoding Initiative) სტანდარტის მიხედვით XML-ის (Extensible Markup Language) ფორმატით გამოცემისათვის. რეკომენდაციების ერთობლიობას დღეს EpiDoc-ის სახელით მოიხსენიებენ. მის განვითარებაში ჩარ-თულნი არიან ლონდონის კინგს კოლეჯის, ლაიფციგის უნივერ-სიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულების მკვლევარები. დღეისათვის მოქმედებს EpiDoc-ის მერვე რედაქცია.

2000 წელს არმაზის პროექტის ფარგლებში ციფრული სახით გამოიცა ძველი ქართული წარწერები (პროექტის ხელმძღვანელი – პროფ. მანანა თანდაშვილი),² რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაი-დგა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ელექტრონულ აკადე-მიურ ფორმატში გადატანისთვის. გამოცემის მნიშვნელობას გან-საზღვრავს ის ფაქტიც, რომ ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია თითოეული ძეგლის დიპლომატური და აკადემიური გამოცემები.

2015 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართვე-ლოს ეროვნულ მუზეუმთან აქტიური თანამშრომლობით, ახორ-

1 მის მიერ დადგენილი ტექსტი საფუძლად დაედო შემდგომ გამოცემებს, თუმცა არაერთი კრიტიკული შენიშვნაც გამოითვა.

2 <http://armazi.uni-frankfurt.de/armazill/enebi/kartuli/damcerloba/carc.html#urbnisi>

ციელებს პროექტს „საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი“ (ხელმძღვანელი – პროფ. ნ. დობორჯგინიძე), რომლის მიზანიც არის საქართველოში აღმოჩენილი თუ დაცული ეპიგრაფიკული მემკვიდრეობის დოკუმენტირება ლაიდენის კონვენციის ციფრული მემკვიდრის, EpiDoc-ის, მიხედვით. ამ ეტაპზე კორპუსში უკვე გადატანილია I-X საუკუნეების ქართული, არამეული და ბერძნული წარწერები. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში დაცული უძველესი პერიოდის ურარტული, არამეული, ბერძნული, ებრაული, არაბული, სპარსული და სომხური წარწერების კორპუსის მომზადებასაც აღნიშნული სტანდარტით.

მოცემულ გამოცემაში მომხმარებელს საშუალება აქვს, ნების-მიერი წარწერა, რომელიც ამ დროისთვის ელექტრონულ ფორმატშია გადატანილი, მოძებნოს ადგილის, თარიღის, ტექსტის კატეგორიისა და მონუმენტის ტიპის მიხედვით, ასევე იხილოს ყველა წარწერის ჩამონათვალი. გარდა ამისა, სარჩევი იძლევა წარწერის ანბანური ძებნის შესაძლებლობასაც. არმაზის პროექტის მსგავსად, აღნიშნული პროექტი ერთმანეთის გვერდით წარმოგვიდგენს თითოეული ძეგლის კრიტიკულ და დიპლომატურ გამოცემებს და, ამავე დროს, ამატებს XML ფორმატსაც. თითეული წარწერას ახლავს მდიდარი კრიტიკული აპარატი, რაც მოიცავს ობიექტის აღწერას, მონუმენტის ტიპის დასახელებას, წარწერის ზედაპირის აღწერას, მისი ფართობის დასახელებას, ხელის აღწერას, ინფორმაციას გრაფემების სიმაღლისა და სიგანის, წარწერის დათარიღების (როცა ძეგლი უთარილოა), ძეგლის პოვნის ადგილისა და თარიღის, დაცულობის ადგილის, შიფრის, პასუხისმგებელი ორგანიზაციის შესახებ, ასევე კომენტარებს, თარგმანებს, ბიბლიოგრაფიას.

გ2. ხელნაწერი ტრადიცია

კაცობრიობის ინტელექტუალური ცნობიერების ზრდის პარალელურად, ვითარდებოდა და იხვეწებოდა ტექსტური ინფორმაციის გადაცემის მიზნები და, შესაბამისად, საშუალებები. ლიტერატურულმა, მეცნიერულმა თუ რელიგიურმა მიზნებმა ბუნებრივად წარმოშვა ამ კუთხით დაგროვილი ცოდნის გადაცემა-გავრცელების საჭიროება, რამაც საფუძველი ჩაიყარა ხელნაწერ ტრადიციას. თავის მხრივ, ხელნაწერებმა – ხელით ნაწერმა ტექსტებმა, როგორც წერის ერთ-ერთმა ყველაზე ფართოდ გავრცელებულმა გამოვლინებამ, ათასობით წლის განმავლობაში ფუნდამენტური გავლენა მოახდინა ამა თუ იმ ქვეყნის მწერლობის, კულტურისა თუ ხელოვნების განვითარებაზე. ხელნაწერის ფართო და ხანგრძლივმა გამოყენებამ ხელი შეუწყო მისი წარმოების, ფუნქციების, შესაბამის სოციალურ და კულტურულ გარემოში მისი ჩართვის განვითარებას.

ცხადია, ეპიგრაფიკული ტრადიცია გაგრძელდა ხელნაწერი ტრადიციის არსებობის პირობებშიც, მაგრამ არა ისეთივე მასშტაბებით. ინფორმაციის გავრცელების სტატიკური ფორმიდან დინამიკურ ფორმაზე გადასვლამ ბუნებრივად გაზარდა მკითხველი აუდიტორია. ის დაიხვეწა ინტელექტუალურადაც და ვეღარ აკმაყოფილებდა არსებული მედიის სტატიკური ფორმა და თემატური ჩარჩოები.

ხელნაწერი ტრადიცია, ეპიგრაფიკული ძეგლების მსგავსად, სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის კვლევის საგანია: პირველ რიგში, ხელნაწერთმცოდნეობის, კოდიკოლოგიის, ტექსტოლოგიის, წყაროთმცოდნეობის და სხვ. ის აინტერესებს წებისმიერ სამეცნიერო დარგს, რომელიც სწავლობს ტექსტურ მასალას.

გამოცემათმცოდნეობის კვლევის არეალში ის რამდენიმე მიმართულებით შემოდის:

როგორც ტექსტური ინფორმაციის გავრცელების საშუალება, მედია (მსგავსად ეპიგრაფიკული მასალისა), და როგორც წყარო გამოცემის პრაქტიკის შესასწავლად (გამოცემის ისტორიის ნაწილი); როგორც წყარო რედაქტორისა და გადამწერის საქმიანობის შესასწავლად (გამოცემის თეორიის ნაწილი).

ეპიგრაფიკული ტრადიციისგან განსხვავებით, ხელნაწერი ტრადიცია, მისი დინამიკური ხასიათიდან გამომდინარე, გულისხმობდა მის გადაცემასაც. ეს კი ამ კულტურის შემქმნელებსა და მის განმავითარებლებს მისი წარმოების, ანუ გამოცემის ამოცანებს უყენებდა. რედაქტორის ინსტიტუტი სწორედ ამ ტრადიციის წიაღში ჩამოყალიბდა. ამდენად, გამოცემათმცოდნეობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩანასახი ხელნაწერ ტრადიციაში აღმოცენდა.

ხელნაწერების თემას სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში ვეხებით. წინამდებარე თავში წარმოვადგენთ მათ თვისობრივ დახსასიათებასა და მათთან დაკავშირებული კვლევების სპეციფიკას (როგორც ეს ეპიგრაფიკული ძეგლების შემთხვევაში გავაკეთეთ), ასევე – რედაქტორისა და გადამწერის საქმიანობას გაპრიელ მცირის მოღვაწეობის მაგალითზე. სხვა (VIII) თავში მათზე ვსაუბრობთ გამოცემის პრაქტიკებთან დაკავშირებითაც.

ხელნაწერები, როგორც კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის ძეგლები, წარმოადგენს პირველად წყაროს, ყველაზე ავთენტურ მოწმეს ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის შესასწავლად. თვისებებით ისინი კომპლექსური და მრავალწახნაგოვანია, რაც მოიცავს მათ ნივთიერ სახეს, ფორმას, ლირებულებასა და გამოყენებას. დაკვირვებითი შესწავლა ამ ატრიბუტებისა ამდიდრებს ჩვენს გაგებას მათი შექმნის, საზოგადოებრივი მოხმარების, ფუნქციისა თუ გავრცელების შესახებ.

დღეს ინფორმაციის ჩანერა და გავრცელება სწრაფი და მარტივია, მაგრამ შუა საუკუნეებში ეს პროცესი ნელი და შრომატევადი იყო. ის სრულდებოდა ხელით, ძირითადად, ბერების მიერ. ხშირად ისინი შორეულ მონასტრებში მოგზაურობდნენ, რათა ახლოს გასცნობოდნენ მათ წერილობით კულტურას და იქ გადანუსაული ტექსტები თავიანთი მონასტრის ბიბლიოთეკაში წაეღოთ.

ბევრი გადამწერი უთვალავ საათს ხარჯავდა ნუსხის გაკეთებასა და თავისი სამუშაოს შემოწმებაში, რომ უზრუნველეყო აკურატული ტექსტი. ჩვენ არ მოგვეპოვება საკმარისი ინფორმაცია ორიგინალების შესახებ, მაგრამ მოგვიანო პერიოდის გადამწერები თავიანთ

ხელნაწერებს ზოგჯერ ასეთი შინაარსის მინაწერებს ურთავდნენ: „ის, ვინც არ იცის, როგორ უნდა წერა, ვარაუდობს, რომ ეს შრომა არ არის, მაგრამ, თუმცა სამი თითი წერს, მთელი სხეული მუშაობს“. ერთი ამერიკელი გადამწერი სახარების შემცველი ხელნაწერის მინაწერში აღნიშნავს: „ძლიერი თოვა ინტენსიური გახდა და მელანი გაიყინა, ჩემი ხელი დაბუუდა და კალამი გამივარდა ხელიდან.“ ქართულ ხელნაწერებშიც უხვად გვაქვს მინაწერები, რომლებიც ასახავს გადამწერის შრომას, მაგ.: „მე, გლახაკამან მიქაელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთ-შემოსილისა მამისა დავითისმან ვიღუანე და ყოვლით კერძო შრომად ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულს-მოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირი ესე“ (მიქაელ მოდრეკილის იადგარი, S-425).

შუა საუკუნეების პერიოდის არაერთი ბიბლიოთეკა ცეცხლისა თუ სხვა უბედური შემთხვევების გამო განადგურდა, როს გამოც მედიის ამ სამუალების მხოლოდ ნანილი შემორჩა აღნიშნული ეპოქიდან. დიოკლეტიანემ, რომაელმა იმპერატორმა (მმართველობის წლები: 284-305), მაგ., ბრძანება გასცა, დაენგრიათ ეკლესის შენობები და გაენადგურებინათ ქრისტიანული სალვოთ წიგნები. ეკლესიების დევნა მანამდეც არ იყო უცხო და ის გაგრძელდა ამ დროის შემდეგაც, მაგრამ დიოკლეტიანეს ქმედებამ ღრმა კვალი დატოვა არა მხოლოდ ეკლესის, არამედ ახალი აღთქმის ტექსტის ისტორიაზეც.

ბერძნული განადგურებული ხელნაწერების კვალი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ენების თარგმანებში. შესაბამისად, თარგმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექსტის კრიტიკისთვის. ქრისტიანული კულტურის შესწავლის საქმეში განსაკუთრებით ფასეულია აღმოსავლეთის ქვეყნების ხელნაწერთა კოლექციები. სწორედ ხელნაწერების სახით მოაღწია ჩვენამდე ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებმა, რომლებიც ხელიდან ხელში გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათ მიმართ განსაკუთრებულმა ინტერესმა უდიდესი როლი ითამაშა ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის დარგების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამის გათვალისწინებით, საგანგებოდ შევჩერდებით ბიბლიის ხელნაწერებზე.

ახალი აღთქმის ხელნაწერები. მსოფლიოს მეცნიერთა გაცხოვე-ლებულ ყურადღებას იპყრობს ახალი აღთქმის ხელნაწერები. პირ-ველად დოკუმენტებს ამ მხრივ წარმოადგენს ბერძნული ხელნაწე-რები, რომელთაც ქრონოლოგიურად 4 ძირითად ჯგუფად ყოფილია: პაპირუსებად, უნციალებად, მინუსკულებად და ლექციონარებად.

1. პაპირუსის ხელნაწერები ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი აღთქმის ტექსტის აღსადგენად. როგორც კომფორტმა (Comfort) და ბარეტმა (Barret) (2001) მიუთითეს, ისინი არის უადრესი, „პირ-დაპირი მოწმები ახალი აღთქმის ავტოგრაფებისა“, თუმცა ეს საკითხი კიდევ არ არის ბოლომდე ნათელი. კვლავ გასარკვევია, ახალი აღთქმის ორიგინალური ტექსტი პაპირუსზე იყო დაწერი-ლი, პერგამენტზე, თუ ორივეზე.

თავის მხრივ, პაპირუსზე აღბეჭდილი უძველესი ხელნაწერე-ბი იყოფა სამ მთავარ ჯგუფად: ა) ოქსირინჩუსის (Oxyrhynchus), ბ) ჩესტერ ბითის / მიჩიგანის (Chester Beatty / Michigan) და გ) ბოდ-მერის (Martin Bodmer) პაპირუსებად.

ა) ოქსირინჩუსში, ეგვიპტეში, 1897 წელს ათასობით პაპირუ-სის ფრაგმენტი იპოვნეს ძველ ნაგავსაყრელზე, სადაც მოგზაუ-რობდნენ არქეოლოგები – ბერნარდ გრენფელი (Bernard Grenfell) და ართურ ჰანტი (Arthur Hunt). მნიშვნელოვანი ნაწილი საერო ხასიათის იყო და შეიცავდა ბიზნეს კონტრაქტებს, წერილებს, მაღალი ხარისხის კლასიკურ ლიტერატურას, მაგ., პომეროსისა და პინდარეს (Pindar) ლიტერატურულ ნაწარმოებებს. დაახლოე-ბით 46 ხელნაწერში კი ახალი აღთქმის ნაწილები იყო დაცული.

ბ) ჩესტერ ბითი, სამთო მრეწველობის ინჟინერი, ბრიტანეთში მცხოვრები ამერიკელი იყო. მან ეგვიპტელი გადამყიდველისგან 1934 წელს იყიდა ბიბლიის პაპირუსები (როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის), რომელებიც ადრეულ 1930-იან წლებში ეგვიპ-ტეში აღმოჩნდა. ამ პაპირუსების ზოგიერთი ფურცელი მიჩიგანის უნივერსიტეტმა შეიძინა. კოლექციაში სამი ძალიან ადრეულია და შეიცავს ახალი აღთქმის მოზრდილ ნაწილს.

მთლიანობაში აქ არის ბერძნული ძველი აღთქმის ნაწილების შემ-

ცველი 8 ხელნაწერი. ყველა მათგანი თარიღდება ჩვ.წ.აღ-ით:¹ ორი ხელნაწერი შესაქმისაა, ერთი III საუკუნისა, მეორე – IV საუკუნისა; ერთი ხელნაწერი არის რიცხუთა და ქრისტიანული ძველი აღთქმის მე-5 წიგნი (II ს.), თითო – ეზეკიელი, ესთერი, დანიელი და ესაია (ყველა III ს.), ერთი – იერემია (გვიანი II ს.), ერთიც – ეკლესიასტე (IV ს.).

ბერძნული ახალი აღთქმის ხელნაწერები ამ კოლექციაში შემდეგია:

ოთხი სახარების ერთი კოდექსი P⁴⁵ – (გვიანი II ს., ან ადრეული III ს.); პავლეს ეპისტოლეების ერთი კოდექსი P⁴⁶ (გვიანი პირველი, ან ადრეული II, ან III ს.); აპოკალიფსის უძველესი ცნობილი ტექსტი P⁴⁷ (III ს.). ისინი დღეს ინახება ჩესტერ ბითის ბიბლიოთეკაში, დუბლინში (ირლანდია).

გ) მარტინ ბოდმერი იყო შვეიცარიელი ბიბლიოფილი და ჰუმანისტი, რომელმაც 2003 წელს დააარსა მსოფლიო ლიტერატურის ბოდმერის ბიბლიოთეკა უენევის გარეუბან კოლონიში (Cologny). მან მსოფლიოს საუკეთესო წიგნებისა და ადრეული ნაწერების შეგროვება 16 წლის ასაკში დაიწყო. პაპირუსები, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ეგვიპტეში, კერძოდ, ჯაბალ აბუ მანნაში (Jabal Abu Manna), შეიძინა 1952 წელს. ამ კოლექციაში ერთი პაპირუსი თარიღდება II საუკუნით, სხვები კი – გვიანი III, ან ადრეული IV საუკუნით. ბოდმერის კოლექციის დაახლოებით 160.000 ერთეულიდან ერთი გუტენბერგის ბიბლიის ასლიც არის.

მთლიანობაში, ამ კოლექციაში შედის:

იოანეს სახარების მოზრდილი ნაწილი P⁶⁶ (150-200 წლები); ეს ხელნაწერი ერთი საუკუნით ჩამორჩება ავტოგრაფის შექმნის დროს; პეტრეს 1-ლი, მე-2 ეპისტოლეები და ეპრაელთა მიმართ ეპისტოლე სრულად P⁷² (III ს.); მათეს სახარება P⁷³ (VII ს.); ლუკასა და იოანეს სახარებები P⁷⁵ (175-225 წლები) და სხვ.

ახალი აღთქმის ხელნაწერები, ძირითადად, შესრულებულია თხელ პერგამენტზე – გასანთლულ ქაღალდზე, სხვაგვარად, ველენის ქაღალდზე და ჩვეულებრივ პერგამენტზე.

1 ესენი გადაწერის თარიღებია და არა ორიგინალის შექმნისა.

2. უნციალურს (Uncials) უნოდებენ მთლიანად კაპიტალური (Majuscule) ასოებით დაწერილ ხელნაწერებს. ამგვარი წერა გა-ბატონებული იყო IV-X საუკუნეებში. უნციალური ხელნაწერები, განსაკუთრებით უძველესი ეგზემპლარები, წარმოადგენს ახალი აღთქმის ტექსტური მოწმეების ყველაზე სანდო ჯგუფს.

3. მინუსკულური (Minuscules) პატარა ასოებით დაწერილი ხელნაწერებია. ამგვარი ხელწერით არის შესრულებული ხელნაწე-რების საკმაოდ დიდი ჯგუფი. ისინი თარიღდება IX და მოგვიანო საუკუნეებით. უმრავლესობა პერგამენტზეა დაწერილი.

4. ლექციონარი (Lectionaries) ყოველდღიური მსახურების, შესწავლისა თუ ლოცვებისთვის დანიშნული ხელნაწერია, რომელ-შიც თავმოყრილია წმინდა წერილის გარკვეული ფრაგმენტები.

ამ ოთხი ჯგუფის გარდა, გამოყოფენ ვერსიებს, ანუ თარგმანებს. აქ შემოდის ბერძნულიდან ნათარგმნი ლათინური, სირიული, კოპ-ტური (ეგვიპტური), ქართული, სომხური, ძველეთიოპური, გოთური, არაბული, სპარსული, სლავური, ფრანგული, ანგლო-საქსური და სხვა თარგმანები, რომელთაც მნიშვნელოვანი წელილი შეიტანეს ტექსტის კრიტიკისა და გამოცემათმცოდნების განვითარებაში. მაგ., სირიული თარგმანის ზოგიერთი ასლი უფრო ადრეულია, ვიდრე ბერძნულისა. თარგმანებს შეუძლია გადაწყვიტოს ცალკეულ სიტყვებთან, ფრაზებ-თან, წინადადებებთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკითხები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უძველესი ხელნაწერები, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, არ შეიცავს ახალი აღთქმის სრულ ტექსტს. ზოგიერთი ფრაგმენტი ერთი ან ორი ტაქტისგან შედგება.

ახალი აღთქმის უძველესი სრული ასლები არის ვატიკანის კოდექსი ('Codex Vaticanus') (325-350) და სინას კოდექსი¹ ('Codex Sinaiticus') (350 წელი).

ვატიკანის კოდექსი ინახება რომში, ვატიკანის ბიბლიოთეკაში, 1475 წლიდან. იგი თითქმის მთელ ბიბლიას შეიცავს. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა ახალი აღთქმის ტექსტის ერთ-ერთ ყველაზე სანდო ბერძნულ ხელნაწერად.

1 სახელწოდებები ამ ორ კოდექსს შენახვის ადგილის მიხედვით დაერქვათ.

სინას კოდექსი აღმოჩენილ იქნა ეგვიპტეში, სინას ნახევარ-კუნძულზე, წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში. იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია მსოფლიოში. შეიცავს ქრისტიანულ ბიბლიას ბერძნულად, ახალი აღთქმის უძველეს სრულ ასლთან ერთად. ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აღმოჩენა ეკუთვნის ბიბლიის გამოჩენილ მკვლევარს, გერმანელ მეცნიერ კონსტანტინ ფონ ტიშენდორფს (Constantin von Tischendorf). 1844 წელს მან სინას მთაზე მიაკვლია ძველი პერგამენტებით სავსე დიდ კალათას. როგორც ბიბლიოთეკარმა აცნობა, პერგამენტების ორი ასეთი გროვა ცეცხლში ჰქონდათ დამწვარი. კალათაში აღმოჩენდა ძველი აღთქმის სეპტუაგინტას ვერსიის ნაწილი (ამის შესახებ ქვემოთ ვსაუბრობთ) და ასევე თითქმის მთელი ახალი აღთქმა (IV ს.). სინას კოდექსი დღეს დაცულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში. წმინდა ეკატერინეს მონასტერი და გერმანიისა და რუსეთის ბიბლიოთეკები მის ცალკეულ ფურცლებს ინახავს.

ღირებული ხელნაწერებია ასევე:

ალექსანდრიის კოდექსი ('Codex Alexandrinus') (400 წელი). ინახება ლონდონში, ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში. ეს არის ადრეული V საუკუნის ბერძნული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს თითქმის მთელ ბიბლიას, ერთ-ერთი უძველესი წიგნი, რომელიც მნიშვნელოვან დეკორაციებს ინახავს ტექსტის ძირითადი დაყოფების აღსანიშნავად. თითოეული წიგნის საწყისი ხაზები დაწერილია წითელი მელნით და სექციები წიგნში აღნიშნულია მოზრდილი ასოებით.

ბეზას კოდექსი ('Codex Bezae Cantabrigiensis') (450 წელი). ინახება კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. შეიცავს სახარებებსა და მოციქულთა საქმეებს ბერძნულად და ლათინურად. ერთადერთი წიგნი, რომელიც სრულია, არის ლუკას სახარება. სხვა წიგნებს ფურცლები აკლია. კოდექსი შეიძინა თეოლოგმა თეოდორე ბეზამ 1562 წელს ლიონის მონასტრისგან (საფრანგეთი), 1581 წელს კი კემბრიჯის უნივერსიტეტს აჩუქა.

მნიშვნელოვანი ძეგლია დიათესარონი (Diatessaron), რომელსაც ათარიღებენ 170 წლით. დიათესარონი ნიშნავს „ოთხის ჰარმონიას“.

იგი შექმნა ქრისტიანმა მწერალმა ტატიანმა (Tatian) II საუკუნეში. ტექსტი აერთიანებს 4 კანონიკურ სახარებას ერთ ჰარმონიულ თხრობაში. მიუხედავად იმისა, რომ ტატიანი ახლოს მიჰყვება სახარების იყითხვისებს, მასში თხრობები მოცემულია განსხვავებული თანმიმდევრობით. დაათესარონი გამოიყენებოდა, როგორც სტანდარტული სახარების ტექსტი სირიის ეკლესიის ლიტურგიაში ორი საუკუნის განმავლობაში. მას მნიშვნელობა აქვს, როგორც ადრეულ ხელნაწერს.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის, მეცნიერების – მეცგერისა (Metzger) და ერმანის (Ehrman) (2005) მიხედვით, ახალი აღთქმის ხელნაწერები რაოდენობრივად ასე გამოიყურებოდა: პაპირუსი – 118, მთავრული ასოებით დაწერილი (Majuscule MSS) – 317, პატარა ასოებით დაწერილი (Minuscule MSS) – 2877, ლექციონარები MSS – 2433. სულ – 5745. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მთლიანად 116 პაპირუსია შესწავლილი და კატალოგიზებული. ზოგი ხელნაწერი აღმოჩენილია სხვა ენებზეც. ყველა ენის მონაცემი რომ გავაერთიანოთ, ახალი აღთქმის დაახლოებით 25000 ხელნაწერია შემორჩენილი. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი არსებობდა თავის დროზე.

ბოლო 100 წლის მანძილზე ათასობით ძველი ბერძნული ხელნაწერი აღმოჩნდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. მათი უმრავლესობა ეგვიპტიდანაა. ტეილორის (Taylor, 2012) მიხედვით, ბერძნული ახალი აღთქმის დაახლოებით 5800 ფრაგმენტია ნაპოვნი. ეს არის 2.6 მილიონ გვერდზე მეტი. ნაწერი ტექსტები ერთმანეთის მიყოლებით რომ ნარმოვიდგინოთ, მათი სიგრძე გაუტოლდება ერთ მილს, ხოლო მთლიანი პიბლიისა – 2.5 მილს. ძველი და ახალი აღთქმის ხელნაწერები და გრაგონილები ერთად 66000 ერთეულზე მეტია. დაახლოებით 10.000 ლათინური ახალი აღთქმის ხელნაწერია (დათარიღებული II-XVI საუკუნეებით) დასისტემებული.

ხელნაწერების რიცხვი, რომლებსაც ჯერ ისევ აკვლევენ, უწყვეტლივ იზრდება. ყოველწლიურად ახალი ხელნაწერები ჩნდება. მაგ., ახლახანს აღმოჩნდა ფრაგმენტები ეგვიპტეში, რომელთაგან ერთი შესაძლოა დათარიღდეს | საუკუნით. უძველესი ნაწყვეტი

შეიცავს ფრაგმენტს მარკოზის სახარებიდან. სხვები, რომლებიც თარიღდება || საუკუნით, შეიცავს ფრაგმენტებს ლუკას სახარებიდან და პავლეს ეპისტოლებს.

ამ აღმოჩენამდე სახარების უძველეს ხელნაწერად მიჩნეული იყო || საუკუნით დათარიღებული ეგვიპტური წარმოშობის პაპირუსი P⁵², ფრაგმენტი, რომლის ენაც არის ბერძნული კონიე. შეიცავს მცირე ნაწილს იოანეს სახარებიდან, კერძოდ, 7 ხაზის ნაწყვეტს. რადგანაც მასზე ნაწერია ორივე მხრიდან, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის უნდა იყოს კოდექსიდან, რომელსაც ჰქონდა წიგნის ფორმა და არა გრაგნილისა. იგი აღმოჩენილ იქნა 1934 წელს რობერტსის (C. H. Roberts) მიერ და გადაწერილი უნდა იყოს 100-150 წლებს შორის შუალედში. ამის გამო მას საშუალოდ 125 წლით ათარიღებენ. ზოგიერთი მკვლევარი 130 წელს წერს და ა. შ. თუ იოანეს სახარება დაინტერა 70-80-იან წლებში, ჩვენ გვაქვს ფრაგმენტი, რომელიც 20-25 წლით არის დაშორებული თავისი ავტოგრაფიდან. დღეს ის ინახება ინგლისში, მანჩესტერში, ჯონ რილანდსის (John Rylands) ბიბლიოთეკაში. ამ ფრაგმენტიდან ვიგებთ, რომ უკვე || საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანები მოფენილნი იყვნენ ნილოსის მიმდებარე მთელ ტერიტორიაზე.

ინტერვალი ორიგინალური ტექსტის შექმნის დროსა და უძველეს ასლებს შორის მინიმალურია სხვა შინაარსის მქონე ძველ ტექსტებ-თან შედარებით. მაგ., კლასიკური ხანის მწერლების შემთხვევაში, სულ მცირე 500-წლიანი შუალედი დასტურდება მათი ნაწარმოებების ორიგინალის შექმნის დროსა და უძველეს ასლს შორის.

ახალი აღთქმის ტექსტს აღადგენდნენ ძველი დროის ეკლესიის მამების ციტატებიდან. ისინი იმდენად ვრცელია, რომ ტექსტის ყველა სრული წყაროს დაკარგვის შემთხვევაშიც კი საკმარისი იქნებოდა მისი შინაარსის აღსადგენად.

რაოდენობრივად ახალი აღთქმის ხელნაწერები გაცილებით მეტია შემონახული, ვიდრე ძველი ლიტერატურის ნებისმიერი ნაწარმოები. მაგ., ჰომეროსის, ანტიკური ბერძნული სამყაროს ყველაზე პოპულარული ავტორის, წიგნი „ილიადა“, რომელიც

ჩვ.წ.აღ-მდე 750 წლით თარიღდება, შემორჩენილია 647 ხელ-ნაწერით. ამათგან მხოლოდ 190 შეიცავს სრულ ტექსტს. ამ ნაწარმოების ასლები გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე სხვა ანტიკური წიგნებისა. მაგ., კეისრის ნაწარმოები „გალის ომი“ (Gallic War), რომელიც თარიღდება 50 წლით ჩვ.წ.აღ-მდე, შემონახუ-ლია მხოლოდ ათიოდე ხელნაწერით. ამათგან უადრესია ჩვ.წ.აღ-ის 900 წლით დათარიღებული ასლი. თუკიდიდეს „პელოპონესის ომი“, რომელიც დაიწერა 450 წელს ჩვ.წ.აღ-მდე, 8 ხელნაწერითაა შემორ-ჩენილი, რომელთაგან უძველესი ეკუთვნის 900 წელს ჩვ.წ.აღ-ით. ტაციტუსის ისტორია, რომელიც დაიწერა 100 წელს ჩვ.წ.აღ-ით, მხოლოდ 2 ხელნაწერითაა ხელმისაწვდომი. ერთი თარიღდება 800 წლით, ხოლო მეორე – 1000 წლით და ა. შ.

ებრაული ბიბლიის უძველესი ხელნაწერები. ებრაულ ბიბლიად ითვლება ბიბლიური წიგნების ერთობლიობა, რომელიც გაზია-რებულია ებრაელებისა და ქრისტიანების მიერ. ქრისტიანები მას „ძველ აღთქმას“ უწოდებენ.

1947 წელს მკვდარი ზღვის ახლოს, ხირბეტ ქუმრანის (Khirbet Qumran) მხარეში, შემთხვევით მიაკვლიეს 80.000 გრაგნილის ფრაგმენტს. ნაპოვნი დოკუმენტები ორ ჯგუფად იყოფა: უძველე-სი ებრაული ბიბლიის ტექსტების ფრაგმენტები (დაახლოებით 972 ტექსტი) და ქუმრანის დასახლების ახლოს მცხოვრები ებრაელთა საზოგადოების რწმენისა და საქმიანობის აღმნერი დოკუმენტე-ბი. აღმოჩენა ეკუთვნის ბედუინს.¹ ხელნაწერების უმრავლესობა თარიღდება ჩვ.წ.აღ-მდე 150 – ჩვ.წ.აღ-ის 70 წლით. ზოგ მკვლე-ვართან ეს თარიღები მოცემულია ასე: 250 წელი ჩვ.წ.აღ-მდე – 68 წელი ჩვ.წ.აღ-ით.

მნიშვნელოვანია აშკარ-გილსონის (Ashkar-Gilson) ხელნაწე-რები, რომლებიც თავსდება ადრეულ გრაგნილებსა და მოგვიანო პერიოდის კოდექსებს შორის და ნათელს ჰერენს ებრაული ბი-ბლიის ფორმაციას ამ პერიოდში. ხელნაწერი შეისყიდეს ფუად აშკარმა და ალბერტ გილსონმა ანტიკვარების გადამყიდველისგან

1 იგივე მომთაბარე, უდაბნოში მოხეტიალე.

ბეირუტში, ლიბანში, 1972 წელს და რამდენიმე წლის შემდეგ შესწირეს დუკის უნივერსიტეტს ჩრდილოეთ კაროლინაში. რა-დიოკარბონული მეთოდითა (carbon-14 dating) და პალეოგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით, ეს ხელნაწერი დათარიღდა ჩვ.წ.აღ-ით VII-VIII საუკუნეებით.

საყურადღებოა ეპრაული ბიბლიის ძირითადი ვერსიები და თარგმანები, რომლებიც მნიშვნელოვანია ორმხრივად – ისტო-რიულად და მათი უწყვეტი გამოყენების მხრივ სხვადასხვა თანა-მედროვე საზოგადოების მიერ:

მასორეტული ტექსტი (MT). რომაელების მიერ იერუსალიმისა და მისი ტაძრის დანგრევის შემდეგ, ა. წ.-ის 70 წელს, ეპრაული ჯგუფები გაიფანტნენ მთელ ძველ მსოფლიოში. ისინი თავიანთ საზოგადოებაში ინახავდნენ ეპრაული წმინდა წერილის ვერსიებს. ეპრაულ სწავლულ გადამწერთა ჯგუფებმა, რომლებიც მოღ-ვაწეობდნენ ადრეული შუა საუკუნეების პალესტინაში, ქალაქებში – ტიბერიასა და იერუსალიმში, ასევე ბაბილონში, თაღმუდის აკა-დემიებში, შეკრიბეს და შემოინახეს ეპრაული ტექსტის ხელმისაწ-ვდომი ხელნაწერები და ზეპირი ტრადიცია. თითოეულმა ჯგუფმა შეადგინა წარმოთქმისა და დიაკრიტიკული ნიშნების სისტემა მათი სტანდარტიზაციის მიზნით. ტრადიციის ერთგულების გამო მათ დაერქვათ მასორეტელები, ხოლო მათ ხელიდან გამოსულ ტექს-ტებს – მასორეტული ტექსტი. ტერმინი მომდინარეობს ეპრაუ-ლიდან ('masoreth' „ტრადიცია“). ასე რომ, მასორეტული ტექსტი კოდიფიცირებულია და ახლავს დიაკრიტიკული ნიშნები სწორად წარმოთქმის უზრუნველსაყოფად. მასორეტელთა მიზანს არ შეა-დგენდა წმინდა წერილის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია, არამედ მომავალი თაობებისთვის ღვთის ავთენტური სიტყვის გადაცემა.

ეპრაული ბიბლიის უძველესი ასლები დაწერილი იყო ხმოვნე-ბისა და მახვილების გარეშე, რადგანაც წერილობითი ეპრაული არ შეიცავდა ხმოვნებს შუა საუკუნეებამდე. ტრადიციული სასაუბრო წაკითხვების შენარჩუნების მიზნით, მასორეტელები ფრთხილად არჩევდნენ ხელნაწერებს, გადაწერდნენ და ანოტაციებს ურთა-

ვდნენ. მათ დაუმატეს ხმოვნები და მახვილები. წიგნები დაყვეს თავებად და მუხლებად. შექმნეს ვოკალიზაციის რამდენიმე განსხვავებული სისტემა 500-700 წლებს შორის.

ბოლო რამდენიმე დეკადამდე ბიბლიის ბევრ სწავლულს სწამდა, რომ მასორეტული ბიბლიური ტექსტები, ზოგიერთი გამონაკლიისთ, იყო საუკეთესო მონმები ეპრაული ბიბლიის ყველაზე ძველი ტექსტისა. მკვდარი ზღვის ახლოს ახლად აღმოჩენილმა გრანილებმა მიანიშნა, რომ ძვ.წ.აღ-ის 515 და ახ.წ. აღ-ის 70 წლებს შორის მეორე ტაძრის პერიოდში არსებობდა ბიბლიური წიგნის რამდენიმე მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვერსია.

ისტორიულმა კვლევებმა გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიშანი, რომლითაც მასორეტული ტექსტი განსხვავდება ძველი აღთქმის უადრესი ვერსიიდან:

1. ის დაწერილია რადიკალურად განსხვავებული ანბანით, ვიდრე ორიგინალური;
2. მასში დამატებულია ხმოვნის აღმნიშვნელი ნიშნები, რომლებიც ორიგინალში არ არსებობდა;
3. ტექსტიდან ამოღებულია ძველი აღთქმის რამდენიმე წიგნი;
4. შეიცავს ცვლილებებს წინასწარმეტყველებისა და დოქტრინის კუთხით;
5. თავად მასორეტელებმაც აღიარეს, რომ მათ მიიღეს დამახინჯებული ტექსტები.

მასორეტული ტექსტი შედგენილობით მნიშვნელოვნად მოკლეა, ვიდრე სეპტუაგინტა.¹

ახ. წ-ის X საუკუნეში (დაახლოებით 930 წელს) ტიბერიელი აშერის (Asher) გადამწერთა ოჯახმა შექმნა ეპრაული ბიბლიის ხელნაწერი, რომელიც ცნობილმა ეპრაულმა სწავლულმა მაიმონიდესმა (Maimonides) საღმრთო ტექსტის ყველაზე ცნობილ ვერსიად გამოაცხადა. მალევე ტიბერიელი მასორეტული ტექსტი და მისი კონკრეტული ვერსია, რომელიც ხმოვნებსა და ანოტაციებს შეიცავდა, გახდა ეპრაული ბიბლიის ავტორიტეტული ტექსტი და

1 ამის შესახებ ქვემოთ ვსაუბრობთ.

შუა საუკუნეების ყველაზე მნიშვნელოვანი მასორეტული ხელნაწერი. იგი ცნობილია, როგორც ალეპოს (Aleppo) კოდექსი. მეორე მნიშვნელოვანი მასორეტული ტექსტია ლენინგრადის კოდექსი. თუ ალეპოს კოდექსი უძველესი ებრაული ბიბლიაა, ლენინგრადის კოდექსი არის უძველესი სრული ებრაული ბიბლია მსოფლიოში: იგი თარიღდება 1008-1010 წლებით და ებრაული ბიბლიის ბევრი თანამედროვე გამოცემისთვის საყრდენად გამოიყენება.

მასორეტული ტექსტი დღესაც იხმარება ლიტურგიული მიზნებისთვის უმრავლეს სინაგოგაში. კათოლიკური ეკლესია IV საუკუნიდან და უმრავლესი პროტესტანტული ქრისტიანული ეკლესია ამ ვერსიას იყენებს, როგორც წყაროს თანამედროვე თარგმანებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელმა მეცნიერმა კონსტანტინ ფონ ტიშენდორფმა 1844 წელს სინას მთაზე, სხვა ხელნაწერებთან ერთად, კალათაში აღმოაჩინა სეპტუაგინტას ნაწილი, რომელიც მეცნიერისთვის ყველაზე ძველი იყო, რაც მანამდე ენახა. ტერმინი „სეპტუაგინტა“ დღეს, ჩვეულებრივ, გამოიყენება ებრაული ბიბლიის სხვადასხვა ბერძნული თარგმანის აღსანიშნავად. იგი მიემართება არა კონკრეტულ ტექსტს, არამედ ბერძნული თარგმანების კოლექციას, რომელიც შეიქმნა ბევრი გადამწერის შრომის შედეგად სხვადასხვა სკრიპტორიუმში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში. არისტეასის წერილი (Aristeas) (ჩვ.წ.აღ-მდე II ს.) ინახავს ღირებულ ინფორმაციას სეპტუაგინტას წარმომავლობის შესახებ, თუმცა მეცნიერები ამ დოკუმენტის ლეგენდურ ხასიათზეც მიუთითებენ. ის გვამცნობს, რომ ეგვიპტელ მეფე პტოლემე ფილადელფუს (Ptolemy Philadelphus) (რომელიც მეფობდა 285-246 წლებში ჩვ.წ.აღ-მდე) შეუკვეთა ებრაული ბიბლიის ბერძნული თარგმანი ალექსანდრიის ბიბლიოთეკისთვის გადასაცემად. თორას სათარგმნელად იერუსალიმიდან 72 მთარგმნელი გაუგზავნიათ ფაროს კუნძულზე. თავად ტერმინი სეპტუაგინტა „სამოცდაათს“ ნიშნავს. ამდენად, ხუთწიგნეული ებრაულიდან უთარგმნიათ ქრისტემდე მე-3 საუკუნეში. ებრაული ბიბლიის

დარჩენილი ნაწილი კი ბერძნულად სხვადასხვა პირის მიერ მომ-დევნო საუკუნეებში ითარგმნა. ვარაუდობენ, რომ მთელი ებრაული ბიბლია უძველეს ბერძნულზე უნდა თარგმნილიყო ძვ. წ-ის II საუკუნის შუა წლებში. შემდგომში სეპტუაგინტადან ითარგმნა სხვა ენებზე: ლათინურად, კოპტურად, ქართულად, სომხურად, არაბულად, არამეულად, სირიულად და სხვ.

სეპტუაგინტას მნიშვნელობას კარგად გამოხატავს XIX საუკუნის გერმანელი თეოლოგის, ფერდინანდ ჰიტციგის (Ferdinand Hit-zig), ფრაზა: ‘Gentlemen, have you a Septuagint? If not, sell all you have, and buy a Septuagint’ (ჯენტლმენო, გაქვს სეპტუაგინტა? თუ არა, გაყიდე ყველაფერი და იყიდე სეპტუაგინტა“) (Reeves, 2018).

ქართული ხელნაწერი ტრადიცია: სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანულ ხელნაწერ ტრადიციაში ქართული ერთ-ერთი უმდიდრესია, რომლის ქრონოლოგიური საზღვრები მოიცავს V-XIX საუკუნეებს და შეიცავს დაახლოებით 75000 გადარჩენილ ფურცელს.¹ ამდენად, ქართულ ხელნაწერ ტრადიციას (დოკუმენტურად დადასტურებულს), რომელიც ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, სულ ცოტა 16-საუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია ქართული კულტურის ერთიანი ისტორიისა.

ქართული ხელნაწერები იქმნებოდა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ამისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ქართველი ბერებისა თუ ლიტერატურის მოღვაწეთა საქმიანობა უცხოეთში არსებულ სამონასტრო ცენტრებში, როგორიც იყო საბანმინდის ლავრა (პალესტინა), წმიდა ეკატერინეს მონასტერი (სინას ნახევარკუნძული), წმიდა სვიმეონის მონასტერი (სირია, ანტიოქიის რეგიონი) და სხვ. ასევე ქართული მონასტრები უცხოეთში: ივირონის მონასტერი საბერძნეთში, ათონის მთაზე, ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვ. გერმანელი ქართველობი იოსტ გიპერტი მიიჩნევს, რომ ქართველი ბერები ამ შორეულ ცენტრებში ქრისტიანული ერის

1 ინფორმაცია ეკუთვნის იოსტ გიპერტს.

პირველი ათასწლეულის დასასრულისთვის უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულები იყვნენ და რომ ქართულ ხელნაწერებს დასაბამი მიეცა ქრისტიანული აღმოსავლეთის უფრო ფართო არეალში ქართული ლიტერატურის წარმოშობის ადრეულ წლებშივე. იგი ვარაუდობს, რომ არსებობდა მჭიდრო კავშირები არა მხოლოდ მეზობელ, არამედ შორეულ ცენტრებთანაც. აյ იქმნებოდა როგორც ორიგინალური შრომები, ისე ითარგმებოდა ქრისტიანული ლიტერატურა. მათი ნაწილი დაცულია როგორც ამ მონასტრების ბიბლიოთეკებში, ასევე რუსეთის, ევროპისა და ამერიკის ცნობილ მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, სამეცნიერო ცენტრებში. ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში გადაწერილი ქართული ხელნაწერების ნაწილი დაცულია საქართველოშიც, კერძოდ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ლიტერატურის მუზეუმში, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში, სერგი მაკალათიას სახელობის გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

შიდა ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად, ხელნაწერი ტრადიციის განვითარებასა და დახვენას განაპირობებდა იმდროინდელ ცივილიზებულ სახელმწიფოებთან, ბიზანტიურ (აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან) და, საერთოდ, ქრისტიანულ დასავლურ თუ აღმოსავლურ სამყაროსთან კულტურული კავშირები.

ქართული ხელნაწერების უძველესი ფენა V საუკუნეს განეკუთვნება. ამ პერიოდში ხელნაწერი ტრადიციის ხასიათს საქართველოში განსაზღვრავდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრება-განმტკიცების მიზნები. შემთხვევითი არარის, რომ აღნიშნული დროის ხელნაწერი ტექსტები რელიგიური შინაარსისაა. მათ მნიშვნელობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ზრდის ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ შემონახული აქვთ ისეთი

ტექსტების თარგმანები, რომელთა ორიგინალური ვერსიებიც დაკარგულია – ბერძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ლათინურ, სომხურ თუ სლავურ ენებზე.

დღეისათვის არსებული ხელნაწერების რიცხვი უზარმაზარია. კერძოდ, ცნობილია 11 ათასამდე ხელნაწერი, რომელიც დაცულია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის უმნიშვნელოვანეს წიგნსაცავებში: დიდ ბრიტანეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, რუსეთში, სომხეთში და სხვ.

ხელნაწერი ტრადიციის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი შემორჩენილია პალიმფსესტის სახით.¹ მათი ადრეული ნიმუშები V-VIII საუკუნეებით თარიღდება (ისინი ქვედა ფენებზეა დაცული). ესენია ძველი ალთქმის წიგნები – დაბადება, ესაია, ეზეკიელი, იერემია, ეზრა I და ფსალმუნი. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელიც ქართული ხელნაწერების მთავარი საცავია საქართველოში, 4570 ასეთი ფურცელი ინახება. სწორედ ამ ხელნაწერებშია შემორჩენილი ადრეული ხანმეტი ტექსტები. ხანმეტი პალიმფსესტები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გარდა, მოიპოვება აგრეთვე მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და არაერთ უცხოურ ბიბლიოთეკასა თუ მუზეუმში, კერძოდ, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში, კემბრიჯის უნივერსიტეტისა და ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში.

მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მომავალში ახალი აღმოჩენებით გამდიდრდეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და ქართული ხელნაწერი ტრადიციის ჩამოყალიბების თარიღმაც წარსულში გადაიწიოს.

საქართველოში პალიმფსესტებს განსაკუთრებული ყურადღება პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია XX საუკუნის 20-იანი წლებში, როდესაც მასზე ხანმეტი ტექსტები აღმოაჩინა. მეცნიერმა სპეციალური გამოკვლევა „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“

1 პალიმფსესტი ბერძნული სიტყვაა და ნაშნავს წაშლილს, გადარეცხილს. შესაბამისად, პალიმფსესტი არის ეტრატის გადარეცხვის შემდეგ საწერად ხელმეორედ გამოყენებული ფურცლები.

გაშიფრულ ტექსტებთან ერთად 1923 წელს დაბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბის“ || ტომში, ხოლო შევსებული სახით კვლავ გამოაქვეყნა 1949 წელს თავის სახელმძღვანელოში „ქართული პალეოგრაფია“.

პალიმფსესტების გარდა, ხანმეტი ტექსტი VII საუკუნის ხელნაწერი ლექციონარითაც არის მოღწეული. ხანმეტ ძეგლთა შორის ის ერთადერთი ხელნაწერია, რომლის ტექსტი გადაურეცხავად არის შენარჩუნებული. X საუკუნიდან იგი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახებოდა. ამჟამად გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული.

ძველი ქართული ხელნაწერების კორპუსი, სასულიერო შინაარსის ტექსტების გარდა, მოიცავს ჰაგიოგრაფიის, მოგზაურობის, ისტორიის, ლექსიკოგრაფიის, საეკლესიო სამართლის, ფილოსოფიისა და სხვა თემატიკასთან დაკავშირებულ ტექსტებს.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის განსაკუთრებით ძვირფასია გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ხელნაწერებიც. თითოეულ ძეგლს ამა თუ იმ ერის ისტორიისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი ღირებულება ჰქონდეს. არ შეიძლება არ გამოვყოთ პირადი წერილები და მემუარული ხასიათის ჩანაწერები. პირადი წერილების ფასეულობამ განაპირობა სწორედ ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მიერ 2010 წლიდან XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის, ხოლო 2017 წლიდან – ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემის მომზადება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით.

ქართული მწერლობისა და კულტურისათვის მნიშვნელოვან ხელნაწერებს ვეხებით გამოცემის ისტორიის ნაწილშიც, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

გვ. კვლევები ხელნაწერის შესახებ

ხელნაწერზე მუშაობა ტექსტის კრიტიკისა და საგამომცემლო კვლევების საწყის და მნიშვნელოვან ეტაპს შეადგენს. ხელნაწერებს შეისწავლის სპეციალური ჰუმანიტარული დარგი – ხელნაწერთმცოდნეობა. იგი ნაწილობრივ მოიცავს კოდიკოლოგიას, რომელიც სწავლობს ხელნაწერის მატერიალურ (ნივთიერ) თვისებებს: საწერ მასალასა თუ საწერ საშუალებებს, ხელნაწერის ფორმატს, გვერდების განლაგებასა და სხვ. ხელნაწერთმცოდნეობა დაკავშირებულია წიგნის შენახვასთანაც, როდესაც ის იკვლევს პერგამენტის, ქაღალდის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს; დაკავშირებულია ხელოვნების ისტორიასთანაც, როდესაც ეხება ხელნაწერის გაფორმებას; პალეოგრაფიასთან, რომელიც სწავლობს დამწერლობას; ასევე ფილოლოგიასთან და ტექსტის კრიტიკასთან, თეოლოგიასთან, ბიზანტიოლოგიასთან, ისტორიასთან. ხელნაწერთმცოდნეობა განსხვავდება პაპიროლოგიისაგან, რომელიც ეხება წიგნებსა და დოკუმენტებს, დაწერილს პაპირუსზე, ასევე განსხვავდება დიპლომატიკისაგან, რომელიც სწავლობს კანონიერ და ოფიციალურ დოკუმენტებს, თუმცა ეს განსხვავება არ არის მკვეთრი.

ხელნაწერთმცოდნეობითი კვლევები სათავეს იღებს XVIII საუკუნის დასაწყისში, ბერნარდ დე მონტფონის (Bernard de Montfaucon) პუბლიკაციით ‘*Palaeografia graeca*’ (1708 წ.), რომელმაც დაამკვიდრა პალეოგრაფიული მასალის შესწავლის მეთოდი და დარჩა დარგის საუკეთესო ნაშრომად ადრეულ XIX ს-მდე. XX საუკუნის II ნახევარში წარმოიშვა ხელნაწერთმცოდნეობის ნაციონალური სკოლები, კერძოდ, იტალიური¹ და ავსტრო-გერმანული² და დაარსდა ბერძნული პალეოგრაფიის საერთაშორისო კონგრესი, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიო ფორუმს დარგში მიმდინარე დისკუსიებისთვის. პირველი კონგრესი გაიმართა 1974 წელს პარიზში და მას მოჰყვა არაერთი ფორუმი სხვა ქვეყნებში:

1 წარმომადგენელი გ. კავალლო (G. Cavallo).

2 წარმომადგენლები: ჰ. ჰუნგერი და დ. ჰარლფინგერი (H. Hunger, D. Harlfinger).

1983 1988, 1993 1998, 2003, 2008 წლებში და სხვ. ისინი ითვლება მთავარ ღონისძიებებად დარგის განვითარებისათვის.

ძველი ტექსტების შემცველი ხელნაწერების შესწავლის დროს დღის წესრიგში დგება მთელი რიგი კოდიკოლოგიური საკითხების გარკვევა. ძირითადი კითხვები კი, რაც დაისმის კვლევის პროცესში, არის – როდის და სად დაინტერა კონკრეტული ხელნაწერი. ზოგადად, ხელნაწერებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ათარიღებენ, ესენია: გამოყენებული მასალა, ასოების ზომა და ფორმა, ტექსტის ორგანიზება, ორნამენტების ხასიათი, მელნის ფერი და ა. შ.

მეცნიერები ცდილობენ, პასუხები გასცენ აგრეთვე ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: რა არის ის ობიექტური კრიტერიუმები, რაც საშუალებას იძლევა, დავათარიღოთ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვალაგოთ ხელნაწერები? რა როლს თამაშობს ამ დროს სუბიექტური აზრი? ახასიათებს თუ არა კონკრეტული ნიშანი რომელიმე პერიოდს, რეგიონს, სტილს ან ცალკეულ ხელნერას? როგორ შეიძლება, პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური, ფილოლოგიური და ისტორიული მონაცემების ერთობლიობის გათვალისწინებით, დავადგინოთ ხელნაწერის თარიღი და ადგილი? ბოლო პერიოდში კვლევის მეთოდების, მიღებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, რამაც მეცნიერებს საშუალება მისცა, გააანალიზონ, დაათარიღონ და სიზუსტით განალაგონ ხელნაწერები, რაც ადრე შეუძლებელი იყო, ეს კითხვები ხშირად ისევ პასუხებაუცემელი რჩება.

მართალია, ხელნაწერის თარიღის დადგენა წმინდა ტექსტოლოგიური ამოცანაა და არა საგამომცემლო, მაგრამ თარიღიანი და უთარიღო ტექსტების გამოქვეყნებისადმი სხვადასხვა საგამოცემლო სტრატეგიებისა და მიდგომების შემუშავებაა საჭირო, რაც გამოცემათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება. ქართულ აკადემიურ გამოცემებში ამ მხრივ მთლად სახარბიელო სურათი არ გვაქვს. ამის გათვალისწინებით, საჭიროდ ვთვლით, ხელნაწერის თარიღითან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს ცოტა ვრცლად შევეხოთ.

ხელნაწერის თარიღის დასადგენად მნიშვნელობა აქვა:

ა) **საწერ მასალასა და საწერ საშუალებებს:** უძველესი ხელნაწერები პაპირუსის გრაგნილებზეა შესრულებული. პაპირუსი იყო ყველაზე ფართოდ გავრცელებული საწერი მასალა ანტიკურ სამყაროში. იგი გრაგნილებად ინახებოდა და არ ჰქონდა პაგინა-ცია. პაპირუსის გამოყენება გავრცელდა ეგვიპტიდან საბერძნე-თისა და რომის იმპერიებამდე, რომის საშუალებით კი ის შევიდა ჩრდილოეთ ევროპაში. მისი მოხმარება გაგრძელდა მერივული სასამართლოს მიერ 677 წლამდე და პაპის სასამართლოს მიერ 1057 წლამდე. როდესაც რომის იმპერია დაეცა და შეუძლებელი გახდა პაპირუსის იმპორტირება, დასავლეთ ევროპის დიდ ნაწილში ის ჩაანაცვლა ადგილობრივად ნაწარმოებმა პერგამენტმა. ასე რომ, რომის იმპერიის დაცემასთან ერთად, პაპირუსის მოპოვების საშუალებები შემცირდა და დასავლეთ ევროპელები შემობრუნდნენ უფრო ადვილად ხელმისაწვდომი და ადგილობრივად ნაწარმოები ცხოველის ტყავისკენ. XI ს-მდე პაპირუსის გამოყენება დასავლეთში გაგრძელდა სპეციფიკური მიზნებით, მაგალითად, ისეთი დოკუმენტებისათვის, როგორიცაა ქარტიები.

პერგამენტი (parchment), ძირითადად, იყო ხის, ცხვრის, თხის და ა. შ. ტყავი, სპეციალურად დამუშავებული. არსებობდა აგრეთვე თხელი პერგამენტი (გასანთლული ქაღალდი) (vellum), რომელიც დაფარული იყო სპეციალური ცვილით. ეს ორი ტერმინი (parchment და vellum) ხშირად სინონიმურად გამოიყენებოდა შეა საუკუნეებშიც კი, როდესაც ასეთ განსხვავებებს მნიშვნელობა ჰქონდა ხარისხის, ფასისა და გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა ‘parchment’ იხმარებოდა, როგორც უფრო ზოგადი ტერმინი ყველა ტიპის ტყავისთვის, რომელსაც გამოსაყენებლად ამზადებდნენ.

მრავალჯერადი გამოყენება მხოლოდ ტყავს, ანუ ეტრატს ჰქონდა. მისი იშვიათობისა და სიძვირის გამო, ადრეულ ნაწერებს ხშირად რეცხავდნენ რძით, ან რძის შემცველი სითხით და მასზე სხვა ტექსტს წერდნენ. უმთავრესად შლიდნენ მოცემული დროის-თვის ნაკლებად მნიშვნელოვან ტექსტებს. თუ მთლიანი წიგნია

წაშლილი და თავიდან დაწერილი, მას უწოდებენ ‘codex rescriptus’-ს.

მიუხედავად საგულდაგულო დამუშავებისა, ტყავზე მაინც რჩებოდა წინა ტექსტის კვალი. პალიმფსესტის ამოსაკითხად ადრე მეცნიერები ეტრატის ფურცლის ქიმიურად დამუშავების მეთოდს მიმართავდნენ, რაც მასალას აზიანებდა. შემდეგ გა-დარეცხილი ტექსტების აღსადგენად ულტრაისფერი სხივების გამოყენება დაიწყეს. თანამედროვე ციფრულ ეპოქაში მათ წა-საკითხად უკვე კომპიუტერული პროგრამები გამოიყენება, რაც უსაფრთხოც არის და ეფექტურიც.

ქალალდი პირველად შექმნეს ჩინელებმა. მისი აღმოჩენა მიეწერება ლუნს (Ts'ai Lun) და თარიღდება 105 წლით ჩ.წ.აღ-ით, თუმცა ბოლო არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს მის გამოყენებას ამ თარიღამდე 200 წლით ადრე. უძველესი გადარ-ჩენილი ქალალდის დოკუმენტი არის ბუდისტური ტექსტები II და III საუკუნეებიდან, რომლებიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. შემდგომში ტექნოლოგია გავრცელდა აღმოსავლეთში, კერძოდ, იაპონიაში, კორეის გავლით და დასავლეთში – არაბუ-ლი სამყაროს საშუალებით. ევროპაში ქალალდი გამოიყენებოდა ბეჭდვის გამოგონებამდე. ქალალდის მანუფაქტურის განვითა-რება გვიანი შუა საუკუნეების ფაქტია. მისი წარმოების თანა-მედროვე ისტორია ინაცვლებს ხელთნაკეთი ფურცლებიდან მასიურ წარმოებამდე და სხვადასხვა მიზნისთვის დანიშნული ქალალდის უზარმაზარ სახესხვაობებამდე.

უძველეს ქართულ ხელნაწერ წიგნებში საწერ მასალად გა-მოყენებულია ეტრატი (ტყავის ფურცელი), რასაც განაპირო-ბებდა მისი პოპულარობა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს კულტურული ურთიერთობები ჰქონდა, და ასევე ძველ საქართველოში ტყავის წარმოების გან-ვითარების მაღალი დონე. ოკვევა, რომ V საუკუნის საქართვე-ლოში სრულად იყვნენ დაუფლებულები ეტრატის შექმნის ტე-ქნოლოგიებს. ამ დროის პალიმფსესტები გადაწერილია მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე დამუშავებულ მასალაზე.

მოგვიანებით ძირითადი საწერი მასალა ჩვენთვისაც ქაღალდი გახდა. უკვე X საუკუნიდან ის უმეტესად გვხვდება აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ცენტრებში – შავ მთასა და სინას მთაზე შექმნილ ქართულ ხელნაწერებში, თუმცა მისი გამოყენების უძველეს შემთხვევებად რამაზ პატარიძე (1965: 45) XI საუკუნის ხელნაწერებს ასახელებს. XIV საუკუნიდან ქაღალდმა თანდათანობით მოიპოვა უპირატესობა და საბოლოოდ განდევნა ეტრატი. ქართული ხელნაწერები გადაწერილია იტალიურ (XV), სპარსულ (XV-XVII), ფრანგულ (XVIII) და რუსულ (XVIII საუკუნის ბოლო, XIX საუკუნე) ქაღალდებზე. ქაღალდის წარმოება საქართველოში არ განვითარებულა.

ზურაბ ჭუმბურიძის აზრით, ქაღალდზე შესრულებული ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერი 1177 წლით თარიღდება (2017: 24). VII-IX საუკუნეებში ქართლში არაბები ბატონობდნენ, ქაღალდის წარმოება მათ VIII საუკუნეში დაიწყეს და უკვე IX საუკუნეში ქაღალდი მთელ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ VIII-IX საუკუნეებში ქაღალდი ქართლშიც ყოფილიყო ცნობილი. სავარაუდებელია, რომ ქაღალდის დამუშავებას, გახამება-გალესვას აქ ძველი დროიდანვე, ქაღალდის მოხმარების ადრეული ხანიდანვე მისდევდნენ. ქაღალდის დამუშავება-გალესვა დაახლოებით ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც ეტრატისა.

ზოგადად, რაც უფრო ძველია ხელნაწერი, მით უფრო ღირებულია იგი. თუ ხელნაწერი ახლოს არის ორიგინალური ტექსტის შექმნის დროსთან, შეცდომების რაოდენობა პოტენციურად ნაკლებია. ზოგჯერ შეიძლება არქეოლოგიური მასალის, მაგ., პაპირუსის ფიზიკური მახასიათებლების კვლევა არასათანადო გარემოებების გამო არ იყოს აკურატულად ჩატარებული. საუკეთესო საშუალება ხელნაწერის თარიღის გასარკვევად არის ხელწერის სტილის საფუძვლიანი შესწავლაც. თაობიდან თაობამდე ტექსტები სხვაგვარად ჩაინირებოდა. რამდენადაც ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, შედარებითი მორფოლოგია (მეცნიერება ხელწერის შედარებითი სტილის შესახებ) საშუალებას გვაძლევს,

შევიწროვდეს სავარაუდო თარიღის საზღვრები. დათარიღებაში გვეხმარება ერთი და იმავე დროის სხვადასხვა ხელწერის სტილის შესწავლაც. მაგ., I და აღრეული II საუკუნის განმავლობაში გადამწერები ცდილობდნენ ასოები დაეწერათ უკიდურესად ზედა საზზე. დახრილი ხელწერა იწყება გვიან II საუკუნეში.

მეორე მეთოდი ადრეული ხელწანერების დათარიღებისა არის ხელწერის სტილის შედარება პალეოგრაფიული მასალის სტილ-თან, რომელიც შესრულებულია იმავე პერიოდში. ეს პრაქტიკა ცნობილია, როგორც შედარებითი პალეოგრაფია. აღსანიშნავია, რომ შესადარებელი მასალის რიცხვი I და III საუკუნეების ხელწანერებს შორის დიდი არ არის. მეცნიერები ხშირად სუბიექტურ მეთოდებსაც მიმართავენ ხელწანერების დასათარიღებლად.

ბ) ხელწანერების შესწავლისას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მის სარისსს: ცხადია, კვლევის დროს უპირატესობა ენიჭება სარწმუნო ხელწანერებს. ცოლ-ქმარმა – ბარბარა და კურტ ალანდებმა (Aland K., Aland, B. 1989) ააგეს კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც აღნიშნავს ხელწანერების ხარისსს. ისინი შეადგენს სამ ჯგუფს: ძალიან განსაკუთრებული ხარისხი, განსაკუთრებული ხარისხი და გამორჩეული ნიშანი. მეცნიერებმა – კომფორტმა და ბარრეტმა (2001) კი გამოავლინეს ხელწერის ტიპის 4 განსხვავებული ხარისხი:

ზოგადი – ეს არის ულაზათო ხელწერა. ასეთი ტექსტები გამოდიოდა, ძირითადად, განათლების არმქონე გამოუცდელი გადამწერებისგან, რომლებიც ახალბედები იყვნენ დოკუმენტების წერაში;

დოკუმენტური – მისი შემქმნელები იყვნენ სწავლული, განათლებული გადამწერები, ექსპერტები დოკუმენტების მომზადებაში. ხელწერის ეს სტილი ცნობილი იყო 200-225 წლებში ჩვ.წ.აღ-ით და ხშირად გამოიყენებოდა გადამწერების მიერ საჯარო ადმინისტრაციაში;

გაუმჯობესებული დოკუმენტური – ამისი შემოქმედებიც ექსპერტები იყვნენ დოკუმენტებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების ასლების მომზადებაში. ისინი ცდილობდნენ, მაღალ დონეზე განეხორციელებინათ თავიანთი სამუშაო;

პროფესიონალური – ამისი გადამწერები წერდნენ „წიგნის ხელით“, „ლიტერატურული ხელით“ და ტოვებდნენ ნიშნებს, მარკერებს, რომელსაც ერქვა ‘stichoi markings’. ამით მოინიშნებოდა ხაზების გარკვეული რაოდენობა, რის მიხედვითაც გადამწერებს გასამრჯელო უნდა მიეღოთ.

გ) ხელნაწერის თარიღის გარკვევისას ყურადღება ექცევა აგრეთვე **საწერი საშუალებების ცვლილებების ისტორიას:** მაგ., მელნის ქიმიური შედგენილობა შეიძლება სასარგებლო იყოს დოკუმენტის დათარიღებისათვის;

დ) **გვერდების განლაგებას:** გვერდის ორგანიზებას, სვეტების რაოდენობას, არშიების ზომას, მინიატურების, დეკორატიული ელემენტების განთავსებას, კომენტარების განთავსებას (თუ იყო ასეთები) ძირითადი ტექსტის სტრუქტურასთან მიმართებით.

ე) **ხელნაწერი წიგნის შეკვრის (ყდაში ჩასმის) ისტორიას:**

ითვალისწინებენ ფურცლების დაკეცვასა და დაყოფას, მათ ზომასა და ფორმატს, კიდეებზე შენიშვნებისა თუ განმარტებების არსებობას, ტექსტის სტრუქტურირების მეთოდებს (დაყოფა წიგნებად / ტომებად, თავებად, პარაგრაფებად), მათი განლაგების წესებს ხელნაწერში, ხელნაწერების გაფორმებას, მათ წარმოებას ‘pecia’ სისტემით (თაბახ-თაბახ, დასტა-დასტა), ხელნაწერების შეკვრას გასაყიდად.

ვ) **გადაწერის პრაქტიკებს:** რომელი წყაროები გამოიყენა გადამწერმა და რა ცვლილებები შეიტანა ტექსტში? ხომ არ გააერთიანა ის ნაწილები, რომლებიც თავიდან განცალკევებული იყო? როდის და რა გავლენით მოხდა ცალეული ნაწილების შეერთება და შეკერვა ერთ წიგნად? რა არის ცნობილი წიგნის წარმოების მატერიალური პირობების შესახებ, ან ცალკეული გადამწერის, ან სკრიპტორიუმის შესახებ, სადაც ხელნაწერი წიგნი იქნა წარმოები და სხვა და სხვა.

ხელნაწერების კვლევის დროს ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ხელნაწერი წიგნების კოლექციები, მონასტრებისა და ტაძრების სიძველეთსაცავები სხვა უძველეს ბიბლიოთეკებთან ერთად;

ბიბლიოთეკის კატალოგები და სხვა ჩანაწერები, სადაც შეიძლება საინტერესო ინფორმაცია იყოს დაცული ხელნაწერებისა თუ ხელნაწერი წიგნების შემოწირვის თაობაზე: როდის და ვის მიერ არის შემოწირული, თუ არის მასზე განსაკუთრებული ნიშნები და ა. შ.

უამრავ ხელნაწერს შორის, რომლებიც განსხვავებული განათლების მქონე, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანების მიერ არის დაწერილი, ბევრია ტექსტური ვარიაციები. აღსანიშნავია, რომ შემორჩენილ ხელნაწერებს შორის ორი ასლიც არ ემთხვევა სრულად ერთმანეთს.

სწორედ ამის შედეგი იყო ტექსტის კრიტიკის მეცნიერების დაბადება. როგორც კომოზევსკი, სოიერი და ვალასი (2006) განმარტავენ, ის არის მეცნიერება ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტის ასლების შესახებ, რომლის ორიგინალი უცნობია, ან არ არსებობს იმისათვის, რომ დავადგინოთ ორიგინალის ზუსტი რედაქცია. ასეთი რედაქციის დადგენის ამოცანა დგას ლიტერატურის უდიდესი ნაწილის შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ ისინი დაინტერა საბეჭდი დაზგის გამოგონებამდე, ანუ XV ს-მდე. ახალი აღთქმა არ წარმოადგენს ამ წესის გამონაკლისს.

მწერალი თომ ჩალისი (Tim Challies) ამასთან დაკავშირებით კითხვას სვამს: იმის გათვალისწინებით, რომ ორი ხელნაწერი არ არის ერთმანეთის ზუსტი ასლი, როგორ შეიძლება გვქონდეს ნდობა იმისა, რომ ბიბლია, რომელსაც ჩვენ დღეს ვფლობთ, არის ის ტექსტი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა? სწორედ ამიტომ უნდა ვიყოთ მადლობელები ტექსტის კრიტიკის მეცნიერებისა. იგი აანალიზებს და აფასებს ყველა გადარჩენილ ხელნაწერს, რათა აღადგინოს ორიგინალი ტექსტი.

დაახლოებით 138000 სიტყვაა ბერძნულ ახალ აღთქმაში. ასი ათასობით ვარიანტულ ასლში არ დასტურდება იკითხვისების ერთგვაროვნება. საშუალოდ, ამ ტექსტის თითოეული სიტყვისათვის თითქმის 3 ვარიანტი არსებობს.

ხელნაწერთა ვარიანტულ სხვაობებს 4 კატეგორიად ყოფენ. მართალია, ბეჭდურ აკადემიურ გამოცემებში მათი სისტემატი-

ზაცია არ ხდებოდა, მაგრამ თანამედროვე ტიპის აკადემიური გამოცემები უკვე იძლევა ამის საშუალებას:

1. ორთოგრაფია და უნებლივ შეცდომები: ხელნაწერთა ვარიანტები ერთმანეთისგან მეტწილად სწორედ ამ ნიშნით სხვაობს. ამ ცდომილებებს გავლენა არა აქვთ ტექსტის შინაარსზე. მაგ., ‘John’ ბერძნულში იწერება ორნაირად: ორი, ან ერთი ‘n’-ით. როგორ დაიწერებოდა, ეს დამოკიდებული იყო გადამწერზე. მეორე მაგალითად შეიძლება დასახელდეს ინგლისური განუსაზღვრელი ‘a’ / ‘an’ არტიკულის დაწერილობა ბერძნულში. ამ ტიპის ვარიანტები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ტექსტოლოგების უმრავლესობა მათ ყურადღებას არ აქცევს. არის ისეთი ცდომილებები, რომლებიც შეიძლება მიეწეროს გადამწერის გადაღლას, ან უყურადღებობას. მაგ., ვაშინგტონის კოდექსში (*Codex Washingtonianus*) გადამწერი წერს ‘and’-ს ‘Lord’-ის ნაცვლად. მოცემულ კონტექსტში პირველი სიტყვის გამოყენება ტექსტის აზრს არ ცვლის. ასევე, ბერძნულში ერთმანეთს ჰგავს ორი სიტყვა (*kai* და *kurios*), რაც ცდომილების საბაბს ქმნის.

2. მცირე ცვლილებები და ალიტერაციები: ესენი გავლენას ვერ ახდენს თარგმანზე. აქ შემოდის ცვლილებები სინონიმების გამოყენებაში. ეს კატეგორია შეიცავს აგრეთვე ვარიაციებს განსაზღვრული არტიკულის ხმარებაში საკუთარ სახელებთან. ბერძნულში, მაგ., საკუთარ სახელებს განსაზღვრული არტიკული შეიძლება დაერთოს და შეიძლება არც დაერთოს. ინგლისურში კი მისი დართვა გამორიცხულია. მაგ., ლუკას სახარების ერთ ადგილას (2.16) Mary და Joseph გამოიყენება, როგორც *The Mary* და *The Joseph*. სხვა ხელნაწერებში არტიკული არ იხმარება. ვარიაციებს ქმნის აგრეთვე სიტყვათა რიგის განსხვავებები. მაგ., ‘Jesus loves John’ ფრაზა ბერძნულში, ინგლისურისაგან განსხვავებით, შეიძლება გამოიხატოს სულ მცირე 16 განსხვავებული სახით, რაც არ ცვლის ტექსტის ძირითად მნიშვნელობას. სიტყვათა რიგის ცვლილებები ხშირია ხელნაწერებში, მაგრამ ეს შინაარსზე გავლენას არ ახდენს.

3. აზრობრივი ხასიათის ცვლილებები, რომლებიც არ არის „ქმედუნარიანი“, „სიცოცხლისუნარიანი“. მაგ., თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლები (2.9), XIII საუკუნის ერთი ხელნაწერი იყენებს ფრაზას ‘The gospel of Christ.’ ეს არის აზრობრივი ხასიათის ცვლილება, მაგრამ არა სიცოცხლისუნარიანი, რადგან თითქმის ყველა სხვა ხელნაწერში არის: ‘The gospel of God’. სხვა მაგალითები იძებნება მთელ სახარებაში, რამდენადაც გადამწერები ცდილობდნენ, ჰარმონიაში მოეყვანათ იკითხვისები სახარების ტექსტებს შორის. ასეთ დროს ისინი უფრო ამატებდნენ ტექსტს რომელიმე სახარებაში მეორე სახარებიდან, ვიდრე მეორე სახარებიდან აკლებდნენ ტექსტს.

4. აზრობრივი ხასიათისა და, ამავე დროს, „ქმედუნარიანი“, „სიცოცხლისუნარიანი“ ვარიანტები. ასეთი ხასიათის ცვლილებები წარმოადგენს დაახლოებით 1%-ს ყველა ტექსტურ ვარიანტში. ასეთ შემთხვევებში განსხვავებამ ხელნაწერებში შეიძლება გავლენა მოახდინოს პასაუის გაგებაზე. დანიელ ვალასი (Daniel Wallace) ავლენს რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს:

რომაელთა მიმართ ეპისტოლები (5.1) ზოგიერთ ხელნაწერში იკითხება ‘*We have peace*’, მაშინ როდესაც სხვა ხელნაწერებში არის: ‘*Let us have peace*’. არც ერთი იკითხვისი არ ეწინააღმდეგება ბიბლიის სწავლებას, მაგრამ თითოეულ პასაუს განსხვავებული დატვირთვა აქვს.

კონტექსტუალურად ახალი აღთქმის სხვადასხვა ხელნაწერს შორის უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს, ვიდრე მის ინგლისურ თარგმანებს შორის. ათასობით ბერძნული ხელნაწერია ხელმისაწვდომი, რომლებსაც ერთმანეთისაგან ადგილი და დრო აშორებთ, მაგრამ უფრო მეტი სიახლოვე აქვთ, ვიდრე მათ ინგლისურ თარგმანებს.

საინტერესოა ის, რომ არანაირ ტექსტს, რომელიც ძველი ბერძნულ-რომაული სამყაროდან მომდინარეობს, ორიგინალი არა აქვს შემონახული.

სავარაუდოა, რომ ავტორები თავადვე წერდნენ თავიანთ წიგ-

ნებსა და ეპისტოლებს, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთ მათგანს გადამწერები მოეშველიებინა, რომლებსაც უკარნახებდნენ და ჩანაწერინებდნენ. მაგ., რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლები გვხვდება ფრაზა, რომელიც მიუთითებს, რომ ტექსტს იწერს გადამწერი, ან ავტორის პირადი მდივანი ‘I, Tertius, who wrote down this letter, greet you in the Lord’ (Rom. 16:22; oხ. Gal. 6:11 და 1 Pe. 5:12).

დღეს, როდესაც ბევრი მუზეუმი და საცავი აციფრულებს ხელნაწერებს და ხელმისაწვდომს ხდის ფართო საზოგადოებისა-თვის, თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია იძლევა მათი უკეთ შესწავლის საშუალებას.

ხელნაწერი კულტურის კვლევის ცენტრი ჰამბურგში (The Centre for the Studies of Manuscript Cultures), რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში, ქმნის ფორუმს ჰამბურგის ჰამბურგისა-მეტყველო მეცნიერებებს შორის დიალოგისათვის, სახავს კარგად ფორმულირებულ ახალ ამოცანებს საბუნებისმეტყველო და გამოყენებითი მეცნიერებებისათვის და ხშირად გვთავაზობს პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც ვერ წყდება მხოლოდ ისტორიული და ფილოლოგიური მეთოდებით. ისინი ასაბუთებენ, განსხვავებული ტექნიკა და მეთოდოლოგია როგორი წარმატებით შეიძლება იქ-ნეს გამოყენებული ხელნაწერთა ანალიტიკური კვლევებისათვის. ამისი საბოლოო მიზანია საბუნებისმეტყველო და გამოყენებითი მეცნიერებების ინტეგრირება ჰამბურგისტულ მეცნიერებებში.

ბოლო წლებში მულტი- და ჰიპერსპექტრულმა გამოსახულებებმა, რომლებიც აღადგენს წამლილ ტექსტს პალიმფსესტებში, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. სურათების ციფრული დამუშავება აღიარებული გახდა პალეოგრაფიასა და კოდიკოლოგიაში.

დასავლეთში მეცნიერული დაინტერესება ხელნაწერებით კი-დევ უფრო გაიზარდა ბოლო ათწლეულში. ამაზე გავლენა მოახდინა ელექტრონული მედიის აღმავლობამ, რომელმაც განაპირობა ისტორიული და სისტემური გამოკვლევები ჰამბურგისტულ მეცნიერებებში და კულტუროლოგიაში. ამავე დროს, მრავალი

ახალი ხელნაწერი იქნა აღმოჩენილი აზიასა და აფრიკაში, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი და დიდი რაოდენობა ხელნაწერებისა (დაახლოებით 10 მილიონი) კატალოგიზებულ იქნა და ხელმისაწვდომი გახდა.

ხელნაწერთა კვლევას, მათ კატალოგიზებასა და მეცნიერული აღწერილობების გაკეთებას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. 1902 წელს თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა რუსულ ენაზე გამოსცა თედო ჟორდანიამ. მას შემდეგ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობები ტომეულების სახით გამოიცა როგორც ქართულ, ისე რუსულ და სხვა უცხოურ ენებზე.¹ გამოცემულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, სინური კოლექციის, ათონური კოლექციის, ლიტერატურის მუზეუმის, ცენტრალური არქივის ხელნაწერთა აღწერილობები. ისინი სასარგებლო გზამკვლევებს წარმოადგენს ხელნაწერებზე მომუშავე მკვლევარებისთვის.

ქართული ხელნაწერების შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ივანე ჯავახიშვილს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს, ილია აბულაძეს, ელენე მეტრეველსა და სხვებს, ასევე უცხოელ ქართველოლოგებს, რომელთაც არაერთი საინტერესო გამოკვლევით გაამდიდრეს ქართული ფილილოგიური მეცნიერება. მათი ცხოველი ინტერესი გამოიწვია უძველესი ქართული ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენამ. ამერიკელმა მეცნიერმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რ. ბლეიკმა გამოსცა ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული ფრაგმენტი. გერმანელმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა ი. მოლითორმა (Molitor, 1956) ლათინურ თარგმანთან ერთად გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის მიერ გამოცემული ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტის) საქმიანობა ამ მიმართულებით. დაარსების დღიდან

1 იხ. თავის ბოლოს დართულ ლიტერატურის სიაში.

(1958 წელი) დღემდე ცენტრის თანამშრომლები თავდაუზოგავად შრომობენ ხელნაწერთა მოვლა-პატრონობის, მეცნიერული შესწავლისა და ახალი მასალების გამოვლენის მიმართულებით. დაარსების 60 წლის იუბილეს, რომელიც სათანადოდ აღინიშნა, ცენტრი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობით შეხვდა. აქ დღე-საც მუშაობენ პირველი თაობის მეცნიერები: ზაზა ალექსიძე, მზექალა შანიძე, ნანული ცაგარეიშვილი, ენრიკო გაბიძაშვილი, ნარგიზა გოგუაძე, ლია კიკნაძე, ლალი ჯლამაია-გრიგოლია, ცი-სანა აბულაძე, მაია რაფავა, ეთერ ქავთარაძე, ლილი ხევსურიანი, ელენე მაჭავარიანი, ია გაჩეჩილაძე, ლიანა ახობაძე, ეთერ ბერუაშვილი და სხვები. მათ რიგებს სულ ახლახანს გამოაკლდა გამოჩენილი მეცნიერი მიხეილ ქავთარია.

ქართული ხელნაწერის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის წარმოსაჩენად, შევეხებით ერთ-ერთ ყველაზე ახალ პუბლიკაციას – „უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში“, რომელიც 2018 წელს დაიბეჭდა. ეს არის ილუსტრირებული კატალოგი, რომელშიც წარმოდგენილია X-XVIII საუკუნეებში ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამონასტრო კერებში შექმნილი და დროის გარკვეულ მონაკვეთში დაცული ხელნაწერები. კრებულის შემდგენლებს მოცემული აქვთ კატალოგის შედგენის პრინციპები, საიდანაც ირკვევა, რომ კატალოგში წარმოდგენილი ხელნაწერები 4 ჯგუფად დაუყვიათ: პირველ ჯგუფში ის ხელნაწერებია მოცემული, რომელთა გადაწერის ადგილისა თუ თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია ანდერძებშია დაცული, მეორე ჯგუფში – ის ხელნაწერები, რომელთა გადაწერის ადგილისა თუ თავდაპირველი ადგილმდებარეობის შესახებ მიგვანიშნებს ანდერძებსა თუ მინაწერებში ნახსენები ისტორიული პირი / მოვლენა; მესამეში – რომელთა შესახებაც არსებობს დადასტურებული ინფორმაცია მათი უცხოეთიდან ჩამოტანის შესახებ და მეოთხეში – რომელთა წარმომავლობა დადგენილია მათი კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული ანალიზისა და სტრუქტურის კვლევის საფუძველზე.

ხელნაწერები კატალოგში შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით არის დახასიათებული:

გადაწერის ადგილი / თავდაპირველი ადგილმდებარეობა;
რაობა და თარიღი;

დღევანდელი ადგილმდებარეობა, შიფრი;

მოკლე კოდიკოლოგიური აღნერილობა: ფურცელთა რაოდენობა, მასალა, ფურცლის ზომა, სტრიქონთა რაოდენობა, ნაწერის ზომა, სტრიქონებს შორის მანძილი, სვეტების რაოდენობა, სვეტებს შორის მანძილი, განკანონების ტიპი (Sautel – Leroy-ის Répertoire-ის მიხედვით). ვარსკვლავით მონიშნულია განკანონების ის ტიპები, რომლებიც Sautel – Leroy-is Repertoire-ის ჩამონათვალში არ დასტურდება;

დამწერლობის ტიპი (მთავრული, ნუსხური, მხედრული);

მხატვრული გაფორმება (არსებობის შემთხვევაში);

გადამწერი, მომგებელი, შემმოსველი (ამ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

ანდერძი / ნაწყვეტი ანდერძიდან / მინაწერი, რომელშიც მითითებულია ხელნაწერის გადაწერის ადგილი თუ მისი თავდაპირველი ადგილმდებარეობა, ან იმგვარი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ხელნაწერის წარმომავლობის გარკვევა;

ინფორმაცია ხელნაწერის ადგილმდებარეობის ცვლილებისა თუ საქართველოში მოხვედრის შესახებ;

ბიბლიოგრაფია.¹

წარმოვადგენთ ერთ ნიმუშს გამოცემიდან:

„გოლგოთა (იერუსალიმი)

თვენი, 1049 წ. (285 f)

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H – 2337

285 ფფ.; ეტრატი; 255x180; სტრ.: 27 / 29; [170x103]; სტრ. შორის მანძილი: 6; სვეტი: 1; P2 / 20D1

ნუსხური

გადამწერი: მიქაელი (285 f)

1 უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები... 2018: 16-18.

დამკვეთი: იოვანე გოლგოთელი (285 f)

შემმოსველები: ნისთერეონი (285 f), ბასილი აღ[დ]გომელი (283 f)

ანდერძი: „...დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოლუანებითა ღ(მერ)თშემმოსილისა და სახიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა იოვანე გოლგოთელისათა... ვინ ესე წიგნი რაც მიზეზითა გოლგოთისაგან გამოაწუას, შე-მცა-ჩუენებულ არს...“ (285 f).

1820 წელს ხელნაწერი ჯვრის მონასტრიდან რუსეთში წაიღო გიორგი ავალიშვილმა (1 f); ინახებოდა პეტერბურგში, რუსეთის სააზიო მუზეუმში. 1923 წელს გადაეცა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას.

ბიბლიოგრაფია: კოლექცია H, V, გვ. 232-233; ამირანაშვილი, სამუზეუმო განძეულობა, გვ. 3; მეტრეველი, გიორგი ავალიშვილი, გვ. 139-153.¹

ვფიქრობთ, ეს გამოცემა სრულყოფილად ასახავს ხელნაწერთა კვლევის თანამედროვე მდგომარეობას საქართველოში და მეცნიერებს დაეხმარება ანალოგიური კვლევითი სამუშაოების შესრულებისას.

§4. ხელნაწერი წიგნის ტრადიცია

დროთა განმავლობაში ხელნაწერის გავრცელების მეთოდები შეიცვალა და დაიხვეწა. დაიწყეს მათი სპეციალურ ყდებში ჩასმა, გაფორმება, მორთვა, რითაც II საუკუნის დასაწყისიდან საფუძველი ჩაეყარა ხელნაწერი წიგნის ტრადიციას.

ხელნაწერი წიგნები იწარმოებოდა ხელით, ძირითადად, ბერების მიერ, რომლებიც იყენებდნენ ბუმბულის ფრთის კალამსა და მელანს. ამ მეთოდით, პატარა წიგნსაც კი შეიძლება თვეები დასჭირვებოდა, ხოლო ბიბლიის ზომის წიგნს – წლები.

გადაწერილი წიგნები ბრიტანეთის დიდ ქალაქებში იყიდებოდა საკანცელარიო საქონლით მოვაჭრების მიერ. 1403 წელს

1 იქვე: 38.

ასეთმა მოვაჭრეებმა ლონდონში ჩამოაყალიბეს პროფესიული ორგანიზაცია, რომელმაც გავლენა მოახდინა ახალი საბეჭდი ტექნოლოგიების ათვისებაზე.

შუა საუკუნეების ევროპული ხელნაწერები, ძირითადად, რელიგიური შინაარსის წიგნებია, რომლებიც ასახავს ქრისტიანობის წესებს, დოქტრინასა და პრაქტიკებს, თუმცა მოიპოვება აგრეთვე ებრაული და მუსულმანური წიგნები და წიგნების სხვა ტიპები. მაგ., არაბმა ავტორებმა, მკვლევარებმა, კალიგრაფებმა და ხელოვნების მიმდევრებმა, ხელნაწერ პროდუქციასთან ერთად, შექმნეს მდიდარი ლიტერატურა, რომელიც ეხება წიგნების დეკორაციისა და შექმნის აქტუალურ საკითხებს. ამ ლიტერატურას კვლავაც პოულობენ და გამოსცემენ.

საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკასა და ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში დაცულია შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნების უდიდესი კოლექციები.

ხელნაწერ წიგნებში ხშირია მხატვრული დეკორაციები. ასეთ ხელნაწერებს ილუმინირებულს უწოდებენ. წიგნების ილუსტრაცია იყო ფუნქციური და დეკორატიული. ილუმინირებული საწყისი ასოები და ნახატი მინიატურები აღნიშნავდა ტექსტში მნიშვნელოვანი ნაწილების დაწყებას და მკითხველს საშუალებას აძლევდა, მოხერხებულად ესარგებლა წიგნით. ზოგი ილუსტრაცია ემსახურებოდა დოქტრინის უკეთ გაგებას, ზოგიც ამბის მარტივად გადმოცემას. ასე რომ, ილუმინირებულ ხელნაწერებში სურათებს თავისი დანიშნულება ჰქონდა. ზოგჯერ მკითხველები თავიანთ ნიშნებს ტოვებდნენ მათზე. ასეთი წიგნები ინტერაქტიული იყო. შუა საუკუნეების თითქმის ყველა ხელნაწერი შეიცავს საკმარის სივრცეს კიდეებზე – არშიებზე მკითხველის შენიშვნებისა და კომენტარებისათვის სურათისა თუ ტექსტის შესახებ. ამ მხრივ, ილუმინირებული ხელნაწერები განსხვავებულია მედიის სხვა ტიპებისგან.

წიგნების ხელით გადაწერა არ შეუწყვეტიათ საბეჭდი დაზგის გამოჩენისთანავე. XVI-ის ბევრი ტექსტის წინასიტყვაობაში

გამოხატული იყო მათი ავტორების (როგორებიც იყვნენ, მაგ., Wyatt, Surrey, Sidney) დამოკიდებულება, როგორი უხალისობით უგზავნიდნენ სტამბას თავიანთ ნაშრომებს. მათ ერჩივნათ, ისინი კვლავ ხელნაწერების სახით გავრცელებულიყო. თუმცა იყვნენ მწერლები, მაგ., ედმუნდ სპენსერი (Edmund Spenser), რომლებსაც დიდი სურვილი ჰქონდათ, გამოეყენებინათ სტამბის მიერ მოტანილი კომერციული შესაძლებლობები. ამდენად, მიუხედავად ბეჭდური ტექნოლოგიის განვითარებისა, ხელნაწერი და ხელნაწერი წიგნი მაინც მიიჩნეოდა ნორმალურ მედიუმად პუბლიკაციისთვის.



სურათი 1. ცნობილი ფრანგი მთარგმნელი და გადამწერი ჟან მიელო თავის საწერ მაგიდასთან. პარიზი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელნაწ. 9198, ფ. 19r.¹

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ქართული ხელნაწერი წიგნი შეიქმნა და განვითარდა თანადროულ ცივილიზაციულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის პირობებში. განსაკუთრებული გავლენა მასზე მოახდინა სირია-პალესტინასთან და კონსტანტინოპოლითან კულტურულმა კავშირებმა. საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა აითვისა

¹ წყარო: <http://www.philhist.unibe.ch/studies/study-programs/master-s-in-editorial-studies/index-eng.html>

ის გამოცდილება, რაც დაგროვილი ჰქონდათ მცირე, ახლო აღ-მოსავლეთისა და ბიზანტიის ქვეყნებს წერილობითი კულტურის სფეროში. ეს გამოცდილება ეხება როგორც წიგნის შემეცნებით-საგანმანათლებლო ფუნქციას, ისე მის მხატვრულ გაფორმებასა და საწარმოო პროცესებს. ევროპულ კულტურასთან კავშირმა ხელი შეუწყო ქართული ხელნაწერი წიგნის გრავირებისა და ბეჭდვითი საქმის განვითარებას.

შუა საუკუნეების ქართულ მონასტრებს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები იყო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ხელნაწერების დეკორაციის განვითარებისათვის. წიგნების დიდი რაოდენობა კეთდებოდა, ითარგმნებოდა, ხელახლა ინერებოდა და ორნამენტებით ირთვებოდა მონასტრებში, რომლებიც საკმაოდ ბევრი იყო საქართველოში (გელათი, ოშკი, ტბეთი, ობიზა, დავით-გარეჯა, მოქვი, შიო-მღვიმე და სხვ.). ხელნაწერი წიგნის ტრადიციის განვითარებაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ მონასტრებს უცხოეთში: შავ მთაზე ანტიოქიის ახლოს სირიაში, ათონის ივერთა მონასტერს, ჯვრის მონასტერს იერუსალიმის ახლოს და სხვ.

აქ ქართველი ბერები უცხოელ ბერებთან ერთად მუშაობდნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდა, ესწავლათ ბიზანტიიური წიგნის კეთების მეთოდები და მიეღოთ გამოცდილება მინიატურების ხატვის კუთხით. ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა ილუსტრირებული ხელნაწერები შეუკვეთეს კონსტანტინოპოლიში. მაგ., XI საუკუნეში ზაქარია ვალაშვერტელმა შეუკვეთა რამდენიმე ხელნაწერი; XII საუკუნეში თამარ მეფემ ბერძენ ოსტატ მიქაელ კორესელს შეუკვეთა ვანის ოთხთავი და სხვ.

ხელნაწერები, შესრულებული ბიზანტიიელი ხელოვანების მიერ, ან ორნამენტირებული ბერძენული ხელნაწერების შეგავსად, ძალიან პოპულარული იყო საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი გავლენას ახდენდა ქართული ხელნაწერის დეკორაციის ხასიათზე, რადგან მათი შემქმნელები დაუფლებულები იყვნენ ბიზანტიური წიგნის კეთების ხელოვნებას. ზოგჯერ ხელნაწერის

გამფორმებლები ცვლიდნენ ბიზანტიურ ნიმუშებს და იყენებდნენ ქართული ხელნაწერი წიგნის ორნამენტებისთვის დამახასიათებელ გარკვეულ ნიშნებს. ხელნაწერების ხელმეორე გადაწერის დროს, ავტორები ერთმანეთს უხამებდნენ ძველსა და ახალს, უცხოურსა და ადგილობრივს.

წიგნების ორნამენტირებაში აისახა ფრესკის მხატვრობის, ნაწილობრივ კი არქიტექტურისა და სკულპტურის ელემენტები. მინიატურები ატარებს ძალიან ბევრ ისტორიულად და ეთნოგრაფიულად საინტერესო მითითებებს. ტანსაცმელი, აღჭურვილობა, მონქობილობები ძალიან ხშირად ასახავს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების გემოვნებებს. ვხვდებით იარაღს, მეფეთა და ფეოდალთა ტანსაცმელს, სხვადასხვა რეგალიებს. ქართულ ხელნაწერებზე ხშირია ისტორიული პიროვნებების სურათები, აგრეთვე შემკვეთების პორტრეტები. მათი ტანსაცმელი ისევე საინტერესოა, როგორც ფრესკებსა და ხატებზე გამოხატული ტანსაცმელი.

V-VI საუკუნეების პალიტიკურსტები, გარდა იმისა, რომ ძველი ქრისტიანული ლიტერატურის თვალსაჩინო ძეგლებს წარმოადგენს, ხაზს უსვამს წიგნის კეთების ხელოვნების მაღალ დონეს და თვალსაჩინოს ხდის, რომ ძველ საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა ხელნაწერი წიგნის მორთვას. უძველესი ქართული ხელნაწერები მდიდარ მასალას შეიცავს ხელნაწერთა გაფორმების თავისებურებებისა და განვითარების დინამიკის შესასწავლად.

V საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნემდე, ქართული ხელნაწერი წიგნის შემკობამ გაიარა განვითარების რამდენიმე ეტაპი და თითოეული მათგანი ხასიათდება დადგენილი სახელოვნებო და სტილისტური მახასიათებლებით. ისეთი სახელოვნებო მეთოდები, როგორიცაა ტექსტის განაწილება გვერდზე ორ სვეტად, მელნის ფერის შერჩევა, ლამაზი ასოები, ტექსტის ცალკეული ნაწილების გამოყოფა საზედაო ასოებით, გაზრდილი კაპიტალური ასოები, დაწერილი ველებზე ტექსტის სვეტის ვერტიკალური ხაზების მიღმა – მოგვიანებით გახდა ქართული ხელნაწერი წიგნების მორთვის ხელოვნების საფუძველი.

ტექსტის გარკვეული სილამაზე მიიღწეოდა ასომთავრული ასოების გრაფიკული კონტურებით. ხანმეტ ლექციონარს (VII ს.), სინურ მრავალთაგვა (864 წელი) და ილუსტრირებული ხელნაწერების ადრეულ ნიმუშებს გვერდები დეკორაციის გარეშე აქვთ, მაშინ როდესაც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი თავად ხელნერას, დიდი ასომთავრული ასოების ლამაზ მოყვანილობას. შემდგომში გადამწერები იწყებენ სინგურის გამოყენებას, ასოები ხდება დეკორატიული, ისინი ატარებს ორნამენტის გარკვეულ ელემენტებს. IX-X საუკუნეებში ხელნაწერები იწერებოდა სამხატვრო ტექნიკით. ასეა შესრულებული ადიშის, ჯრუჭისა და სხვა ოთხთავები.

IX-X საუკუნეების ხელნაწერების (ადიშის, ჯრუჭის) დეკორაცია ჯერ არ იყო შეზღუდული შუა საუკუნეების ხელოვნების ნორმებით. ამ პერიოდის ოთხთავები გვიჩვენებს მახარობლების დგომას კოდექსებით ხელში. ხშირად მათ ხატავდნენ წყვილებად. ორნამენტული მოტივებისა და კომპოზიციების დიდი მრავალფეროვნება დამახასიათებელია როგორც ძველი ქართული ხელნაწერი წიგნებისთვის, ისე არქიტექტურული დეკორისთვისა და ფრესკებისთვის.

X საუკუნის მხატვრულ ხელნაწერებში, რომლებიც ასახავს საერო დეკორაციული სისტემის თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესს, გადამწერი ანგარიშს უწევს ტექსტის აგებულებას, მის შინაარსობრივ მხარეს უფარდებს წიგნის მხატვრულ არქიტექტონიკას.

XI საუკუნიდან ქართული ხელნაწერების დეკორაცია იძნეს სრულ სახელოვნებო ფორმას ორნამენტული ელემენტების კომბინაციასა და ტექსტში მათ განაწილებაში. მაგ., თითოეული სახარების წინ დახატულნი არიან მახარობლები. სახარებების პირველ გვერდებს აქვს მოსართავები, თითოეული სტროფი იწყება კაპიტალური ასოთი. მდიდრულ ხელნაწერებში ტექსტები ილუსტრირებულია.

ადრეულ XI ს-ში შუა საუკუნეების ხელოვნების დეკორატიული სტილი მკვიდრდება. დეკორაციის ზოგიერთი ელემენტი იხვენება და იკონოგრაფიული ნორმებიც დგინდება. ქრისტე და

იოანე ნათლისმცემელი იხატება წვერებითა და ულვაშებით. მასარებლები ნაჩვენები არიან საწერ მაგიდებთან და თითოეული მათგანი ხასიათდება ინდივიდუალური იკონოგრაფიული ნიშნებით. XI ს-ის ილუსტრირებულ ხელნაწერებს შორის გამოირჩევა ექვთიმე ათონელის სვინაქსარი: ხელნაწერს შემორჩენილი აქვს 72 მინიატურა, რომელიც ასახავს წმინდანებს და ეპიზოდებს ქრისტეს ცხოვრებიდან.

ყველა მთავარი ტენდენცია, რომელიც სუსტი იყო X საუკუნეში, კარგად ყალიბდება XI საუკუნეში. XII საუკუნეში დეკორაცია გახდა უფრო მდიდარი. XII საუკუნე წარმოდგენილია ხელნაწერთა ჯგუფით, რომელიც უნიკალურია თავისი სახელოვნებო თვისებებით, სამხატვრო მეთოდებითა და ფერებით. გამოირჩევა გელათის, ჯრუჭის, ვანის ოთხთავები, ასტრონომიული ტრაქტატი და სხვ. ზოგან ილუსტრაციები თხრობითი ხასიათისაა, ზოგან კი თხრობა ილუსტრირებულია ერთ გვერდზე განთავსებული მინიატურების წყებით.

XII-XIII საუკუნეები ქართული წიგნის ხელოვნების ისტორიაში მეტად საინტერესო პერიოდია. ამ დროიდან შემოგვრჩა მდიდრულად მოხატული და დასურათებული ხელნაწერები. საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიძლიერემ განაპირობა ხელოვნების დარგების განვითარება, კერძოდ, წიგნის მხატვრული გაფორმების მაღალი დონე. თავის მხრივ, ქართული წიგნის ხელოვნება ძლიერი ტრადიციების მატარებელი იყო: ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ელინისტურ სამყაროსთან, ხოლო შემდგომ, XI საუკუნიდან მოყოლებული, ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობამ საქართველო კულტურულად მაღალგანვითარებული ქვეყნების არეალში მოაქცია.

მძიმე ისტორიული კრიზისების პერიოდში ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი მუშაობა არ შეწყვეტილა. ისეთი ცხობილი ხელნაწერები, როგორიცაა მოქვის ოთხთავი (1300 წელი) და შიო-მღვიმის ოთხთავი (1304 წელი), შესრულდა მონღოლების ბატონობის პერიოდში.

ილუსტრირებული ხელნაწერი წიგნების უმრავლესობა სასულიერო შინაარსისაა, ასეთებია: ფსალმუნი, სვინაქსარი, სახარება და ა. შ. მინიატურებითაა შემკული ალავერდის ოთხთავი (A-484), რომელიც ანტიოქიაშია გადაწერილი; ვანის ოთხთავი (A-1335), რომელიც თამარ მეფისთვის გადაიწერა კონსტანტინოპოლის რომანას მონასტერში და ბერძენი მხატვრის, მიქაელ კორესელის, მიერ მოიხატა.

ზოგი ილუსტრირებული წიგნი საერო ხასიათისაცაა, ასეთებია: ასტრონომიული ტრაქტატი (XII ს.), ორიგინალური და თარგმნილი პოემებისა და ნოველების ხელნაწერები: „ვეფხისტყაოსანი“, „იოსებ ზილიხანიანი“, „ვისრამიანი“, „როსტომიანი“, „ქილილა და დამანა“, „შაჰნამე“ და ა. შ. ილუსტრირებულ საერო შინაარსის შრომებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები. XVII საუკუნის ხელნაწერების ორნამენტირებაში შეიმჩნევა სპარსული მინიატურული მხატვრობის გავლენა, რაც აიხსნება საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებით. რა თქმა უნდა, ეს ყველა ხელნაწერზე არ ითქმის. ზოგიერთი ავტორი გამოირჩევა ინდივიდუალურობითა და ორიგინალობით.

ელენე მაჭავარიანი ქართული ხელნაწერი წიგნების შექმნის პროცესში ხელოვნების განვითარების ორ მიმართულებას გამოყოფს: გრაფიკულსა და სამხატვროს. პირველის ნიმუშებია მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, ასტრონომიული ტრაქტატი, ურბნისის ოთხთავი და სხვ. მეორე ტიპს განეკუთვნება გელათის, მეორე ჯრუჭის, ვანის ოთხთავი, ექვთიმე ათონელის სვინაქსარი. ხელოვნების ეს ორი მიმართულება მრავალი საუკუნის განმავლობაში თანაარსებობდა.

ბევრი ქართული ხელნაწერი მდიდრულად არის დეკორირებული, ზოგში კი მხოლოდ საწყისი ასოებია მოხატული. არსებობდა ხელნაწერი წიგნის მორთვის გარკვეული რეპერტუარი, როგორიც იყო ორნამენტული ელემენტები და მინიატურული კომპოზიციები.

ხელნაწერთა ყდებს, ძირითადად, ტყავგადაკრული ხისგან ამ-

ზადებდნენ, ზოგ ყდას ოქრო-ვერცხლით ჭედავდნენ, ან ძვირფასი თვლებით რთავდნენ. ხელოვნების ძვირფასი ნიმუშია, მაგ., ბექა ოპიზრის მიერ მოოქრული ვერცხლით მოჭედილი სახარების ყდა.

შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნების განვითარებაში მატერიალური თუ მორალური წვლილი შეჰქონდათ უმაღლესი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებს. პირველ რიგში, ეს ითქმის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრებზე, რომელთა ღვაწლიც ფასადაუდებელია ქართული მწიგნობრობისა და კულტურის განვითარება-აღორძინების საქმეში. მათ სახელთან არის დაკავშირებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება, რომლებიც ხელნაწერი კულტურის აყვავების უმთავრეს კერძებს წარმოადგენდა.

ხელნაწერი წიგნების სიმდიდრე დამოკიდებული იყო შემკვეთების შესაძლებლობებზე. მაგ., ადიშის თხხთავის (რომელიც შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის მხატვრობის ადრეულ ნიმუშს წარმოადგენს), სიმდიდრეს განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ის გაკეთებული იყო შატბერდის მონასტრის წინამძლოლის, სოფრონის, შეკვეთით. იგი ერთადერთი მოხატული ხელნაწერია, რომელმაც IX საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია. XII საუკუნის ვანის სახარება დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან; იენაშის სახარება შეუკვეთა კათალიკოსმა ეპიფანემ და ა. შ. X საუკუნეში საბაწმინდის მონასტერში ერთი ხელნაწერი წიგნი გადამწერს, სახსრების უქონლობის გამო, სამონასტრო საცავში იმუამად არსებული ტყავისა და პაპირუსის გამოყენებით შეუქმნია. ეს ფაქტი ასახავს საწერ მასალასთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებს. ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორიაში გვხვდება პაპირუსზე, ანუ ჭილზე გადაწერილი მხოლოდ ორი წიგნი. ამათგან ერთი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ხოლო მეორე – პეტერბურგში.

ქართული ხელნაწერი წიგნების გადამწერთა მინაწერები ძალიან ხშირად შეიცავს საინტერესო შენიშვნებს შემკვეთების, ადგილისა და გარემოებების შესახებ, სადაც ხელნაწერი იწერებოდა. ბევრი გადამწერის სახელი ცნობილია, მაგრამ მინიატურული მხატვრობის ავტორებისა იშვიათია. კარგად ცნობილ ფრესკების

მხატვრებს შორის შეიძლება დასახელდეს მიქაელ მაღლაკელი, XII საუკუნის I ნახევრის მხატვარი, რომელმაც მოხატა მაცხვარიშის ეკლესია სვანეთში; დამიანე, XIV საუკუნის ქართველი მხატვარი, რომელმაც მოხატა უბისის ეკლესია; დავით აღმაშენებლის კარის მხატვარი თევდორე, რომელმაც მოხატა იფრარის, ლაგურკას, ნაკიფარის ეკლესიები სვანეთში. შეიძლება ასევე დავასახელოთ ავგაროზ ბანდაისძე – XIV საუკუნის კალიგრაფი და მხატვარი, სიაუშ ბეგ გურჯი და ალი ყული ჯაბადარი („ალი-ფრანგი“), რომლებიც მუშაობდნენ ირანში; ალექსი მესხიშვილი, დავით თურმანიშვილი, მღვდელი ალექსი ბაქრაძე და სხვები. ბევრი მათგანი საკმაოდ განაფული იყო კალიგრაფიაშიც.

ხელნაწერი წიგნის მომზადება რთული და შრომატევადი იყო. იგი მოიცავდა თანმიმდევრულ, ურთიერთდაკავშირებულ პროცესს, როგორიცაა პერგამენტის დამუშავება, მასზე ტექსტის დაწერა, ტექსტის გვერდების დახატვა, აკინძვა, ხელნაწერის დეკორაცია გრავირებით, მოჭედვა და ა. შ. ამ პროცესს წინ უძლოდა სანერი მასალისა და საშუალებების, ასევე წიგნის სტრუქტურის განსაზღვრისა და მისი ორგანიზების პროცედურები. მთელი ეს პროცესი მოითხოვდა სამუშაოს განაწილებას, სხვადასხვა უნარის მქონე სპეციალურად განვრთნილი ოსტატების მონაწილეობას.

წიგნის გადამწერი, მხატვარი, შემმოსველი და მკინძავი სხვადასხვა პირები იყვნენ. თითოეულის ღვანწლი ხელნაწერის ანდერძში აღინიშნებოდა ხოლმე. მაგ., ერთ-ერთი ნიმუში ასეთ ცნობას გვაწვდის: „დაინწერა ესე წიგნი წელითა ჩუენ ცოდვილთა – არსენი, იოანე და ოქროპირისათა... ლოცვა ყავთ ჩუენ უცბად მწერალთა და სერაპიონ მმოსელისათვა... მე ცოდვილმან თევდორე შევკაზმე“.¹ თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც გადამწერი და მხატვარი ერთი პირია. ზოგჯერ კი რომელიმე ოსტატი რამდენიმე ხელობას იყო დაუფლებული და ყველა ოპერაციას თვითონ ასრულებდა. ასეთი იყო, მაგ., ავგაროზ ბანდაისძე.

გადამწერ-კალიგრაფები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ

1 ვიმოწმებთ ზ. ჭუმბურიძის წიგნიდან, 2017: 29.

ხელნაწერი წიგნების სახელოვნებო ორნამენტების განვითარებაში. ისინი ანაზილებდნენ ტექსტის სვეტებს, არჩევდნენ მელანს, იყენებდნენ სინგურს, პოულობდნენ შესაბამის პოზიციებს ორნამენტებისა და დეკორაციებისთვის, რომელსაც შემდეგ მხატვრები ხატავდნენ. უნიკალური ხელნაწერები, ძირითადად, სრულდებოდა ძალიან კარგ პერგამენტზე.

წიგნის სანარმოო პროცესებთან დაკავშირებით საყურადღებოა ბუნებრივი მინერალებითა და ფერმენტებით შექმნილი მელან-სალებავების მრავალფეროვნება. ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა მცირე ცნობები შემოგვინახა შუა საუკუნეების წიგნის მოხატულობის, ფრესკული მხატვრობისა თუ ფერწერული ხატების ამ ტექნოლოგიების შესახებ. იმ სალებავებს შორის, რომელთაც შუა საუკუნეების კედლის მომხატველნი ან ხელნაწერი წიგნის შემოქმედნი ხმარობდნენ, განსაკუთრებული ადგილი სინგურს უკავია. ზოგადად, წითელი სალებავი სამი ტონალობის იყო: ფორთოხლისფერი, შინდისფერი და სინგური, ანუ ცეცხლისფერი. მართალია, ხელნაწერთა ძირითადი ტექსტები გადაწერილია სიმავემდე მისული მუქი ყავისფრითა და სინგურით, მაგრამ ასევე გამოიყენება ლურჯი, მწვანე, ყვითელი მელნები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ოქრომელანი.

ხელნაწერი წიგნი ძვირად ფასობდა. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, XI საუკუნეში ერთი საშუალო წიგნის გადაწერა 20-24 დრაპეკანი ღირდა (ერთი დრაპეკანი ოთხგრამიანი ოქროს ფულია). ექვთიმე მთაწმიდელის ცნობით, ცნობილ გადამწერ თეოფანე ხუცესს 1500 დრაპეკანზე მეტი ღირებულების წიგნები ჰქონია გადაწერილი. სხვა ცნობის მიხედვით, ერთი ხელნაწერი ცხენის ფასის ნახევარი ღირებულა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში 700-გვერდიანი ხელნაწერი 7 თუმნად გაყიდულა, ანუ ყოველი გვერდი ორ შაურად. ამ დროს კოდი პურიც დაახლოებით ორი შაური ღირდა (ჭუმბურიძე, 2017: 30).

ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა კარგად შემოინახა შუა საუკუნეებში წიგნის ორგანიზაციის ამსახველი მასალებიც.

არაერთ ეგზემპლარში, მათ შორის, ლიტურგიკული დანიშნულების წიგნებში, ვხვდებით არშიებზე გამოტანილ მარგინალურ და ტექსტებზე დართულ სადეკლამაციო ნიშნებს. მათი არსებობა განაპირობა ხელნაწერში დაცული ტექსტების ხმამაღლა კითხვის აუცილებლობამ. ამ ნიშნებმა საფუძველი ჩაუყარა პუნქტუაციისა და სანოტო ნიშნებს.

არშიებზე გამოტანილი მარგინალური ნიშნები უმეტეს შემთხვევაში მიუთითებს სქოლიოებსა და შენიშვნებზე. განსაკუთრებით ინტენსიურად ისინი გვხვდება XI-XII საუკუნეების ტექსტებში. აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ეტაპზე ბევრ ისტორიკოსს, ბიბლიოთეკარსა თუ წიგნის გამყიდველს ის უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე თავად ტექსტი.

წიგნის მნიშვნელოვან სტრუქტურულ მონაკვეთებს წარმოადგენს ზანდუკი. იგი თავდაპირველად ერთვოდა სახარების ხელნაწერებს და მასში მითითებული იყო ცალკეულ სადლესასწაულო დღეზე წასაკითხი მუხლები. ძველი ქართული ხელნაწერების ზანდუკი, ფაქტობრივად, წიგნზე დართული დღევანდელი სარჩევის, ანუ შინაარსის ფუნქციას ასრულებდა. ის ზოგჯერ წინ უსწრებდა სახარების ტექსტს, ზოგჯერ მოსდევდა მას.

ხელნაწერი წიგნის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტია ანდერძი. იგი, ზოგადად, შეიცავს წიგნის შექმნასა და მასში შესული თხზულებების ისტორიასთან დაკავშირებულ ცნობებს. ანდერძებიდან ვიგებთ მომგებლების, გადამწერების, ყდის ოსტატების ვინაობას, გადაწერის ადგილსა და პირობებს.

ანდერძები წათელს ჰერნს ამა თუ ეპოქისათვის დამახასიათებელ ზოგადკულტურულ მოვლენებს. ისინი გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას კულტურათა ურთიერთობისა და წიგნის შემეცნებითი არეალის გაფართოების შესახებ.

არსებობს მოცულობითი და მცირე ფორმის ანდერძები. ისინი გვაწვდის წიგნის შექმნასთან დაკავშირებულ ცნობებს (გადამწერისა თუ მომგებლის ვინაობა, წიგნის გადაწერის ადგილი, დრო, მიზანი და სხვ.).

ანდერძი მნიშვნელოვან და ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენს ხელნაწერის წარმომავლობის გარკვევის დროს. მის გარეშე ამგვარი კვლევა ვარაუდების სფეროს ვერ სცილდება. 2018 წელს გამოცემული კრებულის „უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში“ (რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი) შემდგენლები აღნიშნავენ, რომ არსებული მონაცემებით, ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში გადაწერილ იმ ხელნაწერთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოშია დაცული, 50-მდეა, თუმცა მათი რაოდენობა შესაძლებელია გაცილებით მეტი იყოს, მაგრამ ანდერძების უქონლობის გამო გადაწერის ადგილის დადგენა ვერ ხერხდება.

არსებობს წიგნის არშიებსა და საწყის ან საბოლოო ფურცლებზე დართული მცირე ტექსტები – მინაწერები, რომლებიც ეკუთვნით ცალკეულ ეგზემპლართან სხვადასხვა დროს დაკავშირებულ ადამიანებს – შემსყიდველებს, წიგნების განმაახლებლებს, ან უბრალოდ მკითხველებს.

§5. ქართველ რედაქტორ-შემდგენელთა საქმიანობა (გაბრიელ მცირის მაგალითზე)

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გამოცემათმცოდნეობა, როგორც ცოდნის ცალკე სისტემა, ხელნაწერ ტრადიციაში ჩაისახა. რედაქტორის ინსტიტუტიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. ქართული ხელნაწერები ამის დამადასტურებელ არაერთ საინტერესო მასალას შეიცავს. წინამდებარე პარაგრაფში წარმოვადგენთ ჩვენი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი სადოქტორო კვლევის (იხ. კალანდაძე, 2019) შედეგებს, რომელიც წარმოაჩენს ქართველ რედაქტორ-შემდგენელთა საქმიანობის სპეციფიკას თეოლოგიური ხასიათის კრებულების შედგენასთან მიმართებით, XVIII საუკუნის სასულიერო მოღვაწის, გაბრიელ მცირის, მაგალითზე.

ხელნაწერი წიგნებიდან გამოცემათმცოდნეობის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია თეოლოგიური კრებულები: „პატერიკები“ და „სწავლანი“. მათი შემდგენლები საუკეთესოდ ითავსებდნენ რედაქტორ-გამომცემლის ფუნქციას და არჩევდნენ მასალის მიწოდების ისეთ ფორმას, რომელიც ტექსტის უკეთესად აღქმაში დაეხმარებოდა მკითხველს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დავით გარეჯის ლავრაში მოღვაწე ცნობილი სასულიერო პირის – გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებულები.

XVIII საუკუნეში საღვთისმეტყველო კრებულების შემდგენლებს რამდენიმე პრობლემა უნდა გაეთვალისწინებინათ: მონასტრებში დაცული ძველი წიგნების დიდი ნაწილი გაცვეთილი და დაზიანებული იყო. ამასთანავე, მათი რაოდენობა არ იყო საკმარისი. ასევე ენობრივი ქსოვილის სიძველისა და ტერმინების უცოდინრობის გამო, ხშირ შემთხვევაში იმდროინდელ მკითხველს კარგად არ ესმოდა ძველი ტექსტები. გაბრიელ მცირემ მის შედგენილ კრებულებში ხსენებული პრობლემები გაითვალისწინა და, როგორც რედაქტორ-შემდგენელმა, მკითხველს ისინი ახლებურად შესთავაზა, იმგვარად, რომ უფრო გასაგები და ადვილად გასათავისებელი ყოფილიყო.

მის მიერ არის შედგენილი შვიდი საღვთისმეტყველო კრებული: „გვრგვინი“, „სამოთხის ყუავილი“, „ოქროს წყაროა“, „კლიტე“, „სუფევა“, „მანანა“ და „სამასეული“. ეს ხელნაწერი წიგნები კომპოზიციურად იმდენად მტკიცედ არის შეკრული, რომ რაიმეს დამატება ან გამოკლება დაარღვევდა მათ სტრუქტურულ მთლიანობას. ექვს მათგანს ერთვის „ბეჭედი“, სადაც წმიდა გაბრიელი განმარტავს შედგენის პრინციპებს და მათ საღვთისმეტყველო სიმბოლურ არსს. კრებულები თემატურად და შინაარსობრივად იმგვარადაა აგებული, რომ დედააზრი კარგად აღწევს მკითხველის გულსა და გონებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასულიერო ლიტერატურისთვის.

პატერიკები: პატერიკულ კრებულ „გვრგვინისთვის“ დართული „ბეჭდიდან“ ვიგებთ ამ სათაურის შემდგენლისეულ ახსნას.

როგორც გვირგვინი არის შემკობილი სხვადასხვა ძვირფასი თვლით, ისე ჩვენს სულს შეამკობს კრებულში წარმოდგენილი წმინდა თხრობები. რაც შეეხება კრებულის სტრუქტურას, მასში ხუთი თავია ადამიანის ხუთი გრძნობის შესაბამისად და თითო თავში ოცი თხრობაა. თხრობათა საერთო რიცხვი 100 უკავშირდება „ასი ცხოვარისა“ და თესლი კეთილის „ასეული“ ნაყოფის სიმბოლურ მნიშვნელობებს. თავებს თემატური სათაურები აქვს და შემავალი თხრობებიც ამ თემით არის გამთლიანებული. ასეთი შედგენილობა წიგნს კომპოზიციურ სიმტკიცეს ანიჭებს და მის საღვთისმეტყველო-შემეცნებით დანიშნულებას აძლიერებს.

წმიდა გაბრიელი მეთოდურად ამზადებს მკითხველს ხუთი ძირითადი საკითხის ზუსტად გაგებისათვის და, ამგვარად, ნაშრომის დედააზრი ზედმიწევნით აღწევს მკითხველამდე. ალსანიშნავია, რომ მეხუთე თავის ოთხმოცდამეთოთხმეტე თხრობიდან ტექსტი გამოყოფილია ქვეთავით: „ღმრთივშვენიერნი თხრობანი სულიერნი ღირსთა და პატიოსანთა დედათათვის“. ამ ქვეთავიდან წიგნის ბოლო თხრობამდე ტექსტები წმიდა დედათა შესახებაა. სასულიერო თხრობების შემდგომ დართულია „ბეჭედი“, რის მერეც არის სარჩევი, ანუ ზანდუკი. წიგნის თავებისა და მათში გაერთიანებული თხრობების სათაურებიდანაც ჩანს, რომ თითოეულ თავში წარმოდგენილ ძირითად საკითხს წმიდა გაბრიელი ოც-ოცი სხვადასხვა თხრობით ამყარებს და მრავალმხრივ განსწავლის მკითხველს.

მაგალითად, მესამე თავი, რომელიც ქველმოქმედებისა და მოწყალების შესახებაა, ისეთი თხრობებით არის წარმოჩენილი, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ადამიანისთვის ეს სათნოებები. გაბრიელ მცირის, როგორც შემდგენლის, უდიდეს ოსტატობას უნდა მივაწეროთ, რომ მხოლოდ თხრობების სათაურებიც კი მოძღვრავს მკითხველს. მაგალითად: „თუ ვითარ გლახაკთ მიმცემი ქრისტესა მისცემს“; „თუ ვითარ მოწყალებისა ძლით მკუდარი აღსდგა“; „მესტვირისათვის რომელი მოწყალებისა მიერ სცხონდა“;

„ათასისთავისათვის, რომელი მოწყალებამან საპყრობილით იხსნა“; „ჭეშმარიტისა მოწყალისათვის, რომელმან იხსნა სული კაცისა წარწყმედისაგან“; „მემტილისათვის, რომელი მოწყალებისა ძლით განიკურნა“; „თუ ვითარ მოწყალებისა მოქმედი შვიდწილად მიიღებს“; „ვითარმედ გლახაკთა მიმცემი მრავალწილად მიიღებს“; „ვითარმედ გლახაკთ მოწყალე ასწილად მიიღებს“. ამ ტიპის ქვესათაურები, წიგნის ლოგიკური სტრუქტურირებისა და მკითხველისთვის მასალის მიწოდების ფორმის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

ამ ქვეთავებში, გარდა იმისა, რომ მოწყალება განხილულია, როგორც მართლმადიდებლობისათვის აუცილებელი ქმედება, წარმოჩენილია მისი ძალა, როგორც მკურნალისა, საპყრობილიდან მხსნელისა, კეთილდღეობისა და ცხონების მომნიჭებლისა. თხრობებში წარმოდგენილი მაგალითები ეხება სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს: ასისთავს, მესტვირეს, მემტილეს, მდიდრებსა და გლახაკებს. ამიტომაც, თითოეული საკითხი მრავალმხრივ გასაგები ხდება პატეტიკული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ პატერიკული კრებულის რედაქტორ-შემდგენლისეული კონცეფცია მაქსიმალურად შეესატყვისება წიგნის დანიშნულებას.

„გვრგვნის“ თხრობების შედარებამ სხვა პატერიკებთან ცხადყო, რომ ტექსტები მასში გადამუშავებული სახითაა შეტანილი. წმიდა გაბრიელმა არსებული თხრობების სიუჟეტები გამოიყენა და მათ ახლებური სახე მისცა. ენობრივი ქსოვილი და თხრობის აგებულება იმგვარად გამართა, რომ თავისი თანამედროვე მკითხველისთვის ადვილად გასაგები ყოფილიყო, თვით პატერიკები კი შინაარსით შეაკავშირა მათი საერთო სათქმელის განსამტკიცებლად და დიდაქტიკური ზემოქმედების გასაძლიერებლად.

პატერიკულ კრებულ „სამოთხის ყუავილში“ თითოეული თავი ათი სასულიერო თხრობისგან შედგება და ყოველი თხრობა შინაარსის მიხედვით არის დასათაურებული. მათში წარმოდგენილი

თემებია: სიმდაბლე და სიმშვიდე; მორჩილება; აღსარება და სინაწყლი; მოთმინება; მარხვა და ლოცვა; მოწყალება; სიმართლე და ჭეშმარიტება; სიწმიდე; სარწმუნოება და სიყვარული. დასაწყი-სიდან ტექსტის დასასრულამდე, ყოველი საკითხი ათი სხვადასხვა თხრობითაა დადასტურებული და განმტკიცებული. ასეთი შედგე-ნილობა ნაშრომს კომპოზიციურ სიმტკიცეს ანიჭებს. ამგვარად, მკითხველს საშუალება ეძლევა თითოეული საკითხი ათი სხვა-დასხვა სწავლებითა და მაგალითით შეიმეცნოს. წმიდა გაბრიელი განმარტავს წიგნის სტრუქტურის სიმბოლურ მნიშვნელობასაც: 10 თავი – ათი მცნება, 100 – კეთილი თესლის ასეული ნაყოფი.

მართალია, კრებულში წარმოდგენილი თხრობების ავტორი გაბრიელ მცირე არ არის, მაგრამ მას ყოველი თხრობა ორიგი-ნალურად აქვს გადაწყვეტილი და ახლებურად გაფორმებული. თითოეული თხრობა რამდენიმე ნაწილს მოიცავს. პირველი – შე-სავლის მსგავსი ნაწილი – წმიდა წერილიდან მოტანილი ამბით და ციტატით არის გამყარებული. მთელ წიგნში სასულიერო ხასიათის ასი თხრობაა და ეს პრინციპი თითქმის ყოველ მათგანშია გატა-რებული. ამ წინასწარი განწყობის შექმნის შემდეგ მოთხრობილია თვით ამბავი – პატერიკი. ამის შემდეგ არის მონაკვეთი შეგონები-სა და დალოცვისა, რომელიც იწყება მიმართვებით. მაგალითად: „ამისთვის გლოცავ და გევედრები“, „საყუარელნო ძმანო“ და ა. შ.

„სამოთხის ყუავილის“ ბეჭდიდან ვიგებთ, რომ გაბრიელ მცი-რეს წიგნში წარმოდგენილი თხრობები უკვე არსებული წიგნიდან სათაურით „სამოთხე“ შერჩევით ამოუკრებია. ტექსტთა შედა-რებითი ანალიზი ადასტურებს, რომ კრებულ „სამოთხიდან“ გამოკრებილი სიუჟეტები „სამოთხის ყუავილში“ გადამუშავე-ბული სახითაა შეტანილი. გაბრიელ მცირემ ისარგებლა არსე-ბული სასულიერო ქადაგებებითა და თხრობებით, მაგრამ მათ ახლებური სახე და ფორმა მისცა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „სამოთხის ყუავილში“ შემავალ თხრობათა სიუჟეტების უმეტესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე მეტ თანხვედრას თეოფილე ხუცესმო-

ნაზონის ხელნაწერთან ამჟღავნებს (93 თხრობა). ამ უკანასკნელს დასაწყისი აკლია, მაგრამ მისი მინაწერებიდან ირკვევა, რომ წიგნს „სამოთხე“ ჰქონდა სათურად. „სამოთხის ყუავილი“ გარკვეულ თანხვედრაშია „ანბანურ პატერიკთანაც“; ასევე მცირე შინაარ-სობრივი მსგავსება აქვს ითანე მოსხის „სამოთხესთან“.

„სამოთხის ყუავილში“ შემავალ თხრობებს ჰომილეტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. ამას ცხადყოფს სარჩევის შემდგომი მინაწერი: „და უკეთუ კუალადცა ჰსუროდეს ვისმე მადლისა შეძინება, რომელიცა ამათგანი სულიერნი თხრობანი დაშთენ, წმიდათა დიდთა მარხვათა თვითოულსა დღესა ნარუკითხვიდეს ერსა...“. სავარაუდოდ, თხრობებს მთელი წლის განმავლობაში კვირაობით და, სურვილის შემთხვევაში, სხვა დღეებშიც კითხულობდნენ. ამ აზრს ამყარებს ამონარიდი „სამოთხის ყუავილის“ 81-ე თხრობიდან: „ამისთვის გლოცავ და გევედრები, ქრისტეს მიერ საყუარელნო, პატიოსანნო მსმენელნო“. „მსმენელნო“ ამ შემთხვევაში მრევლზე მიანიშნებს.

სწავლანი: ასეთივე საინტერესო რედაქტორ-შემდგენლობითი კონცეფცია უდევს საფუძვლად გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ იმ კრებულებსაც, რომლებშიც „საღვთისმეტყველო სწავლანი“ არის წარმოდგენილი. „ოქროს წყარო“ წარმოადგენს ითანე ოქროპირის სწავლათაგან შედგენილ კრებულს. წმიდა გაბრიელი ამ შრომის ბოლოს დართულ „ბეჭედში“ გვამცნობს: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების „ოქროს წყარო“, მით: რამეთუ ოქროს პირისაგან ოქროს წყაროსა ჯერ არს წამონაკადულებად. წიგნის სტრუქტურის შესახებაც „ბეჭედიდან“ ვიგებთ. იგი 33 თავისაგან შედგება განკაცებული უფლის ასაკის შესაბამისად, თითო თავში კი სამ-სამი სწავლაა. წმინდა წერილის მიხედვით, ნათქვა-მის დასამტკიცებლად ორი-სამი მოწმეა საჭირო და ეს სწავლებები ასეთივე მტკიცებულებაა მათი ძირითადი აზრისა. სწავლათა საერთო რაოდენობა – 100 კი აქაც, ისევე როგორც პატერიკულ კრებულ „გვრგვეში,“ სახარებისეული „100 ცხოვარის“ და თესლი კეთილის „ასეული“ ნაყოფის შესაბამისია.

„კლიტეც“ იოანე ოქროპირის სწავლათაგან შედგენილი კრებულია. გაბრიელ მცირე ტექსტზე დართულ „ბეჭედში“ წიგნის შედგენის პრინციპის შესახებ წერს, რომ კრებულის სწავლათა რაოდენობა – 30 უკავშირდება მთვარის განახლების ციკლს, იესო ქრისტეს ასაკს მისი ნათლისღებისას და ზეცისკენ მიმავალ 30-საფეხურიან კიბეს, რომელზე აღმავალი მონაზვნებიც სასუფეველს იმკვიდრებენ. წიგნის სათაური ასეა განმარტებული: „ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების კლიტე... რამეთუ რომელმან ალასრულნეს ტკბილნი ესე ღმრთივშვენიერნი სწავლანი, ნამდვილვე განეხმიან მას კარნი წყალობისანი და შევალს უოხჭნოსა დიდებასა...“ კვლევამ ცხადყო, რომ გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი „კლიტის“ ტექსტი მომდინარეობს სწავლათგან, რომელიც დართული აქვს ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ წიგნს „თარგმანებად მათეს სახარებისაა“. ამ მხრივ „კლიტის“ მხოლოდ ერთი თხრობაა გამონაკლისი, რომელიც მომდინარეობს „თარგმანებად მათეს სახარებისაა“ განმარტებებიდან და არა მასზე დართულ სწავლათაგან.

კრებულში „სუფევა“ შემავალი ტექსტები ბასილი დიდის სწავლათაგან არის გამოკრებილი. წიგნის სახელწოდების მნიშვნელობას გაბრიელ მცირე ნაშრომის ბოლოს დართულ „ბეჭედში“ განმარტავს: „და ეწოდების ამას „სუფევა“, მით, რამეთუ... ვასილი სუფევად გამოითარგმანების“. „სუფევა“ შედგება თორმეტი სწავლისაგან, ესენია: სარწმუნოებისათვის წმიდისა სამებისა; სიყვარულისათვის ღმრთისა; სურვილისათვის ღმრთისა; სიმდაბლისათვის; სამარადისოსა ლოცვისათვის და მადლობისათვის ღმრთისა; მოწყალებისათვის გლახაკთასა; ანგაპართა მიმართ; მოვახშეთა მიმართ; მრისხანეთათვის; მოშურნეთა მიმართ; სინანულისათვის და ღმობიერებისათვის.

სწავლათა რაოდენობას, ანუ რიცხვ თორმეტს გაბრიელ მცირე თორმეტი წლის იესოს მიერ ტაძარში ქადაგებას, მის მიერ არჩეულ მოციქულთა რაოდენობას, დღის თორმეტ ჟამს, ისრაელის თორმეტ ტომს და 12 საყდარს უკავშირებს. ამ თორმეტ სწავლას

მოსდევს: „ეპისტოლე წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისა, ღმრთისმეტყველისა გრიგორის მიმართ“ და „გრიგორის მიერ ღმრთისმეტყველისა დიდისა ვასილის საფლავსა ზედა წარწერილი სიტყვანი“. წიგნში შემავალი სწავლები ნათარგმნია ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ.

კრებულ „მანანას“ ბოლოს დართულ „ბეჭედში“ განმარტებულია მისი სათურისა და შედგენილობის სიმბოლური მნიშვნელობა. „მანანა“ კრებულს ჰქვია მისი ტკბილსიტყვაობისა და ღვთისმშობლის სიყვარულის გამო, რომელმაც მოგვცა პური ცხოვრებისა. კრებული შედგება 40 ძველი და ახალი შესხმისაგან. ამ რიცხვის სიმბოლურ მნიშვნელობაზე კი გაპრიელ მცირე იგონებს ნოეს გამოსვლას კიდობნიდან 40 დღის შემდგომ, მოსე წინასწარმეტყველის მიერ 40-დღიანი მარხვის შემდეგ ღვთის ხილვას და სჯულის მიღებას, ილია წინასწარმეტყველის მიერ 40-დღიანი მარხვის შემდეგ ღვთის ხილვას და ცეცხლოვანი ეტლით ცად ამაღლებას, 40 დღის იესოს მიერ მართალი სვიმეონის „მკლავთა განწმენდას“ და მაცხოვრის მიერ 40-დღიანი მარხვის შემდეგ ეშმაკის განდევნას.

„მანანაში“ შემავალი თხრობები შედგება ოთხი ნაწილისან: შესხმა წმიდათა, თხრობა სულიერი, სწავლება და ლოცვა. თხრობების შედგენილობა, მათი ფორმისა და შინაარსის ამგვარი გააზრება ქართულ სასულიერო ლიტერატურაში სხვაგან არსად იძებნება. გაპრიელ მცირე მნიშვნელობას ანიჭებს ოთხის სიმბოლიკასაც. ეს უკავშირდება მახარებელთა რაოდენობას და ქვეყნის ოთხ კიდეს.

„მანანას“ ორმოცი შესხმიდან პირველი თორმეტი ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი, სამი – იესო ქრისტესადმი, ორი – ცხოველსმყოფელი ჯვრისადმი, ორი – ანგელოზებისადმი, სამი – იოანე ნათლისმცემლისადმი, სამი – მოციქულებისადმი, სამი – მოწამეებისადმი, ოთხი – მღვდელმთავრებისადმი, ოთხი – ღირსი მამებისადმი, ერთი – ილიასადმი, ერთი – წმიდა მეფეებისადმი, ერთი – მართალთადმი და მეორმოცე ისევ ყოვლად-

წმიდა ღვთისმშობლისადმი. ტესტში არის თხრობები, რომლებიც საქართველოს ეხება და მათი პირველწყაროები ქართულ ენაზეა შექმნილი. მათ შორის: წმიდა ნინოს ცხოვრება, გაბრიელ ქართველის მიერ ყოვლად წმიდა მთაზე წმიდა ღმრთისმშობლის ხატის ზღვიდან გამობრძანების თხრობა და სხვა. წიგნის სარჩევიდან ცხადი ხდება, რომ მასში შემავალი ყველა თხრობა შესაბამისი დღესასწაულების დროს იკითხებოდა.

კიდევ ერთი კრებული – „სამასეული“ მოიცავს სამი წმიდა მამის: გრიგოლ ღმრთისმეტყველის (IV ს.), ბასილი დიდისა (IV ს.) და მაქსიმე აღმსარებლის (VI-VII ს.) 100-100 სულიერ სწავლას. წიგნის შედეგნასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებია გაბრიელ მცირის სულიერი შვილის, პორფირის, ხელნაწერში. ის ტესტის – „ეპისტოლე მშობელთა მიმართ“ – ბოლოს წერს: „სხუანიცა იგი სწავლანი დიდებულისა ღმრთის-მეტყუმდისა გრიგორისნი და დიდისა ვასილისნი და წმიდისა მაქსიმესნი, რომელი ფრიადითა შრომითა პოვნილ არიან და ფრიადითა გულს-მოდგინებითა წმიდათა შინა წერილთა მამისა ამის ჩემისა მიერ სულიერისა.“ სულიერ მამაში იგულისხმება მისი მოძღვარი გაბრიელ მცირე.

„სამასეულის“ პირველ განყოფილებაში შედის: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა გრიგორი ღმრთისმეტყველისანი“. ამ ნაშრომის პირველწყარო არის წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თხზულება: „სწავლანი სულიერნი წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისანი“. მეორე განყოფილებაში შედის: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისნი“. ამ ნაშრომის პირველწყაროა წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თხზულება: „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისანი სწავლანი ღოცვისათვეს და სხუათა თითოსახეთა სათხოებათათვეს საცხოვრებელად სულისა“. მესამე განყოფილებაში შედის: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებელისანი“. ამ ნაშრომის პირველწყარო კი არის წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თხზულება: „სწავლანი სულიერნი წმიდისა მაქსიმე აღმსარებელისანი“.

ყურადღებას იმსახურებს საღვთისმეტყველო კრებულების მხატვრული გაფორმებაც: თავკიდურ ასოთა დახვენილი ფორმები და სიმბოლური მნიშვნელობის მქონე მინიატურები. მაგალითად, კრებულ „კლიტეს“ სატიტულო გვერდზე გამოსახულია ორი გასაღები, რომლებიც კომპოზიციურად ისეა განლაგებული, რომ ტაძარში შემავალი კარის ფორმას ქმნის.

ძალზე საინტერესოა მხატვრული კომპოზიციები, რომლებ-საც ერთგვარი სქემის სახე აქვს. თითოეულ შემთხვევაში ფურცლის ქვედა ნაწილში გამოსახულია დოქი, რომლის შიგნითაც ჩახატულია კონკრეტული ცოდვის სიმბოლო. მაგალითად, მცონარებისა – გომბექო, ამპარტავნებისა – ფარშევანგი, ანგარებისა – მგელი, შურისა – გველემაპი, მრისხანებისა – ლომი და არაწმინდებისა – ვაცი. ამ დოქების თავიდან კი გათავისუფლებული ჯინივით ამოდის განშტოებები წარწერებით, რომლებშიც წარმოჩენილია ამ ცოდვის კონკრეტული გამოვლინებები.

განხილული მინიატურები არ არის მხოლოდ შემკულობა. მათ ღრმა კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ საკითხის თვალსაჩინოდ წარმოჩენას, სწავლათა სიღრმისეულ გააზრებასა და მკითხველის სულიერ განვითარებას.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერი წიგნების შედგენასა და გამრავლებასაც, ისევე, როგორც ბეჭდური წიგნების გამოცემას, საფუძვლად ედო მკვეთრად ჩამოყალიბებული კონცეფცია, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული გამოცემათმცოდნეობის თეორიული საკითხების შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი / ცხოვრება და მოღვაწეობა / / სტატიების კრებული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სა-მეცნიერო საზოგადოება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966.

2. ახალაძე, ლ. ჯავახეთის წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I: <http://dl.sangu.edu.ge/pdf/qapvols/qap-v1-5.pdf>
3. გელაშვილი, ი. გოგოლაძე, თ. X-XI საუკუნეების უცნობი ეპიგრაფიკული დიპლომატიკის ძეგლი მოხისის ღმრთაების ეკლესიიდან, უურნალი „ისტორიანი“. №5 (65), თბ., 2016.
4. გრიგოლია, კ. ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა: აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, კრებული, საქ. სარ მეცნ. აკად., გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966.
5. დანელია, კ. ძველი ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
6. დანელია, კ., სარჯველაძე, ზ. ქართული პალეოგრაფია, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 1997.
7. ლომთათიძე, გ. რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1957.
8. მუსხელიშვილი, ლ. ბოლნისი, „ენიმკის მოამბე“, III, თბ., 1938.
9. ნინიძე, მ., ნეკრესისა და რუსთავის ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XVII-XVIII, თბ., 2016.
10. ოთხმეზური, გ. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
11. პატარიძე, რ. ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, „მნათობი“, I, თბ., 1984.
12. პროექტი „საქართველოს ეპიგრაფიკული კორპუსი“: <http://epigraphy.iliauni.edu.ge/>
13. პროექტი „არმაზი“: <http://armazi.uni-frankfurt.de/armaziII/enebi/kartuli/damcerloba/carc.html#urbnisi>
14. სარჯველაძე, ზ. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, განათლება, თბ., 1984.
15. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). კორნელი კეკელი-

ძის საერთო რედაქციით, ტომი III. შედგენილია და დასაბეჭდად გამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1948.

16. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტომი V. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ ალ. ბარამიძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1949.

17. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. ტომი IV. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1950.

18. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტომი II. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ ილია აბულაძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1951.

19. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). ტომი VI. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ ალ. ბარამიძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1953.

20. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწე-

რები (A) კოლექცია. კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. ტომი IV. შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1954.

21. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A) კოლექცია. ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით. ტომი V. შეადგინა ლილი ქუთათელაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1955.

22. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია. ტომი I. შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1957.

23. სვანეთის წერილობითი ძეგლები X-XVII საუკუნეებში. ტომი I. ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ., 1986.

24. სილოგავა, ვ. ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, მაცნე ისტორიის სერია, თბ., 1972, №4.

25. სილოგავა, ვ. ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, „მეცნიერება“, თბ., 1994.

26. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 1947.

27. სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს ალმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მზექალა შანიძემ, ლილი ხევსურიანმა და მიხეილ ქავთარიამ. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი. საქართველოს

საპატრიარქო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი – ათენი. 2005.

28. უცხოეთში გადაწყერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში. შემდგენლები: ვლადიმერ კეკელია, ნათია მიროტაძე, თამარ ოთხმეზური, დალი ჩიტუნაშვილი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2018.

29. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი II: ნაკვეთი 1: დასავლეთ საქართველოს წარწერები IX-XIII სს. / შემდგენელი: ვალერი სილოგავა; მთავარი რედაქტორი: შ. ძიძიგური; სერიის რედაქტორი: ზ. ალექსიძე; ტომის რედაქტორები: ზ. ალექსიძე, ნ. შოშიაშვილი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, თბ., 1980.

30. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (XI-XIII სს.), თბ., 1980.

31. ქართული წარწერების კორპუსი: ლაპიდარული წარწერები: 1: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს. / შემდგენელი: ნ. შოშიაშვილი; მთავარი რედაქტორი: შ. ძიძიგური; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, თბ., 1980.

32. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. წიგნი I. შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ აკად. კ. კეკელიძის რედაქციით. საქართველოს სსრ საარქივო სამმართველო, თბ., 1949.

33. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა. ტომი II. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1958.

34. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი I. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ

მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1959.

35. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი II. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1961.

36. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი III. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1963.

37. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი IV. შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, ლ. კივნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქაჯაიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძის და ც. ჭანკიევის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1965.

38. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი V. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, თ. ენუქიძემ, ლ. კივნაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა ე. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1967.

39. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი VI. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა ე. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1969.

40. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I1. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1973.

41. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ტომი VII. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1973.

42. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I2. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯლამაიამ ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1976.

43. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია. I ნაკვეთი. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯლამაიამ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1978.

44. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია. II ნაკვეთი. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ც. ჭანკიევმა და ლ. ჯლამაიამ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1979.

45. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I3. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1980.

46. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I4. შეადგინეს და დასაბეჭდად

მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1985.

47. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია. ნაკვეთი I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაქიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურციკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ და ნ. ჩხილვაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1986.

48. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი III. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1986.

49. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია. III ნაკვეთი. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს რ. გვარამიამ, ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა და ლ. ჯლამაიამ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1987.

50. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი II₂. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, ელ. მეტრეველმა, მ. ქავთარიამ, ც. ჭანკიევმა ელ. მეტრეველის რედაქციით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 2004.

51. ქართული ხელნაწერი წიგნი (V-XIX სს): ელექტრონული ალბომი. შეადგინეს მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხილვაძემ, თამარ აბულაძის მონაწილეობით. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ.: <http://geomanuscript.ge/Kartuli-Khelnawero-Albomi.pdf>

52. ქაჯაია, ლ. ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში: პალეოგრაფიული ძეგბანი, II, თბ., 1969.

53. ყიფიანი, გ. ბოლნისის სიონის სამი უადრესი წარწერა, 2010: se-

- mioticsjournal.wordpress.com/2010/11/25/გურამ-ყიფიანი_-ბოლნისის-ს/
54. შოშიაშვილი, ნ. ურბნისის ძველი ქართული წარწერები, პალეოგრაფიული ძებანი, I, თბ., 1965.
 55. ცისკარიშვილი, ვ. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.
 56. ნერეთელი, გ. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.
 57. ჭილაშვილი, ლ. ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.
 58. ჭილაშვილი, ლ. ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2004.
 59. ჭუბურიძე, ზ. ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები, გამომცემლობა „ნიგნი+ერი“, თბ., 2017.
 60. ჯავახიშვილი, ივ. ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
 61. Описание рукописей Тифлисского Церковного музея Карагалино-Кахетинского духовенства, составленное Ф. Д. Жордания. Книга II, Издание Церковного музея № 9, Тифлис, 1902.
 62. Описание рукописей “Общества распространения грамотности среди грузинского населения”. Том I, Вып. 1-4. Перепечатано изъ XXXI, XXXII, XXXIII, XXXIV Вып. “Сборника материаловъ для описанія местностей и племень Кавказа”, Издание Управления Кавказского Учебнаго Округа – Тифлисъ, 1902-1904.
 63. Описаніе рукописей Тифлисского церковнаго музея Карагалино-Кахетинского духовенства составленное Ф. Д. Жордания. Книга I. Издание церковнаго музея, N 12. Тифлисъ, 1903.
 64. Описание рукописей “Общества распространения грамотности среди грузинского населения”. Том II, Вып. 1. Перепечатано изъ XXXVI Вып. “Сборника материаловъ для описанія местностей и племень Кавказа”. Издание Управления Кавказского Учебнаго Округа. Тифлисъ, 1906.
 65. Описание рукописей “Общества распространения грамотности среди грузинского населения”. Том II, Вып. 1-4. Перепечата-

тано изъ XXXVI, XXXVII, XXXIX, XL, XLI, XLII Вып. “Сборника материа́ловъ для описа́ния местно́стей и племенъ Кавказа”. Издание Управления Кавказского Учебного Округа. Тифлисъ, 1906.

66. Описаніе рукописей церковнаго музея Духовенства Грузинской Епархіи. Книга III. Издание церковнаго музея, N 13. Тифлисъ, 1908.

67. Описание рукописей “Общества распространения грамотности среди грузинского населения”. Том II, Вып. III. Перепечатано изъ XXXIX Вып. “Сборника материа́ловъ для описа́ния местно́стей и племенъ Кавказа”. Издание Управления Кавказского Учебного Округа. Тифлисъ, 1908.

68. Описание Грузинских Рукописей Синайского монастыря, составленное Н. Я. Марр, Академия наук СССР. Москва, Ленинград, 1940.

69. Aland, K., & Aland, B. (1989). *The Text of the New Testament: An Introduction to the Critical Editions and to the Theory and Practice of Modern Textual Criticism* (2nd Edition ed.). (E. F. Rhodes, Trans.) Grand Rapids, MI: Eerdmans.

70. Arlandson, J. (2007). New Testament Manuscripts: Discovery and Classification: <https://www.americanthinker.com/articles/2007/02/new-testament-manuscripts-disc.html>

71. Bolle, K. Machado, C. Verlag, Witschel, and C. (eds.) (2017). *The Epigraphic Cultures of Late Antiquity*, Heidelberger Althistorische Beiträge und Epigraphische Studien, Stuttgart:

72. https://www.academia.edu/37321066/Christian-and-Late-An- tique_Epigraphies?auto=download

73. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque A Jérusalem par Robert P. Blakj – Extrait de la Revue de l’Orient Chrétien 3c Serie, T.III (XXIII), N 3 et 4 (1922-1923), pp. 345-413. Paris, 1924.

74. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque A Jérusalem par Robert P. Blake – Extrait de la Revue de l’Orient Chrétien 3c Serie, T.IV (XXIV), N 1 et 2 (1924), pp. 190-210. Paris, 1924.

75. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque A Jérusalem par Robert P. Blake – Extrait de la Revue de l’Orient

- Chrétien 3c Serie, T.IV (XXIV), N 3 et 4 (1924), pp. 387-429. Paris, 1924.
76. Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque A Jérusalem par Robert P. Blake – Extrait de la Revue de l’Orient Chrétien 3c Serie, T.IV (XXIV), N 1 et 2 (1925-1926), pp. 132-135. Paris, 1926.
77. Comfort, P. W., & Barret, D. P. (2001). The Text of the Earliest New Testament Greek Manuscripts. Wheaton, IL: Tyndale House.
78. Komoszewski, E., Sawyer, M. J., & Wallace, D. B. (2006). Reinventing Jesus: How Contemporary Skeptics Miss the Real Jesus and Mislead Popular Culture. Grand Rapids, MI: Kregel Publications.
79. Metzger, Bruce M. and Bart D. Ehrman. The Text of the New Testament: Its Transmission, Corruption, and Restoration. 4th ed. Oxford UP, 2005.
80. Mierlo, W. M. (2017). What to do with literary manuscripts? A model for manuscript studies after 1700.
81. Molitor, J. (1956). Monumenta Iberica antiquiora, Textus chanmeti et haemeti ex inscriptionibus, s. Bibliis et Patribus, Collegit et in lingam latinam convertit addito Glossario Joseph Molitor, Louvain, 1956.
82. Rapp, C. and Gastgeber, C. (2015). Inscriptions in Byzantium and Beyond/ Methods – Projects – Case Studies. Österreichische Akademie der Wissenschaften Philosophisch-Historische Klassedenkschriften, 478. Band.
83. Sitz, A. (2017). ‘Great Fear’: Epigraphy and Orality in a Byzantine Apse in Cappadocia. Gesta: *Journal of the International Center of Medieval Art* 56.1 2017.
84. Taylor, J. (2013). An Interview with Daniel B. Wallace on the New Testament Manuscripts. Retrieved May 16, 2013, from The Gospel Coalition:
<http://www.thegospelcoalition.org/blogs/justin-taylor/2012/03/21/an-interview-with-daniel-b-wallace-on-the-new-testament-manuscripts>.

გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

1. [zhttp://www.oxfordhandbooks.com/view/10.1093/oxfordhb/9780199935338.001.0001/oxfordhb-9780199935338-e-86](http://www.oxfordhandbooks.com/view/10.1093/oxfordhb/9780199935338.001.0001/oxfordhb-9780199935338-e-86)
2. <https://www.khanacademy.org/humanities/medieval-world/medieval-europe/a/medieval-manuscripts>
3. <http://geomanuscript.ge/>
4. <http://www.philhist.unibe.ch/studies/study-programs/master-s-in-editorial-studies/index-eng.html>
5. <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/3D03DF31B0115C440AE773EAC7457939/S205863101700006Xa.pdf/greek-inscriptions-insights-and-resources-in-the-classroom-and-beyond.pdf>
6. <https://carm.org/oldest-copy-of-old-testament-later-than-oldest-copy-of-new>
7. <https://www.biblicalarchaeology.org/daily/biblical-topics/hebrew-bible/what-is-the-oldest-hebrew-bible/>
8. <http://www.bible.ca/ef/topical-the-earliest-new-testament-manuscripts.htm>
9. <http://www.oxfordhandbooks.com/view/10.1093/oxfordhb/9780199286140.001.0001/oxfordhb-9780199286140-e-65>
10. https://www.researchgate.net/publication/327891003-What-to-do-with-literary-manuscripts-A-model-for-manuscript-studies_after-1700
11. <https://cudl.lib.cam.ac.uk/view/MS-NN-00002-00041/1>
12. <http://armazi.uni-frankfurt.de/armaziII/enebi/kartuli/damcerloba/care.html#urbnisi>
13. <https://www.encyclopedia.com/literature-and-arts/language-linguistics-and-literary-terms/language-and-linguistics/inscription>
14. <http://www.newworldencyclopedia.org/entry/Indian-inscriptions#cite-ref-3>
15. <https://www.britannica.com/topic/epigraphy#ref523437>
16. <http://www.ancient-hebrew.org/inscriptions/index.html>

თავი III

პეტლური ერა

ნიგნის ისტორიიდან

თუ ეპიგრაფიკული მასალა, ძირითადად, ისტორიულ-დოკუ-
მენტური, რელიგიური და საყოფაცხოვრებო შინაარსის იყო და
მის მთავარ მიზანს შეადგენდა ამგვარი ინფორმაციის კონსერ-
ვირება სხვადასხვა მიზნით, ხელნაწერი და ხელნაწერი წიგნის
ტრადიცია, უმთავრესად, ცოდნის (რელიგიური, მხატვრული,
საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ა. შ.) გადაცემას ემსახუ-
რებოდა. ამდენად, ეპიგრაფიკულ პერიოდში ინფორმაციის გა-
ვრცელების საჭიროება ხელნაწერის ეპოქაში ცოდნის გადაცემის
საჭიროებით შეიცვალა. ასე რომ, ბეჭდურ ეპოქამდე კაცობრიო-
ბა ინტელექტუალურად მომზადებული მოვიდა.

ბეჭდური ერა უმნიშვნელოვანესი ეტაპია გამოცემის სფე-
როში. იგი უდავოდ მკვეთრ ტეხილს ქმნის ინტელექტუალური
ნააზრების გადაცემის ხანგრძლივ ისტორიაში. საბეჭდი დაზგის
განვითარებამ არსობრივად შეცვალა ტექსტური ინფორმაციის
ადრესატამდე (მკითხველამდე) მიწოდების ტექნოლოგიები. წიგ-
ნის ცირკულაციის, და, შესაბამისად, აუდიტორიის ზრდამ საგა-
მომცემლო პრაქტიკა ახალი მოთხოვნების წინაშე დააყენა. სწო-
რედ ამ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი გამოცემათმცოდნეობას,
როგორც მეცნიერების დარგს.

ბეჭდური ეპოქა მხოლოდ ნაბეჭდი წიგნის ისტორიას არ მოი-
ცავს. იგი პრესის ისტორიასაც აერთიანებს.

წინამდებარე თავში განვიხილავთ ბეჭდულის აღრეულ სახეობებს,
წიგნის ბეჭდური ისტორიის საწყის ეტაპსა და ქართული სტამბის
მოკლე ისტორიას. მომდევნო თავი კი ეთმობა პრესის ისტორიას.
ბევრ ევროპულ თუ ამერიკულ უნივერსიტეტში წიგნის ისტორიასა
და პრესის ისტორიას გამოცემათმცოდნეობის მოდულის საგნებად
სთავაზობენ სტუდენტებს. ჩვენს საღოქტორო პროგრამაში ისინი
ცალკე საგნებად არა, მაგრამ „გამოცემის ისტორიის, თეორიისა
და პრაქტიკის“ სალექციო კურსის თემებად გვაქვს გამოყოფილი.

§1. ბეჭდვის ადრეული (გუტენბერგამდელი) სახეობები

მეტალის მოძრავი შრიფტის გამოგონებას წინ უსწრებდა ბეჭდვის ადრეული (გუტენბერგამდელი) სახეობები, რომლებიც დაკავშირებულია ბუდისტების სახელთან აღმოსავლეთ აზიაში. ჩინელი მწერალი ფენზი (Fenzhi) თავის ნაწარმოებში ‘*Yuan Xian San Ji*’ წერს, რომ ამ რელიგიის მიმდევრები თავიანთი მოძღვრების გასავრცელებლად ზენგუანის (Zhenguan) წლებში (627-649 ჩვ. წ. აღ.) დასაბეჭდად იყენებდნენ ხის ბლოკებს. ასე რომ, ეს გამოგონება უკავშირდება ბუდიზმის გავრცელების საჭიროებას. ხის ბლოკზე დაბეჭდილი ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტი არის ჩინელი ვუ ზეტიანის (Wu Zetian) პერიოდის (684-705 ჩვ. წ. აღ.) ბუდისტური მოძღვრება. იგი აღმოჩნდა 1906 წელს ჩინეთის პროვინცია ტუბოფანში (Tubofan).

768 წელს იაპონიის ქალაქ ნარაში იმპერატორმა ქალმა ლოცვების უზარმაზარი გამოცემა უზრუნველყო.

ჩინური ბეჭდვის პრატიკის ადრეული თარიღიანი ნიმუშების ბოლო აღმოჩნამდე, ჩინური ‘Diamond Sutra’ მიჩნეოდა უძველეს გადარჩენილ ბეჭდურ წიგნად. იგი თარიღდება ტანგის დინასტიის ბოლო პერიოდით. აღმოჩენილ იქნა დუნჰუანგის (Dunhuang) ბიბლიოთეკაში (‘Library cave’) 1899 წელს. 16 / 17 ფუტი სიგრძისა და 1 ფუტი სიმაღლის გრაგნილი, შედგენილი ქალალდის ფურცლებისგან, დაწებებულია კიდეებით. ეს არის მსოფლიოში პირველი ბეჭდური ილუსტრაცია, რომელიც ასახავს სამეფო ტახტზე ასულ, თანმხლები პირებით გარშემორტყმულ ბუდას. პუბლიკაციის დეტალები მოცემულია კოლოფონზე ტექსტის ბოლოს, სადაც წერია, რომ იგი დაბეჭდილია 868 წლის 11 მაისს ვანგ ჯის (Wang Jie) მიერ უფასო გავრცელებისთვის თავისი მშობლების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

„აღმასის სუტრას“ ცალკეული ფურცლები წააგავს ხეზე შესრულებულ გრავიურებს. ისინი ხის ნაწილებია, რომელთა გვერდის თეთრი ადგილები ფრთხილად არის მოკეცილი ისე, რომ ბრტყელი ზედაპირის დარჩენილი ნაწილი (გადაბრუნებული)

წარმოადგენს დასაბეჭდ ფორმებს, განურჩევლად იმისა, ის ტექსტია თუ სურათი. ბეჭდვა რეალიზდებოდა მელნით დაფარულ ბრტყელ ზედაპირზე ფურცლის დადებით.

უცნობია, ვინ იყო ვანგ ჯი და რატომ დაბეჭდა მან „ალმასის სუტრა“, მაგრამ ცნობილია ის, რომ 868 წლისთვის მას ამოქმედებული ჰქონდა ბლოკის საბეჭდი, რათა შეექმნა ბუდისტური ტექსტის 16 / 17 ფუტის სიგრძის წარწერიანი გრავნილი. დღეს ის განთავსებულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში, როგორც მსოფლიოს უადრესი დათარიღებული, გუტენბერგამდელი ნაბეჭდი წიგნი. ბეჭდვა მიჩნეულია ჩინეთის 4 უდიდეს გამოგონებათა შორის კომპასის, დენთისა (თოფის წამალი) და ქალალდის გვერდით.

ბოლო პერიოდის გათხრების შედეგად კორეის გოდოლში მოპოვებულ იქნა ბუდისტური ხის ბლოკის გაცილებით ადრინდელი ტექსტი ‘*Mugu jeonggwang dae darani-gyeong*’, რომელიც თარიღდება 750-751 წლებით.

ამგვარი ბეჭდვა მოითხოვდა უამრავი ნიშნის ამოკვეთას ხის ბლოკებზე და უზარმაზარ შრომასთან იყო დაკავშირებული. მას ხშირად თვეები და წლებიც სჭირდებოდა, მაგრამ ეს იყო გარდაუვალი საქმიანობა მოძრავი შრიფტის გამოგონებამდე. X-XI საუკუნეებში ყველა კონფუცელი კლასიკოსის შრომა ამგვარად არის გამოცემული.

ასე რომ, ბეჭდვის პირველ სახეობას წარმოადგენს ხის ბლოკები (ფირფიტები), რომლებიც მზადდებოდა ხელით და გამოიყენებოდა ბუდისტური ნაწარმოებების გრავნილებზე აღსაბეჭდად.

XI საუკუნეში ჩინეთში გამოიცადა გუტენბერგამდელი მოძრავი შრიფტის გარკვეული ტიპი: ცალკეული მზა ნიშნები თუ ასოები, რომლებიც ეწყობოდა სწორი თანმიმდევრობით კონკრეტული ტექსტისთვის და შემდეგ ხელმეორედ გამოიყენებოდა. ორმა ფაქტმა ეს ექსპერიმენტი არაპრაქტიკული გახადა. პირველი იყო ის, რომ ჩინურ დამწერლობას ძალიან ბევრი ნიშანი აქვს და შრიფტის ჩამოსხმაც და გაწყობაც საკმაოდ რთული იყო. მეო-

რეც, ჩინელები საბეჭდ ნიშნებს ასხამდნენ თიხაზე და შემდეგ ცეცხლში გამოწვავდნენ, როგორც კერამიკას, რის შედეგადაც იღებდნენ მყიფე ნივთიერებას.

ადრეულ XIII საუკუნეში, 200-სზე მეტი წლით ადრე გუტენბერგის ინოვაციამდე ევროპაში, კორეელებმა შექმნეს საამქრო ბრინჯაოს მოძრავი შრიფტის ჩამოსასხმელად. უფრო ადრინდელი ჩინური ექსპერიმენტისაგან განსხვავებით, ბრინჯაო საკმაოდ მყარია ხელმეორე ბეჭდვისთვის, დაშლისთვის და კვლავ აწყობისთვის ახალი ტექსტის დასაბეჭდად. ამ ტექნოლოგიით კორეელებმა 1377 წელს შექმნეს მსოფლიოში უადრესი ცნობილი ბეჭდური წიგნი მოძრავი შრიფტისგან. ეს არის ‘*Jikjisimcheyojeol*’ ან ‘*Jikji*’ (მოკლე ფორმით), ბუდისტური ტექსტების კრებული, შედგენილი, როგორც სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. წიგნის ავტორად მიიჩნევენ ბუდისტ ბერს, პეგუნ ხვასანს, რომელმაც სასულიერო მოღვაწეობა 54 წლის ასაკში (1353 წელს) დაიწყო. წიგნის დაბეჭდვაში თავისი წვლილი შეუტანიათ ბერის მოსწავლეებსაც – სოკ ჩჰანსა და ტალ ჯამს.

პარკ გი ტაემ (Park Gi Tae) კორეის მოხალისეთა სააგენტოების ქსელიდან განაცხადა, რომ აღნიშნული ბუდისტური დოქტრინული წიგნი არის უძველესი, შექმნილი მეტალის შრიფტით 78 წლით ადრე გუტენბერგის მიერ გამოცემულ წიგნამდე – „ბიბლია 42 ხაზში“.

ამ ბუდისტური კრებულის ორი დაბეჭდილი ტომიდან შემორჩენილია მხოლოდ მეორე, რომელიც დაცულია საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ის ინახავს არა მხოლოდ ბეჭდვის თარიღს, არამედ მღვდლების სახელებსაც, რომლებიც გამომცემლებს დაეხმარნენ შრიფტის შედგენაში. კორეელები ამ დროისთვის იყენებდნენ ჩინურ დამწერლობას და ჰერონდათ პრობლემები წიგნების უზარმაზარი რაოდენობის გამო.



სურათი 2. საბეჭდი ხის ბლოკები, რომელიც ინახება ტიბეტში, სერას მონასტერში

მათ ეს პრობლემა გადაწყვიტეს 1443 წელს საკუთარი ეროვნული დამწერლობის გამოგონებით, რომელიც ცნობილია „ჰანგულის“ ('han'gul') სახელით. ეს არის ის პერიოდი, როდესაც გუტენბერგი ევროპაში ცდიდა თავის მოძრავ შრიფტს და იყენებდა 2000-ზე მეტი ხნის წინ შექმნილ ლათინურ ანბანს.

ევროპაში ხის ფირფიტებზე ბეჭდვის ტექნიკას დაახლოებით 1400 წელს გაეცნენ. აღმოსავლეთის მსგავსად, ევროპაშიც სურათები წიგნებში იბეჭდებოდა მარტივი მეთოდით, რაც გულისხმობდა ქალალდის ნაჭრის განთავსებას გამოჭრილ, მელნიან ფირფიტაზე და შემდეგ მის ამოტრიალებას მელნის გადატანის მიზნით. როგორც აღმოსავლეთში, ევროპაშიც მთავარი იყო წიგნში წმინდა სურათების დატანება, რათა ბეჭდური პროდუქცია მარტივად გაეყიდათ მლოცველებზე.

1400-იანი წლების შუა პერიოდში სურათების მომცველი ბლოკების ბეჭდური წიგნები პოპულარული გახდა ევროპაში. მთელი გვერდი, რომელზეც, ჩვეულებრივ, გამოსახული იყო ერთი ან მეტი ილუსტრაცია, ხის ფირფიტაზე იყო გრავირებული, მელანში გატარებული და ამობეჭდილი.

ჭ2. პეტლური ნიგნის ისტორიის სათავეებთან

ფუნდამენტური საკითხი, რომელიც ხშირად განიხილებოდა ტე-ქსტოლოგიასა და გამოცემის თეორიაში, იყო ურთიერთობა „ტე-ქსტსა“ და „ნაწარმოებს“ შორის. წიგნის ისტორიის წარმოშობიდან მესამე ტერმინიც შემოვიდა მიმოქცევაში – „წიგნი“ (Mierlo, 2013).

წიგნის ისტორიას განიხილავენ, როგორც დოკუმენტებისა და დოკუმენტირების ისტორიის ნაწილს, რომელიც, თავის მხრივ, შედარებით პოლო ნაწილია ჩანაწერების (recording) ხანგრძლივი ისტორიისა (მოგონებებისა და ზეპირი გადმოცემების ჩათვლით).

წიგნი არის კულტურული პროდუქტი, რომელიც ეხმარება ცოდნისა და იდეების გაცვლას დროსა და სიცრცეში და, ამ-დენად, მისი წარმოება და მიღება არსებით როლს თამაშობს ისტორიული ცნობიერების ფორმირებაში, ისევე როგორც ის-ტორიული ცნობიერება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს წიგნის პროდუქციასა და მკითხველის მიერ მის მიღებაზე.

დიდი ხანია, წიგნი აღარ არის მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ანალიზის ობიექტი. ის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკური, ინტელექტუალური, სოციალური და კულტურული კვლევების ფართო სპექტრში.

წიგნის ისტორია შეიცავს მულტიდისციპლინურ და მულტი-კულტურულ მიდგომებს წიგნის, ჩანერილი ცოდნის გავრცელებისა და პროდუქციის შესწავლისადმი. ფინკელშტეინისა (David Finkelstein) და მაკელირის (Alistair McCleery) თანახმად, წიგნის ისტორიის მიზანია, შეისწავლოს წიგნების შექმნის ყველა ასპექტი, იქნება ეს „ფიზიკური არტეფაქტები“, თუ საგნები „უნიკალური კულტურული სიმბოლოებით“ იმის რწმენით, რომ მას აქვს თავისი ფესვები ტრადიციულ ბიბლიოგრაფიულ დისციპლინებში, როგორიცაა აღნერითი და ანალიტიკური ბიბლიოგრაფია და ტექსტის კრიტიკა.

შესწავლის ამ ფორმებს წიგნის ისტორიამ დაამატა ახალი ფენა სოციალური და სოციო-ეკონომიკური ისტორიისა, რომელიც დაიწყო მაკენზის (D. F. McKenzie) შრომით ‘*The Printers of the Mind*’ (1969) და კულმინაციას მიაღწია მის ლექციებში (1990).

ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოყენებულია შესიტყვება „მატერიალური ტექსტი“ (material text).¹ აქ აღნიშნულია, რომ წიგნის ისტორიის კვლევა მოიცავს ხელნაწერთმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და მატერიალური ტექსტის თეორიის ასპექტების ფართო დიაპაზონს.

წიგნის ბეჭდური ისტორიის საწყისი ეტაპი იოპან გუტენბერგის (Johann Gensfleisch Zum Gutenberg) სახელს უკავშირდება², რომელმაც კაცობრიობას მოძრავი შრიფტი აჩუქა და ბეჭდური ფორმა კუსტარული ინდუსტრიიდან დასავლური ცივილიზაციის ქვაკუთხედად აქცია. დღეისათვის ის არის ყველა დროის ყველაზე ცნობილი მბეჭდავი.



სურათი 3. გუტენბერგის სავარაუდო სურათი. 1584

იოპან გუტენბერგის შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, იურიდიულ და ფინანსურ დოკუმენტებშია დაცული. უცნობია მისი დაბადების ზუსტი თარიღი.

იგი გაიზარდა ოჯახში, რომელიც დაოსტატებული იყო მეტალის ხელობაში. მეტალების ცოდნამ მას საშუალება მისცა,

1 <https://www.english.ox.ac.uk/history-of-the-book-the-material-text-and-textual-editing>

2 <http://www.hrc.utexas.edu/exhibitions/permanent/gutenberg/#top>

დაუფლებოდა შრიფტის ცალკეული ნაჭრების წარმოების რთულ ოპერაციებს, რომლებიც მოიცავდა თითოეული ასოს სრულყოფილი ასლების შექმნას, ყალიბების გამოგონებას, რომელშიც მრავალი ვერსია შეიძლებოდა ჩამოსხმულიყო, და შესაბამისი ლითონის შენადნობის (მეტალის შრიფტის) განვითარებას. შრიფტის ჩამოსახმელად ის იყენებდა ქვიშის ყალიბებს, რითაც მან ჩაანაცვლა ხის ფირფიტის „სტამბა“.

ყველა ეს მარჯვე ტექნოლოგია წინ უძღვის ბეჭდვის ძირითად სამუშაოს – ცალკეული ასოების დალაგებას, ერთ ხაზზე გასწორებას და მოხერხებულად განთავსებას ფორმაში, რომელიც მათ მტკიცებ დაიჭერს, რომ მელანი თანაბრად გადაიტანოს ქალალდზე. ბეჭდვის პროცესი მოიცავს კომპლექსური ამოცანების წყებას თითოეულ საფეხურზე.

გუტენბერგის სახელი ბეჭდვასთან კავშირში პირველად იურიდიულ კონტექსტში გამოჩნდა სტრასბურგში 1439 წელს: მისი პარტნიორები მას კაპიტალთან დაკავშირებით ედავებოდნენ. მოწმეები აღწერდნენ სტამბას და მეტალის შრიფტის მარაგს, რაც ადასტურებს, რომ ამ დროისთვის მას უკვე შეეძლო ბეჭდვა მოძრავი შრიფტის საშუალებით, თუმცა ამ პერიოდის ნაბეჭდი პროდუქცია არ არის შემორჩენილი.

1450 წელს გუტენბერგი დაუახლოვდა შეძლებულ იოპან ფასტ-სა (Johann Fust) და პიტერ შფერს (Peter Schffer), რომლებიც აქტიურად ქმარებოდნენ ბეჭდვის საქმეში. ამ წელს მეორედ გაულერდა მისი სახელი ბეჭდვასთან დაკავშირებით, როდესაც იოპან ფასტისგან ისესხა 800 გულდენი თავისი საბეჭდი მოწყობილობისთვის.

1454 წელს მან დაბეჭდა თურქული კალენდარი და თავისი ცნობილი ბიბლია, რომელიც გამოიცა 180 ასლის სახით, თუმცა დღეისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი სრული ასლი. იგი დაბეჭდილი იყო ერთდროულად 6 დაზგაზე. ბიბლიაზე თარიღი არ ჩანს. დასაწყისი ასოები ხელით არის შეფერადებული წითლად 1456 წლის 24 აგვისტოს. არანაკლებ შთამბეჭდავია თარიღიანი წიგნი (1457 წლისა) ამავე დაზგებიდან. იგი ცნობილია, როგორც მაინცის (Mainz) ფსალმუნი. მისი საწყისი ასოები ორფეროვანია.

1455 წელს გუტენბერგს კამათი მოსვლია თავის პარტნიორებთან ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. იოაპან ფასტი მას დიდი რაოდენობის თანხას ედავებოდა. ვარაუდობენ, რომ გუტენბერგმა ეს თანხა ბეჭდვის განვითარებასა და ბიბლიის გამოცემას მოახმარა. პარტნიორმა მას სასამართლო მოუგო, რის საფუძველზეც გუტენბერგს ფასტისთვის უნდა დაებრუნებინა ზოგიერთი საბეჭდი მოწყობილობა. ამის შემდეგ მან დაკარგა კონტროლი ბეჭდვის ბიზნესზე, რამაც ფინანსური გაკოტრება მოუტანა. იგი გარდაიცვალა 1468 წელს.

გუტენბერგის დაზგის პირველი ცნობილი პროდუქტის მაღალი ხარისხი მეცნიერებს ავარაუდებინებს, რომ უფრო ადრინდელი ნიმუშები დაკარგული უნდა იყოს. თუ ასე არ არის, მაშინ გადაწყვეტილება, რომ თავისი პირველი პუბლიკაცია ყოფილიყო სრული მოცულობის ბიბლია ლათინურად (ცულგატა¹), დაბეჭდილი საუკეთესო შავ-თეთრი მანუსკრიპტის სტრანდარტით, რა თქმა უნდა, გაბედული ნაბიჯი იყო.

გუტენბერგის უდიდესი მიღწევა მდგომარეობს იმაში, რომ განავითარა საბეჭდი დაზგა, სადაც მიმართავდა სწრაფ, მაგრამ დაბალანსებულ, ქვემოთ მიმართულ დაწოლას. ეს მოვლენა არ იყო ახალი, მაგრამ არსებული დაზგები (ლვინისთვის, ზეთის-თვის, ან ქაღალდისთვის) ახორციელებდნენ ნელ დაწოლას, რაც არაეკონომიური იყო ბეჭდვაში.

ბიბლიაზე მუშაობის დაწყებამდე, 1450 წლის ახლო პერიოდში, გუტენბერგი ექსპერიმენტულ სამუშაოებს ატარებდა და ბეჭდავდა ქაღალდის ცალკეულ ფურცლებს და პატარა წიგნებსაც, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ მარტივი ლათინური გრამატიკის სახელმძღვანელო. შემდეგ შექმნა საბეჭდი დანადგარი და განავითარა მეტალის შრიფტის ინდივიდუალური ნაჭრების ჩამოსხმის მეთოდი. მისი სტამბა გაკეთებული იყო ხისგან

1 ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელიც 383-406 წლებში, პაპდამასუს I-ის დავალებით, წმიდა იერონიმეს შეასრულა. მრავალი საუკუნის განმავლობაში, ვატიკანის II კრების მიერ გატარებულ ლიტურგიულ რეფორმამდე, ვულგატა ლათინური ეკლესიის ოფიციალური ტექსტი იყო, შემდეგ ის გადაიხედა და ნეოვულგატას სახელით გამოიცა.

და მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის შეიძლება მოდელირებული ყოფილიყო იმდროინდელ ღვინის საწურზე. შრიფტი კეთდებოდა მეტალის შენადნობისგან, რომელიც საკმარისად მაგარი იყო, რომ გაეძლო წენებისთვის სტამბაზე. ბოლო კვლევები მიუთითებს, რომ მას შეიძლებოდა გამოყენებინა უფრო ნედლი ქვიშის (სილის) ჩამოსასხმელი სისტემა, რომელშიც ასო ამოკვეთილია ქვიშაზე და მეტალის შენადნობი ჩასხმულია ყალიბში შრიფტის შესაქმნელად. ეს პროცესი უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი და შრომატევადი, რადგან მის ბიბლიაში გამოყენებულია შრიფტის თითქმის 300 განსხვავებული ნაჭერი, რომელთაგან თითოეულს დასჭირდებოდა საკუთარი ქვიშის ჩამოსასხმელი ყალიბი.



სურათი 4. გუტენბერგის წიგნის რანსონის ცენტრში დაცული ასლი

გუტენბერგი იყენებდა თხელ, ხელით შექმნილ ქაღალდს, რომელიც იტალიიდან შემოჰკონდათ. თითოეულ ფურცელს ჰქონდა ჭვირნიშანი, რომელსაც ქაღალდის ოსტატი აკეთებდა. მისი დანახვა შესაძლებელი იყო სინათლეზე. გუტენბერგის ბიბლიაზე არის 4 განსხვავებული ჭვირნიშანი: ხარის თავი, ჩორთით მიმავალი ხარი და ყურძნის მტევნის ორი ვარიაცია¹.

ბევრი ნიშანი წიგნში ხელით იყო დამატებული, მაგ., ასოთა შეცვლილი ფერი წინადადების დასაწყისში და ხელით დახატული

1 წყარო: <http://www.hrc.utexas.edu/exhibitions/permanent/gutenbergbible/>

დიდი ასოები ოქროს ფოთლით ბიბლიის თითოეული წიგნის და-საწყისში. ეს ილუმინაციები სრულად მოიპოვება პირველ ტომში. ორივე ტომი შეიცავს უამრავ მინანქერს არშიებზე ან ხელით დაწე-რილ დამატებებს ტექსტზე, როგორებიცაა მითითებები, რომელი პასაუები უნდა ყოფილიყო გამოყენებული ღვთისმსახურებაში გარ-კვეულ დღეებში. როგორც ჩანს, ლიტურგიკული მიზნები პირველი-ვე წიგნს ჰქონია. გუტენბერგმა ასევე გამოიგონა ზეთის მელანი.

არსებობს მოსაზრება, რომ გუტენბერგი არ იცნობდა ჩინურ და კორეულ ბეჭდურ მეთოდებს. თუმცა მას არ გამოუგონებია ბეჭდვა, მაგრამ მისმა ექსპერიმენტებმა ბეჭდვა უფრო პრაქ-ტიკული გახადა. მოძრავი შრითების გამოყენების მისეულმა მე-თოდმა თითქმის ხუთ საუკუნეს გაუძლო.

მოძრავი შრითები ეკანომიკურად მომგებიანი იყო წიგნების საბეჭდად და იდეა სწავლად გავრცელდა მთელ ევროპაში. პირ-ველი იტალიური სტამბა დაარსდა 1464 წელს სუბიაკოს (Subia-co) ქალაქ ბენედიქტინში (Benedictine). მომდევნო წელს სტამბა გაჩნდა შვეიცარიაში. ბეჭდვას იწყებენ ვენეციაში, პარიზსა და უტრეხტში (Utrecht) 1470 წელს. ამ დროისთვის ყველაზე მოდური და გავლენის მქონე ბეჭდვითი საქმიანობით გამოირჩეოდა იტა-ლია, სადაც განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ, ვენეციელმა მბეჭდავებმა განავითარეს უფრო დახვეწილი შრით-ტი, ვიდრე იყო გერმანული შავ-თეთრი ტრადიცია. იტალიური სტამბის უპირატესობა ამ სფეროში დადასტურდა საუკუნის ბო-ლოს ალდუს მანუტიუსის (Aldus Manutius) პუბლიკაციით.

ესპანეთსა და უნგრეთში ბეჭდვა დაიწყეს 1473-1474 წლებში, ბრიუგეში (Bruges) – 1474 წელს. უილიამ კაქსტონმა (Caxton) ეს დაზგა 1476 წელს გადაიტანა ლონდონში და 1478 წელს იქ და-ბეჭდა ჩოსერის (Chaucer) „კანტერბერული მოთხოვები“, პირვე-ლი ბესტსელერი.

შვედეთში ბეჭდვა იწყება 1483 წელს, პორტუგალიაში – 1484 წელს. საუკუნის დასასრულისთვის ეს ხელობა კარგად არის ჩა-მოყალიბებული ყველა ევროპულ სამეფოში, გარდა რუსეთისა. 1501 წლისთვის საბეჭდი დაზგები იყო დაახლოებით 280 ევრო-

პულ ქვეყანაში. გუტენბერგის მიერ საბეჭდი სტამბის გამოგონებამდე არსებობდა დაახლოებით 30000 წიგნი მთელ ევროპაში, თითქმის ყველა იყო ბიბლიის კომენტარები. 1500 წლისთვის 1700-მა სტამბამ 300 ქალაქში აწარმოა დაახლოებით 15 მლნ. ტომი. წიგნები, ძირითადად, რელიგიური შინაარსისა იყო, ნაწილი კი – ლიტერატურული და სამეცნიერო.

ადრეულ პერიოდში ბეჭდვის სფეროში ლიდერობდა გერმანია. იქ გაცილებით ბევრი წიგნი დაიბეჭდა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. 1500 წლისთვის მბეჭდავები მოფენილნი იყვნენ გერმანიის 60 ქალაქში. ისინი ავრცელებდნენ ხელობის საიდუმლოს უცხოეთში. უცხოელი მბეჭდავები, თავის მხრივ, მიღიოდნენ გერმანიაში ხელობის დასაუფლებლად.

ევროპული ბეჭდვის ადრეულ წლებში ზოგიერთი ილუსტრირებული წიგნი შეიქმნა აღმოსავლური ბეჭდვის შრომატევადი მეთოდით, რომლის მიხედვითაც, ასოების ფორმებსა და ილუსტრაციების ხაზებს კვეთდნენ ხის ფირფიტების მსგავს ზედაპირზე. იბეჭდებოდა რა მხოლოდ ერთ მხარეს, ეს ფურცლები შემდეგ იკეცებოდა და იკვრებოდა წიგნის ფორმაში. ესენი გადმოგვცემდნენ ბიბლიური თხრობების მარტივ ვერსიებს. ისინი განსაკუთრებით პოპულარული იყო გერმანიასა და ჰოლანდიაში.

ილუსტრირებული წიგნები გამოჩნდა XV-XVI საუკუნეებში. პიონერი ამ სფეროში არის ბამბერგელი (Bamberg) მბეჭდავი ალბრეხტ პფისტერი (Albrecht Pfister), რომელმაც დაბეჭდა რამდენიმე ილუსტრირებული წიგნი. პირველად გამოსცა ‘Der Ackermann aus Böhmen (The Farmer of Bohemia)’ დაახლოებით 1461 წელს. XV საუკუნის ბოლოსთვის განახორციელა ამბიციური პუბლიკაციები მაკეტებით. ილუსტრაცია და ტექსტი წიგნში ხშირად იყო შესამებული. გუტენბერგის მეთოდი იყო იდეალური ტექსტისა და ილუსტრაციების კომბინაციისთვის ერთ გვერდზე.

ბეჭდვის პირველივე საუკუნეში ორი მონათესავე მეთოდი გახდა ხელმისაწვდომი: გრავირება და ამოკვეთა. ორივეს აღნერენ, როგორც ინტაგლიოს (intaglio: იტალ. „ჩაჭერი“). პირველი მეთოდით მეტალის ნაჭრებს თლიდნენ ბასრი იარაღით. მეორე მეთო-

დით მუავას იყენებდნენ სპილენძზე მოქმედების მიზნით. სპილენძის ფირფიტა, შექმნილი ერთ-ერთი ამ მეთოდით, ქმნიდა უფრო დახვეწილ და დელიკატურ შრიფტს ხის ფირფიტასთან შედარებით. ინტაგლიო შრიფტი მოითხოვდა სტამბის განსხვავებულ სახეობას: მელნიანი სპილენძის ფირფიტა და ქაღალდის ფურცელი ერთად იდებოდა ორ გორგოლაჭს (სატკეპნს) შორის. ინტენსურ დაწოლას ქაღალდი მეტალის ღარში შეჰვავდა მელნის ასაკრეფად.

ამ სახის სურათები განცალკევებული იყო ტექსტისგან. ისინი უნდა ჩაკრულიყო დამთავრებულ წიგნში. ამიტომაც ერქვა მას ფირფიტა. XVI საუკუნის ბოლოს ფირფიტებიანი ტომი ხდება ილუსტრურებული წიგნის სტანდარტული ფორმა.

1450-იანი წლებიდან ბეჭდური წიგნი სწრაფად ანაცვლებს ხელნაწერ კოდექსებს. 1501 წლამდე გამოცემული წიგნებისთვის სპეციალური ტერმინიც კი დამკვიდრდა – „ინკუნაბულა“ (ლათი-ნურად „აკვანი“).

XVI საუკუნის ადრეულ წლებში დაიწყეს პამფლეტების ბეჭდვა თითო-თითო ფურცლებზე, რომლებიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, ომის პროპაგანდისთვის. დაბეჭდილმა ფურცლებმა მოიპოვა ახალი როლი და იქცა ცხარე დებატების არენად. სტამბამ შეიძინა ახალი და განსაკუთრებული მნიშვნელობა.

XIX საუკუნის დასაწყისში ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო წიგნის ინდუსტრიის სწრაფ აღმავლობას: 1800 წელს გამოიგონეს დანადგარი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ფურცლის ორივე მხარეზე ერთდროული ბეჭდვა, 1805 წელს სტამბის ტექნოლოგიების სიაში ჩაერთო ასოების ჩამომსხმელი მანქანა, 1810 წელს ახალმა დანადგარმა საათში 12000 ფურცელი ანარმოვა, 1886 წელს ლინოტიპის ასოთამწყობი მანქანა შეიქმნა და ა. შ. ამ ტექნოლოგიების წყალობით, ბეჭდვა ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა.

გვ. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი დროში საქმაოდ ჩამორჩა პირველ ნაბეჭდ ევროპულ წიგნს. ამის მიზეზი იყო ქვეყნის მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ვითარება. ქვეყანა დაუძლურებული იყო მტრის გაუთავებელი თავდასხმებისგან. წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიის გადმოსაღებად არც შესაძლებლობა არსებობდა, არც დრო და განწყობა. წიგნის მოთხოვნილებას ისევ ცოდნის გავრცელების არსებული მედიით (ხელნაწერებით) იკმაყოფილებდნენ.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი დაიბადა იტალიაში, ქალაქ რომში, 1629 წელს. ეს იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პალინის მიერ, ქართველი ბერის, ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩილოვაშვილის), დახმარებით. რომში დაბეჭდვის მიზეზი განპირობებული იყო რომის პაპის კულტურული პოლიტიკით, რომელიც, სხვა ამოცანებთან ერთად, ითვალისწინებდა კათოლიციზმის გავრცელებას და თავისი ძალაუფლების გაძლიერებას. ამ მიზნით, ის ყველა ქვეყანაში, სადაც ხელი მიუწვდებოდა, გზავნიდა კათოლიკობის მქადაგებელ მღვდლებსა და ბერებს. ცოდნის გასავრცელებლად აუცილებელი იყო სხვადახვა ენაზე ლექსიკონების, გრამატიკებისა და სამოძღვრო წიგნების ბეჭდვა, რისთვისაც რომში, სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების დიდ სტამბაში, ენცობოდა შესაფერისი შრიფტი. სწორედ ასე შეიქმნა ქართული შრიფტი და გაიმართა ქართული სტამბა. აქილ ვენერიო თავის მიმართვაში პაპს – ურბანოს მერვეს მოახსენებს, როგორ დაარსდა ქართული სტამბა და როგორ დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. მისი მოხსენების მიხედვით, ქართული სტამბის რომში დაარსების მიზანი ყოფილა ისეთი ქართული წიგნების ბეჭდვა, რომლებიც გამოადგებოდა, ერთი მხრივ, მისიონერებს კათოლიკობის საქადაგებლად საქართველოში, მეორე მხრივ კი, ქართველ ხალხს მისიონერთა ნაქადაგევის შესათვისებლად. ამის საბაბად ქცეულა ქართველი მეფის, თეომურაზ პირველის, მოციქულის, ნიკიფორე ირბახის, მისვლა რომში. მას პაპისთვის წერილი გადაუცია, რომელშიც მეფე პაპს შემწეობასა და მფარველობას სიხოვდა მტრის წინაამდევ. წერილი

ქართულად ყოფილა დაწერილი, რის გამოც მისი შინაარსი ვერ გაუ-გიათ. ამ შემთხვევას გადაუწყვეტინებია სარწმუნოების გამავრცე-ლებელი საზოგადოებისთვის, აეწყო ქართული შრიფტი და დაბეჭ-და ქართული ანბანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. შრიფტი შეუდგენიათ სწორედ იმ ასოების მიხედვით, რომლითაც თემურა-ზის წერილი ყოფილა დაწერილი.

იმავე წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი ლოცვებითურთ. მი-სიონერმა მარიო მაჯიორ მორჯერ (1643, 1670 წლებში) გამოს-ცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელშიც გამოყენებული იყო ნუსხური და მხედრული შრიფტები. 1681 წელს რომში დაიბეჭდა მეოთხე ქართული წიგნი, რომელსაც მიხეილ თამარაშვილი ასე მოიხსენიებს: „საქრისტიანო მოძღვრება სიმბოლოებით დარიგე-ბული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა, კაპუჩინი, მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქარ-თულითა ენითა.“ 1741 წელს დაისტამბა „საქრისტიანო მოძღ-ვრება“, თარგმნილი და მომზადებული დავით ტლუკაშვილის მიერ და ასევე „საქრისტიანო მოძღვრების“ პატარა წიგნი. რომ-ში ქართული სტამბის ფუნქციონირებამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის ევროპულ სივრცეში ჩართვას და ნიადაგი მომზადა ამგვარი საქმიანობის წამოწყებისათვის საქართველოში.

საგამოხვევლო საქმიანობის სათავეებთან საქართველოში

საქართველოში პირველი სტამბა დააარსა ვახტანგ VI-მ 1708-1709 წლებში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აგებულ სპეცია-ლურ შენობაში, რუმინეთიდან ამ საქმიანობის მოწვევული ან-თიმოზ ივერიელის მონაფის, მ. იშტვანოვიჩის, დახმარებით, რომელმაც მცირედ შეასწორა სოლომონ მაღალაძის კალიგრა-ფიის საფუძველზე შექმნილი შრიფტი და ჩამოასხა პირველი ქართული ნუსხური და ასომთავრული შრიფტები.

პირველად აქ დაიბეჭდა სახარება 1709 წელს, ანუ ბილი ერთი ზომის ნუსხური შრიფტით. ამავე დროს, ვახტანგმა შექმნა სწავლულ კაცთა კომისია, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული შესწავლა და გამოცემა დაავალა. პოემა 1712 წელს გამოქვეყნდა თავად ვახტანგ VI-ის რედაქციითა და კომენტარებით.

1713-1720 წლებში ამ სტამბაში მხოლოდ 5 წიგნი დაიბეჭდა, რაც მეფის გადასახლების ფაქტით აიხსნება. 1721-1722 წლებიდან სტამბის მუშაობა განახლდა. ამ პერიოდში გამოიცა ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი „ქმნულების ცოდნის წიგნი“, იგივე „აიათი“, ანუ „კოსმოგრაფია“, რასაც მოჰყვა „უამნი“. ამის შემდეგ სტამბა მაღლევე დაიხურა. აქ სულ 19 დასახელების წიგნი დაიბეჭდა, რომელთა ბეჭდვისა და გამოცემის ხარისხი არ ჩამოუვარდებოდა ევროპაში დასტამბული წიგნების ხარისხს. საინტერესოა, რომ სტამბას ჰქონდა რამდენიმე შრიფტი: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული, ბერძნული და ლათინური. იყენებდნენ როგორც შავ, ისე წითელ საღებავს.

1749 წელს თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, საპატრიიარქო პალატის შენობაში, ანტონ I კათალიკოსის ხელმძღვანელობით, დაარსდა ერეკლე II-ის სტამბა, რომელმაც 1763 წლიდან მეფის სასახლეში გადაინაცვლა. 1781-1782 წლებში სტამბა ახალი ტექნიკით უზრუნველყოფეს. 1784 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა ერეკლე II-ის კარის ეკლესიის მოძღვარი, მარტყოფელი მღვდელი ქრისტეფორე კეჟერაშვილი. 1800 წელს აქ დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის ნარკვევი ანუ მსოფლიო ისტორია. წიგნები 400-1000 ტირაჟით ქვეყნდებოდა. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა სტამბა გაანადგურა. აქ დაისტამბა 28 დასახელების წიგნი, მათ შორის, „დავითნი“, „სახარება“, „სამოციქულო“, „კონდაკი“, „ლოცვანი“, „კურთხევანი“ და სხვა, ასევე ფილოსოფიური და ისტორიული ხასიათის წიგნები: „კიტაის სიბრძე“, დ. ბაგრატიონის „ნარკუევი“ და ა. შ. აქ არის გამოცემული ძველი ქართული ორიგინალური ლიტერატურის უმეტესი ნაწილი (ანტონ I კათალიკოსის „ქადაგება“, „შესხმა პირველი ახლისა ამის წიგნი-საბეჭდისა“ და სხვ.).

XIX საუკუნეში გაჩნდა ახალი სტამბები, რომელთა დასახელებებსაც ხშირად შევცვლებით ამ პერიოდში გამოცემულ წიგნთა სატიტულო გვერდებზე, მაგ., „მელიქიშვილის და კამპ. სტამბა“; „კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბა“; „ივ. მარტიროსიანცის სტამბა“; „მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბა“ და სხვ. ამ პერიოდისთვის თბილისში არსებობდა 19 სტამბა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები და უურნალ-გაზეთები.

XIX საუკუნის დასაწყისში იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის, ინიციატივით სტამბა დაარსდა ქუთაისში. 1803 წელს მისი თავკაცი გახდა რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი, რომელიც მოზდოკის სტამბიდან მოიწვიეს. 1809-1811 წლებში იმერეთის სტამბა სოფელ წესში ფუნქციონირებდა, 1815-1917 წლებში – საჩხერეში, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების სახლში. 1817 წელს ამ სტამბაში განხორციელდა „მათეს სახარების“ ფოტოტიპური გამოცემა.

გარდა თბილისისა და ქუთაისისა, სტამბები გაიმართა თელავში, სილნალში, გორში, ზესტაფონში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკა და ხონში.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის საქართველოში საგამომცემლო საქმე დაწინაურდა და ქართული წიგნის ბეჭდვაც აღარ შეჩერებულა.

1851-1867 წლებში სულ 142 ქართული წიგნი გამოვიდა. ბეჭდვითი საქმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

ქართული წიგნი სხვადასხვა დროს გამოდიოდა მოსკოვში, პეტერბურგში, ასევე პარიზსა და მონტიბანში (საფრანგეთი), ლონდონში, ბერლინში, ვენეციაში, კონსტანტინოპოლში, კავკავში, ბაქოში და ა. შ.

საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში საგამომცემლო საქმეს „საქწიგნი“ განაგებდა, რომელიც 1934 წელს დაარსდა. ამ პერიოდში შეიქმნა და ფუნქციონირებდა შემდეგი გამომცემლობები: „საბჭოთა საქართველო“, „განათლება“, „ნაკადული“, „მერანი“, „ხელოვნება“, „სამშობლო“, „მეცნიერება“, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.“

90-იანი წლების || ნახევარში ახალი სტამბები და გამომცემლობები გაჩნდა, როგორებიცაა: გამომცემლობა „ინტელექტუ“, საგამომცემლო სახლი „ტრიასი“, გამომცემლობა „უნივერსი“, „პოლიგრაფ +“, „გლობუსი“, „მერიდიანი“, „საქართველოს მაცნე“, „კეგელი“, „ომეგა“, „არადანი“, „სეზანი“ და სხვა.

გ5. ქართული სტამბა რუსეთში

ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს რუსეთში XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართველმა ემიგრანტებმა ჩაუყარეს საფუძველი იმერეთის მეფის, არჩილ II-ის, ინიციატივით, რომელმაც მოსკოვში სინოდის სტამბასთან დააარსა ქართული სტამბა. მისმა ვაჟმა ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი შედგენილი ქართული შრიფტის მოდელები ამსტერდამში გაუგზავნა ცნობილ ასოთამწყობ მილოშ ტოტფალუშ კიშს, რომელმაც შექმნა ქართული ასომთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრული შრიფტების პირველი ანაბეჭდები. ქართული სანიმუშო ფურცელი პირველად ამ სტამბაში 1703 წელს დაბეჭდილა. 1705 წელს გამოიცა „დავითი“. არჩილის გარდაცვალების შემდეგ წიგნის გამოცემის საქმე მისმა ქალიშვილმა – დარეჯანმა – განაგრძო მღვდელ-მონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილისა და არქიმანდრიტ გერმანეს დახმარებით. ამ სტამბაში გამოცემულ წიგნთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „პირველი სასწავლო ყრმათათავის“, რომელიც, სავარაუდოდ, 1732-1737 წლებში უნდა დაბეჭდილიყო (თარიღი გამოცემაზე არ ჩანს). 1736-1737 წლებში დარეჯანმა სტამბაში ქრისტეფორე გურამიშვილმა გამოსცა მაღალ დონეზე გაფორმებული რუსულ-ქართული ანბანი ლოცვებითურთ, ლათინური და გერმანული შენიშვნებით.

1737 წლიდან ქართული წიგნის გამოცემის საქმე მოსკოვში წამოიწყო კახეთის მეფის მდივან-მწიგნობრის, თამაზ ქობუ-

ლიშვილის, ვაჟმა, მთავარეპისკოპოსმა – იოსებ სამებელმა, რომლის დავალებითა და ხარჯით მღვდელმონაზონმა ქრისტეფორე გურამიშვილმა 1737 წელს დარეჯან ბატონიშვილის-გან შეიძინა სტამბა და იმ დროისათვის შესაფერად გამართა. სტამბის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვში ემი-გრირებული ქართველები ბაქარ ბატონიშვილის თაოსნობით. იოსების სურვილი იყო „დაბადების“ ქართული თარგმანის გამოცემა, რის გამოც მან სტამბა დროებით თავის ბინაზე, დაბა ვსეხსვიატსკოეში, გადაატანინა. ტექსტზე მუშაობაში მას ეხმარებოდნენ ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილები. მისი რედაქტირება თავის დროზე არჩილ ბატონიშვილს ჰქონდა დაწყებული. ქართული საგამომცემლო საქმისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იოსებ სამებელმა ქართული ტექსტი შეუდარა ეპრაულ, ბერძნულ, სირიულ და სლავურ ტექსტებს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მას ესმოდა სანდო ტექსტის გამოცემის მნიშვნელობა. „დაბადების“ რედაქტირება 1742 წლის ბოლოს დასრულდა, თუმცა მისი ბეჭდვა ნაწილ-ნაწილ დაიწყო და 1743 წლის მაისში დასრულდა. 1737-1744 წლებში მოსკოვის ქართულ სტამბაში, ძირითადად, სასულიერო ლიტერატურა იბეჭდებოდა. შეიძლება დავასახელოთ „ზა-დიკი“, „დავითინი“, „სახარება“, არსენ იყალთოელის თარგმანი იოანე დამასკელის „გარდამოცემა აუცილებელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა“, „მარხვანი“ და სხვა. სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

1761 წელს თბილისის მიტროპოლიტმა ათანასე ამილახვარმა რუსეთის სინოდისაგან ქართული სტამბის დაარსების ნებართვა გამოითხოვა და რუსეთში ქართული წიგნის ბეჭდვა განაახლა. ერთი ცნობის მიხედვით, მან ბაქარის ვსეხსვიატსკოეში დარჩენილი სტამბის ნაწილი შეიძინა და გამართა. 1766 წლის შემდეგ მის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი წიგნები არ მოგვეპოვება.

1796-1801 წლებში მოზდოკვში მუშაობდა გაიოზ რექტორის დაარსებული სტამბა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვათეიშვილი, ჯ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 2017.
2. ივანიაძე, ნ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის: <http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/qartuli-cignis-bechdva.html>
3. კარიჭაშვილი, დ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ., 1929.
4. კურდღლაშვილი, მ. ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959.
5. ჩიქობავა, ა. ვათეიშვილი, ჯ. პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.
6. ჭიჭინაძე, ზ. ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა 1709-1909, მეფე ვახტანგ მეექვსე, თფილისი, 1909. ელექტრომ-ბეჭდავი, ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქ., №3:
<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6401/3/kartuli%20stamb-ka-1909.pdf>
7. Huang, Sh. S., Illustrating the Efficacy of the Diamond Sutra in Vernacular Buddhism:
file:///C:/Users/W10/Downloads/Illustrating—the—Efficacy—of—the—Diamond.pdf
8. Mierlo, W. V. (2013). Reflections on Textual Editing in the Time of the History of the Book, 07/01/2013: file:///C:/Users/W10/Downloads/Reflections-on-Textual-Editing-in-the-Ti.pdf

გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

1. <http://www.historyofinformation.com/narrative/oral-to-written-culture.php>
2. <http://www.hrc.utexas.edu/exhibitions/permanent/gutenbergbible/>
3. <http://www.hrc.utexas.edu/exhibitions/permanent/gutenbergbible/gutenberg/#top>
4. <https://www.english.ox.ac.uk/history-of-the-book/the-material-text-and-textual-editing>
5. <https://en.wikipedia.org/wiki/Woodblock-printing#/media/File:Woodblocks-for-printing,-Sera-monastery-in-Tibet.jpg>

თავი IV

პრესის ისტორიიდან

უურნალ-გაზეთების ისტორიასთან მიმართებით, გამოცემათმცოდნეობა სწავლობს თითოეული უურნალის თუ გაზეთის სარედაქციო პრინციპებს, თემატიკას, მიმოიხილავს ავტორებს, რომლებიც ამ პერიოდულ გამოცემასთან თანამშრომლობენ, პუბლიკაციების ტიპს და უანრებს, რომლებიც მათში იძეჭდება, გამოყენებულ რუბრიკებს და მათ სპეციფიკას, რედაქციის მიერ პუბლიკაციებში განხორციელებულ სწორებებს, ცენზურასთან ურთიერთობას და სხვ. რაც შეეხება საგამომცემლო პრაქტიკას და რომელიმე პერიოდული ორგანოსთვის საგამომცემლო კონცეფციის შემუშავებას, უურნალის თუ გაზეთის მიზნებიდან და სამიზნე ჯგუფიდან გამომდინარე, გამოცემათმცოდნეობის არეალში შემოდის ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების შემუშავება ისე, რომ სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით, მაქსიმალურად იქნეს მიღწეული დასახული მიზნები. ამისათვის უნდა განისაზღვროს: რა პერიოდულობით იძეჭდებოდეს, რა ტიპის ავტორებთან დამყარდეს თანამშრომლობა, რის მიხედვით შეირჩეს გამოსაქვეყნებელი ტექსტები, ჩაერიოს თუ არა რედაქცია მართლწერისა და პუნქტუაციის მოწესრიგებაში, რა რუბრიკები გამოიყოს და სხვ.

§1. პერიოდული გამოცემების სათავეებთან

გაზეთები: საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარებისათვის წიგნებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს პერიოდულ გამოცემებს. 1787 წელს თომას ჯეფერსონი, ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, წერდა, რომ, თუ მას ასარჩევად ექნებოდა საქმე – მთავრობა გაზეთების გარეშე თუ გაზეთები მთავრობის გარეშე, არ მოერიდებოდა არჩევანი გაეკთებინა მეორის სასარგებლოდ.

ამა თუ იმ სახის საინფორმაციო ტექსტების მომზადებისა

და გარკვეული ინტერვალებით გამოცემის პრაქტიკა მრავალი საუკუნის წინ არსებობდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

პირველი გაზეთები გამოჩნდა რომეში ჩვენს წ.აღ-მდე 59 წელს იულიუს კეისრის დროს, როგორც ყოველდღიური ახალი ამბები ‘Acta Diurna’-ს (Daily Events) სახელწოდებით სენატის საქმეები და შემდეგ ყოველდღიური, საზოგადო ქრონიკები თიხის ფირფიტებზე იწერებოდა და მათ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში კიდებდნენ. გაზეთები მთავრობის განკარგულებაში იყო და შეიცავდა ინფორმაციას პოლიტიკური მოვლენების, სამსჯავროების, სკანდალების, სამხედრო კანონების, დასჯების შესახებ. დროის განმავლობაში რომება განავითარა განსაკუთრებით გამოცდილი სისტემა წერილობითი ახალი ამბების გამოსაცემად. ხელით ნაწერი ახალი ამბების ფურცლები ვრცელდებოდა აღნიშნული წლიდან სულ მცირე 222 წლამდე ქრისტეს შემდეგ.

ჩინეთსაც ჰქონდა ადრეული, მთავრობის მიერ წარმოებული სიახლეთა ფურცლები, რომელსაც ერქვა ‘Tipao’. ის ვრცელდებოდა ოფიციალურ პირებს შორის ჰანის (Han) დინასტიის დროს, ქრისტემდე 202 წლიდან ქრისტეს შემდეგ 221 წლამდე და იბეჭდებოდა გარკვეულწილად ტანგის (Tang) დინასტიის დროსაც 618-906 წლებში.

გუტენბერგამდელი საბეჭდი ტექნოლოგიებით გამოცემული პირველი გაზეთი გამოჩნდა ბეიჯინგში (Beijing) (პეკინში) 748 წელს. X საუკუნეში ჩინეთში სახელმწიფო მოხელეებისთვის რეგულარულად გამოდიოდა სასახლის კარის ანგარიში „დედაქალაქის მაცნე“.

გვიან 1400-იან წლებში გერმანიაში გამოიცა გაზეთი პამფლეტის ფორმით, ხშირად ძალიან სენსაციური ამბებით. როგორც ჩანს, სენსაცია და სკანდალი თავიდანვე ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო პრესისა.

საბეჭდი დაზგის გამოყენება ახალი ამბების გასავრცელებლად ევროპაში დაიწყეს გუტენბერგის მიერ მოძრავი შრიფტის გამოგონებიდან ძალიან მაღლე. ერთ-ერთი პირველი ნაბეჭდი ინფორმაციები, რომლებიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც

ახალი ამბები, იყო იტალიური ანგარიში შეჯიბრების შესახებ, დაბეჭდილი დაახლოებით 1470 წელს.

გერმანიაში პირველი ნაბეჭდი ქალალდი, რომელიც იყენებდა საბეჭდ დაზგას, გამოსცეს 1502 წელს.

პირველი ახალი ამბავი ამერიკაში, რომელიც აღნიშვნა მინისძვრას გვატემალაში, დაიბეჭდა მექსიკაში 1541 წელს.

1556 წელს ვენეციის ხელისუფლებამ დაიწყო ხელნაწერი ყოველთვიური „ნერილობითი განცხადებების“ (Notizie scritte) გამოცემა, რომლის ფასი იმდროინდელი ერთი ვენეციური მონეტა – გაზეტა (gazetta) იყო. სწორედ აქედან იღებს სათავეს სიტყვა „გაზეთი“. მასში შედიოდა ინფორმაცია ევროპის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სიახლეების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ, რომ უურნალისტიკა, სიახლეების მოძიებასა და ორგანიზებასთან ერთად, გულისხმობს მრავალფეროვნებასაც, ანალიზსაც და ფართო გავრცელებასაც, ამ გამოცემას კლასიკური გაგებით „გაზეთს“ ვერ ვუწოდებთ, მაგრამ მან გარკვეული წვლილი შეიტანა უურნალისტიკის განვითარებაში.

ოქსფორდის / ლონდონის გაზეთი, რომელიც პირველ თანამედროვე გაზეთად მიიჩნევა ორმაგი სვეტის გამო, დაიბეჭდა ინგლისში 1557 წელს.

უურნალ-გაზეთების გამოცემის ისტორია, ძირითადად, XVII საუკუნიდან იღებს სათავეს. თუ გაზეთს განვსაზღვრავთ, როგორც მიმდინარე ამბების ამსახველ სერიულ გამოცემას, რომელიც ხორციელდება ისეთი ინტერვალებით (თვეში ერთხელ მაინც), რომ მკითხველი არ ჩამორჩეს მიმდინარე მოვლენების მსვლელობას, უურნალისტიკის ისტორია იწყება 1605 წლიდან, როდესაც სტრაბურგში გამოქვეყნდა ‘*Relation aller Fürnemmen und gedenckwürdigen Historien*’ (*Account of all distinguished and commemorable news*’), ყველა ღირსშესანიშნავი და დასამახსოვრებელი სიახლის ანგარიში). ამ გაზეთის ადრეული ცალები მხოლოდ 2005 წელს აღმოაჩინეს.

გაზეთის გამომცემელმა იოჰან კაროლუსმა (Johann Carolus), რომელიც მანამდე შემოსავალს მდიდარი ხელმომწერების წრეში

სიახლეების ხელნაწერის სახით გავრცელებით იღებდა, შეიძინა სტამბა და დაინტ ამ ინფორმაციის ბეჭდურად გავრცელება. XX საუკუნის ბოლოს სტრასბურგის მუნიციპალიტეტში აღმოჩნდა განცხადება, რომელშიც კაროლუსი წერდა: „როდესაც მე ხელნაწერის სახით, გარკვეული თანხის ფასად გთავაზობდით ყოველკვირეულ სიახლეებს, გაცნობებდით იმის შესახებაც, რომ ვაპირებდი ამ მომსახურების შემდგომ წლებში გაგრძელებასაც. რამდენადაც გასავრცელებლად ტექსტების გადაწერას დიდი დრო მიჰქონდა, ან გარდაცვლილი თომას ჯობინისგან შევიძინე სტამბა, გადმოვიტანე ჩემს სახლში, გავმართე და ავამოქმედე.“ იქვე კაროლუსი აღნიშნავდა, რომ ამის შემდეგ საქმე უფრო დარჩეარდა, მაგრამ მაინც შრომატევადი იყო, რადგან ყოველი ახალი გამოცემისთვის უხდებოდა ასოების დაშლა და ხელახლა აწყობა. ეს განცხადება კარგად ასახავს ხელნაწერი პერიოდული გამოცემებიდან ბეჭდურზე გადასვლის პირველ ნაბიჯებს.

1609 წლიდან გერმანიაში ლუკას შულტე (Lucas Schulte) გამოსცემდა გაზეთს ‘*Avisa Relation oder Zeitung*’ („აზრების შეტყობინება ანუ გაზეთი“).

გაზეთების გამოცემის პრაქტიკა შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაშიც გავრცელდა და მათი რაოდენობა წლითი-წლითი მატულობდა. პირველი ინგლისურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი ‘*Corantos*’ დაიბეჭდა ამსტერდამში 1620 წელს.

1631 წლიდან საფრანგეთში გამოდიოდა გაზეთი ‘*La Gazette*’, რომელსაც თავად ქვეყნის ხელისუფალი – ლუდოვიკ XIII რედაქტორის და მისთვის სტატიებს პირველი მინისტრი – კარდინალი რიშელიე წერდა. 1622 წლიდან ინგლისურ ენაზე გამოიცემოდა კვირის ახალი ამბები (‘*Weekly News*’), 1702 წლიდან კი – საზოგადოების ფართო ფენებზე ორიენტირებული პირველი ინგლისურენოვანი გაზეთი „ყოველდღიური კურანტი“ (‘*The Daily Courant*’).

გაზეთებმა უცბად ვერ მოიკიდა ფეხი, რადგან მათი გამოყენება თავად სტამბების მეპატრონეებისთვისაც არ იყო ნათელი, მაგრამ რელიგიური დავების გაძლიერებასთან ერთად (რომელიც

მოჰყვა პროტესტანტთა რეფორმაციას) ასევე ახალი ეკონომიკური ინსტიტუტების გამოჩენასა და სავაჭრო საზოგადოების გაზრდასთან ერთად, აქტივისტებმა და ანტრეპრენიორებმა განავითარეს გაზეთები, როგორც პრაქტიკული მედია. ადრეული გაზეთების სამიზნეები იყვნენ კონკრეტული მკითხველები: ბიზნესმესაუთრეები, მიწების მფლობელები, კალვინისტები. XVII საუკუნის შუა ხანებისთვის ასეთი გაზეთები იყო ჩვეულებრივი დასავლეთ ევროპის დედაქალაქებში. ამსტერდამი, გამორჩეული ქალაქი კომერციული და რელიგიური დამოუკიდებლობით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი იყო ამ მხრივ.

მნიშვნელობის გაზრდა, ხშირი დასახლებები ქალაქურ ცენტრებში და ახალი ტექნოლოგიები გაზეთების პოპულარობის ზრდის ფაქტორებად იქცა.

ბურჟუაზიის დაწინაურებამ ხელი შეუწყო გაზეთების ტრანსფორმაციას მუდმივ პოლიტიკურ სათათბიროდ. ისინი გახდა ცენტრალური რესურსი ბურჟაზიული რევოლუციების დროს. დიდა რევოლუციამ ინგლისში, ამერიკულმა რევოლუციამ და საფრანგეთის რევოლუციამ შექმნეს ძლიერი ახალი კულტურები, რაც ბეჭდვაშიც აისახა. მას შემდეგ, რაც პოლიტიკური სისტემები განვითარდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, პოლიტიკური ბრძოლის ნორმები გაზეთებში გამოჩნდა.

XVIII საუკუნის ბოლომდე ახალი ამბების გავრცელების კულტურის რეგულაცია და ცენზურა მიიჩნეოდა აუცილებელ საქმედ. ევროპის სახელმწიფოები საჯარო დისკუსიებზე კონტროლს თვლიდნენ არსებით ფაქტორად მშვიდობისა და კანონიერების შესანარჩუნებლად. მათ განავითარეს პრესის კონტროლის სისტემები, რაც მოიცავდა ლიცენზირებასა და აკრძალვას. მბეჭდავები და წიგნების გამყიდველები ამასობაში მონაწილეობდნენ საავტორო უფლებებისა და პატენტების შექმნაში.

„პრესის თავისუფლება“ გახდა ერთ-ერთი ზოგადი ნარატივი ადრეული ურნალისტიკის ისტორიისთვის. რევოლუციების ეპოქაში, ამბები გმირ პუბლიცისტებსა და პროპაგანდისტებზე,

რომლებიც იბრძოდნენ ცენზურის წინააღმდეგ, გახდა ნაწილი საჯარო დისკურსისა, რომელიც მოიცავდა დავებს სამთავრობო სტრუქტურების გარშემო. რევოლუციების ეპოქაში შემოგვთავაზა, რომ დემოკრატიული მართვა დამყარებული ყოფილიყო საჯარო შეხედულებებზე, რომლებიც გენერირდებოდა სადისკუსიო არენაზე და იმართებოდა მიუკერძოებელი, რაციონალური დისკურსის ნორმებით. XIX საუკუნის დასაწყისისთვის უმრავლეს დასავლურ ქვეყნებში დაწინაურდა ახალი ამბების გავრცელების გულახდილი, პარტიზანული მოდელი.

XIX საუკუნის შუა წლებიდან მასიური პრესა გამოჩნდა აშშ-სა და ევროპაში გარკვეული განრიგით და მიბმული იყო დაბეგვრასა და პრესის რეგულაციის სხვა ფორმებზე. ეს კომერციული პრესა დამყარებული იყო სარეკლამო შემოსავლებზე და გათვლილი იყო უფრო ფართო აუდიტორიაზე, ვიდრე ადრეული, პირველადი პოლიტიკური გაზეთები.

ამერიკაში უურნალისტიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა – ბენჯამინ ფრანკლინმა. XIX საუკუნეში გაზეთების დიდი ნაწილი ყოველდღიური გახდა და პრესა თავისუფალი სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად იქცა.

უურნალისტიკამ ამ პერიოდში შეიძინა თანამედროვე მნიშვნელობა, როგორც ახალი ამბების გავრცელების დისციპლინამ. რამდენადაც მასიური აუდიტორია გაიზარდა, პოპულარული პრესა კვებავდა მკითხველების სენსაციურ ინტერესს და იძნდა სოციალურ რეპუტაციას. ილუსტრირებული ახალი ამბები თავდაპირველად პოპულარული გახდა ბრიტანეთში, შემდეგ საფრანგეთსა და ესპანეთში და თანდათანობით – სხვა ევროპულ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

უურნალისტიკის გაუმჯობესების პროექტი შეესაბამებოდა ახალი ამბების შექმნის სოციოლოგიას. მისი შემქმნელები იყო-ფოდნენ სამ ფართო ჯგუფად: რედაქტორებად, რომლებიც ადგენდნენ „ნიუსებს“ და წერდნენ ფრაგმენტულ მოსაზრებებს;

კორესპონდენტებად, რომლებიც წერდნენ გრძელ წერილებს და-შორებული ადგილებიდან და გამოხატავდნენ დამოკიდებულებებს; და მომხსენებლებად (რეპორტიორებად), რომლებიც ადგილე-ბზე ამუშავებდნენ სიახლეებს, აშუქებდნენ შეხვედრებს და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. უურნალისტიკის პროფოპროფესიული ფორმა გამოჩნდა, როგორც რეპორტიორისა და კორესპონდენტის პოზიციების ერთიანობა.

XX საუკუნის დასაწყისში უურნალისტიკა დასავლეთში მზად იყო დაეწყო პროფესიონალიზაციის პროცესი. ეს გამოვლინდა პრესის კლუბებისა და ასოციაციების, უურნალისტიკის სკოლების დაარსებაში. ზოგიერთ ადგილას უურნალისტებმა შექმნეს გაერთიანებები. ზოგან მთავრობებმა ჩამოაყალიბეს რწმუნებულების რეჟიმები.

პროფესიონალიზაციის პროექტი მოითხოვდა რაღაც განსხვავებულ ფორმას უურნალისტიკის ისტორიაში. უურნალისტური სკოლების ფორმირებამ, ეთიკის კოდექსების შექმნამ, ლიცეზირების სტანდარტების მოწესრიგებამ და გაერთიანებების ფორმირებამ წვლილი შეიტანა იმაში, რასაც უურნალისტიკის მაღალი მოდერნიზმი ჰქვია. რადიო და სატელევიზიო უურნალისტიკის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროფესიონალიზაციის ზრდას.

უმრავლესმა დასავლურმა ქვეყანამ XX საუკუნეში მოახდინა უურნალისტიკის ინსტიტუციონალიზაცია პროფესიული მოდელის ფარგლებში. დანიელ ჰალინმა (Daniel Hallin) და პაოლო მანცინიმ (Paolo Mancini) (2004) გამოავლინეს „მედია სისტემების“ სამი მოდელი: პარტიზანიზმი სამხრეთ ევროპაში (პოლარიზებული, პლურალისტური სისტემა), სოციალური დემოკრატია ჩრდილოეთ ევროპაში (დემოკრატიული, კორპორატიული სისტემა) და ბაზარზე დაფუძნებული სისტემები ჩრდილოატლანტიკიაში (ლიბერალური სისტემა). სამივე სისტემა უურადლებას აქცევდა პროფესიული უურნალისტიკის გაძლიერებას, ავტონომიის დაცვას არსებული ხელისუფლების, ბაზრისა თუ პარტიული გავლენებისაგან.

უურნალისტიკის ახალ სკოლებს სურდათ შექმნათ სწავლების პრაქტიკები, რომლებიც საზოგადოებას შესთავაზებდა მორალურ

მაგალითებს პროფესიონალთა გაზრდისთვის. ახალი ამბების ინდუსტრიის სწავლება მოითხოვდა ბიზნესის პირობების უკეთ გაცნობას. ქვეყნები, რომლებსაც უფრო მეტად კომერციული „ნიუსარენები“ ჰქონდათ, განსაკუთრებით მედია ბაზრის ყიდვით იყვნენ დაინტერესებულები. აშშ-ში დამოუკიდებელი ჟურნალისტიკაც ბაზრის პროდუქტად მიიჩნეოდა. ეს შეხედულება აშკარა იყო არა მხოლოდ ჟურნალისტიკის სტანდარტულ სახელმძღვანელოებში, არამედ ძირითად ესეებში, რომლებიც კანონიკური გახდა ჟურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლება დავასახელოთ ვალტერ ლიპმანის (Walter Lippmann) ‘*Two Revolutions in the American Press*’ (1931) და რობერტ პარკის (Robert Park) ‘*Natural History of the Newspaper*’ (1923).

ამერიკაში ჟურნალისტიკის პარტიზანულ ფორმას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის ნაციონალური თავისუფლების მოძრაობებში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 1970-იანი წლების შემდეგ, საგამოძიებო ჟურნალისტიკის სხვა მოდელი იქნა გადმოტანილი აშშ-იდან, შევსებული და ზოგიერთ შემთხვევაში შენაცვლებული პარტიზანულ მოდელთან. აზიაში, განსაკუთრებით ჩინეთში, დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ცნება მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ადრეული ნაციონალისტური მოძრაობებისა XX ს-ის საწყის დეკადებში.

ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციამ მხარი დაუჭირა გამოხატვის თავისუფლებას და უფლებას კომუნიკაციაზე, მაგრამ ამ ფორმულირებებმა მოიცვა შესაძლებელი ინტერპრეტაციებისა და სისტემების ფართო სპექტრი: ყველამ თავისებურად ახსნა ეს უფლებები.

ომის შემდგომი გლობალური პირობები იქცა საბაბად სხვა მძლავრი ჩარჩოს შესაქმნელად ჟურნალისტიკის ისტორიისათვის, რომელიც ეფუძნებოდა შედარებით (კომპარატიულ) მედია სისტემების მიდგომებს. ერთ-ერთი გავლენიანი მაგალითი ამ მიდგომისა იყო ნიგნი „პრესის ოთხი თეორია“ (‘*Four Theories of the Press*’) (Siebert, Peterson & Schramm, 1956), რომელმაც შექმნა ფილოსოფიურ ვარაუდებზე დამყარებული გამარტივებული სქემა

ჰუმანურობის ბუნებაზე, სახელმწიფოზე, სიმართლეზე. ბევრმა კრიტიკოსმა მიუთითა ამ მიდგომის ნაკლოვანებებზე, მისი ლიბერალური ვარაუდების არარეფლექსური გაერთიანების ჩათვლით.

ომის შემდგომ ყურადღება მიექცა აგრეთვე გლობალური საინფორმაციო სისტემის გაზრდას. გაჩნდა ისტორიები საერთაშორისო ტელეგრაფირების სერვისებისა. ინფორმაციის არათანაბარი ნაკადების კრიტიკა ნაწილი გახდა პოლიტიკური მოძრაობის ახალი მსოფლიო საინფორმაციო და საკომუნიკაციო წესრიგისა, რომელიც ჩამოყალიბდა იუნესკოს ფარგლებში 1970-იანი წლებში, კულტმინაციას კი მიაღწია 1980-იან წლებში.

XX საუკუნის ბოლო თანამედროვე დასავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. გლობალიზაცია, ცივი ომის დასასრული, ახალი ტექნოლოგიების განვითარება, რადიომაუწყებლობისა და ტელეკომუნიკაციების საჯარო მომსახურების მოდელებისა და მონოლიტური ნაციონალური იდენტობების კულტურული მხარდაჭერის დასუსტება იყო ის მთავარი მიზეზები, რამაც გაანადგურა ავტონომური ჟურნალისტიკის წინანდელი მოდელები. ახალი ტენდენციები მოიცავს 24-საათიან სატელევიზო ახალი ამბების მომსახურებას, ახალ ე. წ. პერსონალურ მედიას და ა. შ., აგრეთვე პარტიზანული მედიაძალაუფლების ახალ მახასიათებლებს.

გაზეთების შინაარსი და ფორმატი ბოლო საუკუნეებში რადიკალურად არ შეცვლილა. მასალა მაშინაც, ძირითადად, ორ ნაწილად იყოფოდა – შინაურ და უცხოურ ამბებად. მაშინაც იბეჭდებოდა რეკლამები, რადგან ბიზნესმენებმა ადრევე მოისაზრეს, რომ მკითხველისთვის საინტერესო პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება მათ დაინტერესებას გაზრდიდა. ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანი იყო შემოსავლის თვალსაზრისითაც.

პირველი გაზეთები ოთხგვერდიანი იყო და განცხადებები თავსდებოდა ბოლო გვერდზე. იმისათვის, რომ ამ ოთხ გვერდში ბევრი ინფორმაცია ჩატეულიყო, ცდილობდნენ, აზრი ლაკონურად გადმოეცათ. დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ სტატიის პირველ

აბზაცშივე ყოფილიყო თქმული: ვინ, რა, სად, როდის და რატომ. გაზეთებში, ინფორმაციული ტექსტების გარდა, იბეჭდებოდა: ლექსები, სატირა, ესეები და პოლიტიკური შარუები.

მურშედი (Muntasir Murshed) მასმედიას საზოგადოების იდენტობის ფორმირების საშუალებად მიიმჩნევს. ის წერს, რომ გვიან XXI საუკუნეში მასმედია შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს რვა მასმედია ინსტრუმენტად: წიგნები, გაზეთები, უურნალები, ჩანაწერები, ფილმები, ტელევიზია და ინტერნეტი. თუმცა დიგიტალური საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გვიან XX და ადრეულ XXI საუკუნეებში, კითხვა იმის შესახებ, თუ მედიის რა ფორმები კლასიფიცირდება, როგორც მასმედია (ანუ, რა ფორმები დარჩება მედიად), უფრო თვალსაჩინო გახდა. მაგ., საკამათოა, უნდა ჩაირთოს თუ არა განსაზღვრებაში ფიჭური ტელეფონები, ვიდეო და კომპიუტერული თამაშები. 2000-იან წლებში პოპულარული გახდა კლასიფიკაცია „შვიდი მასმედია“. ეს იყო ბეჭდური მედია, ჩანაწერები (recordings), კინო, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ფიჭური ტელეფონები. ტელევიზია დღეს კვლავ რჩება მედიის ყველაზე პოპულარულ ფორმად მთელ მსოფლიოში.

მედიას დღეს უკავია ერთ-ერთი მთავარი ძალაუფლება საზოგადოების ფორმირების პროცესში. ურთიერთობა მასმედიასა და საზოგადოებას შორის შეიძლება აღინიროს შემდეგნაირად: მასმედია არსებობს, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალება. იგი აკავშირებს ინდივიდებს ტექნოლოგიების ოპტიმალური გამოყენების გზით.

უურნალები. მსოფლიოს პირველი უურნალის გამოცემამდე არსებობდა რამდენიმე სპეციფიკური პერიოდული გამოცემა, რომლებსაც ზოგი მეცნიერი უურნალად მოიხსენიებს. მაგალითად, მამა იაკობის (Louis Jacob de Saint-Charles) „პარიზის ბიბლიოგრაფია“ (*Bibliographia Parisina*), რომელიც 1645-დან 10 წლის განმავლობაში გამოიცემოდა და აღნუსხავდა ამ ქალაქში გამომავალ ყველა წიგნს. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, პერიოდული ხასიათის მიუხედავად, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიოგრაფია და არა უურნალი.

მსოფლიოში პირველი ჟურნალი ფრანგულ ენაზე გამოვიდა 1665 წლის იანვარში, სათაურით «*Journal des Savants*» („სწავლულთა ჟურნალი“). მისი გამომცემელი იყო პარლამენტის მრჩეველი დენი დე სალო (Denis de Salo). ამ პერიოდული ორგანოს მიზანი იყო მეცნიერების სიახლეთა შესახებ ინფორმაციის მიწოდება მკითხველისთვის. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო პროგრესის ხელშეწყობისთვის.

ვფიქრობთ, საინტერესოა ისიც, რომ სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის იდეა საფრანგეთში ორი წლით ადრე, 1663 წელსაც, ჰედვიგ ისტორიკოსსა და გამომცემელ ფრანსუა მეზერეს (François Eudes de Mézeray). ამას ადასტურებს არქივში აღმოჩენილი დოკუმენტი, რომლითაც საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV ჟურნალის გამოცემის ნებას რთავს მეზერეს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ გამოცდილი ისტორიკოგრაფის, მეზერეს, აზრით, ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა მეცნიერებისა და ხელოვნების სიახლეების აღნუსხვა. საზოგადოებისთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდება პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში არსებულ სიახლეებზე ნაკლები მნიშვნელობის არ არის. ამიტომ, იმ მიზნით, რომ მკითხველისთვის გაეცნო, ერთი მხრივ, სარწმუნო და სასარგებლო და, ამასთანავე, სასიამოვნო და გასაართობი ინფორმაცია, მან გადაწყვიტა დაებეჭდა ყოველკვირეული გამოცემა „ლიტერატურული ჟურნალი“. საფრანგეთის ხელისუფალი ადასტურებს, რომ მეცნიერება და ხელოვნება სახელმწიფოს ძლევამოსილებას შეიარაღებაზე არანაკლებ წარმოჩენს და რომ ფრანგი ერისთვის თანაპრად დამახასიათებელია სიმამაცე და სულიერება. ამიტომ იგი ნებას რთავს მეზერეს, ნებისმიერი წყაროდან შეაგროვოს ინფორმაცია როგორც ჰუმანიტარულ, ისე ტექნიკურ მეცნიერებებსა და ხელოვნებაში გამოვლენილი სიახლეების შესახებ და აღნუსხოს ახალი აღმოჩენები ფიზიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის, ანატომიის, ქირურგიის, ფარმაციის, ქიმიის, მხატვრული ლიტერატურის, არ-ქიტექტურის, ზღვაოსნობის, სოფლის მეურნეობისა და წარმოების

სფეროებში. ასევე ნებას აძლევს, მოვლენათა თვალსაჩინოებისა-თვის გამოიყენოს საილუსტრაციო მასალა.

ლუდოვიკ XIV აქვე აღნიშნავს, რომ მეზერეს ეძლევა უფლება, გამოაქვეყნოს და გაყიდოს თავისი უურნალი კვირაში, 15 დღეში ან თვეში ერთხელ, ან გამოსცეს კრებულის სახით; გამოცემებში შეიტანოს ინფორმაცია ევროპაში გამოქვეყნებული წიგნების შესახებ; შესთავაზოს მკითხველს თავისი შეხედულებებიც მორალის, რელიგიის, პოლიტიკისა და სხვა საკითხების შესახებ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს. როგორც ვხედავთ, უურნალის კონცეფციაც და ხელისუფლების დამოკიდებულებაც საკმაოდ სრულყოფილი და მკაფიოა.

რუსეთში პეტრე I-ის მმართველობის დროს გაზეთი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ასევე ხელნაწერი იყო უურნალი „კურანტები“, 1702 წელს კი გამოვიდა პირველი ბეჭდური გაზეთი „უნიყებანი“. 1728 წელს, როდესაც ამ გაზეთს უკვე ერქვა „სანკტ პეტერბურგის უნიყებანი“, დაიწყეს მისი დამატების ბეჭდვაც, რომელიც მომდევნო წელს უურნალად ჩამოყალიბდა. 1834-1865 წლებში პეტერბურგში ასევე გამოდიოდა პირველი საზოგადოებრივ-კულტურული უურნალი „საკითხავი ბიბლიოთეკა“.

§2. ქართული უურნალ-გაზეთების გამოცემის ისტორია

საქართველოში უურნალ-გაზეთების გამოცემის ისტორიისა და ქართული უურნალისტიკის კვლევას არაერთი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი თუ წიგნი ეძღვნება. მათში მიმოხილულია როგორც გარკვეული პერიოდის უურნალ-გაზეთები, ისე კონკრეტული გამოცემები, ემიგრანტული პრესა; გაანალიზებულია თეორიული საკითხებიც და პრაქტიკული გამოცდილებაც. რამდენადაც ეს საგანი არაერთი უნივერსიტეტის კურიკულუმშია შეტანილი, შექმნილია შესაბამისი სახელმძღვანელოებიც.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და გამომცემლის,

ზაქარია ჭიჭინაძის, ცნობით, ქართული ჟურნალისტიკა XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს. ამ დროს თბილისში გამოიცემოდა ერთფურცლიანი გაზეთი, რომელსაც ჯერ „ბრძანება და უწყება“ (1763-1782), შემდეგ კი „ლეპორტი“ (1783-1787) ეწოდებოდა. მასში იბეჭდებოდა მეფისა და პატრიარქის ბრძანებები, განკარგულებები და სხვადასხვა ოფიციალური აქტები, მაგალითად: „მოურავთა-თვის საუწყებელი ცნობები, ბრძანება გვარიშვილობის აყრაზედ, მამულების ჩამორთმევაზედ, გვარისშვილობის ბოძებაზედ, სამე-ფო ბრძანება, მეფის მოწყალება, მოხმობა, მდევრის ძახილი და სხვანიც ამგვარი საჭირო უწყებანი.“ სამწუხაროდ, ამ გაზეთის შესახებ დოკუმენტური წყაროები არ მოვეპოვება და ამიტომ მას პირველ ქართულ გაზეთად ოფიციალურად არ მოიხსენიებენ.

მეორე მხრივ, XVIII საუკუნეში საქართველოში გაზეთის გამო-ცემა სავსებით დამაჯერებელი ჩანს, რადგან იოანე ბატონიშვი-ლის „კალმასობაში“ გაზეთის არსებობა ავტორისთვის ერთგვარ აუცილებლობად არის წარმოჩენილი. ის წერს: „სამეფო მწერალნი მეტადრე უნდა იყვნენ მეცნიერებაში გამოცდილნი... აგრეთვე აქვნდეთ გაზეთი და უწყოდენ იგი.“ გიორგი XII-ისათვის 1799 წლის 10 მაისს იოანე ბატონიშვილის მიერ წარდგენილ პროექტში („სჯულდება“), რომელშიც საუბარია ქართლ-კახეთის სამეფოში გასატარებელი რეფორმების შესახებ, ნათქვამია: „...იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯერ.“ იქვე არის განმარტებული, რატომ არის ეს საჭირო: „აქედამაც იქნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიან.“

ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დასაწყისად 1819 წლის 8 მარტია მიჩნეული, ანუ „საქართველოს გაზეთის“ (მომ-დევნო წელს სახელწოდებით „ქართული გაზეთი“) გამოცემის დრო. ეს იყო ოთხგვერდიანი ყოველკვირეული ორგანო და გა-მოდიოდა პარასკეობით. გაზეთის თითო გვერდი გაყოფილი იყო ორ სვეტად. მას არა ერთი კონკრეტული რედაქტორი, არამედ გამომცემელთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა. სტამბა და შენობა, სადაც ის იბეჭდებოდა, კავკასიის კორპუსის შტაბის საკუთრება იყო და, რამდენადაც იქ უცხო პირებს შესვლა ეკრძალებოდათ,

ბუნებრივია, რომ სარედაქციო ჯგუფის წევრებიც მხოლოდ ამ შტაბის მოსამსახურები იყვნენ.

საქართველოში გაზეთის დაარსებას იმპერიის ხელისუფლებამ უმთავრესად იმ მიზნით შეუწყო ხელი, რომ მასში საკუთარი „განწესებანი და განკარგულებანი“ გამოექვეყნებინა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გაეხადა, მაგრამ გაზეთში, ამის გარდა, იბეჭდებოდა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამბები, ისე რუსეთისა და უცხოეთის სიახლეები და მხატვრული ტექსტები. პირველ გაზეთს არ ჰყავდა კორესპონდენტები: ადგილობრივი მოვლენების შესახებ ინფორმაციას ის მოსახლეობისგან იღებდა, რუსეთის იმპერიისა და უცხოეთის ამბებს კი თარგმნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთს სახელისუფლებო რგოლი გამოსცემდა და არა პროფესიონალი უურნალისტები, ის თანდათან იცვენებოდა. მაგალითად, 1819 წლის 33-ე ნომერს დაერთო დამატებითი ფურცელი, 1820 წლიდან დაიხვენა თავფურცლის „ქუდი“ და დაემატა წმინდა გიორგის გერბი. გაზეთში გამოვეყენებული მასალა თანდათან უფრო მრავალფეროვანი გახდა. მართალია, ის, როგორც სახელისუფლებო ორგანო, ატარებდა რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსს, მაგრამ ერთადერთი საშუალება იყო, რომლის მეშვეობითაც მხოლოდ ქართულის მცოდნე მოსახლეობა ეცნობოდა მასალებს განათლების მნიშვნელობაზე, სოფლის მეურნეობასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. გაზეთში იბეჭდებოდა პატარა მოთხოვები და ნაკვესებიც, რაც ასევე მნიშვნელოვნი იყო საზოგადოების კულტურული განვითარებისთვის. პირველმა ქართულმა გაზეთმა 1821 წლის ბოლომდე იარსება. მისი დახურვა გამოიწვია ხელმომწერთა სიმცირემ, რაც, საზოგადოების არასაკმარისი მზაობის გარდა, სავარაუდოდ, მისმა, იმ დროისათვის მაღალმა, ფასმაც განაპირობა.

XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც ქართული უურნალისტიკის ისტორიის კვლევა დაიწყეს, ამ გაზეთის პირველი ნომრები ვერსად აღმოაჩინეს. მის მოძიებაში დიდი წვლილი მიუძღვის

გაზეთ „ივერიას“, რომელმაც მკითხველებს მიმართა შესაბამისი თხოვნით. შედეგმაც არ დაყოვნა: „ივერიის“ 1887 წლის 156-ე ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ სოფიო გრიგოლის ასულმა დოდაშვილმა იპოვა „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შესწირა.

1881-1883 წლებში ქუთაისში დიმიტრი ნაზარიშვილი და დიმიტრი დადიანი გამოსცემდნენ ქართულ ყოველკვირეულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთ „შრომას“, რომელიც პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების ორგანო იყო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს ემსახურებოდა.

1893-1904 წლებში თბილისში გამოდიოდა ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურულ გაზეთი „კვალი“, რომელშიც იმთავითვე დიდი ადგილი ჰქონდათ დათმობილი მესამე დასელებს. იბეჭდებოდა სტატიები ეკონომიკის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესახებ, ასევე მხატვრული ლიტერატურა, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები და ბიბლიოგრაფია. ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ფაქტობრივი კი – მისი მეუღლე გიორგი წერეთელი. 1897 წლიდან გაზეთი მთლიანად მესამედასელების, შემდეგ კი მენშევიკების ხელში გადავიდა.

1896-1906 წლებში თბილისში გამოდიოდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომელსაც 1901 წლიდან ჰქონდა ამავე სახელწოდების ყოველკვირეული სურათებიანი დამატება. მის დაარსებასა და გამოცემაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ვალერიან გუნია, ალექსანდრე ჭყონია, ალექსანდრე ჯაბაძარი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა და სხვა ფედერალისტები. 1904 წლიდან გაზეთი გახდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ოფიციალური ორგანო.

XIX საუკუნეში პრესას, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთადერთ საშუალებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი

საზოგადოების“ დაარსებამდე და სახალხო სკოლების მომრავლებამდე უურნალ-გაზეთებს ჰქონდა ფართო მასების არა მხოლოდ ინფორმირების, არამედ, ნაწილობრივ, განათლების ფუნქციაც.

პირველი ქართული უურნალი იყო გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ორკვირეული დამატება, სათაურით – „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“. იგი გამოდიოდა 1832 წლის იანვრიდან. უურნალის რედაქტორი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე – სოლომონ დოდაშვილი. უურნალში ქვეყნდებოდა თარგმანები, ლექსები, მასალები ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, განცხადებები და სხვ. უურნალის გამოცემა შეწყდა 1832 წლის ანტიმპერიული შეთქმულების ჩაშლისა და სოლომონ დოდაშვილის გადასახლების გამო. დაიბეჭდა სულ 6 ნომერი.

ყოველთვიური ლიტერატურული უურნალი „ცისკარი“, რომელიც დიდხანს იყო ერთადერთი ქართულენოვანი პერიოდული ორგანო, გამოდიოდა თავდაპირველად გიორგი ერისთავის (1852-1853), შემდეგ კი – ივანე კერესელიძის (1857-1875) რედაქტორბით. მისი მთავარი მიზანი იყო მხატვრული ლიტერატურის გზით ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება, საზოგადოების განათლებისა და მწერლობის ხელშეწყობა. უურნალში თანამშრომლობდნენ როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები. გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით, მასში იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დანიელ ჭოქაძის, ლავრენტი არდაზიანისა და სხვათა ნაწარმოებები. უურნალის ფურცლებზე გაიშალა თაობათა პაექრობა, რომელმაც დასაბამი მისცა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ეტაპს.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და რედაქტორობით გამოდიოდა ახალი თაობის, ე. წ. „თერგდალეულების“, ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული უურნალი „საქართველოს მოამბე“. მასში იბეჭდებოდა სხვადასხვა სახის მასალა: ლიტერატურული, ისტორიული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ უურნალში სხვა ავტორთა ტექსტებიც ქვეყნდებოდა, მისი

მომზადებისა და მატერიალური უზრუნველყოფის მთელი სიმძიმე რედაქტორზე – ილია ჭავჭავაძეზე გადადიოდა. იგი უურნალის თითო ნომერში ზოგჯერ სამ და ოთხ სხვადასხვა სახის ტექსტს აქვეყნებდა: ხელმომწერით, ხელმოუწერლად და ფსევდონიმებით. ამ პრობლემას დაემატა მისი სახელმწიფო სამსახურში შესვლა, ხელმომწერთა სიმცირე და 12 ნომრის გამოსვლის შემდეგ იგი იძულებული გახდა, გამოცემა შეეწყვიტა.

1866 წლის 4 მარტს თბილისში დაიწყო ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის – „დროების“ გამოცემა. იგი იბეჭდებოდა კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან კი – ყოველდღიურად. „დროების“ რედაქტორია იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული კულტურის ცენტრად. გაზეთი აშუქებდა ისტორიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის, სახალხო განათლების, ხელოვნების, ლიტერატურათმცოდნების, სოფლის მეურნეობისა და ქართული მრეწველობის საკითხებს. მისი რედაქტორები იყვნენ: გიორგი წერეთელი (1866-1869), სერგეი მესხი (1869-1883) და ივანე მაჩაბელი (1883-1885), ასევე, სხვადასხვა დროს – ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და ილია ჭავჭავაძე. 1885 წელს „რადიკალური მიმართულებისა და საცენზურო წესდების დარღვევის გამო“ გაზეთი ცენზურამ დახურა.

1869-1872 წლებში თბილისში გამოდიოდა ქართველი ხალხოს-ნების ყოველთვიური ლიტერატურული და სამეცნიერო უურნალი „მნათობი“. მასში იბეჭდებოდა ნინო ორბელიანის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის, ანტონ ფურცელაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა თხზულებები, ასევე ჯორჯ ბაირონის, უილიამ შექსპირის, ფრიდრიხ შილერის, ჰაინრიხ ჰერცისა და სხვა მსოფლიო კლასიკოსთა ტექსტების თარგმანები.

1871-1873 წლებში თბილისში ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოიცემოდა ქართული ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უურნალი „კრებული“. მასში ქვეყნდებოდა იმხანად ახალგაზრდა მწერლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის,

ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა თხზულებები, ასევე ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ჯონათან სვიფტისა და სხვა მსოფლიო კლასიკოსების ნაწარმოებები.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ილია ჭავჭავაძის „ივერია“ ხან გაზეთად მოიხსენიება და ხან – უურნალად. მისი გამოცემა დაიწყო 1877 წლის 3 მარტიდან და იმხანად იყო ყოველკვირეული გაზეთი, 1879-1885 წლებში გამოდიოდა უურნალის სახით, 1886 წლიდან კი გადაკეთდა ყოველდღიურ გაზეთად. მისი პროგრამის ძრითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის გაღვი-ვებას. გაზეთი „ივერია“ თემატურად მრავალფეროვანი იყო. იგი აშუქებდა ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფი-ის, სოციოლოგის საკითხებს და სხვა. ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური უანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხო-ვრების მთავარ და საარსებო პრობლემებსა და საზოგადოებას სთავაზობდა მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთა-ვრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. გაზეთი მდიდარ ინფორმაციას აწვდიდა მყითხველს საზღვარგა-რეთის იმუამინდელ ლიტერატურაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც უურნალებს აარსებდნენ პოლიტიკური ან სოციალური ჯგუფები. მაგალითად, 1881-1883 წლებში გამოდიოდა ქართველი ხალხოსნების ყოველკვირეული ლიტერატურული და პოლიტიკური უურნალი „იმედი“. იგი გან-საკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გლეხობის ყოფა-ცხოვრების ასახვას და მოითხოვდა აგრარული საკითხების გადაწყვეტას სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლის გზით.

1894-1905 წლებში თბილისში ალექსანდრე ჭყონია გამოსცემ-და ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო და ლიტერატურულ-ლიბერალურ-ეროვნული მიმართულების უურნალ

„მოამბეს“. მასში თანამშრომლობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, ანასტასია ერისთავი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა ცნობილი ავტორები.

1901-1904 წლებში ივანე როსტომაშვილის მიერ გამოიცემოდა ყოველთვიური ისტორიული, არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული, სურათებიანი უურნალი „მოგზაური“, რომელიც 1905 წლის იანვრიდან ფილიპე მახარაძემ ქართველი სოციალ-დემოკრატების ყოველკვირეულ გამოცემად აქცია, თუმცა ოფიციალურ რედაქტორად ისევ როსტომაშვილი რჩებოდა. მასში შუქდებოდა 1905 წლის რევოლუციური მოვლენები, მუშათა და გლეხთა მობილიზების საკითხები. პროპაგანდას უწევდნენ სოციალისტურ იდეებს.

სოციალ-დემოკრატებმა 1905 წელს თბილისში გამოსცეს ქართული არალეგალური უურნალის – „სოციალ-დემოკრატის“ 6 ნომერი, 1909-1910 წლებში კი – ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული უურნალის – „სხივის“ 15 ნომერი. მათში შუქდებოდა პოლიტიკური საკითხები, მაგრამ ასევე იბეჭდებოდა მხატვრული ტექსტები და თარგმანებიც.

1909 წელს თბილისში გამოვიდა ერთი ნომერი ქართველ სტუდენტთა ლიტერატურულ უურნალისა „ამომავალი მზე“, რომელშიც დაიბეჭდა: სტუდენტთა სტატიები, რეცენზიები, მხატვრული ნაწარმოებები, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული წრის საზაფხულო მუშაობის გეგმა და სხვ.

1916 წელს ქუთაისში გამოიცა ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურულ უურნალ „ცისფერი ყანების“ ორი ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუნ ნადირაძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და სხვა ცნობილი მწერლების თხზულებები. უურნალის ყდა ცისფერ ფერებში გააფორმა ვლადიმერ ჯაფარიძემ.

1917 წელს ქუთაისში არალეგალურად დაიბეჭდა საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაცია „სპარტაკის“

ჟურნალ „მესამე ინტერნაციონალის“ ხუთი ნომერი, რომელსაც ბოლშევიკური იდეურ-პოლიტიკური მიმართულება ჰქონდა. მასში გამოქვეყნდა „სპარტაკის“ წესდება, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიღებული დეკრეტებისა და სიახლეების ამსახველი სტატიები და სხვ. 1918 წლის ბოლოდან ჟურნალი გამოდიოდა ახალი სახელწოდებით – „ახალგაზრდა კომუნისტი“.

რამდენადაც ჟურნალისტიკის განვითარება ჩვენში რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდს ემთხვევა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უხვად იბეჭდებოდა რუსულენოვანი ჟურნალ-გაზე-თებიც. 1872-1873 წლებში თბილისში გამოდიოდა ყოველთვიური ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ჟურნალი „კავკასიის სიძველენი“ („Кавказская старина“), რომელშიც ქვეყნდებოდა ისტორიული დოკუმენტები, კავკასიის ხალხთა მემატიანების თხზულებათა თარგმანები, წერილები არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხებზე, ძეგლთა აღწერა და ბიბლიოგრაფია. 1900 წელს აქვე გამოდიოდა ყოველთვიური ილუსტრირებული ბიბლიოგრაფიული ჟურნალი „კავკასიის წიგნების მიმოხილვა“ („Кавказское книжное обозрение“), 1900-1905 წლებში კი – ყოველკვირეული სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი „კავკასიის მაცნე“ („Кавказский вестник“). მასში განყოფილებებად იყო გამოყოფილი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცხოვრება, ლიტერატურა და პრესა. ასევე შედიოდა აღმოსავლეთის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია.

ხელნაწერი ჟურნალების გამოცემა სტამბის გამოგონების შემდეგაც გრძელდებოდა, მეტნილად იმ მიზეზით, რომ მის მესვეურებს ბეჭდვის საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებოდათ მატერიალური სახსრების არქონის ან აკრძალული შინაარსისა და არალეგალურობის გამო. მაგალითად, 1889-1891 წლებში თბილისში ვრცელდებოდა მუშათა ხელნაწერი ჟურნალი „მუშა“.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რედაქტორ-გამომცემლები ზრუნავდნენ ჟურნალ-გაზეთების გარეგან იერზე: მის მხატვრულ გაფორმებაზე, შრიფტზე და სხვ. ჩამოყალიბდა საჟურნალო გრა-

ფიკაც. პირველი ქართველი გრაფიკოსი თვითნასწავლი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი იყო, რომელიც ხეზე ჭრიდა ნახატებს და ასე ამზადებდა კლიმებს. პირველ გაზეთებს ძალიან გადატვირთული თავფურცლები და სუბტიტრები ჰქონდა, მაგრამ ესეც თანდა-თან იხვეწებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძისა და ვასილ მაჩაბლის მიმოწერა. 1877 წელს, როდესაც პეტერბურგში მცხოვრებ ვასილ მაჩაბელს ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრები გაუგზავნა, მისგან რჩევა მიიღო, რომ სატი-ტულო გვერდის გაფორმება, რომელიც მას „რუსულ ჩაჩს“ აგო-ნებდა, შეეცვალა. ილიამ გაითვალისწინა რჩევა და 1878 წლიდან „ივერიის“ თავფურცლის გაფორმება მთლიანად შეცვალა. XX საუკუნის დასაწყისში გახშირდა დასურათებული ლიტერატურუ-ლი უურნალების გამოცემა. ასეთები იყო: „ერთობა“, „ბურჯი“, „ძალა“ და სხვ. ბუნებრივია, რომ ილუსტრირება და ვიზუალური მრავალფეროვნება უურნალ-გაზეთებს მიმზიდველობას მატებდა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარების შე-სასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდს, მაგრამ სამი წელი ისტორიისთვის მოკლე ინტერვალია და ბევრი რამის გაკეთება, ბუნებრივია, ვერ მოხერხდებოდა.

1918 წელს ევგენი დვალის რედაქტორობით გამოვიდა სამი ნომერი საქართველოს ეროვნულ-ხალხოსნური და მუშა-მშრო-მელთა უურნალისა „რუსთაველი“, რომელშიც სხვადასხვა სტა-ტიებთან ერთად დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილი „ვეფზისტყაოსნის“ ქართული და უცხოური გამოცემების სია. 1918-1921 წლებში იბეჭდებოდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორ-განიზაციის ყოველკვირეული მეცნიერულ-პოლიტიკური უურნალი „ახალი კვალი“.

1918 წელს თბილისში დაიბეჭდა ქართული ყოველთვიური ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური უურნალის – „პრომეთეს“ სამი ნომერი, რომლებშიც გამოქვეყნდა ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების არაერთი მნიშვნელოვა-

ნი მხატვრული თხზულება და სტატია. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: პავლე ინგოროვა, იოსებ ყიფშიძე და კონსტანტინე გამსახურდია. 1920 წელს გამოდიოდა სამეცნიერო-პოპულარული ორკვირიანი ჟურნალი „გაზი და ლვინო“, რომელშიც იბეჭდებოდა მასალები ვაზის მოვლა-გაშენების, ლვინის დაყენებისა და გასაღების საკითხებზე.

1918 წელს ქუთაისში, ხოლო 1920 წელს თბილისში გამოიცა ქართული ლიტერატურული ჟურნალის – „აისის“ ორი ნომერი. მასში დაიბეჭდა: გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და სხვა დიდი პოეტების ლექსები. 1919 წელს თბილისში გამოვიდა ახალგაზრდა სიმბოლისტთა ქართული ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის – „კრონისის სარკის“ ორი ნომერი. მასში დაიბეჭდა ტერენტი გრანელის, დემნა შენგელაის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები და სტატიები. ჟურნალის მიმართულება და მიზანდასახულობა კარგად ჩანს მის წინათქმაში, რომელიც სიმბოლიზმის, როგორც კულტურულ-ესთეტიკური მიმდინარეობის, მნიშვნელობის განსაზღვრას და ახალ ქართულ მწერლობაში მისი ადგილის გამოკვეთას ემსახურებოდა.

1919 წელს თბილისში დაიბეჭდა ყოველთვიური ჟურნალის – „შვიდი მნათობის“ ორი ნომერი. ძირითადი თემები იყო: სიტყვაკაზმული მწერლობა, მხატვრობა, მეცნიერება, პოლიტიკა და კოოპერაცია. ამ გამოცემას კაკაბაძეების ჟურნალსაც უწოდებდნენ, რადგან მისი სულისჩამდგმელები და ყველაზე აქტიური ავტორები იყვნენ თავიანთ სფეროში საუკეთესო პროფესიონალები: მხატვარი დავით კაკაბაძე, ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე და მწერალი პოლიკარპე კაკაბაძე. ჟურნალში ასევე თანამშრომლობდნენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ივანე ბერიტაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და სხვა ცნობილი მოღვაწეები. ჟურნალის გვერდებზე გამოსახული სიმბოლიკა – შვიდი ვარსკვლავი (მნათობი) აღებულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის გერბიდან. 1924 წელს, უკვე საბჭოთა კავშირის პირობებში, ბოლშევიკებმა

უურნალი განაახლეს, მაგრამ სათაურიდან ამოიღეს სიტყვა „შვიდი“, რომელიც დამოუკიდებლობის სიმბოლოდ იყო ჩაფიქრებული. უურნალში იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებიც, მაგრამ იგი, ძირითადად, ორიენტირებული იყო ლიტერატურაში სოციალური რეალიზმის დამკვიდრებაზე.

1920-1921 წლებში სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი გამოსცემდა უურნალ „სახალხო გვარდიელს“. დაიბეჭდა სულ ხუთი ნომერი. მასში სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები იბეჭდებოდა. უურნალში განთავსებული იყო საბრძოლო მოქმედებებში დალუბული სახალხო გვარდიელების მოკლე ბიო-გრაფიები და ფოტო სურათები.

როგორც ვხედავთ, ამ გამოცემების უმრავლესობის არსებობა რესპუბლიკასავით ხანმოკლე აღმოჩნდა და საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ინტერვენციის შემდეგ აღარ გაგრძელებულა. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის ყოველთვიური უურნალი „მეოცნებენიამორები“. მისი გამოცემა 1919 წელს დაიწყო და 1924-ის ჩათვლით გრძელდებოდა. უურნალში თანამშრომლობდნენ: ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვა ცნობილი პოეტები.

უურნალ-გაზეთების რაოდენობა კიდევ უფრო მომრავლდა საბჭოთა პერიოდში, მაგრამ, თემების მრავალფეროვნების მიუხედავად, იდეოლოგიური შეზღუდვების გამო ისინი უფრო ერთგვაროვანი გახდა. მხატვრული მწერლობის ქუთაისის კავშირი 1922 წელს გამოსცემდა ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველთვიურ უურნალ „უქიმერიონს“. სულ გამოვიდა 6 ნომერი, რომლებშიც დაიბეჭდა: ტერენტი გრანელის, ვიქტორ გაბესკირიასა და სხვა იმ-ჟამინდელი პოეტების ლექსები, გაშუქდა ქართველი სიმბოლისტებისა და ფუტურისტების შემოქმედებითი მეთოდების საკითხები.

1924-1932 და 1936-1941 წლებში თბილისში იბეჭდებოდა რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგა-

დოების საქართველოს განყოფილების ყოველთვიური ჟურნალი „რემედასი“. ჟურნალი პროპაგანდას უწევდა სოციალისტურ რევოლუციასა და მის იდეებს. ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების გარდა, ჟურნალში თანამშრომლობდნენ უცხოელი ავტორებიც.

1927-1928 წლებში თბილისში გამოიცა „ფუტურისტ-ლეფელების“ ლიტერატურული ჟურნალის – „მემარცხენეობის“ ორი ნომერი, 1928 წელს კი – ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონის“ ამავე სახელწოდების მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი. მასში დაიბეჭდა ამ გაერთიანების ლიტერატურული დეკლარაცია და თხზულებები, მათ შორის ისეთი ცნობილი ავტორებისა, როგორებიც იყვნენ: სანდრო შანშიაშვილი, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სხვადასხვა სახელწოდებით: „ჩვენი გზა“ (1923-1925), „მშრომელი ქალი“ (1926-1938), „საბჭოთა ქალი“ (1957-1960) და „საქართველოს ქალი“ (1961-1986) გამოსცემდა ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალს, რომელიც ამ წლების განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

დღეისათვის საქართველოში უამრავი სახელმწიფო და კერძო ჟურნალ-გაზეთი გამოდის როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ამიტომ მათი აღნუსხვა თითქმის შეუძლებელია. გამოცემათა სიმრავლის პირდაპირპროპორციულად მცირდება მათი ტირაჟი. XIX საუკუნისგან განსხვავებით, აღარ გამოდის ისეთი ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც თითქმის მთელი ერი კითხულობს. სამიზნე ჯგუფის არეალი მნიშვნელოვნად დავიწროვდა და ეს ასეც უნდა მომზდარიყო, რადგან ინფორმაციის მოზღვავების პირობებში მკითხველისთვის აუცილებელია იცოდეს, რომ ამა თუ იმ პერიოდულ ორგანოში ზუსტად იმ სახის მასალას იპოვის, რომელიც მას სჭირდება.

ჭ3. უცხოეთში გამომავალი ქართული პრესა

ქართული უურნალ-გაზეთები გამოდიოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც. ზოგი მათგანი გამიზნული იყო ქართველი ემიგრანტებისთვის, ზოგი კი ქვეყნის გარეთ მხოლოდ იმიტომ იბეჭდებოდა, რომ მათი შინაარსი და იღეური მიმართულება მიუღებელი იყო ქვეყანაში არსებული რეჟიმისთვის.

1873 წლის აპრილში პარიზში ნიკო ნიკოლაძემ ჰექტოგრაფიული წესით დაბეჭდა ქართული გაზეთის – „დროშის“ 10 ნომერი. გაზეთს ეპიგრაფად ჰქონდა გაშლილ დროშაზე წარწერილი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ანმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია.“ „დროშა“ განკუთვნილი იყო ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობისთვის. ეხებოდა მუშათა კლასის, ეროვნული მოძრაობის, სოციალიზმის, საგარეო პოლიტიკისა და სხვა პრობლემურ საკითხებს.

1903-1905 წლებში პარიზში იბეჭდებოდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთი „საქართველო“. რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი და თედო სახოვა. გაზეთი ხშირად თორმეტგვერდიანი იყო და იბეჭდებოდა საგანგებო ქართული შრიფტით, რომელსაც „პარიზულა“ ერქვა. მასში იყო მუდმივი რუპრიკები: „ჩვენის ცხოვრების მატიანე“, „ევროპის პრესა“, „სხვადასხვა ამბები“, ფოსტის ყუთი“ და „განცხადებები“. 1913-1914 წლებში ქართველ სეპარატისტთა ჯგუფმა უენევაში დაბეჭდა ყოველთვიური ქართული უურნალის – „თავისუფალი საქართველოს“ 24 ნომერი. მასში სტატიებს აქვეყნებდნენ მიხაკო წერეთელი, გიორგი კერესელიძე, ნესტორ მაჩაბელი და სხვები. ეს ორი გამოცემა სწორედ იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც საზღვარგარეთ იბეჭდებოდა ხელისუფლებისთვის მიუღებელი პოზიციის გამო. არსებობს მათი რედაქტორ-გამომცემლებისა და თანამშრომლების არაერთი მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ ჭირდა უკვე დაბეჭდილი პრესის ქვეყანაში ჩამოტანა. მაგალითად, თედო სახოვა წერს, რომ წესად ჰქონდათ, გაზეთის ახალი ნომრები სამშობლოში მომავალი თოთვეული მამულიშვილისთვის გამოეტანებინათ.

ასეთი სირთულეები საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა. 1921-1922 წლებში სტამბოლსა და პარიზში გამოდიოდა სოციალ-დემოკრატების ყოველთვიური ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. სულ გამოიცა 17 ნომერი. ჟურნალი იბეჭდებოდა ვენურს მიმსგავსებული როგორც ჩვეულებრივი შრიფტით, ისე პეტიტით. მისი რუბრიკები იყო: „რუსეთის მიმოხილვა“, „საქართველოს ამბები“, „ევროპის პრესიდან“, „საქართველო და ევროპა“. ჟურნალთან, გარდა რედაქციის წევრი ჟურნალისტებისა და საკუთარი კორესპონდენტებისა, თანამშრომლობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორები, რომელთა შორის მრავალი გამოჩენილი პოლიტიკოსი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იყო: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხერიძე და სხვები.

1948-1958 წლებში პარიზში გამოიცემოდა ქართულენოვანი სამეცნიერო ჟურნალი „ბედი ქართლისა“. მან არსებობა 1958-1983 წლებშიც გააგრძელა, მაგრამ მრავალენოვანი გახდა. ქართულის გვერდით, აქ ქვეყნდებოდა სტატიები ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალმა თავი მოუყარა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. წელიწადში გამოდიოდა ერთი ან ორი (გაერთიანებული) ტომი. მას წლების განმავლობაში სათავეში ედგა პროფესორი კალისტრატე სალია. 1985 წლიდან გამოცემას დაერქვა ქართულ-კავკასიური კვლევების ჟურნალი ‘*Revue des Études Géorgiennes et Caucasiennes*’.

§ 4. სპეციფიკური თემები და გამოცემები

რელიგიური. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში საქართველოში გამოდიოდა რელიგიური შინაარსის ჟურნალებიც. რამდენადაც რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანა იყო, ამ მხრივ საქართველოს აკრძალვებს არ უწესებდა. 1864-1868 წლებში თბილისში იბეჭდებოდა პირველი ქართული საღვთისმეტყველო და საეკლესიო ყოველთვიური ჟურნალი „საქართველოს

სასულიერო მახარობები“. რედაქტორ-გამომცემელი იყო გიორგი ხელიძე. უურნალში ქვეყნდებოდა როგორც საეკლესიო მასალა, ისე ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურა და ისტორიული ნაწარმოებები. ყოველ ნომერს დართული ჰქონდა დამატება რუსულ ენაზე.

1883-1884 და 1888-1910 წლებში ყვირილაში (ახლანდელი ზემოთაფონი), ძირითადად, თვეში 2-ჯერ, 1885-1887 წლებში კი 5-ჯერ მღვდელი დავით ლამბაშიძე გამოსცემდა სასულიერო უურნალს „მწყემსი“. იგი, რელიგიურის გარდა, დიდ ადგილს უთმობდა ქართული სკოლის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს. 1885-1905 წლებში გამოდიოდა მისი რუსულენოვანი დამატებაც სათაურით „Пастыръ“.

სხვადასხვა სახელწოდებით: „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ / ‘Духовный вестник Грузинского Экзархата’ (1891-1906); „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბე“ / ‘Вестник Грузинского Экзархата’ (1907-1917) და „კავკასიის საეგზარქოსოს მოამბე“ / ‘Вестник Кавказского Экзархата’ (1917 №15/16-20) საქართველოს საეგზარქოსო რუსულ და ქართულ ენებზე თვეში ორჯერ გამოსცემდა უურნალს, რომელსაც რედაქტორობდა თბილისის სასულიერო სემინარის ხან რექტორი და ხან ინსპექტორი. მასში ქვეყნდებოდა სასულიერო უწყების ბრძანებები, ცირკულარები და სხვა ოფიციალური საეკლესიო მასალა, ქადაგებები, სტატიები საეკლესიო საქმეთა შესახებ და სხვ.

საბავშვო. ზოგიერთი უურნალი ორიენტირებულია გარკვეული ასაკის მკითხველებზე. ამ მხრივ ყველაზე ხშირია საბავშვო უურნალები. ჯერ კიდევ 1883-1885 წლებში თბილისში ანდრია ღულაძის რედაქტორობით გამოდიოდა ყოველთვიური საბავშვო უურნალი „ნობათი“, რომელშიც იბეჭდებოდა: ლექსები, მოთხრობები, მოგონებები, ზღაპრები, ლეგენდები, წერილები, ანდაზები, გამოცანები, რებუსები და ნახატები. ასეთი მრავალფეროვნება მას ბავშვებისთვის მიმზიდველს ხდიდა. 1890-1921 წლებში ასეთივე პოპულარობით სარგებლობდა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის

რედაქტორობით გამომავალი ჟურნალი „ჯეჯილი“. ამ საბავშვო ჟურნალებთან თანამშრომლობდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვა ცნობილი ქართველი მწერლები.

1904 წელს თბილისში დაარსდა ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“, რომელსაც 1947 წლიდან სახელი შეეცვალა და „დილა“ დაერქვა. ამ ჟურნალმა განსაკუთრებით დიდხანს იარსება და 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

იუმორისტული. ზოგი ჟურნალი უანრობრივი მრავალფეროვნებით გამოიჩინა, ზოგი კი ირჩევს ერთ რომელიმე ნარატივს, მაგალითად, იუმორისტულს. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში გამოდიოდა იუმორისტული ჟურნალები: „ეკალი“, „ოხუნჯი“ და „ბზიკი“.

1907-1908 წლებში იბეჭდებოდა ქართული ყოველკვირეული სატირული ჟურნალი „ნიშადური“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ვალერიან გუნია. მასში ქვეყნდებოდა ლიტერატურული, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, პოლიტიკური სატირა, იუმორი, კარიკატურები და სხვ. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, მიხაკო წერეთელი და სხვა ცნობილი ავტორები.

1907-1921 წლებში, შიგადაშიგ პერიოდული წყვეტით გამოიცემოდა იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“, რომელშიც, ორიგინალურ ნაწარმოებებთან ერთად, იბეჭდებოდა თარგმანებიც. ჟურნალს სხვადასხვა დროს ეცვლებოდა სახელიც: „მათრახი“, „მათრახი და სალამური“, „სალამური“, „ჩვენი სალამური“ და სხვ.

1923 წლის 3 ივნისს თბილისში დაარსდა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“, რომელიც წარმოადგენდა 1992 წლიდან მოსკოვში გამომავალი ჟურნალის – ‘კროკодილ’-ის ალტერნატიულ ვერსიას. ის გამოდიოდა თვეში 2-ჯერ. 1924-1930 წლებში სახელი შეუცვალეს და „ტარტაროზი“ დაარქვეს, 1931-იდან კი ისევ ძველი სახელი აღუდგინეს. ჟურნალი ამხელდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მოვლენებს. ბეჭდავდა სატირულ და იუმორის-

ტულ ნაწარმოებებს, ნახატებსა და კარიკატურებს. უურნალთან თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, უურნალისტები, მხატვრები. სხვადასხვა დროს მის რედაქტორებად მუშაობდნენ სილიბისტრო თოდრია, სანდრო ეული, გრიგოლ აბაშიძე, ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ ღუმბაძე, ზურდან გემაზაშვილი, ზაურ ბოლქვაძე და სხვები. უურნალს ჰქონდა თავისი დამატება – „ნიანგის ბიბლიო-თეკა“, რომელიც ყოველწლიურად გამოსცემდა სატირულ-იუმორის-ტულ ნაწარმოებთა 12 კრებულს. გარკვეულ პერიოდში „ნიანგის“ გამოცემა შეფერხდა, მაგრამ 1990-იან წლებში კვლავ განახლდა, მოგვიანებით ისევ შეწყდა და 2011 წლის ივნისში აღდგა.

მონოურნალი. მონოურნალი არის გამოცემა, რომლის ავტორი, რედაქტორი და გამოცემელი ერთი პიროვნებაა. კლასიკური გაგებით, მონოურნალი ბეჭდური სახით საქართველოში არასოდეს გამოცემულა, მაგრამ ზოგჯერ ესა თუ ის მწერალი იმდენად პროდუქტიული იყო, რომ დგებოდა საკუთარი უურნალის გამოცემის საჭიროების წინაშე. ასეთი იყო, მაგალითად, აკაკი წერეთლის ლიტერატურული უურნალი სათაურით – „აკაკის თვიური კრებული“, რომელიც გამოდიოდა 1897-1900 წლებში. უურნალში მეტწილად აკაკის ნაწერები იბეჭდებოდა, მაგრამ იყო სხვა ავტორებისაც და ასევე დიდი ადგილი ეთმობოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და კრიტიკული წერილების პუბლიკაციას.

1922-1923 წლებში თბილისში გამოიცემოდა გალაკტიონ ტაბიძის ქართული ყოველკვირეული ლიტერატურულ-მხატვრული უურნალი სახელწოდებით „გალაკტიონ ტაბიძის უურნალი“. იგი ბეჭდავდა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, ლიტერატურულ კრიტიკას, წერილებს მხატვრობის, თეატრისა და მუსიკის საინტერესო საკითხებზე და სხვ. რედაქტორ-გამომცემელი იყო თავად გალაკტიონ ტაბიძე, მაგრამ უურნალში თანამშრომლობდნენ სხვებიც: გიორგი ქუჩიშვილი, შიო მღვიმელი, დემნა შენგელაია, ია ეკალაძე და სხვ. გამოცემა მხატვრულად გააფორმეს ცნობილმა მხატვრებმა – ლადო გუდიაშვილმა და კირილ ზდანევიჩმა.

დარგობრივი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი დარგობრივი მიმართულების უურნალების გამოცემას. 1861-1876 წლებში თბილისში გამოცემოდა პირველი ქართული აგრონომიული ორკვირეული უურნალი „გუთნის დედა“. 1919-1920 წლებში აქვე იბეჭდებოდა საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ორგანო, ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური უურნალი „განათლება“. 1924 წელს საქართველოს მწერალთა კავშირი გამოსცემდა ყოველთვიურ „კავკასიონს“, რომელშიც თანამშრომლობდნენ დავით კლდიაშვილი, კონსტანტინე მაყაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ლეო ქიაჩელი და სხვა ცნობილი ქართველი მწერლები. უურნალი ხელისუფლებამ მაღლევე აკრძალა, როგორც „შოვინისტური გამოცემა“. 1925 წლიდან იგი განახლდა „ახალი კავკასიონის“ სახელწოდებით.

1888-1898 წლებში თბილისა და ქუთაისში გამოდიოდა ქართული ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო უურნალი „მეურნე“. მასში იბეჭდებოდა პოპულარულ ენაზე დაწერილი სტატიები ეკონომიკის, მემინდვრეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებზე. გამოიცა 304 ნომერი.

ქართული ყოველკვირეული სამეცნიერო-პოპულარული უურნალი, რომელსაც 1925-1929 წლებში ერქვა „ტექნიკა და ცხოვრება“, 1929-1936-ში – „ტექნიკა და შრომა“, 1936-1941-ში – „ტექნიკა“, 1949-1974 წლებში – „მეცნიერება და ტექნიკა“, აშუქებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებსა და მიღწევებს საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სამეცნიერო უურნალები. სხვა უურნალებისგან განსხვავებით, სამეცნიერო უურნალებისთვის პუბლიკაციებს უმრავლეს შემთხვევაში ამზადებენ მოქმედი მეცნიერები (პროფესორები, მკვლევარები, სტუდენტები) და არა უურნალისტები. პირველი სამეცნიერო უურნალი სახელწოდებით „მეცნიერთა უურნალი“ გამოიცა 1655 წლის 5 იანვარს საფრანგეთის აკადემიაში.

სამეცნიერო უურნალები სხვადასხვა სახისაა: პირველად სა-მეცნიერო უურნალში ქვეყნდება ახალი სამეცნიერო ნაშრომები, მეორადში – ინფორმაცია პირველწყაროთა შესახებ, სამეცნიერო-ინფორმაციული და ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალები. მესამე ტიპის სამეცნიერო უურნალები არის: მიმოხილვითი, სამეცნიერო-მეთოდური და სამეცნიერო-პოპულარული.

სამეცნიერო უურნალის ფუნქცია არ ამოინურება მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელებით. მათი მრავალმხრივი ანალიზი მეცნიერებათმცოდნების ერთ-ერთი მიმართულებაა. მსოფლიოში გამოდის 35 ათასამდე სახელმწიფო სამეცნიერო უურნალი, რომლებშიც ყოველწლიურად 3 მლნ-მდე სტატია ქვეყნდება.

XX საუკუნეში უურნალების დიდი წილი მოდიოდა სწორედ სამეცნიერო უურნალებზე, რომლებსაც სხვადასხვა უწყებები და ორგანიზაციები გამოსცემდნენ.

1921-1940 წლებში და შემდეგ 1953 წლიდან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო გამოსცემდა ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ლიტერატურულ-მხატვრულ და მეცნიერულ-თეორიულ უურნალს – „საბჭოთა ხელოვნება“. იგი აშუქებდა ხელოვნების ყველა დარგის (თეატრი, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, კინო, არქიტექტურა, ქორეოგრაფია) საკითხებს. მასთან თანამშრომლობდნენ ხელოვნებათმცოდნები, თეატრმცოდნები, მუსიკათმცოდნები, კინომცოდნები, მწერლები, კრიტიკოსები, უურნალისტები. უურნალის ძირითადი მიზანი იყო თანამედროვე ქართული და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების სიახლეების გაშუქება და კრიტიკული შეფასება. სტატიებს ერთვოდა ანოტაციები რუსულ ენაზე.

საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი 1924-1925 წლებში, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოსცემდა უურნალ „საისტო-რიო მოამბეს“, 1926-1927 წლებში – უურნალ „საქართველოს არქივს“ (გამოვიდა 3 წიგნი), 1929-1932 წლებში – „საარქივო საქმეს“ (გამოვიდა 5 წიგნი). უურნალი შეიცავდა შემდეგ განყოფილებებს: არქივები და არქივთმცოდნება; საინფორმაციო განყოფილება;

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და ოფიციალური განყოფილება. 1945 წლიდან შურნალის გამოცემა გააგრძელა მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ.

1925-1940 წლებში და შემდეგ 1958 წლიდან სხვადასხვა სახელწოდებით: „საქართველოს ეკონომისტი“, „ეკონომისტი“ (1925-1926), „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ (1931-1941), „საქართველოს სახალხო მეურნეობა“ (1967-1973) გამოდიოდა ქართული ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიკური შურნალი. მასში იბეჭდებოდა მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორიის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სხვა საკითხების ანალიზი.

1926-1930 წლებში და შემდეგ 1958 წლიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა და უმაღლესი სასამართლო ორ თვეში ერთხელ გამოსცემდა სამეცნიერო და პრაქტიკულ იურიდიულ შურნალს „საბჭოთა სამართალი“. შურნალი აქვეყნებდა თეორიული ხასიათის წერილებს, საკანონმდებლო წინადადებებს. აშუქებდა დანაშაულთან და მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის საკითხებს, პროკურატურის მუშაობას, სასამართლოების პრაქტიკას და სხვ.

1929-1940 წლებში და 1958 წლიდან გამოიცემოდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური შურნალი „საბჭოთა მედიცინა“. მასში შუქქდებოდა ჯანდაცვის ორგანიზაციის, კლინიკური მედიცინის, ზოგადი ბიოლოგიისა და მედიცინის თეორიის საპრობლემო და სადისკუსიო საკითხები. შურნალს ჰქონდა რუბრიკები: მედიცინის ისტორია, გამოგონება, რაციონალიზაცია, რეცენზიები, მიმოხილვა, რეფერატები, ქრონიკა და სხვა. სტატიებს ახლდა რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

1946 წლიდან გამოდის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. მასში იბეჭდება წერილები ქართველური (ქართული, ზანური, სვანური) და მთის იბერიულ-კავკასიური (აფხაზურ-ადილური, ნახური, დაღესტნური) ენების ფონეტიკის, გრამატიკის, სტრუქტურის,

ლექსიკისა და დიალექტოლოგიის შესახებ, ასევე ზოგადი ენათ-მეცნიერების საკითხებზე. ქვეყნდება როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი ხასიათის გამოკვლევები.

1949-1953 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა ჟურნალ „მიმომხილველის“ სამი ტომი, რომლებშიც დაიბეჭდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ნარკვევები საქართველოს არ-ქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, წყაროთმ-ცოდნეობისა და პალეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე რეცენზიები და კრიტიკული წერილები.

1974-2003 წლებში გამოიცემოდა ენათმეცნიერული ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული“. იგი დაარ-სა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ. სულ გამოვიდა 22 ტომი.

სამეცნიერო ჟურნალები, სახელწოდებით „შრომები“, ინსტი-ტუციური ხასიათისაა. მასში, ძირითადად, იბეჭდება ამა თუ იმ უნივერსიტეტის, ინსტიტუტის, კათედრის, ან სხვა ორგანიზაციის წევრთა, ან ამ ინსტიტუციასთან შინაარსობრივად დაკავშირებული ნაშრომები. 1936-2005 წლებში იბეჭდებოდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ და მას ჰქონდა როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰქონიტარული სამეცნიერო სერიები. სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ: ბოტანიკოსი ნიკოლოზ კეცხოველი, მათემატიკოსი ვიქტორ კუპრაძე, ენათმეცნიერი ვარლამ თოფურია, ლიტერატურათმცოდნე ალექსანდრე ბარამიძე და სხვები.

განხილულ ჟურნალებს დიდი წვლილი მიუძღვის მეცნიერების შესაბამისი დარგების განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

XX საუკუნეში პერიოდული გამოცემების გვერდით გაჩნდა მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა რადიო და ტელევიზია, საუკუნის ბოლოს კი ამას დაემატა უნი-ვერსალური მედიასაშუალება – ინტერნეტი და ელექტრონული ჟურნალ-გაზეთები. ასეთ პირობებში ბეჭდური პერიოდული გა-მოცემები უდიდესი კონკურენციის წინაშე აღმოჩნდა. მათ ბევრად

მეტი მოქნილობა, მიმზიდველობა, ინფორმაციულობა და სანდოობა სჭირდება ადგილის დასამკვიდრებლად და აღიარების მოსაპოვებლად. ტექნოლოგიების განვითარებამ სხვა მხრივაც შემოიტანა მნიშვნელოვანი სიახლე, ვგულისხმობთ სამეცნიერო უურნალების რეცენზირებისა და რეფერირების ტრადიციას და მათი რეიტინგების გამოთვლის უახლეს მეთოდებს – ციტირების ინდექსსა და იმფაქტ ფაქტორს.

სამეცნიერო უურნალის ციტირების ინდექსი არის სამეცნიერო უურნალებში ამ კონკრეტული გამოცემიდან გაკეთებულ ციტირებათა მაჩვენებელი, იმფაქტ ფაქტორი კი, ამასთან ერთად, ითვალისწინებს იმ უურნალების რეიტინგებს, რომლებშიც მოხდა ციტირება, მეცნიერების შესაბამის დარგში უურნალების რაოდენობას და სხვა მაჩვენებლებსაც. დღესდღეობით, ყველა ეს და კიდევ უამრავი დამატებითი ფაქტორი მონაწილეობს უურნალის საერთაშორისო მნიშვნელობის შეფასებაში. ამ მეთოდის ავტორია სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის დამაარსებელი იუჯინ გარფილდი (Eugene Garfield). ციტირების იმფაქტ ანალიზს ფართოდ იყენებენ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებებშიც და მას ბიბლიომეტრიკას უწოდებენ. ციტირებათა შესახებ ინფორმაციის დამგროვებელი ყველაზე მსხვილი ბაზებია: Scopus, Web of Science, Google Scholar და სხვ. ყოველივე ეს თანამედროვე სამეცნიერო გამოცემებს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს.

ასეთია პერიოდულ გამოცემათა ისტორიის მოკლე ექსკურსი და მიმოხილვა. ბუნებრივია, თითოეულ მათგანზე კიდევ ძალიან ბევრის დაწერა შეიძლება და ინერება კიდეც საგანგებო წიგნებსა და სამეცნიერო ნაშრომებში, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა საერთო სურათი და წარმოგვეჩინა მათი მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოცვაძე, ი. ქართული უურნალისტიკა, თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1967.
2. გაგოშიძე, შ. ქართული უურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები), თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2004.
3. ვასილ მაჩაბლის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, 1852.
4. კალანდაძე, ალ. ქართული უურნალისტიკის ისტორია (ხუთ ტომად), თბ., 1987.
5. კაპანაძე, გ. ქართული უურნალისტიკის ისტორიის საკითხები, სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2002.
6. მაჭავარიანი, მ. უურნალისტიკის ისტორია (სახელმძღვ. უურნალისტიკისა და მასკომუნიკაციების ფაკ-ტის სტუდ.), თბ., საქ. უნ-ტის გამ-ბა, 2009.
7. მჭედლიშვილი, ივ. გაზეთის წარმოება და გაფორმება (დამხმ. სახელმძღვ. უურნალისტიკის სპეც. სტუდენტებისათვის), თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1969.
8. ტაბიძე, ნ. წარკვევები ქართული უურნალისტიკის ისტორიიდან, საბჭ. საქართველო, თბ., 1968.
9. შარაძე, გ. ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია 8 ტომად, თბ., 2001.
10. ჯოლოგუა, თ. ქართული უურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე), თბ., არტანუჯი, 2013.
11. Murshed, M. Mass Media: Shaping identity of the Society:
<https://www.academia.edu/30114208/Mass-Media-Shaping-identity-of-the-Society>

გამოყენებული ინტერნეტწყარო:

<https://medievalfragments.wordpress.com/2014/08/22/the-last-page-of-the-medieval-book/>

თავი V

გამოცემის თეორია

ძირითადი ეტაპები საგამომცემლო თეორიის ისტორიაში

კვლევის მეთოდები

საგამომცემლო მიდგომებისა და კვლევის მეთოდების ისტორიული განვითარება, ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა გამოცემათ-მცოდნეობის, როგორც მეცნიერების დარგის, ფარგლებში. ეს ყველაფერი მის ჩამოყალიბებამდე იღებს სათავეს, თავდაპირველად ფილოლოგის კვლევით არეალში (ტექსტოლოგის ცალკე გამოყოფამდე) და შემდეგ – ტექსტოლოგის არეალში (გამოცემათმცოდნეობის ცალკე გამოყოფამდე). შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აქ განხილული თემები ამ მომიჯნავე დისციპლინებთან იკვეთება. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავშირი ტექსტოლოგიასთან გამოცემათმცოდნეობის მისგან გამოყოფის შემდეგაც ძალიან მყარია. საგამომცემლო კონცეფცია განსაზღვრავს, როგორ მეცნიერულ მიდგომებსა და კვლევის რომელ მეთოდებს უნდა დაემყაროს გამოცემა, ტექსტოლოგები კი, თავის მხრივ, პრაქტიკულად იყენებენ ამ მეთოდებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ აქ განხილული არაერთი პრინციპისა და მეთოდის შესახებ საუბარი გვქონდა „ტექსტოლოგის“ სახელმძღვანელოშიც, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ისინი კიდევ უფრო შეგვევსო და განგვევრცო გამოცემათმცოდნეობის კუთხით.

ავტორის ბოლო ნება თანაბრად აინტერესებთ ტექსტოლოგებსა და გამოცემის თეორეტიკოსებს, მაგრამ აქ უმჯობესი იქნება, თუ ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ ტექსტოლოგისა და გამოცემის თეორიის საზღვრებს: რა კუთხით აინტერესებთ ტექსტი ტექსტოლოგებს და რა კუთხით – მეცნიერ გამომცემლებსა და რედაქტორებს. ეს მით უფრო აუცილებელია, რამდენადაც გამოცემის თეორიის ქვაკუთხედი არის პასუხის გაცემა კითხვაზე – როგორი ტექსტი გამოვცეთ? ქვემოთ საკითხის მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ მთელი საგამომცემლო თეორია ამ პრობლე-

მის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების ერთობლიობას წარმოადგენს.

გამოცემის თეორიის კვლევით არეალში ტექსტი მხოლოდ სა-გამომცემლო კუთხით შემოდის – მისი რომელი ვერსია მიეწოდოს მკითხველს: ყველაზე სანდო ხელნაწერი, საუკეთესო ტექსტი, რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ამ ყველაზე სარწმუნო ხელ-ნაწერს, პირველი ნაბეჭდი ტექსტი თუ რომელი, რის შესახებაც წინამდებარე თავში ვრცლად ვსაუბრობთ.

ტექსტოლოგი ამ კონტექსტში რედაქტორისა თუ გამომცე-მელთა ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებს. თუ გამომცემლის მიზანი საუკეთესო ტექსტის გა-მოცემაა, მან ეს საუკეთესო ტექსტი უნდა შეარჩიოს საგანგებო ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად, თუ გამომცემელს ავტორის საბოლოო ნების გამომხატველი ტექსტი აინტერესებს, ტექსტო-ლოგმა ტექსტის ყველა არსებული ვერსიის ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა დაადგინოს, რომელი ვერსია ასახავს ავტორის საბოლოო ნებას, თუ გამომცემელი პირველ პუბლიკაციას იმეო-რებს, ტექსტოლოგმა ეს ვერსია უნდა მოიძიოს, ბეჭდური ლაფ-სუსებისაგან განმინდოს და ასე მიაწოდოს გამომცემელს და ა. შ. ამდენად, როგორც სახელმძღვანელოს | თავშივე მივუთითეთ, ტექსტოლოგისა და გამოცემათმცოდნის საქმიანობა ტექსტის გამოქვეყნებამდე ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. შესაბამისად, ტექსტოლოგის მიღწევები ისტორიულად პირდაპირ გავლენას ახდენდა გამოცემის თეორიის განვითარებაზე.

წინამდებარე თავში წარმოვადგენთ ძირითად მიმართულებებს გამოცემის თეორიის განვითარების ხანგრძლივ და საინტერე-სო ისტორიაში. მეცნიერული თეორია და კვლევის მეთოდები ყოველთვის მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ერთმანეთს განაპირობებს და, შესაბამისად, ერთის განვითარება მეორის განვითარებას უწყობს ხელს. ესა თუ ის თეორია გარკ-ვეულ საგამომცემლო მიდგომასა თუ კვლევის მეთოდს აყალი-ბებს, რომელთა გაუმჯობესებაც თეორიაზე აისახება.

გ1. ანტიკურობიდან რენესანსამდე

გამოცემის ისტორიამ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ ფიგურალურად მიუთითებენ, რომ გამოცემა ისეთივე ძველია, როგორც დრო. დასავლეთ სამყაროში ჩანაწერების შეგროვებისა და დაცვის ტრადიცია და პრაქტიკა პირველად ელინისტურ პერიოდში ჩამოყალიბდა. ტექსტოლოგიური და საგამომცემლო სამუშაოები წარმოებდა უკვე ძვ. წ-ის III საუკუნიდან ალექსანდრიის ბერძენი მეცნიერების მიერ. პომეროსის ტექსტების სხვადასხვა მოწმის შესწავლა საუკეთესო ვერსიის დადგენის მიზნით უკვე იყო არსებული პრაქტიკა ალექსანდრიასა და პერგამონში (Pergamum).

მანამდე ლიტერატურული კულტურა გაბატონებულად იყო ზეპირი სახით, რაც სიზუსტეს გამორიცხავდა. თუმცა ის ტექსტებიც, რაც ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, მრავალჯერადი გადაწერის შედეგად ზიანდებოდა, მახინჯდებოდა, იცვლებოდა, რადგან ამ პერიოდში ტექსტის სიზუსტეს დიდი ყურადღება არ ექცეოდა.

ალექსანდრიის დიდი ბიბლიოთეკა, სანამ ის ხანძრისგან განადგურდებოდა, იყო კლასიკური ტექსტების შემცველი ხელნაწერების უმთავრესი საცავი, რომელსაც ჰქონდა მკაცრი მოთხოვნები გამოცემების მიმართ. მისი საგამომცემლო პრინციპები გადმოცემული იყო ბიბლიოთეკარის, გრამატიკოსისა და პომეროსის შემოქმედების გავლენიანი მკვლევარის, არისტარქ სამოთრაკიელის (Aristarchus of Samothrace) (220-143), შრომებში, რომელთა დიდი ნაწილი არ შემონახულა. სწორედ მან შექმნა პომეროსის პოემების ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკული გამოცემა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკარების მიზანი იყო, შეეგროვებინათ და კატალოგში აღნუსხათ ყველა არსებული ბერძნული წიგნი და ეწარმოებინათ მნიშვნელოვანი კრიტიკული გამოცემები შენიშვნებითა და კომენტარებით. გამოსაცემ ტექსტს ისინი საფუძვლად უდებდნენ ხელმისაწვდომ, ყველაზე ძველ და საუკეთესო ასლებს და სავარაუდო ჩასწორებებს საფუძვლიანად განმარტავდნენ კო-

მენტარებში, რომელიც განთავსებული იყო ცალკე ტომში. ასე რომ, მათი ხელიდან კომენტარებით აღჭურვილი ბევრი გამოცემა გამოვიდა. მათ შემუშავებული ჰქონდათ კრიტიკული ნიშნები, რომელთაც იყენებდნენ ტექსტთან და კომენტარებთან მიმართებით. ამავე ტექნიკას მიმართავდნენ, თუმცა ნაკლებ ამბიციური მასშტაბით, რომაელი სწავლულები ლათინური ტექსტების გამოცემისას.

საგამომცემლო საქმიანობა შეუძლია საუკუნეებში სკრიპტორიუმებში – ხელნაწერთა შესწავლის ცენტრებში – ნარმოებდა. გადამწერებს მოეთხოვებოდათ, თავიანთი ეგზემპლარები ნარმოედგინათ შესაძლებლობის ფარგლებში აკურატულად და შესწორებები დაემყარებინათ სხვა ასლებთან შედარებაზე, თუმცა შედარების დროს ისანი ხშირად ინტერპრეტაციას უკეთებდნენ ტექსტებს. ასეთი იყო ისეთი საუკეთესო მონასტრული სკრიპტორიუმების პრაქტიკა, როგორიცაა, მაგ., ‘Tours’-ის სკრიპტორიუმი. ამავე პრინციპით მუშაობდა ცნობილი გადამწერი ლუპუს ფერიერესი (Lupus of Ferrières) (805-862) და სხვები. ამ პიროვნებას განიხილავენ, როგორც ადრეული შეუძლია საუკუნეების პირველ ჰუმანისტს თავისი ლიტერატურული სტილის ხარისხის, სწავლის სიყვარულის, გადამწერობისა და ტექსტის კრიტიკოსობის გამო.

ასეთი ინტერპრეტირებული კრიტიკა ვარიანტული იყიდხვისებისა დარჩა მეთოდად ჰუმანისტი ფილოლოგებისათვის. მათი პირველი საზრუნავი იყო კლასიკური და შეუძლია საუკუნეების ლათინური და ბერძნული ტექსტები. ზოგადად, ანტიკური ლიტერატურის ცოდნა ყოველთვის დაფუძნებული იყო ბერძნული და ლათინური ტექსტების კრიტიკისა და გამოცემის სტანდარტებზე.

დაახლოებით 1350 წლიდან შეინიშნება ცვლილება საგამომცემლო საქმიანობაში, განსაკუთრებით დასავლეთში, როდესაც დაიწყო „სწავლის გამოცოცხლების“ სახელით ცნობილი პრაქტიკული მოძრაობა. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო, კლასიკური ანტიკური მემკვიდრეობა ჩაეყანებინა ახალი ქრისტიანული ჰუმანიზმის სამსახურში. იმისათვის, რომ ტექსტები გაეხადათ კითხვადი და უფრო გამოყენებადი, მათ ხშირად თვითნებურად ასწორებდნენ სწავლულები, გადამწერები და მკითხველები.

§2. რენესანსის პერიოდი

ბეჭდური მედის განვითარება რენესანსის პერიოდზე მოდის. ამ დროს შეიცვალა ხელით ნაწერ ქაღალდზე (მანუსკრიპტზე) და-ფუძნებული გამოცემა ბეჭდურ ქაღალდზე დაფუძნებული გამო-ცემით. იტალიის გარდა, ცნობილი ტექსტოლოგები და გამოცემის თეორეტიკოსები სხვა ქვეყნებშიც მოღვაწეობდნენ: გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში და სხვ.

XIX საუკუნეში კრიტიკოსების უმრავლესობა ჩართული იყო არა ტექსტების დადგენასა და დაზუსტებაში სამეცნიერო პრინციპების მიხედვით, არამედ შესწორებაში უსისტემო სახით. ამ ცვლილებისა და ვარაუდების პროდუქტი იყო ულგატა, ან „საყოველთაოდ მიღებული ტექსტი“ (*Lectio recepta* / *Textus receptus*).¹ სიტუაციას აუარესებდა ის ფაქტი, რომ ხელნაწერები, ძირითადი მასალა კვლევისთვის, უმთავრესად, მიუწვდომელი იყო სწავლულებისთვის.

იტალიელი პოეტი და მეცნიერი ანჯელო პოლიზიანი (Poliziano) (1454-1494), განსხვავებით თავისი თანამედროვეების უმრავლესობისგან, მიხვდა, რომ ტექსტები შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო მხოლოდ საუკეთესო ხელნაწერების გამოვლენითა და მათი ერთმანეთთან შედარებით, ანუ საჭირო იყო წყაროების კონტროლი. ის, თუ რა უნდა გაკეთებულიყო გამოცემის სფეროში, მან გადმოსცა თავის შრომაში, რომელიც ეხება ჯასტინიანის² პანდეტების³ კოდექსს.

ბევრი ხელნაწერი ამ დროისთვის ისევ კერძო კოლექციებში ინახებოდა, საჯარო ბიბლიოთეკებში ისინი ცოტა იყო, კიდევ უფრო ნაკლები იყო გამოქვეყნებული კატალოგები. ამასთან, მგზავრობა სკრიპტორიუმებში რთული იყო, ძვირი და ხშირად საშიში.

გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული რენესანსის საგამომცემლო პრაქტიკაში შეინიშნება სამეცნიერო ნიშნები, მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისია. ტექსტების შესწორება არსე-

1 ამ საკითხზე ვრცლად ვსაუბრობთ VIII თავში.

2 მმართველი დინასტია ბიზანტიის იმპერიაში.

3 რომაული სამოქალაქო სამართლის კრებული.

ბითად ეფუძნებოდა სუბიექტურ გემოვნებას, რაც მხოლოდ მცირე შემთხვევებში შეიძლებოდა ყოფილიყო სწორი. შედეგად, 1470 წლისთვის, როდესაც კლასიკური ტექსტების პირველი ბეჭდური გამოცემები და მათი საგამომცემლო პრინციპები გამოჩნდა, ბერძენი და ლათინი ავტორების თხზულებათა უმრავლესობა კვლავ ვრცელდებოდა ტექსტობრივად დამახინჯებული სახით, რადგან მათ საფუძვლად ედო არასანდო ხელნაწერი. მეტნაკლებად ნორმალური გამოცემა ამ პერიოდში ძალიან მცირე რაოდენობით განხორციელდა. მცირეოდენი წინსვლა გამოცემის თეორიაში შეინიშნებოდა, თუმცა პროცესი ნელი და არასისტემური იყო. საგამომცემლო პრინციპები, ძირითადად, ზედაპირული გაუმჯობესებით შემოიფარგლებოდა.

რენესანსის პერიოდის ერთ-ერთ საგამომცემლო სიახლეს წარმოადგენდა პოლიგლოტი ბიბლიის გამოცემები. ეს იყო ბიბლიის გამოცემის ისეთი ტიპი, რომლის ტექსტი შეიცავდა თარგმანებს სხვადასხვა ენაზე, განყობილს პარალელურ სვეტებში. ასეთი განლაგება სწავლულებს საშუალებას აძლევდა, ერთმანეთისთვის შეედარებინათ ძველი და მოგვიანო ვერსიები, ისევე როგორც თარგმანები ერთი ენიდან მეორეზე. პირველი და ყველაზე ცნობილი ასეთი წიგნია კომპლუტენსი ბიბლია (Complutensian). 1514-1517 წლებში მისი დაახლოებით 600 ასლი ამოიბჭდა და პაპ ლეო X-ის ნებართვით გამოქვეყნდა 1521 / 1522 წელს. გამოცემაში ძველი აღთქმა წარმოდგენილი იყო შესწორებული მასორეტული ებრაული ტექსტით და თარგმანებით არამეულ, ლათინურ (ვულგატა) და ბერძნულ (სეპტუაგინტა) ენებზე, ხოლო ახალი აღთქმა წარმოდგენილი იყო ორიგინალური ბერძნულით ლათინურ თარგმანთან ერთად.

ასევე ცნობილია „ანტვერპის პოლიგლოტი ბიბლია“, რომლის მომზადებას 1569-1572 წლებში ხელმძღვანელობდა სწავლული ბენედიქტუს არიას მონტანუსი. 1555 წლისთვის ის ტიპოგრაფიითაც დაინტერესდა, რის შემდეგაც მისი გამოცემები გამოირჩევა ბრწყინვალე ტიპოგრაფიით.

რენესანსის პერიოდის სწავლულებს შორის არის ჰუმანისტი

ლიპსიუსი (Justus Lipsius) (1547-1606). მისი პირველი პუბლიკაცია იყო ‘*Variae lectiones*’ (1569). იგი სწრაფად დანინაურდა, როგორც ლათინური პროზაული ტექსტების წამყვანი რედაქტორი. მისი ტაციტუსისა (პირველად დაიბეჭდა 1574 წელს) და სენეკას (1605) გამოცემები დიდხანს აღიარებული იყო, როგორც სანიმუშო მოდელები გამოცემის სფეროში. ისინი დღესაც იმსახურებს ყურადღებას. ლიპსიუსმა, ამავე დროს, წინ წასწია ახალი ქრისტიანული სტოიციზმი.

რენესანსის პერიოდის ევროპელ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოა ჰოლანდიელი ერაზმუს როტერდამელი (Desiderius Erasmus of Rotterdam Erasmus) (1466-1536), ახალი აღთქმის პირველი რედაქტორი, რომელმაც ბერძენი და ლათინი ავტორების არაერთი გამოცემა და თარგმანი მოამზადა. 1516 წელს მან, სწავლულთან და მბეჭდავთან – იოჟან ფრონბენთან (John Froben) თანამშრომლობით, დაბეჭდა ახალი აღთქმა რამდენიმე გვიანი ხელნაწერის მიხედვით. ეს გამოცემა, რომელიც შეიცავდა ბერძნულ ტექსტს თავის ლათინურ ვერსიასთან ერთად, ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სავსე იყო ტიპოგრაფიული შეცდომებით. 1519 წლის ახალ გამოცემაში ერაზმუსი შეეცადა შეცდომების გასწორებას, თუმცა ბოლომდე ვერ შეძლო. მესამე გამოცემა განხორციელდა 1522 წელს. ერაზმუსმა შეისწავლა მხოლოდ მის ხელთ არსებული ხელნაწერები, რომლებზედაც შემორჩენილია მისი სწორებები. მან გამოიყენა არა ის ხელნაწერები, რომლებიც ან ძველი იყო, ან კარგი, არამედ ის, რომელიც მისთვის იყო ხელმისაწვდომი, რაც ერთგვარი დაშორება იყო იმ პერიოდში გავრცელებული პოლიტიკანოს საგამომცემლო სტრატეგიდან.

ერაზმუსის გამოცემის წარმატებამ ბერძნული ახალი აღთქმის შემდგომ გამოცემებს შეუწყო ხელი. ბევრ მათგანს საფუძვლად სწორედ ეს პუბლიკაცია დაედო. მათ შორის იყო „მიღებული ტექსტის“ გამოცემები (რომელსაც VIII თავში ვრცლად ვეხებით), ლუთერის გერმანული თარგმანი და მოგვიანებით – ზოგიერთი მსუბუქი მოდიფიკაციით – ინგლისელი მეფის, ჯეიმსის, ვერსია. ფრონბენის გარდა, ერაზმუსს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა

შვეიცარიის ქალაქ ბაზელის (Basel) ბრწყინვალე მპეჭდავებთან: ამერბახთან (Amerbach), კრატანდერთან (Cratander), ჰერვაგიუსთან (Hervagius) და სხვებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ ანტიკური ტექსტების კრიტიკული გამოცემის პროცესში.

ერაზმუსის მონაფე, გერმანელი პუმანისტი, მწერალი და ქრისტიანული რეფორმის დამცველი **ბეატუს რენანუსი** (Beatus Rhenanus) (1485-1547) იყო გერმანელ სწავლულთა ერთ-ერთი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელმაც შექმნა ლათინური ტექსტების მნიშვნელოვანი გამოცემები. მისმა მოღვაწეობამ წინ წანია კლასიკური ლიტერატურის შესწავლის საქმე. 1511 წელს ის დამკვიდრდა შვეიცარიაში, სადაც მომდევნო 15 წელი მუშაობდა იოპან ფრობენთან და სხვა სწავლულებთან ერთად. მან დაბეჭდა ტერტულიანეს ნანარმოებები (1521) (ეს იყო ამ ტექსტების პირველი ბეჭდური გამოცემა) და ასევე ისტორიკოსთა შრომები. ის იყო პირველი, ვინც ერაზმუსის შრომების კატალოგი შეადგინა და გამოსცა (1540).

გერმანელმა პუმანისტმა, რეფორმატორმა, თეოლოგმა და განმანათლებელმა **ფილიპ მელანქონმა** (Philipp Melanchthon) (1497-1560) ასევე ხელი შეუწყო საგამომცემლო საქმის წინსვლას გერმანიაში. იგი იყო მარტინ ლუთერის მეგობარი და მისი შეხედულებების დამცველი. 1521 წელს გამოაქვეყნა ‘*Loci communes*’ – ვიტენბერგის თეოლოგიის შესახებ პირველი სისტემური მოძღვრება, რომელიც ლუთერმა განავითარა.

იტალიური და გერმანული სკოლების გვერდით, საინტერესო იყო ფრანგულის წარმომადგენელთა მოღვაწეობაც. ცნობილმა მპეჭდავმა, ფრანგმა **რობერტ ესტიენმა** (Robert Estienne) (1503-1559) შექმნა ბერძნული ახალი ალთქმის პირველი კრიტიკული გამოცემა (1551). მან გადაბეჭდა ერაზმუსის ტექსტი, მაგრამ დაამატა ვარიანტები 15 ხელნაწერიდან. რობერტ ესტიენმა პარიზი დატოვა, რათა უენევაში საბეჭდი ფირმა დაეკარსებინა. მისმა ვაჟმა, სწავლულმა და მპეჭდავმა ჰენრი ესტიენმა (1528-1598) გამოაქვეყნა საგამომცემლო პრინციპები ბერძენი ავტორების ტექსტების ბეჭდვასთან დაკავშირებით და ასევე ბერძნული ლე-

ქსიკონი (1572), რომელიც არ შეცვლილა ადრეულ XIX ს-მდე.

ამ პერიოდისთვის მიღებული საგამომცემლო მეთოდი იყო აგრეთვე ბოლო ბეჭდური გამოცემის ტექსტის შესწორება ხელნაწერისა და არსებული ნაბეჭდი წყაროების დახმარებით. ნებისმიერი იკითხვისი, რომელიც იყო ხელნაწერში თუ ნაბეჭდ ტექსტში, ითვლებოდა უპირატესად ვარაუდთან მიმართებით, მისი ავტორისანობის მიუხედავად.

პირველი მნიშვნელოვანი დაშორება ამ პრინციპიდან ჩანს კლასიკური ლიტერატურის აღიარებული ფრანგი სპეციალისტის, ჟოზეფ სკალიგერის (Joseph Scaliger (1540-1609) მიერ ლათინი პოეტის, გაიუს ვალერიუს კატულუსის (Gaius Valerius Catullus) ტექსტების გამოცემაში (1577). მასში გენეალოგიური მეთოდის შესაძლებლობები (რომელიც, ძირითადად, უკვე გაგებული იყო პოლიზიანოსა და რენესანსის ეპოქის სხვა სწავლულების მიერ), მაგალითებით იყო ახსნილი და აჩვენებდა, რომ ყველა არსებული ასლი მომდინარეობდა დაკარგული ხელნაწერიდან, რომლის აღდგენაც შესაძლებელი იყო. მისი თითოეული გამოცემა ახალ კვლევით ჰორიზონტს შლიდა. მან შეადგინა დანართები გამოცემისთვის ‘*Inscriptiones antiquae totius orbis Romani*’, რომელსაც იანუს გრუტერუსი (Janus Gruterus) (1560-1627) ამზადებდა. მისი უდიდესი მიღწევა ის იყო, რომ თავისი შრომებით (*‘De emendation temporum’*(1583) და *‘Thesaurus temporum’*(1606)) წესრიგი შეიტანა ანტიკურ თხზულებათა ქრონოლოგიის ქაოსში.

სკალიგერთან ერთად უნდა დასახელდეს **ისააკ დე კაზობონი**¹ (Isaac de Casaubon) 1559-1614), ასევე ფრანგი კლასიკური ლიტერატურის სპეციალისტი და თეოლოგი, რენესანსის პერიოდის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი. მან კომენტარებით გამოსცა ანტიკური პერიოდის ბერძენი გრამატიკოსის, ათინეუსის (Athenaeus) შრომები, სადაც განავითარა თავისი უნიკალური სტილი განმარტებითი კომენტარებისა, რომელიც გამოირჩეოდა სიუხვითაც და გამოსაცემ

1 ესტიგნი, სკალიგერი და კაზობონი იყვნენ ფრანგი ჰუგენოტები (იგივე კალვინისტები). ყველა გადასახლებაში გარდაიცვალა.

მასალასთან შესაბამისობითაც. ის მიხვდა, რომ ანტიკურობა უნდა შესწავლილიყო, როგორც ერთი მთლიანობა და ეს შესწავლა უნდა დაწყებულიყო ბერძნულიდან. დეტალური კომენტარების დართვით ისეთი ნაყოფიერი ავტორების ნაშრომებზე, როგორებიც იყვნენ სტრაბონი, ზემოთ ნახსენები ათინეუსი და პოლიბიუსი, მან ხელი შეუწყო გამოცემის თეორიის მეცნიერებისკენ შემობრუნებას.

რენესანსის ფილოლოგებს, პოლიზიანოსა და ერაზმუსის ჩა-
თვლით, ჰერონდათ სწორი გაგება იმისა, თუ რა აშორებდა ერთმა-
ნეთისაგან კლასიკურ ავტორიტარებსა და მათ თანამედროვეებს:
ბერძენი და ლათინი ავტორების სიტყვები, ლვთის სიტყვაც კი,
ნარმოდგენილი ბიბლიაში, დამახინჯებული იყო საუკუნეების გან-
მავლობაში ტექსტური გადაცემებითა და გადამწერთა შეცდომებით.
ამიტომ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, კლასიკურ ტექსტებს
ჩვენამდე იმ ფორმით მოეღწია, როგორც ავტორებმა შექმნეს, ორ-
თოვრაფიისა და პუნქტუაციის ჩათვლით. რენესანსისა და თანამე-
დროვე ავტორების შემთხვევაში ამ მხრივ უკეთესი სურათი გვაქვს.

გვ. XVII საუკუნე

ამის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა პალეოგრაფიას (დიპლომა-
ტიკასთან ერთად). დიდმა ბენედიქტელმა ბერებმა – მაბილონმა
(Jean Mabillon) (1632-1707) და მონფოკონმა (Bernard de Mont-
faucon) (1655-1741) შექმნეს მეცნიერების დარგი პალეოგრაფია,
პირველმა – ლათინური, ხოლო მეორემ – ბერძნული. ეს მეც-
ნიერება განავითარეს მათმა შთამომავლებმა, განსაკუთრებით
მურატორიმ (Ludovico Muratori (1672-1750) და მაფფეიმ (Scipione
Maffei) (1675-1755). მათი წყალობით, მეცნიერებს საბუთებისა და
სხვა წყაროების კრიტიკული გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ,
თუმცა მათი დიდი ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა ნაპოლეონის
ომების შემდეგლა, როდესაც ხელნაწერების კერძო კოლექციების
უმრავლესობა საბოლოოდ გადავიდა საჯარო დაწესებულებებში.

თუმცა ტექსტოლოგია და გამოცემის თეორია დასუსტდა საფრანგეთში, ის დაწინაურდა და აყვავდა ჰოლანდიაში. გამოჩენილმა ჰოლანდიელმა ოურისტმა **ჰუგო გროტიუსმა** (Hugo Grotius) (1583-1645), რომელსაც გარკვეულწილად ერაზმუსის მემკვიდრედ მიიჩნევენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტიკურობის, ისევე როგორც სხვა დარგების, შესწავლაში. მან კომენტარებით გამოსცა ენციკლოპედიური ნაშრომი ჩრდილო აფრიკელი პოეტის, მარტიანუს კაპელას, შვიდი ლიბერალური ხელოვნების¹ შესახებ. დაბეჭდა ბევრი თეოლოგიური და პოლიტიკურ-თეოლოგიური ნაშრომი, მათ შორის, ‘*De Veritate Religionis Christianae* (1627; ‘*The Truth of the Christian Religion*)’, რომელიც თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ნიკოლას ჰეინსისიუსმა (N. Heinsius) (1620-1681) არაერთი გამოცემა მოამზადა, რომლებიც ეფუძნებოდა ხელნაწერების ფართო კვლევას. **იოჟან გრონოვიუსმა** (J. F. Gronovius) (1611-1671) გამოსცა ლივიუსის, სენეკას, პლინიუსისა და სხვათა ნაშრომები.

ცენტრალურ ევროპაში განვითარებულმა 30-წლიანმა ომმა (1618-1648) სერიოზული ზიანი მიაყენა დარგის განვითარებას. ჰოლანდიისა და გერმანიის კლასიცისტებს უმოქმედობის ხანა დაუდგათ. მოდად იქცა არაკრიტიკული გამოცემები. სიძველეთა კოლექციები, რომლებიც შორს იდგა ლინგვისტური და კრიტიკული კვლევისგან, იქცა ინფორმაციის უბრალო გროვად.

§4. XVIII საუკუნე

გამოცემის თეორიის განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო ბრიტანელმა სწავლულმა **რიჩარდ ბენტლიმ** (Richard Bentley) (1662-1742), ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ფიგურამ კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში, რომელმაც დარგის განვი-

1 შეა საუკუნეების ევროპულ უნივერსიტეტებში შვიდ ლიბერალურ ხელოვნებად მიიჩნეოდა: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა და ასტრონომია.

თარებას კრიტიკული მიმართულება მისცა. მან დიდი შრომა განია უძველესი ტექსტების აღსადგენად და მოხაზა ახალი გზა ტექსტო-ლოგიისა და გამოცემის თეორიის დაწინაურებისთვის. საეტაპო იყო მისი პუბლიკაცია ‘Epistola ad Joannum Millium’, ბრწყინვალე დაკვირვებების კრებული, რომელიც ნაკარნახევი იყო ბიზანტიული უამთააღმწერლის, იოჰან მალალას, VI საუკუნის ბიზანტიის ქრონიკის საგამომცემლო პრინციპებით. ბენტლის დისერტაცია ‘The Epistles of Phalaris’, რომლის შევსებული ვერსია 1699 წელს გამოიცა, იყო პირველი მნიშვნელოვანი შრომა კლასიკური ლიტერატურის შესახებ, დაწერილი თანამედროვე ენაზე.

ბენტლი არ იყო გამოცემების უპრალო რედაქტორი, ის იყო შემქმნელი ახალი კრიტიკული მეთოდისა, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ მისი მიმდევრები. საგამომცემლო თეორიის კუთხით, მნიშვნელოვანი იყო ჰორაციუსის (Horace) (1711), ტერენციუსის (Terence) (1726), მანილიუსისა (Manilius) (1739) და სხვათა ნაწერების მისეული გამოცემები, რომლებშიც მიხვედრილობის როლი კრიტიკულ და საგამომცემლო პროცესში პირველად იქნა აღიარებული და წინა რედაქტორების მიერ ტექსტების შესწორებული ვერსიის გამოცემის ტრადიცია საბოლოოდ იქნა უარყოფილი. მართალია, მან ვერ დაასრულა პომეროსისა და ახალი აღთქმის გამოცემები, მაგრამ მის მიერ განვითარებულმა მოსამზადებელმა სამუშაოებმა რევოლუციური ეფექტი მოახდინა გამოცემის თეორიის სფეროში.

ბენტლიმ შემოგვთავაზა გამოცემები, რომლებშიც ტექსტი იმ სახით წარმოადგინა, როგორც იყო საუკეთესო ეგზემპლარებში ნიკეის მსოფლიო კრების (Council of Nice) დროს. მისმა თეორიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა ჰილანდიაში, სადაც ეს საგამომცემლო პრინციპები გაიზიარეს ჰილანდიელმა ლათინისტებმა – გრონოვიუსმა და ჰეინსიუსმა.

ბენტლის თანამედროვენი იყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი სწავლულები, როგორებიც არიან: **იერემია მარკლანდი** (Jeremiah Markland) (1693-1776) და ინგლისელი სწავლული თომას თირვითი (Thomas Tyrwhitt) (1730-1786), რომელიც ცნობილი გახდა თავისი შრომით

შეუა საუკუნეების ინგლისელი პოეტის, ჯეფრი ჩოსერის, შესახებ. კლასიკურ და ინგლისურ ლიტერატურაში თირვითმა გვიჩვენა, როგორ შეიძლება გამოცემებში თანაბრად დავიცვათ ფართო ცოდნა და კრიტიკული გამჭრიახობა. მან გამოსცა არისტოტელეს პოეტიკა (1794), მაგრამ მისი სახელი ასოცირებულია ჩოსერის „კანტერბერიული მოთხოვობების“ (‘*Canterbury Tales*’) ხუთომეულის გამოცემასთან (1775-1778); ინგლისელმა კლასიცისტმა და ბიბლიოფილმა **ბენჯამინ ჰითმა (1704-1766)** გამოცემების დარგში სახელი მოიპოვა ბერძნულ ტრაგედიებზე კრიტიკული და მეტრიკული შენიშვნების დართვით. მან ხელით მიწერილი შენიშვნები დატოვა ვირგილიუსის ბურმანისეულ (Pieter Burman) (1713-1778) და მარტინისეულ (1699-1768) გამოცემებზე, ასევე ევრიპიდეს, კატულუსის, ტიბულუსის, ტრანკვილუსისა და ჰესიოდეს გამოცემების უდიდეს ნაწილზე. მან აგრეთვე გადასინჯა შექსპირის ტექსტი (1765); ინგლისელი კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელმა და ფიზიკოსმა **სამუელ მუსგრეივმა (Sameul Musgrave) (1732-1780)**, ბევრ სხვა საქმესთან ერთად, შექმნა ევრიპიდეს ანოტირებული გამოცემის ოთხტომეული (1778). მისი შენიშვნები სოფოკლეს შესახებ დაიბეჭდა გარდაცვალების შემდეგ.

მათი საქმე გააგრძელეს მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა. უნდა აღინიშნოს კლასიკური ლიტერატურის ინგლისელი მკვლევარი **პიტერ ელმსლი (Peter Elmsley) (1773-1825)**, რომელმაც ლორენციანული ბიბლიოთეკის ხელნაწერები შეისწავლა ფლორენციაში და პირველმა აღიარა მათი მნიშვნელობა. უმთავრესად ცნობილია თავისი კრიტიკული შრომებით ტექსტის აღდგენის შესახებ, აგრეთვე არისტოფანეს ‘*The Acharnians*’-ის, სოფოკლესა და ევრიპიდეს რამდენიმე პიესისა და მათ ტექსტებზე კომენტარების გამოცემით. მან შეაჯერა ბერძნული ტრაგედიების ხელნაწერები.

ბენტლის გავლენით განვითარდა ანგლო-ჰოლანდიური სკოლა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: კლასიკური ლიტერატურის ბრიტანელი მკვლევარი **რიჩარდ პორსონი (R. Porson) (1759-1808)** და კარელ გაბრიელ კობეტი (C. C. Cobet) (1813-1889). პორსონმა მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა ბერძნული

ტექსტების განთავისუფლებას საუკუნების მანძილზე დაგროვილი დამახინჯებებისგან. კობეტის სკოლის სიძლიერე ეყრდნობოდა ჯანსაღ მსჯელობასა და კარგ გემოვნებას, რომელსაც ფესვები ჰქონდა ლინგვისტიკისა და მეტრიკის (პოეტიკის ნაწილი) კვლევებში. მან გამოსცა ესქილეს პიესები და ევრიპიდეს 4 პიესა.

ბერძნული ტექსტის გამოცემები დაიბეჭდა ინგლისში დანიელ მეისის (Daniel Mace) (1729), უილიამ ბაუერ უმცროსისა (William Bowyer) (1763) და ედუარდ ჰარვუდის (Edward Harwood) მიერ (1776).

ეს პერიოდი ხასიათდება კლასიკური ტექსტების გამოცემების სიმცირით, რაც გამოწვეული იყო შესაბამისი საგამომცემლო პირობითი ნიშნების ნაკლებობითაც. საგამომცემლო ნიშნები და აბრევიატურები სპორადულად გვხვდება XVI საუკუნეში. ის გამოიყენა ჰავერკამპმაც (S. Haverkamp) ლუკრეციუსის გამოცემაში (1725), თუმცა ეს ნიშნები ვერ გახდა სტანდარტული XIX საუკუნის II ნახევრამდე.

XVIII საუკუნის ფილოლოგ და თეოლოგ სწავლულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გერმანელ ოპან ბენგელს (J. A. Bengel) (1687-1752), რომელიც იყო პიონერი ახალი აღთქმის კრიტიკული ეგზეგეზის¹ კუთხით. მან შექმნა პრინციპი: „უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყველაზე რთულ იკითხვისს“. მისი უმთავრესი შრომებია ‘*Novum Testamentum Graecum*’ (1734); ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტი, რომელიც შეიცავს სრულ კრიტიკულ დანართებს; ‘*Gnomon Novi Testamenti*’ (1742) და სხვ. ბენგალმა შეიმუშავა პრინციპი, რომ ტექსტის მონმეები უნდა კლასიფიცირდეს და მათი ჩვენებები შეფასდეს ტექსტური გენეალოგის მიხედვით. 1734 წელს მან წამოაყენა იდეა, რომ არა მხოლოდ ხელნაწერები, არამედ ხელნაწერთა ოჯახებიც უნდა განირჩეს ერთმანეთისაგან, რითაც სრულყო და სისტემური სახე მისცა გენეალოგიურ, ანუ სტემატურ მეთოდს.

ამ მეთოდის დახვენაში წვლილი მიუძღვის აგრეთვე ამავე საუკუნის ცნობილ შვეიცარიელ მეცნიერს – ოპან ვეტშტეინს (J. J. Wettstein) (1693-1754), რომელიც იყო ახალი აღთქმის პირველი

1 ეგზეგეზა – ძველი ტექსტების განმარტება.

კრიტიკოსი. მან სისტემურად გამოიყენა ნიშნები და შემოკლებები (აბრევიატურები), რაც მნიშვნელოვანი წინსვლა იყო საგამომცემლო საქმეში. მისი 1730-1751 წლების ახალი აღთქმის გამოცემა მდიდარი იყო კლასიკური და რაბინული (ძველებრაული ენის შუასაუკუნეების ვერსია) ციტატებით, მაგრამ, როგორც მიუთითებენ, მისი თეორია ტექსტის შესახებ უკეთესი იყო, ვიდრე გამოცემული ტექსტი. 1751-1752 წლებში კვლავ გამოსცა ახალი აღთქმა, სადაც გამოიყენა კლასიფიკაციის პრაგმატული მეთოდი. მისი სამეცნიერო აპარატი მარტივი იყო: მან წარმოადგინა კაპიტალური რომაული, ბერძნული და ებრაული ასოები უნციალებისთვის და არაბული რიცხვები მინუსკულებისთვის;

გერმანელი მეცნიერი **იოჰან ზემლერი** (J. S. Semler) (1725-1791) იყო პირველი, ვინც სცადა დაესაბუთებინა, რომ ძველი და ახალი აღთქმის ტექსტის მთლიანობა იყო ღვთაებრივად შთაგონებული და საგვებით სწორი. მან თავიდან განიხილა ბიბლიური ტექსტები, რათა დაედგინა ბიბლიური წიგნების კომპოზიციის თანმიმდევრობა, მათი ბუნება და გადაცემის (ტრანსმისიონი) ხასიათი. მან დახვენა ბენგელის კლასიფიკაცია ოჯახების შესახებ;

გერმანელი მეცნიერის – **იოჰან გრისბახის** (J. J. Griesbach) (1745-1812) სახელს უკავშირდება ტერმინ „სინოპტიკის“ გამოყენება პირველი სამი სახარების (მათე, მარკოზი, ლუკა) მიმართ 1780-იანი წლებიდან.¹ მან უარყო ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, მარკოზის სახარება მომდინარეობს მათესა და ლუკას სახარებებიდან. გრისბახმა დაბეჭდა ახალი აღთქმის შესწორებული ბერძნული გამოცემა.

ბენგელმა, ვეტშტეინმა, ზემლერმა, გრისბახმა გამოყვეს გენეალოგიური მეთოდის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებიც შემდეგ კლასიკური ტექსტების რედაქტორებმა დახვეწეს. განსაკუ-

1 სინოპტიკურ სახარებებად განიხილა მათეს, მარკოზისა და ლუკას თავები, რომლებიც წარმოადგინს მსგავს ნარატივებს იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ. ისინი ერთმანეთთან ახლოსაა სტრუქტურისა და იკითხვისების მხრივაც იმდენად, რომ მარტივად შეიძლება მათი განთავსება გვერდიგვერდ შინაარსის სინოპტიკური შედარების მიზნით.

თრებით სისტემური სახე მიიღო ამ მეთოდმა XIX საუკუნის გერმანელი მეცნიერის, **კარლ ლახმანის** (Karl Lachmann) (1793-1851), თეორიაში. მასზე ვრცლად მომდევნო პარაგრაფში ვსაუბრობთ.

გერმანელი მეცნიერი **იოჰან ერნესტი** (J. A. Ernesti) (1707-1781) იყო გრამატიკულ-ისტორიული სკოლის ფაქტობრივი დამაარსებელი. 1761 წელს მან გამოსცა ‘*Principles of New Testament Interpretation*’ („ახალი აღთქმის თარგმნის პრინციპები“).

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის სწავლულებს შორის ასევე უნდა დასახელდეს გერმანელი **ფრიდრიხ ვოლფი** (F. A. Wolf) (1759-1824), რომელიც ითვლება თანამედროვე ფილოლოგიის ფუძემდებლად.¹

გ5. XIX საუკუნე

გამოცემათმცოდნეობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია XIX საუკუნე, საიდანაც რეალურად იწყება დარგის განვითარება სამეცნიერო და ისტორიული კუთხით. ჩნდება არაერთი სკოლა, ვითარდება და უმჯობესდება სხვადასხვა თეორია თუ საგამომცემლო მიდგომა. მაგ., საუკუნის I ნახევარში იხვეწება გენეალოგიური, ანუ სტემატური მეთოდი, რომლის მთავარი მიზანიც არის ტექსტის (განსაკუთრებით ხელნაწერი ფორმით არსებულის) უადრესი („ორიგინალური“) ვერსიის დადგენა შემორჩენილ ხელნაწერებს შორის ურთიერთმიმართების გარკვევის საფუძველზე (ზოგჯერ კლადის-ტიკური მეთოდის დახმარებით).² გენეალოგიურ, ანუ სტემატურ მეთოდს ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც „საერთო შეცდომების მეთოდს“, რადგანაც მისი ფუნდამენტური პრინციპი არის შემდეგი:

1 1783-1806 წლებში ის იყო პროფესიონალის (Halle) უნივერსიტეტში, სადაც მან ფილოლოგია ცოდნის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყო. ის ამტკიცებდა, რომ „ილიადა“ და „ოდისეა“ რამდენიმე ავტორის მიერ იყო დაწერილი და ის უნდა განხილულიყო, როგორც ზეპირი მეტყველების პროდუქტი. 1795 წელს მან გამოსცა ‘*E Libraria Orphanotrophei*’, I ტომი, რომლითაც დაწყობილი პროფესიონალთა მიმერილი ციკეური პოემების მეცნიერული კვლევა.

2 რაც გულისხმობს გენეტიკური ურთიერთმიმართებისა და ევოლუციის წარმოდგენას ხის მოდელის მსგავსი სქემის სახით.

„თანხმობა შეცდომებში გულისხმობს თანხმობას წარმომავლობაში.“ ამ მეთოდის გამოყენებით, რედაქტორები აჯგუფებენ ხელნაწერებს და, შესაბამისად, ქმნიან ტექსტური ტრადიციების გენეალოგიურ ხეს. ეს სტემა საშუალებას აძლევს მეცნიერს, ფოკუსირება მოახდინოს ყველაზე მნიშვნელოვან მოწმეებზე და უკუაგდოს ისინი, რომლებიც არ შეიცავს დამატებით ინფორმაციას.

ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა იმ ტექსტის გამოსაცემად, რომელიც არსებობს განსხვავებული ასლებით, არის მათი საყრდენი ვერსიის აღდგენა. ტექსტის გამოცემას აქვს გრძელი და გამორჩეული ისტორია და ამ ხნის განმავლობაში მან განვითარა ფუნდამენტური პრინციპების მთელი წყება დამახინჯებული ტექსტების უადრესი ვერსიის აღსადგენად.

გენეალოგიური მეთოდის გამოყენება დაიწყო ახალი აღთქმისა და მოგვიანებით, კლასიკური ფილოლოგიის მკვლევარების მიერ XVII და XVIII საუკუნეების მიჯნაზე და განვითარდა XIX საუკუნის სწავლულების – გერმანელი ფრიდრიხ რიჩლის (F. W. Ritschl) (1806-1876), დანიელი ლათინისტის – იოპან მადვიგის (J. N. Madvig) (1804-1886), გერმანელი იაკობ ბერნისა (Jakob Bernays) (1824-1881) და სხვათა შრომებში. მეთოდის სრულყოფაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გერმანელ კლასიკურ ფილოლოგ კარლ ლახმანს, რის გამოც სტემატური მეთოდი მის სახელთან ასოცირდა. მან ეს მეთოდი გამოიყენა 1850 წლის ლუკრეციუსის გამოცემაში, სადაც ჩაატარა ანალიზი არსებული მოწმეებისა, რომლებიც ეყრდნობოდა ტექსტური გადაცემისას დაშვებული მნიშვნელოვანი ცდომილებების გამოვლენას. ლუკრეციუსის გამოცემის ტრადიცია განსაკუთრებით შეესაბამებოდა ამ მიზანს.

ლახმანი იკავებს ცენტრალურ პოზიციას ტექსტის კრიტიკისა და გამოცემის თეორიის განვითარებაში. კრიტიკოსები ამას ხსნიან მისი უჩვეულო სიძლიერით, მისი შრომების გავრცელებულობის მაღალი ხარისხით, ტექსტური მასალის მრავალფეროვნებით (რომელზედაც ის მუშაობდა) და მისი უზარმაზარი გავლენით როგორც

თანადროულ ეპოქაში, ისე შემდგომ. ბერძნული ახალი აღთქმის მისეული გამოცემა (1831; მე-2 გამოც.: 1842-1850) მიზნად ისახავდა, უპირველესად, ბერძნულისა და ბენგელის პრინციპების დაცვას და ჩვენებას, რომ „საყოველთაოდ მიღებული ტექსტი“¹ საბოლოოდ უნდა უარყოფილიყო. ლახმანის საუკეთესო კრიტიკულ წაშრომად აღიარებულია შუა საუკუნეების გერმანული ტექსტები.

მეთოდს აქვს ერთი ფუნდამენტური მოთხოვნა, რომელიც სერიოზულად ზღუდავს მის გამოყენებას გარკვეული ტექსტური ტრადიციების შემთხვევაში. იმისათვის, რომ მუშაობა წარიმართოს ზოგადი შეცდომების პრინციპით, ტექსტური ტრადიცია უნდა იყოს ერთი, რომელშიც თითოეული მოწმე გადაწერილი იქნება მხოლოდ ერთი მოწმიდან. ეს უზრუნველყოფს, რომ თითოეული მემკვიდრე გადმოსცემდეს მნიშვნელოვან შეცდომებს თავისი წინაპრისგან და მხოლოდ თავისი წინაპრისგან. როდესაც, მეორე მხრივ, მემკვიდრე მოწმე იღებს შეცდომებს ბევრი წინაპრისგან, შედეგი არის კონტა-მინაცია. ეს ინვევს სერიოზულ პრობლემებს საერთო შეცდომების პრინციპის კუთხით. ყველაზე უარეს შემთხვევაში, მან შეიძლება გააბათილოს რამდენიმე მოწმის ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, შეცდომაში შეიყვანოს ოდაქტორი, რომელიც მიჰყვება მიღებულ სტემას. პოლ მაასმა (Paul Maas), საერთო შეცდომების მეთოდის ერთ-ერთმა ყველაზე მკვეთრმა დამცველმა, დაასკვნა, რომ, როდესაც საქმე ეხება გენეალოგიას, ჯერ კიდევ არ არსებობს საშუალება კონტამინაციის წინააღმდეგ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეთოდი არ გამოიყენება ნაბეჭდი ტექსტებისთვის.

ლახმანის საგამომცემლო პრაქტიკა ეყრდნობოდა სხვა დარგების, განსაკუთრებით, შედარებითი გრამატიკის, შედარებითი ლინგვისტიკის, შედარებითი ფილოლოგის მეთოდებს. გამოცემის მეთოდი მნიშვნელოვნად დაიხვენა შუა საუკუნეების ტექსტების მკვლევარებთან გრობერთან (G. Gröber) და პარისთან (G. Paris), რომლებმაც ხაზი გაუსვეს ზოგადი შეცდომების მნიშვნელობას.

ლახმანამდე მიღებული იყო, ამოერჩიათ ცალკეული ხელნაწერი,

1 ამის შესახებ ვრცლად ვსაუბრობთ VIII თავში.

როგორც მთავარი საყრდენი გამოცემისთვის. იმ გარემოებების გამო, რომელშიც შუა საუკუნეების ლიტერატურის დიდი ნაწილი იქმნებოდა და გადაიცემოდა, ეს არ იყო დასაძრახი მეთოდი: ტექსტების მოცულობის გადარჩენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ასეთი მიდგომა გამართლებულიც იყო ბევრ შემთხვევაში, ოღონდ წიგნები გამოცემულიყო. ეს იყო გამოცემის სტილი, რომელსაც მიჰყვებოდნენ ბელგიელი იეზუიტები (ბოლანდისტების სახელით (ცნობილი), ფრანგი ბენედიქტელები (მავრისტები), იტალიელი მეცნიერი მურატორი და სხვები. საუკეთესო იყო შუა საუკუნეების ლათინური ქრონიკების გამოცემები, რომლებიც განახორციელა XVIII საუკუნის ოქსფორდის ძველებური ნივთების შემკრებმა თომას ჰირნსმა (Thomas Hearnes). ამ გამოცემათაგან ზოგიერთი კვლავაც სანიმუშოდ ითვლება.

1841 წელს ჰერმან ზაუპემ (H. Sauppe) თავის ‘*Epistola Critica ad G. Hermannum*’-ში ხაზი გაუსვა ხელნაწერების გადაცემის შემთხვევების მრავალფეროვნებას და ნებისმიერ შემთხვევაში მათი კლასიფიცირების რეალურ შეუძლებლობას. 1843 წელს ლახმანის მონაფემ ჯანმა (O. Jahn) თავის ‘*Persius*’-ის გამოცემაში უკუაგდო გენეალოგიური მეთოდის მკაცრი გამოყენება, როგორც ამ პოეტის ტრადიციასთან შეუფერებლისა.

უფრო მეცნიერული მიდგომა გამოჩნდა გერმანული ისტორიული ძეგლების პუბლიკაციებში, რომლის მოგვიანო ტომები დაახლოებით 1880 წლიდან გამოიცა ლახმანის სკოლის წარმომადგენელი რედაქტორების მიერ. ადგილობრივი ტექსტების რედაქტორები მისდევდნენ ლახმანის დირექტივას, რომელიც გადმოცემული იყო აღრეული გერმანული პოემების ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა: ‘*The Nibelunge Not*’ (1826) და ‘*The Iwein*’ (1827).

ამ პერიოდის ნაბეჭდი ტექსტების რედაქტორები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ კლასიკური განათლება, ბუნებრივად მიჰყვებოდნენ, მცირე მოდიფიკაციებით, კლასიკური გამოცემის მეთოდებსაც. ისინი ხელმეორედ ბეჭდავდნენ უკანასკნელი გამოცემის ტექსტს ისეთი გაუმჯობესებით, როგორსაც საგამომცემლო

გემოვნება და სწავლება სთავაზობდათ, მაგრამ არ ცდილობდნენ, გამოეკვლიათ ტექსტის წყარო. შექსპირის ტექსტებიც ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიც უმეტესი კლასიკოსი ავტორის ნაწარმოებები. შექსპირის იმდროინდელი გამომცემლების შრომების უმრავლესობა შედგებოდა გადაცემების შედეგად მიღებული ზიანის გამოსწორებისაგან. ასეთი ტექსტების რედაქტირების პროცესი გაგრძელდა XIX საუკუნის ბოლომდე. ზოგადად, შუა საუკუნეების ტექსტების კრიტიკოსები და რედაქტორები უცილობლად განიცდიდნენ კლასიკური დარგის განვითარების გავლენას.

ამდენად, XIX საუკუნეში, სტემატური მიდგომის პარალელურად, გავრცელებული მეთოდი იყო ბოლო გამოცემის ტექსტის დაბეჭდვაც (კლასიკური განათლების სწავლულთა მიერ).

მასასის ტექსტის კრიტიკიდან დაწყებული, პასკუალის (Pasquali) სტემატოლოგიის ხელოვნური და მექანიკური ხელვის კრიტიკამდე, გენეალოგიური მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა XIX-XX საუკუნეების საგამომცემლო თეორიაში. მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი კრიტიკოსიც გამოუჩნდა XX საუკუნეში,¹ თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი პერსპექტივები შექმნა მისი განვითარებისთვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნიკური წინსვლა XIX საუკუნის ბოლოს იყო ფოტოგრაფიის განვითარება. მოგზაურობის ნაცვლად პალეოგრაფს ან კრიტიკოსს უკვე შეეძლო შეეგროვებინა და შექსწავლა მასალა შედარებით ნაკლები დანახარჯით და ადგილიდან გაუსვლელად. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში, არქეოლოგიური აღმოჩენების რიცხვი კლასიკურ და ბიბლიურ მიწებზე საკმაოდ გაიზარდა და ბევრი ახალი ტექსტი იქნა მინიდან ამოღებული. ზოგიერთი მათგანი იყო უცნობ ენებზე, რაც გაშიფრის პრობლემების წინაშე აყენებდა მეცნიერებს. ტექსტოლოგიური კვლევებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბერძნული პაპირუსები ეგვიპტიდან. მათ მეტი სინათლე მოჰყინეს უძველესი ხელნაწერის წარმოებისა და ისტორიის საკითხებს და, აქედან გამომდინარე, არაპირდაპირ – კრიტიკულ პრობლემებს.

1 რასაც მომდევნო თავში ვეხებით.

§6. XX საუკუნე

მრავალი წყაროდან ტექსტების აღდგენის კანონიერება საკამა-თო გახდა XX საუკუნის დასაწყისიდანვე. გამოცემის აღნიშნული სტილი გააშარეა ჰაუსმანმა (A. E. Housman) თავის ბრწყინვალე წინასიტყვაობაში, რომელიც დაურთო მანილიუსისა (Manilius) (1903) და უუვენალის (Juvenal) (1905) გამოცემებს და აგრეთვე ბევრ რეცენზიასა თუ სტატიაში.

კრიტიკა გაძლიერდა 20-იანი წლებიდან. 1922 წელს, კვენტინმა (H. Quentin) სტემატური მეთოდის შეზღუდულობა იმით ახსნა, რომ ის ეყრდნობა შეცდომების იდენტიფიკაციას კვლევითი პროცესის დასაწყისში. კლასიკური ბერძნული და ლათინური ლინგვისტური და სტილისტური წესები შედარებით მკაცრი და კარგად განსაზღვრულია, მაშინ როცა ლექსიკა და მისი გამოყენება შუა საუკუნეების ბევრი ავტორის მიერ ხშირად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სარწმუნოდ გაიმიჯნოს ვარინტი და შეცდომა.

კვენტინის საკუთარი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებდა ვარიანტების შედარებას ხელნაწერთა სამ ჯგუფში, მათ სისწორეზე ზიანის მიყენების გარეშე, ზოგადად, არ იქნა მიღებული. მან და ბედიერმა მაინც კარგი სამსახური გაუწიეს საგამომცემლო საქმეს, რადგან დაუინებით მოითხოვდნენ წინდახედულებას და სიფრთხილეს. თანამედროვე კრიტიკოსები თანხმდებიან ვარიანტული იკითხვისებისა და ტექსტის ფორმების შესწავლის აუცილებლობაზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის შუქზე.

შუა საუკუნეების ლიტერატურის მკვლევარი, ფრანგი მეცნიერი ბედიერი (Joseph Bédier) 1928 წელს თავს დაესხა სტემატურ მეთოდს, რადგანაც იგი შეზღუდულად მიიჩნია.

ბედიერის შეხედულებების სისტემა ცნობილია, როგორც „საუკეთესო ტექსტის“, ან „სანდო ხელნაწერის“ თეორია, რომელმაც ახალი ძალები მოიკრიბა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან. შეიძლება დაგასახელოთ ბერნარდ სერკუიგლინის (Bernard Cerquiglini) შრომა (1989), რომლის თანახმადაც, „არას-

ტაბილურობა (მერყეობა) არის ფუნდამენტური მახასიათებელი ხელით გადმოცემული ლიტერატურისა“, მთელი თავისი შედე-გებით. მისმა შრომამ ღრმა გავლენა იქონია „ახალი“, ანუ „მა-ტერიალური ფილოლოგის“ (‘material philology’) დაბადებაზე, რომელსაც ბევრი საერთო აღმოაჩნდა მაკენზისა და მაკანის მიერ შემოთავაზებულ სოციალური ტექსტის თეორიასთან.¹

თანამედროვე ტენდენცია, ძირითადად, აღიარებს სტემატური მეთოდის ვალიდურობას, თუმცა ურჩევენ ფრთხილ ემპირიზმს მის გამოყენებაში.

გამოცემის არსებული მეთოდები გაღრმავდა და განახლდა, როდესაც თანამედროვე ფილოლოგიის დისციპლინები წარმოიშვა ისტორიზმიდან, რომელიც, თავის მხრივ, დაიბადა XVIII საუკუნის განმანათლებლობაში. ამ ძირითად მეთოდებზე დაყრდნობით, წარმოიშვა რამდენიმე სისტემურად (მოწესრიგებულად) წარმოდგენილი ვარიანტი XX საუკუნის საგამომცემლო თეორიაში:

ანგლო-ამერიკული კრიტიკული ეკლექტიზმი, რომელმაც კულტურული განვითარების მიზანის შემდეგ ყველაზე გავლენიანი გამომცემლების, გრეგისა (Walter Wilson Greg) (1875-1959) და ბაუერსის (Fredson Bowers) (1905-1991), სკოლაში;²

ფრანგული პოსტ-სტრუქტურალიზმი;

ევროპული გენეტიკური კრიტიკა, რომელიც განვითარდა გერმანელი და ფრანგი მეცნიერების მიერ, და სოციალური გამოცემის თეორია, რომელიც ყველაზე ძლიერად შემოთავაზებულ იქნა მაკანისა (J. McGann) (დაბ. 1937) და მაკენზის (D. F. McKenzie) (1931-1999) თეორიებში.

XX საუკუნის მკვლევართაგან აღსანიშნავია აგრეთვე ჰაუსმანის (A. E. Housman) (1859-1936), პოლარდის (A. W. Pollard) (1859-1944), ტანსელის (G. Th. Tanselle) (დაბ. 1934), გრითემის (D. Greetham), შილინგსბურგისა (P. Shillingsburg) (დაბ. 1943) და სხვათა წვლილი.

1 ამ თეორიას განვიხილავთ ცოტა ქვემოთ.

2 ისინი თავიანთ დაკვირვებებს, ძირითადად, შუა საუკუნეების ტექსტებზე აყრდნობდნენ.

ესა თუ ის საგამომცემლო მოდელი მკაცრად განისაზღვრება კონკრეტული პერიოდითა და მონმის ტიპით. მაგ., თუ სტე-მატური მეთოდი მეტ-ნაკლებად იყო ჩარჩო შუა საუკუნეები-სა და კლასიკური ტექსტებისათვის, რომლებიც შემორჩენილია შუა საუკუნეების ხელნაწერებში, ე. წ. „ასლი-ტექსტის თეორია“ ('copy-text theory') ახასიათებდა ანგლო-ამერიკული ბეჭდური მასალის გამოცემებს; გენეტიკური კრიტიკა უმთავრესად გამოიყენებოდა ავტორისეული შავი პირებისა და თანამედროვე ავტო-რების შემთხვევაში. ეს განსხვავება და პერიოდიზაცია მხოლოდ თეორიულია და ბეჭრწილად არის დამოკიდებული ქვეყანაზე და დისციპლინაზე, რომელშიც ესა თუ ის მეცნიერი მუშაობს. მაგ., „ასლი-ტექსტის“ მიდგომა ნაკლები წარმატებით გამოიყენებოდა ინგლისურენოვანი სამყაროს გარეთ, მაშინ როდესაც გენეტიკური კრიტიკის მიდგომა მეტად შეითვისეს ევროპელმა სწავლულებმა, გაერთიანებული სამეცნის გამოკლებით; ბიბლიის მკვლევარები ტრადიციულად იყენებენ ეკლექტიკურ მიდგომას, მაშინ როდესაც ისტორიკოსები ამჯობინებენ დოკუმენტურ მიდგომას, თანაც, მეტწილად აშშ-ში და. შ.

გარდა ზემოთ ნახსენები ძირითადი თეორიული მიდგომებისა, არსებობდა სხვა სკოლებიც, რომელთაც განავითარეს და გაამ-დიდრეს საგამომცემლო თეორია. მაგ., ადრეული XX საუკუნე აღინიშნა „ბიბლიო-ტექსტის“ კრიტიკის ახალი სკოლის აღმავლო-ბით, რომელიც თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი პოლარდის, მაკეროვისა (R.B. McKerrow) და გრეგის მიერ. მათი მიზანი იყო, გამოეგონებინათ ტექსტის გადასინჯვის სტილი, რომელიც შესა-ბამისი იქნებოდა იმ განსაკუთრებულ პირობებთან, რომელშიც ადრეული ნაბეჭდი ტექსტები ინარმოებოდა და მრავლდებოდა. მისი მეთოდები აღებული იყო ანალიტიკური ბიბლიოგრაფიიდან. მეცნიერთა ამ თაობის წარმომადგენლებმავე წამოიწყეს ზოგადი მეთოდოლოგიური ინტერესის შემცველი დისკუსია ბიბლიოგრა-ფიის როლზე ისტორიული და ლიტერატურული კრიტერიუმების საპირისპიროდ საგამომცემლო პროცესში.

ანგლო-ამერიკული კრიტიკული ეკლექტიზმი: 1950-იანი წლებიდან ანგლო-ამერიკული სამყაროსთვის ყველაზე გავლენიანი მიდგომა იყო „ასლი-ტექსტის თეორია“, როგორც განსაზღვრავალტერ გრეგმა და დახვეწეს და სრულყვეს ფრედსონ ბაჟერსმა და თომას ტანზელმა. ეს თეორია უმთავრესად გულისხმობს სიტუაციას, როდესაც გვაქვს მოცემული ნაწარმოების ავტოგრაფული ხელნაწერი, ისევე როგორც ამავე ნაწარმოების მოგვიანობეჭდური გამოცემა. ასეთ შემთხვევებში, რედაქტორი იყენებს მოგვიანობ ბეჭდური გამოცემის არსებით იყითხვისებს, რომლებიც შეერთებულია ავტოგრაფული ხელნაწერის დამხმარეპარამეტრებთან (პუნქტუაცია, ორთოგრაფია, კაპიტალური ასოების ხმარება და ა. შ.). ასეთ დროს ბუნებრივად ისმის კითხვა: შეეძლოთ თუ არა ავტორებს, ეკონტროლებინათ ბეჭდვის პროცესი ისევე, როგორც აკონტროლებდნენ თავიანთ ხელნაწერს? ცხადია, ასეთ შემთხვევაში ისინი გამოიყენებდნენ თავიანთ საკუთარ სტილს ისევე, როგორც თავიანთ ხელნაწერში გამოიყენეს.

ნაწარმოების ერთი კონკრეტული ვერსიის შერჩევის თეორიამ გაცილებით ავტორიტეტული გახადა ტექსტის ე.წ. „მეორეხარისხოვნების“ დონე (პუნქტუაცია, ორთოგრაფია, დიდი ასოების გამოყენება, დახრა და ა. შ.), მაშინ როდესაც დასაშვებად მიიჩნია „არსებითების“ (მაგ., სიტყვების, ფრაზების) ჩასწორება, თუ ავტორისეული რევიზიის მოგვიანო საბუთი აღმოჩნდებოდა. ასე რომ, სიტყვების დონეზე ჩასწორება მხოლოდ ავტორისეული სწორებების აღმოჩნის შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

ამ პერიოდიდან, გამომცემლებისთვის ცენტრალური საკითხი ხდება ავტორის ნება და ძირითადი ტექსტის არჩევანი. ლინგვისტიკას, ფემინიზმს, ფსიქოანალიზს (რომელიც ფოკუსირებას ახდენდა ქვეცნობიერზე), ახალ ისტორიზმს, ეთნოლოგიას (რამდენადაც ავტორობის იდეა შეიძლება განსხვავებულად იყოს აგებული და გაგებული სხვადასხვა კულტურაში) და ჰიპერტექსტის თეორიას გავლენა ჰქონდათ საგამომცემლო თეორიაზე. გაჩნდა უურნალები, რომლებიც ან მთლიანად ეძღვნება საგამომცემლო აზროვნებას, ან

მნიშვნელოვან ნაწილს უთმობენ მას. უფრო და უფრო მეტი წიგნი და სტატია ეთმობა არა კონკრეტული საგამომცემლო პრობლემის გადაწყვეტას, არამედ „გამოცემის პრობლემას“.

ბაუერსმა, რომელიც მუშაობდა XIX საუკუნის ტექსტებზე, კერძოდ კი, ჰოთორნის (Hawthorne) ნოველებზე, ჩამოაყალიბა ავტორის ბოლო ნების თეორია. ის მივიდა დასკვნამდე, რომ ავტორის ხელნაწერი (და არა მისი პირველი ნაბეჭდი) უნდა შერჩეულიყო, როგორც საყრდენი ტექსტი გამოცემისთვის. გამოჩენილმა თეორეტიკოსმა გრეგმა ვერ შეძლო თავისი განმარტებები ჩამოეყალიბებინა ავტორის ნების სახელწოდებით, რაც ბაუერსმა გააკეთა. შედეგად, ავტორის ნების თეორია ფორმულირდა არა უბრალოდ როგორც ასლი-ტექსტის გონივრული განმარტების ახსნა, არამედ, როგორც წესი, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ორივე – ასლი-ტექსტის არჩევანი და ტექსტური ვერსიის არჩევანი.

ანგლო-ამერიკულმა საგამომცემლო ტრადიციამ, ისწრაფვონდა რა, ენარმოებინა ავტორიტარული გამოცემები, რომლებიც იდეალურად ასახავს ავტორის ნებას, შექმნა აკადემიური გამოცემები, რომლებშიც ძირითადი ტექსტი წინა პლანზეა წამოწეული ამ ტექსტის გადაცემის ისტორიასთან მიმართებით.

ფრანგული პოსტ-სტრუქტურალიზმი: „ავტორისა“ და „ავტორის ცნების“ თეორიებმა, განვითარებულმა ფრანგი პოსტ-სტრუქტურალისტური კრიტიკოსების მიერ, როგორებიც არიან **როლან ბარტი** (Roland Barthes) (1915-1980) და **მიშელ ფუკო** (Michel Foucault), (1926-1984), ფართოდ გავრცელება და საგამომცემლო აზროვნებაზე გავლენის მოხდენა დაიწყო გვიან 1960-იან წლებში. ორივემ – ბარტმა თავის ცნობილ სტატიაში ‘*The Death of the Author*’ („ავტორის სიკვდილი“) (1967) და ფუკომ ნაშრომში ‘*What is an Author?*’ („რას ნიშნავს ავტორი?“) (1969) არგუმენტები წამოაყენა ავტორობის განურჩეველი ატრიბუციის წინააღმდეგ. ფუკო აღნიშნავდა, რომ ჩვენი კითხვის პრაქტიკა ხშირად ტექსტის შემქმნელს ათავსებს ავტორობის თითქმის მისტიკურ ადგილას. აქედან გამომდინარე, ის

ასკვნიდა, რომ ავტორი არის იდეოლოგიური ფიგურა და კითხვები მისი ნების შესახებ ტექსტის დადგენისას უადგილოა.

ფრანგულმა პოსტ-სტრუქტურალიზმა გააძლიერა რწმენა, რომელიც შეადგენდა ანგლო-ამერიკული სკოლის ახალი ხედ-ვების ერთ-ერთ კონცეპტუალურ ქვაკუთხედს. ეს კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ავტორის ნება არ არის ხელმისაწვდომი, არც სასურველი, როგორც სტანდარტი იმისათვის, რომ შევაფასოთ ლიტერატურული ნაწარმოების წარმატება. მკვლევარი, აქედან გამომდინარე, კონცენტრირებული უნდა იყოს თავად ტექსტზე და ავტორის ნების საკითხი უბრალოდ დატოვოს ცალკე.

ორივე მეცნიერის გავლენა ძალიან დიდი იყო.

გენეტიკური კრიტიკა (Genetic Criticism): გენეტიკური კრიტიკა არის მიღებომა ლიტერატურული კვლევისადმი, რომელიც წარმოიშვა საფრანგეთში ადრეულ 1970-იან წლებში. გენეტიკური კრიტიკის თეორიით უდგებიან უმთავრესად ავტორისეულ შავ პირებს. მას ეხებიან, როგორც ავან-ტექსტს (Avant-text), რაც არის სქემების (ტექსტური მონახაზების), ხელნაწერების, ვარიანტების ერთობლიობა, ანუ ყველა ის მასალა, რომელიც იქმნება ნაწარმოების ბოლო ვერსიამდე და რომელიც ქმნის ამ ნაწარმოების ერთიან ტექსტურ სისტემას. სწორედ კრიტიკული გენეტიკის ფრანგული სკოლა წარმოგვიდგენს ყველაზე ცნობილ საგამომცემლო მიდგომას. ეს მეთოდოლოგია მიისწრაფვის, გამოიკვლიოს ავტორისეული წერის პროცესები, რაც ასახულია სამუშაო ხელნაწერებში ან შავ ავტოგრაფებში.

გენეტიკური კრიტიკის კვლევები უფრო მეტად ფოკუსირებულია წერის აქტზე, ვიდრე ტექსტების პროცესურიზე. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ავტორისეული წერის პროცესის საერთო საფეხურები, დაწყებული დაგეგმვიდან, მონახაზის გაკეთებამდე, პირველ ნაბიჯებამდე, შავი პირის შექმნამდე, გადახედვამდე, შესწორებამდე და ა. შ. ასე რომ, მეთოდი ფოკუსირებას არ ახდენს ტექსტის ერთ კონკრეტულ მდგომარეობაზე, არამედ პროცესზე, რომლის დროსაც ტექსტი იქმნება და ვითარდება. ფერერი (Ferrer), დეპმანი (Deppman) და გროდერი

(Groder) თავიანთ „გენეტიკურ კრიტიკაში“ ასე ახასიათებენ მას: „გენეტიკური კრიტიკის მთავარი ინტერესი არ არის „საბოლოო“ ტექსტი, არამედ წერის პროცესის რეკონსტრუქცია და ანალიზი.“

გენეტიკოსები დაუსრულებელ სიმდიდრეს პოულობენ იმაში, რასაც ისინი „ავან-ტექსტს“ უწოდებენ: კრიტიკული მოგროვება მწერლის შენიშვნებისა, მონახაზებისა, შავი ნაწერებისა, ხელ-ნაწერებისა, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტებისა, კორექ-ტურებისა და კორესპონდენციისა, თუმცა გენეტიკური გამოცემა უფრო მეტია, ვიდრე პირველადი დოკუმენტების „კრიტიკული შეგროვება“. გენეტიკურ გამოცემაში შესაძლებელია წარმოვა-დგინოთ დოკუმენტები და ტექსტები, რომლებსაც მივყავართ კონკრეტული ნაწარმოების ბეჭდურ ვერსიამდე, და აგრეთვე ვარიაცია ამ ბეჭდური ტექსტების ფარგლებში.

ვან ჰული (Dirk Van Hulle) გვთავაზობს გენეტიკური კრიტიკის კომპლექსური კვლევის ობიექტის (წერის პროცესის) მოდელს, რათა მოხერხებული გახადოს და განავითაროს საგამომცემლო ინფრას-ტრუქტურა, რაც ამარტივებს კვლევას გენეტიკური კრიტიკის ხუთი ასპექტის ფარგლებში. ეს ასპექტებია: ეგზოგენეზისი, ენდოგენეზისი, ეპიგენეზისი, მიკროგენეზისი და მაკროგენეზისი. ის ასაბუთებს, რომ ციფრული პარადიგმა შეიძლება ხელშემწყობი იყოს ტექსტის კრიტი-კისა და გენეტიკური კრიტიკის დაახლოებისთვის. ჰული აყალიბებს ციფრული აკადემიური გამოცემის მოდელს, რაც ქმნის ინტერაქციას გენეტიკური კრიტიკის ამ ხუთ ასპექტს შორის (Hulle, 2016: 34-56).

დეკადების განმავლობაში გენეტიკური კრიტიკა და ტექსტის კრი-ტიკა ცალ-ცალკე ვითარდებოდა და ისე ჩანდა, რომ ისინი არასოდეს შეხვებოდნენ ერთმანეთს. ბოლო 15 წლის განმავლობაში მეცნიერე-ბი მუშაობენ მათი დაახლოების მიმართულებით. რადგანაც გენეტი-კური კრიტიკა უპირისპირდება ხელნაწერის კვლევის დამხმარე როლს აკადემიურ გამოცემაში (მისი პერსპექტივებიდან, ხელნაწერს აქვს ერთ-ერთი მთავარი როლი და არა დამხმარე), ციფრული აკადემიური გამოცემის შემოთავაზებული მოდელი გენეტიკური კრიტიკისთვის გვთავაზობს ამ როლების გაუქმებას: გამოცემის მომზადებისათვის

ხელნაწერის კვლევის გამოყენების ნაცვლად, ციფრული გამოცემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე, როგორც იარაღი ხელნაწერის კვლევისა და გენეტიკური კრიტიკისათვის. პულე არ გვირჩევს, რომ დავამციროთ გამომცემლის ფუნქცია დამხმარე როლამდე, არამედ მივიღეთ იმ მდგომარეობამდე, როდესაც აკადემიური გამომცემლები და გენეტიკური კრიტიკოსები სურვილს გამოხატავენ, გარკვეულწილად შეითავსონ ერთმანეთის როლები. ამ მხრივ, ციფრული პარადიგმა შეიძლება დამხმარე იყოს ამ დაახლოებაში.

კონვერგენციის მიუხედავად, არსებობს დივერგენციები გენეტიკურ კრიტიკასა და ტექსტის კრიტიკას შორის მიღებობში, მიზნებში, შედეგებსა და ა. შ. პირველ რიგში, ბევრი ტექსტის კრიტიკოსი მუშაობს შუა საუკუნეებისა და უფრო ადრინდელ ხელნაწერებზე, მაშინ როდესაც გენეტიკური კრიტიკა ჩვეულებრივ მუშაობს „თანამედროვე“ ხელნაწერებზე. შუა საუკუნეების ხელნაწერები იქმნებოდა საჯარო გავრცელებისთვის, თანამედროვე ხელნაწერები კი, ძირითადად, უფრო კერძო ბუნებისაა. თუმცა არსებობს ამ წესის მცირეოდენი გამონაკლისი და შესაძლებელია გენეტიკური კრიტიკა გამოვიყენოთ შუა საუკუნეების ხელნაწერებისთვის, რაც შეიცავს ავტოგრაფულ გადახაზვებს, დამატებებს, ჩანაცვლებებს.

არსებობს განსხვავება არსებით საკითხებს შორის. დანიელ ფერერის მიხედვით, ტექსტის კრიტიკა ფოკუსირებას ახდენს უფრო „გამეორებაზე“, მაშინ როდესაც გენეტიკური კრიტიკა კონცენტრირებულია „გამოგონებაზე“, „აღმოჩენაზე“. შედეგად, „ვარიანტები“ ტექსტის კრიტიკაში უფრო მარტივად განიხილება, როგორც გადახრები, რაც საჭიროებს შესწორებას, მაშინ როდესაც გენეტიკური კრიტიკა არჩევს გამოიყენოს ტერმინი „ხელმეორედ დაწერა“, რათა მიუთითოს, რომ ცვლილება აუცილებლად არ არის ცდომილება, მაგრამ შეიძლება იყოს გამოგონების პროცესის ნაწილი.

ციფრული მედიუმი ახალ პერსპექტივებს შლის მწერალთა ბიბლიოთეკების ინტეგრაციისთვის აკადემიურ თუ გენეტიკურ

გამოცემებში. მწერალთა შემოქმედებითი პროცესი ხშირად ინტერაქციაა წიგნებთან და ბლოკნოტებთან: ავტორის ბიბლიოთეკის წიგნების არშიები ზოგჯერ შეიძლება დაკავშირებული იყოს მწერლის რომელიმე ნაწარმოებთან. გამომცემლის ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს, ასესას არშიების ეგზოგენეტიკური არსი.

გამომცემლის როლი სწრაფად იცვლება ციფრულ პარადიგმაში, მაგრამ არსებობს მთავარი როლი, რომელიც არ იცვლება ფუნდამენტურად: აკადემიური გამომცემელი არ აწესრიგებს ტექსტობრივ ვითარებებს, არამედ ყურადღებას აქცევს მათ და ასე ზრდის გარკვეულ ტექსტურ ცნობიერებას. ამ კუთხით, აკადემიური გამომცემლებისა და გენეტიკური კრიტიკოსების გზები იკვეთება.

გენეტიკური კრიტიკის თეორიის საგამომცემლო პროდუქტები არ არის თავისუფალი კრიტიკისგან: გენეტიკურ გამოცემებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი მძიმედ იკითხება რთულად წარმოდგენილი დიაკრიტიკული ნიშნების გამო.

ეკლექტიზმის კრიტიკა. მაკვანისა და მაკენზის თეორიები. სოციალური გამოცემა: კარლო ბაჟეტა (Carlo Bajetta) წერს, რომ თანამედროვე საგამომცემლო აზროვნებაზე დიდი გავლენა იქნია რომანტიკული ტექსტების გამოცემის პრაქტიკამ. იაზრებდნენ რა ბაირონის, კიტსის (Keats), შელის პოემების გადაცემის (გავრცელების) რთულ ისტორიებსა და „მრავლობით ავტორობას“, რომელიც იგულისხმებოდა ბევრი რომანტიკული ტექსტის წარმოებაში, გამომცემლებმა, როგორებიც იყვნენ მაკვანი, სტილინჯერი (Jack Stillinger) და რეიმანი (Donald Reiman), დაინტერეს ავტორის ბოლო ნების იდეისა და მოცემული წარამოების გამოცემის გადასინჯვა.

მაკვანის ნაშრომის ‘Critique of Modern Textual Criticism’ („თანამედროვე ტექსტის კრიტიკის კრიტიკა“) (1983) გამოჩენით, რომანტიკული ტექსტების გამომცემლებს უთხრეს, რომ ისინი ცდებოდნენ, რადგანაც მუშაობდნენ რომანტიკული იდეალისტური ჩარჩოს ფარგლებში. მაკვანი აკრიტიკებს ბაჟერსის მიერ ჩამოყალიბებულ წესს: როდესაც არჩევანი უნდა გაკეთდეს ავტორის

ხელნაწერსა და პირველ გამოცემას შორის, უპირატესობა უნდა მიეცეს ხელნაწერს, რამდენადაც ის შეიცავს ავტორის (და არა ვინმე სხვის) ნებას. მაკვანის აზრით კი, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირველ გამოცემას, რამდენადაც ის შეიძლება შეიცავდეს იმას, რაზეც ავტორმა და გამომცემლობამ ერთად იმუშავეს და წარუდგინეს მკითხველს.

მაკვანმა არ უკუაგდო ნება, როგორც კრიტერიუმი ასლი-ტექსტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მისი შეხედულებით, ტექსტები შეიძლება გაანალიზდეს და უნდა გაანალიზდეს ისე, რომ განვასხვავოთ ავტორის განზრახვები ნაწარმოებების მიმართ, ანუ რევიზისა და შესწორების ხარისხი, რომელსაც სხვადასხვა ტექსტი აჩვენებს (როგორც ავტორისეული, ისე არაავტორისეული). მაგრამ ფუნდამენტური გადაწყვეტილებები ასლი-ტექსტისა და ძირითადი ტექსტის შესახებ არ უნდა იქნეს მიღებული მთლიანად ასეთი ანალიზის საფუძველზე. განსაკუთრებით, თუ ანალიზის ფუნქცია უბრალოდ ავტორის განზრახვების გაცალკევებაა, ვიდრე მოვლენაში ჩახედვა, რათა გავიგოთ მათი მნიშვნელობები და ტექსტური ღირებულებები. კრიტიკული ტექსტის ფიზიკური გარეგნობის დადგენა მოითხოვს როგორი ანალიზის ჩატარებას, რომელიც მოიცავს ტექსტის ისტორიასა და მის მიმართებას ტექსტის წარმოებასთან, რეპროდუქციასთან და მიღებასთან დაკავშირებულ ისტორიებთან. საბოლოოდ, ეს კონკრეტული ისტორიული კვლევები ჩართული უნდა იყოს ფართო კულტურულ კონტექსტებში, რომელთაც შეუძლიათ ახსნან და განმარტონ ისინი.

ცხადია, მაკვანი არ იყო მარტო თავის ბრძოლაში ასეთი იდეალური (არარეალური, წარმოსახვითი) და ეკლექტიკური გამოცემის წინააღმდეგ. მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ჰელერი (Hans Zeller) და პექმამი (Morse Peckham), რომლებსაც უკვე განცხადებული ჰქონდათ ნების რეალური მიუღწევლობის შესახებ 1971 წელს, გამოხატეს მსგავსი აზრები უფრო ადრე, ხოლო პარკერი (Hershel Parker) მუშაობდა ანალოგიური მიმართულებით დაახლოე-

ბით ამავე დროს. მაკვანის შრომამ, რომელიც დისკუსიების თემად იქცა, ახალი ერის დასაწყისი მოხაზა ტექსტოლოგიასა და გამოცემის თეორიაში.

რა თქმა უნდა, არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, თუ რომელი „სწორი ტექსტი“ შეიძლება წარედგინოს მკითხველს. მაგ., ჯონ კლერის წიგნის ‘*Poems Descriptive of Rural Life and Scenery*’ ხელნაწერებიდან და ბეჭდური გამოცემებიდან – რომელი? ან მისი სონეტის რომელი ვერსია დაიბეჭდოს, რომელიც ეძღვნება ჯონ კიტსის (John Keats) ხსოვნას? ან რომელი – შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარის“ ხელნაწერი, თუ პირველი ნაბეჭდი? განსხვავებულმა თეორიულმა მიდგომებმა წარმოშვა განსხვავებული საგამომცემლო გადაწყვეტილებები ამ კოლექციების, პოემებისა და ნოველების გამოსაცემად. დებატები იყო აგრეთვე იმასთან დაკავშირებით – ამ წანარმოებების გამოცემამ ასლი-ტექსტი უნდა წარმოადგინოს სიტყვა-სიტყვით (ანუ, შეუცვლელად), თუ ის უნდა შესწორდეს და, თუ უნდა შესწორდეს, რა დოზით? და რა უნდა გაკეთდეს ცენზურის, ან ჩარევების შემთხვევებში. და ბოლოს, შეიძლება კრიტიკულად დამუშავებული ტექსტი გამოვცეთ?

ჰიპოთეტურად, მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება ვორდს-ვორთს, რომ პრაქტიკაში თეორიას მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით გამოცემის სტრუქტურისა და კონკრეტული გარეგანი მხარის თვალსაზრისით. ზემოთ დასმულ შეკითხვებზე პასუხები დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ სად უნდა მოთავსდეს ავტორობა; ავტორის ფუნქცია სოციალური კუთხითაა წარმოდგენილი, თუ იდეალურით, ან გვსურს თუ არა, განვასხვავოთ მნერლის ნება და მისი მოლოდინები?

მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვეს ტანზელმა და შილინგსბურგმა. ეს უკანასკნელი წერს: „ტანზელისა და მაკვანის წინააღმდეგობრივი შეხედულებების მიხედვით ჩანს, რომ გამომცემელმა არჩევანი უნდა გააკეთოს, რისი წარმოდგენა უნდა მას: იმისი, რაც ავტორმა გააკეთა (ხელნაწერი), თუ იმისი, რაც გამომცემელმა გააკეთა (წაბეჭდი შრომა)? მაგრამ ბევრწილად პირველი

შემთხვევა ის არ არის, რაც ავტორს სურდა, რომ ენახა ნაბეჭდში და მეორე ის არ არის, რაც ავტორმა გააკეთა და შესაძლოა, არც ის არის, რაც მას სურდა.“

ეს განსხვავება გადამზყვეტია აგრეთვე დონალდ რეიმანისათვის (Donald Reiman), რომელმაც განასხვავა „საჯარო“, „პირადული“ და „სანდო“ ხელნაწერები. რეიმანმა სწორად შენიშნა, რომ ბევრი ავტორი, რომელმაც საჯარო შრომა გაუგზავნა სტამბას გუტენბერგის ერაში, ანგარიშს არ უწევდა თავის ბოლო რევიზირებულ ან შესწორებულ ხელნაწერებს, რათა სასურველი ფორმა მიეცა მათთვის მკითხველთან შესახვედრად. დევიდ მაკეიტერიკის (David McKittrick) მიხედვით, პრობლემა ის არის, რომ ავტორის ნება, მიზანი, რომლისკენაც ამდენი საგამომცემლო მუშაობაა მიმართული, არის მოძრავი სამიზნე, რომელსაც ბევრი სახე, ფორმა და ბუნება აქვს. მარტივ დონეზე, ავტორობა, ფაქტობრივად, უნდა განირჩეს ორი სახის ავტორს შორის: ერთი მხრივ, არის ავტორი, რომელსაც ასე უწოდებენ და აძლევენ ტიპოგრაფიულ და ბიბლიოგრაფიულ ფორმას წიგნის სატიტულო გვერდზე და, მეორე მხრივ, არის ავტორი, რომელმაც დაწერა პირველი შავი ხელნაწერი. უხეშად, ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ საზოგადოდ განსაზღვრულ ავტორზე, რომელიც დამოკიდებულია კოლაბორაციაზე (სასურველზე და არასასურველზე) გადამწერებს, ტრანსკრიფციების გამკეთებლებს, ცენზორებს, საავტორო უფლების მიმნიჭებელ ორგანოებს, ტიპოგრაფებს, დაზაინერებს, ილუსტრატორებს, ასოთამწყობებს, ამკანძველებს, ქაღალდის მწარმოებლებს, მბეჭდავებს, რეცენზიენტებს და ა. შ. შორის.

ბოლო დროის კვლევები გვასწავლის, რომ ავტორიტეტული დოკუმენტი შეიძლება გადარჩეს მოგვიანო და, ზოგადად, დამახინჯებულ ან ინტერპოლირებულ¹ წყაროებშიც.

„ასლი-ტექსტის“ თეორიის საპირისპიროდ, 80-იან წლებში იერომე მაკვანმა შემოგვთავაზა „სოციალური ტექსტის“, „სოციალური გამოცემის“ თუ „სოციოლოგიური გამოცემის“ თეორია, რომლის მიხედვით, ლიტერატურული „ტექსტი“ არ არის მხოლოდ და მხოლოდ ავტორის

1 სადაც გვაქვს გვიანი ჩანართები, დანამატები, რომლებიც ავტორს არ ეკუთვნის.

იდეის პროდუქტი, არამედ შედეგი ბევრი პირისა (როგორიც არის გადამწერები, მბეჭდავები, გამომცემლები) და სამუშაო პროცესის (როგორიც არის გადასინჯვა, ადაპტაცია, პუბლიკაცია) ჩარევისა.

დებატი გამოცემის ამ ფორმებს შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა მაკგანისა (1983) და მაკენზის (1985) ნაშრომებში. ამ უკანასკნელმა ყურადღება გაამახვილა ტიპოგრაფიაზე, ფორმაზზე, წიგნის აკინძვაზე, განლაგებაზე, რომელზეც გავლენას ახდენს სოციალური კონტექსტი, რომლის პირობებშიც ავტორი წერდა და რომელიც, ამავე დროს, შეიძლება გამხდარიყო ავტორის ნების ნაწილი. აკადემიური გამოცემის ეს ფორმა ფოკუსირებას ახდენს ტექსტის შექმნასთან, გაფრცელებასა და ფიზიკური ფორმების მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირის როლზე (გამომცემელი, მბეჭდავი, წიგნის გამყიდველი, კრიტიკოსები). ეს არის კონტრასტული, საპირისპირო მიღვომა გამოცემის „ინტენციონალისტური“ სკოლისა, რომელიც ფოკუსირებას ახდენს მხოლოდ ავტორის განზრახვების, მისწრაფებების მიგნებაზე. „სოციალურ გამომცემლებს“ განსაკუთრებით აინტერესებთ ტექსტის მატერიალური პროდუქცია. ამ კონტექსტში მკვლევარი მიუთითებს ნაწარმოების „ბიბლიოგრაფიული კოდების“ არსებობასა და მნიშვნელობაზე, მისი „ლინგვისტური კოდების“ მნიშვნელობის გვერდით.

ბიბლიოგრაფიული კოდებია, მაგ., ასოთანყობა, განლაგება, ორთოგრაფია, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი ტექსტის ნამდვილ ვერბალურ შინაარსთან ერთად. რამდენადაც ავტორს არ შეუძლია გააკონტროლოს „ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობის მქონე ნიშნების“ ყველა ასპექტი, მუშაობის პროცესი ხდება გაზრდილად კოლაბორაციული და სოციალიზებული. სოციალური თეორიის მიხედვით, ავტორობა გამოიხატება გარე პირობებით და ნებისმიერი ცდა, აღვადგინოთ ავტორის ნება, რომელიც შეიძლება მისი გავლენის მიღმა იყოს, არის შეცდომა. თუმცა პუნდოვანი რჩება, ზუსტად როგორ უნდა იყოს სრულყოფილი „სოციალური“ თუ „სოციოლოგიური გამოცემა“ და შესაძლოა ნაკლები განსხვავება იყოს „სოციალურ“ და „ინტენციონალისტურ“ (intentionalist) გამოცემებს შორის პრაქტიკაში, ვიდრე ჩანს მათი თეორიიდან.

§7. საგამომცემლო მიდგომები და კვლევის მეთოდები ციფრულ ეპოქაში

საგამომცემლო კვლევის მეთოდებზე საუბარი განსაკუთრებით გააქტიურდა ციფრულ ეპოქაში. მთავარი კითხვა, რომელიც დაისმის, არის: თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი საგამომცემლო მეთოდები შემოვთავაზა, თუ მეთოდები იგივე დარჩა და მხოლოდ მედია შეიცვალა? დოკუმენტური თუ კრიტიკული, გენეტიკური, ანგლო-ამერიკული თუ სოციალური მიდგომები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ციფრულად აგრძელებენ არსებობას, თუ ციფრული მედიუმი აუცილებლობით გვთავაზობს ახალ თეორიულ ჩარჩოს? ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ციფრული უბრალოდ ახალი მედიუმია „ძველი“ მეთოდებისთვის თუ ის მთლიანდ ახალი მეთოდოლოგია?

მეცნიერები გვირჩევენ, რომ თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპიუტერული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამოცემაზე, ტრადიციული მეთოდები განსხვავებული თვალთახედვიდან შევაფასოთ და გავითვალისწინოთ დიგიტალური პროდუქტის არა მხოლოდ საგამომცემლო ასპექტები, არამედ ფუნქციონალური პარამეტრები, ტიპოლოგიები, მიზნები, სამიზნე ჯგუფები და ა. შ.

ისევე როგორც დიდი ხნის მანძილზე საკამათო იყო, რას ნიშნავდა აკადემიური გამოცემა, ციფრულ ეპოქაში კითხვამ მიიღო შემდეგი სახე: რას ნიშნავს ციფრული აკადემიური გამოცემა? ის არის ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება გამოცემის წარმოებაში, თუ მხოლოდ გამოცემის პუბლიკაცია ციფრული ფორმატით? ‘word processor’-ის გამოყენება საკმარისია იმისათვის, რომ რომელიმე გამოცემა შევაფასოთ, როგორც ციფრული, თუ ამისათვის რაიმე განსაკუთრებული და გამოცდილი, სპეციალურად განვითარებული ინსტრუმენტია საჭირო? ამ კითხვების აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ დღეს ციფრულ მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტებს ბეჭდურ გამოცემაშიც წარმატებით იყენებენ.

რებეინი (Rehbein) გვთავაზობს განსხვავებას „კლასიკურ

აზროვნებასა“ და „ციფრულ აზროვნებას“ შორის. ე. წ. კლასიკური აზროვნების პირობებში, დიგიტალური დამუშავების მიზანია შექმნას პროდუქტი, რომელიც კარგად გამოიყურება ვებგვერდზე. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა მის გარეგნულ მხარეს, მაშინ როდესაც დიგიტალური აზროვნების დროს დიგიტალური გამოცემის მიზანია შექმნას პროდუქტი, რომელიც კარგად გადმოსცემს შინაარსის ბუნებას.

დიგიტალური აკადემიური გამოცემა არ ნიშნავს გამოცემებს დიგიტალურ მედიაში. როგორც პატრიკ ზალე აღნიშნავს: „გაციფრებული გამოცემა არ არის ციფრული გამოცემა“ (ზალე, 2016: 27). ელენა პიერაზო განარჩევს ციფრულს (digital) და გაციფრებულს (digitized) ერთმანეთისგან. გაციფრებული ბეჭდური გამოცემა არ ნიშნავს ციფრულს. დიგიტალური გამოცემა არ შეიძლება ამოიბეჭდოს ინფორმაციის ან ფუნქციების დაკარგვის გარეშე. ის აიგება განსხვავებული პარადიგმით. თუ გამოცემის პარადიგმა შეზღუდულია ვებგვერდის ორგანზომილებიანი სივრცითა და ინფორმაციის წარმოდგენის ტიპოგრაფიული საშუალებებით, მაშინ ის ვერ იქნება დიგიტალური გამოცემა.

ამდენად, რომ შევაჯამოთ ნათქვამი, დიგიტალურია გამოცემა, რომელიც აგებულია ელექტრონული პარადიგმით, იმართება გამოცდილი, აღიარებული და მეცნიერთა მიერ გაზიარებული აპლიკაციით და ფლობს ვებგვერდის მრავალგანზომილებიან სივრცეს.

ციფრულმა მედიამ ბევრი ტრადიციული მეთოდი შეინარჩუნა, ზოგი სხვადასხვა მეცნიერებიდან ისესხა და ბევრიც საკუთარი განავითარა. შესაბამისად, არასდროს გვქონია იმდენი საგამოცემლო მიდგომა, რამდენიც გვაქვს დღეს, ციფრულ ეპოქაში. დონორი მეცნიერებები გამოცემათმცოდნეობისთვის, ძირითადად, აღმოჩნდა კომპიუტერული და ბიოლოგიური მეცნიერებები. გამოცემათმცოდნეობამ მოახერხა, ბიოლოგიური მეთოდები კომპიუტერულ მეთოდებთან შეესამებინა და ამ გზით მიეღო ციფრული საგამომცემლო მოდელები.

ერთ-ერთი საყრდენი მეთოდი, რომელიც განვითარდა და

ახლებური ფორმა მიიღო თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, არის ზემოთ არაერთზების ნახსენები გენეტიკური მეთოდი. მის საფუძველზე ციფრულ ეპოქაში გენეალოგიის განსხვავებული ტიპები იქნა შემოთავაზებული, კერძოდ:

კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი ('Coherence-Based Genealogical Method' – 'CBGM'). იგი განვითარდა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში გერმანელი მეცნიერის, გერტ მინკის (Gert Mink), მიერ ბერძნულ ახალ აღთქმასთან მიმართებით. მეთოდი წარმატებით გამოიყენება, როგორც ახალი აღთქმისა და ბერძნული ახალი აღთქმის საყოველთაო ტექსტების (რომელსაც იყენებენ სტუდენტები, მასნავლებლები, მღვდლები, მთარგმნელები), ისე კათოლიკე ეპისტოლეების, საქმე მოციქულთას, იოანეს გამოცხადების გამოსაცემად. ბოლო წლებში მისი მისადაგება დაიწყეს იმ ტექსტებისთვისაც, რომლებიც არ ეკუთვნის ახალ აღთქმას. მიუხედავად მისი გამოყენებისა ასეთი მნიშვნელოვანი ტექსტისთვის, იგი არ არის ფართოდ ცნობილი და გაგებული თვით ახალი აღთქმის მკვლევართა მიერ.


გენეალოგიის დადგენის საერთო მიზნის მიუხედავად, ახალი მეთოდი რამდენადმე განსხვავდება სხვა გენეალოგიური მიდგომებისგან, რომლებიც დამყარებულია საერთო შეცდომების პრინციპზე. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს იმ საშუალებაში, რომლითაც გენეალოგიის აღდგენა ხდება. სადაც საერთო შეცდომების მეთოდები ადგენენ წინაპარს, 'CBGM' ერთ მთელად აერთებს მას. მისი ფუნდამენტური პრინციპი არის ის, რომ მოწმეების ურთიერთობა შეიძლება მომდინარეობდეს ვარიანტების ურთიერთობებიდან. მაგ., როდესაც მოწმე A-ს აქვს იკითხვისი, რომელიც უადრესია მოწმე B-ს იკითხვისებზე, ეს მიანიშნებს, რომ მოწმე A შეიძლება წინაპარი იყოს მოწმე B-სი.

ეს არის ფუნდამენტურად განსხვავებული საერთო შეცდომების პრინციპისგან, რომელიც, როგორც მაასმა აღნიშნა, პირდაპირ ვერასდროს უჩვენებს ერთი მოწმის დამოკიდებულებას მეორეზე, არამედ შეუძლია არაპირდაპირ დაადგინოს ეს დამოკიდებლობის

(დამოკიდებულების არქონის) შესაძლებლობის გამორიცხვით.

ტერმინ „მოწმის“ გამოყენება ირიბად მიანიშნებს ‘CBGM’-ის მეორე მნიშვნელოვან განსხვავებაზე ხელნაწერის ტექსტსა („მოწმეს“) და ხელნაწერს, როგორც ფიზიკურ არტეფაქტს შორის. კონტამინაციის ტრადიციით, ბევრი დაკარგული ხელნაწერის შემთხვევაში, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ახალგაზრდა ხელნაწერი შეიცავდეს ბევრ უფრო ძველ ხელნაწერზე წინამავალ ტექსტს. ამისი მაგალითი მოიპოვება კათოლიკე ეპისტოლებში, გარკვეული ჯგუფის ხელნაწერებში, რომლებიც გადაიწერა XII-XV საუკუნეებში, მაგრამ წარმოადგენენ VII საუკუნის ტექსტს. ამ შემთხვევაში ორი ტექსტის მიმართება მოითხოვს განსხვავების წარმოჩენას ტექსტის ასაკსა და მელნისა და პერგამენტის ასაკს შორის. ეს განსხვავება ‘CBGM’-ს საშუალებას აძლევს, აღადგინოს დაკარგული წინაპრები, ან ჰიპარქეტიპები.

ჰიპარქეტიპი (ან ქვეარქეტიპი) არის ტექსტის დაკარგული მდგომარეობა, რომელიც სტემაზე განთავსებულია არქეტიპის დაბლა, ან ჰიპრდაპირ არქეტიპის ქვეშ, ან უფრო დაბალ პოზიციაზე.



მოცემულ სურათზე **α** არის არქეტიპი და **β** და **γ** არის ჰიპარქე-ტიპები. ჰიპარქეტიპები არის წინაპრები ერთი ან მეტი გადარჩე-ნილი ხელნაწერის მონათესავე ჯგუფებისა. არქეტიპის მსგავსად, ჰიპარქეტიპებს ხშირად აღნიშნავენ ბერძნული ასოებით სტემაზე. მაასმა ტერმინი „ჰიპარქეტიპი“ შემოგვთავაზა განსაკუთრებით რეკონსტრუირებული ვარიანტებისთვის (Maas, 1960: 7-8).

‘CBGM’-ის საბოლოო მიზანია სტემის კონსტრუქცია (აშე-ნება), რომელიც გვიჩვენებს უმარტივეს ურთიერთობას ყველა მოწმეს შორის, რაც ზუსტად ასახავს მათ მიმართებებს ვარია-ციის თითოეულ შემთხვევაში. ეს ამომწურავი სტემა ცნობილია, როგორც „გლობალური“ და აგებულია სტემის ორი დაშორებული ტიპისგან, რომელთაგან პირველი და მირითადი არის „ლოკალური სტემა“. ის ვარაუდობს, როგორ განვითარდა ტექსტი ვარიაციის თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში.

კონტამინაციის არსებობა ნიშნავს, რომ თითოეულ მოწმეს აქვს იკითხვისები, რომლებიც ზოგჯერ მომდინარეობს შესაძლე-ბელი წყაროების დიდი ნაკადისგან. ‘CBGM’ ცდილობს, უკუადოს ყველა და დატოვოს ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლო წინაპარი თითოეული მოწმისთვის. რაკი სიიდან არასაჭირო წინაპრები ამოირიცხებიან, გლობალური სტემის აგება პირდაპირ მოჰყვება ამ პროცესს.

პრე-გენეალოგიური კოპერენტულობა. სტემის აგება ‘CBGM’-ში მარტივდება მონაცემების ახალი ტიპით, რომელიც ‘CBGM’-ს აძლევს თავის სახელს: „კოპერენტულობას.“ ‘CBGM’-ის შიგნით არსებობს კოპერენტულობის ორი მთავარი ტიპი. თითოეულს აქვს განსხვავებული მნიშვნელობა და თითოეული ასრულებს განსხვავებულ როლს. პირველი ტიპი ცნობილია, როგორც პრე-გენეალოგიური კოპერენტულობა და ის ესმით, როგორც მარტივი რაოდენობრივი შედარება ორ მოწმეს შორის ყველა ადგილზე, სადაც არსებობს ვარიაცია (ცვლილება) ტრადიციუ-ლად. პრე-გენეალოგიური კოპერენტულობა ყველა შესაბამისობას ამ ადგილებში ექცევა ერთნაირად. ერთი სიტყვის ცვლილების

შესაბამისობა იოანეს სახარების დასაწყისში (1, 5:7) ზუსტად ისეთია რაოდენობრივად, როგორიც 18-სიტყვიანი ცვლილების შესაბამისობა ბოლოში. კათოლიკე ეპისტოლეებში ცვლილების 3,046 ადგილია დაფიქსირებული 123 მოწმეს შორის, რომელიც შეჯერებულია მთელი კორპუსის ფარგლებში. IV საუკუნის ორი ცნობილი ხელნაწერის – ‘Codex Vaticanus’ (03) და ‘Codex Sinaiticus’ (01) – ტექსტების 1,613 შემთხვევაში შესაბამისობა ფიქსირდება. ამდენად, ამ მოწმებს აქვთ პრე-გენეალოგიური კოპერენტულობის 87,1%. საშუალო პრე-გენეალოგიური კოპერენტულობა მოწმების ყოველ წყვილში კათოლიკე ეპისტოლეებში შეადგენს 87,6%-ს. უმაღლესი შესაბამისობა არის 99,1% და უდაბლესი – 77,9%. ‘CBGM’-ში პრე-გენეალოგიური კოპერენტულობა გვთავაზობს ყველა გენეალოგიური მეთოდის წინაშე მდგომი პრობლემის მნიშვნელოვან გადაწყვეტას. ეს არის არაგენეალოგიური შესაბამისობის პრობლემა, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ შემთხვევით, ან თანამთხვევ შესაბამისობას. ეს ხდება, როცა ვარიანტული წაკითხვა მომდინარეობს გადამწერების მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ასეთი შესაბამისობა არღვევს წესს, რომლის თანახმადაც, საერთო შეცდომა გულისხმობს საერთო წინაპარს. ეს არის ის, რის გამოც საერთო შეცდომების მეთოდები ყოველთვის ზღუდავს საკუთარ თავს იმ შეცდომებით, რომლებიც მიიჩნევა, რომ შეუძლებელია დაშვებულიყო მრავალჯერ. მაგრამ გამოვლენა ასეთი არაგენეალოგიური შესაბამისობისა შეიძლება იყოს რთული და პრე-გენეალოგიური მეთოდი შეიძლება აღმოჩნდეს დამხმარე. ვარაუდი ის არის, რომ, რაც უფრო შესაბამება ორი მოწმე ერთმანეთს, მით უფრო შესაძლებელი ხდება, მათი ზიარი იკითხვისები აიხსნას გენეტიკური კავშირის საფუძველზე.

გენეალოგიური კოპერენტულობა. გენეალოგიური კოპერენტულობა არის მოწმეთა მსგავსების კომბინაცია, რომელიც შერწყმულია მათი ურთიერთობის მიმართულებასთან ყველა ლოკალურ სტემაში. განსხვავების ნებისმიერ შემთხვევაში, ორმა მოწმემ შეიძლება აიღოს ერთ-ერთი 4 შესაძლო ურთიერთობიდან:

პირველი შეიძლება უნინარესი იყოს მეორეზე ($a \rightarrow b$);
მეორე შეიძლება უპირატესი იყოს პირველზე ($a \leftarrow b$);
ისინი შეიძლება შეესაბამებოდეს ერთმანეთს ($a = b$);
მათი ურთიერთობა შეიძლება იყოს ირიბი, ან ძალიან რთულად დასადგენი ($a ? b$).

გენეალოგიური კოპერენტულობა აერთიანებს ამ ოთხივე შესაძლო ურთიერთობას ლოკალური სტემის გამოყენებით. თუ დავუბრუნდებით ‘Vaticanus’-ისა (03) და ‘Sinaiticus’-ის (01) ტექსტებს, კათოლიკე ეპისტოლეების რედაქტორთა გადაწყვეტილებები აისახება იმ ურთიერთობებში, რომლებიც მათ გვიჩვენეს: ‘Vaticanus’-ს (03) აქვს ტექსტი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ‘Sinaiticus’-ის ტექსტის პოტენციურ წინაპრად, რამდენადაც მას აქვს წინამავლობის (03 → 01) მაღალი კოეფიციენტი შემდგომ (03 ← 01) იკითხვისებთან მიმართებით. იკითხვისების არსებობა 01-ში, რომელიც არის პირველადი 03-ის იკითხვისებზე, შეიძლება აიხსნას, როგორც შედეგი კონტამინაციისა, რომელიც მომდინარეობს 03-ის არაწინაპრებიდან.

ტექსტური ნაკადის დიაგრამები. რამდენადაც ინფორმაცია, შემოთავაზებული გენეალოგიური კოპერენტულობის მიერ, გროვდება, შესაძლებელი ხდება გამოვიყვლიოთ მოწმეების შესაბამისობა ცვლილების ინდივიდუალურ შემთხვევებში. ეს შესაძლებელი ხდება იმ საშუალებით, რომელსაც უნიდებენ „გაბატონებული ტექსტური ნაკადის დიაგრამებს“. ეს დიაგრამები მოწმეებს აკავშირებენ თავიანთ პოტენციურ წინაპრებთან იმისათვის, რომ გვიჩვენოს ტექსტური განვითარების მარშრუტი, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება მონაცემებს. ეს მონაცემები მოიცავს ორივეს – პრე-გენეალოგიური კოპერენტულობის უფრო ობიექტურ მონაცემებს და რედაქტორების სუბიექტურ გადაწყვეტილებებს ინდივიდუალურ ლოკალურ სტემაში. ამ გზით ტექსტური ნაკადის დიაგრამების გამოყენება მარტივად ვერ დაადასტურებს რედაქტორების საკუთარ მისწრაფებებს.

დიაგრამა გამოიხატება რიცხვებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ისრებით. თითოეული რიცხვი წარმოადგენს

განსხვავებულ მოწმეს. ისრები აკავშირებს მოწმეებს მათ ყველაზე მსგავს პოტენციურ წინაპართან, რომელიც იზიარებს იმავე იყი-თხვისს. გადამწერები, ზოგადად, თავიანთ ეგზემპლარებს ერთ-გულად გადაწერდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ და ‘CBGM’ მომხმარებელს საშუალებას აძლევს, „გახსნას“ ტექსტური ნაკადის დიაგრამების შეზღუდვები, რათა უკეთესად, ან უარესად ასახოს გადანუსხვა კონკრეტული ვარიანტისათვის. ეს ცვლადი, რომელიც დიაგრამის გახსნის საშუალებას იძლევა, კომპიუტერს „ეუბნება“, თითოეული მოწმე რამდენად შეიძლება იყოს დაკავშირებული თავის წინაპართან დიაგრამაზე.

‘CBGM’ გვთავაზობს კომპიუტერული ტექნოლოგიის უნიკალურ გამოყენებას კონტამინაციის მიერ შექმნილი დიდი ხნის პრობლემების გადასაჭრელად. იგი სვამს კითხვებს დასაწყისში ყველა ვარიანტისადმი ერთნაირად მოქცევის მნიშვნელობის თაობაზე, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რა ისტორიული დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ წმინდა ტექსტური ურთიერთობებიდან და როგორ შეიძლება გავაერთიანოთ წყაროები (მაგ., თარგმანები და პატრისტიკული ციტირებები).

ბიფურკატული (ორგანაყოფებიანი) ხე:¹ კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორებმა – ქრისტოფერ ჰაუმ (Christopher Howe), ადრიან ბარბრუქმა (Adrian Barbrook), ლინ მუნიმ (Linne Mooney) და პიტერ რობინსონმა (Peter Robinson) წარმოადგინეს შედარებით ახალი სტემატოლოგიური მიდგომა. მათ აჩვენეს, ევოლუციური ბიოლოგიისთვის შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიები როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სტემატოლოგიური ანალიზისათვის და ხელნაწერი ტრადიციების მახასიათებლების მთელ რიგს როგორი ცხადი პარალელები აქვს გენეტიკაში. ამ მიდგომისთვის გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა სახელწოდებით – ‘Splits Tree program’. მეცნიერები ასკვნიან, რომ დნმ-ში გაერთიანების პროცესი ასახავს ხელნაწერში ცვლილებების გაერთიანებას.

1 ბიფურკატულ ხეში თითოეული წინაპრის ხაზი წარმოქმნის ზუსტად ორ შთამო-მავლობით ხაზს. ხე ბიფურკატულია, თუ მას აქვს ორად გამყოფი კვინძი.

ყველა ხელნაწერს, ცხადია, აქვს თავისი ლიტერი. ჩვენ შეგვიძლია დავშიფროთ ინფორმაცია (ხელნაწერების სახელწოდებები და მათი ნომრები), რომ შევქმნათ მონაცემთა ბაზა, რომელიც მოგვაგონებს ნუკლეოტიდების თანმიმდევრობას. ამის მიხედვით, ადგენენ სქემას, რომელიც გვიჩვენებს კონკრეტული ნაწარმოების არსებული ხელნაწერი ვერსიების სტემატურ ანალიზს, რომელიც დამყარებულია ევოლუციური ბიოლოგიის ტექნოლოგიებზე.

ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა ისეთი ტექსტების შემთხვევაში, როგორებიცაა, მაგ., ჯონ ლიდგეიტის (John Lydgate) XV საუკუნის პოემა „ინგლისის მეფეები“ ('Kings of England'), რომელიც არსებობს 30-ზე მეტი ხელნაწერის სახით.

ფილოგენეტიკური მეთოდი. ერთ-ერთი ახალი თეორიული მიდგომა, რაც კომპიუტერმა შემოგვთავაზა, არის „დაბადებით დიგიტალური“ საგამომცემლო მოდელის განვითარება, რომელსაც ჰქვია ფილოგენეტიკური / კლადისტიკური მიდგომა გამოცემისადმი. პრინციპი გულისხმობს, რომ ტექსტური ვარიაცია, რაც წარმოდგენილია ხელნაწერებში, იქცევა ცოცხალი არსებების დნმ-ის მოლეკულის გენეტიკური მუტაციის მსგავსად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვიყენოთ ფილოგენეტიკური ალგორითმები და მეთოდოლოგია, რომ დავაჯგუფოთ მოწმები მათი მსგავსების მიხედვით და შემდეგ აღვადგინოთ ტექსტები. ეს მიდგომა წარმოგვიდგენს, სავარაუდოდ, ყველაზე რადიკალურ ცდას, ვისარგებლოთ თანამედროვე კომპიუტერის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებით, რამდენადაც ის არა მხოლოდ იყენებს რთულ ალგორითმებს ვარიანტების დასაჯგუფებლად, არამედ მოითხოვს ავტომატურ კოლაციას ამ ვარიანტების საწარმოებლად. ეს მიდგომა სესხულობს და ითვისებს კომპიუტერული მეცნიერებებისა და ბიოლოგიის მეთოდებს. ამ მიდგომის მთავარი პრობლემა მდგომარეობს ვარიანტული იკითხვისების დადგენის სირთულეში: როგორ განვასხვავოთ ორთოგრაფიული და ლინგვისტური ვარიაციები ვარიანტებიდან და შეცდომებიდან? პასუხი ამაზე არ არის ცხადი, როგორც მეცნიერთა ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებები

ადასტურებს. ფილოგენეტიკური და კლადისტიკური მეთოდების გამოცემაში გამოყენების ადრეული მცდელობებიდან ამჟამად მეთოდების ახალი წყება ვითარდება, რომელიც შედის დიგიტალური სტემატოლოგიის, ან „კომპიუტერულად უზრუნველყოფილი სტემატოლოგიის“ სახელებეშვერი. ეს მეთოდი გულისხმობს ავტომატური კოლაციის შედეგების სტატისტიკურ და კომპიუტერულ ანალიზს.

მონმების შემცირება. კლაუს ვახტელი (Klaus Wachtel) გვიჩვენებს, განსახილველი ხელნაწერების რაოდენობა როგორ შეიძლება შემცირდეს სტემის აგებამდე. ახალი აღთქმის არსებული ხელნაწერების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი გონივრული შემცირება რაოდენობისა უნდა იქნეს მიღებული მანამ, სანამ სტემის აგება დაიწყება. ამ მიდგომით, თუ ორი ან მეტი ხელნაწერი ძალიან მსგავსია, მათი ანალიზის საჭიროება აღარ დგება. მეცნიერმა ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენა ახალი აღთქმის მაგალითზე. მან მნიშვნელოვნად შეამცირა ხელნაწერების რიცხვი ისე, რომ სიიდან არ გამოურიცხავს მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ხელნაწერები.

თანმიმდევრული კონტამინაცია. ნათელი მაგალითი იმისა, როგორი მომგებიანი შეიძლება იყოს თანამედროვე სტემატოლოგიური ინსტრუმენტი, მოცემულია ავგუსტ დენ ჰოლანდერის (August den Hollander) კვლევაში. ერთ-ერთი კომპლექსური პრობლემა-თაგანი, რომელსაც ფილოლოგი ეხება, არის კონტამინირებული ტექსტის ტრადიცია. მანამდე ვატელმა (Wattel) და მულკენმა (Mulken) შემოვთავაზეს ე.წ. დარტყმითი ტალღების (კარდიო-გრამა) ინსტრუმენტი ტექსტურ ტრადიციაში თანმიმდევრული კონტამინაციის გამოსავლენად. თავის კვლევაში ჰოლანდერმა გვიჩვენა, ამ ინსტრუმენტის გამოყენებამ როგორ უცდომლად გამოავლინა თანმიმდევრული კონტამინაცია ადრეული XVI საუკუნის ბეჭდური ჰოლანდიური ბიბლიის ტექსტურ ტრადიციაში.

შემთხვევითი ცვლილება. ულრიხ შმიდი (Ulrich Schmid) იკვლევს შემთხვევითი ცვლილების (პარალელიზმის) მოვლენას. მისი კვლევა არის რეაქცია სალემანსის (B. J. P. Salemans) კვლევაზე, რომელმაც

სისტემურად განიხილა ვარიანტული იკითხვისების სხვადასხვა ტიპი გენეალოგიურ სწავლებაში და შემოგვთავაზა მკაცრი გენეალოგიური წესები იმისათვის, რომ გამორიცხოს შესაძლო ვარიანტები, მიღებული შემთხვევითი ცვლილებით. შმიდი გვიჩვენებს სალემანსის წესების ტექსტის ტრადიციაში გამოყენების მნიშვნელობას: ერთი მხრივ, ეს წესები გამორიცხავს ძალიან ბევრ გენეალოგიურად „ვალიდურ“ ვარიანტს, მეორე მხრივ, ის ვარიანტებიც კი, რომლებიც დააკმაყოფილებს სალემანსის მიერ დაწესებულ პირობებს, კვლავაც შეიცავს პარალელურ იკითხვისებს. აქედან გამომდინარე, ის ასკვნის, რომ არანაირი დასკვნა არ შეიძლება იქნეს მიღებული შესაბამისი სტატისტიკური შეფასების გარეშე.

კვლევის სხვა მეთოდები ციფრულ ეპოქაში. კომპიუტერულმა პროგრამებმა შეუზღუდავი შესაძლებლობები წარმოშვა ტექსტოლოგიურ და საგამომცემლო კვლევებში. დევიდ პასტორელი (David Pastorelli) თავის სტატიაში (2017) ახდენს იოანეს სახარების ხელნაწერთა ძველი ლათინური მოწმეების კლასიფიკაციას ახალ რაოდენობრივ მეთოდზე დაყრდნობით. ის წერს, რომ სტატისტიკა სასარგებლოა ახალი ალთქმის ტექსტის კრიტიკისათვის და ტექნოლოგიებზე დაყრდნობილი კვლევების წარმოება არის გარდაუვალი აუცილებლობა. თუმცა ახალი ალთქმის ტექსტის ირგვლივ რაოდენობრივი კვლევები ეყრდნობა ხელნაწერთა შორის არსებულ შესაბამისობებს. მაგ., როდის აქვთ მათ ერთი და იგივე, ან განსხვავებული იკითხვისები და ა. შ. მონაცემთა დამუშავება გულისხმობს შესაბამისობების ცხრილის მომზადებას, შედეგების პროცენტებში გადაყვანას, მათ კლასიფიკაციას სიქად, სადაც პროცენტები დახარისხებულია კლებადობის მიხედვით. ეს მიგნება ეკუთვნის ერნესტ კოლველს (Ernest Colwell). მან გვიან 50-იან წლებში შეიმუშავა „მრავალი იკითხვისის მეთოდი“ (The Multiple Readings Method). ამას მოჰყვა ორი მეთოდის განვითარება: ვისისა (F. Wisse) და მაკრეინოლდსის (P. R. McReynolds) ('The Claremont Profile Method') 60-იან წლებში და ერმანისა (B. D. Ehrman) ('The Comprehensive Profile Method') 80-იან წლებში.

ხელნაწერებს შორის შესაბამისობების დათვლა არ არის ერთა-

დერთი სტატისტიკური ინსტრუმენტი. მეორე მეთოდი არის მონაცემთა ანალიზი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: პირველი არის შესაბამისობის ანალიზი, ან მრავალგანზომილებიანი მასშტაბირება, ხოლო მეორე – კლასტერის მეთოდი. პირველი განვითარდა 60-იანი წლების ბოლოს. მისი მიზანია ვიზუალურად აჩვენოს ინფორმაციის ჯგუფები, რომლებიც მოიცავს რაოდენობრივ ცვლადებს (ჩვენს შემთხვევაში, ხელნაწერის ვარიანტებს). ამ სახის რამდენიმე ანალიზი ჩატარდა ახალი აღთქმის მიმართ 70-იანი წლების ბოლოს. შეიძლება დასახელდეს სამი ნაშრომი: ‘The Epistle of James’ (Amphoux, 1978-1981), ‘The Epistle to the Hebrews’ (Finney, 1999) და ‘The first five chapters of John’s Gospel’ (Willker, 2008).

კლასტერის მეთოდი ცდილობს, ინდივიდუალური ელემენტები შეამციროს ჰომოგენურ კლასებამდე. როგორც დევიდ პასტორელი წერს, მეთოდი, ერთი მხრივ, გამოავლენს არაეკვივალენტურ ვარიაციებს და, მეორე მხრივ, თავიდან გვარიდებს ატიპური მოწმეების ზედმეტ გაუცხოებას. პასტორელი ამ მეთოდს იყენებს იოანეს სახარების ძველი ლათინური მოწმეების მიმართ. საკვლევად ირჩევს ერთ-ერთ თავს – მე-14-ს. იგი განთავსებულია ინტერნეტში, როგორც ‘Vetus Latina’-ს გამოცემის ნაწილი. პროექტის დირექტორია ინგლისელი მეცნიერი დევიდ ჩარლზ პარკერი.¹

მეთოდი ცალკეული იკითხვისების დიდ რიცხვში უზრუნველყოფს აუცილებელ სიზუსტეს მოწმეების გონივრული კლასიფიკაციისთვის. იქმნება იერარქიული დიაგრამა: ჯერ ყალიბდება პატარა კლასტერები ძალიან მსგავსი ინდივიდუალური ელემენტებით, შემდეგ ამ კლასტერებიდან აიგება სხვები უფრო და უფრო ნაკლებად ჰომოგენურები, სანამ ნიმუში არ ამოინურება. ამ ალგორითმს ჰქვია „იერარქიული წინაპრის კლასტირება“ (‘Hierarchical Ascendant Clustering’ – HAC). ის ეყრდნობა ორ განსხვავებულ კლასტერს შორის განსხვავების დათვლას. წესს, რომელიც ითვლის ამ განსხვავებას, ჰქვია „აგრეგაციის კრიტერიუმი“. იგი ისეთი ცვალებადია, როგორიც კლასიფიკირების არაერთი შესაძლებლობა.

1 Burton, Houghton, MacLachlan, Parker (eds.), 2011-2013.

სოციალური გამოცემა (editing) და სოციალური გამოცემები (editions): სიტყვა „სოციალურს“ გამოცემებისა და ტექსტების კონტექსტში მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ის შეიძლება აღნიშნავდეს გამოცემის თეორიას; პრაქტიკის მრავალფეროვნებებს; შექმნის წესებს; ან თავად გამოცემის მახასიათებლებს. ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ სოციალური გამოცემის (‘social edition’), როგორც რეალიზებული და ნამდვილი ფიზიკური ორგანიზმის, შესახებ და სოციალური გამოცემის მომზადების (‘social editing’), როგორც გარკვეული სახის კოლაბორაციული პროცესის, შესახებ, რომელიც ქმნის გამოცემებს (editions).

სოციალურ გამოცემებს ფართო ასპარეზი გადაეშალათ ციფრულ ეპოქაში. „ვები“ და განსაკუთრებით მისი ინტერაქტიული ფუნქციები, რომლებიც „ვებ 2“-ის სახელითაა ცნობილი, ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელსა და შინაარსზე. ამ მოძრაობამ, რომელიც სულჩადგმულია სოციალური ქსელებით, გავლენა მოახდინა ციფრულ გამოცემებზე, ისევე როგორც ნებისმიერმა მცდელობამ, რომელმაც შექმნა „ვები“ და შექმნა წანამდღვარი ე. წ. კოლაბორაციული და სოციალური გამოცემის დაბადებისთვის. კოლაბორაციული გამოცემები არ არის სიახლე: მნიშვნელოვანი ერთობლივი საგამომცემლო წამოწყებები ნაცნობი ცნებაა გამოცემაში, იქნება ეს ლიტერატურათმცოდნეობა (როგორიც არის ჯონათან სვიტისა თუ ბენ ჯონსონის ნანარმოებთა სრული გამოცემები, დაბეჭდილი კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ), ისტორიოგრაფია (მაგ., თომას ჯეფერსონის ნაწერების გამოცემა), ფილოსოფია თუ მეცნიერება (მაგ., ისააკ ნიუტონის თუ ჩარლზ დარვინის გამოცემები). ყველა ნახსენებ საგამომცემლო ძალისხმევაში, შერჩეულ სწავლულთა გუნდი, დარგის ექსპერტები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ერთი ან მეტი მთავარი რედაქტორები, იზიარებენ საერთო პრინციპებს, საგამომცემლო საშუალებებს, რესურსებს, ძირითადად, მრავალფორმეული გამოცემების მომზადებისას. კოლაბორაციები კი-დევ უფრო მეტად მიიღწევა ციფრული გამოცემების დროს. მაგრამ სოციალური გამოცემა არის კიდევ უფრო განსხვავებული.

სოციალური გამოცემის მთავარი იდეაა, შესთავაზოს ტექსტი საზოგადოებას არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წვლილი შეიტანონ მასში, მაგ., ანოტაციების, კომენტარების, თარგმანების მომზადების კუთხით, არამედ იმ მიზნითაც, რომ საზოგადოებამ რედაქტირება გაუკეთოს უკვე არსებულ ტექსტებს, ან დაამატოს ახალი ტექსტები და ამ გზით სრულყოს გამოცემა. „სოციალურის“ მნიშვნელობა ამ მხრივ არის ორგვარი: სოციალური იმ მხრივ, რომ ტექსტი რედაქტირდება (‘Social editing’) და იმ მხრივ, რომ ის გადაეცემა პუბლიკას (‘Social edition’). საზოგადოება, რომელიც ამუშავებს ტექსტს, ან ამდიდრებს მას, შეიძლება კონტროლირდებოდეს სპეციალური საგამომცემლო საბჭოს მიერ, ან შეიძლება არც კონტროლირდებოდეს და, ამგვარად, ტექსტები ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის მასში რაიმე ცვლილების შეტანის კუთხით.

ტერმინს „სოციალური ტექსტი“ აქვს უფრო გრძელი ისტორია, ვიდრე სოციალურ გამოცემებს. ამ საგამომცემლო მოდელის საფუძვლები იძებნება მაკვანისა და მაკვენზის თეორიებში (1970-იანი წლების შუა პერიოდიდან) სოციალური ტექსტის შესახებ, რომელიც ასუსტებს ავტორის, როგორც სრული ძალაუფლების მქონე პირის, პოზიციებს, ახდენს რა ფოკუსირებას ნაწარმოების შექმნის გარემოებებზე.

ეს ორი მეცნიერი, რომლებიც თავიდან ცალ-ცალკე მუშაობდნენ და ერთმანეთს არ იცნობდნენ, „სოციალური ტექსტის“ ცნებამდე სხვადასხვა გზით მივიღნენ: მაკვანი – ბაირონის გამოცემით და თავისი რეაქციით იმ დროისთვის გაბატონებული ანგლო-ამერიკული „ას-ლი-ტექსტის“ გამოცემის თეორიის მიმართ, ხოლო მაკვენზი – თავისი გამოცდილებით ‘Cambridge University Press’-ის ისტორიის კვლევით და უილიამ კონგრივის (William Congreve) (ინგლისელი დრამატურგი და პოეტი) შესახებ შრომით. ორივემ დაასკვნა, რომ ტექსტებს, რომლებსაც ჩვენ ვკითხულობთ, აყალიბებს, ფორმას აძლევს ბევრი ფაქტორი, მათ ავტორთან ერთად, და ტრანსფორმირდება თავიანთ გასავლელ გზაზე მკითხველამდე, მბეჭდავამდე, კრიტიკოსებამდე, მასწავლებლებამდე, წინა მკითხველების თაობებამდე. ორივემ დაასაბუთა, რომ

მატერიალური ფორმები, რომლებსაც ტექსტები იღებს, გადამწყვეტია მათი სოციალური ბუნების გასაგებად და ნებისმიერი მიღებომა ტექსტებისადმი – იგივე გამოცემა – დაფუძნებული უნდა იყოს მათი სოციალური და მატერიალური ბუნების შეცნობაზე. ეს ორი ბუნება არსებითად, სასიცოცხლოდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული: ნებისმიერი ტექსტის ფიზიკური გამოხატვა არის შედეგი სოციალური ფაქტორებისა, რომლებიც განსაზღვრავს ტექსტის ამ მდგომარეობას (ფორმას) და თავისთავად არის გასაღები ამ ფაქტორების გასაგებად. მაკვანისათვის, როგორც რედაქტორისათვის, ეს ნიშნავს, რომ გამოცემამ (edition) აუცილებლად უნდა ასახოს, ან გამოხატოს ეს „სოციალური ტექსტი“. თავისი შრომის ‘From Text to Work: Digital Tools and the Emergence of the Social Text’ – შესახებ ის წერს, რომ ეს არის გამოკვლევა იმაზე, როგორ მუშაობს კრიტიკული გამოცემები, იქნება ისინი ბეჭდური ფორმით, თუ ელექტრონულით.

მაკვენზი, რომლის ადრინდელი შრომა უფრო ლიტერატურისა და ბეჭდვის ისტორიაში იყო, ვიდრე ტექსტის გამოცემაში, არ საუბრობს „სოციალურ ტექსტზე“, როგორც გამოცემის (edition) მიზანზე. როგორც მისი ნაწერები მოწმობს, მისთვის ტექსტის სოციალური და მატერიალური ასპექტები შესწავლილ უნდა იქნეს ლოგიკური ანალიზის შედეგად: ესეების საშუალებით და არა გამოცემით.

როგორც მაკვანი წერს, მაკვენზი ისე გარდაიცვალა რომ ვერ მოასწრო კონგრივის გამოცემა. იგი აღნიშნავს, რომ თავის საკუთარ შრომას ის ხედავს, როგორც მაკვენზის იდეების კრიტიკულ მიმდევრობას.

1990-იანი წლებიდან, როცა ეს ორი მეცნიერი თეორიულად ამუშავებდა სოციალური ტექსტის გამოცემებს, შესაძლებელი გახდა შეკრებილიყო ტექსტის ყველა მატერიალური ვერსია ციფრული სურათებისა და ტრანსკრიფიციების საშუალებით და მათი ერთად წარმოდგენით. მაკვანმა თავისი თეორია პრაქტიკული სამუშაოთი განამტკიცა როზეტის (Rosetti) ციფრული არქივის შექმნით.

სოციალური გამოცემის კონტექსტში საუბრობენ ტექსტის სოციოლოგიაზეც, რომელიც მოიცავს:

ფორმას, რომელსაც ჩანაწერები, დოკუმენტები ან ტექსტები ჩვეულებრივ იღებს მოცემულ კულტურაში;

ფუნქციებს, რომლის შესრულებასაც ემსახურება ჩანაწერები, დოკუმენტები და ტექსტები;

მათ სარგებლიანობას, კანონიერ და სოციალურ როლებს;

ტექსტის სოციოლოგიაში განიხილება ასევე:

ზეპირი ჩანაწერები ლიტერატურულის საპირისპიროდ;

მოქლე და მყისიერი ტექსტები გრძელი ტექსტების საპირისპიროდ;

გასართობი ტექსტები სერიოზულის საპირისპიროდ;

რელიგიური მიზნები;

კლასობრივი დიფერენციაცია, ასახული ავტორობის, მკითხველების, პროდუქციის პრაქტიკებში;

ეფექტი, რომელიც დაცვა-შენახვისა და გადაცემის კონკრეტულ მეთოდებს აქვს კულტურაში (ტექსტების რა ტიპებს ინახავდნენ და გადასცემდნენ);

ტექსტების გამოყენება და კითხვა; კითხვის ისტორია;

ტექსტების საკუთრების უფლება. ვის აქვს უფლება შეცვალოს ტექსტი? პასუხისმგებლობა შენახვაზე;

წიგნების საკუთრების უფლება;

ტექსტების შეგროვება: პირადი და საჯარო საცავები;

ხელნაწერი კულტურის გადარჩენა საბეჭდი დაზგის გამოგონების შემდეგ; ნაბეჭდი წიგნები, როგორც „ნამდვილი“ წიგნების „გაუფასურებული იმიტაციები“;

რევალვაცია და საბოლოო დევალვაცია ხელნაწერებისა საბეჭდი დაზგის გამოგონების შემდეგ; მონასტრების დახურვა და ბიბლიოთეკების მოშლა.

ტერმინი „სოციალური გამოცემა“ ციფრული გამოცემის კონტექსტში, ძირითადად, დაკავშირებულია ‘Devonshire Manuscript’-ის გამოცემასთან,¹ რომელიც შექმნა სიმენსმა (Siemens) და მისმა სამეცნიერო ჯგუფმა. ამ გამოცემის ერთ-ერთი ამოცანაა რედაქტორის როლის შეცვლა: ჯგუფის მიზანია, ‘Wikibooks’-ის, ‘Twitter’-ის, ‘Dru-

1 https://en.wikibooks.org/wiki/Main_Page

pal'-ზე დაფუძნებული სოციალური მედიის სივრცეში საზოგადოების ჩართულობით, გამოიყენოს სოციალური მედიის არსებული საშუალებები იმისათვის, რომ შეცვალოს აკადემიური რედაქტორის როლი ტექსტზე სრული ძალაუფლებიდან შუამავლობამდე. ეს მეთოდი ტრადიციულ და მოქალაქე სწავლულებს რთავს თანამშრომლობაში მიმდინარე საგამომცემლო საუბრების საშუალებით.

2012 წელს სიმენსმა სოციალური გამოცემა განსაზღვრა, როგორც მცდელობა, ტრადიციულ საგამომცემლო მოდელი გადატანილ იქნეს ციფრულ ჩარჩოში, რომლის სიახლეც მდგომარეობს ერთგვარი (თანაბარზომიერი) საგამომცემლო საშუალებებისა და ვებზე დაფუძნებული ცენტრალიზებული მხარდაჭერის უზრუნველყოფაში.

პროექტის – ‘Suda On Line’ (‘SOL’) – ფარგლებში დაინერგა მოდელი, რომლის მიზანია მოხალისების ჩართვა X საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედიის ინგლისურ ენაზე თარგმნის პროცესში. პროექტს ჰყავს საგამომცემლო საბჭო, რომლის წევრებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენციები ძველ ბერძნულში. ასეთი გამომცემლები ამონშებენ და რედაქტირებას უკეთებენ მოხალისეების მიერ შესრულებულ თარგმანებს. 2014 წელს გამოვლინდა, რომ სამუშაოს დაწყებიდან 16 წლის შემდეგ ენციკლოპედიის ყველა ნაწილი თარგმნილი იყო ინგლისურად. პროექტის ახალ მიზნად დაისახა თარგმნის გაუმჯობესება და კომენტარების დართვა.

მეორე მოდელი შემოთავაზებულია პროექტ ‘The Early English Laws’-ის მიერ, რომელიც ეფუძნება შესაბამისი გამომცემლების შერჩევას. პროექტი გვთავაზობს ტექნიკურ და ინტელექტუალურ ჩარჩოს ინგლისური კანონების კრიტიკული გამოცემის მომზადებისა და პუბლიკაციისთვის ‘Magna Carta’-მდე. ინდივიდუალური ჯგუფის შეუძლია განაცხადი გააკეთოს, რათა მას დაავალონ ერთი ან მეტი ხელმისაწვდომი ტექსტის გამოცემა. თუ მათი კომპეტენციები მოწონებულ იქნება საგამომცემლო საბჭოს მიერ, მათ მიიწვევენ საქმის გასაკეთებლად.

შემოთავაზებული გზამკვლევები განასხვავებენ „გამოცდილ რედაქტორებსა“ და „ახალ რედაქტორებს“. პირველი ჯგუფის

რედაქტორები ისინი არიან, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ შუასაუკუნეების ტექსტები, ხოლო მეორენი – რომელთაც არ გამოუციათ არანაირი სირთულისა თუ მოცულობის ტექსტი. ამ ჯგუფს მოეთხოვება, საგამომცემლო საბჭოს წარუდგინოს თავისი მონაცემები, რათა ნება დაერთოს, გამოსცეს ნებისმიერი ტექსტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bajetta, C. M. (2006). Presenting Romantic Texts: Editorial Theory and Practice, Literature Compass 3/4 (2006): 818-839:
file:///C:/Users/W10/Downloads/Presenting–Romantic–Texts–Editorial–Theo.pdf
2. Brumfeld, B. (2013). Re: Crowd sourcing and digital editing. *Elena Pierazzo's Blog*. Comment April 22. <http://epierazzo.blogspot.com/2013/03/crowd-sourcing-and-digital-editing.html>.
3. Burnard, L. O' Brien O' Keefe, and Unsworth (eds.). (2006). Electronic Textual Editing. The Modern Language Association of America, New York.
4. Burton P.H., Houghton H.A.G., MacLachlan R.F., Parker D.C. (eds.) (2011-2013). *Vetus Latina. Die Reste der altlateinischen Bibel*. Vol. 19: *Evangelium secundum Iohannem*. Fascicle 1: Jo 1,1-4,48. Fascicle 2: Jo 4,49-9,41. Herder (Fribourg).
5. Causer, T. and Terras, M. (2014). Many hands make light work. Many hands together make merry work. In *Crowdsourcing our cultural heritage*, edited by Mia Ridge, pp. 57-88. Farnham: Ashgate. Accessed April 25, 2016. <http://discovery.ucl.ac.uk/1393567/1/CauserTerras-Crowdsourcing-our-Cultural-Heritage-.pdf>.
6. Causer, T. and Wallace. V. (2012). Building a volunteer community: Results and findings from Transcribe Bentham. *Digital Humanities Quarterly* 6.2. <http://www.digitalhumanities.org/dhq/vol/6/2/000125/000125.html>.
7. Deegan, M. Sutherland, K. (2016). Text Editing, Print and the

Digital World, Routledge, London and New York.

8. Eggert, P. (2009). *Securing the past: Conservation in art, architecture and literature*. Cambridge: Cambridge University Press.
9. Gabler, H. W. (2007). The primacy of the document in editing. *Ecdotica* 4.
10. Gabler, H. W. (2010). Theorizing the digital scholarly edition.” *Literature Compass* 7.
11. Gold, M. K. and Klein, L. F (eds.) (2016). Debates in the Digital Humanities. University of Minnesota Press. Minneapolis, London.
12. Greetham, D. (1992). *Textual scholarship: An introduction*. New York: Garland.
13. Greetham, D. (1999). *Theories of the text*. Oxford: Oxford University Press.
14. Groden, M. Kreiswirth, M. and Szeman, I. (eds.) The Johns Hopkins Guide to Literary Theory & Criticism, Second Edition, The Johns Hopkins University Press. Baltimore and London: <https://epub.ub.uni-muenchen.de/13125/1/gabler-guide-901-909.pdf>
15. Gurry, P. J. (2016). How Your Greek NT is Changing: A Simple Introduction to the Cohetence-based Genealogical Method (CBGM), *JETS* 59/4 (2016): <https://www.etsjets.org/files/JETS-PDFs/59/59-4/JETS-59-4-675-89-Gurry.pdf>
16. Howard-Hill, T. (1991). Text and praxis in the social approach to editing. *TEXT* 5.
17. Hulle, D. V. (2016). Modelling a Digital Scholarly Edition for Genetic Criticism: A Rapprochement, 12-13 | 2016, Varia, pp. 34–56: <https://journals.openedition.org/variants/293#tocto1n3>
18. Kenney, E. J., History of textual criticism. <https://www.britannica.com/art/New-Humanism>
19. Maas, P. (1960). Textkritik. 4th ed. Leipzig: Teubner. – 1st ed. 1927.
20. McGann, J. (1983). Critique of Modern Textual Criticism. Chicago: University of Chicago Press.

21. McGann, J. and Buzzetti, D. (2006). Critical editing in a digital horizon. In *Electronic text editing*, edited by Burnard, Lou and O'Brien O'Keefe, Katherine. New York, Modern Language Association. <http://www.tei-c.org/About/Archive-new/ETE/Preview/mcgann.xml>
22. McKenzie, D. (1986). Bibliography and the Sociology of the Text: The Panizzi Lectures 1985. London: The British Library.
23. McGann, J. (2016). From Text to Work: Digital Tools and the Emergence of the Social Text: <https://www.erudit.org/en/journals/ron/2006-n41-42-ron1276/013153ar/>
24. Pastorelli, D. (2017). A Classification of Manuscripts Based on A New Quantitative Method. The Old Latin Witnesses of John's Gospel as Text Case.
25. Peck, J. A. (2015). A Masoretic Text vs. Original Hebrew: <https://preachersinstitute.com/2015/08/31/masoretic-text-vs-original-hebrew/>
26. Pierazzo, E. (2015). Digital Scholarly Editing. Theories, Models and Methods. Ashgate.
27. Reenen, P. Studies in Stemmatology II, Edited by August den Hollander, Margot van Mulken, With the assistance of Annelies Roeleveld, John Benjamins Publishing Company Amsterdam/Philadelphia:
file:///C:/Users/User/Downloads/epdf.tips_studies-in-stemmatology-ii.pdf
28. Robinson, P. Social editions, social editing, social texts: <https://www.digitalstudies.org/articles/10.16995/dscn.6/>
29. Robinson, P. (2013). The concept of the work in the digital age. *Ecdotica* 10.
30. Robinson, P. (2013). Towards a theory of digital editions. *Variants* 10.
31. Roncaglia, A. (1975). Principi e applicazioni di critica testuale, Bulzoni, Roma 1975.
32. Shillingsburg, P. L. (1996). *Scholarly editing in the computer age*. 3rd edition. Ann Arbor, MI: University of Michigan Press.
33. Tanselle, Thomas. 1989. Textual Criticism and Literary Sociology. *Studies in Bibliography* 44.

34. Tanselle, T. (1991). Textual criticism and literary sociology. *Studies in Bibliography* 44.
35. Unsworth, J. 2000. Scholarly primitives: What methods so humanities researchers have in common, and how might our tools reflect this? Paper presented at *Humanities computing: Formal methods, experimental practice*, King's College, London, May 13. <http://people.brandeis.edu/~unsworth/Kings.5-00/primitives.html>
36. Well, A. V. D. (2016). Changing Our Textual Minds, Towards a Digital Order of Knowledge, Manchester University Press.

გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

1. https://en.wikibooks.org/wiki/Main_Page
2. <https://wiki.helsinki.fi/display/stemmatology/Ancestor>
3. <https://www.mla.org/Resources/Research/Surveys-Reports-and-Other-Documents/Publishing-and-Scholarship/Reports-from-the-MLA-Committee-on-Scholarly-Editions/Guidelines-for-Editors-of-Scholarly-Editions>
4. <http://textusreceptusbibles.com/What-is-the-Textus-Receptus>

თავი VI

აკადემიური გამოცემის თაორია

საგამომცემლო კონცეფცია და სამეცნიერო აპარატი

რა არის აკადემიური გამოცემა? ეს კითხვა დღესაც აღელვებთ მეცნიერებს. მოცემული თემის ირგვლივ ტარდება სპეციალური ვორქშოპები, რომლებიც მოიცავს აკადემიური გამოცემის ისტორიას, მის სათავეებს კლასიკურ ტრადიციასა და ბიბლიის სწავლებაში, აგრეთვე მის საწყისებს გვიან XIX საუკუნესა და ადრეულ XX საუკუნეში, მის ინსტიტუციონალიზაციას 1940-იანი წლებიდან, „სოციოლოგიურ შემოტრიალებას“ 1980-იან წლებში და მის თანამედროვე მდგრმარეობას ციფრულ ეპოქაში. ფორუმებზე აცნობენ თანამედროვე თეორიებსა და დებატებს გამოცემაში, გამოცემის სხვადასხვა ფორმასა და ფორმატს, კომენტარებისა და ანოტაციების ფუნქციებს, ძირითად პროფესიულ ლექსიკონს (გლოსარიუმს), საერთო პრობლემებსა და სირთულეებს, დისციპლინურ განსხვავებებსა და ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.

პატრიკ სალის (Patrick Sahle) განმარტებით, „აკადემიური გამოცემა არის ინფორმაციული რესურსის პუბლიკაცია, რომელიც გვთავაზობს ისტორიული დოკუმენტებისა და ტექსტების კრიტიკულ რეპრეზენტაციას (წარმოდგენას).“ ნოიბერი (Neuber) ამ განმარტების ასეთ ინტერპრეტაციას იძლევა: „აკადემიური გამოცემა არის ინფორმაციული რესურსი, რომელიც გვთავაზობს პირველადი ისტორიული დოკუმენტებისა და ტექსტების აკადემიურად გამდიდრებულ რეპრეზენტაციას.“ ანუ, ის სიტყვა „კრიტიკულს“ ცვლის სიტყვით „აკადემიური“ და ხსნის ამ შეცვლის მიზეზს. ის აღიარებს, რომ სიტყვა „კრიტიკული“ ტრადიციულად გამოიყენება აკადემიური გამოცემის სფეროში, კერძოდ, „კრიტიკული ტექსტის“ მნიშვნელობით. მაგრამ, რამდენადაც ეს ტერმინი აკადემიური გამოცემის კონტექსტში ტექსტის კრიტიკის საგამომცემლო მეთოდთან მჭიდრო კავშირის გამო გარკვეულწი-

ლად „დაკავებულია“, ამიტომ ის შეიძლება დამაბნეველი იყოს.

აკადემიური გამოცემა, ზოგადად, დოკუმენტირების რთულ და მრავალფეროვან ოჯახს წარმოადგენს. მისი ქოლგის ქვეშ თავს იყრის პრაქტიკებისა და მიდგომების მრავალფეროვნება, რომლებიც განისაზღვრება იმ საშუალებებით, რითაც ისინი (პრაქტიკები და მიდგომები) ეპყრობა პირველადი წყაროებით შეთავაზებულ მონაცემებს. ეს მოიცავს გამოსაცემ ტექსტებს; მეთოდებს, რითაც ისინი ერთმანეთთან ათანხმებენ განსხვავებული წყაროებიდან მომდინარე იკითხვისებს; რედაქტორის როლს და ავტორის განზრახვის მნიშვნელობას. განსხვავება მყარდება აგრეთვე გამოსაცემი მასალის ბუნების, მათი ასაკისა და აგრეთვე სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

აკადემიური გამოცემის თეორია თანამედროვე მეცნიერებაში სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილება. მას უპირველესად მიიჩნევენ, როგორც ბიბლიოგრაფიულ ინსტრუმენტს, რომლის ბუნება განისაზღვრება ჟანრის ისტორიული, ტექნოლოგიური, სოციალური და რიტორიკული პარამეტრებით. მიიჩნევენ, რომ გამოცემების ბუნება უფრო რიტორიკულია, ვიდრე ნეიტრალური, უფრო სოციალური, ვიდრე ინდივიდუალური და უფრო კომპლექსური თარგმანი, ვიდრე მარტივი ტრანსმისია (გადაცემა). ის ადასტურებს, რომ გამოცემული მასალის მრავალმხრივობა და რეპროდუქტიულობა თავისთავად შეზღუდულია მნიშვნელოვანი ფაქტორებით.

აკადემიური გამოცემა, როგორც ბიბლიოგრაფიული ინსტრუმენტი. არსებობს ისტორიული კავშირი, ერთი მხრივ, ბიბლიოგრაფიულ აქტივობასა და, მეორე მხრივ, სამეცნიერო გამოცემებს შორის, რომელიც, ალექსანდრიის პერიოდიდან მოყოლებული, ეყრდნობა ტექსტის კრიტიკას. აკადემიური გამოცემა (Scholarly editing) და ტექსტის კრიტიკა თავდაპირველად მოიაზრებოდა ბიბლიოგრაფიული გადაცემის (ტრანსმისიის) აქტივობის ფარგლებში, საბობიბლიოთეუკო ინსტიტუციურ კონტექსტში. ეს ისტორიული კავშირი განახლდა მიმდინარე ინტენსიურ დიგიტალიზაციის

აქტივობებში. ბიბლიოგრაფიის სპეციფიკურ მიმართულებებს, როგორებიცა ტექსტური და ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები, მფიდრო კავშირი აქვს აკადემიურ გამოცემასთან.

საგამომცემლო თეორიის დეკლარირებული პრინციპები, ცნებები და იდეები არის ბიბლიოგრაფიული სრულყოფილების (იდეალების) ფორმულირებები. მისი კონცეპტუალური დონეები და იერარქიები ნაწილობრივ ემთხვევა ბიბლიოგრაფიის კონცეპტუალურ დონეებსა და იერარქიებს. მაგ., საშუალება, რომლითაც ლიტერატურის ბიბლიოგრაფია შრომებისა და დოკუმენტების სტრუქტურირებას ახდენს კატალოგების შედგენით, ანალოგიურა იმ საშუალებისა, რომლითაც აკადემიური გამოცემა ახდენს შრომების, დოკუმენტების, რედაქტიულისა და ვარიანტების სტრუქტურირებას კრიტიკული გამოცემების წარმოებით. ორივესთვის – ბიბლიოგრაფიისთვის და გამოცემისთვის – მთავარია ნაშრომების, ტექსტებისა და დოკუმენტების კონცეპტების (ცნებების) გაგება და განსაზღვრა. გამოცემების ტიპოლოგია წარმოადგენს ბიბლიოგრაფიული სამუშაოსა და ინტერესების დანაყოფს: კრიტიკული, ისტორიულ-ეკლექტური გამოცემა ოპერირებს ნაშრომის დონეზე, ტრანსკრიფციული გამოცემა – ტექსტის დონეზე, ფაქსიმილური გამოცემა – გრაფიკულ და მატერიალური დოკუმენტის დონეზე. საშუალება, რითაც აკადემიური გამოცემა მართავს ნაშრომის, ვერსიისა და დოკუმენტის ურთიერთმიმართებებს, ანალოგიურია საშუალებისა, რითაც კატალოგი მართავს ბიბლიოგრაფიულ მიმართებებს. თუმცა, ცხადია, არსებობს არეალები, რითიც აკადემიური გამოცემა და ბიბლიოგრაფია განსხვავდება ერთმანეთისაგან. ლიტერატურის ბიბლიოგრაფია ავლენს ნაკლებ ინტერესს ტექსტებისადმი, ვიდრე აკადემიური გამოცემა. შედეგად, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას აქვს მცირე, ან საერთოდ არა აქვს ინსტრუმენტები, რათა დაადგინოს ვერსიები, ან გამოავლინოს და საზღვრები დაუდგინოს მნიშვნელოვან ტექსტებს.

§1. აკადემიური გამოცემის მომზადების პროცესი.

საგამომცემლო კონცეფციის განსაზღვრა

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აკადემიური გამოცემის ძირითადი ამოცანაა, წარმოგვიდგინოს სანდო ტექსტი. მისი მთავარი მიზანია, ასევე, წარმოგვიდგინოს უანრის შესაბამისად მოწესრიგებული და სრულყოფილი სამეცნიერო პარატი. სანდოობა მიიღწევა: სიზუსტით (აკურატულობით) ტექსტებთან მიმართებით, ადეკვატურობით (შესაბამისობით), თანმიმდევრულობით საგამომცემლო პრინციპებისა და პრაქტიკის დოკუმენტირებასთან მიმართებით და სიცხადით (მკაფიოობით) მეთოდებთან მიმართებით. ეს ხუთი მახასიათებელი შეადგენს აკადემიური გამოცემის პრინციპებს.

პოეტი უილიამ ვორდსვორთი (William Wordsworth) შენიშვნა-ვდა: გამომცემლის პირველი მიზანი არის სწორი ტექსტი, შემდეგ ისეთი შენიშვნები, რომლებიც ხსნის და ნათელს მოჰყენს სირთულეებსა და გაუგებარ, ბუნდოვან პასაუებს, და, ბოლოს, რომლებიც უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, ისეთი შენიშვნები, რომლებიც მიუთითებს პასაუებს ან ავტორებს, რის, ან ვის ვალშიც არის პოეტი. ეს არის ის, რასაც კარგმა გამოცემამ უნდა მიაღწიოს. ამდენად, ავტორი გულისხმობს ნაწარმოების ავტორისთვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პიროვნებების გამოყოფასა და მათზე ყურადღების გამახვილებას, მათვის შესაბამისი ახსნა-განმარტების მოძებნას, ვინც და რამაც ხელი შეუწყო კონკრეტული ნაწარმოების შექმნას. თანამედროვე გამომცემლების უმრავლესობა მთლიანობაში (განსაკუთრებით ანოტაციების ნაწილში) კვლავაც ეთანხმება ვორდსვორთს.

შესაბამისად, აკადემიური გამოცემის მომზადება მოიცავს მნიშვნელოვანი აკადემიური ამოცანების ერთობლიობას, როგორიცაა ხელნაწერების ამოკითხვა, დიდი რაოდენობის ვარიანტების შეჯერება, ტექსტის გადაცემის (როგორ იქნა წარმოებული ხელნაწერი, არქივი ან წიგნი) კომპლექსური პროცესების გაანალიზება, კრიტიკული განსჯა და საგამომცემლო თეორია.

აკადემიური გამოცემის პრინციპები მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება, მაგრამ ასეთი მეცნიერული გამოცემისთვისაც მნიშვნელოვანია მომზადებული მასალის ისე გამოქვეყნება, რომ ტექსტოლოგთა და რედაქტორ-გამომცემელთა უზარმაზარი შრომა მკითხველმა სწორი ფორმით მიიღოს. სამწუხაროდ, ზოგიერთი აკადემიური გამოცემა ამ მხრივ ძალზე მოუწესრიგებელია. მაგალითად, როდესაც სამეცნიერო აპარატის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ტომი შედგება სამი ნაწილისაგან, მაგრამ თავად აპარატსა და „სარჩევში“ ეს სამი ნაწილი ერთმანეთშია არეული და თავები და ქვეთავებიც ყოველგვარი განმასხვავებელი პოლიგრაფიული პარამეტრების გარეშეა წარმოდგენილი¹, ეს გამოცემისთვის სერიოზული ხარვეზია. არაერთგან შევხვდებით, რომ ტომებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენილი მასალა წლების მიხედვით გამოყოფილი არ არის, ტომს არ ახლავს სარჩევის ანბანური საძიებელი და სხვ. ეს, რა თქმა უნდა, ტექნიკური მხარეა და არა მეცნიერული, მაგრამ გამომცემლებმა ასეთ დეტალებსაც უნდა მიადევნონ თვალი, რომ აკადემიური გამოცემა მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს.

კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემის განხორციელება ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, რომელშიც ჩვეულებრივ, ჩართულია მეცნიერთა ჯგუფი და უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ კოორდინირებულ მუშაობას.

„...როგორც წესი, ყოველ სერიოზულ გამოცემას წინ უძლვის საგანგებო ინსტრუქციის შემუშავება“ (გვარამაძე, 2006: 318). ტექსტოლოგები, ფაქტობრივად, საგამომცემლო დაკვეთას ასრულებენ, შინაარსით ავსებენ იმ ჩარჩოს, რომელიც შეიქმნა საგამომცემლო კონცეფციის მიხედვით.

აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა შეიქმნას მწერლის სრული პირველადი ბიბლიოგრაფია და გეგმა-პროსპექტი. მუშაობის პროცესში ბიბლიოგრაფია შეიძლება კიდევ შეივსოს და შესაბამისი ცვლილებები იქნეს შეტანილი გეგ-

1 ჭავჭავაძე, 2018: 1136-1138.

მა-პროსპექტშიც, მაგრამ ამ ორი დოკუმენტის საწყისი ვერსიის არსებობა მაინც აუცილებელია.

ტექსტოლოგიასა და გამოცემათმცოდნებობაში არის არაერთი საკითხი, რომლისადმი ერთი უნიფიცირებული მიდგომა არ არსებობს, მაგრამ აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე გუნდი ამ საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთთან შეთანხმებული უნდა იყოს და ერთ პრინციპზე უნდა შეჩერდეს. მაგალითად, როგორ მოვიქცეთ:

თუ გვაქვს არგუმენტირებული საფუძველი ვითიქროთ, რომ სხვადასხვა წყაროში მოძიებული ორი ფრაგმენტი ერთი ტექსტის ნაწილია, ისინი გამოცემაში ერთად უნდა დავტეჭდოთ, თუ ცალ-ცალკე;

თუ დარწმუნებული ვართ, რომ ტექსტში არის კალმისმიერი ლაფსუსი, იგი ძირითად ტექსტშივე ჩავასწოროთ, თუ მხოლოდ სამეცნიერო აპარატში დავურთოთ შენიშვნა;

პუნქტუაცია თანამედროვე ნორმების მიხედვით გავმართოთ თუ ავტორისეული დავტოვოთ და როგორ მოვიქცეთ ისეთ შემთხვევებში, როცა მას მხატვრული ან დამატებითი ემოციური დატვირთვა აქვს;

აკადემიური გამოცემის ძირითად ნაწილში როგორ გამოვაქვეყნოთ ტექსტი, რომლის ერთადერთი წყარო გვაქვს და მის სანდობასთან დაკავშირებით, არგუმენტირებული ეჭვები არსებობს – ჩვეულებრივად დავტეჭდოთ და ეჭვებთან დაკავშირებით მტკიცებულებები მხოლოდ სამეცნიერო აპარატში დავურთოთ, განსხვავებული შრიფტით გამოვაქვეყნოთ, თუ კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვათ;

რა პრინციპით დავაჯგუფოთ დიდი რაოდენობით უთარილ ტექსტები, რომელთა მიახლოებითი დათარიღებაც კი არ ხერხდება: ქვეუანრების, თემების თუ ანბანური რიგის მიხედვით.

საგამომცემლო კონცეფციაში განსაზღვრული უნდა იყოს, რა ტიპის მასალას უნდა გაუკეთდეს კომენტარი და საშუალოდ რა მოცულობის უნდა იყოს ის.

როდესაც განსამარტავია ტექსტში მოხსენიებული პირი, კომენტარში მისი ბიოგრაფიული მონაცემები ჩავსვათ, თუ განვმარტოთ, რა მიმართებაშია იგი მოცემულ კონტექსტან;

ჩვენ მიერ დადგენილი თარიღები ტექსტოლოგიურ პასპორტში შევიტანოთ, კომენტარებთან, თუ სპეციალურ რუბრიკაში;

როდესაც ძირითად წყაროს, რომელიც გამოხატავს ავტორის ბოლო ნებას, თარიღი არა აქვს ან არასრული თარიღი აქვს, სხვა წყაროსთან კი ზუსტი დათარიღებაა, ძირითად ტექსტთან ძირითადი წყაროს თარიღი დავტოვოთ, თუ სხვა წყაროს უფრო ზუსტი დათარიღება გადავიტანოთ;

თუ ტექსტის არც ერთ წყაროს არა აქვს სათაური, ქვესათაური, ხელმოწერა ან თარიღი, ეს რუბრიკები სამეცნიერო პასპორტში მაინც დავტოვოთ და მინუსები დავუწეროთ, თუ ამოვილოთ;

რა მოცულობისა უნდა იყოს პირთა ანოტირებული საძიებელი ზოგადად და რამდენად ვრცელი უნდა იყოს ყველასათვის ცნობილ პირთა განმარტებები;

გავიტანოთ თუ არა საძიებლებში ის პირები, რომელიც ტექსტში ფსევდონიმით, მეტსახელით ან რაიმე სახის მინიშნებით არიან მოხსენიებულნი;

როგორ გავიტანოთ საძიებლებში ის პირები, რომელთა გვარები ტექსტში არასწორად ან რამდენიმე სხვადასხვა ფორმით არის გამოყენებული – ზუსტად იმ ფორმებით, როგორითაც ტექსტია, სწორი ფორმით, თუ ორივეთი და არასწორ ფორმასთან მივუთითოთ: „იხ.“ და, ლექსიკონის პრინციპის გამოყენებით, გავგზავნოთ სწორ ფორმასთან.

უნდა დავურთოთ თუ არა ტომს ტექსტების ანბანური საძიებელი; უნდა გავიტანოთ თუ არა ანბანურ საძიებელში ვარიანტების სათაურებიც;

საგამომცემლო პერსპექტივები მნიშვნელოვანნილად მერყეობს გარკვეული სპექტრის ფარგლებში, საავტორო განზრახვის ინტერესიდან პროდუქციის პროცესისა და მიღების ინტერესამდე. მიღებაში იგულისხმება საგამომცემლო პროდუქტის სამიზნე აუდიტორიის მიერ მიღება. გამომცემლები ამ ინტერესთა გათვალისწინებით აგებენ საგამომცემლო სტრატეგიას. ზოგს, მაგ., შეიძლება მოსწონდეს საუკეთესო ტექსტის გამოცემა, რომელიც

შეიძლება ნაკარნახევი იყოს პროდუქციის პროცესის ინტერესით, ზოგსაც – დიპლომატური, დოკუმენტური ან სოციალური ტექსტის გამოცემა. ამ უკანასკნელის მომზადება შეიძლება განპირობებული იყოს მიღების ინტერესით. საგამომცემლო პრაქტიკას, რომელსაც უპირველესად აინტერესებს ავტორობა, შეიძლება ძალიან აინტერესებდეს პროდუქცია, ან მისი მიღება, ან ორივე ერთად. ნებისმიერი კარგი გამომცემელი გაეცნობა ამ ყველაფრის მნიშვნელობას. როდესაც გამომცემელმა უნდა ამოარჩიოს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება, რა უნდა წარმოადგინოს და როგორ, მას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპი, რომელიც დაეხმარება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამოცემისთვის სწორი საგამომცემლო კონცეფციის განსაზღვრა, შეგვიძლია მოვიხმოთ გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა ექვსტომეული (2002-2007), რომელიც მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო მწერლის დამ – მარინე რჩეულიშვილმა. ამ ექვს ტომში არის ყველანაირი ინფორმაცია, რაც აკადემიურ გამოცემას სჭირდება: თითოეული ავტოგრაფის აღწერილობა, დათარიღების არგუმენტაცია, პირთა იდენტიფიკაცია, კომენტარები, მაგრამ ეს ყველაფერი ერთად არის წარმოდგენილი (ავტოგრაფაფებს საარქივო ნომრებიც არა აქვს), სტრუქტურირებისა და ორგანიზების გარეშე. ვფიქრობთ, კარგი საგამომცემლო კონცეფცია ამ მასალას არაჩვეულებრივ აკადემიურ გამოცემად აქცევდა.

უპირველესი ამოცანა, რომელიც დგება აკადემიური გამოცემის მომზადებელი სამეცნიერო ჯგუფის წინაშე, არის სანდო ტექსტის უზრუნველყოფა. ამისი მიღწევა რამდენიმე სამეცნიერო აქტივობის შესრულებას ითვალისწინებს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა გამოსაცემი მასალის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენა. სახელმძღვანელოში „ქართული ტექსტოლოგია“ ვკითხულობთ: „თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა... თავდაპირველად, აუცილებელია, შედგეს მწერლის თხზულებათა სრული

ბიბლიოგრაფია, რომელშიც აისახება ავტორის მთელი შემოქმედება თავისი ყოველგვარი წვრილმანით” (გვარამაძე, 2006: 24).

ტექსტების სრული ჩამონათვალი საჭიროა იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ მათი განმეორებისა და გამოტოვების შემთხვევები და ასევე გვქონდეს სიის სისრულის გადამოწმებისა და შევსების საშუალება. სიის შედგენის შემდეგ თავს ვუყრით გამოსაცემ ტექსტებს და ვადგენთ ციფრულ კორპუსს. მაგ., თუ გამოვცემთ ამა თუ იმ მწერლის ეპისტოლურ მემკვიდრეობას, ჩვენი მოვალეობაა, ყველა ხელმისაწვდომი (შემორჩენილი) წერილი მოვიძიოთ, ავტოგრაფებიდან თუ ნაბეჭდი ვერსიდან (ავტოგრაფების არარსებობის შემთხვევაში) გადმოვწეროთ და შევქმნათ მათი ციფრული ვერსია. ამით ჩვენ გამზადებული გვექნება საკულევი მასალა.

ტექსტურ მასალასთან საგამომცემლო დამოკიდებულება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგ., საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, განსხვავებული მიდგომები არსებობს, ერთი მხრივ, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების (რომლებიც, ძირითადად, შემორჩენილია ხელნაწერ ტრადიციაში) და, მეორე მხრივ, ახალი და უახლესი ლიტერატურული ძეგლების მიმართ. ძველი ძეგლების შემთხვევაში, გამოსაცემად ირჩევენ ყველაზე ძველ ხელნაწერს, ხოლო მეორე ჯგუფის ძეგლების შემთხვევაში, ავტორის სიცოცხლისდროინდელ პუბლიკაციას (არსებობის შემთხვევაში), ან მისი ხელიდან გამოსულ ამა თუ იმ ნაწარმოების ბოლო ვერსიას, რომელიც მისი ბოლო ნების გამომხატველია. შესაბამისად, ქართულ სამეცნიერო სივრცეში საუპრობენ ძველი და ახალი ტექსტოლოგის შესახებ. რეალურად, მათ შორის არსებოთი ხასიათის ზღვარი არ არსებობს. ორივე მიდგომას აერთიანებს ყველაზე სანდო ტექსტის ამორჩევის ამოცანა.

ბუნებრივია, სხვადასხვაგვარად ვექცევით ტექსტს, რომელიც მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის ჩვენამდე მოღწეული და ტექსტს, რომელიც რამდენიმე ხელნაწერის სახით არსებობს. თუ ნაწარმოების მხოლოდ ერთი ხელნაწერი გვაქვს, ჩვენი ვალია, ის კალმისმიერი (მანუსკრიპტის შემთხვევაში) თუ ბეჭდური (ნაბეჭდის

შემთხვევაში) ლაფსუსებისაგან გავწმინდოთ და ისე გამოვცეთ; ხოლო, თუ ერთზე მეტ ხელნაწერთან გვაქვს საქმე, აუცილებლად დავდგებით მათ შორის გენეტიკური ურთიერთმიმართების დადგენის ამოცანის წინაშე. ამის შესახებ ვრცლად ვსაუბრობთ ზემოთ, საგამომცემლო თეორიისა და კვლევის მეთოდებისადმი მიძღვნილ თავში, და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ტრადიციულად, ტექსტები, რომლებიც ავტორის ხელიდანაა გამოსული, როგორიცაა, ავტოგრაფული ხელნაწერი, მეტი სანდობით ხასიათდება, ვიდრე ის ტექსტები, რომლებიც დაბეჭდილია ავტორის სიკვდილის შემდეგ. ძალიან ბევრი ავტორი ვერ ეღირსა საკუთარი ნაწარმოებების პუბლიკაციას სიცოცხლეში. თუმცა საგამომცემლო პრაქტიკა უცნაურ მაგალითებსაც იცნობს, მაგ., ინგლისელი პოეტი იოანე ვილმოტი (John Wilmot), ლორდი, არასოდეს ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს სიცოცხლეში. ზოგიერთი მისი პოემათაგანი იბეჭდებოდა მისი ავტორობის გარეშე სიმღერების კოლექციის შემცველ წიგნებსა და კრებულებში. ასევე ისინი ფართოდ ვრცელდებოდა და ინახებოდა ხელნაწერთა ასლების სახით.

დანიელ დეფოს 250-ზე მეტი შრომიდან დაკარგულია დიდი ნაწილის ხელნაწერები თუ სამუშაო პირები (მავი მასალა), მისი ნოველების ჩათვლით. ასეთ შემთხვევაში გამომცემელი უნდა დაეყრდნოს ავტორის სიცოცხლეში გამოცემულ ნაბეჭდ ტექსტებს, ისევე როგორც ადრეულ წყაროებს. ასე რომ, ტექსტებზე მუშაობის დროს ნათელი უნდა იყოს, რა მოგვეპოვება, რა სახის მასალასთან გვაქვს საქმე? ხელმისაწვდომია თუ არა ყველა წყარო?

რედაქტორმა ფაქსიმილე წყარო შეიძლება გამოცემის ნაწილად აქციოს, ანუ დაბეჭდოს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო: ავტორის ხელნაწერის ფაქსიმილე რეპროდუქცია (დლიური, წერილები, გამოუქვეყნებელი პოემისა თუ ნოველის შავი პირი) ხშირად აადვილებს შემოქმედებითი პროცესისთვის თვალის მიღევნებას. ბეჭდურ გამოცემებში ეს ხშირად არაპრაქტიკულია, ხოლო ელექტრონულ გამოცემებში ის შეიძლება ძალიან ძვირადღირებული იყოს, ან – შეუძლებელი ნებართვის არქონის გამო.

ტექსტურ კორპუსს მკვლევარის მხრიდან სხვადასხვაგვარი მიდგომა სჭირდება იმის მიხედვით: ჰყავს თუ არა ავტორი? ან ცნობილია თუ არა ავტორის ვინაობა?

ავტორობა არის ტექსტის კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი კატეგორია. ჩვეულებრივ, ავტორი არ ჰყავს ისეთ ტექსტებს, როგორებიცაა, მაგ., ზღაპრები, ხალხური პოემები, ლეგენდები და ა. შ. ისინი ზეპირი მეხსიერების გზით არის ჩვენამდე მოღწეული და დროთა განმავლობაში მიღებული აქვთ განსაკუთრებული წერილობითი ფორმა. ისინი შეიძლება ინდივიდი ავტორისგანაც მომდინარეობდეს, მაგრამ რედაქტორებისთვის, ჩვეულებრივ, ცნობილია მხოლოდ იმ ფორმით, რომელიც მათ მიიღეს გადაცემის შედეგად.

ნანარმოებს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ავტორი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კოლაბორაციულ ავტორობასთან. მაგ., ფრან-ცის ბომონტი (Francis Beaumont) და იოან ფლეტჩერი (John Fletcher) თანამშრომლობდნენ არაერთი დრამატული ნაწარმოების წერის დროს 1606-1616 წლებში. ერთ-ერთი ასეთი დრამატული თხზულებაა ‘*The Knight of the Burning Pestle*’. გარდა იმისა, რომ ისინი ტექსტებს ერთად ქმნიდნენ და ამუშავებდნენ, რედაქტირების პროცესში თანამშრომლობდნენ სხვა პიესების ავტორებთანაც, მაგ., უილიამ როულისთან (William Rowley), ფილიპ მასინჯერთან (Philip Massinger), თომას მიდლტონთან (Thomas Middleton), ბენ ჯონსონთან (Ben Jonson) და სხვ. ასეთ დროს საკმაოდ რთულია, თუ არა შეუძლებელი, რომ ავტორობა მივაწეროთ რომელიმე ერთ ინდივიდს.

როდესაც ავტორობა კოლაბორაციულია, ან კოლექტიური, ან როდესაც ტექსტები ინტერპრეტირებულია დროის ვრცელი პერიოდის განმავლობაში, ცხადია, განსხვავებული საგამომცემლო გადაწყვეტილებები მიიღება.

ავტორს შეიძლება სხვა როლიც ჰქონდეს გამოსაცემი ტექსტის ნარმოებაში. მაგ., ვლადიმერ ნაბოკოვმა თავისი კარიერის ბოლოს რუსულიდან ინგლისურად თარგმნა საკუთარი ადრეული შრომები; ბლეიკმა დაბეჭდა და შეაფერადა თავისი წიგნები მეუ-

ღლის, კატერინას, დახმარებით. ჩარლზ დიკენსი გამოსცემდა საკუთარ ნაწარმოებებს. იგი პირველად იყო რედაქტორი ბენტლის კრებულისა, შემდეგ – დამფუძნებელი და რედაქტორი ‘Household Words’-ისა და ‘All the Year Round’-ისა.

აკადემიური გამოცემის მომზადებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ცნობილია თუ არა მასალის თარიღი. მართალია, ტექსტის დათარიღება ტექსტოლოგიური ამოცანაა, მაგრამ თარიღიან და უთარიღო მასალასთან დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება განსხვავებული იყოს საგამომცემლო სტრატეგია, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს გამოცემის შინაარსსა და ხარისხს. მაგ., გრიგოლ ორბელიანის წერილების გამოცემისას, აკაკი განწერელიამ პირველი ორი ტომი თარიღიან ბარათებს დაუთმო, ხოლო მესამე ტომში განზრახული ჰქონდა უთარიღო წერილების მოთავსება. ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემის მომზადებისას, გრიგოლ ორბელიანის (ასევე სხვათა) ყველა უთარიღო ტექსტი დათარიღდა და ისინი წერილების ქრონოლოგიურ რიგში განთავსდა. საჭირო გახდა სამეცნიერო აპარატში ახალი რუბრიკის – „დათარიღება“ – დამატება, რომელშიც ფაქტების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია თითოეული თარიღი. ამან გამოცემა უფრო მოქნილი და მეცნიერულად სანდო გახადა. ასე რომ, ტექსტის ლოკაცია დროში შეიძლება გავლენას ახდენდეს ტექსტის საგამომცემლო რეპრეზენტაციაზე.

საგამომცემლო კონცეფცია ამა თუ იმ უანრისთვის ზუსტად განსაზღვრული და მორგებული კრიტიკული აპარატის დართვას ითვალისწინებს, რომელსაც სამეცნიერო ჯგუფი ტექსტის მეცნიერული დამუშავების შემდეგ ამზადებს. ეს არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომელიც გამოცემას, სანდო ტექსტებთან ერთად, აკადემიურ შინაარსს აძლევს.

სამეცნიერო აპარატი, ზოგადად, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ესენია: პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები, საძიებლები და ა. შ. გამოცემას შეიძლება ერთვოდეს ლექსიკონი და ენობრივი მიმოხილვაც.

პასპორტი: თავად სახელიც გვიჩვენებს, რომ მასში არაავთენტური და ზედმეტი ერთი სიტყვაც არ უნდა იყოს. პასპორტში იწერება მხოლოდ იმ ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროებიდან გადმოტანილი ინფორმაცია, რომლებიც პასპორტის დასაწყისშია ჩამოთვლილი. მასში არ უნდა შედიოდეს მწერლის გარდაცვალების შემდგომი გამოცემების მონაცემები და მეცნიერული კვლევის შედეგად დადგენილი კომპონენტები. თუ თხზულებას არც ერთ დასახელებულ წყაროში მითითებული არა აქვს თარიღი, ეს გრაფა პასპორტში საერთოდ არ უნდა შევიტანოთ და მით უფრო დაუშვებელია, რომ შევიტანოთ და მასში, თუნდაც კვადრატულ ფრჩხილებში, ჩავნეროთ ჩვენ მიერ დადგენილი თარიღი (რაოდენ სარწმუნოც არ უნდა იყოს ის). ეს არის პასპორტის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევა. ჩვენ მიერ დადგენილი დათარიღება კვადრატული ფრჩხილებით იწერება ძირითადი ტექსტის ბოლოს, სამეცნიერო აპარატის კომენტარებში კი დაწვრილებით არის აღნერილი, რის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა. ჩვენ მიერ დადგენილ თარიღთან დაკავშირებით ეს ორი მითითება სავსებით საკმარისია, პასპორტში კი მისი ადგილი არ არის.

თუ დათარიღება ავტორისეულ ერთ წყაროში მაინც გვხვდება, არა აქვს მნიშვნელობა ეს ძირითადი ტექსტია თუ სხვა, თარიღის მუხლი პასპორტში გაგვაქვს და ვუთითებთ მის ზუსტად ისეთ დაწერილობას, როგორიც წყაროშია, მისი ლიტერის მინიშნებით. თუ წყაროში არასრული თარიღია, მაგ., არის მითითებული მხოლოდ თვე და რიცხვი და არა წელი, ჩვენ კი წელიც დავადგინეთ, პასპორტში მაინც შევა თარიღის მხოლოდ არასრული დაწერილობა, როგორიც წყაროში იყო, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მასში უნდა იყოს მხოლოდ ავტორისეული ინფორმაცია. მსჯელობა იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე შევავსეთ არასრული თარიღი, აქაც იწერება კომენტარში, ძირითადი ტექსტის ბოლოს კი არასრულ თარიღს კვადრატული ფრჩხილებით მიეწერება ჩვენ მიერ დადგენილი კომპონენტი.

ილია ჭავჭავაძის | ტომში დაბეჭდილი ლექსები: „ლამე“, „ძმის სიკვდილზედ“, „წუხილი“, „ჩემო სიმღერავ“, „კითხვა-პასუხი“,

„ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“, „რად გვინდა, ვინ ხარ...“ უთარიღოებია და ტექსტებს ბოლოში კვადრატული ფრჩხილებით უწერია მკვლევართა მიერ დადგენილი თარიღები, მაგრამ ისინი, ზემოხსენებული პრინციპის დაცვით, პასპორტში გატანილი არ არის და დათარიღების საფუძვლის შესახებ მითითებულია მხოლოდ კომენტარებში.¹ არსად გვხვდება შემთხვევა, რომ უთარიღო ლექსისთვის ჩვენ მიერ მიცემული თარიღი პასპორტში იყოს გატანილი. იგივე სურათია აკაკი წერეთლის თხზულებათა 1991 წელს გამოცემულ ტომში. მის უთარიღო ლექსებს – „ჩემს ვენერას“, „ცოდვილის სინანული“, „ქართლის სალამი“, „მეუდაბნოე“, „შამილის სიზმარი“ და მრავალ სხვას (მათი რაოდენობა პევრად უფრო მეტია, ვიდრე ილია ჭავჭავაძესთან) პასპორტში თარიღის გრაფა ასევე არა აქვს გატანილი და, რა თქმა უნდა, არც კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, არამედ ჩაწერილია მკვლევართა მიერ დადგენილი წელი.

არსებული ზოგადი საგამომცემლო ტრადიციისა და დამკვიდრებული პრინციპების მიხედვით, წყაროების ჩამონათვალისა და თარიღის გარდა, პასპორტში, როგორც წესი, გამოტანილი უნდა იყოს სათაურის, ქვესათაურისა და ხელმოწერის ვარიანტები. შესაბამისად, თუ ტექსტს არც ერთ წყაროში არა აქვს ალტერნატიული სათაური, ქვესათაური, ან ხელმოწერა, ეს მუხლი პასპორტში არ უნდა შევიდეს. ასევე, თუ ტექსტს მხოლოდ ერთი წყარო აქვს, ეს მუხლები ცალსახად არ არის საჭირო. სათაურის, ქვესათაურისა და ხელმოწერის მუხლები პასპორტში შეგვაქვს მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე წყაროში მაინც არის ძირითად ტექსტში დაბეჭდილისაგან გასხვავებული ვარიანტი. თუ საქმე სათაურის, თარიღისა და ხელმოწერის საერთოდ არქონისთან გვაქვს, შენიშვნებში, და არა პასპორტში, აღინიშნება – უსათაუროა, დაუთარიღებელია, ხელმოუწერელია. სულ ცოტა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მაინც, პასპორტის შედგენის ეს

1 ჭავჭავაძე, 1987: 42, 329; 92, 307; 114, 402; 117, 405; 159, 435; 173, 436; 176, 438.

პრინციპი დაცული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების მიერ მომზადებულ ყველა გამოცემაში.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს **კომენტარები**. რეალური კომენტარის მიზანია, მკითხველს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს თხზულებაში ნახსენები პიროვნების, ისტორიული ფაქტისა თუ სხვა რეალის შესახებ, რათა მკაფიოდ დაანახოს მისი ადგილი მოცემულ კონტექსტში. კომენტარებში ტექსტიდან გამოტანილი და განმარტებული უნდა იყოს ყველა ფრაზა, რომელიც გაუგებარი იქნება მკითხველისთვის. ცნობილი ტექსტოლოგი ლამარა გვარამაძე თავის თეორიულ ნაშრომში აკადემიური გამოცემის კომენტარების შესახებ წერს: „რეალური კომენტარი კეთდება არა მხოლოდ მაშინ, როცა მკითხველს კითხვა უჩნდება ტექსტის კითხვისას, არამედ მაშინაც, თუ ეს კითხვა შეიძლება არ გაუჩნდეს, მაგრამ ტომის მომზადებელი ხედავს, რომ კონკრეტული განმარტების მიწოდების გარეშე იკარგება ტექსტის ან მისი ნაწილის აზრიცა და სურნელიც“ (გვარამაძე, 2006).

თანამედროვე ელექტრონული ბაზები და საძიებო სისტემები საშუალებას გვაძლევს, სამეცნიერო აპარატის ეს ნაწილი მაქსიმალურად მდიდარი და ამომწურავი გავხადოთ, მაგრამ აქაც ოქროს შუალედის დაჭერაა საჭირო – ფაქტს, რომელიც ტექსტიდანაც ცალსახად ჩანს, ან რომელსაც მკითხველი ისედაც მიხვდება, კომენტარი არ სჭირდება, სხვა მხრივ კი, ტექსტში ნახსენებ ნებისმიერ ისტორიულ რეალიას, პირსა თუ მოვლენას, რისი დაზუსტებაც აუცილებელია კონტექსტის სრულყოფილი აღქმისათვის, რეალური კომენტარი უნდა ჰქონდეს.

სახელმძღვანელოში „ქართული ტექსტოლოგია“ მოხმობილია სიტყვები ალექსანდრე მოროზოვის სტატიიდან „კომენტარები, რომლებიც არაფერს არ გვიხსნიან“: „მოჩვენებითი ზრუნვა გამოგონებული მკითხველის საერთო განათლებაზე, მკითხველისა, რომელიც კომენტატორს ახალშობილ ყრმად ესახება, ქმნის კომენტარის ფორმალურ სახეს, სინამდვილეში კი ხელს უწყობს ტექსტის ძნელი ადგილების საქმიანი ახსნისაგან თავის დაძვრენას“ (იქვე: 311).

რეალური კომენტარებისთვის თავის არიდება და ანოტაციების გადატანა ცალკეული თხზულებების პასპორტებში ბევრად უფრო იოლი გზაა, ვიდრე ძნელად გასაგები ფრაზების განმარტება და ანოტირებული საძიებლის შედგენა. ასეთი იოლი გზები არ აკმაყოფილებს აკადემიური გამოცემის მოთხოვნებს. ასევე, „ტექსტის დაკვირვებული ანალიზის უგულებელყოფა და სწრაფვა ენციკლოპედიდან მზა ცნობების ამოკრეფისაკენ სერიოზულ, მეცნიერულ სახეს უკარგავს გამოცემას“ (იქვე).

გამოცემაში არ უნდა იყოს ისეთი კომენტარები, რომლებიც მკითხველს ტექსტის გაგებაში ვერ დაეხმარება და შეიძლება პირიქით, დააბნიოს კიდეც. ამსათან, უნდა აიხსნას მწერლის მიერ შეცვლილი სახით მოწოდებული ციტატები. კომენტარში უნდა მივუთითოთ როგორც ციტატის სწორი ფორმა, ისე მისი შეცვლის საფუძველი. კომენტარის ამოცანაა აგრეთვე ციტატების გახსნა. ეს ციტატები ხან პრჭყალებშია ჩასმული მწერლის მიერ ავტორის მითითებით, ხან ტექსტშია ჩართული და მისი ძირითადი ტექსტიდან გამოყოფა ზოგჯერ ჭირს.

მდიდარი და ამომწურავი კომენტარებით გამოირჩევა თამაზჯოლოგუას მიერ მომზადებულ და ახლახანს გამოცემული დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ტომები. ეს კომენტარები ნამდვილად დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველებს ტექსტების სრულყოფილად აღქმაში.

იმის საჩვენებლად, თუ რატომ არ უნდა ჩავანაცვლოთ კომენტარი ანოტაციით, წარმოვადგენთ მაგალითს აღნიშნული გამოცემის || ტომიდან. სტატიაში „პასუხი ილია ჭავჭავაძეს“ ვკითხულობთ: „იქაურმა მმართველობის მოხელეებმა და სხვებზედ უფრო მეტად ერთმა ვინმე ბ. ბოროზდინმა, ისეთი წინააღმდეგობა გამინიეს, რომ საქმემ მიაწია კავკასიის კომიტეტის განხილვამდე.“ ამ პასაუზის კომენტირებისას, თამაზ ჯოლოგუას კორწელი ბოროზდინის ბიოგრაფიული მონაცემები რომ ჩაეწერა კომენტარის ნაცვლად და არაფერი ეთქვა იმაზე, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს ეს პიროვნება და რა კავშირში იყო საუბრის თემასთან, სამეცნიერო აპარატი მკითხველს ამ ეპიზოდის სრულყოფილად

აღქმაში ვერ დაეხმარებოდა. ამიტომ, მასალის სისრულესთან და ავთენტურობის მაქსიმალურ დაცვასთან ერთად, აკადემიური გამოცემა კომენტარების სიმძიდრითაც უნდა გამოირჩეოდეს.

ასე რომ, სრულყოფილი აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად, ადეკვატური საგამომცემლო კონცეფციის შემუშავების გარდა, საჭიროა მისი პროფესიულად შესრულება ტექსტოლოგთა მიერ. აკადემიური გამოცემის მომზადებაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ მეცნიერები, რომლებიც კარგად იცნობენ გამოსაცემი მწერლის შემოქმედებას.

შენიშვნები: რუბრიკა „შენიშვნა“ ლაკონური უნდა იყოს ფორმით და მასში უნდა განიმარტოს ტექსტის ფაქტობრივი შეცდომების სწორებები ან ტექსტთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

აკაკი წერეთლის პირადი წერილებიდან ცნობილია, რომ მისი ლექსი „ქართლის სალამი“ ივანე კერესელიძემ ავტორისთვის ყოვლად მიუღებელი სწორებებით დაბეჭდა. მწერალი ისე იყო განრისხებული, რომ „ცისკართან“ თანამშრომლობის შეწყვეტას აპირებდა. ამ პუბლიკაციის გარდა, ლექსის სხვა წყარო არ არსებობს და ვერ გადავამოწმებთ, რა ცვლილებები შეიტანა მასში რედაქტორმა. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები მასთან ერთად გაგზავნილი მეორე ლექს – „ნავში“ შეტანილის მსგავსი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ მეტაფორულ ლექსს აშკარად ეტყობოდა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზეა დაწერილი. ნავი საქართველოს განასახიერებს, გემი კი – რუსეთს და ასეთი შინაარსი აქვს: ნავმა, რომელსაც საფრთხეს უქმნიდა ზღვის ძლიერი ტალღები, დიდ გემს სთხოვა მისი გამობმა, ამით დაიხსნა თავი ტალღებისაგან და ეგონა, რომ მოისვენა, მაგრამ ლექსი მთავრდებოდა სკეპტიკური განწყობით:

„მას შემდევ ვითომ აქვს მშვიდობა ნავს...“

გაძული არის გარეშე მტერი,

მოშორდა იმ ნავს, აღარსადა ჰყავს,

მაგრამ რაი, რომ თვით ის ხვამალდი

მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს.“

ივანე კერესელიძემ ორიოდე პრინციპული ცვლილებით ამ ლექსს სულ სხვა სათქმელი ათქმევინა. ეს მოხდა იმის ხარჯზე, რომ მან მთლიანად ამოიღო ბოლო ოთხი ხაზი და ზემოთ მოხმობილი ციტატის პირველი ტაქტიდან სიტყვა „ვითომ“ ამრიგად, გამოვიდა, რომ გემზე ჩამობმის შემდეგ ნავს აღარაფერი აწუხებს. ლექსის კერესელიძისეული ვარიანტი დამთავრდა სიტყვებით: „მისა შემდეგ აქვს მშვიდობაი ნავს / და მავნებელი აღარავინ ჰყავს“.

იმის გამო, რომ ლექსის „ქართლის სალამი“ ბოლო სტროფი რადიკალურად ენინააღმდეგება მის დანარჩენ ნაწილს; იმის გამო, რომ იცოდა, როგორ განარისხა ლექსების დამახინჯებამ აკაკი; იმის გამო, რომ ხელთ ჰქონდა ივანე კერესელიძის მიერ ზუსტად იმავე დროს გაგზავნილი ამ ლექსის დამახინჯების მაგალითი, პავლე ინგოროვამ, გორგაძემ, გურგენიძემ და არაერთმა სხვა მკვლევარმა მიიჩნიეს, რომ ბოლო სტროფი კერესელიძის ჩამატებულია, ან რადიკალურად შეცვლილი. ასეთი „საეჭვო“ ტექსტები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იბეჭდებოდეს ავტორის რჩეულებსა და სახელმძღვანელოებში, მაგრამ აკადემიური გამოცემა მათ გვერდს ვერ აუვლის. ისინი უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ ისე, რომ მკითხველს სრულად მიეწოდოს ინფორმაცია მათი არა-სანდოობის შესახებ. საქმე ის არის, საქმარისი იქნება თუ არა ამისათვის შენიშვნის გაკეთება სამეცნიერო აპარატში. ტექსტში არსებულ მსგავს ფაქტობრივ შეცდომებზე გაკეთებული მითითების ადგილის შესახებ ლამარა გვარამაძე აღნიშნავს: „უბრალო, რიგითი მკითხველი, არასპეციალისტი, კითხულობს ნაწარმოებს, ხოლო მისი საცნობარო აპარატით ხშირად არ ინტერესდება. ეს ნიშნავს, რომ ტექსტოლოგის მიერ კომენტარში ჩასწორებული ფაქტობრივი შეცდომა მკითხველის ყურადღების მიღმა რჩება. ამ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია ასეთი სწორების მოთავსება იმავე გვერდზე, სადაც დაფიქსირდა ეს შეცდომა, შენიშვნის სახით“ (გვარამაძე, 2006: 311-312).

სავსებით ვიზიარებთ ამ აზრს და ვფიქრობთ, რომ ანალოგიურ შემთხვევებში, ტექსტთანვე უნდა გაკეთდეს შენიშვნა ან საეჭვო

ტექსტი კვადრატულ ფორმით მაინც ჩაისვას, რათა მკითხველი მიხვდეს, რომ მისი ავტორისეულობა საეჭვოა და ამ ეჭვების გადასამოწმებლად სამეცნიერო აპარატში ჩაიხედოს.

საძიებლები: „ტექსტოლოგიის“ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ანოტირებული სახელთა საძიებელი ათავისუფლებს საცნობარო აპარატს ზედმეტი მინიშნებისგან, როცა ერთხელ უკვე განმარტებული პიროვნების ყოველი ახალი მოხსენიების გამორედაქტორი იძულებულია მიუთითოს პირველადი კომენტარის გვერდი და მრავალგზის გაიმეოროს: – „იხ. კომენტარი, გვ.“ და ა. შ. ამის ნიმუშად ლამარა გვარამაძეს მოჰყავს აკ. წერეთლის თხზულებათა 15-ტომეული, რომელსაც, მისი თქმით, „აკადემიური გამოცემის პრეტენზია ჰქონდა“, მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს: „აქ, განსაკუთრებით პუბლიცისტური წერილების ტომებში, საკომენტარო მასალა ან მითითება მის შესახებ მრავალგზისაა განმეორებული სწორედ იმის გამო, რომ არაა გამოყენებულ ანოტირებული სახელთა საძიებელი, რომელიც პირწმინდად გაცხრილავდა ამ განმეორებებს“ (იქვე: 276). იქვე მეცნიერი აღნიშნავს, რომ „... ანოტირებული სახელთა საძიებელი ძალზე სასურველი და ტექსტის მეცნიერული მომზადების მაღალი დონის მიმანიშნებელია“, შემდეგ კი, აკაკი წერეთლის თხზულებათა მეთხუთმეტე ტომზე საუბრისას კვლავ იმეორებს: „მიუხედავად იმისა, რომ წერილები აქ ადრესატების მიხედვითაა დალაგებული, თითქმის ყოველი წერილის კომენტარში მაინც ვხვდებით ორ და მეტ მინიშნებას: „იხ.... წერილის კომენტარები.“ სწორედ ამის თავიდან აცილებაა მიჩნეული ანოტირებულ სახელთა საძიებლის დიდ ღირსებად, რომ ნაცვლად ერთსა და იმავე პიროვნებაზე მოყვანილი ცნობების განმეორებისა და მრავალრიცხოვანი მინიშნებებისა, მკითხველის ყურადღებას მივმართავთ ერთგზის მოყვანილი, კომპაქტური და ამომწურავი განმარტებისაკენ.“ ამას გარდა, იგი აღნიშნავს, რომ „რუსულ ტექსტოლოგიაში დიდი ხანია აღარ ინვესტიციების დავას ანოტირებული სახელთა საძიებლის უპირატესობის საკითხი.„ „ნარსული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული,

მრავალტომეულის მზადებისას ანოტირებულ სახელთა საძიებელს უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით პუბლიცისტური და ეპისტოლარული ტექსტების მომცველ ტომეულებში“ (იქვე).

აკადემიურ გამოცემას სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს. მისი რომელიმე ტომის ორგანიზებაში პრინციპული ხასიათის ცვლილებების შეტანა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ გამოცემაზე მომუშავე ჯგუფის მიერ მისი განხილვის, საფუძვლიანი არგუმენტირებისა და რედკოლეგის მიერ ასეთი ცვლილების საჭიროდ ცნობის შედეგად და არა ერთი ან ორი ადამიანის ნებით.

ანბანური საძიებლის ფუნქციაა, რომ მკითხველს დაეხმაროს მისთვის საინტერესო ნაწარმოების იოლად პოვნაში და ძალიან კარგი მოსახმარია, თუ ნაწარმოებს არა აქვს ვარიანტული სათაური, ან აქვს და ვიცით, რომელი მათგანია გატანილი გამოცემის ძირითად წყაროდ. იმისათვის, რომ ეს საძიებელი რიგითი მკითხველისთვისაც და მეცნიერისთვისაც ბევრად უფრო კარგი მოსახმარი და ინფორმაციული გავხადოთ, სასურველია, რომ მასში სრულად იყოს ნარმოდენილი ტომში შემავალი ტექსტების ყველა ალტერნატიული სათაური და გვერდით მითითებული ჰქონდეს ძირითად ტექსტში გატანილი ვარიანტი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტი საზოგადოებისათვის ცნობილია არა იმ სათაურით, რომელიც აქვს მას აკადემიური გამოცემის ძირითად ტექსტში, არამედ განსხვავებულით. ასეთია, მაგალითად ქართველი მკითხველისთვის აკაკი წერეთლის რჩეულებიდან და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებიდან კარგად ცნობილი ლექსი „ჩანგური“ („მეჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს...“), რომელიც აკადემიურ გამოცემაში დაბეჭდილია სათაურით „ვარდის ხმაზედ“, „მთვარე“ – სათაურით „სიმღერა“, „სნეული“ – სათაურით „ავადმყოფი“ და სხვ.

საგამომცემლო გადაწყვეტილებებისა და კრიტიკული აპარატის მოხმარების წესების შესახებ მკითხველს ნათლად უნდა განემარტოს სამეცნიერო აპარატის სპეციალურ ნაწილში, რომელ-

საც ინგლისურენოვან ლიტერატურაში „ტექსტური ესე“ ჰქვია, ჩვენთან კი – „ტექსტისათვის“. გამოცემაში მას, ჩვეულებრივ, ცალკე ნაწილად გამოყოფენ, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ეს ინფორმაცია წარმოვადგინოთ უფრო დანაწილებული სახით (სხვადასხვა ადგილთან ინტეგრირებულად).

„ტექსტისათვის“, ზოგადად, რამდენიმე მოცემულობას მოიცავს – ტექსტის ისტორიასა და მის ფიზიკურ ფორმებს, იმის ახსნას, თუ როგორ აიგო გამოცემა, ან როგორ არის წარმოდგენილი, დასაბუთებულ განმარტებას ტექსტოლოგიური თუ საგამომცემლო კონცეფციის შესახებ. გარდა ამისა, აკადემიური გამოცემის რედაქტორი ან შემდგენელი აღნერს ავთენტურ თუ მნიშვნელოვან ტექსტებს და განიხილავს ტექსტის ვერბალურ შედგენილობას – მის პუნქტუაციას, ორთოგრაფიას, სხვა ძირითად ნიშნებს, ასევე, სადაც საჭიროა – მაკეტს, გრაფიკულ ელემენტებს, წყაროების ფიზიკურ აღნერილობას. ციფრული ეპოქის პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნები, რომ რედაქტორები მაქსიმალურად იცნობდნენ ამ მიდგომების დიაპაზონს, სტანდარტებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს გამოცემას.

აკადემიური გამოცემის მომზადებისას განსაკუთრებულია რედაქტორის როლი, რომელმაც თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. გამოცემაში შესული ტექსტური მასალისა და სამეცნიერო პარატის სრული გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით, რედაქტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა:

მედიუმი (ანუ მედია), რომელიც გამოცემა იძექდება: გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა დაიბეჭდოს მასალა – ბეჭდურად, ელექტრონულად, თუ ორივე ფორმატით, გავლენა აქვს საგამომცემლო ასპექტების წყებაზე, გამოცემისა და რედაქტორის წარმატებაზე. ქვემოთ მოცემულია ძირითადი კითხვები, რომელიც რედაქტორმა უნდა გაითვალისწინოს პუბლიკაციის მედიუმის ამორჩევის დროს.

ა) რა მასალასთან გვაქვს საქმე: ხელნაწერთან, ნაბეჭდ ვერსიასთან, ელექტრონულთან თუ ფორმატთან ნარევთან?

ბ) რომელია სასურველი ან პოტენციური აუდიტორია გამოცემისთვის? ხომ არ გვაქვს ერთზე მეტი აუდიტორია? რომელი აუდიტორიისთვის რომელი მედიუმი იქნება უფრო ეფექტური?

გ) რა უფლებები და ნებართვებია საჭირო პუბლიკაციისთვის და ახდენს თუ არა ეს გავლენას მედიუმზე?

დ) არის სტრანდარტული სიმბოლოები ან მეთოდები მოცემულ მედიუმში ტიპოგრაფიის, პუნქტუაციის, ან გამოსაცემი მასალის სხვა ტექსტური მახასიათებლების წარმოდგენისთვის (მაგ., ‘Pierce’-ის სიმბოლოები, ‘Shelley’-ის პუნქტუაცია, ასოების ზომის პრობლემები, ინტერვალის პრობლემები და სხვ.)?

ე) რა მნიშვნელობას შეიძენს ფაქსიმილე მასალის, ფერადი რეპროდუქციების, მრავალი ვერსიისა თუ განმარტების, ინტერაქციული ინსტრუმენტების ჩართვა გამოცემაში? მუშაობა ორიგინალებთან უკიდურესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგიერთი ფოტოგრაფიული, დიგიტალური რეპროდუქცია შეიძლება აღარ იყოს ხილვადი შეუიარაღებელი თვალისთვის, საუკეთესო შუქზეც კი. თუ მკაფიობა ხელმისაწვდომია ფოტოგრაფიული თუ დიგიტალური პროცესის საშუალებით, ეს ფაქტი ნათლად უნდა განემარტოს მკითხველს.

ვ) რამდენად მნიშვნელოვანია გამოცემის რეცენზირება და, თუ მნიშვნელოვანია, როგორ იქნება ის შემოთავაზებული?

ძირითადი მასალა, პროცედურები და პირობები:

მასალა: რედაქტორმა საგანგებოდ უნდა შეამოწმოს, ხომ არ გამორჩა რომელიმე მნიშვნელოვანი პირველადი ან მეორადი მასალა.

სტემა: უნდა ახსნას ყველა შესაბამისი ტექსტის ურთიერთ-მიმართება. შეამოწმოს გენეალოგიის, სტემისა და შესაბამისი ტექსტების შესახებ სხვა თვალსაზრისების საფუძვლიანობა და თავისი კვლევის შედეგები ჩართოს გამოცემაში.

ტრანსკრიფცია: უნდა გადაისინჯოს, არის თუ არა ყველა ტრანსკრიფცია სრულად შედარებული ორიგინალურ დოკუმენტებთან. თუ ასე არ არის, გამოცემაში მკითხველს უნდა განემარტოს ამ ფაქტის შესახებ. რედაქტორი უნდა დაინტერესდეს, ვინმე

სხვამ კიდევ ხომ არ განახორციელა თითოეული ტრანსკრიფციის სრულყოფილი შემოწმება ან ორიგინალთან, ან ორიგინალის ფოტოპირთან. შეიძლება ნიმუშად ამონიჩეს ტრანსკრიფციები სიზუსტის მიხედვით და შედეგები ჩაერთოს გამოცემაში.

ა). პრინციპები და მეთოდები: მრავალტომეული გამოცემის თითოეული ტომის პრეამბულაში მოცემული უნდა იყოს საგა-მომცემლო პრინციპებისა და პრაქტიკული მეთოდების ნათელი, დამაჯერებელი და სრულყოფილი ახსნა, „ტექსტისათვის“ უნდა გვთავაზობდეს გონივრულ განმარტებას ასლი-ტექსტის ან საყრდენი ტექსტის ამორჩევის შესახებ, რაც ასევე გულისხმობს იმის დასაბუ-თობასაც, რატომ იქნა უარყოფილი სხვა ასლები. თუ არსებობს ტე-ქსტური ფორმები, ფრაგმენტები, რომლებიც უსწრებს ასლ-ტექსტს, ან საყრდენ ტექსტს, უნდა აიხსნას, შეიძლება თუ არა მათი აღდგენა.

ბ). ჰუბლიკაციის ისტორია და ფიზიკური აღწერა: გამოცემა უნდა წარმოგვიდგენდეს ტომის შედგენილობისა და ტექსტური მასალის, ასევე ჰუბლიკაციის ადეკვატურ ისტორიას. ის უნდა შეიცავდეს ხელნაწერების, აგრეთვე ფოტოგრაფიული თუ ცი-ფრული რეპროდუქციების, კონკრეტული ასლების (არსებობის შემთხვევაში) ფიზიკურ თუ შინაარსობრივ აღწერილობებს.

გ). ცვლილებები ტექსტში: აკადემიურ გამოცემაში ნათლად და დეტალურად უნდა იყოს განმარტებული ის ცვლილებები, რომლებიც ტექსტში განხორციელდა ავტორების, გადამწერების, შემდგენლების და ა. შ. მიერ.

დ). ტექსტის შესწორება: ასლი-ტექსტის, ან საყრდენი ტექსტის შესწორების შესახებ მოცემული უნდა იყოს ნათელი და დამაჯე-რებელი დასაბუთება. თუ მართლწერისა და პუნქტუაციის მოხმა-რების ავტორისეული ჩვევები გამოიყენება, როგორც საფუძველი გარკვეული შესწორებებისთვის, შეიძლება შედგეს ამ გამოყენების რეალური ჩამონაწერი მოცემული ტექსტიდან და ამავე ავტორის სხვა ტექსტებიდან. ასეთ შემთხვევებში მაგალითების მოხმობაც შეიძლება საკმარისი იყოს.

ე). ილუსტრაციები და ტიპოგრაფია: აკადემიურ გამოცემაში

მოცემული უნდა იყოს ახსნა-განმარტებები ილუსტრაციების შესახებ, ასევე მნიშვნელოვანი ვიზუალური თუ გრაფიკული ას-პექტები ასლი-ტექსტისა თუ საყრდენი ტექსტის შესახებ. უნდა აიხსნას, ყველა ილუსტრაცია, რაც ხელნაწერში, ნაბეჭდ ასლ-ტე-ქსტსა თუ საყრდენ ტექსტშია მოცემული, წარმოდგენილია თუ არა გამოცემულ ტექსტში. თუ არ არის წარმოდგენილი, მაშინ ისინი ნათლად უნდა აღინიშნოს. თუ ყდები, შემოკერვები ან გრა-ფიკული ელემენტები ჩართულია გამოცემაში, რეპროდუქციის სტანდარტები – ზომები, ფერი, რეზოლუცია – დაცული უნდა იყოს და ახსნილი.

ვ). აპარატი და ექსტრატექსტური მასალა: **შეჯერების (კოლაცი-ის) ბუნება:** აკადემიური გამოცემის რედაქტორმა ან რედკოლე-გიამ გულდასმით უნდა შეამოწმოს, შესრულდა თუ არა სრული შეჯერება. ხომ არ აკლია ვარიანტების რომელიმე კატეგორია, რომელზეც ის ფიქრობს, რომ უნდა ყოფილიყო ჩართული, ან თუ შეიცავს ისეთ კატეგორიას, რომელზეც ის ფიქრობს, რომ არ უნდა ყოფილიყო შეტანილი. გამოსაქვეყნებლად შერჩეული ის-ტორიული კოლაციის შედეგები აკურატული და თანმიმდევრული უნდა იყოს და მოცემული უნდა იყოს ნათელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება შერჩევითი ისტორიული კოლაციის შესახებ.

ზ). ორცნებიანი ტექსტური ფორმები: რედაქტორმა გადაწყვე-ტილება უნდა მიიღოს ტექსტის ორთოგრაფიულ მხარესთან დაკა-ვშირებით. მან შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს, მაგ., ორცნებიანი, დეფისისანი სიტყვების (როგორიცაა, თვალ-წარბი, მთა-ბარი, და-ძმა და ა. შ.) დაწერილობა ასლ-ტექსტსა თუ საყრდენ ტექსტში შეასწოროს, რათა მიჰყვეს ავტორის ცნობილ ჩვევას ან ზოგიერთ ნორმირებულ სტანდარტს. შეიძლება ისინი ხელუხლებლადაც დატოვოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მკითხველმა უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია საგამომცემლო გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთების შესახებ.

თ). ტექსტური აპარატი: სამეცნიერო აპარატი უნდა შეიცა-ვდეს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. მასზე დაყრდნობით

შესაძლებელი უნდა იყოს შედგენის, ან/და რევიზიის ისტორიის, ან/და ბეჭდვის ისტორიის გაცნობა. ცალკეული ნაწილების (ან საძიებლების) მიზანი აპარატში ნათლად უნდა იყოს ახსნილი.

ციტირებები: შესავალი და კონცეფციის პრეამბულა სწორად უნდა იყოს მორგებული გამოცემაზე. დამოწმების მიზნით მათში ტექსტიდან თუ სხვა ლიტერატურიდან მოხმობილი მასალა აკუ-რატულად უნდა იყოს ციტირებული.

განმარტებითი შენიშვნები: განმარტებითი შენიშვნები შესა-ბამისი უნდა იყოს გამოცემის სახეობისთვის. ჩვენ მიერ მომზა-დებულ აკადემიურ გამოცემებში შენიშვნების რუპრიკაში, მაგ., ავსახავთ კალმისმიერ ლაფსუსებს, ავტოგრაფში ავტორის ჩამა-ტებებსა თუ წაშლილ ადგილებს და ა. შ.

ნებართვები: რედაქტორს მოპოვებული უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ნებართვა იმისათვის, რომ დაბეჭდოს საავტორო უფლე-ბით დაცული მასალა.

კორექტურის კითხვა: სასურველია, სიზუსტის შენარჩუნების-თვის, საბოლოო პასუხისმგებლობა მთელი წარმოების პროცესზე ერთმა ადამიანმა აიღოს. კორექტურის მეთოდები, რაოდენობა და ეტაპები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ უზრუნველყოს სიზუსტის მაღალი დონე დაბეჭდილ გამოცემაში. როდესაც კორე-ქტურის ახალი ეტაპი განიხილება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ტექსტის სხვა ნაწილები არ დამახინჯდება. მაგ., აკადემიურად მომზადებული ტომის კორექტურა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირველი კორექტურა ეხება გამოსაცემ ტექსტებს. მისი დაკაბა-დონების შემდეგ ის კიდევ უნდა გადაიხედოს თავიდან ბოლომდე, რათა გამომცემელი დარწმუნდეს, რომ დაკაბადონებამ არ დაარღ-ვია ტექსტების განაწილების პრინციპი, ან სიტყვათა გადატანის წესები, რაც ხშირად ხდება ხოლმე. როცა დაკაბადონებული ტექს-ტები საბოლოო სახეს მიიღებს, ის აუცილებლად უნდა გადავიდეს pdf ფორმატში. ეს იმ აუცილებლობით არის ნაკარნახევი, რომ კომენტარებს, საძიებლებსა და სალექსიკონო ერთეულებს ამის მიხედვით აღენიშნებათ გვერდები და სტრიქონები. სამეცნიერო

აპარატი მხოლოდ მას შემდეგ კაბადონდება, რაც თითოეულ შემა-დგენელ ნაწილში გვერდებსა და სტრიქონებს დავაფიქსირებთ. ამის შემდეგ კორექტურა ჩაუტარდება დაკაბადონებულ სამეცნიერო აპარატს, რისი მომდევნო ეტაპიც არის ტექსტების, სამეცნიერო აპარატისა და სარჩევის ერთმანეთთან შეჯერება, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სახის შეუსაბამობა.

§2. აკადემიური გამოცემების სარედაქციო სტრატეგიასთან დაკავშირებული პრობლემები

რამდენადაც საქართველოში ტერმინი „გამოცემათმცოდნეობა“ ('Editorial Studies') ახალდამკვიდრებულია, ზოგჯერ უძნელდებათ მისი და „საგამომცემლო საქმის“ ('Publishing') ერთმანეთისაგან გამიჯნვა. ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც „ბეჭდვითი ნაწარმოებების გამოცემასთან დაკავშირებული ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების ერთობლიობა“ (საბიბლიოთეკო ტერმინთა ლექსიკონი). იგულისხმება: მასალის შერჩევა, ახალი ავტორების მოძიება და მათთან მუშაობა, ტექსტის კორექტირება, დაკაბადონება, ილუსტრირება, მარკეტინგი და სხვ. გამოცემათმცოდნეობა არ არის არც სარედაქციო საქმის ერთ-ერთი კონკრეტული მიმართულების – აკადემიური ბეჭდვის ('Academic publishing') შესატყვისი, რომლის ამოცანაა აკადემიური კვლევებისა და სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია. გამოცემათმცოდნეობა ემსახურება არა მეცნიერული ტექსტის გამოცემას, არამედ ტექსტის მეცნიერულად, აკადემიურად გამოცემას, თავად ტექსტი კი შეიძლება ნებისმიერ ჟანრს მიეკუთვნებოდეს და იყოს მხატვრული ნაწარმოებიც და დოკუმენტურიც, პოეტურიც და პრიზაულიც. აკადემიურად შეიძლება გამოიცეს მუსიკალური ნოტებიც კი. რამდენადაც ვახსენეთ „აკადემიურად გამოცემა“, ბუნებრივია, ეს გულისხმობს გარკვეული აკადემიური პრინციპების გათვალისწინებას და კვლევებს მათი საუკეთესოდ ხორციშესხმისათვის.

გამოცემათმცოდნის კომპეტენციაში შედის ის ფუნქციები, რომლებსაც ასრულებენ აკადემიური გამოცემების რედაქტორები და რედაკტორები. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოში დამკვიდრდა არასწორი პრაქტიკა – რედაკტორების შედგენა სახელოვანი ადამიანებით, რომლებიც გამოსაქვეყნებელი მასალის სპეციფიკასა და რედაქტირებასთან დაკავშირებულ თავიანთ მოვალეობებში ნაკლებად ერკვეოდნენ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის რედაკტორების შედიოდა 29 ადამიანი. მწერლების, ენათმეცნიერებისა და ისტორიკოსების გვერდით, იყვნენ: სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერები (ფიზიკის ალბერტ თავხელიძე, ასტრონომი ევგენი ხარაძე, არქიტექტორი ნოდარ ჯანბერიძე), იმხანად საქართველოს სარ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზია, საქართველოს განათლების მინისტრი გურამ ენუქიძე და სხვ.

რედაკტორების ასეთი შედგენილობის გამო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის იმუამინდელი თანამშრომლები, რომლებიც აკადემიურ გამოცემას ამზადებდნენ, სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი მათ წინაშე მდგარი პრობლემური საკითხების ამ რედაკტორების მიერ განხილვისადმი. კომუნიკაციის არარსებობა რედაკტორებისა და მასალაზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფს შორის უარყოფითად აისახა გამოცემაზეც. ტომების მომზადებლებისა და რედაკტორების სხვადასხვაგვარ პოზიციებზე მიგვანიშნებს ოცტომეულის პირველი ტომისთვის მისი მომზადებლის დაუინებული მოთხოვნის შედეგად რედაქტორის მიერ დართული შენიშვნა: „ჩვენი გამოცემის სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისი ი. ჭავჭავაძის რიგ პოეტურ ნაწარმოებთა დათარიღების თაობაზე არ თანხვდება ტომის შემდეგენლის – რ. კუსრაშვილის შეხედულებებს“ (კუსრაშვილი, 1982: N2). ტომში წარმოდგენილი დათარიღებანი გამოხატავს რედაკტორების თვალსაზრისს (ჭავჭავაძე, 1987: 323). აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ იმას, თუ რა თვალსაზრისზე იდგა ან ერთი, ან მეორე მხარე, მაგრამ რა პოზიცია და არგუმენტები უნდა ჰქო-

ნოდა რედკოლეგიას, რომელიც ზემოხსენებული პრინციპით იყო
დაკომპლექტებული?

სამწუხაოდ, დღესაც არაერთგზის ვხვდებით რედკოლეგიის
მიკერძოებულად დაკომპლექტების შემთხვევებს: გამოცდილი და
პრინციპული რედაქტორების ნაცვლად ისეთებს ირჩევენ, რომლე-
ბიც წიგნს არ წაიკითხავენ და ზედმეტ პრობლემებს არ შეუქმნიან
ტომის მომზადებლებს მასში სწორებების შეტანის მოთხოვნით.
სქელი ყდითა და წარწერით – „აკადემიური“ არაერთი ასეთი ტომია
გამოცემული და ამის მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში არავითარი
კონტროლი და რეგულაციები არ არსებობს ამის მოსაწესრიგებლად.

ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ თითოეულ წიგნს ან მრავალტო-
მეულის თითოეულ ტომს წინასწარვე ჰყავდეს შერჩეული რედაქტორი
და იგი იმთავითვე იყოს ჩართული წიგნის მომზადების პროცესში,
კერძოდ, თვალს ადევნებდეს, რამდენად შეესაბამება შემუშავებული
საგამომცემლო კონცეფცია გამოსაქვეყნებელი მასალის სპეციფიკას
და ხომ არ არის საჭირო სტრატეგიის მოდიფიცირება. სარედაქციო
საბჭოს ან რედაქტორს კარგად უნდა ესმოდეთ თავიანთი მოვალეო-
ბები და არჩევდნენ საუკეთესო, აკადემიურ ფორმატს გამოსაცემი
მასალის მკითხველამდე მისატანად. საგამომცემლო პროგრამის
მიმართულება, რომელიც ასეთ ცოდნას მისცემდა და ასეთ უნარებს
გამოუმუშავებდა სტუდენტებს, დღემდე არ არსებობდა საქართვე-
ლოში. ვფიქრობთ, „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“
სადოქტორო პროგრამა ხელს შეუწყობს ამ ხარვეზის შევსებას და
საკითხისადმი პროფესიული მიდგომის დაკვიდრებას.

§3. საგამომცემლო კონცეფცია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა გამოცემების მაგალითზე

წინამდებარე პარაგრაფში მიმოვიხილავთ საგამომცემლო კონ-
ცეფციას XX საუკუნის უდიდესი პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის
თხზულებათა გამოცემების შუქზე, რომლებიც განხორციელდა

როგორც XX, ისე XXI საუკუნის დასაწყისში და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართულ საგამომცემლო პოლიტიკასა და სტრატეგიაზე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქებში.

გალაკტიონ ტაბიძემ XX საუკუნეში ეროვნული და მსოფლიო მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილების სინთეზის გზით შექმნა უნივერსალური პოეტური სამყარო, ხოლო, როგორც ნოვატორ-მა და რეფორმატორმა, სათავე დაუდო თვისობრივად ახალ პოეტურ აზროვნებასა და ენას, ახალ ქართულ ლექსს. სწორედ ამიტომ, გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ გასული საუკუნისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების მართებული გააზრება, არამედ, ზოგადად, ქართული სიტყვიერი კულტურის (ტექსტის) ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე წაკითხვა.

თავის მხრივ, კლასიკოსი მწერლის შემოქმედების სიღრმი-სეული წვდომა შეუძლებელია მისი თხზულებების აკადემიური გამოცემის გარეშე, რომელშიც აისახება წინარე თაობათა ცოდნა და გამოცდილებაც და მეცნიერების შესაბამისი სფეროს თანამე-დროვე მდგომარეობა და დონეც.

გალაკტიონის პირველი პოეტური ნაწარმოებები 1908 წელს გამოქვეყნდა, პირველი კრებული კი – 1914 წელს. პოეტმა სიცოცხლეში განახორციელა ცამეტი კრებულის, ოთხი რჩეულისა და თხზულებათა რვატომეულის გამოცემა; 1950-იანი წლების II ნახევრიდან რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი, რომ მომზადებულიყო მისი თხზულებების აკადემიური გამოცემა. ის ხშირად სტუმრობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს და, როგორც რ. კუსრაშვილი იხსენებს, გალაკტიონის „სანუკვარი ოცნება იყო, ერთად თავმოყრილი ენახა თავისი პოეზიის ტომეულები. ერთი სული ჰქონდა, ჩქარა დაგვეწყო მუშაობა მის შემოქმედებაზე. თავად დიდ დახმარებასაც გვპირდებოდა“ (კუსრაშვილი, 2002: 212).

გალაკტიონის 1956-1957 წლების უბის წიგნაკებში არაერთი ჩანაწერია, რომლებიც ამ მოგონებას ადასტურებს და გვარწმუ-

ნებს, თუ როგორ ჩქარობდა პოეტი მეცნიერთა მიერ მისი თხზულებების აკადემიურ გამოცემაზე მუშაობის დაწყებას:

„შევუდგეთ აკადემიური გამოცემის ამბავს“.

„აკადემიური გამოცემის შესახებ: 1. წინასწარ დავათვალიერეთ ტექსტოლოგიის მომუშავეთა ოთახები. მეუბნებიან: დავამთავრებთ აკავისა და ილიას ტომების გამოცემას და შემდეგ შევუდგებითო (ამ კარადებში) დავალაგებთ შენს ნაწერებს აკადემიური გამოცემისათვისო.“

„ვიყავი აკადემიაში – შევატანინე წინადადება მუზეუმის შესახებ. გეგმაში შეაქვთ: აკადემიური გამოცემა.“

„დიმიტრი ბენაშვილი ხელმძღვანელობს ჩემს | ტ. აკადემიურ გამოცემას. თუ?“

„აკადემიური გამოცემის პრობლემა.“

„ქრონიკა აკადემიური გამომცემლობის შესახებ... სრული აკადემიური კრებული.“

აკადემიური გამოცემისა და არა აკადემიურის გამოცემის ყველა მასალები დაგროვდება აქ...“

სამწუხაროდ, გალაკტიონის სიცოცხლეში აკადემიური გამოცემის მომზადების პროცესის დაწყება ვერ მოხერხდა. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი არქივის ძირითადი ნაწილი გადაეცალიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს. დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება აკადემიურ თორმეტტომულზე მუშაობა.

როგორც ცნობილია, გალაკტიონ ტაბიძის არქივი მასალის სიუხვით აღემატება ყველა სხვა მწერლის არქივს, რაც, თავის მხრივ, სირთულედ იქცა აკადემიური გამოცემის მომზადებისას: „ლიტერატურის მუზეუმში მისულთ, როდესაც გალაკტიონის არქივი გვაჩვენეს, საოცარი სურათი წარმოგვიდგა – მთელი მასალა უწესრიგოდ ეყარა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ტომრებში და ყუთებში. ერთმანეთში არეული იყო ლექსები, მათი ნაწილები, ცალ-ცალკე გვერდები, ჩანაწერები...“ (იქვე).

ამ არქივის ნებადართული ნაწილის დამუშავებით, გალაკტიონის თხზულებათა გამოცემების შესწავლითა და პერიოდუ-

ლი პრესის მონაცემთა გათვალისწინებით, პოეტის აკადემიურ თორმეტტომეულზე მუშაობა გაგრძელდა და 1966-1972 წლებში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების მიერ მომზადებული გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეული გამოქვეყნდა. I-VII ტომები მოიცავს ლექსებს, VIII-XI – პოემებს, ხოლო XII ტომში შეტანილია ლიტერატურული წერილები, მიმოწერა, დღიურები და სხვადასხვა სახის ჩანაწერები.

თორმეტტომეულზე მუშაობდნენ: ი. ლორთქიფანიძე, ც. კალაძე, ც. ყიფშიძე, ლ. სანაძე, ლ. მეგრელიშვილი, რ. კუსრაშვილი, ე. შარაშენიძე, ლ. ჭრელაშვილი, მ. ჭყონია და სხვები.

ალნიშნული აკადემიური გამოცემა რომ სრულად არ ასახავდა პოეტის შემოქმედების სურათს, ეს I ტომის წინათქმაშივე მიუთითა ითხებ ლორთქიფანიძემ: „გ. ტაბიძის არქივი ჯერ საბოლოოდ მოწესრიგებული არ არის. მოსალოდნელია, პოეტის ნაწერები კი-დევ აღმოჩნდეს როგორც არქივში, ისე კერძო პირთა ხელში. ყოველივე ამის გამო წინამდებარე თხზულებათა აკადემიურ გამოცემას აპსოლუტური სისრულის პრეტეზზია არა აქვს“ (ტაბიძე, 1966: 8).

ის, რომ თორმეტტომეულში თხზულებათა მითითებული და ასახული ვარიანტები არასრულია, ათწლეულების შემდეგ აკადემიური გამოცემის ერთ-ერთმა მომმზადებელმა ასე ახსნა: „გალაკტიონის არქივზე (და შემდეგ, ტომებზე) მუშაობა ადვილი არ იყო, როგორც ზოგს ეგონა და ახლაც ჰყონია. ჩვენმა დიდმა მონდომებამ და ენთუზიაზმა, ავად თუ კარგად, დაძლია ეს ურთულესი საქმე. ახდა დიდი პოეტის ოცნება – მკითხველთა ფართო საზოგადოებამ მიიღო მის თხზულებათა აკადემიური გამოცემა. **თუმცა რაღა აკადემიური ეთქმოდა, იმდენი მასალა ამოიღო საბჭოთა ცენზურამ აკადემიურად მომზადებული ტომებიდან**“ (კუსრაშვილი, 2002: 214).

როგორც ოდნავ მოგვიანებით გაირკვა, მხოლოდ ეს არ ყოფილა გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური გამოცემისთვის დამახასიათებელი ძირითადი ხარვეზები. თხზულებათა თორმეტტომეულის გამოქვეყნებას არაერთი გამოხმაურება, რეცენზია და კრიტიკული წერილი მოჰყვა. 1966 წელს ურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა შალვა

ალხაზიშვილის სტატია „უმეცრება თუ დაუდევრობა?“ ავტორი აღნიშნავს, რომ კომენტარები და შენიშვნები, რომლებიც ახლავს აკადემიურ თორმეტტომეულში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, „იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეტად დაბალ დონეზეა შეს-რულებული“ (ალხაზიშვილი, 1966: 192). სტატიაში მოტანილი და განხილული მაგალითების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა: „კომენტარებში მრავალი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის შეცდომაა დაშვებული. მაგრამ თუ კომენტატორი ლიტერატურულ და ისტორიულ საკითხებში ძნელად ერკვევა, ხომ უნდა ერკ-ვეოდეს პოლიტიკურ ისტორიაში მაინც, მეტადრე უკანასკნელი დროის ისტორიაში. აქაც უნუგეშო მდგომარეობაა“ (იქვე).

1967 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ზაზა იამანიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა რევაზ თვარაძის სტატია „ლექსის ბეჭი“. ავტორი მიუთითებდა, რომ გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეულის სხვადასხვა ტომში დაბეჭდილი იყო ერთი და იგივე ლექსები, ოღონდ განსხვავებული სათაურით, უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთსა და იმავე ტომში ერთი ნაწარმოები ორჯერ ქვეყნდებოდა, ამჯერადაც სხვადასხვა სახელწოდებით. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე აჩენდა აზრს, რომ აკადემიური გამოცემის შემდგენლები ვერ ცნობდნენ პოეტის ნაწარმოებებს. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თორმეტტომეულის I და II ტომებში დაშვებულ შეცდომათა სიმრავლის გამო, მათი აღნუსხვა მომავლის საქმეა. წერილი ამ სიტყვებით სრულდება: „პოეტის (მით უმეტეს – გალაკტიონ ტაბიძის!) თხზულებათა გამოცემა თავმომაბეზრებელი და ილაჯგამწყვეტი საკანცელარიო სამუშაო კი არ უნდა იყოს მხოლოდ – ამ საქმის მტვირთველს უნდა ამაღლებდეს, გემოვნებას უხვეწდეს და პოეტური ნაწარმოების ესთეტიკურად მრავალგზის აღქმის ხალისს არ უკარგავდეს“ (იამანიძე, 1967).

გალაკტიონის თორმეტტომეულის გამოცემა 1975 წელს დასრულდა, თუმცა აკადემიური გამოცემის ხარვეზებზე საუბარი არ შეწყვეტილა. სამეცნიერო სტატიებიდან, რაოდენ უცნაურიც არ

უნდა იყოს, ამ მსჯელობამ იუმორისტული ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზეც გადაინაცვლა. 1983 წელს პოეტმა ტარიელ ჭანტურიამ ფსევდონიმით ტია-ტია გამოაქვეყნა შარქი სათაურით: „კომენტარები გაღარეს ტაბინის მე-13 ტომისათვის შედგენილი მე-12 ტომის კომენტატორთა მდიდარი გამოცდილების საფუძველზე“ (ტია-ტია, 1983), რომელიც პაროდირებული იყო გამოცემის კომენტარები.

გალაკტიონოლოგის თანამედროვე მიღწევებიდან გამომდინარე, აკადემიური თორმეტტომეული მეცნიერებმა ასე შეაფასეს: „გალაკტიონ ტაბინის არსებული აკადემიური გამოცემა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, 60-70-იანი წლების მიჯნაზე განხორციელდა, თავისი დროისათვის გარკვეული თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა მრავალი ნაკლი ახასიათებდა და მათ შორის უმთავრესი – ძირითადი ტექსტები კვლავაც კონიუნქტურის გათვალისწინებით შეარჩიეს, რაც უცვლელად ტოვებდა და განამტკიცებდა კიდევ ოფიციალურ ვერსიას გალაკტიონზე, როგორც რევოლუციური წარსულის მქონე, კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლ პოეტზე“ (ტაბინე, 2016: 7-8).

თორმეტტომეულის საგამომცემლო კონცეფციის ძირითადი ნაკლი, რომლის თავიდან არიდება შეიძლებოდა, იყო ის, რომ პოეტის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების ერთი ნაწილი დაიბეჭდა გამოქვეყნებულ ტექსტებთან ერთად, ხოლო დანარჩენი ცალკე – VII ტომში. გალაკტიონს, როგორც მისი ბიოგრაფია, დღიურები თუ ჩანაწერები ცხადყოფს, ნაწარმოების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სირთულე არასოდეს შეჰქმნია.¹ ის ტექსტები, რომლებსაც პოეტი არ აქვეყნებდა, მის მიერ მიჩნეული იყო ან დაუსრულებლად, ან კიდევ მხატვრული თვალსაზრისით არასრულყოფილად და სწორედ ამიტომ არიდებდა თავს მათ პუბლიკაციას. ამის გათვალისწინებით, გამართლებული არ იყო გამოუქვეყნებელი ტექსტების ერთი ნაწილის ტომებში შეტანა გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ერთად. ასევე უცნაური და

1 რაც შეეხება საბჭოთა ეპოქაში შექმნილ ანტიტოტალიტარული ხასიათის ნაწარმოებებს, ე.წ. უჯრის ლექსებს, არც მათი დაბეჭდვა მიგვაჩნია მართებულად გამოქვეყნებული ლექსების გვერდით.

გაურკვეველი ჩანს, გამომცემლების მიერ შერჩეული ეს პრინციპი ბოლომდე რატომ არ განხორციელდა და გამოუქვეყნებელი ტექსტების ერთი ჯგუფისთვის ცალკე რატომ გამოიყო VII ტომი. ამ შერეული პრინციპის გამო, ერთი მხრივ, გაურკვეველი დარჩა, რა გამოაქვეყნა პოეტმა სიცოცხლეში და რა არა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შემოქმედებითი განვითარების ხაზი გაბუნდოვნდა.

უკვე ნახსენები VII ტომი სხვა უცნაურობითაც ხასიათდება. ვგულისხმობთ შემდგენელთა მიერ ნაწარმოებების დაყოფას მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერის მასალად, „უკეთესი ლექსების“ ცალკე ბეჭდვას და დანარჩენის მოთავსებას განყოფილებაში ‘Varia’, დაუმთავრებელი ლექსებისა და თარგმანების განცალკევებით გადატანას. ამგვარი სუბიექტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობას, ვფიქრობთ, აჯობებდა, გამოუქვეყნებელი ლექსები, შეძლებისდაგვარად, ქრონოლოგიურად განელაგებინათ. გარდა ამისა, ტომში შეტანილი მასალა არასრულია, რასაც ადასტურებს მისი მოცულობა. ტექსტებს აქ ეთმობა 195 გვერდი (გვ. 10-205), ხოლო გალაკტიონის საარქივო გამოცემის მერვე ტომში, რომელშიც სწორედ გამოუქვეყნებელი ლექსებია დაბეჭდილი, მასალის მოცულობა შეადგენს 685 გვერდს (გვ. 7-692).

2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაფუძნდა ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალური დარგი – გალაკტიონოლოგია და დაარსდა „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“, პოეტის შემოქმედების შესწავლას სისტემური ხასიათი მიეცა. თანდათან აშკარა გახდა, რომ გალაკტიონის თხზულებათა კვლევა აკადემიურ თორმეტომეულზე დაყრდნობით შეუძლებელი ხდებოდა. მით უფრო, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართული ლიტერატურათმცოდნეობის პირველი რიგის ამოცანად იყო ქცეული საბჭოური იდეოლოგიური სტერეოტიპებისა და სქემებისაგან გათავისუფლება, რაც გალაკტიონთან მიმართებით გულისხმობდა მის გამოხსნას საბჭოთა კრიტიკის მიერ დამკვიდრებული ყალბი შეხედულებებისა და წარმოდგენებისაგან, მისი პოეზის დაბრუნებას რეალურ-ისტორიულ კონტექსტში.

პოეტის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დაგეგმვის

პერიოდში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ, უპირველეს ყოვლისა, გადაისინჯა პოეტის სიცოცხლეში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა: ლექსების პირველი კრებული (1914), „არტისტული ყვავილები“ (1919), „რჩეულები“ (1927, 1944, 1954, 1959) და თხზულებათა რვატომეული (1935-1957), რომლებშიც, როგორც წესი, ტექნიკური ხარვეზებით, არასრულად, საბჭოთა პერიოდიდან კი – კონიუნქტურული სწორება-დამახინჯებებით არის დაბეჭდილი ტექსტები.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა და საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიზებული საგამომცემლო პოლიტიკისგან გათავისუფლებამ ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა, შეექმნათ XX საუკუნის გამოცემებთან შედარებით ბევრად უფრო სრულყოფილი აკადემიური გამოცემები.

გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური გამოცემის საგანგებოდ შესწავლის, მისი მომზადების პრინციპებზე დაკვირვების შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ თორმეტტომეული ტიპური საბჭოთა გამოცემაა, ამჟამად სრულიად ამორტიზებული მეცნიერულადაც და მორალურადაც.

გალაკტიონონლოგიის, როგორც ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი დარგის, განვითარება გადაუდებლად მოითხოვდა თვისობრივად ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებას, რომელშიც ტექსტები წარმოდგენილი იქნებოდა თავდაპირველი სახით, ავტორის ჩანაფიქრისა და შემოქმედებითი ნების სრული გათვალისწინებით, მეცნიერულად დადგენილი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

გალაკტიონის კვლევის ცენტრმა პოეტის ახალი აკადემიური თხუთმეტტომეულის მომზადება თემურაზ დოიაშვილის ხელმძღვანელობით 2014 წლიდან დაიწყო. 2016-2017 წლებში გამოქვეყნდა პირველი ხუთი ტომი. გამოცემაში გათვალისწინებული და გასწორებულია ყველა ის ხარვეზი, რომლებიც წინარე გამოცემებს, განსაკუთრებით – აკადემიურ თორმეტტომეულს ახასიათებდა. კერძოდ:

1. ახალი აკადემიური გამოცემა, ზოგადად, აიგო დამკვიდრებული ჟანრობრივ-ქრონიკოლოგიური პრინციპით (პოეზია, პროზა), მაგრამ პოეტური ჟანრები – ლირიკა და პოემები ერთმანეთისაგან გამიჯნულ-მოწყვეტილი არ არის, როგორც ეს წინა აკადემიურ გამოცემაშია. ამას ორი მიზეზი აქვს:

ა) თითოეული ტომი გალაკტიონის შემოქმედებითი განვითარების გამოკვეთილ ეტაპს წარმოგვიდგენს, ლირიკისა და პოემების გვერდიგვერდ თანაარსებობა კი სრულ, ერთიან სურათს ქმინის;

ბ) გალაკტიონი ეპიკოსი პოეტი არ ყოფილა, მისი ე. წ. პოემები, როგორც წესი, ლირიკული ციკლებია, რომელთაც ძალიან მჭიდრო აზრობრივ-თემატური და ემოციურ-განწყობილებითი კავშირები აქვთ შესაბამისი პერიოდის ლირიკასთან. ლირიკისა და ე. წ. პოემების განცალკევებით დაბეჭდვისას ეს კავშირები შეუმჩნეველი რჩება არამცთუ მკითხველისთვის, მკვლევართათვისაც კი.

2. გალაკტიონის პირველი ორი წიგნი – „ლექსები“ (ქუთაისი, 1914) და „არტისტული ყვავილები“ (თბილისი, 1919) არ არის ჩვეულებრივი პოეტური კრებულები – ლექსთა უბრალო ნაკრები. თითოეული მათგანი, სიმბოლისტურ-მოდერნისტული ეპოქის ესთეტიკურ ტენდენციათა შესაბამისად, პოეტურ მთლიანობად იყო ჩაფიქრებული.

ამ ლექსების ნებისმიერი გადაადგილება, მათი თუნდაც ქრონილოგიური პრინციპით დალაგება-გადანაწილება ანგრევს ამ წიგნების სტრუქტურულ მთლიანობას და უგულებელყოფს ავტორის ნებას. ძველ აკადემიურ გამოცემაში ეს არ იყო შემჩნეული, გააზრებული და გათვალისწინებული – ლექსები მიმოფანტულია პირველ და მეორე ტომებში. ახალ აკადემიურ გამოცემაში პოეტის პირველი და მეორე წიგნები, როგორც სტრუქტურულ-ესთეტიკური მთლიანობა, თავდაპირველი, ერთიანი სახით დაიბეჭდა.

იგივე უნდა ითქვას 20-იან წლებში გამოქვეყნებულ „ას ლექსზე“ (ჟურნ. „მნათობი“, 1925, №10.) ლექსების დასახელებული სამი კრებული შესაბამის ტომებში წარმოდგენილია დაუშლელად, როგორც პოეტური მთლიანობა.

3. წინა აკადემიური გამოცემის მთავარი ნაკლი, როგორც

უკვე აღინიშნა, ძირითადი ტექსტის კონიუნქტურული შერჩევაა. ძირითად ტექსტად, ავტორის ბოლო ნების არგუმენტის მოშველიებით, უმეტესწილად, აღებულია მოვაიანო, იდეოლოგიური მოსაზრებებით სახეცვლილი ვერსიები. ამის საპირისპიროდ, პოეტის ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას შემდგენ-ლები პრინციპულად მიმართავდნენ თავდაპირველ ტექსტებს, რომლებშიც ავტორის ჩანაფიქრი და ნება გაყალბებული არ არის.

4. ძევლი აკადემიური თორმეტტომეულის მნიშვნელოვანი ხარვეზია მრავალი უზუსტობა და შეცდომა ლექსთა დათარიღება-ში. ნაწარმოებების ქრონოლოგია, საერთოდ, გალაკტიონოლოგიის ურთულესი პრობლემაა, სადაც ფართო ასპარეზი აქვს თავად გალაკტიონისეულ მისტიფიკაციებს – ლექსების გადაადგილება-ბა-მოგზაურობას დროში კონტექსტის შეცვლის მიზნით. ახალ აკადემიურ გამოცემაში ეს რთული პრობლემა მოწესრიგდა თანა-მედროვე გალაკტიონოლოგიურ ძიებათა პოზიტიური შედეგების სრული გათვალისწინებით.

5. მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შეიცავს ძევლი აკადემიური თორმეტტომეულის სამეცნიერო აპარატი: შენიშვნები და კომენტარები ხშირად არამარტო მექანიკური და ზედაპირულია, არამედ, რიგ შემთხვევებში, კურიოზულიც. ახალ აკადემიურ გამოცემაში სამეცნიერო აპარატი უშუალოდაა დაკავშირებული ტექსტთან, მის რეალიებთან, ავტორისეულ ჩანაფიქრსა და ლიტერატურულ-ის-ტორიულ კონტექსტთან. საჭიროების შემთხვევაში, მითითებულია წყაროებიც ტექსტის გენეზისისა და ტიპოლოგიის შესახებ.

6. ძევლი აკადემიური გამოცემის გადახედვამ გამოავლინა, რომ „პრეამბულაში“ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, არ არის დაცული ავტორისეული პუნქტუაცია, რის გამოც, ნებ-სით თუ უნებლიერ, უგულებელყოფილია ის სასვენი ნიშნები, რომლებიც ემოციური მდგომარეობის ან მხატვრული ხერხის აქცენტირებას ემსახურებოდა. ტექსტები, განსაკუთრებით 10-20-იანი წლებისა, ნასწორებია ორთოგრაფიისა და გრამატიკის თანამედროვე ნორმების შესაბამისად, რაც შეუწყნარებელია

აკადემიური გამოცემისთვის, რადგან ვეღარ იძლევა ზუსტ წარმოდგენას პოეტის ენაზე.

ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას აღინუსბა და გასწორდა ტექსტის დამახინჯების უამრავი შემთხვევა, რაც ავტოგრაფთა არასწორად ამოკითხვის, ან სულაც ტექსტში სუბიექტური, თვითნებური ჩარევის შედეგი იყო.

7. ახალი აკადემიური გამოცემა შეივსო გალაკტიონ ტაბიძის ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოვლენილი, მანამდე უცნობი პოეტური ნაწარმოებებით და არსებული ტექსტების ახლადმიგნებული რედაქციებითა და ვარიანტებით.

8. პოეტის ე. წ. პროზაულ კორპუსს – ჩანაწერებსა და დღიურებს, რომელიც თორმეტტომეულში ერთ ტომად იყო წარმოდგენილი, ახალ აკადემიურ გამოცემაში დაეთმობა ოთხი ტომი: დიდალი საარქივო მასალის გადასინჯვის შედეგად, შერჩეულია ლიტერატურულ-კულტურული ლირებულების ჩანაწერები, დღიურები და მემუარული ესკიზები, რასაც დაემატება ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტექსტები აღჭურვილი იქნება სათანადო, სკრუპულობური კომენტარებით.

გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ახალი აკადემიური გამოცემის ტომებში განლაგდება ქრონოლოგიური პრინციპით და ასეთი თანამიმდევრობით: **ტომი I-X** სხვადასხვა წლებში დაწერილი და გამოქვეყნებული ლექსები და პოემები; **ტომი XI-XII** – პოეტის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსები და პოემები, დაუმთავრებელი ტექსტები და სხვ. **ტომი XIII-XV** – პროზა: მხატვრული ესკიზები და მემუარული ჩანახატები, ლიტერატურული მანიფესტები და წერილები, ჩანაწერები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, დღიურები, პირადი წერილები.

გამოცემა მზადდება თვისობრივად ახალ კონცეპტუალურ საფუძველზე, გალაკტიონოლოგიისა და ტექსტოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა დონეზე.

ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძის ტექსტები – განმენდილი იდეოლოგიური მინარევებისა

და სხვა სახის მცდარობა-დამახინჯებათაგან, მეცნიერულ-კრიტიკულად შესწავლილი ნაწარმოებები და მათი ვარიანტები მკვლევართათვის მყარი დასაყრდენი გახდება XX საუკუნის უპირველესი ლირიკოსის შემოქმედებით პროცესზე დასაკვირვებლად, ზოგადად, მისი შემოქმედებითი ევოლუციის გააზრებისათვის, ხოლო სამეცნიერო აპარატი სათანადო ინფორმაციას მიაწვდის ნაწარმოებთა ტექსტების ისტორიის, ტექსტთან დაკავშირებული რეალიების, ისტორიულ-კულტურული საკითხების შესახებ.

აღნიშნული გამოცემის სახით სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოება მიიღებს ისეთი ხარისხის სანდო, მთლიან კორპუსს, რომელიც, ერთი მხრივ, სტიმულს მისცემს გალაკტიონოლოგიური კვლევების სწორი მიმართულებით წარმართვას, მეორე მხრივ კი, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ცნობიერებაში გალაკტიონის შემოქმედებითი ევოლუციის რეალური სურათის დამკვიდრებას. წმინდა სამეცნიერო-ტექსტოლოგიური პრობლემების გადაჭრას-თან ერთად, გალაკტიონის პოზიციას ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსცილდება ყალბი საბჭოურ-კონიუნქტურული კონტექსტი და იგი გადაინაცვლებს თავის ჭეშმარიტ კონტექსტუალურ ადგილას – ქართული კლასიკური მწერლობისა და ევროპული (დასავლური) ლიტერატურის კულტურულ სივრცეში.

გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად: თანამედროვე ციფრულ ეპოქაში უდიდესი ყურადღება ექცევა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივების გაციფრება-გამოცემას. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა 2005 წლიდან დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის საარქივო ოცდახუთტომეულის გამოქვეყნება. ბუნებრივია, ამ ტომების გამოცემას წინ შესაბამისი სამუშაოები უძლოდა. როგორც ოცდახუთტომეულის პირველი წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, „არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა პირველად გაახორციელა ესოდენ დიდი და უმნიშვნელოვანესი პროექტი – თავი დაადგა საშვილიშვილოდ

ღირებულ საქმეს – გამოსაცემად მოამზადა გენიალური ქართველი პოეტის, არა მხოლოდ მეოცე საუკუნის, არამედ მთელი ქართული და საკაცობრიო პოეტური შემოქმედების მშვენების – გალაკტიონ ტაბიძის არქივი“ (ორჯონიკიძე, 2005: 7). მართლაც, ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ არაერთ მნიშვნელოვან გამოცემათა (ვგულისხმობთ სხვა მწერალთა საარქივო გამოცემებსაც) შორის დღემდე განსაკუთრებულ ყურადღებას იცყრობს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ოცდახუთტომეული.

როგორც გამოცემის შემდგენელი და რედაქტორი იზა ორჯონიკიძე წერს, ტომთა რაოდენობის დადგენისას, გარდა მასალის მოცულობისა, გადამწყვეტი აღმოჩნდა გალაკტიონის სურვილი, მისი ნაწერები ოცდახუთ ტომად გამოცემულიყო: „გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემა, მისივე სურვილისა და ნაოცნებარის გათვალისწინებით, ოცდახუთ წიგნად დალაგდა“ (იქვე: 8).

საარქივო გამოცემის ოცდახუთ წიგნში მასალა ქრონოლოგიური პრინციპით, თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი. მთავარი ამ შემთხვევაში პოეტის შემოქმედებითი განვითარების ჩვენება იყო: „ჩვენ შევეცადეთ ისე გაგვენანილებინა პოეტის მემკვიდრეობა, რომ უპრეტენზიო მკითხველსაც და განსწავლულ ფილოლოგსაც ცხადად დაეწახა როდის, რას და როგორ წერდა გალაკტიონი; ანუ ჩვენ გვ-სურდა მკვეთრად გამოგვეკვეთა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებითი აქტივობის ნაყოფიერი წლებიცა და, მისივე შეგირდობისა თუ სხვა, ნაკლებად ღირებულ ნაწარმოებთა შექმნის დროც“ (იქვე).

საარქივო გამოცემაში გალაკტიონის არქივი ასეა გადანაწილებული:

1905-1914 წწ. – პირველი წიგნი; 1915-1921 წწ. – მეორე წიგნი; 1922-1927 წწ. – მესამე წიგნი; 1928-1931 წწ. – მეოთხე წიგნი; 1932-1940 წწ. – მეხუთე წიგნი; 1941-1945 წწ. – მეექვსე წიგნი; 1946-1958 წწ. – მეშვიდე წიგნი; უთარილო და პოეტის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ლექსები – მერვე წიგნი; პოემები – მეცხრე-მეთორმეტე წიგნები; მე-13-24-ე წიგნებში თავმოყრილია პოეტის უბის წიგნაკები, არქივში დაცული უსისტემო ჩანაწერები, ლიტერატურული ეტიუდები თუ სტატიები, პირადი მიმოწერა, ოლია ოკუჯავას წერილები გა-

ლაპტიონისადმი და მისივე ჩანაწერების ის ნაწილი, რომელიც პოეტს ეხება, აგრეთვე სხვადასხვა სახის დოკუმენტები, განცხადებები და ა.შ. ბოლო – 25-ე წიგნში შესულია გალაკტიონის ჩანახატები. ისინი იმ ხელნაწერებთან ერთადაა დაბეჭდილი, რომლებზეც ეს გრაფიკული ნამუშევრებია შესრულებული.

პირველ თორმეტ წიგნს თან ერთვის გალაკტიონის ფოტოსურათებიც – თითოეულს 24 ფოტო. მრავალი მათგანი, როგორც რედაქტორი აღნიშნავს, პირველად ქვეყნდება.

დაბოლოს, საარქივო გამოცემის თორმეტ წიგნში განაწილებული და წარმოდგენილია გალაკტიონ ტაბიდის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილები, ესეისტური ნაწერები და სამეცნიერო გამოკვლევები. ასეთი ბოლოთქმანი ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს წარმოდგენას გალაკტიონის შემოქმედებაზე.

როგორც მთავარი რედაქტორი და შემდგენლები მიუთითებს, აღნიშნულ გამოცემაში დაცული და ხელშეუხებელია გალაკტიონის შემოქმედების ყველა თავისებურება – სტილური, ორთოგრაფიული, პუნქტუაცია და იმერიზმები; ასევე, გათვალისწინებულია აკადემიური თორმეტტომეულის მიმართ თავის დროზე კომპეტენტურ მკვლევართა მხრიდან გამოთქმული ყველა ანგარიშგასაწევი შენიშვნა; ტექსტურობის ლაფსუსები და თვითნებური წაკითხვების შედეგად თითქმის დაკანონებული ცდომილებანი გასწორებულია დედნის მიხედვით, ან გალაკტიონის სიცოცხლეში ნაბეჭდი ტექსტების შესატყვისად. შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულია ლექსების დათარიღებასთან დაკავშირებული შეუსაბამობანი და სხვა.

რაც ამ ტიპის გამოცემისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ოცდახუთივე წიგნს ერთვის გალაკტიონის ფონდში დაცულ ხელნაწერთა ამომწურავი აღწერილობანი, ლექსთა განსაკუთრებულად განსხვავებული ვარიანტები და აუცილებელი შენიშვნები; მითითებულია პირველი ბეჭდური პუბლიკაციებიც. ამ გამოცემის მე-12 ტომს ასრულებს გალაკტიონის ლექსებისა და პოემების ანბანური, ხოლო 24-ე ტომს – სახელთა საძიებლები.

გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას არ ერთვის ვა-

რიანტები და შენიშვნები, არც კომენტარები გვხვდება. ამ უკანასკნელის შესახებ წინათქმაში აღნიშნულია:

„მუზეუმის სარედაქციო ჯგუფისა და კონსულტანტების ერთობლივი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, გალაკტიონის ნაწერთა ვრცელი კომენტარები აღარ შევთავაზეთ მკითხველს, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აუცილებლად მომზადებს გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემას და ვრცელი და ამომწურავი კომენტარების შედგენაც ხომ ინსტიტუტის კომპეტენცია გახლავთ“ (ორჯონიკიძე, 2005).

გალაკტიონის საარქივო გამოცემამ, მართლაც, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოეტის შემოქმედებითი და ბიოგრაფიული გზის შესწავლის პროცესში, ასევე, მისი ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებისას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოცდახუთტომეულის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ეს მასალა, რაც საარქივო გამოცემაშია დაბეჭდილი, განთავსდა საიტზე galaktion.ge.

მიუხედავად არაერთი ღირსებისა, გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემას რამდენიმე ხარვეზიც აქვს:

უპირველესად, უნდა ითქვას, რომ პოეტის არქივი აქ სრულად არ არის წარმოდგენილი, თუმცა, სასურველი იყო, შემდგენლებს სრული მასალა გამოიქვეყნებინათ, რადგან ამ ტიპის გამოცემის გამეორება არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული. კონკრეტულად, როგორც გამოცემის შესწავლამ ვიჩვენა, მასში არ არის დაბეჭდილი გალაკტიონის ნაწარმოებთა ვარიანტების ერთი ნაწილი. არ არის შეტანილი იმ ლექსებისა და პოემების ავტოგრაფები, ის ხელნაწერები, რომლებიც არ წარმოადგენენ რომელიმე უბის წიგნაკის ნაწილს და ცალკე ერთეულების სახით ინახება პოეტის არქივში. ამგვარ ხელნაწერთა ხვედრითი წილი პოეტის საარქივო მასალასთან მიმართებით მცირე სულაც არ არის, პირიქით. ამ ხარვეზის გამო, გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემა პოეტის თხზულებათა ტექსტების ისტორიის, მათი თავისებურებების შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

გამოცემის შესავალში აღნიშნულია, რომ გასწორდა აკადემიუ-

რი თორმეტტომეულისთვის დამახასიათებელი ხარვეზები, ლაფ-სუსები და მნიშვნელოვანი შეცდომები, თუმცა რეალურად ასე არ არის. ცალკეულ შემთხვევებში, საარქივო გამოცემაში მეორდება სწორედ ის ხარვეზები, ის დაკანონებული თუ დაუკანონებელი ცდომილებანი, რაც ახასიათებდა აკადემიურ გამოცემას. ეს ითქმის როგორც ტექსტებზე, ისე დათარიღების პრობლემებზე. ნათქვამი, ძირითადად, ეხება ოცდახუთტომეულის პირველ თორმეტ ტომს, რომლებიც, უმთავრესად, ეყრდნობა აკადემიური თორმეტტომეულის I-XI ტომებს.

მართალია, საარქივო გამოცემის პირველი წიგნის შესავალში ნა-თქვამია, რომ 24-ე ტომს ერთვის პირთა საძიებელი, მაგრამ სინამდ-ვილები ასე არ არის: პირთა საძიებელი არ ერთვის არც ერთ ტომს.

ჩვენ მიერ უკვე ნახსენები საიტი galaktion.ge ნაწილობრივ ავ-სებს ამ ხარვეზს, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. საძიებო სის-ტემის გამოყენებითა და ამ საიტის საშუალებით შეგვიძლია და-ვადგინოთ, იხსენიება თუ არა ესა თუ ის პირი გალაკტიონის ნაწარმოებებსა და უბის წიგნაკებში, მაგრამ შეუძლებელია გა-ვიგოთ, კონკრეტულად ვინ, რომელი პირები არიან ნახსენები ტექსტებში. ანუ არ არსებობს სია, ჩამონათვალი გალაკტიონის ლექსებსა და ჩანაწერებში მოხსენიებული პირებისა. ეს კი არაერთ პრობლემას ქმნის საარქივო გამოცემის გამოყენებისა და პოეტის შემოქმედების კვლევის პროცესში.

23-ე ტომში თავმოყრილია პოეტის ის ჩანაწერები, რომლებიც ლიტერატურასა და ხელოვნებას შეეხება. უბის წიგნაკთა ამგვარი შერჩევა-გადაადგილებით ირლვევა ქრონოლოგიური ჩარჩო, რაც, როგორც ითქვა, გამოცემის მომზადებისას ძირითად პრინციპად იყო აღებული. გარდა ამისა, დასახელებული კრიტერიუმი, რომ 23-ე ტომში იყოს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურისა და ხე-ლოვნების შესახებ არსებული ჩანაწერები, როგორც ჩანს, არაზუს-ტია, ან მასალის მოცულობიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მისი სრულად რეალიზება. ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ გალაკტიონის ყველა ჩანაწერი, რომელიც ეხება ლიტერატურასა და ხელოვნე-

ბას, არ არის ამ ტომში თავმოყრილი და, ალბათ, ვერც იქნებოდა, რადგან პოეტი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ძალიან ბევრ დღიურსა თუ უტის წიგნაკში გაკეთებულ ჩანაწერში მსჯელობს.

საარქივო გამოცემის I-VII ტომებში, პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ლექსებთან ერთად, შეიტანეს ზოგიერთი გამოუქვეყნებელი ტექსტი და პარალელურად, ამავე გამოცემის VIII ტომი მთლიანად დაუთმეს გამოუქვეყნებელ ტექსტებს. არ ჩანს, რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეს გამოუქვეყნებელი მასალის გადარჩევისას, რატომ მოხდა ისე, რომ ზოგიერთი გამოუქვეყნებელი ტექსტი შეიტანეს გამოქვეყნებულ ტექსტებთან ერთად და ზოგიც – ცალკე ტომში.

I-XII ტომებს ერთვის ერთგვარი პასპორტები, რომლებშიც მითითებულია, კონკრეტული ნაწარმოების რომელი ავტოგრაფები არსებობს, სად დაიბეჭდა ტექსტი პირველად, ასევე აღნიშნულია ძირითადი წყაროს რაობა. უნდა ითქვას, რომ ეს მონაცემები სრულია არ არის. ეს განსაკუთრებით უცნაურია იმ ფონზე, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების ვარიანტი მომდევნო ტომებში სრულად არის დაბეჭდილი, როგორც რომელიმე დღიურის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ნაწარმოების პასპორტის მიხედვით მის არსებობას ვერ ვივარაუდებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალხაზიშვილი, შ. უმეცრება თუ დაუდევრობა?. „მნათობი“, თბ., 1966, №6.
2. გვარამაძე, ლ. კომენტარი, წიგნში: „ქართული ტექსტოლოგია“, თბ., 2006.
3. იამანიძე ზ. ლექსის ბედი. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1967, №52.
4. კუსრაშვილი, რ. ზოგიერთი საკითხი ი. ჭავჭავაძის პოეტური ნაწარმოების დათარიღების შესახებ, უურნ. „მაცნე“, თბ., 1982, N2.
5. კუსრაშვილი, რ. როგორ ვმუშაობდით გალაკტიონის არქივზე. „გალაკტიონოლოგია“, 1, თბ., 2002.

6. ნინიძე, მ. „ტექსტოლოგიური დაკვირვება აკაკი წერეთლის „ნინოს სიმღერაზე“. კრებული: „კლასიკური და თანამედროვე ერთობლი მწერლობა“, თბ., 1998, №2.
7. ორჯონივაძე, ი. წინათქმა. წიგნში: ტაბიძე გალაკტიონ. სარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად. წიგნი 1, თბ., 2005.
8. ტაბიძე, გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 1. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1966.
9. ტაბიძე, გ. ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტომი 1, თბ., 2016.
10. ტია-ტია. „კომენტარები გალაკტიონ ტაბიძის მე-13 ტომისათვის შედგენილი მე-12 ტომის კომენტატორთა მდიდარი გამოცდილების საფუძველზე“. „ნიანგი“, თბ., 1983, № 2.
11. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 1, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1987.
12. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 16, ილიას ფონდი, თბ., 2018.
13. Burnard, L. O'Brien O'Keeffe, and Unsworth (eds.). (2006). Electronic Textual Editing. The Modern Language Association of America, New York.
14. Dahlström, M. (2014). The Compleat Edition: <http://www.skeptron.uu.se/broady/sec/p-dahlstrom-mats-07-the-compleat-edition.pdf>
15. Deegan, M. Sutherland, K. (2016). Text Editing, Print and the Digital World, Routledge, London and New York.
16. Gold, M. K. and Klein, L. F (eds.) (2016). Debates in the Digital Humanities. University of Minnesota Press. Minneapolis, London.
17. Pierazzo, E. (2015). Digital Scholarly Editing. Theories, Models and Methods. Ashgate.
18. Well, A. V. D. (2016). Changing Our Textual Minds, Towards a Digital Order of Knowledge, Manchester University Press.

გამოყენებული ინტერნეტწყარო:

<https://cardiffbookhistory.wordpress.com/events/what-is-scholarly-editing/>

თავი VII

სევადასევა ჟარის ტესტების აკადემიური გამოცემების საგამომცემლო პრცეფცია

წინამდებარე გამოცემა, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მომზადებული ჩვენივე წინა წიგნის – „ტექსტოლოგის“ – მსგავსად, მხოლოდ სახელმძღვანელო არ არის. იგი, ამავე დროს, მონოგრაფიაცაა, რომელშიც უხვად არის წარმოდგენილი ჩვენი კვლევის შედეგებიც. როგორც წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, სახელმძღვანელო სადოქტორო კვლევების შესრულების პარალელურად იწერებოდა, რომელთა თემაზე კაც სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და გამოცემათმცოდნეობის, როგორც ქართულ რეალობაში ახლად დაბადებული სამეცნიერო დისციპლინის, საჭიროების გათვალისწინებით განისაზღვრა. შესაბამისად, გამოცემათმცოდნეობითი ფუნდამენტური საკითხები მონოგრაფიულად პირველად ამ კვლევების ფარგლებში დამუშავდა, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოც ფარავს ძველი (გაბრიელ მცირე), ახალი (გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე) და უახლესი (გურამ რჩეულიშვილი) ლიტერატურის პერიოდებს. განისაზღვრა ისეთი ნაკლებ შესწავლილი სფეროს აკადემიურად გამოცემის კონცეფცია და საგამომცემლო სტრატეგია, როგორიც არის ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლები, უბის წიგნაკები, კერძო ჩანაწერები, სხვათა ტექსტებიდან გაკეთებული ამონაწერები, მინაწერები, დღიურები. თეორიული კვლევითი საკითხების გადაჭრის პარალელურად, მომზადდა ამ ტექსტების აკადემიური ტომები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სხვადასხვა უანრის აკადემიური გამოცემის კონცეფციისადმი მიძლვნილ წინამდებარეთავში, ჩვენი კვლევების გვერდით, უხვად ავსახავთ სადოქტორო კვლევების შედეგებსაც, რაც სახელმძღვანელოდ გამოადგებათ მომავალ დოქტორანტებს.

§1. ეპისტოლური უანრის აკადემიურად გამოცემის კონცეფცია

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მკითხველთა ინტერესი დოკუმენტური უანრის მიმართ. დოკუმენტურს მიეკუთვნება ლიტერატურის ყველა ნაირსახეობა, გარდა მხატვრული ლიტერატურისა. დოკუმენტური უანრებისთვის დამახასიათებელია პუბლიცისტური სტილი. მასში აღნერილია რეალური ფაქტები და მონაწილეობები რეალური პირები. ყოველივე ამის გამო, დოკუმენტური უანრის ტექსტებს ფასდაუდებელი ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. თუ მხატვრული ნაწარმოები ხელოვნების ქმნილებაა და ამ თვალსაზრისით განეკუთვნება კულტურის სფეროს, დოკუმენტურ თხზულებებში პირდაპირ ირეკლება ერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა მიმართულება: ცოცხალი სამეტყველო ენა, წიგნიერებისა და განათლების დონე, ყოველდღიური ყოფა, წეს-ჩვეულებები, რელიგიური ტრადიციები, სოციალური დიფერენციაცია, ინფორმაცია სხვადასხვა ინსტიტუციის შესახებ, ხელოვნების დარგების განვითარების მდგომარეობა, სამზარეულო, ჩატმულობა და სხვ.

ისტორიულ-კულტურული ღირებულება, ბუნებრივია, მხატვრულ ლიტერატურას და მის უანრებსაც გააჩნია, მაგრამ, მათგან განსხვავებით, დოკუმენტურ უანრებს, როგორც არაფიქციურს, აქვს სანდოობის უფრო მაღალი ხარისხი. თუ მხატვრული ნაწარმოებები ეპოქას, მოვლენებს, კულტურულ ფონს მხატვრულ პრიზმაში გარდატეხილი ფორმით ასახავს, დოკუმენტური უანრი ამ ყველაფერს პირდაპირ რაკურსში წარმოაჩენს. ავტობიოგრაფიული პროზის, მემუარებისა და პოლიტიკური ბიოგრაფიების ოცდახუთმომეულის („საოჯახო ბიბლიოთეკა“) პირველი წიგნის შესახებ ზაზა აბზიანიძე წერს: „ჩაკვირვებულ მზერას თუნდაც მხოლოდ ამ ერთ წიგნში თავმოყრილი ნიმუშებით შეუძლია მიადევნოს თვალი, როგორ ვითარდება ავტობიოგრაფიული ჩანაწერების უანრი XIX საუკუნის მანძილზე... მწერლის პირადი განცდები, ფიქრები და შეხედულებები აისახება როგორც მხატვრულ

ნაწერებში, ისე რეალისტურ პროზაში – დღიურებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. ეს სხვადასხვაგვარი ტიპის ტექსტები გვეხმარება არა მხოლოდ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედებისარულყოფილად აღქმაში, არამედ ცალკეული შემოქმედებითი პროცესების რეკონსტრუქციაშიც“ (აბზიანიძე, 2009: 7).

ეპისტოლური მემკვიდრეობაც დოკუმენტურ ჟანრს მიეკუთვნება. ტერმინი „ეპისტოლე“ თავდაპირველად ეწოდებოდა ისეთ წერილს, რომელიც მიმართული იყო არა რომელიმე ერთი პირისადმი, არამედ ფართო საზოგადოებისადმი. ამის საუკეთესო მაგალითია „ახალ ალთქმაში“ შემავალი ეპისტოლები. მოგვიანებით სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა და ეპისტოლურ ჟანრს მიეკუთვნა პირადი წერილებიც. ამ ტიპის ტექსტები ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. მისი უძველესი ნიმუშებია ინდოელი მეფის, სტრატობატის, წერილი ასურეთის დედოფალ სემირამიდასადმი, სკვითების წერილი სპარსეთის მეფე დარიუშისადმი, პორაციუსის წერილი პოეზიის არსის შესახებ ძმები პიზონებისადმი და სხვ.

პირადი მიმოწერის მიზანი ადრესატის მიერ ადრესატისთვის ინფორმაციის მიწოდება იყო, მაგრამ, რამდენადაც წერილობითი დოკუმენტი უძლებს დროს, მოხდა ისე, რომ ამავე ინფორმაციის მიღების საშუალება ეძლევათ საუკუნეების შემდეგ სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ ადამიანებსაც. ამიტომ პირად წერილებს განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. მათ შეუძლია სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების გაცოცხლება.

ეპისტოლური მემკვიდრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, როგორც მწერლისა და საზოგადო მოლვანის პირადი ცხოვრების დეტალებისა თუ შემოქმედებითი პერიპეტიების უკეთ გაცნობის, ისე ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-რელიგიური თუ საგანმანათლებლო მდგომარეობის შესწავლის კუთხით, 2010 წელს ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა წამოიწყო XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა, ხოლო 2017 წლიდან ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტო-

ლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემების მომზადება. დღეისათვის პირველი პროექტის ფარგლებში გამოცემულია 9, ხოლო მეორე პროექტის ფარგლებში – 1 ტომი. აღნიშნული 9 ტომიდან პირველი ეთმობა ალექსანდრე ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, ხოლო დანარჩენი 8 ტომი – გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლურ მემკვიდრეობას. ის-ტორიკოსების პირველ ტომში დაბეჭდილია პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის წერილები. ამ ეტაპზე მზადდება II ტომი, რომელშიც შევა ზაქარია ჭიჭინაძის, თედო უორდანიასა და მოსე ჯანაშვილის ბარათები. ტომი გამოიცემა 2020 წლის ბოლოს.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ სინამდვილეში მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა აკადემიურად გამოცემული არ იყო, არ არსებობდა არც ამ უანრზე მორგებული გამოცემის სტრატეგია და საგამომცემლო კონცეფცია. ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა განსაზღვრა შესაბამისი თეორიული ჩარჩო, რომელიც საფუძვლად დაედო როგორც მწერალთა, ისე მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემებს.

ციფრულ ეპოქაში, კვლევის უამრავი ახალი მეთოდისა და ტექნოლოგიის პირობებში, გამოცემები ბევრად უფრო პროდუქტიული გახდა. ისინი გამდიდრდა არა მხოლოდ გვიანდელი პერიოდის წერილებით, არამედ იმ წლების პირადი ბარათებითაც, რომლებიც, ქრონოლოგიის მიხედვით, აკაკი განწერელიას მიერ გრიგოლ ორბელიანის წერილების 1936-1937 წლებში გამოქვეყნებულ ორტომეულში უნდა შესულიყო, მაგრამ არ იქნა შეტანილი. აკაკი განწერელიას ორტომეულში ძალიან ბევრი წერილია, რომელსაც ავტორის მიერ მითითებული ჰქონდა მხოლოდ თარიღი და არ იყო მიწერილი წელი. უმეტეს შემთხვევაში გამომცემელს სწორად ჰქონდა დათარიღებული, მაგრამ არსად იყო არგუმენტირება იმასთან დაკავშირებით, თუ რას ეყრდნობოდა ეს კვლევა. ამიტომ აკადემიური გამოცემის მომზადებლებს მოგვიხდა არგუმენტების მოძიება ვარაუდის გასამყარებლად. ეს ფაქტობრივად ხელახალი დათარიღება იყო, რადგან რამდენიმე შემთხვევაში თარილის კორექტირებაც გახდა საჭირო.

სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილი გვაქვს კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. გამოცემაში ბოლომდე გვაქვს დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები ფიქსირდება).

კომენტარებს წინ უძლვის პასპორტები, რომელთა დახმარებით მკითხველი იღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებული გვაქვს შემდეგ რუბრიკებში:

1. ავტოგრაფი: აქ ვიგებთ, რა სახითაა წერილი ჩვენამდე მოლწეული – ავტოგრაფით თუ მისი ასლით, სად და რა ნომრით ინახება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C, ცენტრალური არქივი A, ლიტერატურის მუზეუმი L, ხოლო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი – Z ლიტერით;

2. ავტოგრაფის აღწერილობა: რუბრიკა გვანვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, ზომისა და ფერის ქალალდზეა ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

3. თარიღი და ადგილი: აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარილებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

4. ხელმოწერა: რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, მოცემული რუბრიკა პასპორტს არ ერთვის;

5. ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: აქ მკითხველი ეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

6. ადრესატის მისამართი: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული.

ალსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ მას წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯვერებით აღვადგენთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. შენიშვნები: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითოთებს;

2. პირველი პუბლიკაცია: აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამოცემაში და როდის დაიბეჭდა წერილი;

3. დათარილება: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს კომენტარები, რომლებშიც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი. თითოეული საკომენტარო ფრაზა დამოწმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს.

წინა ტომებში პირთა სახელებს ტექსტური მონაცემითაც წარმოვადგენდით. მაგ.: ცალკე გაგვქონდა სოფიო, ვარინკა, ანნეტა,

ბაბალე, კაკალა და სხვ., რომლებსაც ანოტაცია არ ახლდათ. ის დართული ჰქონდა სახელის სწორ დასახელებას, რომელთანაც, ლე-ქსიკონის პრინციპის გამოყენებით, გაგზავნილი იყო ტექსტური მონაცემი. მაგ.: „სოფიო – იხ. ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული.“ ანოტირებული იყო ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა სოფიო მელიტონის ასული და არა სოფიო. ასეთი საგამომცემლო მიდგომა, გარკვეულწილად, ზრდიდა სამეცნიერო აპარატის მოცულობას. იმის გათვალისწინებით, რომ ავტორის მიერ ტექსტში დასახელებული თითოეული პიროვნების ვინაობა ახსნილია კომენტარში, საკუთარი სახელების ტექსტური მონაცემები მე-9 ტომში ცალკე აღარ გავიტანეთ და ამით საძიებლები არ გადავტვირთეთ, არამედ წარმოვადგინეთ სრული დასახელების ფორმები შესაბამისია ანოტაციებით, მაგ., „აბაშიძე-ორბელიანისა ნინო სიმონის ასული (1838-1919) – მწერალი, პოეტი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი“ და ა. შ.

გვარები მოცემულია ავტორისეული ფორმებით და ფრჩხილებში მითითებული აქვთ სწორი ფორმები. მაგ., „ზოლოტარევი (ზოლოტარიოვი) ვასილ გრიგოლის ძე“; „ვიზიროვი (ვეზირიშვილი) დიმიტრი გიორგის ძე“; „სალალუბი (სოლოგუბი) ვლადიმერ ალექსანდრეს ძე“.

ანდრონიკაშვილები, თარხნიშვილები, თუმანიშვილები, მელიქიშვილები, ჩოლოყაშვილები ხშირად მოხსენიებულნი არიან, როგორც ანდრონიკოვები, თარხანოვები, თუმანოვები, მელიქოვები, ჩოლოყაევები. ამიტომ საძიებელში ისინი ავტორისეული ფორმით არიან წარმოდგენილნი და ფრჩხილებში მითითებული აქვთ „ანდრონიკაშვილი“, „თარხნიშვილი, თარხან-მოურავი“, „თუმანიშვილი“, „მელიქიშვილი“, „ჩოლოყაშვილი“. მაგ.: „ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი)“, „თარხანოვი (თარხნიშვილი, თარხან-მოურავი)“, „თუმანოვი (თუმანიშვილი)“, „მელიქოვი (მელიქიშვილი)“, „ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი)“. თუ რომელიმე ამ გვარის წარმომადგენელი მარტო სახელით არის მოხსენიებული, მაშინ „-ოვ“-ზე დაბოლოებული გვარი ანოტაციაში აღარ ჩანს, რაც საძიებელში სხვაობას ქმნის ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთა დასახელების დროს. მაგ., „ანდრო-

ნიკაშვილი ილია (ივანე) პაატას ძე“, „ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე“, მაგრამ „ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) გიორგი“.

თუ შვილები ტექსტში სახელებით არ არიან მოხსენიებულნი, საძიებელში მამის ანოტირების სტილს მიჰყებიან. მაგ., ლევან მელიქიშვილს ავტორი ყველგან მელიქოვის სახით ასახელებს. ამიტომ მისი შვილებიც, რომელებიც ლევანის შვილობით მოიხსენიებიან და არა გვარებით, საძიებელში მოცემულნი არიან მელიქოვის ფორმით, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს მელიქიშვილი.

ქალი პიროვნებები მოცემულნი არიან ქალიშვილობის გვარით, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, „ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოზის ასული“, „ალამალოვა-ბაგრატიონ-გრუზინსკისა მარიამ ისაყის ასული“ და ა. შ. თუ ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვარით, მაგ., „აბესალომოვისა – სოლომონ ზაქარიას ძე აბესალომოვის მეუღლე“.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვთ მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „ცოლ-შვილი“, „სახლობა“, „ოჯახი“, „შვილი“, „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ ნაგულისხმევ პირთა სახელებსაც, მაგ.: „კოჯორზე არიან ირაკლი სახლობითა, ბარონ საკენ ცოლშვილითა... მამუკას შვილი ვანო ცოლითა, ოლლობჟიონნი“. ამ შემთხვევაში, საძიებელში გვერდები მითითებული აქვს ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონსა და მის მეუღლეს – თამარ დავითის ასულ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისას, მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენს, მის მეუღლეს – სალომე დავითის ასულ ჭავჭავაძე-საკენისას და შვილებს: ანასა და სოფიოს, ივანე მამუკას ძე ორბელიანსა და მის მეუღლეს – მარია დიმიტრის ასულ სვიატოპოლკ-მირსკაიას, ანასტასია კონსტანტინეს ასულ ორბელიან-ოკლობჟიოსა და მის მეუღლეს – ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს და ა. შ.

საძიებელში გვერდები დაფიქსირებული არა გვაქვს იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და არ არის ნათელი, ვისზეა საუბარი, ან, როდესაც ხუთი შვილიდან სამია ნახსენები (ფორმით: „სამი ვაჟიშვილი“) და არ ჩანს ოჯახის რომელი წევრები იგულისხმება.

ადრესატებს გვერდები აღენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მე-სამე პირზე. სხვა შემთხვევაში მათ საძიებელში ეთითებათ, რომ წერილის ადრესატები არიან.

გეოგრაფიული სახელები ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით და სწორი დასახელება წარმოდგენილია ფრჩხილებში, მაგ., „ანგლია (ინგლისი)“, „ფრანცია (საფრანგეთი)“, „მუშთაიდის (მუშტაიდის) ბალი“ და სხვ.

საძიებელში ანოტაციებს არ ვურთავთ საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს (მაგ., თბილისს, ქუთაისს, მცხეთას, კახეთს, გურიას, იმერეთს, სამეგრელოს და ა. შ.). მათ მხოლოდ გვერდები აქვთ აღნიშნული.

გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

უანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

გარევეულ შემთხვევებში ლექსიკონში მოცემულ სიტყვას განმარტება არ სჭირდება, მაგ., „აქამიმდის“, „ანგლიური“ და სხვ., მაგრამ ისინი ასახულია ავტორისთვის დამახასიათებელი ლექსიკის სრულად წარმოჩენის მიზნით.

§2. ვოდევილის აკადემიურად გამოცემის კონცეფცია

კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულების გარდა, აკადემიურად გამოიცემა ცალკეული ტექსტებიც და უანრობრივი კრებულებიც. ქართულ რეალობაშიც, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ხშირად გამოსცემენ ლექსებისა და მოთხოვებების კრებულებს, მაგრამ უფრო იშვიათია დრამატული ნაწარმოებების გამოცემა. სწორედ ამიტომ ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე მუშაობის დაწყებიდან ძალიან მაღლ, 2012 წელს, წამოვიწყეთ ქართული ვოდევილის აკადემიური გამოცემის მომზადება. 2015 წელს გამოიცა 2 ტომი. პირველ ტომში მკითხველს წარმოვუდგინეთ 4 ავტორი: გიორგი ერისთავი (1813-1864) ვოდევილებით: „თილისმის ხანი“, „უჩინმაჩინის ქუდი“ და „წარსული დროების სურათები“; დიმიტრი მელვინეთხუცესოვი (მელვინეთხუცესიშვილი) (1815-1878) ვოდევილებით: „კატა-აზონა“, „ანჩხლი ცოლი“, „უბედური მოარმიყე“ და „ექიმბაში“; ივანე (ოქროპირ, ოქრო) ერისთავი (1818-1858) ვოდევილით – „ძალად ექიმი“ და გიორგი ორბელიანი (დაბად. 1818) ვოდევილით – „სიყვარულის სასმელი“. სულ 9 პიესა.

გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა დიმიტრი მელვინეთხუცესოვის (მელვინეთხუცესიშვილის) „ანჩხლი ცოლი“ და გიორგი ორბელიანის „სიყვარულის სასმელი“.

II ტომში მკითხველს შევთავაზეთ სამი ავტორის დრამატული ნაწარმოებები: ზურაბ ანტონოვის (1820-1854) პიესები: „ქმარი ხუთის ცოლისა“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო“ და „მზის დაბნელება საქართველოში“; გრიგოლ რჩეულიშვილის (გარდანქეშელი) (1820-1877) პიესა – „ხუმრობა-ვოდევილი ორს კარტინაში“ და ალექსანდრე გარსევანოვის (გარსევანიშვილის) პიესა – „ცოლები დავკარგეთ“. სულ 5 ნაწარმოები.

ქართული ვოდევილების აკადემიურ ტომეულებად გამოცემის იდეა ეკუთვნოდა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, ლიტერატურათმცოდნეს, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს, უალრესად

განათლებულ მკვლევარს, რომელმაც ზედმიწევნითი სიზუსტით იცოდა, რომელი იყო ქართული ფილოლოგიური მეცნიერების შეუსწავლელი, დღემდე მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩენილი უბნები. ქართული ვოდევილიც ერთ-ერთ ასეთ უბანს განეკუთვნება.

საქართველოში ვოდევილი XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის გზით შემოვიდა, სადაც ის, როგორც უანრი, ამ პერიოდის-თვის აღმავლობის გზაზე იდგა. ვოდევილს ჩვენთან შესაბამისი ნიადაგი დახვდა, რამაც ხელი შეუწყო მის აყვავებას. ფეოდალური ურთიერთობების კრიზისი, ბურჟუაზიული კლასის გაჩენა, ბატონ-ყმობის გაუქმება – ის სოციალურ-ეკონომიკური ფონია, რომელმაც განაპირობა ქართული ვოდევილის ნარმატება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვოდევილი მაღლე ქართულ მოვლენად იქცა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვოდევილი ჩვენს გამოცემამდე სპეციალურად არ იყო შესწავლილი, არ არსებობდა მონოგრაფიული გამოკვლევა მის შესახებ; ზოგადადაც, ინფორმაცია ამ საკითხის ირგვლივ საკმაოდ მწირი იყო, რაც გარკვეულ დაბრკოლებას გვიქმნიდა, ერთიანი ნარმოდგენა გვქონდა ქართული ლიტერატურული უანრების თავისებურებათა შესახებ.

პროექტზე მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ პირველი ვოდევილი უურნალ-გაზეთებსა თუ ცალკეულ გამოცემებში კომედიის სახელით ქვეყნდებოდა. როგორც ჩანს, ქართველი ავტორები ბოლომდე არ იყვნენ გარკვეული ვოდევილის თავისებურებებში და მათ ჩვეულებრივ კომედიად მიიჩნევდნენ. გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა და ამ პერიოდის სხვა ავტორთა კომედიებს შორის აშკარად გამოიჩინა ვოდევილების ფენა. მუშაობის პროცესში საჭირო გახდა, კომედიის სახელით გამოქვეყნებული ყველა პიესა შეგვესწავლა და მათგან ვოდევილები გამოგვეყო. მეორე ამოცანა, რომლის გადაჭრის აუცილებლობის წინაშეც დავდექით საკითხის შესწავლისას, იყო ვოდევილისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოკვეთა და, ფართო მნიშვნელობით, კომედიისგან გამიჯვნა როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით.

შევიმუშავეთ მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც შევძლებდით ვოდევილებისა და კომედიების ერთმანეთისგან გამიჯვნას. ვოდევილი, ფაქტობრივად, კომედიის სახეა, მისი ერთ-ერთი მიმართულებაა. ამიტომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: ყველა კომედიისთვის და, მათ შორის, ვოდევილისთვისაც საერთოა კომიზმის აგენტები – მაყურებელი და პერსონაჟი თავისი მოქმედებით, ხასიათით.

კომედიის და, მათ შორის, ვოდევილის დასასრული ყოველთვის კეთილია.

ვოდევილი, კომედიასთან შედარებით, მართალია, უფრო ხშირად მცირე ფორმისაა და, ამდენად, ნაკლებაქტიანია, მაგრამ მოქმედებათა რაოდენობა ვერ იქნება მკაცრი საკლასიფიკაციო ნიშანი, რამდენადაც კომედიაც შეიძლება ერთაქტიანი იყოს და ვოდევილი კი – სამ და მეტაქტიანი. ეს დამოკიდებულია ავტორზე – როგორ აწესრიგებს ის პიესის არქიტექტორნიკას.

ვლინდება, რომ ავტორმა აქტები ნაწარმოებში შეიძლება დაყოს როგორც სურათებად, ისე მოქმედებებად და მათ შორის არანაირი განსხვავება არ იყოს, ისინი იყოს მხოლოდ გარეგნული მახასიათებლები, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობები არ შეესაბამება და, ამდენად, კომედიისთვისაც და ვოდევილისთვისაც საერთო აღმოჩნდეს მოქმედებათა რაოდენობის განურჩევლობა.

კომედიასა და ვოდევილს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სასიმღერო კუპლეტების არსებობა. ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მათში და შეიძლება არა, თუმცა ვოდევილში უფრო ჭარბობს სასიმღერო ჩანართები.

იკვეთება, რომ კომედიის ერთი სახეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები სხვა სახეობებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, თუ რომელი მახასიათებლებია არსებითი და განმსაზღვრელი ამა თუ იმ პიესისთვის. ვოდევილების წყება ჩვენ სწორედ ამ პრინციპით გამოვყავით.

ჩვენი დაკვირვებით:

1. ვოდევილში გადმოცემული ამბავი, ჩვეულებრივ, დროის

მცირე მონაკვეთში (ერთი დღე-დამის განმავლობაში) ვითარდება და მთავრდება. კომედიაში გადმოცემული ამბავი შედარებით ვრცელია, დროის მეტ მასშტაბს მოიცავს;

2. ვოდევილის სიუჟეტი მარტივი და მსუბუქია, მასში გადმო-ცემული ამბები ხშირად არასერიოზული და სალალობოა;

3. ვოდევილში დასაცინი პერსონაჟი უფრო მეტად გულუ-ბრყვილო, სულელი, მჩატე გონებისაა. მისი გონების სიმჩატე დასაწყისშივე განაწყობს მაყურებელს, რომ მის მიერ პიესაში სასაცილო გაუგებრობები აიგება, რაც მასში სიხალისესა და სასიამოვნო განწყობილებას წარმოშობს;

4. ვოდევილისთვის აუცილებელია, რომ მსუბუქი გონების ადა-მიანების გვერდით პიესაში წარმოდგენილნი იყვნენ ჭკვიანებიც (ან შედარებით ჭკვიანები), რომლებიც დასაცინ ადამიანთა გონებრივ სიმჩატეს ხშირად თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, მათ თავიანთ-სავე სისულელეში ხვევენ და სწორედ ამით აღნევენ მიზანს;

5. ვოდევილში წარმოქმნილი კოლიზია მოჩვენებითა, ზერე-ლე. აქ წინააღმდეგობები მხოლოდ მარტივი კომიზმის განვითა-რებას ემსახურება;

6. პერსონაჟთა შორის კონფლიქტები ხშირ შემთხვევაში ხელოვნურია; ზოგჯერ არაბუნებრივია მათი ემოციებიც (მაგ., გულის შეწუხება, წაქცევა და სხვ.);

7. ვოდევილში გვაქვს სიტუაციური (მდგომარეობითი), წი-ნასწარ შეუპირობებელი კომიზმი;

8. ვოდევილისთვის აუცილებელია მსუბუქი ინტრიგა;

9. ვოდევილის მიზანი არ არის აღმზრდელობით-მორალის-ტური, განსხვავებით კომედიისაგან; მისი მიზანი მხოლოდ მა-ყურებლის შექცევა და მისი ყოველდღიური პრობლემებისაგან განტვირთვაა;

10. ამის გათვალისწინებით, ვოდევილის ყურებისას მაყუ-რებელი მხოლოდ ერთობა და არ ფიქრობს მწვავე სოციალურ საკითხებზე. შეიძლება პიესაში ასეთი საკითხებიც დაისვას, მა-გრამ ისინი მაყურებლის გონების პრიზმაში არ უნდა მოექცეს,

მათში მან მხოლოდ გასართობი უნდა დაინახოს; ამიტომაც იყო, რომ ვოდევილები ხშირად სხვა რომელიმე უფრო სერიოზული პიესის წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა;

11. შესაბამისად, კომედიაში სიცილს სოციალური ღირებულება აქვს, განსხვავებით ვოდევილისგან. აქ სიცილი გასართობია, გამამხიარულებელი და თავშესაქცევი. კომედიაში სიცილმა მაყურებელი უნდა დააფიქროს, ვოდევილში კი უნდა გაართოს;

12. ვოდევილში ხშირია პუბლიკისკენ პერსონაჟის მიმართვები, აქ მაყურებელსა და მსახიობს შორის კონტაქტი გაცილებით მჭიდროა;

13. ვოდევილში პერსონაჟთა ქმედებები აგებულია სიცილის ეფექტზე;

14. კომედიაში არ გვაქვს სასიამოვნო დაძაბულობა შემდგომი სცენების მოლოდინში. ვოდევილში მაყურებელი მუდმივად დაძაბულია და ელის ახალ-ახალ თავშესაქცევ ქმედებებს;

15. კომიზმის ერთ-ერთი მთავარი აგენტი – პერსონაჟი – კომედიაში დაცინვის ობიექტია, ვოდევილში კი ეს აგენტი სიცილის გამომწვევია, ანუ გართობის წყაროა;

16. შესაბამისად, კომიზმის მეორე მთავარი აგენტის – მაყურებლის – სახით კომედიაში არსებობს დამცინავი, ვოდევილში კი – მოცინარი.

ტექსტოლოგიურ-საგამომცემლო პროექტზე მუშაობის პროცესში სხვადასხვა სახის პრობლემების წინაშე ვდგებით და გვიხდება მომიჯნავე დისციპლინების კომპეტენციებში შეჭრა. ბუნებრივია, რომ ტექსტის ჟანრისა თუ ქვეჟანრის საზღვრების დადგენა ჩვეულებრივ ლიტერატურათმცოდნის კვლევის სფეროა და არა გამოცემათმცოდნის, მაგრამ ამის განსაზღვრის გარეშე, ბუნებრივია, ვერ გახდებოდა შესაძლებელი გამოცემაში შესატანი ტექსტების შერჩევა.

ვოდევილის აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება:

I. პირველი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას ავტორის ბიოგრაფიისა და დრამატურგიის შესახებ;

II. მეორე ნაწილში მკითხველი იღებს ამომწურავ ინფორმაციას პიესის შესახებ, რომელიც რამდენიმე რუბრიკაშია განაწილებული. ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემისთვის დართული სამეცნიერო რუბრიკების გარდა (რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ), აქ რამდენიმე ახალი რუბრიკა დავამატეთ:

1. პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: აქ აღნიშნულია, პიესა ორიგინალურია, თუ გადმოკეთებული;
2. პიესის გამოცემის ისტორიიდან: რუბრიკაში წარმოდგენილია ინფორმაცია პიესის პირველი პუბლიკაციის შემდგომი გამოცემების შესახებ;
3. პირველი დადგმა: აქ ვეცნობით, თუ როდის წარმოდგა პიესა სცენაზე პირველად;
4. სცენური ისტორიიდან: XIX და XX საუკუნეების პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლილია პიესის სცენური ისტორია. ზოგიერთი პიესის შემთხვევაში, საერთოდ არ მოგვეპოვება ინფორმაცია მისი პირველი დადგმისა თუ შემდგომი სცენური წარმოდგენების შესახებ.

III. მესამე ნაწილში დახასიათებულია ტექსტების ძირითადი ენობრივი თავისებურებები;

IV. მეოთხე ნაწილი ეთმობა ლექსიკონს.

ლექსიკონის აგების პრინციპები იგივეა, რაც ეპისტოლური მემკვიდრეობის შემთხვევაში.

როგორც ვხედავთ, საგამომცემლო კონცეფცია ყველა ცალკეულ შემთხვევაში მუშავდება გამოსაცემი ტექსტების სპეციფიკის გათვალისწინებით.

წ3. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა უმრავლესობა, შემოქმედებითთან ერთად, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ამიტომ მათ წერილობით მემკვიდრეობაში გვხვდება სხვადასხვა თავყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვათა ტექსტებიც. თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემებში მასალა განთავსებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით, მაგრამ არც ერთ მათგანში ზეპირი გამოსვლები ცალკე კატეგორიად გამოყოფილი არ არის. ისინი, როგორც წესი, იძეჭდება პუბლიცისტიკასთან ერთად და ამ ტომებს სატიტულო გვერდზე აწერია „პუბლიცისტური წერილები“. თითოეულ ავტორთან, ილია ჭავჭავაძე იქნება ეს, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი თუ სხვა, პუბლიცისტური წერილების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობს ზეპირი გამოსვლებისას, მაგრამ, ვფიქრობთ, თხზულებათა სრული კრებულის შესაბამისი ტომების სატიტულო გვერდზე იმის მითითება, რომ მათში ზეპირი გამოსვლებიც შედის, მაინც აუცილებელია.

ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ქართველ მწერალთა თხზულებების აკადემიურ გამოცემებში ზეპირ გამოსვლებს პუბლიცისტური წერილებიდან გამოყოფს, არის ამ ტექსტების სათაურების დაწყება ლექსიკური ერთეულით „სიტყვა“. მაგ., ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში შეტანილია ტექსტები: „სიტყვა წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე“, „სიტყვა წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე“, „სიტყვა წარმოთქმული რაფიელ ერის-თვის იუბილეზე“, „სიტყვა წარმოთქმული ქართული თეატრის 50 წლის იუბილეზე“¹ და სხვ. მეორე მხრივ, ზოგ შემთხვევაში ზეპირ გამოსვლებს ეს მარკერიც არ გააჩნია და იმ სათაურებით არის წარმოდგენილი, როგორითაც მწერლის სიცოცხლეში იყო გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთებში, მაგ.: „ჩვენი სტუმარი არტურ

1 ჭავჭავაძე, 1991: 213, 559, 574, 582.

ლეისტი თბილისში, “¹ „კურსშესრულებულებს“² და სხვ. ამ ორი ტექსტიდან პირველი არის ილია ჭავჭავაძის სიტყვა თბილისში სტუმრად მყოფი არტურ ლაისტის საპატივცემულოდ გამართულ წევულებაზე და მეორე – თბილისის გიმნაზიის სასწავლო წლის დასასრულს გამართულ საზეიმო შეხვედრაზე. ერთიანი პრინციპის გასატარებლად, საჭირო იყო, რომ ამ ზეპირ გამოსვლებსაც შესაბამისი სათაურები ჰქონოდა, მით უფრო, რომ ის სათაურები, რომლითაც ისინი გამოქვეყნდა მნერლის სიცოცხლისდროინდელ პუბლიკაციებში, ეკუთვნოდა არა თვით ილია ჭავჭავაძეს, არამედ მიმოხილვათა ავტორებს.

მნერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ძირითად ნაწილში უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ ამ ავტორის ტექსტები, კომენტარების გარეშე, მაგრამ ზოგჯერ ეს პრინციპიც დარღვეულია და ტექსტთან გვხვდება მიმომშილველისეული ფრაზები, რომლებიც პირველი პუბლიკაციიდან არის გადმოყოლილი, მაგ. „თელავის საზოგადოებამ და კახეთის მევენახეთა კრების მონაწილეებმა ილიას პატივსაცემად ნადიკვარზე გამართეს სადილი...“³ „საღამოს ათი საათი გახლდათ, როცა საპატიო მასპინძელმა და რავდენიმე მოწვეულმა ძვირფასი სტუმარი წაიყვანეს მტკვრის პირას...“⁴ და ა. შ. ბუნებრივია, მსგავსი სახის განმარტებები მკითხველისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი ადგილი სამეცნიერო აპარატშია და არა ძირითად ტექსტთან.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ზეპირ გამოსვლებთან დაკავშირებით სარედაქციო შენიშვნებში არა-ფერია ნათევამი იმის შესახებ, თუ რა პრინციპით არჩევდნენ გამოცემაში შესატანად მნერლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვის მოცულობას და არა წარმოთქმის ადგილს, ტექსტის შინაარსს ან მნიშვნელობას. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ

1 ჭავჭავაძე, 1997: 219-220.

2 ჭავჭავაძე, 2007: 250.

3 ჭავჭავაძე, 2007: 191.

4 ჭავჭავაძე, 2005: 220.

სხვადასხვა იუბილეზე, დაკრძალვასა და საზეიმო შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვების გარდა, აქ არის: „სიტყვა წარმოთქმული 3 თებერვალს თფილისის თავადაზნაურობის კრებაში“, „სიტყვა წარმოთქმული თფილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებაში მაისის 18-ს“¹ და სხვ. მაგრამ არ არის შეტანილი ასეთ-სავე კრებებზე წარმოთქმული შედარებით მცირე მოცულობის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოსვლები. საერთო პრინციპი დარღვეულია იმითაც, რომ ერთგან აკადემიურ გამოცემაში ისეთი მოკლე გამოსვლაც არის შეტანილი, რომელიც არის არა დამოუკიდებელი სიტყვა, არამედ პასუხი შეკრებაზე დასმულ კითხვაზე.² ბუნებრივია, მსგავსი მოკლე გამოსვლებიც ძალზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის სრული სურათის წარმოსაჩენად, მაგრამ მათი იმავე პრინციპით გამოქვეყნება, განსხვავებული საგამომცემლო მიდგომის გარეშე, არ შეიძლება.

იუბილეებზე, დაკრძალვებსა და საზეიმო შეხვედრებზე წარმოთქმული სიტყვები ერთიანი სტრუქტურისა და ერთი მიზან-დასახულობის მქონე შეკრული, თვითკმარი ტექსტებია. სულ სხვა ვითარება გვაქვს, როდესაც მწერლის ესა თუ ის გამოსვლა ინტერაქტიული პროცესის ნაწილია, მაგ., დიალოგის, ამა თუ იმ სხდომაზე გამართული პოლემიკისა და სხვ. ასეთი გამოსვლები არ არის დამოუკიდებელი ერთეულები, რომლებსაც თავიანთი შესავალი, ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურული კომპონენტები და დასკვნა აქვს. ისინი სხვა ერთეულის (სხდომის, წვეულების, ღონისძიების მთლიანი პროცესის) შემადგენელი ნაწილებია და მნიშვნელოვანილად არის განპირობებულია სხვათა გამოსვლებითა და ქმედებებით. ამიტომ, ამგვარი ტექსტების სამეცნიერო აპარატის შენიშვნებსა და კომენტარებში ამომწურავი ინფორმაცია უნდა იყოს კონტექსტის შესახებ.

1987 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულისთვის შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, ფრაგმენტული ზეპირი

1 ჭავჭავაძე, 1997: 16, 35.

2 ჭავჭავაძე, 2007: 191-193.

გამოსვლების გამოცემაში შეტანა გათვალისწინებული არ იყო. მსგავს პრეცედენტს ვერც უცხოურ აკადემიურ გამოცემებში მივაკვლიეთ. მაგრამ რაკი ფრაგმენტული გამოსვლები ძალზე მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის სურათის უფრო სრულყოფილად წარმოჩენისთვის, გადავწყვიტეთ მათი გამოქ-ვეყნება თხზულებათა აკადემიური გამოცემის დარჩენილ – მე-19 ტომში. ამიტომ, „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტ ესმა მანიასთან ერთად, რო-მელიც ამ ტომზე მუშაობდა, შევიმუშავეთ აკადემიური საგა-მომცემლო კონცეფცია. ტექსტების სპეციფიკურმა ფორმატმა საკვლევი წყაროებისადმი მაქსიმალურად მისადაგებული სტრა-ტეგის გამოყენების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა. ამოსავალ პრინციპად ავიღეთ მათი ისეთი ფორმითა და დამხმარე აპარატით მიწოდება მკითხველისთვის, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სპე-ციფიკური მასალის სრულყოფილ აღქმას.

შემუშავებული აკადემიური მიდგომის მიხედვით, გამოცემაში უნდა შეგვეტანა მხოლოდ ის ტექსტები, რომლებსაც პერიოდული გამოცემის პუბლიკაციაში ჰქონდა პირდაპირი ნათქვამის ფორმა, მაგ., ეწერა: „თ. ი. ჭავჭავაძე“ ორწერტილით, „თ. ი. ჭავჭავაძემ თქვა:“ და შემდეგ მოსდევდა ბრჭყალებში ჩასმული ტექსტი. რამ-დენადაც ერთსა და იმავე სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები, ძირითადად, ერთ თემას უკავშირდებოდა, გადავწყვიტეთ, რომ გამოსაქვეყნებელ უმსხვილეს ერთეულად აგვერჩია კონკრეტული სხდომა და სათაურში მიგვეთითებინა როგორც სხდომის რაობა (რომელი საზოგადოების სხდომა იყო), ისე ჩატარების თარიღი. თუ სხდომა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, გადავწყვიტეთ ცალკე ინდექსებად გამოგვეყო ყველა ის დღე, როდესაც ილია ჭავჭავაძე ერთხელ მაინც გამოვიდა სიტყვით, ხოლო თითოეული დღის გა-მოსვლები გამოგვეყო რუპრიკით „გამოსვლა“. შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის ნებისმიერი ჩართვა სხდომაში, მოკლე იქნება თუ ვრ-ცელი, ფაქტობრივი თუ რეპლიკის სახით წარმოთქმული, უნდა დაგვეყო „გამოსვლებად“ და ისინი დაგვენომრა (მაგ.: გამოსვლა

1, გამოსვლა 2, გამოსვლა 3, და ა.შ...). ყოველი ასეთი ჩანართი მზარდი ნუმერაციით უნდა შესულიყო ტომის ძირითად ტექსტურ ნაწილში ყოველგვარი დამატებითი შენიშვნისა და განმარტების, კონტექსტის ახსნის მცდელობის გარეშე. ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებში გამოსვლათა რაოდენობა მერყეობდა 1-დან 13-მდე.

აკადემიურ გამოცემაში გამოსაქვეყნებელი მასალა ავთენტური უნდა იყოს. ამ ფუნდამენტური პრინციპის გამო, ილია ჭავჭავაძის სიტყვების ის დიდი და საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაკვეთები, რომლებიც ანგარიშის ავტორებს თავიანთ მიმოხილვებში მესამე პირის ფორმით ჰქონდათ მოყვანილი, გამოცემის გარეთ უნდა დარჩენილიყო. მაგ., ვგულისხმობთ ასეთ პასაუებს: „თავ. ილ. ჭავჭავაძე ამბობს, ეს საკითხი ბევრჯელ წამოყენებულაო. სამინისტრომაც აღძრა ეს საკითხი და ამის შესახებ მოწერილობაც მოგვივიდა, მაგრამ ჩვენ ვუპასუხეთ, დამფასებელი კომისია განსაკუთრებული ორგანოა და ჩვენ უფლება არა გვაქვს ფაქტიურად კონტროლი გავუნიოთო. ამით ჩვენ საქმეს ვერ ვუშველით, უფრო წავახდენთ, რადგან ეს კომისიისადმი უნდობლობას მოწმობს, უნდობლობა კი საქმეს სარგებლობას ვერ მოუტანსო. თავ. ჭავჭავაძის აზრით, გამგეობას არ შეუძლიან თავზე იდოს ეს მოვალეობა, რადგან ისედაც ბევრი საქმე აქვს და, გამგეობის წევრებმა კონტროლის გასაწევად აქეთ-იქით რომ იარონ, სხვას ვეღარაფერს გააკეთებენო. მთელის ქვეყნის ბანკები იმ საკითხის გამო, რომ მამულები მეტ ფასში არ გირავდებოდეს, თავს იმტვრევენ, მაგრამ ვერაფერი გამოუგონიათ. თუ თვითონ დამფასებელი პატიოსანი და მცოდნე კაცი არაა, ბანკი ყოველთვის იზარალებს.“¹ სხვათა სიტყვის „ო“-ებით წარმოდგენილი ეს აზრები სულ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, მაგრამ მიმოხილვის ავტორმა ისინი ირიბ თქმაში წარმოადგინა და თავის თავზე არ აიღო პასუხისმგებლობა მათ სიტყვა-სიტყვით სიზუსტეზე. ამიტომ ამ პასუხისმგებლობას ვერც ჩვენ ავიღებთ და ამგვარ ტექსტებს მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ვერ შევიტანთ.

ირიბ თქმაში გადმოცემული მნიშვნელოვანი ტექსტები აკადე-

1 ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო... 1892: 2-3.

მიური გამოცემის გარეთ რომ არ დარჩენილიყო, გადავწყვიტეთ, ისინი მაქსიმალურად გამოგვეყენებინა სამეცნიერო აპარატში სხდომის შინაარსის აღნერისას. რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ამ პუბლიკაციაში თუნდაც ერთი პირდაპირი ნათქვამი მაინც არის, რომელიც შეგვაქვს ტომში. სხვაგვარად ვერ მოვიქცევით, რადგან მესამე პირის ნათქვამებისა და პერიფრაზების პუბლიკაცია აკადემიური გამოცემის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

რამდენადაც საქმე გვაქვს მეტად სპეციფიკურ მასალასთან, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი მთლიანობის (სხდომის მსვლელობა) სხვადასხვა ადგილიდან ამოლებული ფრაგმენტებია, მათი ამ სახით მიწოდება მკითხველისთვის, დამხმარე სამეცნიერო აპარატის გარეშე, ტექსტების ადეკვატურ აღქმას შეუძლებელს გახდის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ აპარატში, „შენიშვნის“ რუბრიკაში, მიგვეთითებინა განსახილველი საკითხები, რასაც ეხებოდა ეს სხდომა, კომენტარებში კი განგვემარტა ყველა ფრაზა, რომელთა გასაგებადაც საჭიროა სპეციალისტის მხრიდან მკითხველისთვის გარკვეული დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ტომს დაერთვება პირთა ანოტირებული საძიებელიც, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის მასში მოხსენიებულ თითოეულ სუბიექტზე. ვფიქრობთ, ასეთი კონცეფციის საფუძველზე მომზადებული – მოხერხებულად სტრუქტურირებული და კომენტირებული – მასალა მკითხველისთვის იოლი აღსაქმელი იქნება.

§4. უბის წიგნაკებისა და კერძო ჩანაწერების გამოქვეყნების მნიშვნელობა

ქართველ მწერალთა მხატვრული თხზულებები არაერთგზის არის გამოქვეყნებული როგორც უურნალ-გაზეთებსა და კრებულებში, ისე ცალკეული ნაწარმოებების გამოცემების, რჩეულებისა და თხზულებათა კრებულების სახით. ილია ჭავჭავაძის

თხზულებათა გამოცემებიდან, შედგენილობის თვალსაზრისით, ყველაზე მოცულობითი მწერლის თხზულებათა ოცტომეულია. მასში, მხატვრული ნაწარმოებების გარდა, მაქსიმალურად სრულად დაიბეჭდა პუბლიცისტური თხზულებები და პირადი წერილები, დაუმთავრებელი ტექსტები და „სავარაუდონი“. დღეისათვის გამოცემულია თვრამეტი ტომი და, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-20 ტომი მთლიანად ბიბლიოგრაფიული ხასიათისა უნდა იყოს, გამოსაქვეყნებელი დარჩა მხოლოდ მე-19 ტომის მასალა.

მე-19 ტომში შემავალი მასალის უდიდესი ნაწილი დაცულია მწერლის არქივსა და პირად ბიბლიოთეკაში. იგი დღემდე სწორედ იმიტომ არ არის გამოქვეყნებული, რომ თავისი სპეციფიკით არ მიეკუთვნება „საპუბლიკაციო ხასიათის“ ტექსტებს. ბუნებრივია, არც უბის წიგნაკის კერძო ჩანაწერები, არც სხვათა წიგნებიდან ამონერილი ჰასაუები და მათი კომენტარები, არც წიგნებზე მინაწერები და არც მწერლის მიერ წაკითხული ნაშრომების არშიერებზე მიწერილი შენიშვნები მას გამოსაქვეყნებლად არ შეუქმნია. ისინი სხვადასხვა დანიშნულებით იწერებოდა: ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული დეტალების (შემოსავალ-გასავლის, რეცეპტების, მისამართების და სხვ.) საკუთარი თავისთვისვე შესახსენებლად, სხვათა ნაშრომების ისეთი პასაუების ხელმისაწვდომად, რომლებიც მას ან კონკრეტულ სიტუაციაში სჭირდებოდა, ან, ზოგადად, აინტერესებდა და სხვ. მართალია, სალექსიკონო მასალა და სტატიების გეგმა-მონახაზები მომავალში შეიძლებოდა ლექსიკონად და სტატიად ქცეულიყო, მაგრამ არქივში დაცულ ამ ტექსტებს ნედლი მასალის სტრუქტურა აქვს და არა გამოსაქვეყნებლად გამზადებულისა. ამ სახის დაუმუშავებელი მასალა, საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკით, ქვეყნდება მხოლოდ კლასიკოსთა თხზულებების სრულ აკადემიურ გამოცემებში. გარდა ამისა, პირადი მოხმარებისთვის შექმნილი, პირდაპირობითა და უშუალობით აღბეჭდილი ეს ტექსტები სარკესავით ირეკლავს ეპოქის სახეს – ასახავს გარკვეული სოციალური ფენის ყოფას, მათ პრობლემებს, ინტერესებს, მისწრაფებებს და ამ მხრივაც ფრიად საინტერესოა.

უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების აკადემიურად გამოცემის გამოცდილება, მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით, საკმაოდ მნირია. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძის მე-19 ტომში, ამ ტიპის მასალის გამოქვეყნების მიზნით, საჭირო გახდა საერთაშორისო პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლა. ამისათვის გავეცანით უბის წიგნაკებისა და ჩანაწერების მეცნიერულად და აკადემიურად გამოცემის შემთხვევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედთა მემკვიდრეობის მაგალითზე.

მეცნიერული პრინციპები და მიღებობები უდევს საფუძვლად ინგლისელი მწერლის, თომას პარდის, უბის წიგნაკთა გამოცემას. მასში ზუსტად არის ალნუსხული ავტოგრაფები, გადახაზული ადგილებითა და ჩასწორებებით, და წიგნს ახლავს მდიდარი საძიებლები (Taylor, 1979). ბევრი მწერალი უბის წიგნაკებს დღიურების ჩასაწერად იყენებდა. ასეთ შემთხვევაში გამომცემელთა ინტერესი მათდამი უფრო დიდია. ინგლისელი პოეტისა და საზოგადო მოღვანის, სამუელ კოლრიჯის, 28 უბის წიგნაკის ჩანაწერები, სათანადო შენიშვნებით, 5 ტომად გამოიცა (Coburn, and Harding, 2002). კოლრიჯის ინტერესთა სფეროებიდან გამომდინარე, მისი ჩანაწერებიც მრავალფეროვანია – ეხება ლიტერატურას, ფილოსოფიას, პოლიტიკას, ფიქტოლოგიას, არქეოლოგიას, ბიბლიას, სახვით ხელოვნებას, მეცნიერულ და სამედიცინო სიახლეებს და სხვ. მათში ასახულია ცნობილ მწერლებთან, სწავლულებთან, მეცნიერებთან, საეკლესიო მოღვაწეებთან, პოლიტიკოსებთან, ექიმებთან და მხატვრებთან შეხვედრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები.

ამერიკელ მწერალს, სკოტ ფიცჯერალდს, საკუთარი თავის მემატიანეს უწოდებდნენ, რადგან დაწვრილებით აღწერდა თავის ცხოვრებას. უბის წიგნაკები, რომლებმიც ის დღიურს აწარმოებდა, მისი ერთგვარი სახელოსნოცაა და ქრონიკაც. მათში ის რეგულარულად იწერდა აზრებსა და დაკვირვებებს, რაშიც იკვეთება მწერლის გონიერება, პათოსი, წარმოსახვის უნარი, შეგრძნებები და ლიტერატურული გემოვნება. მათში 2078 ჩანაწერია. გამოცემას ახლავს კომენტარები (Brucoli, 1978).

ამერიკელი პოეტი და ნოველისტი ჯეიმს დიკი წერდა, რომ უბის წიგნაკები მწერლებისთვის ბიბლიასავით უნდა იყოს. მკითხველზე მათი ზემოქმედების ძალა ისეთია, რომ ყველას აღუძრავს წერის სურვილს. საგულისხმოა, რომ თავად ფიცჟერალდის მწერლად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია სამუელ ბატლერის უბის წიგნაკებმა, რომლებიც მისთვის, როგორც პრინსტონის უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, ხელმისაწვდომი იყო.

ლეონარდო და ვინჩიმ, თავის ფასდაუდებელ შემოქმედებას-თან ერთად, დატოვა უამრავი ავტოგრაფი, მაგრამ, ხელოვანის ხელნერის საოცარი სპეციფიკის გამო, მათი ამოკითხვა მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მხატვარი ცაცია იყო, წერდა მარჯვნიდან მარცხნივ და თან ძალიან გაურკვეველი ასოებით. გარდა ამისა, არ იყენებდა პუნქტუაციას და თავისუფლად ეპყრობოდა სიტყვათა სტრუქტურას – ზოგ მათგანს შუაზე წყვეტდა, მოკლე სიტყვებს აერთიანებდა ერთ ლექსიკურ ერთეულად და ა. შ. მის ჩანაწერებში ერთსა და იმავე გვერდზე შეიძლება შეგვხვდეს სრულიად განსხვავებული ტექსტები, მაგალითად, დედამიწის მოძრაობის ასტრონომიულ პრინციპებზე, ბეგერის თვისებებზე, ფერთა შეხამებაზე, ნაწლავების აგებულებაზე, პოეზიისა და მხატვრობის ურთიერთდამოკიდებულების ფილოსოფიურ ასპექტებზე, შუქისა და ჩრდილის თანაფარდობაზე, სისხლის მიმოქცევასა და ფერწერის ფილოსოფიაზე, თვალის აგებულებაზე, ფერთა თეორიასა და ადამიანის სხეულის პროპორციებზე და სხვ. მის არქივში დაცული 5000 გვერდიდან ნახევარი ცალკეულ ფურცლებზეა შესრულებული. გამომცემელთა მიერ ამ ფურცლებისთვის მინიჭებული თანმიმდევრობა პირობითია. ის ფურცლებიც კი, რომლებიც თავად ავტორს დაუნომრავს, ასევე ქაოსურად არის დალაგებული და არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ან რაიმე პრინციპით. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში საქმეს აიოლებს, ისაა, რომ ჩანაწერები ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული და გამოცემაშიც ასეა წარმოდგენილი.

ლეონარდო და ვინჩიმ ჩანაწერების ქრონოლოგია 30-წლიანია,

მაგრამ მისი ხელნერა ამ ხნის განმავლობაში ისე უმნიშვნელოდ შეიცვალა, რომ კალიგრაფიის მიხედვით ტექსტების თანმიმდევრობის გარკვევა ან დათარიღება შეუძლებელი იყო. გამომცემლებმა მოახერხეს მხოლოდ იმ უბის წიგნაკების დათარიღება, რომლებშიც ფურცლები არ იყო გადაადგილებული და ერთგან მაინც იკითხებოდა დროზე მინიშნება. ამის საფუძველზე დაათარიღეს არაერთი ჩანაწერი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მათი შინაარსის ერთიანად გასააზრისბლად და დადგენილი ლოგიკის სხვა უბის წიგნაკებისადმი რაციონალურად მისასადაგებლად. გამოცემაში წარმოდგენილი 1566 ჩანაწერიდან თითოეულს მიენიჭა ნომერი და დალაგდა სავარაუდო თანმიმდევრობით, თემატიკის გათვალისწინებით. ამას-თანავე, თითოეულთან არის მითითებული ავტოგრაფის ნომერი და გვერდი, რითაც მკითხველი შეძლებს მიიღოს ინფორმაცია, რა სახის ტექსტებია განლაგებული ერთმანეთის მიყოლებით.

1651 წელს რაფაელ დიუფრესნმა პარიზში გამოაქვეყნა ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერები ფერწერული ხელოვნების შესახებ. წიგნი ისეთი პოპულარული გახდა, რომ მალე ექვს ენაზე ითარგმნა და ზედიზედ 22-ჯერ გამოიცა. იმ პერიოდში თავად ლეონარდოს ავტოგრაფები დაკარგულად ითვლებოდა და ეს გამოცემა ეყრდნობოდა ადრეულ ასლებს, რომლებშიც მისი ჩანაწერები ნაწყვეტების სახით იყო წარმოდგენილი. ამის შემდეგ იგივე ტექსტები გამოიცა ჯერ 1817, შემდეგ კი 1882 წელს, მაგრამ ახალ გამოცემებშიც აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზები ტექსტების ავთენტურობის თვალსაზრისით.

1970 წელს ორ ტომად გამოიცა ლეონარდო და ვინჩის ჩანაწერები, რომლებიც ავტოგრაფებს ეყრდნობა და, წინა გამოცემებთან შედარებით, ბევრად უფრო სარწმუნოა (Richter, 1970). ეს გამოცემა განმეორდა 2016 წელსაც, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ინტერესი ამ ტექსტებისადმი არ განელებულა. ჩანაწერები ეხება მხატვრობას, ქანდაკებას, ქალაქის დაგეგმარებას, არქიტექტურას, მექანიკურ კონსტრუქციებს, ასტრონომიას, ანატომიას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, ფიზიოლოგიას, გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, მუსი-

კას. ასევე, ისინი ასახავს მხატვრის შემოსავალ-გასავალს და იმ წიგნების სათაურებს, რომლებსაც კითხულობდა.

1935 წლიდან გარდაცვალებამდე ალბერ კამიუ უბის წიგნაკებში იწერდა თავის აზრებს ომისა და სიკვდილის, მარტოობის, ქალებისა და ხელოვნების შესახებ, მონახაზებს მომავალი თხზულებებისთვის, დიალოგებს, ამონაწერებს წაკითხული წიგნებიდან. 2010 წელს წიგნად გამოვიდა სამ უბის წიგნაკში ჩაწერილი მისი დღიურები, რომლებიც ფასდაუდებელი წყაროა მწერლის სულიერი და ინტე-ლექტურულური ბიოგრაფიის საკვლევად, რადგან მათში უფრო მეტია საუბარი განცდებზე, ვიდრე ქმედებებზე (Camus, 2010). ანდრეი პლატონოვი საუბრობდა ალბერ კამიუს უბის წიგნაკებზე, როგორც განსაკუთრებულ ლიტერატურულ უანრზე, და არა როგორც მხა-ტვრული ნაწარმოებების „ნედლეულზე“ (Платонов, 2000: 279).

ცნობილი ამერიკელი პროზაიკოსის, ჰენრი ჯეიმსის, არქივ-ში დაცულ უბის წიგნაკებში ჩანიშნულია იდეები რომანებისა და მოთხოვებისათვის, რომლებიც მას განუხორციელებელი დარჩა. იმისათვის, რომ ეს იდეები გაეცოცხლებინათ, მოიწვიეს ამ მწერლის მოყვარული 10 საუკეთესო თანამედროვე ავტორი და დაავალეს ჯეიმსის ჩანახატებზე ნოველების შექმნა. დაიწერა სტილურად სრუ-ლიად განსხვავებული ინტერპრეტაციები, რომლებიც ჰენრი ჯეიმ-სის მკვლევარმა ფილიპ ჰოუმმა წიგნად გამოსცა თავად ჯეიმსის დღიურების მოკლე ჩანაწერებთან ერთად (Home, and Wood, 2018).

ირლანდიელი მწერლის, სამუელ ბეკეტის, გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა ექვსი უბის წიგნაკი, რომლებშიც არის დღიურები 1936-1937 წლებში ნაცისტურ გერმანიაში მისი მოგზაურობის შესახებ. მარკ ნიქსონმა ჩაატარა ამ დღიურე-ბის საფუძვლიანი შედარებითი კვლევა უფრო ადრეულ უბის წიგნაკებთან, წერილებთან და ჩანაწერებთან და წარმოაჩინა ბეკეტის მწერლად ჩამოყალიბების პროცესი. მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი წერის მანერა, თვითჩაღრმავება და ვი-ზუალური ხელოვნების გავლენა სწორედ ამ დღიურებიდან იღებს სათავეს (Nixon, 2011).

ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტის, თომას ჯეფერსონის, ადრეულ უბის წიგნაკებში წარმოდგენილია მისი ფინანსური დღიურები (Bigelow, 1885). თეოდორ დოსტოევსკის უბის წიგნაკები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერთან ერთად, მწერლის გარდაცვალების შემდეგ მაღლევე გამოქვეყნდა მის თხზულებათა აკადემიური გამოცემის XIV ტომში (Достоевский, 1881).

ლევ ტოლსტოის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული მოიცავს 90 ტომს, რომელიც დაიბეჭდა 1928-1958 წლებში. ეს უნიკალური აკადემიური გამოცემა – ტოლსტოის მემკვიდრეობის ყველაზე სრული კრებული – დიდი ხანია იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. უბის წიგნაკების ჩანაწერები გვხვდება ამ გამოცემის ოთხ ტომში, სხვადასხვა ხასიათის მასალასთან ერთად, შემდეგი კონფიგურაციით: დღიურები და უბის წიგნაკები; დღიურები, უბის წიგნაკები და ცალკეული ჩანაწერები; დღიურები და უბის წიგნაკები; ქრისტიანის ჩანაწერები, დღიურები და უბის წიგნაკები.

საყურადღებოა, რომ ცალკე კომპონენტებად არის გამოყოფილი, ერთი მხრივ, „უბის წიგნაკები“ და, მეორე მხრივ, „ცალკეული ჩანაწერები.“¹ სავარაუდოდ, ცალკეული ჩანაწერები უბის წიგნაკებისგან საწერი მასალის ფორმით განსხვავდება. ისინი, შესაძლოა, შესრულებული იყოს დაშლილ, ცალკეულ ფურცლებზე. უბის წიგნაკებისა და დღიურების ერთად გამოქვეყნების ლოგიკა პირადი დანიშნულების ტექსტების გაერთიანებაზე არის ორიენტირებული. ტოლსტოის შემთხვევაში ერთ თავისებურებასთან გვაქვს საქმე: თავისი მოსაზრებები და დაკვირვებები მას თავიდან უბის წიგნაკებში შეჰქონდა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, როცა დიდი რაოდენობით გროვდებოდა, მნიშვნელოვანი შესწორებებით გადაჰქონდა დღიურში. ამ გზით, მისი უბის წიგნაკები ერთგვარად დღიურების პირველადი, შავი ჩანაწერებია.

საგულისხმოა, რომ დღიურებში ლევ ტოლსტოი ყოველთვის მიანიშნებს იმის თაობაზე, თუ რომელი უბის წიგნაკიდან არის ის გადაწერილი, უბის წიგნაკები კი არ უთითებს, რომელ დღიურშია

1 Толстой, 1937.

გადატანილი ეს ჩანაწერი. გვხვდება ე. წ. საიდუმლო დღიური, რომელსაც ის 1908 წელს 17 დღის განმავლობაში აწარმოებდა – ინერდა თავის მძაფრ შინაგან განცდებს. 1907 წლიდან ჩანაწერებს ინიშნავდა „ჯიბის ყოველდღიურში.“ სარგებლობდა ასევე „დღის წიგნაკითა“ და „ღამის წიგნაკით.“ „დღის წიგნაკი“, ჩვეულებრივ, საწერ მაგიდაზე, ან პერანგის ჯიბეში ედო, „ღამის წიგნაკი“ კი – ღამის სამუშაო მაგიდაზე, საძინებელში. ამ წიგნაკს ავტორი იყენებდა საღამოობით, ან შუალამისას, გამოლვიძებულზე. ლევ ტოლსტოისთან ხშირად გვხვდება მრავალრიცხოვანი ჩანაწერები, როგორც მოსამზადებელი მასალა, შემდგომში ცნობილი ნაწარმოებების შესაქმნელად, მათ შორის, „ალღომის“ პირველი ჩანაფიქრები და ამ რომანზე მუშაობის საწყისი ეტაპები.

აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ავტორი თავად გეგმავს საკუთარი პირადი ჩანაწერების გამოცემას. მაგალითად, ანტონ ჩეხოვმა, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში გადაწყვიტა საკუთარი უბის წიგნაკების გამოცემა, მელნით მონიშნა მათში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პასაჟები და თავადვე გადაიტანა ისინი სხვა უბის წიგნაკში. ჩეხოვის უბის წიგნაკები მას შემდეგაც არაერთხელ გამოიცა, მათ შორის, დღიურებთან და ცალკე ფურცლებზე შესრულებულ ტექსტებთან ერთად (Чехов, 2010).

მწერალმა და ურნალისტმა სერგეი დოვლათოვმა იმისათვის, რომ მისი ჩანაწერები მკითხველისთვის მოსაწყენი არ გამხდარიყო, გამოსაცემად მომზადებისას მათი მოცულობა მნიშვნელოვნად შეამცირა (Довлатов, 2016).

დღეს ზოგიერთი მწერლის უბის წიგნაკებს ინტერნეტში ცალკე გვერდიც კი ეთმობა. ასეთია, მარინა ცვეტაევას ვებგვერდი, რომელზეც უბის წიგნაკები მათი დაწერის წლების მიხედვით არის განლაგებული (Цветаева, 2000). აქვე ცალკეა გამოყოფილი რვეულში გაკეთებული შერეული ჩანაწერებიც. ვებგვერდზე ძალიან მდიდარი მასალაა, მაგრამ ტექსტებს არ ახლავს სამეცნიერო აპარატი, რომელიც მას კიდევ უფრო სრულყოფილს და ანგარიშგასაწევს გახდიდა.

უბის წიგნაკებში სიუჟეტების, მოვლენების, რეპლიკების, დიალოგების, ჩანახატების, მისტიფიკაციების დიდმა წილმა შეიძლება მცდარ კვალზე დაგვაყენოს, რადგან ჩანაწერები ხშირად სრულდება ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ფრაგმენტულად, ადგილის, დროისა და გარემოებების მითითების გარეშე, გამოყენებულია ინფორმაციის სრულებით განსხვავებული წყაროები, პირადი დაკვირვებით დაწყებული, მითქმა-მოთქმითა და ლეგენდებით დასრულებული. მოვლენათა აღქმა კერძო ჩანაწერებში განპირობებულია მსოფლმხედველობისა და ფსიქიკის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ამ „ქაოსის“ განმაპირობებელი შინაგანი მოტორიკის კანონზომიერების კონტრულების მიგნება აუცილებელი პირობაა რთულად სტრუქტურირებადი უბის წიგნაკების გამოსაცემად.

ჩნდება კითხვა: არსებობს თუ არა მწერლების კერძო ჩანაწერების შესწავლის აუცილებლობა? მხატვრული ლიტერატურის შემსწავლელ მეცნიერებას ამ კომპონენტების გარეშეც შეუძლია ფონს გასვლა, რადგან ეს ტექსტები არ არის მიჩნეული ლიტერატურული შემოქმედების უანრად. უკეთს შემთხვევაში, მათ განიხილავენ, როგორც სამუშაო მასალას მხატვრული ნაწარმოებების დასაწერად და გასამართავად. არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, კერძო ჩანაწერებს შესწევს უნარი, დაანგრიოს სიუჟეტებისა და ხასიათების პირველადი ჩანაფიქრები, რადგან აქვს ფაქტოგრაფიულობისა და მკითხველზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების დიდი ძალა. მყისიერი სიტყვიერი ჩანახატები წარმოდგენას გვიქმის მხატვრის დაკვირვების, მოვლენისა თუ პორტრეტის ძირითადი ხაზის მოხელთების უნარზე (Платонов, 2000: 6-8). ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთ უბის წიგნაკში ჩანიშნული ფრაზა: „ჯაყო გმინვაა ჩემი სულისა“ (ჯავახიშვილი, 2005: 110), რომლიდანაც საოცარ უშესალობით ჩანს ავტორის დამოკიდებულება საკუთარი პერსონაჟისა და, ზოგადად, ამ ნაწარმოებისადმი.

ხშირად ხდება ისე, რომ კერძო ჩანაწერები არა მხატვრული პროზის, არამედ პუბლიცისტური და ესეისტური ბუნებისაა, თუმ-

ცა წმინდა სახით ამ წყაროებში არც პუბლიცისტიკა გვხვდება და არც ესეისტიკა. ეს იმით აიხსნება, რომ კერძო ჩანაწერები დაფუძნებულია მწერლის უშუალო შთაბეჭდილებებზე და ბევრ შემთხვევაში გვაგონებს დღიურს, რომელიც ივსება რაიმე სახის კონკრეტული გეგმის გარეშე. აქ მთავარ მოქმედ გმირად გვე-ვლინება თვით ავტორი.

ჩანაწერებსა და დღიურებში პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის ელემენტებს იყენებენ არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბარია მოვლენაზე, ფაქტზე ან შემთხვევაზე, არამედ მაშინაც კი, რო-დესაც ავტორი მიმართავს კომენტარებსა და დახასიათებებს. ავტორის ინკლუზიურობა, მოვლენაში ჩართულობა, აქტუალობის შეგრძნება, აწმყოზე ორიენტირებულობა, რაც პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის მახასიათებლებია, გარკვეულწილად ჩანაწერების ბუნებასაც ეხმიანება. დოკუმენტური უანრებისადმი თანამედროვე მკითხველის მზარდი ინტერესიდან და მათი უახლესი გამოცემე-ბის სიმრავლიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, დროთა განმავლობაში კერძო ჩანაწერები ცალკე უანრად განვითარდეს.

საქართველოში გამოცემული უბის წიგნაკები და ჩანაწერე-ბი, ძირითადად, პოპულარული ხასიათისაა და გამომცემელთა შეხედულების მიხედვით არის შერჩეული. კერძო ჩანაწერების გამოცემების უმრავლესობას არ ახლავს სამეცნიერო აპარატი – კომენტარები, შენიშვნები, ანოთაციები, საძიებლები, ტექნიკური და არქეოგრაფიული მონაცემები. იშვიათად ვხვდებით მცირე კომენტარს „განმარტებისთვის“ და პირთა საძიებელს. ასეა, მა-გალითად, მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკების შემთხვევაში. გამოცემის შენიშვნებიდან ვიგებთ, რომ გამომცემლებს არ გაუმ-ჟღავნებიათ ზოგიერთი ადრესატის გვარი, პირადი დანახარჯის, გასაცემი ან მისალები თანხის ანგარიშები და ა. შ.

დღესდღეობით ამგვარად გამოცემულია არაერთი მეცნიერის, მწერლისა თუ პოეტის, საზოგადო მოღვაწის, პოლიტიკოსის, მხატვრის, რეჟისორის, მთარგმნელის (ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე, ლევან ბრეგაძე, რეზო კვესელავა, ესმა ონიანი, გელა

ჩარკვიანი, იგანე ამირხანაშვილი, ნოდარ წულეისკირი, ზურაბ კიკნაძე, აკაკი განერელია, ლერი ალიმონავი, გურამ ბათიაშვილი და სხვ.) ჩანაწერები. მეტად ფართოა ამ გამოცემების „ჩანაწერების“ თემატურობა და ფორმის (ჟანრს ვერ დავარქმევთ) კონფიგურაცია. მათში გაერთიანებულია უბის წიგნაკები, დღიურები, ე. წ. მარგინალიები, გამოსვლები უკერანოდ, მინაწერები მხატვრულ ტილოებზე, სამოგზაურო ნარკვევები და სხვ.

გელა ჩარკვიანი თავისი ჩანაწერების რაობასა და რაგვარობაზე ასე საუბრობს: „გულზე ხელს დავიდებ და გულწრფელად გეტყვით, არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემს უბის წიგნაკები დარჩენილი ფრაზები და პასაუები, რომლებიც მემუარული წიგნის წერისას ვერ გამოვიყენე, თავად დაიდებდნენ ბინას ამ გამოცემაში. ამიტომ დავარქვი მას „ნაგერალა“ (ჩარკვიანი, 2014: 7). საბა ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „დაუთესავად მოსულს.“ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „ნაგერალა – მოსავლის აღებისას მინაში ჩაბნეულ და ჩარჩენილ თესლიდან აღმოცენებული კულტურული მცენარე.“ ავტორი ამ ამონარიდში რამდენიმე საკვანძო, პირადი ჩანაწერებისთვის ნიშანდობლივ მომენტს ეხება. ის, რომ ეს მასალა მემუარისგან არის „გადარჩენილი“, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ის არასოდეს ყოფილა პუბლიკაციისთვის გამიზნული. საგულისხმო ფრაზაა ასევე „დაუთესავად მოსული“, რაც ამ სახის მასალის არაცნობიერ, არაკოგნიტურ შრეებსა და წარმომავლობას უსვამს ხაზს. ავტორის აღწერით, ის ცნობიერი პროცესის პარალელურად იბადება და მას სრულიად თავისებური, ავტორის განზრახვისგან დამოუკიდებელი განვითარების გზა აქვს.

მწერლების კერძო ჩანაწერების პუბლიკაციას ერთი ტენდენცია ახასიათებს: საგამომცემლო ჯგუფი უმრავლეს შემთხვევაში პრიორიტეტს ანიჭებს ისეთი ჩანაწერების შეტანას კრებულებში, რომლებშიც მხატვრული ნაწარმოებების შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესია ნაჩვენები. ზემოხსენებული მიდგომით აიხსნება ის, რომ კერძო ჩანაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ შედის თხზულებათა სრულ გამოცემებში და მათი გაცნობა შე-

საძლებელია მხოლოდ პირად არქივებში. ჩანაწერებს დღემდე არ მიიჩნევენ დამოუკიდებელ ჟანრად. ლიტერატურული პროცესების ამსახველ ენციკლოპედიებში, სახელმძღვანელოებში, კვლევებში „ჩანაწერები“ თითქმის არ ფიგურირებს.

ამ სირთულის მიუხედავად, წერილობითი მემკვიდრეობის ამ სეგმენტის გამოქვეყნება მაინც დგება დღის წესრიგში, როდესაც საქმე ეხება ისეთ ავტორებს, რომელთა ყოველი სიტყვა ძვირფასია შთამომავლობისთვის, როგორც მათი საქმიანობისა და ინტერესების ამსახველი, მათი ბიოგრაფიის ნაწილი. სწორედ ამიტომ, კლასიკოსთა თხზულებების სრული კრებულების გამოცემისას სიტყვაში „სრული“ რეალურად ამ სახის მასალაც მოიაზრება. სხვა საკითხია, რამდენად სრულია რეალურად ესა თუ ის გამოცემა.

ნებისმიერი ადამიანი რომ დიდი საიდუმლოა უნიკალური ფიზიკური და ფსიქოსომატური მონაცემებით, ეს უდავო ფაქტია ღრმად სეკულარიზებულ დისკურსშიც კი. შესაბამისად, უბის წიგნაკები და სახელდახელო პირადი ჩანიშვნა / ჩანაწერები ძალიან ხშირად სცილდება ინტელექტუალური პროდუქტის ფარგლებსა და მიზანდასახულობას, რაც დილემური სირთულის წინაშე აყენებს საარქივო და საგამომცემლო საქმეს. რაკი კანონის მაღალფორმალიზებელი ბუნება ვერ ფარავს პირადი არქივის პერსონიფიკაციის უნიკალურ ასპექტებს, ამ ტიპის მასალის კვლევაზე პირადი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მკვლევარმა და ასევე გამომცემელმა ჩანაფიქრისა და მიზანდასახულობის ფარგლებში, კვალიფიკირებისა და ეთიკური უნარების გათვალისწინებით. რადგან ეს საკვლევი წყარო საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორის პორტრეტის – მისი ინტერესთა სფეროს, ხასიათის, ცხოვრების სტილის, ხშირად განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შესახებაც გვაწვდის ცნობებს, საჭიროა ბალანსის დაცვა მასალის ავთენტურობასა და ეთიკურ მიდგომას შორის, რისი ხარვეზიც, ძირითადად, პუბლიკაციისას იჩენს ხოლმე თავს.

აქტუალურია კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ სახის ლიტერატურის გამოცემის პრაქტიკას ერთგვარად აფერხებს –

საავტორო უფლება. თუ ავტორი ცოცხალია, რასაკვირველია, პრიორიტეტულია მისი ნება, მაგრამ, თუ გარდაცვლილია, სამართლებრივი ვადების გასვლის შემდეგაც კი პრობლემად რჩება მათი გამოქვეყნების შესაძლებლობა. ხშირია შემთხვევები, როცა ეპისტოლურ და პირად მასალას ახლავს ავტორის ეული გრიფები, რომელთა თანახმადაც, ყველა პირობის მიუხედავად, იკრძალება ამ მასალის პუბლიკაცია. ზოგიერთ შემთხვევაში, მომდევნო თაობა ადებს გამოუქვეყნებლობის გრიფს წინაპართა მემკვიდრეობას. საავტორო უფლებებისა და მემკვიდრეების პრობლემა ერთგვარად ართულებს ამ მრავალმხრივ საინტერესო მასალების გასაჯაროებას. არადა, როგორც გამომცემლები ადასტურებენ, მარკეტინგული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულება სწორედ პირად ჩანაწერთა გამოქვეყნებაა.

§5 სუბსტრატისა და საპუბლიკაციო ერთეულის დიფერენცირება

სიტყვები „უბის წიგნაკი“ და „ჩანაწერი“ ხშირად ერთმანეთთან ასოცირდება, მაგრამ, რამდენადაც მწერალთა არქივებში, უბის წიგნაკების გარდა, არის სხვადასხვა სახის მასალაზე (რვეულის თავისუფალ გვერდზე, წიგნზე, სხვის ხელნაწერზე, სავიზიტო ბარათზე და სხვ.) შესრულებული ჩანაწერები და, მეორე მხრივ, იქვე დაცულია უბის წიგნაკები, რომლებშიც მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებები, მაგალითად, ლექსებია ჩანერილი,¹ საჭიროდ მივიჩნიეთ, ერთმანეთისაგან განგვევალკევებინა ტერმინები – „უბის წიგნაკი“ და „ჩანაწერი“. თუნდაც ილია ჭავჭავაძის მაგალითიდან ჩანს, რომ ამ ორ ტერმინს შორის ორმხრივი მყარი კავშირი არ არსებობს. კერძო ჩანაწერები და ამონაწერები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეიძლება გაკეთდეს სხვა მასალაზეც, უბის წიგნაკი კი შეიძლება დაეთმოს არა ასეთი ტიპის ჩანაწერებს, არამედ ნებისმიერი სახის ტექსტს, თუნდაც პოეზიას. ტერმინს „უბის

1 ჭავჭავაძე, პირადი საარქივო ფონდი №108.

„ნიგნაკი“ ვიყენებთ საწერი მასალის, სუბსტრატის მნიშვნელობით, „ჩანაწერს“ კი მწერლის ხელით უბის ნიგნაკში, რვეულში, ნიგნსა ან ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული „კერძო ჩანაწერის“, „ამონაწერისა“ და „მინაწერის“ აღსანიშნავად, რომელსაც აკადე-მიურ გამოცემაში საპუბლიკაციო ერთეულის ფუნქცია ექნება.

სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა უბის ნიგნაკები ხშირად გა-ნირჩევა შესაბამისი თემატიკით. მწერლებთან ხშირია მხატვრული ნაწარმოების მონახაზები – პერსონაჟთა ხასიათის შტრიხებით, დიალოგებით, რითმის შერჩევის ცდებით და ა. შ. მხატვრებთან – ესკიზები და ჩანახატები, არქეოლოგებთან – ექსპედიციების საველე ჩანაწერები და ა. შ. კორნელი კეკელიძის სახელობის სა-ქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ექვთიმე თაყაიშვილის 65 უბის ნიგნაკი. ძნელი ამოსაცნობი არ არის, რომ ცნობილ ქართველ არქეოლოგსა და ისტორიკოსს უბის ნიგნაკების ასეთი დიდი რაოდენობა, თავისი პროფესიდან გამომდინარე, საველე ჩანაწერებისთვის დასჭირდებოდა. მართლაც, ექვთიმე თაყაიშვილის უბის ნიგნაკებში, ძირითადად, საექსპედიციო მო-გზაურობების ჩანაწერებია. მათში ნაკლებად არის ინტერპრეტა-ციები და ანალიტიკური პასაჟები.

უბის ნიგნაკის ჩანაწერების შინაარსისა და მნიშვნელობის შე-სახებ საინტერესოდ წერს მიხეილ ჯავახიშვილი: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ უბის ნიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს სასაცილოდ არა ჰყოფნისთ. ასე იცინიან ზულუ-სები და ბუშმენებიც, როცა ევროპიელი კბილებს იხეხავს“ (ჯა-ვახიშვილი, 2005: 170). მის უბის ნიგნაკებს, ტექსტის ორგანიზების თვალსაზრისით, ამ კატეგორიის მასალისთვის დამახასიათებელი ქაოსურობა და უსისტემობა არ ახასიათებს. ის სხვადასხვა დანიშ-ნულების მქონე სენტენციათა კრებული უფროა. მათი მკითხველი ადვილად მიხვდება მწერლის ინტერესთა სფეროების წარმოუდგე-ნელ სიმრავლესა და არაგულგრილ დამოკიდებულებას ირგვლივ არსებული თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტების მიმართ.

ის უბის ნიგნაკები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის ლექსებია

ჩანერილი, როგორც ავტოგრაფული წყაროები, გამოყენებულია მწერლის თხზულებათა ოცტომეულის | ტომში, მაგრამ მწერლის არქივში არის სხვა უბის წიგნაკებიც, რომლებიც ავტორს კერძო ჩანაწერებისთვის აქვს გამოყენებული და რომლებიც დღემდე გა- მოუქვეყნებელია. უბის წიგნაკის თავდაპირველი დანიშნულებაც სწორედ ეს იყო. მის კომპაქტურ და მობილურ ხასიათზე მიგვანიშ- ნებს სიტყვის ქართული სახელდებაც – ეს არის წიგნაკი, რომელიც „უბით“ თან უნდა ატარო, რადგან ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება დაგჭირდეს რაღაცის ჩასაწერად. ადრე ინ- გლისურში მას „ჯიბის წიგნაკი“ (pocket book) ერქვა, მაგრამ დღეს- დღეობით ამ სიტყვას უფრო „საფულის“ მნიშვნელობით იყენებენ. ინგლისურში, გერმანულსა და რუსულში უბის წიგნაკის ამჟამინ- დელ სახელდებებში მისი ფუნქციური მხარეა აქცენტირებული. სამივე ენაში მას „შენიშვნების წიგნაკი“ ჰქვია: Notepad / Notebook (ინგლისურში), Записная книжка / блокнот (რუსულში), Notizbuch (გერმანულში). სიტყვა „ბლოკნოტი“ „უბის წიგნაკის“ სინონიმად ქართულშიც გამოიყენება, მაგრამ უფრო ფართო მნიშვნელობით – არ არის აუცილებელი, რომ იგი მცირე ზომისა იყოს.

ილია ჭავჭავაძის უბის წიგნაკების ჩანაწერები არა საჯარო, არამედ პირადი დანიშნულებისაა. ისინი თავიდანვე მოკლებულია საზოგადოებრივ სივრცეში გამოტანის მიზანდასახულობას. შესა- ბამისად, რაკი ეს მასალა წერის პროცესშივე გამორიცხავს სხვა მკითხველს, იგი მხოლოდ საკუთარ თავთან (ვგულისხმობთ უბის წიგნაკის მფლობელს) კომუნიკაციის ავთენტური წყაროა. ამ მიზ- ნით დაწერილ ტექსტს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მოღვაწის პორტრეტზე, მის განწყობებსა და ინტერესებზე დაკვირვებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩანაწერები და ამონაწერები უბის წიგნაკშიც შეიძლება შეგვხდეს და სხვა სახის საწერ მა- სალაზეც, მაგრამ, რამდენადაც თითოეულ კონკრეტულ უბის წიგნაკს მწერალი დროის გარკვეულ ინტერვალში იყენებდა, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში კი იგი მეტნილად ერთნაირი სახის საქმიანობას ეწეოდა, ერთნაირი ინტერესები ამოძრავებდა და ერთნაირი პრობლემების წინაშე იდგა, უბის წიგნაკების ჩანაწე-

რებს შორის ხშირად არის ხილული თუ უხილავი კავშირი. მაგალითად, ერთი უბის წიგნაკი ილია ჭავჭავაძის სამკურნალოდ ყოფნას ემთხვევა პეტერბურგში, მეორე – იმავე მიზნით გერმანიაში ვიზიტს, ზოგიერთი უბის წიგნაკი სახლის მშენებლობის პერიოდშია გამოყენებული და, შესაბამისად, სამშენებლო საკითხების სიუხვით გამოიჩინა, ზოგი ბანკში ვითარების დაძაბვის პერიოდს ემთხვევა და დებატებისთვის საჭირო ამონანერებით არის დატვირთული. ყოველივე ამის გამო უბის წიგნაკების მასალების ერთმანეთთან, ან სხვა ჩანაწერებთან აღრევა არალოგიკურად მივიჩნიეთ და პუბლიკაციისას თავისივე ავთენტურ, თავდაპირველ ხაზს მივყევით.

ილია ჭავჭავაძის ათი უბის წიგნაკი (№56-65) ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მის პირად არქივში. იმის გამო, რომ ამ ტექსტებს მხოლოდ პირადი დანიშნულება ჰქონდა და მოკლებული იყო საჯარო, საზოგადო პუბლიკაციის მიზანდასახულობას, ავტორი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სათქმელის სრულყოფილად წარმოჩენასაც და მართლწერასაც, რაც აისახება როგორც მასალის შინაარსზე, ისე მის სტრუქტურაზე. ეს უბის წიგნაკები შედგება სრულიად განსხვავებული თემებისა და ხასიათის, სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა საწერი საშუალებით შესრულებული ტექსტებისგან. ავტორი თავისუფლად ეკიდება სტრუქტურასაც. ამის გამო გარკვეულ სირთულეს ქმნიდა როგორც ჩანაწერი ტექსტების ამოკითხვა, ისე კომპოზიციური ლოგიკის დადგენა.

ამ სირთულეების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, რომ გამცემაში თითოეული უბის წიგნაკისთვის, მათი ქრონოლოგიის მიხედვით, მიგვენიჭებინა ნომერი და ამ ნომრის ქვეშ დაგვებეჭდა მოცემული უბის წიგნაკის ტექსტები, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ უბის წიგნაკში ეს მასალა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საწერი საშუალებებით არის ჩანერილი და ზოგჯერ ხელწერაც განსხვავებულია. უბის წიგნაკის მკითხველს ეს ყველაფერი ეხმარება მასალის ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და ჩვენ რომ ეს ტექსტები ასე პირდაპირ შეგვეტანა უბის წიგნაკის ნომრის ქვეშ, მკითხველი

სრულიად დაიძნეოდა, რადგან წიგნის ფურცლებზე მას არ ექნებოდა არავითარი ხელჩასაჭიდი ტექსტების ერთმანეთისგან გასამიჯნად. ამიტომ გადავწყვიტეთ, თოთოეული უბის წიგნაკის ტექსტი დაგვეყო „ჩანაწერებად“ (აქ შევა როგორც კერძო ჩანაწერები, ისე ამონაწერები) და დაგვენომრა. საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ამ შემთხვევაში გამოვვეყენებინა ფართო ტერმინი „ჩანაწერი“ და არ დაგვეყო იგი ქვეყატეგორიებად – „კერძო ჩანაწერი“ და „ამონაწერი“ – რადგან მათი ცალკე გამოყოფა და ასევე ცალკე დანომვრა დაარღვევდა უბის წიგნაკის არქიტექტონიკაზე მკითხველის წარმოდგენას.

რთულად გადასაჭრელ ამოცანათაგან ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური უბის წიგნაკთა თავისუფალ არქიტექტონიკაში ტექსტთამორისი ურთიერთმიმართებების დადგენა იყო. დავდექით მნიშვნელოვანი დილემის წინაშე – რა პრინციპი აგვერჩია ჩანაწერების ერთმანეთისგან გამოსაყოფად – თემატური თუ დროითი. ერთსა და იმავე დროს შესრულებულ ჩანაწერებში ძალიან ხშირად გვხვდება თემატური მრავალფეროვნება. ამიტომ, თუ ჩანაწერის გამოყოფის პრინციპად თემატურ-შინაარსობრივ მხარეს ავირჩევდით, ეს გამოიწვევდა ერთი და იმავე დროის ჩანაწერის დანაწევრებას. დოკუმენტური ხასიათის ისეთ ტექსტებში, როგორიცაა პირადი წერილები და დღიურები, ძალიან ხშირად გვხვდება ამგვარი თემატური მრავალფეროვნება, მაგრამ ამის გამო მათ არ ვანაწევრებთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ არც უბის წიგნაკების თანადროული ჩანაწერები დაგვეშალა თემატური განსხვავებულობის გამო და ჩანაწერის გამოყოფის საფუძვლად აგვერჩია დროითი ფაქტორი. ერთდროულად შესრულებული ჩანაწერების იდენტიფიცირებას ვახდენდით საწერი საშუალების, ავტორისული გრაფიკის, გვერდის არქიტექტონიკის, სტრიქონთა და გრაფემათა შორისი ინტერვალის ზომებისა და სხვა საშუალებების გათვალისწინებით, მაგრამ არა მხოლოდ თემატიკითა და შინაარსით.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მრავალფეროვანია ეს ჩანაწერები და როგორი რთულია მათი გამიჯვნა, წარმოვადგენთ

რამდენიმე მაგალითს. უბის წიგნაკის¹ ერთ კერძო ჩანაწერში, თე-მატური სიჭრელის თვალსაზრისით, საგულისხმო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. აქ ტექნიკურად მსგავს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერთ პერიოდში შესრულებულ ხუთ ისეთ ჩანაწერს ვხვდებით, რომლებიც შინაარსობრივად სრულებით განსხვავდება ერთმანეთისაგან – პირველი წინადადება ეხება ქარხანას, რომე-ლიც ანარმოებს გალვანიზებული, თუთიით დაფარული რკინის ნაწარმს, მეორე – წიგნს „მარქსიზმიდან იდეალიზმისკენ“, მესამე – თოჯინას, რომელიც იცინის, მდერის, სძინავს და საუბრობს, მეოთხე – ექიმ ობერმაიერის სამკურნალო საპონს, ხოლო მეხუთე – ყინულის მოსამზადებელ აპარატს და თითოეულთან მითითებუ-ლია მისამართები. ასეთი თემატური მრავალფეროვნების მიუხე-დავად, ეს ტექსტი აკადემიურ გამოცემაში შევა ერთ ჩანაწერად. ჩვენი აზრით, გრაფიკული მსგავსების გარდა, მათ აერთიანებს სიახლე. ყინულის აპარატთან მითითებულიც კი არის: „ახალ გა-მოგონებათა საწყობი“. მწერალი დაინტერესებულა თითოეული ამ სიახლით: თუთიით დაფარული რკინის ნაწარმით; ახალგამოცე-მული წიგნით; თოჯინით, რომლის მოდერნიზებულმა მოდელმაც, როგორც ჩანს, გააკვირვა ილია ჭავჭავაძე და რომლის შეძენაც, შესაძლოა, რომელიმე ახლობელის ბავშვისთვის ჩაიფიქრა; ცნობი-ლი გერმანელი ექიმისა და მიკრობიოლოგის, ოფო ჰუგო ფრანც ობერმაიერის, დამზადებული ტიფის საწინააღმდეგო საპნით, რომელიც დაავადების პრევენციისთვის თეთრეულის გასარეცხად გამოიყენებოდა, და ასევე ყინულის მოსამზადებელი აპარატით.

ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძის შესახებ იგონებს: „რო-გორც კი ამოკითხავდა გაზეთში ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღების შესახებ, უსათუოდ გამოიწერდა“ (თაყაიშ-ვილი, 1952). მართლაც, ცნობილია, რომ ის ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში, ვინც შეიძინა მექანიკური სამკალი და სა-ლენი მანქანები, ელექტროინკუბატორი და სხვ., მაგრამ ზემოთ განხილული ჩანაწერი მოწმობს, რომ მისი ინტერესი მხოლოდ

1 ჭავჭავაძე, პირადი საარქივო ფონდი №57.

სასოფლო-სამეურნეო იარაღებით არ შემოიფარგლებოდა. მას აინტერესებდა ყოველგვარი ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური სიახლე. ეს კიდევ ერთი ფაქტორია ამ მრავალფეროვანი ტექსტის ერთ „ჩანაწერად“ მიჩნევისთვის.

„ჩანაწერის“ ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო იყო ის შემთხვევა, რომელშიც თემატურად განსხვავებული ერთი ტექსტი აშკარად შეჭრილი ჩანდა მეორეში.¹ უფრო ვრცელი ტექსტის პირველი ორი მუხლი შესრულებულია შავი მელნით და ეხება სამშენებლო და სამეურნეო მასალებს (მათ შორისაა: ალიზი, კუპრი, საღებავი, ნავთი და სკიპიდარი). მას მოჰყვება იმავე მელნით შესრულებული, მოკლე კერძო ჩანაწერი სულ სხვა თემაზე – კონკრეტული პიროვნების დასაქმებასთან დაკავშირებულ თხოვნაზე, შემდეგ სხვა საწერი საშუალებით ფანქრით დამატებულია ტექსტი ისევ სამშენებლო მასალაზე. საგულისხმოა, რომ ამავე ფანქრით არის დანომრილი პირველი, მეორე და მესამე მუხლები არაბული ციფრებით, რაც ცალსახად მიგვანიშნებს ავტორის მიერ მათ გაერთიანებაზე.

მასალის ორგანიზების ამოსავალ პრინციპად თემატურ-შინაარსობრივი მხარე რომ აგვერჩია, სამ პუნქტად წარმოდგენილი სამშენებლო და სამეურნეო მასალის შესახებ ჩანიშნული ტექსტები ცალკე ჩანაწერად უნდა გამოგვექვეყნებინა და თემატურად განსხვავებული პასაჟი ვინმე იოსებ ყარამანის ძე ზალოვის დასაქმებაზე – ცალკე, მაგრამ ამ გზით აშკარად დავარღვევდით ქრონოლოგიას, რადგან ფრაზა დასაქმების შესახებ სივრცითი თვალსაზრისით უფრო ახლოს არის პირველი თემის პირველ ორ მუხლთან და თან იმავე საწერი საშუალებით – ლურჯი მელნით არის შესრულებული. მეორე მხრივ, თუ ჩვენ ორიენტაციას მხოლოდ საწერ საშუალებაზე ავიღებდით, იძულებული ვიქენებოდით, რომ მესამე მუხლად წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც სხვა საწერი საშუალებით – ფანქრით არის შესრულებული და რომელიც საერთო ნუმერაციით თავად ავტორმა გააერთიანა პირველი თემის პირველ ორ მუხლ-

1 ჭავჭავაძე, პირადი საარქივო ფონდი №60.

თან – ერთმანეთისგან განგვეცალკევებინა. შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილება იყო, ჩანაწერის ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებო კვლევის საფუძველზე დაგვედგინა და არა ერთი რომელიმე კრიტერიუმით. ზოგადად, გამოცემის თეორიაში ხშირად ვაწყდებით არაორდინალურ სიტუაციას, რომელსაც აუცილებლად სჭირდება შემოქმედებითი მიდგომა.

ერთ უბის ნიგნაკში¹ – სხვადასხვა ადგილას – ზედა მხრიდან მესამე-მეოთხე და ქვედა მხრიდან პირველ-მეორე გვერდებზე ვხვდებით ინფორმაციას ილია ჭავჭავაძის მარანში შენახულ ღვინოებზე, ჭურჭლის მოცულობისა და ადგილმდებარეობის მითითებით. სხვადასხვა ადგილას ჩაწერილი ამ ტექსტების ერთიანობაზე მკაფიოდ მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ტექსტებს ჩამონათვალის სახე აქვს და ერთი პასაჟის აღმავალ ნუმერაციას მეორე აგრძელებს. მასალის განთავსების არეალი მზარდი თანმიმდევრობით ასეთია: ნომრები 1-2 ჩაწერილია უკანა მხრიდან პირველ რექტოზე, ნომრები 3-8 – იმავე მხრიდან მეორე ვერსოზე, ნომრები 9-12 – წალმა მხრიდან მე-3 რექტოზე და ნომერი 13 – იქვე, მე-4 ვერსოზე. რამდენადაც ჩანაწერი იწყება უბის ნიგნაკის უკანა მხრიდან და შემდეგ გრძელდება წალმიდან, თან ჩაწერილია გვერდების მხოლოდ ქვედა ნაწილებზე, იმავე გვერდების ზედა ნაწილებში კი სხვა ტექსტებია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ ამ ტექსტისთვის არა „მოქმედი“ უბის ნიგნაკის, არამედ უკვე დასრულებულის ცარიელი ადგილები გამოიყენა. ასე დანაწევრებული, მაგრამ უდავოდ ერთიანი ჩანაწერის ფარგლების დადგენა აკადემიური გამოცემისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და მკვლევარს აუცილებლად სჭირდება ამ კუთხით საგანგებო დაკვირვება. როგორც ზემოთ მოხმობილი მაგალითიდან ჩანს, ავტორის მიერვე გაერთიანებული ჩანაწერი სხვადასხვა საწერი საშუალებითაც შეიძლება იყოს შესრულებული, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სხვა შემთხვევებში ჩანაწერთა დიფერენცირების შესაძლებლობას საწერი საშუალების მიხედვით.

1 ჭავჭავაძე, პირადი საარქივო ფონდი №58.

§6. სხვათა ტექსტებიდან გაკეთებული ამონაწერების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია

ნებისმიერი საზოგადო მოღვაწის პირად არქივში შეიძლება შეგვხვდეს არა მხოლოდ მისი ავტოგრაფები (მისი ხელით დაწერილი მისეული ნააზრევი), არამედ მის მიერ გადაწერილი სხვათა ტექსტებიც, რომელთა ერთ ნაწილს ეტყობა კიდეც გადამწერის ჩარევის კვალი. მართალია, ილია ჭავჭავაძის არქივში დაცული ასეთი ტექსტები არ ეკუთვნის მას, მაგრამ აღბეჭდილია მისეული ინტერესით. რამდენადაც მწერლის ინტერესთა სფერო მეტად მრავალფეროვანი იყო და თავის სტატიებში არაერთ მნიშვნელოვან თემას ეხებოდა, ბუნებრივია, რომ სჭირდებოდა დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან. ვფიქრობთ, მისი ამონაწერების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

რუსეთში კლასიკოსთა მიერ სხვათა ტექსტებიდან ამონერილი მასალა მათი თხზულებების აკადემიურ გამოცემებში იბეჭდება ხოლმე. მაგალითად, ლევ ტოლსტიოს თხზულებათა სრული კრებულის 55-ე ტომში, რომელიც მოიცავს დღიურებს, უბის წიგნაკებსა და ცალკეულ ჩანაწერებს, გამოქვეყნებულია დაკონსპექტებული ამონაწერები წიკოლოზ შილდერის (1842-1902) წიგნიდან „იმპერატორი ალექსანდრე პირველი“, რომელსაც მწერალი სწავლობდა ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაზე მუშაობის გასაგრძელებლად.

მწერლის არქივში დაცული, მისი ხელით სხვა ავტორთა ტექსტებიდან ამონერილი მასალის აკადემიურ გამოცემაში შეტანის პრაქტიკა საქართველოში არ არსებობს. ასეთი გამოწვევის წინაშე პირველად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-19 ტომზე მუშაობისას დავდექით და იძულებული გავხდით, შეგვემუშავებინა აკადემიური პრინციპებისათვის მისადაგებული კონცეფცია. თავდაპირველად, ბუნებრივია, ყურადღებით გავეცანით, რა სახის მასალასთან გვქონდა საქმე. მწერლის ორ საარქივო ერთეულში¹ დაცულია მისი ხელით შესრულებული ამონაწერები სხვა ავ-

1 ჭავჭავაძე, პირადი საარქივო ფონდი №208, 209.

ტორთა სხვადასხვა ნაშრომიდან. ზოგან ასეთი ტიპის მასალას ახლავს თავად ილია ჭავჭავაძის შენიშვნები და მითითებები. ასეთ შემთხვევებში ტექსტი ხშირად ორ სვეტად არის ნარმოდგენილი და მასალის ორგანიზების რამდენიმე პრინციპია გამოყენებული:

ამონაწერთან მიწერილია ინფორმაცია ავტორ(ებ)ის, წყაროს და / ან ნაშრომის სათაურის შესახებ: «Книга Уорда»; «Марксъ – Энгельсъ Русское богатство» №9 (12); «Бельтовъ, К вопросу о развитіи монистического взгляда на историю». 1895 г.; 1899 г. «Бюхеръ Карль: происхождение народного хозяйства перев. Булгакова, изд.» 1897 г.; «Густавъ Шмольеръ: Наука о народномъ хозяйствѣ, ея предметъ и методъ»; მითითებულია ტექსტის როგორც ავტორი და ორიგინალური დასახელება, ისე მისი თარგმანის წყარო: Бернштейнъ: «Die Voraussetzungen des Socialismus und die Aufgaben der Socilademokratie» (Stuttgart, 1989 г); Смотри «Вѣстникъ Европы за декабрь 1899 г. стр. 635»; მითითებულია ამონარიდის თემატური რაობა: «Влияніе капитала»; და ხასიათი: «Общія»; ნინ პატარა ვარსკვლავით არის გამოყოფილი ერთ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები: «Спенсеръ говоритъ»; «По мнѣнію Струве»; «Бельтовъ не избѣг такого же противоречія себѣ»; «по мнѣнію Конта»; «Профессоръ философіи Жоресь, критикуя» და ა. შ. ნარმოდგენილია თეორიული შეხედულებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ისინი ავტორს რაიმე კონკრეტული სტატიის დასაწერად კი არა აქვს თავმოყრილი, არამედ მის ინტერესთა სფეროს დაემთხვა და ამიტომ ჩაინიშნა.

ცალკეულ შემთხვევებში ილია ჭავჭავაძეს ამონერილი აქვს არა სრული, გაბმული ტექსტები, არამედ ფრაგმენტები. არის შემთხვევები, როდესაც ის ზუსტად კი არ იწერს ტექსტს, არა-მედ მცირეოდენი ცვლილებებით. თითოეულ ასეთ შემთხვევაში საჭიროა კვლევის ჩატარება, რომ ტექსტს დაერთოს სათანადო შენიშვნები. ამონაწერების რაობის განსაზღვრას ართულებს ის, რომ ზოგჯერ რთული დასადგენია, რომელია ციტატა და რომელი

– პერიფერაზი, ორად გაყოფილ სვეტებში მარჯვენა და მარცხენა ნაწილები რა მიმართებაშია ერთმანეთთან და ა. შ.

როგორც წესი, სვეტებში პარალელურად შეტანილი ტექსტები კონკრეტული თვალსაზრისით უნდა მიესადაგებოდეს ერთმანეთს – ავსებდეს, ადასტურებდეს, ენინააღმდეგებოდეს და ა. შ. ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად უნდა გაირკვეს და წარმოდგენილი იყოს კომენტარებში. ბევრად უფრო მარტივად არის საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მარჯვნივ მიწერილი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, სავსებით ნათელია მისი ფუნქცია. მაგალითად, როდესაც მიწერილია, რომ ამასთან დაკავშირებით დამატებით უნდა ნახოს კონკრეტული გვერდები და მოცემულია მათი ჩამონათვალი, ან აღნიშნულია, რომ უნდა შეადაროს სხვა კონკრეტულ პუნქტებს და ა. შ.

ზოგ შემთხვევაში ავტორს მოჰყავს მისთვის საჭირო მოსაზრების პერიფერაზი შესაბამისი გვერდის მითითებით. გვხვდება ისეთი მონაკვეთებიც, რომლებშიც ავტორისეული კომენტარი უშუალოდ ამონარიდის ტექსტებშივეა ჩართული. ზოგან ილია ჭავჭავაძე იმასაც მიანიშნებს, რომ ეს მისი შენიშვნაა.

რამდენადაც აკადემიურ გამოცემაში ასე რთულად სტრუქტურირებული მასალის ქაოსურად შეტანა შეუძლებელია, ტექსტების ერთმანეთისაგან გასარჩევად და მათი სისტემატიზაციისთვის გადავწყვიტეთ, შინაარსობრივად დაკავშირებული ერთი და იმავე წყაროდან ამონერილი მასალა, რომელიც ხელნაწერში ერთმანეთის მიყოლებით იყო განთავსებული, ტოში ერთ ერთეულად დაგვებეჭდა, სათაურად მიგვეცა „ამონაწერები (წიგნის დასახელება) წიგნიდან“, „ამონაწერები (ჟურნალის დასახელება) ჟურნალიდან“ და სხვ. და თვით „ამონაწერები“ დაგვენომრა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ტექსტები სხვადასხვა წიგნიდან და ჟურნალიდან იყო ამოღებული, რომელთაგან ზოგიერთის წყარო არც იყო მითითებული, ერთეულის სათაურად დაგვერქმია: „ამონაწერები სხვადასხვა წყაროდან“, შიდა ერთეულები კი, იმის მიხედვით, წყარო მითითებული ჰქონდა თუ არა, ნუმერაციის ერთიან რიგში

მოგვეთავსებინა და, რომელსაც წყარო ან რაიმე სახის სათაური ჰქონდა, ნომრის შემდეგ მიგვეთითებინა. ყველა ტიპის მასალის საერთო ნუმერაციაში მოქცევა იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ ტექსტების სისტემატიზაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ერთი პრინციპის გამოყენება. მაგალითად, „ამონანერი N1“, „ამონანერი N2“ და ა. შ., სათაურიანები კი ასე: „ამონანერი N3, წიგნიდან „მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ, მისი საგანი და მეთოდი (გუსტავ შმოლერი)“; „ამონანერი N4, უურნალიდან „Вестникъ Европы“, 1899 წლის დეკემბერი, გვ. 635“.

როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, ზოგიერთ ამონანერს ახლავს ილია ჭავჭავაძის შენიშვნები. ბუნებრივია, რომ ეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ, ასეთ მასალას ამონანერის ნომრის შემდეგ დამატებით ერთვის ინფორმაცია ამის შესახებ და სრულად ასეთი სახე აქვს: „ამონანერი N5, ილია ჭავჭავაძის შენიშვნებით“ და ა. შ.

ამონანერები სხვათა ტექსტებიდან, როგორც უკვე შევნიშნეთ, ილია ჭავჭავაძეს ხშირად წარმოდგენილი აქვს ორ სვეტად. გადმოწერილი ტექსტის ძირითადი კორპუსი მარცხენა სვეტშია მოცემული, მარჯვენაში კი ჩანერილია პარალელური ტექსტები ან შენიშვნები. როგორც ჩანს, მასალის ორ სვეტად წარმოდგენა მწერლისთვის იმდენად მოსახერხებელი იყო, რომ მას იშვიათად არღვევდა. ზოგან რამდენიმე გვერდზე მხოლოდ მარცხენა სვეტია შევსებული, მაგრამ მწერალი ამ პრინციპს მაინც მისდევს და მარჯვენა სვეტში არ აგრძელებს წერას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს მასალა ტომში ზუსტად ასევე, ორ სვეტად შეგვეტანა.

რამდენადაც ამონანერებს ხშირად ახლავს შენიშვნები, რომლებიც ან ცალკე სვეტშია გატანილი, ან გვერდის ველზე, ზოგ შემთხვევაში კი თვითონ ტექსტშივეა ჩართული, ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო, გამოქვეყნებულ მასალაში მკვეთრად გამიჯნულიყო სხვა ავტორების მასალა ილიასეულისგან. ვიფიქრეთ, რომ გრაფემის ზომის გაზრდა ან ფონტის შეცვლა იმდენად თვალშისაცემი არ იქნებოდა, რამდენადაც ილიასეული ჩანართების მართვულთხა ჩარჩოში ჩასმა. ამიტომ ეს პრინციპი უნდა გაგვეტარებინა ყველ-

გან, სადაც გვქონდა შერეული (ილია ჭავჭავაძის და სხვა ავტორების) ტექსტები. ვფიქრობთ, ილიასეული ტექსტების ასეთი ფორმით მიწოდება მყითხველისთვის უფრო იოლი აღსაქმელი იქნება.

ილია ჭავჭავაძის ამონანერებში გვხვდება სხვადასხვა სემანტიკის მქონე სიტყვათა ფონეტიკურ მსგავსებაზე აგებული იუ-მორისტული „ბრძნული გამონათქვამები“: „ქართველი ქარიანია, თორემ „ქართ ველი“ აღარ ერქმევოდა“, „სულელი იმიტომ არის სულ ელი, რომ „სულ ელის“ და თითონ კი გულ ხელი დაუკრეფია“, „თავი რომ კარგი იყოს, „ავის“ ზმად აღარ იქნებოდა“, „ჭკვაი სწორედ „ვაია“! ამიტომაც არის დანერილი ვაი ჭკვისა-გან“, „ძნელია, რომ კაცმა ჩინი იშოვოს, რომ თვალში „ჩინი“ არ დაჰკარგოს.“ „მაღლა წამსვლელი დაბლა უნდა იხრებოდეს“, „დიდთან თაფლი, პატარასთან ბალლამი დიდყაცობას ნიშნავს“, „უფროსი რომ თავი არ იყოს, ხელქვევითებს საკუთარი თავები ესხმებოდათ“ და ა. შ.¹

საარქივო მასალიდან საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის მიერ ამონერილი კიდევ ორი სახის მასალა. პირველია აფორისტული თქმები: „ქილილა და დამანასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტები-დან.² ეს მწერალს, სავარაუდოდ, 1886 წელს უნდა გაეკეთებინა, რადგან სწორედ ამ წელს გაზეთ „ივერიის“ ნომრებში აქვეყნებდა, შემდეგ კი, 1887 წელს, წიგნადაც გამოსცა.

ილია ჭავჭავაძეს ბევრი უმუშავია ქართულ-რუსული ბიბლიური ლექსიკონის შედგენაზეც, რისთვისაც ამოუკრებია ლექსიკურ ერთეულთა შესატყვისები საუკეთესო ქართული და რუსული თარგმანებიდან. ამონანერებთან მითითებული აქვს წყაროებიც. მასალა 8 გვერდს მოიცავს და დაუსრულებელია.³ ეს ტექსტებიც გამოცემაში იმ სახით და იმ თანმიმდევრობით შევა, როგორც ხელნაწერშია.

1 „ზმები და ჭეშმარიტების ნამტვრევები“, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №207.

2 ამონანერები „ქილილა და დამანადან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №206.

3 სალექსიკონო მასალა, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №204.

გ7. მინაწერების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია

ილია ჭავჭავაძის არქივსა და პირად ბიბლიოთეკაში დაცულია სხვათა ტექსტებზე გაკეთებული მინაწერები, რომლებიც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მწერლის მოღვაწეობის სრული სურათის წარმოსაჩენად და ამიტომ უნდა შევიდეს მისი ნაწერების სრულ აკადემიურ გამოცემაში. იგი, როგორც იურიდიული განათლების მქონე და აქტიური საზოგადო მოღვაწე, საფუძვლიანად ერკვეოდა ქვეყანაში მოქმედ კანონებში და მონაწილეობდა კიდეც არაერთი ახალი საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნაში. დასტურდება, რომ სწორედ მან, პეტერბურგიდან ახალდაპრუნებულმა, 1864 წელს შეიმუშავა თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების კანონპროექტში შესატანი ცვლილებები 80 მუხლად (ნინიძე, 2016: 102-105), 1875 წელს მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს დებულების 168-ე მუხლი ცვლილებების შეტანა (ჭავჭავაძე, 2018: 1064-1065), შეისწავლა სხვადასხვა ბანკის კანონმდებლობა და სამუშაო პრაქტიკა, რომ შეემუშავებინა სრულყოფილი წესდება და საკანონმდებლო აქტები თბილისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკისთვის.

ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ ტრვებდა თავის ინტერესთა სფეროში შემავალ ან ქართველი ხალხისთვის მნიშვნელოვან არც ერთ ახალ საკანონმდებლო დოკუმენტს. რამდენადაც იგი კარგად იცნობდა იურისპრუდენციის საფუძვლებს და ჰქონდა არაჩვეულებრივი ლოგიკა, საკითხის განხილვამდე ფუნდამენტურად სწავლობდა ყველა წინაპირობას და სკრუპულოზურად განიხილავდა კანონის, წესდების, შეთანხმებისა თუ სხვა ოფიციალური დოკუმენტის თითოეულ მუხლს, ამასთან, ხშირად პოულობდა ისეთ ხარვეზებს, რომლებიც სხვებისთვის შეუმჩნეველი იყო.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ მასალის პუბლიკაცია, წარმოვადგენთ ერთ მაგალითს. ეს არის „Проектъ хизанского положения“.¹ ტექსტი სრულიად განსხვავებული ხელით არის თეთრად გადაწერილი და მასში ილია ჭა-

¹ პროექტი ხიზანთა მდგომარეობის შესახებ, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №200.

ვჭავაძის მიერ შეტანილია ისეთი არსებითი ცვლილებები, რომ მწერალი ცალსახად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ დებულების პროექტის თანაავტორად. გარდა იმისა, რომ კანონპროექტის ველებზე გაკეთებული მინაწერების ხელწერა (თითოეული გრაფემისა) სავსებით შეესაბამება ილია ჭავჭავაძისას, პირველ გვერდზე დადებული რეზოლუციის მიხედვით, ტექსტი სტამბურად გამოქვეყნებამდე გადასახედად უნდა გადაგზავნოდა სწორედ მას („Набратъ экстремно, на корректуру послать Князю Чавчавадзе – управляемому земельным банком“).

ხიზნების საქმეს ილია ჭავჭავაძემ ყურადღება მაშინვე მიაქცია, როგორც კი იმპერიის ხელისუფლებამ ხიზნებისა და მათი მებატონეების ტრადიციასა და დაუწერელ კანონებზე დამყარებული ურთიერთობების ოფიციალურ საკანონმდებლო სფეროში გადატანა გადაწყვიტა. ილია ჭავჭავაძის პირველი გამოხმაურება ამ თემისადმი დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს სათაურით „ხიზნების საქმის თაობაზედ (ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულიყო)“ (ჭავჭავაძე, 1880: № 60, 1-2). ამ ნარკვევში ავტორი მიუთითებს ხელისუფლებას, რომ, ვიდრე ხიზნების საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობას შეიმუშავებდნენ, აუცილებლად უნდა შეისწავლონ, რა ფენომენია და საიდან იღებს სათავეს „ხიზნობა“, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და როგორია ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემები – რამდენი ხიზანია, რა ფართობი და რა სახის მიწები უკავიათ მათ და სხვ. მას ნიმუშად მოჰყავს რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, რომლებშიც ხიზნებს სხვადასხვა სახელით მოხსენიებენ: იტალიაში „ლიველოდ“, პრუსიაში – „ეპრახტად“, პორტუგალიაში – „აფორამენტოდ“, ჰოლანდიაში – „ბეკლემრეხტად“ და სხვ. და დასძენს, რომ გამართული კანონმდებლობის შესამუშავებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი გამოცდილების გაზიარება. როგორც ირკვევა, სახელმწიფოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პრესაში გამოთქმულ ასეთ შენიშვნებს გარკვეული ყურადღება ექცეოდა, რადგან ილია ჭავჭავაძის 1886 წლის ნარკვევში, რომელიც გაზეთ

„ივერიაში“ გამოქვეყნდა, მას ხიზნებთან დაკავშირებით მოჰყავს დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ხელისუფლებას იმ დროისათვის უკვე მოპოვებული ჰქონდა.

რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი ხიზნების საქმესთან დაკავშირებით სამართლიანი კანონმდებლობის შემუშავება საქართველოსთვის და თავად ილიასთვის? მართლაცდა, რა იყო ხიზნობა? როგორც ილია ჭავჭავაძე განმარტავს, თავადებს ჰქონდათ მიწები და უჭირდათ მუშახელი, იმ ადამიანებს კი, რომლებიც სხვადასხვა ადგილიდან ჩამოვიდნენ და „ხიზნები“ გახდნენ, სჭირდებოდათ თავის რჩენა და, რადგან მიწა არ ჰქონდათ, რომ დაემუშავებინათ, ან საცხოვრებელი აეშენებინათ, იმ ჰერიოდში კი აგრარულ ქვეყანაში სამუშაოს შოვნის სხვა აღტერნატივა არ არსებობდა, ხელს აძლევდათ მიწის მფლობელებთან ოჯახებიანად დასახლება იმ პირობით, რომ მათ მიწას დაამუშავებდნენ და რეგულარულად მისცემდნენ „ლალას“. ასეთი გარიგება ოფიციალურად არ ფორმდებოდა, მაგრამ, ტრადიციისამებრ, შეთანხმება დროში შეზღუდული არ იყო. თუ ხიზანი გადაწყვეტდა წასვლას, ან მიწის მეპატრონე მოსთხოვდა, რომ წასულიყო, ასეთი ვითარებისთვისაც არსებობდა დაუწერელი პირობები. პირველ შემთხვევაში ხიზანს უნდა გადაეხადა მებატონისთვის დამატებითი ანაზღაურება იმის გამო, რომ წასვლას აპირებდა, და მეორე შემთხვევაში მებატონეს უნდა გადაეხადა ხიზნისთვის იმ შენობების საფასური, რომლებიც ხიზანმა ააშენა და სამომავლოდ მებატონეს რჩებოდა. იმის გამო, რომ დაწერილი კანონები არ არსებობდა ასეთი ურთიერთობების გასარკვევად, ადამიანთა დიდი ნაწილი კი მიდრეკილია, რომ საკუთარი ინტერესები სხვისაზე მაღლა დააყენოს, ხან ხიზანი ითხოვდა ტრადიციული პირობების მის სასარგებლოდ შეცვლას და ხან – მებატონე. ამიტომ, ილია ჭავჭავაძე მიესალმებოდა ოფიციალური კანონმდებლობის სფეროში ამ ურთიერთობების გადატანას, მაგრამ სამართლიანობის ფარგლებში.

რუსულმა გაზეთმა „კავკაზმა“ გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ხიზნებთან დაკავშირებით და საკითხი ისე წარ-

მოაჩინა, თითქოს იგი პრობლემებს ხელოვნურად ქმნიდა. მათი შეხედულებით, საკითხის გადაჭრა ძალიან მარტივად შეიძლებოდა – ყველა ხიზანს უნდა დაკანონებოდა ის მინა, რომელზეც ის იმ პერიოდში ცხოვრობდა. ილია ჭავჭავაძემ 1886 წელს თავის ახალ, ვრცელ ნარკევში სათაურით „ხიზნების საქმე“ (ჭავჭავაძე, 2007: 175), თვალნათლივ წარმოაჩინა „კავკაზის“ პოზიციის არასერიო-ზულობა. ეს იყო საკუთრების უფლების ხელყოფა და მისი დაკანონება მომავალში სავალალო ქაოსს გამოიწვევდა. მინის ახალი მებატონები აიყვანდნენ ახალ ხიზნებს, მერე მათ ჩამოერთმეოდათ ის მინები და ასე გაგრძელდებოდა დაუსრულებლად. საგულისხმოა ისიც, რომ ხიზნების დიდი ნაწილი არაქართველი იყო და ეს საკითხი დემოგრაფიულ პრობლემასთანაც იკვეთებოდა. დგებოდა ის საშიშროება, რომელიც შემდეგ ნაწილობრივ რეალობად იქცა და რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა არაჩეულებრივი სიცხადით დაგვანახვა თავის რომანში „ჯაყოს ხიზნები“. ილია ჭავჭავაძე შორს იხედებოდა. ის ხვდებოდა, რომ არასწორი კანონების, რევოლუციური პროცესების განვითარებისა და ანარქიის პირობებში შესაძლებელი გახდებოდა, ამჯერად ყოფილ გლეხებს დაეწყოთ თავადების მიმართ სისასტიკის გამოჩენა და „ხევის-თავები“ „ჯაყოს“ ხიზნებად ქცეულიყვნენ. სწორედ ამ გადასახედიდან უნდა დავინახოთ ზემოხსენებულ კანონპროექტში ილია ჭავჭავაძის მიერ შეტანილი ყველა შესწორება. როგორც ვხედავთ, ამ მინაწერების გამოქვეყნება ძალზე მნიშვნელოვანია მწერლის საზოგადოებრივი ღვაწლის სრული სურათის წარმოსაჩენად.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის მინაწერები შემორჩენილია მის პირად წიგნებზეც. ამიტომ ჩვენ მოგვიხდა მწერლის პირადი ბიბლიოთეკის შესწავლაც, რომელიც მოიცავს 426 ერთეულს (აქედან 41 ქართულ და დანარჩენ რუსულენოვან გამოცემას). გიორგი ლასხიშვილი თავის მემუარებში წერს: „პატარა ოთახში, რომელშიაც ჩვენ შევედით, წიგნების მეტი ვერაფერი დავინახე: წიგნები შკაფზე, წიგნები დიდ თაროზე და დიდი მაგიდა წიგნებით დატვირთული“ (ლასხიშვილი, 1992: 71).

ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგის შემდგენ-ლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ მწერლის ბიბლიოთეკიდან წიგნების ნაწილი დაკარგულია, რადგან მიხეილ გედევანიშვილის გამოცე-მაში გამოქვეყნებული ფოტოს მიხედვით, რომელზეც ასახულია ანდრეევის ქუჩაზე მწერლის სამუშაო ოთახი, კარადებში, სამუშაო მაგიდასა და წიგნის თაროებზე ბევრად მეტი წიგნი ჩანს, ვიდრე ჩვენამდე მოაღწია (იმნაძე, რამიშვილი, 1987: 16).

როგორც ილია ჭავჭავაძის თანამედროვეები იგონებენ, ის ბევრს კითხულობდა. ხშირად წიგნებზე ღამებსაც ათენებდა. სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით, „გამოვიდოდა თუ არა რაი-მე შესანიშნავი წიგნი, პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციალური, გინდ ისტორიული, პირველი ის იყიდდა, გადაიკითხავდა, „გა-მოშიგნავდა“ (მისი საყვარელი სიტყვა) და შემდეგ გაუზიარებდა სხვებს“ (მგალობლიშვილი, 1938: 145). ამ მოგონებათა რეალობა დასტურდება როგორც ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის შესწავლით, სადაც უხვად არის ასეთი ლიტერატურა, ისე უბის წიგნაკებითა და ამონანერებითაც, რომლებშიც პროცენტულად ყველაზე მაღალი წილი სწორედ ამ დარგის წიგნებზე მოდის.

ნიშანდობლივია, რომ ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნები დაჯგუფებულია შემდეგ განყოფილებებად: 1. ფილოსო-ფია; 2. პოლიტიკური ეკონომია; 3. სოციალური მეცნიერებები; 4. სამართალი; 5. ისტორია; 6. ბიოგრაფიები; 7. მხატვრული ლიტერატურა და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად ყველაზე მეტი გამოცემა მხატვრული ლიტერატურის სფეროდანაა (118 ერთეული), სისტემატიზაციისას, კატალოგის აღმნერებს მნიშვნელობის მიხედვით პირველ ადგილებზე მოუთავსებიათ ფილოსოფია (32 ერთეული), ეკონომიკური მეცნიერებები (41 ერთეული), სოციალური მეცნიერებები (38 ერთეული) და ა. შ. ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან სხვადასხ-ვა წიგნიდან მისი ამონანერების თემატიკა არსებითად მიჰყვება სისტემატიზაციის ამ ხაზს.

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ილია ჭავჭა-

ვაძის პირადი ბიბლიოთეკის წიგნების დიდ ნაწილს ეტყობა მწერლის დაკვირვებული მუშაობის კვალი. ის „უბრალო“, ლურჯი და წითელი ფანქრით უსვამს ხაზს მისთვის საინტერესო ადგილებს (თითოეულ ფერს შესაძლოა განსხვავებული ფუნქცია ჰქონოდა), შემდეგ ამ მონაკვეთების გვერდებს ცალკე ამონერს წიგნის ფორზაცზე, სარჩევის გასწვრივ, ან რომელიმე თვალსაჩინო ადგილას. მისთვის საინტერესო თემები ხშირად სარჩევშიც არის ხაზგასმული.

ილია ჭავჭავაძეს თავის ამონანერებში ხშირად მოჰყავს ამონარიდები თუ პერიფრაზები ჰერბერტ სპენსერის შრომებიდან. მის პირად ბიბლიოთეკაში ინახება სპენსერის ორი წიგნი – „Научные, политические и философские идеи“ და „Основания социологии“. პირველი წიგნის სარჩევიდან მას გაუხაზავს შემდეგი თავები: „Пронгресс, миссионерство и миссионерство“, „Музыкальная литература и музыкальные идеи“, „Саргешка и сюжеты“, „Прежде чем я родился и как я родился“ და ა. შ. ილია ჭავჭავაძის პირად არქივში დაცულ, მისი ხელით ამონერილ სხვათა ტექსტებში ჰერბერტ სპენსერის გვარი ოთხჯერ ფიქსირდება, უბის წიგნაკში კი მოხმობილია მისი შრომა ნეკროლატრიის (გარდაცვლილთა გაღმერთება) შესახებ.

ჰერბერტ სპენსერის შრომაში სამ ფრაზას ერთვის ილია ჭავჭავაძის ხელით შესრულებული ქართული შესატყვისები, მაგალითად: умственным усилием / грабежом итога гаража (გვ. 62); Если есть выгода в том, чтобы выразить мысль в наименьшем числе слов, ...то и лишние слоги делают то же / грабежом едьбаши, грабежом едьба (64); ... кажется, вырвзительнее сказать: it is magnificent (это великолепно), нежели it is grand (это велико) / დიდი-დიდებული, ზვიადი-გაზვიადებული, ამაყი-გაამაყებული (Спенсер, 1866).

ამ სახის მინანერებს ილია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს. მაგალითად, ლესტერ უორდის წიგნში გვხვდება ტერმინის ქართულად თარგმნის მაგალითი: „Умозрительный гений“ – „ჭკუით-მხედველობა“ (Уорд, 1897). მაკლეოდის წიგნში კი მოცემულია განმარტებები: მეновая ценность – აღებ-მიცემობის ღირებულება, ценность

возвысилась – та сама аинса; долг – забота, залог (Маклеод, 1865). Романтизм хансы, олица фольклора, генерализации языка и народа в романтизме было то, что он был национальным языком, национальной культурой, национальной историей. А если говорить о фольклоре, то это – это национальный язык, национальная культура, национальная история. А если говорить о фольклоре, то это – это национальный язык, национальная культура, национальная история.

Кто бы мог подумать, что фольклор – это национальный язык, национальная культура, национальная история. А если говорить о фольклоре, то это – это национальный язык, национальная культура, национальная история.

Тем не менее, та же генерализация, которая произошла в романтизме, привела к тому, что фольклор стал национальным языком, национальной культурой, национальной историей. А если говорить о фольклоре, то это – это национальный язык, национальная культура, национальная история.

Еще одна проблема, с которой сталкивалась романтика – это проблема языка. Язык был национальным языком, национальной культурой, национальной историей. А если говорить о фольклоре, то это – это национальный язык, национальная культура, национальная история.

1 Фольклор – олица, лицо аинса, имиджа аинса, имиджа аинса.

მჭამელობა“, „სისხლის სმა“, „თავისა და ხელის მოჭრა მტრისა ერთისა და იმავე აზრის არ არის?“ და ა. შ. (Петри, 1890: 129, 131, 133, 316, 320). არაერთი მინანერი აქვს აგრეთვე ედუარდ ტეილორის წიგნის – „ანთროპოლოგიის“ არშიებზე. ეს მინიშნებები ილიას გამოყენებული აქვს თავის ვრცელ ნარკვევში – „ქვათა ღალადი“.

მწერლისთვის ასევე დამახასიათებელია წიგნებზე კრიტიკული შენიშვნების მიწერა. გაბრიელ ტარდის წიგნის – „პოლიტიკური ეკონომიის რეფორმა“ – ერთ გვერდზე მიუწერია კრიტიკული შეკითხვა: „Какими методами...“ (Тард. 1899: 75), ფრიდრიხ შლოსერის „მსოფლიო ისტორიის“ იმ გვერდზე, სადაც წერია „лазов или Колхиды“, მწერალს ასეთი შენიშვნა აქვს: „Как будто это не одно“ ; წიგნის იმ ადგილას კი, სადაც წერია: „Итальянец Гвидо Аррецо, который изобрел в XI веке так называемые сольфеджии и ввел в Европу систему нот и линии, вместо употреблявшихся до той поры букв...“, დართულია კომენტარი: „интересно в таком случае, откуда грузинские ноты X века?“ (Шлоссер, 1869: 269, 361).

გეორგ ბრანდესის წიგნიდან „Главные течения в европейской литературе 19 в.“ – მწერალს არაერთი ადგილი დაუკავშირებია ქართულ სინამდვილესთან. ბენუამენ კონსტანტინ ელეონორასთან მას მიუწერია: „тюнатаини“ და სხვა ეპიზოდებშიც, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათები ემსგავსება ევროპული ლიტერატურის გმირებისას, მათი სახელები მიუნიშნებია (Брандес, 1881: 36, 60, 69).

ილია ჭავჭავაძე შოთა რუსთაველის სახელს ეკერმანის მიერ შეგროვილ გოეთეს გამონათქვამების შესახებ გამოცემულ წიგნშიც ახსენებს. გოეთეს მოსაზრებასთან – „Овладеть надлежашим образом своим сюжетом, сдержать себя и сосредоточиться только на вполне необходимом, – все это требует сил поэтического гиганта и труднее, чем думают“ (Гете, 1891: 273) – ილია ჭავჭავაძეს მიუწერია: „Руста[вели].“¹

ლუი ბერნეს თხზულებებში ილია ჭავჭავაძეს მონიშნული აქვს ათეულობით ადგილი და ასევე გვხვდება საყურადღებო მინანე-

1 ბოლო ასოები ჩამოჭრილია ამკინდავის მიერ.

რები: 65-ე გვერდზე – „Прекрасно“, ხოლო იმ ადგილის არშიაზე, სადაც მშობლიური ენის მნიშვნელობაზეა საუბარი, თავისი თანამედროვე გარუსებული ქართველებისათვის საგულისხმო შემდეგი ტექსტი მიუწერია: „Вникните в смыслъ этого монолога вы, отступники от родного языка.“ ლუი ბერნეს თხზულებების ტომები განსაკუთრებით დატვირთულია მინაწერებით. პირველი ტომის 165-ე გვერდზე მწერალს ჩაუწერია: „ჩემთვის საჭიროა ბეთჰოვენის სიმფონიები“ (Берне, 1869: 65, 116, 165).

ერთ საინტერესო შენიშვნას ვხვდებით ზურაბ ავალიშვილის წიგნზე – „საქართველოს შეერთება რუსეთთან“: სქოლიოში, სადაც ავტორს პაპუნა ორბელიანის ქრონიკები ფრანგულად აქვს მითითებული („Chronique de Papuna Orbeliani §261“), ილია ჭავჭავაძეს მიუწერია: „რა ქართველია, რომ ქართულს წყაროებს ფრანგიულიდამ იღებს“ (Авалов, 1901).

როგორც ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაზე მომუშავე სპეციალისტები (თ. მაჭავარიანი, ე. იმნაძე, გ. რამიშვილი) მიუთითებენ, მწერლის პირად საკუთრებაში არსებულ სამ წიგნში ჩარჩენილა მისი ავტოგრაფები სხვადასხვა პუბლიცისტური თხზულების ფრაგმენტით: ჯონ ლებოკის წიგნში „ცივილიზაციის დასაწყისი“ მწერალს დაუტოვებია ფრაგმენტი წერილიდან „აი, ისტორია“, ფრიდრიხ შლოსერის „მსოფლიო ისტორიის“ მე-5 ტომში – ნაწყვეტი წერილიდან „ირლანდია და ინგლისი“, ედუარდ ტეილორის „ანთროპოლოგიაში“ კი – მისთვის საინტერესო ტერმინის – „сожжение“ – შესახებ სხვა ავტორების (ლებოკის, ტეილორის, კორშის, სპენსერის, კარერის) მოსაზრებები. მინაწერებისა და მონიშვნების თვალსაზრისით, ყველაზე მეტად არის დატვირთული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკის, სამართლის, ისტორიისა და ლიტერატურის ბლოკები.

განხილული მინაწერების სპეციფიკის საფუძველზე გადავწყვიტეთ, რომ ისინი აკადემიურ გამოცემაში იმ პასაუებთან ერთად შევიტანოთ, რომლებსაც უკავშირდება, მაგრამ, თუ მინაწერი ზოგადი ხასიათისაა და მთელ წიგნთან არის კავშირი, ასეთ შემ-

თხვევაში მივუთითებთ მხოლოდ წიგნის ავტორსა და სათაურს და კომენტარებში გავიტანთ უფრო საფუძვლიან ანალიზს, თუ რა მიმართებაშია მინანერი წიგნთან. მაგალითად, „მინანერები ხიზანთა მდგომარეობის შესახებ პროექტის ხელნაწერ ტექსტზე“, „მინანერები წიგნზე „Всемирная история (ფრიდრიხ შლოსერი)“ და სხვ. რაც შეეხება შემთხვევებს, როდესაც წიგნზე არაერთი მინანერია, ისინი, როგორი მცირეც უნდა იყოს, დაინომრება: „მინანერი 1“, „მინანერი 2“ და სხვ.

მინანერების შეტანა მწერლის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემაში დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდის კონკრეტული წიგნებისა და საკითხებისადმი მწერლის დამოკიდებულებისა და მისი მუშაობის სტილის შესახებ.

§ 8. დღიურების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია

მწერალთა თხზულებების სრულ გამოცემებში მათი დღიურებიც იძებდება ხოლმე. ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოცემულ გალაკტიონ ტაბიდის საარქივო 25 ტომში პოეტის დღიურებმა 11 ტომი შეადგინა. ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათა სრული კრებულის ელექტრონულ გამოცემაში მწერლის დღიურებიც შევიდა. ზოგ-ჯერ ცალკე წიგნად გამოდის გარკვეული პერიოდის დღიურები. მაგ., ასე გამოიცა ფრიდრიხ ნიცშეს 1880-იანი წლების გამოქვეყნებელი დღიურები, რომლებშიც კარგად ჩანს მისი ფილოსოფიური აზრების ჩამოყალიბების პროცესი.

2016 წელს ედინბურგის უნივერსიტეტმა გამოსცა ცნობილი ინგლისელი მწერლის, ქეთრინ მენსფილდის, სრული კრებულის მე-4 ტომი, რომელშიც მოთავსებულია დღიურები და სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები. მენსფილდის დღიურები ადრეც არაერთხელ გამოცემულა ნაწყვეტების სახით, მაგრამ ეს არის პირველი მეცნიერულად დაზუსტებული და ქრონოლოგიურად დალაგებული გამოცემა, რომელსაც ახლავს კომენტარები ისტორიული, კულ-

ტურული და ბიოგრაფიული კონტექსტუალური დეტალების შესახებ. მასალაში დაცულია მწერლის ლექსები, წერილები, ილუსტრაციები და დაუსრულებელი ტექსტები.

დღიურის ჟანრი საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყისიდან ვითარდება. ამ ფორმის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ნიმუშად მიიჩნევა სულხან-საბა ორბელიანის მიერ აღნერილი 1713-1716 წლების მოგზაურობა ევროპაში, რომლითაც ქართულ მწერლობაში მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი დამკვიდრდა. მწერალი აღნერს კონსტანტინოპოლის, მარსელის, პარიზის, რომის, სამხრეთ იტალიის ქალაქების ლირსშესანიშნაობებს, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ჰავას, მოსახლეობის საქმიანობას, საყოფაცხოვრებო მხარეებს, პოლიტიკური წყობილების ფორმას, მმართველობის წესებს. აღსანიშნავია ქუთათელი მთავარეპისკოპოსისა და რუსეთში ალექსანდრე V-ის ელჩის, ტიმოთე გაბაშვილის, სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ნაწარმოები „მიმოსვლა“, სადაც მიტილენის, იზმირის, ხიოსის, კონსტანტინოპოლის, კვიპროსისა და ათონის მთის შესახებ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები გვხვდება.

ვახუშტი ბატონიშვილის პირველი თხზულება „პეტერგოფის აღნერა“ მოგზაურობის ჟანრს ეკუთვნის. მასში გადმოცემულია რუსეთის მეფეთა საგაზაფხულო რეზიდენციის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებები. ამ ჟანრის თხზულებებიდან ცნობილია გრიგოლ ბატონიშვილის „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“, გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“, გაბრიელ რატიშვილის „მცირე რამ მოთხოვა როსიისა“, იონა გედევანიშვილის „მიმოსვლა ანუ მგზავრობა ქმნილი გედეონოვ სარდალ გაბრიელის ძის იონა მიტროპოლიტისა“ და სხვ.

გრიგოლ ორბელიანის დღიურებს მისივე წერილებისაგან განსხვავებული ბედი ხვდა წილად. 1831-1832 და 1839 წლებში ჩანსტრილი დღიურები თვალით არ უნახავს არა მხოლოდ მწერლის თანამედროვეებს, არამედ თავად ავტორსაც, რადგან მათი ნაწილი დაიკარგა, ნაწილი კი ჩამოართვეს 1832 წლის შეთქმულების

შემდეგ. სოლომონ ცაიშვილის ცნობით, პოეტს იონა მეუნარგიასთვის უთქვამს: „სამჯერ დამეღუპა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩავცვინდით და კინალამ მეც დავიხრჩვი. მეორეჯერ, როცა ავარიის ხანი ვიყავი შამილის დროს, უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა და ტანისამოსები და წიგნები იქ დამეკარგა. მესამე-ჯერ გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემნამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ვეხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს“ (ცაიშვილი, 1940: 385).

მოგზაურობის უანრს განეკუთვნება გრიგოლ ორბელიანის დღიური „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“. იგი ლიტერატურულად დამუშავებული ნანარმოებია, რომელიც ავ-ტორს სამგზავრო შენიშვნების საფუძველზე დაუწერია და შემდეგ სტილისტურად დაუხვეწია. „მგზავრობა ჩემი“ პოეტის 1831-1832 წლების დღიურის პირველი ნაწილია. დანარჩენი ნაწილი კი ავ-ტორს ვეღარ დაუმუშავებია. „მგზავრობა“, როგორც დღიურის ლიტერატურულად დამუშავებული ნაწილი, 1830-იანი წლების ქართული დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშია.

პოეტის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა დღემდე არ არსებობს. დღიურებს, უანრობრივი სპეციფიკის გამო, სხვაგვარი მიდგომა სჭირდება. ვფიქრობთ, რომ მწერლის თხზულებების მომავალ აკადემიურ გამოცემაში დღიურები უნდა დაიბეჭდოს ისეთი სახით, როგორადაც ავტორის ხელიდან გამოვიდა, სტილისტური თუ ორთოგრაფიული ჩარევის გარეშე. თითოეულ ტექსტს უნდა დაერთოს სამეცნიერო აპარატი: პასპორტით, რომელშიც მითითებული იქნება წყაროები და მათი აღწერილობა, ტექსტოლოგიური შენიშვნებით, კომენტარებითა და საძიებლებით.

გრიგოლ ორბელიანის დღიურების პირველი პუბლიკატორი პავლე ინგოროვა ჩანაწერების იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს მგზავრობას თბილისიდან სტავროპოლამდე (1831 წლის 9 ივნისიდან 7 აგვისტომდე) და რომელიც რუსეთში ყოფნისას გადაათეთრა მწერალმა, უწოდებს „მგზავრობას“ და მასში ცალკე გამოყოფს ე.

ნ. „მოსკოვისა და პეტერბურგის პერიოდის“ დღიურებს. მკვლევარი წერს, რომ „ეს ტექსტი „მგზავრობისა“ წარმოადგენს არა უბრალო დღიურს, არამედ წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელსაც საფუძვლად პოეტის დღიურები დასდებია, რაც მას დოკუმენტა-ლური პროზის ხასიათს ანიჭებს“ (ინგოროვა, 1940: 88). ჩვენი აზრით, გრიგოლ ორბელიანის მეტნაკლებად ყველა დღიურს აქვს მხატვრულობის ნიშნები, ისინი ერთი მთლიანი ტექსტის ნაწილებია, როგორც ქრონოლოგიურად, ისე შინაარსითა და განწყობილებებით და კატეგორიებად დაყოფა არასწორად მიგვაჩინია.

იმ დღიურების ავტოგრაფებში, რომელებიც მწერალს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებისას ჩა-მოართვეს, ცალკეული ადგილები ხაზჩამოსმულია და მიწერილი აქვს – „Перевод“, რაც ცხადყოფს, რომ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის ეს პასაუები მთლიანად უთარგმ-ნიათ. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ კომისიის მიერ დღიუ-რებზე გაკეთებული მინაწერები აღნუსხული იყოს აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატში, რადგან მათ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მიგვანიშნებს, რა საკითხებით ინტერესდებო-და ხსენებული კომისია.

ჯუმბერ ჭუმბურიძის აზრით, 1836 წლის დღიური 1834 წელს დონში ჩავარდნისას დაკარგული დღიურების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა თარიღებს შორის 2-წლიანი სხვაობა გვა-ფიქრებინებს, რომ ამ წლებში მწერალს სხვა დღიურებიც უნდა ეწე-რა, რომლებსაც ჩვენამდე არ მოულწევია. ბუნებრივია, 1836 წლის ჩანაწერები 1834 წლის დღიურის გაგრძელება ვერ იქნება.

გრიგოლ ორბელიანის დღიურების ნინა გამოცემებზე დაკ-ვირვებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ცალკეული ჩანაწერების აღსაქმელად უმჯობესი იქნებოდა მათი ერთმანეთისაგან უფრო მკვეთრად გამოყოფა. რამდენადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ჩა-ნაწერს არ უძღვის ნინ სრული თარიღი და მხოლოდ რიცხვია მითითებული, სასურველია, ყოველი ჩანაწერის ნინ კვადრატულ ფრჩხილებში იყოს მოცემული როგორც თვე და რიცხვი, ისე წელი.

აკადემიური გამოცემის სპეციფიკა მდგომარეობს არა მხო-

ლოდ იმაში, რომ საკვლევი მასალა მეცნიერულად იყოს შესწავლილი, არამედ სამეცნიერო აპარატის სტრუქტურირებაშიც. ჩვენი აზრით, გრიგოლ ორბელიანის დღიურების ახალ აკადემიურ გამოცემასაც, მისი წერილების მსგავსად, სჭირდება კარგად ორგანიზებული რუბრიკები. აუცილებლად უნდა იყოს მოცემული ტექსტოლოგიური შენიშვნები, რომლებშიც ასახული იქნება გვერდებისა და სტრიქონების მიხედვით ავტოგრაფში არსებული სწორებები და მექანიკური შეცდომები. ასევე უნდა იყოს მოწესრიგებული ტექსტოლოგიური კომენტარები. სასურველია, რომ ისინი იყოს მაქსიმალურად ამომწურავი.

რამდენადაც თითოეული ჩანაწერის გაკეთების დრო და ადგილი ტექსტებთან იქნება მითითებული, მათი რუბრიკებად გამოტანა საჭირო აღარ იქნება. საკმარისია წყაროს შესახებ მოტანილ ინფორმაციასთან დღიურების ამ ციკლის ფართო თარიღის მითითება.

დღიურებისთვისაც, ისევე როგორც წერილებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებისა და ლექსიკონის დართვა.

გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა 1959 წლის გამოცემაში, დღიურების შენიშვნებში, გეოგრაფიული პუნქტების განმარტებისას საფუძვლად აღებულია იმდროინდელი ადმინისტრაციული დაყოფა, რაც ართულებს კონკრეტულ შემთხვევაში მწერლის ადგილსამყოფლის დადგენას.

ვფიქრობთ, ანოტირებისას მეტი ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ნაკლებად ცნობილი პირებისა და გეოგრაფიული ადგილების შესახებ. ცნობილ ტოპონიმებსა და ისტორიულ პირებზე საკმარისი იქნება მხოლოდ მოკლე ინფორმაციის შეტანა, რომელიც მკითხველს დაეხმარება მათ იდენტიფიცირებაში.

პირთა და გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც ტექსტში ძველი ან განსხვავებული მართლწერით გვხვდება, როგორც კომენტარებში, ისე საძიებლებში აუცილებლად უნდა ჰქონდეს მითითებული თანამედროვე შესატყვევისები და მართლწერა.

დღიურებში ჩანს არა მხოლოდ მწერლის გადაადგილება ერთი

გეოგრაფიული პუნქტიდან მეორემდე და მიღებული შთაბეჭდი-ლებები, არამედ საინტერესო შეხვედრები, საუბრები და შეხე-დულებები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. აქ არის მოსაზრებები როგორც კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოვლენებზე, ისე ქვეყნის ისტორიასა და სამომავლო პერსპე-ქტივებზე, სხვადასხვა კუთხის ტრადიციებზე, რუსეთში გადა-სახლებული ბაგრატიონების ცხოვრებაზე. ამიტომ ამ ტექსტების სრულყოფილი, აკადემიური სახით მიწოდება მკითხველისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე, ზ. ქართული მემუარული პროზა. ლიტერატუ-რული გაზეთი. 2009, 26 ივნისი.
2. ამონანერები „ქილილა და დამანადან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნანერთა ეროვნუ-ლი ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №206.
3. გიგაშვილი, ქ. ვოდევილი ქართულ მწერლობაში, აკადემიუ-რი გამოცემა, ტომი I, ჯეოპრინტი, თბ., 2015.
4. გიგაშვილი, ქ. ვოდევილი ქართულ მწერლობაში, აკადემიუ-რი გამოცემა, ტომი II, ჯეოპრინტი, თბ., 2015.
5. გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ. (რედ.). XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (II ტ.). საარი, თბ., 2012.
6. გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ. (რედ.). XIX-XX საუკუნეების ქარ-თველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (III ტ.). უნივერსა-ლი, თბ., 2012.
7. გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ. (რედ.). XIX-XX საუკუნეების ქარ-თველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (IV ტ.). უნივერ-სალი, თბ., 2013.
8. გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ. (რედ.). XIX-XX საუკუნეების ქარ-თველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (V ტ.). უნი-ვერსალი, თბ., 2014.

9. გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ. (რედ.).XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (VI ტ.). საარი, თბ., 2015.
10. გიგაშვილი, ქ., ნინიძე, მ. (რედ.).XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (VII ტ.). გამომც. ჯეოპრინტი, თბ., 2017.
11. გიგაშვილი, ქ., და ნინიძე, მ. (რედ.)XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა (VIII ტ.). უნივერსალი, თბ., 2018.
12. „ზმები და ჭეშმარიტების ნამტვრევები“, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №207.
13. თალაკვაძე, თ. ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები გრიგოლ ორბელიანის წერილებისა და დღიურების შესახებ, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თელავი, 2019.
14. თაყაიშვილი, ე. მოგონებანი ქართველ მწერლებზე, ლიტერატურის მატიანე, წ. 6, ნაკვ. 1, 15, თბ., 1952.
15. იმნაძე, ე. რამიშვილი, გ. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, თბ., 1987.
16. ინგოროვა, პ. გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა“, ჟურნ. „მნათობი“, 1940, N2.
17. ლასხიშვილი, გ. მემუარები, ქართული მემუარული ლიტერატურა, გამომც. „საქართველო“, თბ., 1992.
18. მანია, ე. ტექსტოლოგიური და საგამომცემლო კვლევები ილია ჭავჭავაძის ზეპირი მეტყველების ნიმუშებისა და წერილობითი ჩანაწერების შესახებ, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თელავი, 2019.
19. მგალობლიშვილი, ს. მოგონებანი, ლევან ასათიანის რედა-

ქციით, ფედერაციის გამომცემლობა და სტამბა, ტფ. 1938.

20. ნინიძე, მ. ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანისათვის, სამშობლო, თბ., 2016.

21. პროექტი ხიზანთა მდგომარეობის შესახებ, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №200.

22. სალექსიკონო მასალა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №204.

23. ტაბიძე, გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ ტომად (XIII-XXIII ტ.ტ.). ლიტერატურის მუზეუმი, თბ., 2006-2008.

24. ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის წევრთა წლიური კრება, გაზ. „ივერია“, თბ., 1892, №103.

25. ჩარქვიანი, გ. ნაგერალა (ჩანანერები), გამომც. „ინტელექტუალი“, თბ., 2014.

26. ცაიშვილი, ს. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის. წიგნში: ლეონიძე, გ. (რედ.). ლიტერატურის მატიანე (ნ. 1-2), თბ., ტექნიკა და შრომა, 1940.

27. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 5, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1991.

28. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 6, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1997.

29. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 7, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2005.

30. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 8, ილიას ფონდი, თბ., 2007.

31. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 12, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2007.

32. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 15, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2007.

33. ჭავჭავაძე, ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. 16, ილიას ფონდი, თბ., 2018.

34. ჭავჭავაძე, ი. უბის წიგნაკი, კორნელი კეკელიძის სახე-

ლობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №57.

35. ჭავჭავაძე, ი. უბის წიგნაკი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №58.

36. ჭავჭავაძე, ი. უბის წიგნაკი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №60.

37. ჭავჭავაძე, ი. ლექსების კრებული, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №108.

38. ჭავჭავაძე, ი. ამონაწერები სხვათა ნაშრომებიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი №208, 209.

39. ჭავჭავაძე, ი. „ხიზნების საქმის თაობაზედ (ხიზნების საქმე საიდამ უნდა დაწყებულყო)“, გაზ. „დროება“, 1880, № 60.

40. ჯავახიშვილი, მ. უბის წიგნაკიდან, გამოსაც. მოამზადეს მარინე შიშნიაშვილმა და ცისანა გენდეხაძემ, გამომც. „მერანი“, თბ., 2005.

41. ჯანგიძე, მ. ტექსტოლოგიური კვლევები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანისათვის, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თელავი, 2019.

42. Авалов. З. (1901). присоединение Грузии к России, СПБ.

43. Брандес, Г. (1881). Главные течения литературы девятнадцатого столетия / Пер. с немец. изд. А Шродтмана), М.

44. Бёрне. Л. (1869). Сочинения /В пер. Вейнберге: В 2- х томах. Т. I. СПБ.

45. Гегель, В. Ф. (1847). Курс эстетики или наука изящного /Пер. В. Модестов. Ч. I. СПБ. 1.

46. Гете. (1891). Разговоры Гете собранные Эккерманов, /Пер. с немец. Д. В. Аверкиева. Ч. 2., СПБ.

47. Довлатов, Сергей, Записные книжки, Азбука, СПБ., 2016.

48. Достоевский, Ф. (1881). Полное собрание сочинений, Т. 14, Биография, письма и заметки из записной книжки, изд. А. Г. Достоевской, СПб.
49. Маклеод, Г. (1865). Основания политической экономии, Пер. с англ. М.П. Веселовского, СПб.
50. Петри, Э. Ю. (1890). Антропология. Т. I. – СПБ.
51. Пешель, О. (1890). Народоведение /Пер. под ред. Э. Ю. Петри с 6-го изд. – СПБ.
52. Платонов, А. (2000). Записные книжки. Материалы к биографии, Наследие, М.
53. Спенсер, Г. (1866). Научные, политические и философские опыты/ Пер. под. ред. Н. Л. Тиблена, СПб.
54. Тард, Г. (1899). Реформа политической экономии. СПБ.
55. Тейлор, Э. (1872). Первобытная культура: йсследования развития мифологии, философии, религии, искусства и обычаев В 2-х томах /Пер. с англ. под ред. Д. А. Коропчевского. СПБ.
56. Толстой, Л. (1937). Полное собрание сочинений в 90 томах, Том 55, Дневники и Записные книжки 1904-1906, Государственное издательство Художественная литература, М.
57. Уорд, Л. (1897). Психические факторы цивилизации /Пер. с англ. Е. И. Бошняк, М.
58. Цветаева, М. (2000). Записные книжки: <http://tsvetaeva.lit-info.ru/tsvetaeva/zapisnye-knizhki/index.htm>
59. Чехов, А. (2010). Записные книжки; Записи на отдельных листах; Дневники, URSS, М.
60. Шлоссер, Ф. (1869). Всемирная история. Т. 2, СПБ.
61. Bigelow, J. (1885). Thomas Jefferson's early notebooks, Jefferson's financial diary, Harper's magazine. Vol. 70.
62. Brucoli, M. J. (ed.). (1978). The notebooks of F. Scott Fitzgerald, New York.
63. Camus, A. (2010). Notebooks, Chicago, Ivan R. Dee.
64. Coburn, K. and Harding, A. J. (eds.) (2002). The Notebooks of Samuel Taylor Coleridge, Volume 5, Princeton.

65. Home, P. and Wood, M. (2018). Ales from a master's notebook: stories Henry James never wrote (Contains stories by Colm Toibin, Rose Tremain, Jonathan Coe, Paul Theroux, Amit Chaudhuri, Giles Foden, Joseph O'Neill, Lynne Truss, Susie Boyt and Tessa Hadley), London, Vintage.
66. Hugo, V. (2015). Complete works. Delphi Classics. <https://www.kobo.com/us/en/ebook/complete-works-of-victor-hugo-delphi-classics>. (გვ. 8.VII.2018).
67. Mansfield, K. (2016). The Collected Works (vol. 4). The Diaries of Katherine Mansfield: Including Miscellaneous Works. Edinburgh: University Press.
68. Nietzsche, F. (2017). The will to power: selections from the notebooks of the 1880s. London: Penguin Books.
69. Nixon, M. (2011). Samuel Beckett's German diaries 1936-1937 London; New York, Continuum.
70. Richter, J. P.(ed.). (1970). The Notebooks of Leonardo Da Vinci, Volume 1, 2, Dover publications.
71. Taylor, R. H. (ed.). (1979). The Personal Notebooks of Thomas Hardy, Palgrave Macmillan.

გამოყენებული ინტერნეტწყარო:

<https://www.mla.org/Resources/Research/Surveys-Reports-and-Other-Documents/Publishing-and-Scholarship/Reports-from-the-MLA-Committee-on-Scholarly-Editions/Guidelines-for-Editors-of-Scholarly-Editions>

თავი VIII

გამოცემის პრაქტიკა და საგამოცემო გადაწყვეტილებები

საგამომცემლო პრაქტიკებს შორის ერთ-ერთ უმთავრეს განსხვავებას წარმოშობს გამოცემის ობიექტი. რედაქტორებს შეუძლიათ გამოსცენ ტექსტები, წარმოდგენილი მხოლოდ ერთი წყაროთი, ანუ გამოსცენ „დოკუმენტები“, ტანზელის (1989) ტერმინოლოგიით, „დოკუმენტების ტექსტები“. ამ შემთხვევაში გვექნება დოკუმენტური გამოცემა; ან რედაქტორებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ გამოცემული ტექსტები სხვადასხვა წყაროდან მომდინარე იკითხვისების კომბინაციით, ანუ „ნაწარმოებების ტექსტები“. ამას უწოდებენ კრიტიკულ გამოცემას. ელენა პიერაზოს მიაჩნია, რომ ტერმინი „დოკუმენტური გამოცემა“ უკეთესია ტერმინთან „არაკრიტიკული გამოცემა“ – შედარებით, რადგანაც ის უკეთესად აღწერს ობიექტს და, ამასთან, თავიდან ირიდებს ნეგატიურ განსაზღვრებას. კრიტიკული გამოცემის მიზანია, დაადგინოს „საუკეთესო ტექსტი“ (ძალიან ახლოს მდგომი ავტორის ორიგინალურ ან ტექსტის უადრეს ვერსიასთან) სხვადასხვა ვერსიასთან შედარების გზით („ვარიანტების“ შესწავლა). ორივე საგამომცემლო პრაქტიკის შემთხვევაში, რედაქტორის მიზანია, მკითხველს შესთავაზოს საუკეთესო ტექსტი.

ამ საერთო თვისების მიუხედავად, გამოცემის ამ ორმა ფორმამ შეინარჩუნა განსხვავებულობა განსაკუთრებით ანგლო-ამერიკულ ტრადიციაში იმ მნიშვნელობით, რომ მათ მიცემული აქვთ განსხვავებული თეორიული და პრაქტიკული ჩარჩოები და ტიპობრივად ასოცირებულია განსხვავებულ დისციპლინებთან. მაგ., გამოცემა ერთი მოწმით დაკავშირებულია ისტორიულ საბუთებთან, მაშინ როდესაც გამოცემა რამდენიმე მოწმით უკავშირდება ლიტერატურულ ნაწარმოებებს. მათ შორის ურთიერთობები გახდა გაცხოველებული დებატების თემა ტექსტოლოგებსა და ისტორიკოსებს შორის გვიანი XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. განსხვავება ამ ორ მიდგომას შორის დიდი ხნის განმავლობაში

იგულისხმებოდა და ის „სანქცირებულ“ იქნა 1978 წელს აშშ-ის დოკუმენტური გამოცემის ასოციაციის (The US Association for Documentary Editing (ADE) (Eggert, 2009) დაფუძნებით. მაგრამ იმ პერიოდში, როცა ეს ორგანიზაცია არსდებოდა, თომას ტანზელი დაუპირისპირდა დოკუმენტური გამოცემის სტანდარტებს, რომელსაც იყენებდნენ ისტორიკოსები. დებატებს ჰქონდა ორმაგი შედეგი, ერთი ის, რომ შეიქმნა უკეთესი დეფინიცია შესაბამისი საგამომცემლო პრაქტიკისა და მეორე ის, რომ შეიქმნა ასეთი პრაქტიკების ინტერდისციპლინური შეფასებები, ისევე როგორც ჩამოყალიბდა დისციპლინური საზღვრების გაგება (Kline and Perdue, 2008: 19-22). ამ დებატებმა აგრეთვე აჩვენა, რომ დოკუმენტური გამოცემა არ არის ისტორიკოსების ექსკლუზიური სფერო და სხვადასხვა პროფესიული ბიოგრაფიის მეცნიერებს აქვთ თავიანთი საჯუთარი შეხედულებები და პრაქტიკები ამას-თან დაკავშირებით. მაგ., დოკუმენტური გამოცემა წარმოადგენს საგამომცემლო მოდელს ე. წ. „ახალი“, ან „მატერიალური ფილოლოგიის“ ფარგლებში – თეორიულ მიდგომას, რომელიც გამომცემლებმა განავითარეს იმ რწმენით, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები არ არსებობს დამოუკიდებლად თავიანთი მატერიალური განსახიერებისგან და ტექსტის ფიზიკური ფორმა არის მისი შინაარსის განუყრელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, ტექსტის ნებისმიერ რეკონსტრუქციას, მიღწეულს მრავალი წყაროს კომპინაციით, აკლია ტექსტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

ფილოსოფიური განსხვავებები ორ მიდგომას შორის კარგად არის შეჯამებული ტანზელის მიერ (1995), რომელიც აღნიშნავს, რომ გამოცემის ეს ორი სახეობა გულისხმობს ორ მიდგომას წარსული-სადმი: დოკუმენტური მეთოდი ფოკუსირებას ახდენს ტექსტში, როგორც ფიზიკურ საგანში, შემორჩენილ და განსხეულებულ წარსულ მომენტებზე, ანუ წარსულზე, კრიტიკული მიდგომა კი აღიარებს, რომ გადარჩენილმა დოკუმენტებმა შეიძლება შეცდომით შეგვიყვანის წარსულში და, აქედან გამომდინარე, შეიძლება მოითხოვოს შე-

ცვლა ან შევსება სწავლულების მხრიდან (Tanselle, 1995, Online, § 9).

ციფრულმა გამოცემამ მოშალა ეს საზღვრები, ისევე როგორც ტრადიციული გამოცემის ბევრი სხვა ასპექტი. ეს ფაქტი მეტ-ნაკლებად აღიარა ტანზელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ციფრულ გამოცემებს (ანუ „ჰიპერტექსტებს“ მისი 1995 წლის ტერმინოლოგიით), შეუძლია წარმოგვიდგინოს ორივე მიდგომა, თუმცა კრიტიკული გამოცემა, მისი აზრით, ყველაზე ღირებული საგამომცემლო აქტივობაა და რედაქტორებმა უნდა განიხილონ დოკუმენტების ტექსტები მანამ, სანამ შეეძლებათ აღადგინონ კრიტიკული ტექსტები: „კრიტიკული გამოცემა არის ბუნებრივი დამატება, შევსება დოკუმენტური ტექსტებისა და ჰიპერტექსტი საუცხოოდ უჭერს მხარს ორივე აქტივობას“ (Tanselle, 1995: § 22).

კრიტიკულ გამოცემებამდე გვქონდა ფაქსიმილური (ზუსტი) და დიპლომატური გამოცემები. ფაქსიმილური წარმოადგენს ფოტოგრაფიულ რეპროდუქციას, ანუ ძველი, ძვირფასი გამოცემის ზუსტ პირს კომენტარებით; იგი იმეორებს მისი გაფორმების ყველა თავისებურებას: ფორმატს, ქაღალდის ფერსა და სახეს, ყდას, გარეკანს და ა.შ.; ფაქსიმილური გამოცემა იყოფა საკუთრივ ფაქსიმილურ (დედანთან მაქსიმალური მსგავსების) და ფაქსიმალური ტიპის, ანუ პირობით ფაქსიმალურ გამოცემად, რომელიც წარმოადგენს პოლიგრაფიულად ზუსტად კვლავწარმოებულ გამოცემას, წინასწარ გათვალისწინებული ზოგიერთი ცვლილებით (გარე გაფორმების შეცვლით, თანდართული ტექსტის ჩართვით, დედნის ქაღალდისაგან განსხვავებული ქაღალდით).

დიპლომატური გამოცემა ცალკეული ტექსტის ტრანსკრიპტს გვთავაზობს. აქ არ არსებობს არანაირი ცდა, დადგინდეს „საუკეთესო“ რედაქცია. ტრანსკრიპტი, რამდენადაც შესაძლებელია, გადმოსცემს ტექსტის მდგომარეობას ხელნაწერში. მასამ 1950 წელს დაადგინა ამჟამად საზოგადოდ მიღებული პირობითი სიმბოლოების სისტემა დიპლომატური ტრანსკრიფციებისთვის. მან განასხვავა სამი დონე: ორიგინალური რედაქცია, შემსწორებლების მიერ გაკეთებული სწორებები (მანამ ხელნაწერი სკრიპ-

ტორიუმს დატოვებდა) და შემდგომი პერიოდის ცვლილებები. ორიგინალური რედაქცია იბეჭდება, როგორც ძირითადი ტექსტი, აღიარებული აბრევიატურების გამოსაყოფად გამოყენებულია „იტალიკი“ (italics). კორექტორის რევიზიები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში წასაშლელად, დამატებების დახრილი ხაზების სხვადასხვა კომბინაციისთვის, გადაშლილის კომბინაციებისთვის და ჩანაცვლებების დამატებითი სიმბოლოებისთვის. შემდგომი დროის ცვლილებები ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში.

ეკლექტური გამოცემა – ეს არის სამეცნიერო კრიტიკული გამოცემა, რომელიც წარმოგვიდგენს მრავალი წყაროდან აგებულ საკითხავ ტექსტს. ჩვეულებრივ, ხასიათდება, როგორც ცდა, აღადგინოს ორიგინალური (ამჟამად დაკარგული) ავტორისეული ტექსტი.

გამოცემის პრაქტიკა, როგორც სახელმძღვანელოს დასაწყისშივე აღვნიშნეთ, გამოცემის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. გამოცემის ისტორია სწორედ ცალკეული პრაქტიკებისაგან შედგება. ცხადია, სახელმძღვანელო, თავისი ფორმატიდან გამომდინარე, სრულად ვერ ასახავს ყველა უანრის გამოცემის პრაქტიკებს. იმის გათვალისწინებით, რომ გამოცემის თეორია, ისევე როგორც ტექსტის კრიტიკა, კლასიკური ტექსტების გამოცემების გვერდით, განვითარდა და დაიხვეწა ბიბლიის გამოცემებზე დაყრდნობით, მოცემულ თავში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ბიბლიის გამოცემის პრაქტიკას. მსოფლიო გამოცდილების გვერდით წარმოვადგენთ ბიბლიის ქართული თარგმანების გამოცემის მოკლე ისტორიასაც.

§1. ბიბლიის ეპრაული ტექსტის ადრეული გამოცემები

არსებობს ბიბლიის ეპრაული ტექსტის ადრეული გამოცემების სამი კლასი: 1. ე. წ. ინკუნაბულა; 2. რიგითი გამოცემები; 3. კრიტიკული გამოცემები. ამ დაყოფას აქვს როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური საფუძველი.

ინკუნაბულა არის გამოცემები 1500 წლამდე (და რამდენადმე შემდეგაც). თანამედროვე გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ისინი

საკმაოდ დეფექტურია, მაგრამ გამოცემის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი. ჩამოთვლიან ინკუნაბულას დაახლოებით 13 პუბლიკაციას. პირველი თარიღდება 1477 წლით. ეს არის ებრაული ფსალმუნის ე. წ. „მეოთხედი გამოცემა“ (‘quarto edition’), რაბი დევიდ კიმხის (Rabbi David Kimchi) კომენტარით. ასეთივე გამოცემა იყო გუტენბერგის ბიბლიიაც. „მეოთხედი გამოცემა“ მზადდებოდა ქალალდის ერთი, ან მეტი სრული ფურცლისგან. მასზე ტექსტის 8 გვერდი იბეჭდებოდა, რომელიც შემდეგ იკეცებოდა ორჯერ და ვიღებდით 4 ფურცელს. ასეთი წიგნის თითოეული ფურცელი წარმოადგენდა ფორმატის ერთ მეოთხედს. სავარაუდოდ, ხსენებული ებრაული ფსალმუნი დაიბეჭდა ბოლონიაში. აკლია ხმოვანი ბგერები და მახვილები, გარდა პირველი ოთხი ფსალმუნისა. გამოცემა გამოირჩევა გამოტოვებული ადგილებით, შემოკლებებითა და არააკურატულობით. მეორე გამოცემა განხორციელდა ასევე ბოლონიაში 1482 წელს. ეს იყო ე. წ. „ფოლიო გამოცემა“ (‘folio edition’). ასეთი წიგნის მოსამზადებლად ფურცელი იკეცებოდა მხოლოდ ერთხელ. ასე გრძელდებოდა 1500 წლამდე. ორი გამოცემა შედგა 1534 და 1546 წლებშიც. ეს იყო ებრაულ-ლათინური ბიბლია, რომელიც დაიბეჭდა ბაზელში (შვეიცარია). მისი ტექსტი ეყრდნობა 1488 და 1494 წლების გამოცემების ტექსტებს.

„რიგითი გამოცემის“ სახელით ცნობილია ბიბლიის ის გამოცემები, რომლებიც მომდინარეობს ან მანუსკრიპტებიდან, ან წინა ბეჭდური გამოცემებიდან კრიტიკული აპარატისა და საგამომცემლო პრინციპების წარმოდგენის გარეშე. ზოგიერთი მეცნიერი, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, რიგით გამოცემებს ყოფს 2 კლასად: დამოუკიდებელ გამოცემებად (რომლებიც დამოკიდებული არ არის სხვა ბეჭდურ გამოცემებზე) და დამოკიდებულ ან შერეულ გამოცემებად (რომლებიც დამოკიდებულია, ნაწილობრივ მაინც, წინა ბეჭდურ ტექსტზე):

ა) დამოუკიდებელ გამოცემებში ერთიანდება ორი ძირითადი გამოცემა: ‘*Biblia Polyglotta Complutensia*’ და ‘*Biblia Rabbinica Bombergiana*’.

1502 წელს კარდინალმა ხიმენესმა (Ximenes) რამდენიმე სწა-

ვლულს დაავალა, მოემზადებინათ მრავალენოვანი ბიბლიის გამოცემა, რომელსაც დაერქვა მისი საეკლესიო ქომაგისა და პუბლიკაციის ადგილის სახელები. ესპანეთის ქალაქ ალკალა დე ენარესს (Alcalá de Henares) ადრე ლათინურად კომპლუტუმი (Complutum) ერქვა. ებრაული ტექსტის გამომცემლები იყვნენ ახლად მოქცეული ებრაელები, რომელთა განკარგულებაშიც აღმოჩნდა უძველესი მანუსკრიპტები, შეფასებული 4000 გულდენად, და, სავარაუდოდ, იმ დროისთვის გადარჩენილი საუკეთესო ბეჭდური ასლები. კარდინალის სწავლულებმა შექმნეს ტექსტი, სრულიად განსხვავებული იმ დროის სხვა ბეჭდური ტექსტებისგან. ის მოიცავდა ხმოვნებსაც, მაგრამ არა მახვილებს. ეს გამოცემა დასრულდა 1517 წელს, მაგრამ გამოიცა 1520, ან 1522 წელს (Gregory, 1907).

დანიელ ბომბერგმა (Daniel Bomberg) ანტვერპენიდან (ბელგია), რომელსაც დაარსებული ჰქონდა ბეჭდვის ოფისი ებრაული ლიტერატურისთვის ვენეციაში, 1518 წელს განახორციელა ებრაული ტექსტის ორი მნიშვნელოვანი გამოცემა: პირველი იყო ქრისტიანი მკითხველისთვის ‘quarto’-ს სახით, რომელიც ხელმეორედ დაიბეჭდა 1521, 1525-28, 1533 და 1544 წლებში; შემდეგ დაბეჭდა ებრაელი მკითხველისთვისაც. მართალია, ის კომენტარებს შეიცავდა, მაგრამ ებრაელთა ინტერესს ვერ აკმაყოფილებდა. ბომბერგმა მიზანშეწონილად ჩათვალა, დაებეჭდა მეორე გამოცემა იაკობ ბენ ხაიმის (Jacob ben Chayim) რედაქტორობით, რომელიც თავისი დროის ყველაზე განთქმული ებრაელი მეცნიერი იყო. მან გამოცემაში დაამატა კომენტარები. ნაშრომი დაიბეჭდა 1525-1526 წლებში ვენეციაში ოთხ „ფოლიო“ ტომად და განიხილებოდა, როგორც პირველი მასორეტული ბიბლია. იგი მოწონებულ იქნა ებრაელი და ქრისტიანი მეცნიერების მიერ და ხელმეორედ გამოიცა 1547-1549 და 1568 წლებში. ეს ბოლო გამოცემა, მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, არ იყო დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან.

ბ) დამოკიდებული, ან შერეული გამოცემები: აქ შემოდის ტექსტები, რომლებიც შესწორებულია 1. ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით და 2. კოდექსებისა და ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით.

ებრაული ბიბლიის პირველი შერეული ტექსტი – „ანტვერპის პოლიგლოტი ბიბლია“ – 1569-1572 წლებში 8 ტომად დაბეჭდა ფრანგმა ბეჭდავმა ქრისტოფ პლანტინმა (Christophe Plantin) (1520-1589) ქალაქ ანტვერპენში, სადაც მან 1550 წელს დიდი სტამბა დააარსა. რვატომეულის მომზადებას ხელმძღვანელობდა ბენედიქტუს (Benedictus Arias Montanus) არიას მონტანუსი. აღნიშნული ბიბლია შემდეგ გამოიცა პარიზის პოლიგლოტში 1629-1645 წლებში, ლონდონის პოლიგლოტში 1657 წელს და ა.შ.

კოდექსებისა და ნაბეჭდი ტექსტების მიხედვით მომზადებული პირველი წიგნი დაიბეჭდა ჯონ ლოიზდენის (John Leusden) მიერ ჯოს ათიასთან (Jos. Athias) თანამშრომლობით ამსტერდამში 1661, 1667 წლებში. რედაქტორმა შეასწორა ხაიიმის მიერ გამოცემული ტექსტი ორი კოდექსის იკითხვისების მიხედვით, რომელთაგან ერთი იყო 900 წლის. ეს გამოცემა, დაბეჭდილი ათიასის მიერ, გადაიხედა ჯორჯ ნისელის (George Nissel) მიერ ჰატერის (Hutter) ბიბლიის მიხედვით (1662 წ.). ამდენად, ყველა გამოცემის რედაქტორი ტექსტს ამა თუ იმ გამოცემის, ან გამოცემების მიხედვით ასწორებდა. მაგ., ოპიცმა (Opitz) შეასწორა ათიასის გამოცემა წინა 17 საუკეთესო გამოცემისა და რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით (გამოსცა 1709 და 1741 წლებში). ასე რომ, ერთდროულად რამდენიმე ტექსტზე მუშაობა ამ დროს უკვე პრაქტიკაში ჰქონდათ.

ჯ. მიქაელისმა (J. H. Michaelis) გამოსცა პირველი ებრაული ტექსტი ვარიანტებით, რაც მნიშვნელოვანია გამოცემის ისტორიისთვის (Halle, 1720). მან ეს გამოცემა დააფუძნა დანიელ იაბლონსკის (Daniel Jablonsky) ტექსტს, რომელიც 24 ადრინდელ გამოცემასა და 5 ხელნაწერს შეუდარა. უფრო მნიშვნელოვანი ვარიანტები დაამატა გვერდის ბოლოში. მართალია, ეს შედარებები ზედაპირულია, მაგრამ გამოცემა ღირებულია, რადგან ის არის პირველი ასეთი გამოცემა და, თანაც, ზოგიერთი ვარიანტი დღესაც იმსახურებს ყურადღებას.

ჩარლზ უბიგომ (Charles Houbigant) სცადა გამოეცა იმ დროისათვის ყველაზე საუკეთესო ტექსტი. მან საფუძვლად აიღო ვან

დერ ჰუტის (Van der Hooght) ტექსტი¹ და კრიტიკულ შენიშვნებში დაამატა საკუთარი შესწორებები და მოსაზრებები. მისი აპარატი შედგებოდა ხელნაწერების უძველესი ვერსიებისგან. ეს გამოცემა ნაჩქარევი იყო, რამაც საბოლოოდ დააზიანა ის, თუმცა მეცნიერები აღნიშნავენ მის ღირსებებსაც.

გასათვალისწინებელია სალომონ ნორზის (Salomo Norzi) შრომა. მან ტექსტზე მუშაობა დაიწყო ადრეულ XVII საუკუნეში. მისი მიზანი იყო, ბომბერგის ტექსტი შეედარებინა საუკეთესო ბეჭდურ გამოცემებთან, ბიბლიისა და კარგ მასორეტულ ხელნაწერებთან, ბიბლიურ ციტატებთან თაღმუდში, მიდრაშითან,² რაბინის სხვა ტექსტებთან და უფრო გამოჩენილი ებრაელი კომენტატორების კრიტიკულ ანოტაციებთან. თავისი ხანგრძლივი შესწავლის შედეგები მან შეაჯამა კრიტიკულ კომენტარებში, რომლებიც უნდა დართოდა ებრაული ბიბლიის ტექსტს. სათაური უნდა ყოფილიყო ‘Repairer of the Breach’, მაგრამ ავტორი გარდაიცვალა და ვერ შეძლო მისი დაბეჭდვა.

ერთი საუკუნის შემდეგ ებრაელმა ექიმმა რაფაელ ხაიიმმა (Raphael Chayim) საკუთარი ხარჯით გამოსცა ის სათაურით ‘Offering of the Gift’. იგი შეუმჩნეველი დარჩა ქრისტიანი მეცნიერების მიერ ბრანსა (Bruns) და დრესდენდე (Dresde). ნორზიმ უფრო დაამახინჯა ტექსტი, ვიდრე შეასწორა, რადგან მან აირჩია არა-სანდო ხელნაწერები.

კრიტიკული გამოცემები: ებრაული ბიბლიის კრიტიკულ გამოცემებს ორი მიმართულების სწავლულები ბეჭდავდნენ: პირველები ცდილობდნენ კრიტიკულად აღედგინათ ყველაზე სწორი მასორეტული ტექსტი, ხოლო მეორენი ცდილობდნენ, ეპოვათ ყველაზე აკურატული პრე-მასორეტული ტექსტი.

მასორეტული ტექსტის კრიტიკული გამოცემები: სწორი მასორეტული ტექსტის აღსადგენად, პირველ რიგში, აუცილებელი იყო არსებულ ხელნაწერთა და ბეჭდურ გამოცემათა თავმოყრა.

1 „ტექსტში“ ამ ნაწილში ყველავან იგულისხმება ებრაული ბიბლია.

2 ‘Midrashim’ არის ბიბლიური კანონიკური განმარტებები ძველი იუდეველი ავტორიტეტების მიერ.

დაახლოებით XVIII საუკუნის შუა წლებში ბენჯამინ კენიკოტმა (Benjamin Kennicott), ქრისტეს ეკლესიის ნარმომადგენელმა ოქსფორდში, 1759 წლის დასაწყისში პირადად და სხვების დახმარებით შეადარა 615 ებრაული ხელნაწერი, 52 ბეჭდური გამოცემა და თაღმუდი. ეს პროცესი გაგრძელდა 1773 წლამდე. შემდეგ დაიწყო ამ შრომის ბეჭდვა¹ ვან დერ ჰუტის ებრაულ ტექსტზე დაყრდნობით, რომელიც გამოცემული იყო სიმონისის (**Simonis**) მიერ. ვარიანტები, თავისი შესაბამისი წყაროებით, მითითებული იყო ტექსტის ბოლოს. პირველი ტომის გამოჩენის შემდეგ კრიტიკოსებმა კენიკოტს ბრალი დასდეს სიფრთხილის, გამოყენებული ხელნაწერების სწორად შერჩევისა და მასორეტული ტექსტის ნდობის ნაკლებობაში. ამის გამო, ავტორმა საჭიროდ ჩათვალა, მეორე ტომის შესავალში გადმოეცა თავისი ინიციატივის ისტორია და დაქსაბუთებინა საკუთარი კვლევის მეთოდები.

პროფესორმა ბერნარდო დე როსიმ (Bernardo de Rossi) სცადა შეედგინა უფრო სრულყოფილი აპარატი. მისი მასალა აღემატა კენიკოტის მასალას. მან გამოიყენა 731 ხელნაწერი, 300 ბეჭდური გამოცემა და რამდენიმე უძველესი ვერსია. თავის შრომაში² და მის მომდევნო დამატებაში³ ის მიუთითებდა უფრო მნიშვნელოვან ვარიანტებს, მოკლე შეფასებებს აძლევდა შესაბამის წყაროებს, მათ ღირსებებს და სათანადო ყურადღებას უთმობდა მასორეტულ ტექსტს. იგი მიჰყვება ჰუტის ტექსტს, როგორც ძირითადს, თუმცა ბოლომდე არ იცავს მას. როსის კრიტიკოსები თანხმდებან მისი შრომის შრომატევადობაში, მაგრამ ფიქრობენ, რომ მისი მნიშვნელობა არ შეესაბამება იმ შრომას, რაც მასშია ჩადებული. მან, სულ მცირე, გვიჩვენა, რა შეიძლება გაკეთდეს ხელნაწერებისა და ძველი გამოცემების შესწავლით ებრაული ტექსტის შესწორებისთვის.

ძველი აღთქმის ტექსტის კრიტიკული გამოცემები არ შემოიფარგლება კენიკოტისა და როსის შრომებით. აქ უნდა დასახელ-

1 Vetus Testam. Hebr. cum var. lectionibus, 2 volumes, Oxford, 1776-1780.

2 Variæ lectiones Vet. Testam., 4 volumes, Parma, 1784-1788.

3 Supplementa ad varias s. text. lectiones, 1798.

დეს აგრეთვე სალომო ნორზის ზემოთ დასახელებული პუბლიკაცია, ხელმეორედ გამოცემული ვენაში 1813 წელს; აგრეთვე ვოლფ ჰეიდენჰაიმის (Wolf Heidenhaim) გამოცემა; ფრენსდორფის (Frensdorff) გამოცემები: 'Ochla W' Ochlah (1864) da 'Massora Magna' (Hanover, 1876); 916 წლით დათარიღებული წინასწარმეტყველება 'Codex of St. Petersburg', ფოტოტიპურად გამოცემული შტრეკის (Strack) მიერ 1876 წელს. უნდა აღნიშნოს აგრეთვე ბოლო წლებში აღმოჩენილი და შესწავლილი კოდექსები და მათი ფრაგმენტები, უძველესი ეპრაელი გრამატიკოსებისა და ლექსიკოგრაფიების შრომებთან ერთად.

კრიტიკული თვალთახედვით, არც ერთი ეს გამოცემა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაქმაყოფილებლად. კრიტიკულია ჰანისა (Hahn) (Leipzig, 1839) და თეილის (Theile) (Leipzig, 1849) გამოცემები და როსენმიულერის (Rosenmüller) მიერ წინასიტყვაობადართული გამოცემა (Leipzig, 1834). ჰანისა და თეილის გამოცემები მრავალი წლის განმავლობაში დარჩა საუკეთესოდ. უნდა დასახელდეს აგრეთვე გინსბურგის (Ginsburg) გამოცემა 'The New Massoretico-Critical Text of the Hebrew Bible' (1894), ბაერისა (Baer) და დელიჩის (Delitzsch) გამოცემები და სხვ.

პრე-მასორეტული ტექსტის კრიტიკული გამოცემები: რედაქტორები, რომელთა შრომებსაც ახლა შევეხეთ, ცდილობდნენ, შესაძლებლობის ფარგლებში აღედგინათ მასორეტული ტექსტი. ამ ტექსტმა თავისი საბოლოო სახე მიიღო ქრისტიანობის აღრეულ საუკუნეებში. ამ პერიოდამდე არსებობდა ბევრი ტექსტური ფორმა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მასორეტულისაგან და რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს ორიგინალურ ტექსტს.

ებრაული ბიბლიის ყველაზე ძველი და სანდო მოწმე პრე-მასორეტული ტექსტისთვის აღმოჩენილია სეპტუაგინტაში. მაგრამ მის შემთხვევაშიც ორიგინალურ ტექსტს განცდილი უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი დამახინჯებები. ეს შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ ტექსტის პარალელური პასაჟების შედარებით და სავარაუდო კრიტიკით.

ძველი აღთქმის ცალკეული წიგნების პრე-მასორეტული ტექსტის აღსადგენად არაერთი მეცნიერი გაისარჯა. მაგ., ოლშაჟენი (Olshausen) მუშაობდა გენეზისის წიგნის აღდგენაზე;¹ ველჰაუზენი² (Wellhausen), დრაივერი³ (Driver) და კლოსტერმანი⁴ (Klostermann) – სამუელის წიგნების შესწორებაზე, კორნილი⁵ (Cornill) – ეზეკიელის წიგნის შესწორებაზე და სხვ. მაგრამ ყველა ეს შრომა ეხება ძველი აღთქმის ტექსტის მხოლოდ ნაწილს. პოლ ჰაუპტის (Paul Haupt) მიერ გამოცემული ‘The Sacred Books of the Old Testament’ არის მთელი სერია, რომლის მიზანიც არის, მოიცვას მთელი ებრაული ტექსტი, თუმცა მისი კრიტიკის ღირებულება საეჭვოა. კრიტიკულ გამოცემებს შორის, რომლებიც ცდილობს აღადგინოს პრე-მასორეტული ებრაული ტექსტი,⁶ ასახელებენ ასევე კიტელის (Kittel) შრომას ‘Biblia Hebraica’ (Leipzig, 1905).

§2. ახალი აღთქმის ადრეული გამოცემები

I საუკუნის ბოლოსთვის და II საუკუნის დასაწყისისთვის განსხვავებული სახარებები, თხრობები, წერილები და აპოკალიფსური ნაწერები, დაწერილი ბერძნულის ფართოდ გამოყენებულ დიალექტ კოინეზე, გამოიყენებოდა სხვადასხვა ქრისტიანი საზოგადოების მიერ. ამ საღმრთო ტექსტებიდან და ებრაული ბიბლიიდან ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში საჯარო კითხვისთვის ამორჩევამ, სავარაუდოდ, ბიძგი მისცა ქრისტიანული ნაწერების კანონიზაციის პროცესის დაწყებას.

IV საუკუნის ბოლოსთვის არსებობდა საერთო თანხმობა იმის შესახებ, რომელ წიგნებს შეიძლებოდა ჰქონოდა ბიბლიური სტატუსი. შრომა რომ საღმრთოდ ყოფილიყო მიჩნეული IV საუკუნეში

¹ Beiträge zur Kritik des überlieferten Textes im Buche Genesis, 1870.

² Text der Bücher Samuelis, 1871.

³ Notes on the Hebrew Text of the Books of Samuel, 1890.

⁴ Die Bücher Samuelis und der Könige, 1887.

⁵ Das Buch des Propheten Ezechiel, 1886.

⁶ Maas, 1909.

და შემდეგაც, მას უნდა ჰქონოდა სამოციქულო ავტორიტეტი: ის დაწერილი უნდა ყოფილიყო ან დაშვებული (უფლებამინიჭებული) ერთ-ერთი ადრინდელი ქრისტიანი ლიდერის, განსაკუთრებით, პავლესა და 12 მოციქულის მიერ. სამოციქულო ავტორიტეტი მოითხოვდა, რომ წიგნები ყოფილიყო თავსებადი იქსოსა და სამების შესახებ სწავლებებთან, რომელიც მოიპოვებოდა სხვა მიღებულ წიგნებში და გავრცელებული იყო IV საუკუნის ქრისტიანობაში. შედეგად, გარკვეული წიგნები ამოგდებულ იქნა ქრისტიანული კანონიკური სიიდან. ზოგიერთიც, რომელიც ითვლებოდა არავანონიკურად, დაიკარგა და მხოლოდ XIX და XX საუკუნეებში აღმოჩნდა ხელმეორედ.

XV საუკუნის ბოლომდე დასავლური ეკლესიის ბიბლია იყო ლა-თანური ვულგატა (თარგმნილი იერონიმეს (Jerome) მიერ IV საუკუნის ბოლოს). ამ პერიოდში კი დაიწყეს მისი ბერძნულ ტექსტთან კრიტიკული შეჯერება. სწავლულებმა მასში უამრავი არასწორი თარგმანი და შეცდომა აღმოაჩინეს. ამან წარმოშვა ახალი აღთქმის ორიგინალურ ენაზე დაბეჭდვის საჭიროება, თუმცა ამ პროცესს ხელს უშლიდა ბერძნული შრიფტის ნაკლებობა. ეს პრობლემა გადაწყდა XVI საუკუნის მეორე დეკადაში, საიდანაც დაიწყო ბერძნული ახალი აღთქმის გამოცემები. პირველი გამოცემა მომზადდა ესპანეთში კარდინალ ფრანცისკო ცისნეროსის (Francisco Jimenez de Cisneros) (1436-1517) მიერ, თუმცა მისი დაბეჭდვა მაშინვე ვერ მოხერხდა.

„საყოველთაოდ მიღებული ტექსტი“ (‘Textus Receptus’; აბრევიატურით TR). მოკლე განმარტებით, მიღებული ტექსტი არის ბიზანტიურ ტრადიციაზე დაფუძნებული ბერძნული ახალი აღთქმის ბეჭდური გამოცემა, რომელიც რეფორმაციის პერიოდში იქცა საყრდენ ტექსტად სხვადასხვა ენაზე თარგმანების შესასრულებლად.

სახელწოდება „მიღებული ტექსტი“ გამოიყენება მხოლოდ ბეჭდური ვერსიისთვის და არა ხელნაწერისთვის. სხვანაირად მას უწოდებენ „სანიმუშო ტექსტის“ (‘text type’). იგი (სანიმუშო ტექსტი) კონსტანტინოპოლის გეოგრაფიული სივრციდან მომდინარეობს. ამდენად, „მიღებული ტექსტის“ საყრდენი ვერსია ბიზანტიურ ტრადიციას ეფუძნება. „მიღებული ტექსტის“ საფუძველი გახდა ერაზ-

მუს როტერდამელის მიერ 1516 წელს დაბეჭდილი ბერძნული ახალი აღთქმა. მან თავი მოუყარა ახალი აღთქმის ხელნაწერების დიდ უმრავლესობას, რომლებიც არსებობდა ბიზანტიურ ტრადიციაში.

„მიღებული ტექსტი“ იქცა ბერძნული ახალი აღთქმის გაბატონებულ ტექსტად მომდევნო 250 წლის განმავლობაში. აღდუს მანუთიუსის (Aldus Manutius) გამოცემა 1518 წელს შეიცავდა სეპტუაგინტას დამოუკიდებელ ტექსტს, თუმცა მისი ახალი აღთქმის ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით აღებული იყო ერაზმუს როტერდამელის გამოცემიდან, ტიპოგრაფიული შეცდომების ჩათვლით.

1550 წელს „მიღებული ტექსტის“ მომდევნო უდიდესი გამოცემა განხორციელდა რობერტ ესტიენის (Robert Estienne) მიერ. მან ჩაურთო უამრავი ხელნაწერის ვარიანტები. თავის მე-4 გამოცემაში (1551) მან ასევე დაამატა სტროფის ნომრები, რომლებიც კვლავ გამოიყენება თანამედროვე გამოცემებში.

ესტიენის გამოცემებს მოჰყვა პროტესტანტი რეფორმატორის, თეოდორე დე ბეზას (Theodore de Bèza), გამოცემები, რომლებიც დიდად უკეთესი არ იყო ნინა გამოცემებზე, თუმცა ბეზას ხელი მიუწვდებოდა კოდექსზე, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. მცირეოდენი იკითხვისები თეოდოროგიურ გავლენას განიცდის. ბეზას გამოცემები დაიბეჭდა 1565-1611 წლებს შორის. ისინი გამოყენებულ იქნა მეფე ჯეიმსის ბიბლიის თარგმნისთვის.

ამ დროიდან გამოცემები გამოირჩეოდა თავიანთი არშიების მასალით. შეიძლება დასახელდნენ მეცნიერები – მილი (Mill), ვეტშტეინი (Wettstein), მოგვიანებით გრისბახი (Griesbach), რომელთაც დაიწყეს ხელნაწერების შესწავლა და დალაგება.

1624 წელს ძმებმა აბრაჰამ (Abraham) და ბონავენტურ (Bonaventure) ელზევირებმა (Elzevir) დაბეჭდეს ბერძნული ახალი აღთქმის გამოცემა, ხოლო 1633 წელს – მეორე გამოცემა, რომლის წინასიტყვაობაში ლათინურად წერია: ‘*Textum ergo habes, nunc ab omnibus receptum*’. იგი ითარგმნება ასე: „მკითხველს ახლა აქვს ტექსტი, რომელიც მიღებულია ყველას მიერ.“ აქედან დამკვიდრდა სახელწოდება „მიღებული ტექსტი“. შემდგომში სახელი დამკვიდრდა ბერძნული ახალი

აღთქმის ბიზანტიური სერიის მიმართ, რომელიც დაიბეჭდა 1500-1900 წლებს შორის. ასე რომ, „საყოველთაოდ მიღებული ტექსტი“ არ არის ერთი გამოცემა, იგი შედგება ასობით მსგავსი, მაგრამ არა იდენტური გამოცემისგან. 1633 წლის პუბლიკაციაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა, თუმცა იგი გახდა მთავარი ‚TR‘ – საყოველთაოდ მიღებული გამოცემა კონტინენტზე.

„მიღებული ტექსტის“ ავტორიტეტი შესუსტდა მას შემდეგ, რაც მის საყრდენ ხელნაწერებზე უადრესი ხელნაწერები აღმოჩნდა. მისი ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ მასში დამატებულია, სავარაუდოდ, გადამწერების მიერ გაკეთებული შენიშვნები თუ განმარტებები, რომლებიც დროთა განმავლობაში ტექსტის ნაწილი გახდა.

მეფე ჯეიმსის ვერსია (The King James Version; აბრევიატურით KJV) დაიბეჭდა 1611 წელს. იგი ეყრდნობა ‚TR‘-ს და იმეორებს მისი შეცდომების დიდ ნაწილს. სკრივენერმა (Scrivener) სპეციალურად შეისწავლა, კერძოდ, ‚TR‘-ის რომელ გამოცემას ეფუძნება ის. მისი კვლევის მიხედვით, ეს არის ნარევი ტექსტი, რომელიც უფრო ახლოს დგას ბეზას გამოცემასთან, შემდეგ სტეფანუსის გამოცემასთან, მაგრამ არც ერთთან არ არის მკაფიოდ გაიგივებული. იგრძნობა ვულგატასა და ადრეული ინგლისური თარგმანების გავლენაც. როდესაც ის შეიქმნა, კრიტიკული გამოცემების მიმართ მოთხოვნები არ არსებობდა, თუმცა ორიგინალური ‚KJV‘ შეიცავს ზოგიერთ ტექსტოლოგიურ შენიშვნას. მისი თარგმნის დროს კლასიკური ბერძნული (პომეროსისა და ტრაგიკული პიესების ბერძნული) ითვლებოდა სტანდარტულად. კოინე ბერძნული (ახალი აღთქმის ბერძნული) დავინწყებული იყო. ხალხი ახალი აღთქმის ბერძნულს უყურებდა, როგორც სულინმინდის ენას. საუკუნენახევრის წინ კოინე ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი. KJV შეიქმნა 6 განცალკევებული კომიტეტის მიერ, რომელთაც მიცემული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომ ტექსტი რაც შეიძლებოდა ახლოს ყოფილიყო წინა სტანდარტთან, ე. წ. ‚Bishop‘-ის ბიბლიასთან, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა დიდ ბიბლიას (‘Great Bible’). მიუხედავად იმისა, რომ KJV

იყო XVI საუკუნის ინგლისურის შესანიშნავი ძეგლი, დღევანდელ მსოფლიოში ის აღარ გამოიყენება, როგორც ბიბლია.

„ახალი TR“. ასე უწოდებენ გამოცემებს, რომლებიც გაბატონებულია ტექსტის კრიტიკის დარგში. ბერძნული ახალი აღთქმის მომდევნო გამოცემებმა აჩვენა, რომ „მიღებულ ტექსტში“ ჩამატებული ბევრი სიტყვა არ იყო ორიგინალური ტექსტის ნაწილი. ერთ-ერთი ასეთი იყო ვესტკოტისა და ჰორტის (Westcott & Hort) გამოცემა გვიან XIX საუკუნეში. 1873 წელს კიდევ ერთი ‘თღ’ გამოცემა შედგა – ოქსფორდის, რომლის წაკითხვებიც ზოგმა გამოცემამ გაიმეორა. 1881 წელს განხორციელდა სკრივენერის (F. H. A. Scrivener) გამოცემა, რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა „მიღებული ტექსტის“ ადრინდელი გამოცემები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ‘TR’ გამოცემა არ არის იდენტური.

„ახალ TR“-დ მოიხსენიება აგრეთვე გაერთიანებული ბიბლიის საზოგადოების (United Bible Societies) გამოცემა, ასევე ჰოჯესისა და ფარსტადის (Hodges & Farstad) და რობინსონისა და პიერპონტის (Robinson & Pierpont) გამოცემები. ეს იყო ცდა, შეექმნათ ნამდვილი ბიზანტიური ტექსტი, როგორც უკვე მოძველებული „მიღებული ტექსტის“ აღტერნატივა, თუმცა მათ მიიღეს შედარებით გაუმჯობესებული კრიტიკული გამოცემები.

ახალი აღთქმის მოწმეების შესწავლასა და მათგან ღირებული ფენის გამოყოფაზე დაიხარჯა თითქმის სამას წელზე მეტი. ადრეული ბეჭდური გამოცემები დაფუძნებული იყო მოგვიანო და არაზუსტ ტექსტებზე. უძველესი ვერსიების აღმოჩენამ კი შესაძლებელი გახადა ახალი კრიტიკული გამოცემების მომზადება. დღეისათვის მეცნიერებს ხელი მიუწვდებათ 5500-ზე მეტ ბერძნულ ხელნაწერზე, ასევე ძველ ენებზე შესრულებულ თარგმანებზე. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სირიული, ლათინური, კოპტური, ქართული, ასევე ადრეული პერიოდების ქრისტიან მწერალთა ნაწერები.

თანამედროვე პირობებში შესაძლებელი გახდა ახალი აღთქმის ელექტრონული გამოცემების მომზადება. ამ საქმეში ერთ-ერთი

ლიდერი ორგანიზაციაა ბირმინჰემის უნივერსიტეტის ტექსტო-ლოგიისა და ელექტრონული აკადემიური გამოცემის ინსტიტუტი, რომლის ყოფილი დირექტორი დევიდ ჩარლზ პარკერი არაერთი ასეთი პროექტის ხელმძღვანელია.

ახალი აღთქმის კრიტიული გამოცემების ვებგვერდი¹ შეიცავს ბერძნული ახალი აღთქმის არსებით კრიტიკულ გამოცემებს, შესრულებულს ამ სამასი წლის განმავლობაში. დევიდ პარკერი მათ უწყვეტ ლირებულებას ბიბლიათმცოდნეობასა და ტექსტო-ლოგიაში შემდეგი მიზეზებით ხსნის:

1. ისინი გვიჩვენებენ ბიბლიათმცოდნეობის უმაღლეს მიღწევებს;
2. შეიცავენ მასალას, რომელიც დღეისათვის ხელმისაწვდომი აღარ არის;
3. წარსულის მეცნიერების საგამომცემლო გადაწყვეტილებები კვლავაც ინარჩუნებს გზამკვლევისა და წყაროს ფუნქციას მეცნიერთა მომდევნო თაობებისთვის.

ვებგვერდზე წარმოდგენილია ყველა კრიტიკული გამოცემა გვიანი XVII საუკუნიდან ადრეულ XX საუკუნემდე, დაწყებული ჯონ მილის (John Mill) 1707 წლის გამოცემით და დამთავრებული სოდენის (von Soden) 1902-1913 წლების გამოცემით. მოცემულია აგრეთვე უძველესი ვერსიების ყველაზე სასარგებლო გამოცემები.

ამ ტიპის ელექტრონული გამოცემები არაჩვეულებრივ მასალას შეიცავს ინტერდისციპლინური კვლევებისთვის.

§3. ბიბლიის რუსული თარგმანების გამოცემა

სლავური ბიბლია და მისი ხელნაწერი ტრადიცია სლავური ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს შეადგენს. როდესაც სლავური ტომები გაქრისტიანდნენ, ბიზანტიური სამყაროს ბიბლია, ძირითადად, თუმცა არა უკლებლივ, იყო ბერძნული

1.<https://primarysources.brillonline.com/browse/critical-editions-of-the-new-testament-online>

ბიბლია. წმინდა კირილე და მეთოდე (Saint Cyril and Methodius), რომლებმაც წამოიწყეს ბიბლიის თარგმნის პროცესი სლავებს შორის, ასევე ეკუთვნოდნენ ბერძნულენოვან ბიზანტიურ სამყაროს. ბიბლიის რუს სწავლულებს მიაჩნიათ, რომ სლავური ბიბლიური ტექსტების კორპუსი, რომელიც იყო შედეგი ზემოთ დასახელებულ პირთა მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, წარმოადგენდა ბიზანტიური ტექსტის გარკვეულ სახეობას, თუმცა თანამედროვე სწავლულების ნაწილი არ იზიარებს ამ შეხედულებას. ძველი აღთქმის შემთხვევაში ისინი ეყრდნობოდნენ სეპტუაგინტას. ეს ტექსტები რჩებოდა ძირითადად, თუ არა ერთადერთ ბიბლიად რუსულ ენაზე მრავალი საუკუნის განმავლობაში.

ბიბლიის მკვლევარის, დობროვსკის (J. Dobrovský), დროიდან მოყოლებული, სლავური ეკლესიის ბიბლიური შინაარსის ხელნაწერებს სისტემატურად აგროვებდნენ, რათა შეესწავლათ მათი ენა, მისი გავრცელება და განვითარება, თარგმნის ტექნიკა და, ბოლოს, მისი გავლენა თანამედროვე ვერსიებზე.

პირველი სრული სლავური ბიბლია, ე. წ. გენადის ბიბლია ('Genadij Bible'), დაიბეჭდა ნოვგოროდში 1490-იან წლებში ეპისკოპოს გენადის ხელშეწყობით. ის შეიცავდა ზოგიერთ ნაწილს ლათინური ვულგატადან და ებრაული მასორეტული ტექსტიდან. მისი ფოტო-ტიპური გამოცემა დაიწყო 1990-იან წლებში რამდენიმე ტომად.

ბიბლიის თარგმნის ისტორიაში ახალი ფურცელი რუსეთში გადაიშალა ადრეულ XIX საუკუნეში, როდესაც ბიბლიური საზოგადოების მოძრაობა გააქტიურდა. რუსულ ენას იმ პერიოდისთვის მიღებული ჰქონდა ლიტერატურული ფორმა, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ძველი სლავური ენისგან. იმ პერიოდში თარგმანი უმთავრესად ხორციელდებოდა პროტესტანტების მიერ, რომებიც ბუნებრივად ისწრაფვოდნენ გამოეყენებინათ მასორეტული ტექსტი, როგორც ძირითადი. მათვის ის იყო ორიგინალი და სეპტუაგინტა – მისგან თარგმნილი. ეს შეხედულება გაბატონებული იყო, სანამ ის არ გადაიხედა თანამედროვე სწავლულების მიერ, განსაკუთრებით პოსტ-ყუმრანის (post-Qumran) ერაში. როდესაც

რუსული ფსალმუნი გამოქვეყნდა 1814 წელს რუსეთის ბიბლიური საზოგადოების მიერ, სარედაქციო წინასიტყვაობაში ენერა, რომ ბერძნულ ვერსიასთან ერთად, გათვალისწინებული იყო ებრაული ორიგინალიც. ვერსია უფრო ეკლექტიკური იყო და წარმოადგენდა მასორეტული ტექსტისა და სეპტუაგინტას რედაქციების ნაზავს.

რუსეთის ბიბლიური საზოგადოება მაღლე დაიშალა და მისი გამოცემები აიკრძალა, თუმცა სხვა ენთუზიასტებმა გააგრძელეს მათი საქმე. აქ უნდა დასახელდეს არქიმანდრიტი მაკარი გლუხარევი (Makary Glukharev) და მღვდელი გერასიმე პავსკი (Gerasim Pavsky). ორივე მათგანმა აირჩია მასორეტული ტექსტი თავიანთ წყარო ტექსტად, თუმცა მაკარი ადატურებდა, რომ მეორე რუსული თარგმანი მომზადებული უნდა ყოფილიყო სეპტუაგინტადან. მათი სურვილი არ გაიზიარა ეკლესიის ოფიციოზმა. ათეული წლები გავიდა, სანამ მათი ნამუშევარი გადაიხედებოდა და სრული რუსული ბიბლია, დღეისათვის ცნობილი, როგორც სინოდალური (Synodal), დაიბეჭდებოდა XIX საუკუნის 70-იან წლებში. ვერსია დაიპადა მისი პრინციპების შესახებ ცხარე დებატების პირობებში. ის გამოჩნდა დაახლოებით იმავე პერიოდში, რა დროსაც ძველი აღთქმის ზოგი სხვა თარგმანი, მაგ., ‘Pentateuch’ (ხუთწიგნეული) ლონდონში 1860 წელს და სრული ებრაულ-რუსული ბიბლია ბერლინში 1872 წელს. ყველა ეს თარგმანი შესრულებული იყო მასორეტული ტექსტიდან.

სეპტუაგინტაზე დაფუძნებული მხოლოდ ორი გამოცემა დაიბეჭდა 1917 წლის რევოლუციის წინ. ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ თარგმნა შესაქმის, ფსალმუნის, იგავთა წიგნები, ასევე პირველი და მეორე მაკაბელთა. მოგვიანებით პროფესორმა იუნგეროვმა (Yungerov) ხელახლა თარგმნა ფსალმუნი, რომელიც გამოქვეყნდა 1915 წელს ყაზანში. უსპენსკის ვერსია ახლა თითქმის სრულიად დავიწყებულია.

სინოდალური ვერსიის გამოჩენა იქცა სტიმულად ბიბლიის თარგმნის პროცესისა რუსეთის იმპერიის სხვა მცირე ენებზე. თუმცა ძველი აღთქმის ნაწილები ჩნდებოდა მხოლოდ მცირე

პროექტებში, ხშირად განმარტებითი წინასიტყვაობის გარეშე. 1914 წელს ყაზანში დაიბეჭდა ფსალმუნი ორთოდოქს მისიონერთა საზოგადოების მიერ. ის ითარგმნა უფრო სეპტუაგინტადან, ვიდრე მასორეტულიდან, შესაძლოა სლავური ტექსტის შუამავლობით.

რუსთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ სურვილი იყო, რომ მომზადებულიყო ახალი რუსული თარგმანი პირდაპირ სეპტუაგინტადან, მაგრამ რეალობა სხვა იყო. ათეისტური რეჟიმის ზენოლით, მორმებუნებს შეეძლოთ მხოლოდ ეოცნებათ რაიმე სახის ბიბლიაზე. ერთადერთი ვერსია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, ეს იყო სინოდალური ვერსია. ეს თარგმანი თავისთავად იქცა გადარჩენის სიმბოლოდ ყველა აღმსარებლობის ქრისტიანისათვის, რომელთათვისაც ძვირფასი იყო მისი თითოეული ნაწილი, ტექსტური ეკლექტიზმის ჩათვლით.

ოსტრომირის სახარების ('Gospel of Ostromir') გამოცემა ვოსტოკოვის (A. Ch. Vostokov) მიერ 1843 წელს და მარიანუსის კოდექსის ('Codex Marianus') გამოცემა იაგიჩის (V. Jagić) მიერ 1883 წელს, იყო საეტაპო მნიშვნელობისა არა მხოლოდ სლავური ეკლესიის ბიბლიის შესწავლისთვის, არამედ, ზოგადად, სლავისტიკისთვის.

როგორც გარზანითი წერს, უკვე XIX საუკუნის II ნახევარში ვოსკრესენსკი (G. A. Voskresenskij) შეეცადა დაეჯგუფებინა სახარების ტექსტი და პავლეს ეპისტოლები ('Pauline letters') ძირითად რედაქციებად, რომლებიც იზიარებდა გარკვეულ ლინგვისტურ და ტექსტურ მახასიათებლებს. გამოავლინა რა მთავარი ხელნაწერები, რუსმა სწავლულმა შემოგვთავაზა მარკოზის სახარების გამოცემა სრულყოფილი სამეცნიერო აპარატით, რომელშიც ნაჩვენები იყო ვარიანტები ასობით ასლიდან (1894). ამ მნიშვნელოვან პუბლიკაციას მოჰყვა პავლეს ეპისტოლეების გამოცემა (1892-1908). არსებითად, ამ მეცნიერის მიერ აგებული სქემა დღესაც სიცოცხლისუნარიანია.

პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში, ევსეევის ინიციატივით, კომპლექსური პროექტი ამოქმედდა რუსეთში სლავური ბიბლიის გამოსაცემად „სლავური ბიბლიის სამეცნიერო გამოცემის კომისიის“ მიერ (1915-1929).

არანაკლები ღვაწლი მიუძღვის პრაღის უნივერსიტეტის წმინდა წერილის სლავური თარგმანისა და სლავური ლიტურგიის პროფესორ ვაის (J. Vajs), რომელიც პასუხისმგებელი იყო ეკლესიის სლავური სახარების პირველ სრულ გამოცემაზე, ასევე ძველი აღთქმის ზოგიერთი წიგნის პუბლიკაციაზე, რომელმაც აჩვენა ხორვატიულ-გლაგოლიცური (Croatian-Glagolitic) ტრადიციის მნიშვნელობა უძველესი თარგმანის აღდგენისათვის.

XX საუკუნის განმავლობაში საკმაოდ დაწინაურდა ბიბლიურ წიგნთა ხელნაწერი ტრადიციის შესწავლის საქმე, მაგრამ კვლევების მიზანი იყო, აღედგინა განსხვავებული ენობრივი რედაქციები ძირითად გეოგრაფიულ არეალებში, რომლებიც დაკავშირებული იყო თანამედროვე სლავურ ერებთან. ამან ყურადღების ცენტრში მოაქცია ხელნაწერების ორთოგრაფიულ-ფონეტიკური, ლექსიკური და სინტაქსური საკითხები. მრავალი გამოცემა უკვე აღჭურვილი იყო შესაბამისი აპარატით, რაც ნათელს ჰიდენდა იმ ლოკალურ მახასიათებლებს, რაც კონკრეტულ ცენტრებთან იყო დაკავშირებული.

XX საუკუნის II ნახევარში, ბეჭდვის მოდერნიზაციის წყალობით, შესაძლებელი გახდა ფოტოგრაფიული რეპროდუქცია, რომელიც საშუალებას იძლეოდა, წინა გამოცემების შეცდომები გასწორებულიყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სწავლულების მიერ რეკომენდებულ იქნა ბიბლიის თარგმნა პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების ენებზე. ეს ხდებოდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, სადაც მოახერხეს კიდეც დაეპეჭდათ ძველი აღთქმის ცალკეული წიგნები, როგორც „ძველი ებრაული ლიტერატურის“ შემადგენელი ნაწილები, არამედ საზღვარგარეთაც. მასში მონაწილეობდნენ ბიბლიური თარგმანების ინსტიტუტის დამაარსებლები.

§4. ძველი აღთქმის ქართული თარგმანების

გამოცემის ისტორია

ძველი აღთქმის ქართული თარგმანების ფრაგმენტები ჯერ კიდევ ხანმეტ (V-VI) პალიმფსესტებშია დაცული, სრული სახით კი შედარებით გვიანდელი ნუსხებით (X-XVIII) არის შემონახული. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, შესაქმის, იერემიას წინასწარმეტყველებისა და ზოგი სხვა წიგნის ხანმეტი ფრაგმენტები მოწმობს, რომ ძველი აღთქმის ცალკეულ წიგნთა თარგმნა ქართული მწერლობის გარიურაჟზევე უნდა დაწყებულიყო, უშუალოდ ახალი აღთქმის წიგნთა, კერძოდ, სახარების, თარგმნის მომდევნო პერიოდში.¹

ბიბლიურ ტექსტებზე მუშაობის მეცნიერული წანაძღვრები ქართულ რეალობაში მოცემულია უკვე XI საუკუნის საეკლესიო მოღვაწის, გიორგი მთაწმიდელის, ანდერძში, რომელიც ერთვის მის მიერ თარგმნილ ფსალმუნთა ტექსტს: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მამათა ჩუენთადთა ვთარგმნენ ესე „დავითი“ ახლად ბერძულისა-გან ქართულად მე – გლახაკმან გიორგი, ულიოსმან ხუცესმონა-ზონმან ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა, თვთ იცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა დედათა და „დავითის“ თარგმანთაგან ფრია-დითა გამოწულილვითა და გამოძიებითა... ვინცა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი წინა დაიდვას და „დავითსა“ რყუნად და ზე-ქუე ქცევად დაუწყოს, სასჯელი მოჰხადენ ღმერთმან.“

როგორც ანდერძიდან ჩანს, გიორგი მთაწმიდელს საფუძვლიანი ტექსტოლოგიური კვლევა ჩაუტარებია: მრავალი ბერძნული ტე-ქსტი შეუსწავლია და მასთან შეუდარებია „დავითის“ თარგმანები.

ბიბლიის ქართული თარგმანის გამოცემის ისტორია რუსეთში იწყება, სადაც არჩილ მეფემ გადასახლების შემდეგ დაიწყო ზრუნვა ბიბლიური ტექსტის ქართული თარგმანის მთლიანად გამოცემაზე და 1705 წელს მოსკოვის სახელმწიფო სტამბაში

1 წიგნი ძუელისა აღთქუმისანი... 1989: 5.

დაბეჭდა „დავითნი“. იგი კვლავ გამოიცა 1709, 1711 და 1712 წლებში, ოღონდ უკვე თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში.

საგამომცემლო მუშაობა მოსკოვის ქართულ კოლონიაში, ძირითადად, ქართული ტექსტის სლავურ ტექსტთან შეჯერების გზით წარმოებდა. ასე ჩამოყალიბდა ის ტექსტი, რომელიც ვახტანგ მეექვსის შვილმა ბაქარმა სოფელ ვსეხსვიატსკოვეში საკუთარი ხარჯით დაბეჭდა 1743 წელს. ეს გამოცემა ცნობილია „ბაქარის ბიბლიის“ სახელწოდებით. ამ ბიბლიის ზოგი ადგილის ბერძნულ, სომხურ და სლავურ ტექსტებთან შედარების გზით, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრ. ალტერმა, რომელიც ქართული ბიბლიის წარმომავლობით დაინტერესებულა XVIII საუკუნის ბოლოს, გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ბიბლია ბერძნული სეპტუაგინტადან უნდა იყოს გადმოთარგმნილი.

1884 წელს ეს ტექსტი ხელახლა დაბეჭდა თბილისში, მაგრამ, როგორც ელ. დოჩანაშვილი შენიშვნავს, მოსკოვის გამოცემასთან შედარებით ბევრი ხარვეზითა და შეცდომით.¹

1886 წელს ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა „ქება ქებათა თქმული სოლომონისი“ ათონის (ოშკის) ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი დაბეჭდილია უხვი სქოლიობით, რომელშიც მოცემულია ვარიანტული იკითხვისები ლიტერების ჩვენებით სხვა ქართული, ასევე სლავური, ბერძნული და სომხური ხელნაწერებიდან.

ძველი აღთქმის წიგნთა მეცნიერულ კვლევას საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს, თუმცა გამოცემები XX საუკუნის 80-იან წლებამდე საკმაოდ მცირე იყო.

1920 წელს კორნელი კეკელიძემ გამოსცა „ეკლესიასტე სოლომონისა“ ოთხი რედაქციის მიხედვით: ათონის ვერსია, მცხეთის ვარიანტი, მოსკოვის გამოცემა და პეტრიწონული რედაქცია. თითო გვერდზე წარმოდგენილია ორ-ორი რედაქცია ორ სვეტად. სქოლიობი არ ახლავს.

1926 და 1929 წლებში ბლეიკმა გამოაქვეყნა ეზრა სუთიელის წიგნი იერუსალიმისა და ოშკის ბიბლიათა მიხედვით.

1 მცხეთური ხელნაწერი, 1981: 44.

1947-1948 წლებში აკაკი შანიძემ სერიით „ძველი ქართული ენის ძეგლები“ დაბეჭდა ოშკური ხელნაწერი (978 წ.) 2 წიგნად, რომელთაგან ერთი შეიცავს „დაბადებისა“ და „გამოსლვათას“ ტექსტს, ხოლო მეორე – ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთის, იობისა და ესაიას წიგნებს.

1961 წელს ბლეიკმა და ბრიერმა განახორციელეს წინასწარმეტყველთა წიგნების გამოცემა იმავე ხელნაწერების მიხედვით, როგორც 1926-1929 წლებში.

1960 წელს მზექალა შანიძემ მეცნიერულად დაადგინა და გამოაქვეყნა ფსალმუნის ტექსტი.

60-იან წლებში, პროფესორ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით, მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფმა ბ. გიგინეიშვილის, ნ. გოგუაძის, ც. კიკვიძის, გ. კიკნაძის, ზ. სარჯველაძის, ც. ქურციკიძისა და უ. ცინდელიანის შემადგენლობით, კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიწყო ძველი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანთა კრიტიკული ტექსტის მომზადება ყველა არსებული ნუსხის მიხედვით.

ილია აბულაძის ხელმძღვანელობით დაწყებული ეს სამუშაო განხორციელდა 8 წიგნად (კრიტიკული აპარატით): „წიგნი ძუელისა აღთქმისანი“ სამ ნაკვეთად: 1989 წელს – ნაკვეთი I („შესაქმისაა“, „გამოსლვათაა“), 1990 წელს – ნაკვეთი II („ლევიტელთაა“, „რიცხუთაა“, „მეორისა სჯულისაა“), 1991 წელს – ნაკვეთი III („ისონავესი“, „მსაჯულთაა“, „რუთისი“).

1970 წელს გამოვიდა ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართულ ვერსიათა პუბლიკაცია. 1976 წელს თ. ცეიტიშვილმა გამოაქვეყნა ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები.

1981 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ დაიწყო ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ე. წ. „მცხეთური ხელნაწერის“ გამოცემა. როგორც გამომცემელი ელ. დოჩანაშვილი მიუთითებს, აღნიშნული ტექსტი ბიბლიის ყველაზე სრული ქართული ხელნაწერია. მის ცალკე გამოქვეყნებას იმით ამართლებს, რომ

იგი ასახავს XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ქართული ბიბლიოლოგის ვითარებას, ამ დროის ფილოლოგიურ, მეცნიერულ-კრიტიკულ საქმიანობას. ტექსტი რედაქტირებულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ, რომელიც მიიჩნევა ძველი აღთქმის პირველი კრიტიკული ტექსტის მომზადების ინიციატორად. მისი შენიშვნები ბიბლიურ ნუსხებზე, დამუხლვა, სწორებანი სხვადასხვა ნუსხათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მთლიანობაში წარმოადგენს იმ ფილოლოგიურ აპარატს, რომელსაც დღესაც ვიყენებთ.

1982 წელს გამოვიდა „მცხეთური ხელნაწერის“ მომდევნო ნაწილი, ხოლო 1983, 1985 და 1986 წლებში – კიდევ 4 ნაკვეთი. ბოლო ნაკვეთი გამოქვეყნდა 1999 წელს. ის განსხვავებულია წინა ნაკვეთებისაგან იმ მხრივ, რომ წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის მიერ ნარედაქციევ მცხეთის ბიბლიაზე (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი №51) დართული საძიებლების პირველ პუბლიკაციას. ეს საძიებლები სამი სახისაა: „საძიებელი მოწმობა“ (ძველი აღთქმიდან მომდინარე ახალი აღთქმის ადგილების აღნუსხვა, ანუ მითითებები ახალ აღთქმაში ძველი აღთქმის ადგილების ციტირებაზე), „ებრაელთა, ქალდეველთა და იონთა სახელებთა თარგმანებანი“ (ე. ი. ამ საკუთარ სახელთა კომენტირება), „საძიებელი მატიანეთანი“ (ფაქტობრივად, ბიბლიაში დამოწმებული საკუთარი სახელების სიმფონია).

1989 წელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიტიკულად გამოიცა „წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, შესაქმისად, გამოსლვა-თად“. მკვლევარები გამოცემის მიზნად სახავენ ხელნაწერების დაჯგუფებას მათი ტექსტობრივი სიახლოების მიხედვით, ჯგუფებს შორის მიმართებათა გამოვლენას, მთლიანი ტექსტის გამართვა-დადგენას, ქართულ თარგმანთა უცხოენოვან თარგმანებთან (უპირატესად, ბერძნულსა და სომხურთან) მიმართების გარკვევას, რედაქტირებული და გვიან ჩასწორებული ადგილების დროით ლოკალიზაციას.

აქვე განსაზღვრულია ძველი აღთქმის ქართული ვერსიების შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსი, რომელიც ნაკარნახევია ქართულ ხელნაწერებში დაცული ვითარებით და

გულისხმობს: 1. ქართულ ნუსხებს შორის ტექსტობრივ მიმართებათა დადგენას; 2. ცალკეული ნუსხების კვლევას მათი რედაქციული მთლიანობის თვალსაზრისით; 3. უძველესი ფენის გამოყოფას და, შესაძლებლობის ფარგლებში, ქართული თარგმანების არქეტიპის გამოკვეთას; 4. ძველი ფენის რედაქტირების შედეგად მიღებული ტექსტის მიმართებას სხვა ქართულ ნუსხებთან; 5. სწორების ხასიათისა და საკონტროლო წყაროების დადგენას; 6. იმის გარკვევას, გვიანდელ ნუსხებში დაცული ტექსტები თავდაპირველი თარგმანის სახეობებს წარმოადგენდა, თუ ახალ თარგმანს; 7. უძველესი ნუსხით მოღწეულ წიგნთა თარგმანების რელატიურ ქრონოლოგიას; 8. ქართულ თარგმანთა წარმომავლობის გარკვევას; 9. ბიბლიურ ნუსხათა ლექციონარებში დაცულ ბიბლიურ საკითხავებთან მიმართების გამოვლენას.

თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ წინამდებარე გამოცემაში ყველა საკითხი ვერ შეუძლება თანაბარი სისრულით. განსაკუთრებით ეს ითქმის ბოლო ორ საკითხზე: ძველი აღთქმის ქართული თარგმანის გენეზისის საკითხი ვერ გადაწყდება ქართულ ლექციონარებზე იმავე ხასიათის სამუშაოს ჩატარების გარეშე, რაც ბიბლიურ წიგნებზე განხორციელდა. გამომცემლები შემდგომი კვლევის მიზნად მოიაზრებენ ქართული ლექციონარის უძველესი ტიპისა და ძველი აღთქმის უძველესი ქართული თარგმანის განსაზღვრას თავისი შემდგომი სახეცვლილებით. „მათი ურთიერთშეჯერება მოგვცემს ხელთ გასაღებს ძველი აღთქმის ქართული ტექსტის უშუალო წყაროს გამოსავლენად, – დაასკვნიან ისინი. ამდენად, გამოცემის ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და მიზნის გადმოცემა შეინიშნება როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის (რასაც ქვემოთ დავინახავთ) წიგნთა კრიტიკულ გამოცემებში.

გამოცემაში წარმოჩენილია ქართველ მწიგნობარ-რედაქტორთა თაობების მიერ განეული შრომა, განსაკუთრებით გამოკვეთილია სულხან-საბა ორბელიანის როლი ამ საქმეში.

ხუთწიგნეულის ტექსტის ეს გამოცემა პირველია, სადაც ტექსტი დადგენილია ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით.

ძველი აღთქმის ქართული თარგმანების გამოცემა დასრულდა 2017 წელს 2 კაპიტალური ტომით, რომელთაგან პირველის მოცულობა 1456 გვერდს, ხოლო მეორისა 2889 გვერდს შეადგენს. გამოცემა მომზადდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (საგამომცემლო ჯგუფი ლანა გრძელიშვილი, გიორგი მასხარაშვილი, მარიამ მაჩაიძე, ვლადიმერ პერანიძე). პირველ გვერდზე წარმოდგენილია 6. გოგუაძის ნახევარგვერდიანი წინათქმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პირველად ქვეყნდება „ძველი აღთქმის“ წიგნების ქართულ თარგმანთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტების სრული კორპუსი. თუმცა ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ივ. გიგინეშვილის გამოცემა ასევე მასში შემავალი ტექსტების ყველა ხელნაწერის მონაცემებს ეყრდნობოდა. აյ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ ორ გამოცემას ერთმანეთისაგან თითქმის 30 წელი აშორებთ. ახალი გამოცემა მოიცავს V-XVIII საუკუნეების „ძველი აღთქმის“ წიგნების სრულ მასალას. გათვალისწინებულია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (სინას მთა, იერუსალიმი, ათონი და სხვ.) დაცული ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენეტების მონაცემები.

აღნიშნულია, რომ საუკუნეების განმავლობაში ამ თარგმანებმა ცვლილებები განიცადა, რაც განაპირობა თარგმანთა შეჯერებამ პირველწყაროსთან და ნაკლული ტექსტების შევსების საჭიროებამ (შევსება ხდებოდა სრული ნუსხიდან, რომელიც არცთუ იშვიათად განსხვავებული რედაქციის ტექსტს შეიცავდა). თარგმანთა რედაქციული ნაირგვარობის გამო, გამოცემაში ტექსტები წარმოდგენილია სვეტებად, რომელთა რიცხვი ერთიდან ოთხამდე მერყეობს. მეორე ტომს სარჩევის მეტი არაფერი ახლავს, მათ შორის, არც ლიტერების განმარტება.

გამოცემის მეორე გვერდზე მოცემულია ცხრილი სათაურით – „წინამდებარე კორპუსის გამოსაცემად მომზადების მონაწილეები“. აյ მითითებულია, ვის ეკუთვნის კრიტიკული ტექსტის დადგენა და ვის – გამოსაცემად მომზადება. მაგ., შესაქმის, ლევიტელთა წიგნებს, სოლომონის იგავებს, მეორე წინასწარმე-

ტყეველებას ტექსტის დამდგენად უწერია ბაქარ გიგინეიშვილი, გამოსაცემად მომზადებას – სხვადასხვა პირი, ეკლესიასტესა და ქებად ქებათავს – ტექსტის დამდგენად – ზურაბ სარჯველაძე, გამოსაცემად მომზადებას – სოფიო სარჯველაძე და ა. შ. ამდენად, გამოცემა მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრისითაც, რომ ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ტექსტის კრიტიკოსისა და გამომცემლის როლები.

გამოცემაში გამოყენებულია ძველი აღთქმის წინა გამოცემის (8 წიგნის) მონაწილეთა შრომის შედეგები. გამოცემის მესამე გვერდზე კი მოცემულია გამოყენებული ხელნაწერებისა და მათი ლიტერების სია. შემდეგ წარმოდგენილია სარჩევი და ამის შემდეგ – ტექსტი. არ ჩანს პირობითი ნიშნების განმარტებები. არ გვაქვს არც რაიმე სახის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა, ან ლინგვისტური ანალიზი, არც ლექსიკონი ერთვის. არ არის მოცემული, რომელი ხელნაწერია ძირითად ტექსტად მიჩნეული თითოეული წიგნის შემთხვევაში, რას ეყრდნობოდნენ ძირითადი ტექსტის შერჩევისას გამომცემლები, წინა წლებში სხვათა მიერ დადგენილი ტექსტები უცვლელად შევიდა თუ გამომცემლებმა კორექტივები შეიტანეს მასში და სხვა და სხვა. გამოცემას სქოლიობები ახლავს სხვა ხელნაწერთა ვარიანტული იკითხვისები, თუმცა ისინი გადატვირთული არ არის.

§5. ახალი აღთქმის წიგნების ქართული ვერსიები

სახარების ქართულ თარგმანს თითქმის 15-საუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ისტორია, რომელიც, ამავე დროს, ქართული წერილობითი კულტურის, ენისა და ლიტერატურის ისტორიაც არის, V-VI საუკუნეების პალიმფსესტური მანუსკრიპტებით იწყება და XVIII საუკუნეში გადაწყვეტილი ხელნაწერი წიგნებით მთავრდება. დღემდე მოღწეულია ოთხთავის 300-მდე ნუსხა. ორმოცამდე კოდექსს შემოუნახავს სახარების უძველესი ვერსიის ტექსტი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბერძნული არქეტიპის აღდგენისათვის.

ოთხთავის ქართული თარგმანი სხვადასხვა ისტორიულ თუ რელიგიურ ვითარებაში, სხვადასხვა სივრცულ არეალში, სხვა-დასხვა კულტურულ ცენტრსა და სკრიპტორიუმში იქმნებოდა განსხვავებული ცოდნის, სარწმუნეობივი იდეალებისა და ლი-ტერატურული გემოვნების პირთა მიერ. შესაბამისად, ქართული სახარების რედაქციულ-სტრუქტურული გზის დადგენა მისი პირ-ველსახიდან ლიტურგიკაში დამკვიდრებულ კანონიზებულ ვერ-სიამდე – ვულგატამდე – მკვლევართა თაობების განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს (ანბანდიდი, 2010).

ოთხთავის მნიშვნელობას ქართული მწერლობის ისტორიაში განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ იგი ქართული ენის ისტორი-ის უძველესი წერილობით ძეგლია. როგორც ივანე იმნაიშვილი აღნიშნავს, „ოთხთავი არის არა მხოლოდ ქართული ენის, მისი ისტორიის უძვირფასესი ძეგლი, არამედ აქედან ლებულობს სათა-ვეს ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ქართული ეთნოგრაფია, ხელოვნება (განსაკუთრებით, მხატვრობა) და ბევრი სხვა ჰუმანიტარული დისციპლინა“ (ვიმოწმებთ შანიძის გამოცე-მიდან: შანიძე, 1945: 5).

კორნელი კეკელიძის აზრით, ყველაზე ადრე ქართულად და-ვითნი და სახარება უნდა ეთარგმნათ. სახარების თარგმნა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, თუ უფრო ადრე არა, V საუკუნეში მაინც უნდა მომხდარიყო. მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ინგლი-სელ ქართველოლოგს დევიდ ლენგსაც. მკვლევარი სახარებას იმ პირველი შრომების რიგში ათავსებს, რომლებიც ითარგმნა საქარ-თველოში V საუკუნის დასაწყისში. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ორი-გინალური ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები: „შუმანიკის ნა-მება“ და „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია, რომელშიც ნათევამია, რომ ფარსმან მეფემ (რომელიც ცხოვრობდა VI საუკუნეში), შიომღვიმის მონასტერს შესწირა „სახარებად ფრიად შუენიერად შემკობილი სანატრელისა მეფისა ვახტანგის მიერ.“

სახარების ქართულად თარგმნისა და რედაქტირების ისტო-რია სამ ეტაპს მოიცავს: პრეათონურს (V-X სს.), ათონურს (და-

სავლეთის ეკლესიებში კანონიკურ ტექსტებთან, ე. წ. ბიზანტიურ რედაქციასთან მაქსიმალურად დაახლოების ხანა, X საუკუნის ბოლო მეოთხედი – XI საუკუნის შუა ნლები) და ელინოფილურს (XI საუკუნის ბოლო – XII ს.). ელინოფილური პერიოდის თარგ-მანმა მეტოქეობა ვერ გაუწია გიორგი მთაწმიდლის ვულგატას და მხოლოდ ეგზეგეტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნა.

პრეათონურ პერიოდშია შექმნილი სახარების 2 რედაქცია: 1. პროტოვულგატა (ოპიზური, ან ჯრუჭ-პარხლის, ან A რედაქ-ცია); 2. ადიშური, რომლის ტექსტი დაცულია ადიშის ოთხთავში, ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტებში, H-1240-ის მცირე ჩანართში (მარკ. XIV-XV თავები).

პროტოვულგატას ტექსტს შეიცავს: ხანმეტი სახარების ძი-რითადი ნაწილი, ადიშის ოთხთავის ჩანართი ტექსტი, ოპიზა, ჯრუჭი, პარხალი, Sin-15 (978 წ.), Sin-30 (979 წ.), წყაროსთავი (X ს.), ბერთა (X ს.), ქსანი (X ს.), H-1240 (XI ს.) და სხვ. მათი რიცხვი ორმოცამდეა.

ხანმეტი სახარების ჩვენამდე მოღწეული პალიმფსესტური ფრაგ-მენტები A-89, A-844, H-999 გადანუსხულია, ძირითადად, ჯრუჭ-პარ-ხლის რედაქციის, ანუ პროტოვულგატას არქეტიპიდან, თუმცა მათში მოიპოვება ადიშის არქეტიპის ტექსტიც (მათე 5,18 – 11,7).

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის 40-იანი წლებისთვის ათონის ივირონის მონასტერში შეიქმნა ქართული ოთხთავის კიდევ ორი ვერსია – ექვთიმესი და გიორგისი. ექვთიმესეული შემონახულია ტბეთის, მესტიის, ურბნისისა და პალესტინურ ნუსხებში (თ. ჟორდანია, ა. შანიძე, ი. აბულაძე, ივ. იმნაიშვილი, კ. კეკელიძე), თუმცა მკვლევართა ნაწილი ექვთიმეს, როგორც რედაქტორის, ღვანლს გამორიცხავს იმ არგუმენტით, რომ „ეფ-თვიმეს ოთხეულის“ ხელნაწერთა ვარიანტები პროტოვულგატას ტექსტის შემცველ, ანუ პრეათონურ რედაქციებს (უპირველეს ყოვლისა, ოპიზურ ვარიანტს) უჭერს მხარს და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ თარგმანს. ექვთიმეს რედაქციის არსებობას სრულიად გამორიცხავს ზ. სარჯველაძე. ამ დასკვნამდე მკვლე-

ვარი მიიყვანა წინაათონური ოთხთავების ნუსხათა ტექსტოლოგიურმა შესწავლამ.

XI ს-მდე უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროტოვულგატური და ადიშური რედაქციების შერევით მიღებული ეკლექტური ვერსია, რომელიც ქსნის ოთხთავსა და რამდენიმე სხვა ხელნაწერშია დაცული.

ქართული ვულგატა – გიორგი ათონელის რედაქცია (და არა თარგმანი) – ჩამოყალიბდა ოთხთავის ძველი თარგმანების ბერძნულ ორიგინალთან სამგზის შედარების შედეგად. შესაბამისად, გამოიყო ხელნაწერთა ქვეჯგუფი, რომელშიც ვულგატას ჩამოყალიბების პროცესია ასახული – ალავერდის, ვატიკანის, Ath. 62, რომლებიც გადანუსხულია შავი მთის მონასტრების სკრიპტორიუმებში.

„საქმე მოციქულთა“, რომელიც ქართულად 4 რედაქციის სახით არსებობს, ქართველ მეცნიერთა აზრით, IV-V საუკუნეში უნდა ეთარგმნათ, მაგრამ მისი შემცველი ძველი ხელნაწერები უამთა სიავის გამო დაიკარგა და ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ X საუკუნესა და შემდგომ პერიოდში გადანერილმა ხელნაწერებმა.

„კათოლიკე ეპისტოლეთა“ წიგნის თარგმანი, რომელიც ქართული ნათარგმნი ლიტერატურის უძველეს ფენას განეკუთვნება, დაახლ. V საუკუნეში უნდა შექმნილიყო, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი (X და შემდგომი საუკუნეების) ხელნაწერებით მოაღწია. დაცულ ტექსტთაგან სრულია მხოლოდ გიორგი მთაწმიდლის მიერ ნარედაქციევი და მის შემდგომ ეფრემ მცირის მიერ გადამუშავებული რედაქცია, ადრინდელი რედაქციები კი მხოლოდ ნაწყვეტების სახით არის შემონახული.

„იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება“ ქართულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს (955-1028) X საუკუნეში. მისი ქართული ვერსია შემონახული აქვს X საუკუნის სამ ხელნაწერს.

წ6. ახალი აღთქმის წიგნების ქართული თარგმანების ადრეული გამოცემები

ახალი აღთქმის წიგნების ქართული თარგმანების გამოცემის ისტორია 1709 წელს, ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნით – „ბიბლია“. წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება“ – იწყება. გამოცემა გიორგი მთაწმიდლის რედაქციას ეყრდნობოდა და სასულიერო მიზნებს ემსახურებოდა. იგი დაბეჭდილია ნუსხა-ხუცური შრიფტით ორ სვეტად. პაგინაცია მოცემულია ნუსხა-ხუცური ასოებით და არაბული ციფრებით. პირველი გვერდის თავი მოხატულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით. ასევე ორნამენტებითა და ხატებით არის შემკული წიგნის ყოველი ახალი თავი, განსაკუთრებით სახარებისა, მხატვრულადაა გაფორმებული დასაწყისი ასოებიც. ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად. ასე რომ, თავებად და მუხლებად ტექსტის დაყოფა უკვე XVIII საუკუნეშივე იყო პრაქტიკაში. ასევე ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებული წინასწარმეტყველთა წიგნების ტექსტი, რომლის ნაბეჭდი ვერსიაც „მცხეთურ ხელნაწერშია“ ჩართული.

ოთხთავის ქართული ვერსიის შესწავლას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი მეცნიერული კვლევის აუცილებლობას უკვე XIX საუკუნეში აქტუალურად აყენებდა ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. უურნალ „ივერიაში“ (1883, №5-6) გამოქვეყნებულ სტატიაში „სამი ძველი ვარიანტი ქართული ოთხთავისა ანუ სახარებისა“ ვკითხულობთ: „ფრიად სასურველია, რომ ყველა ამგვარი მანუსკრიპტები, გაფანტულნი საქართველოს მონასტრებში და კერძო ოჯახებში, შეიკრიბოს თბილისში, გულდადებით შეთანხმდეს და შედარებულ იქმნას ურთიერთშორის და შესანიშნავი ვარიანტები მათი დაიბეჭდოს პარალელურად ერთს წიგნად.“ შრომაში ‚Древние варианты грузинского четвероевангелия‘ მან პირველმა განსაზღვრა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვლევ სფეროდ ქართული თარგმანის უცხოენოვან ვერსიებთან (ბერძნულთან, სომხურთან,

სირიულთან) მიმართების საკითხის გარკვევა. სრულიად სამართლიანად უწოდებს ახალი აღთქმის ქართული ვერსიის ისტორიის მკვლევარი ნ. პაპუაშვილი დიმიტრი ბაქრაძეს „სახარების ქართული თარგმანის სპეციალიზებული შესწავლის მესაფუძვლეს“ და „ფაქტობრივად ქართული სამეცნიერო ლიტერატურის (ამ სიტყვის მკაცრი გაგებით) დამწყებს“ (პაპუაშვილი, 2007: 96-98).

ასე რომ, სახარების ტექსტებთან დაკავშირებულ ფილოლოგიურ კვლევებს საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა, თუმცა XX საუკუნის 40-იან წლებამდე ისინი მოკლებული იყო მეცნიერულ სილორმეს. ამის მიზეზად აკადემიკოსი აკ. შანიძე ასახელებს იმ ფაქტს, რომ ქართული ტექსტი კრიტიკულად არ ყოფილა დადგენილი და გამოცემული და არ იყო გათვალისწინებული უცხოენოვანი ტექსტების ისტორია. ამის გამო, „საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა არა მთელი ტექსტის ყოველმხრივი შესწავლისა და კრიტიკული განხილვის ნიადაგზე, არამედ ამა თუ იმ ადგილის შედარების გზით“ (შანიძე, 1945).

პირველი პუბლიკაციის შემდეგ სახარების ტექსტი არაერთგზის გამოქვეყნდა როგორც თბილისში, ისე მოსკოვსა და პეტერბურგში. შეიძლება დავასახელოთ 1779, 1876, 1879, 1883, 1895, 1896, 1898, 1900, 1904, 1909 წლების გამოცემები.¹ იძეჭდებოდა როგორც ცალკე თავებად, ისე სრულად და ახალი აღთქმის სხვა ტექსტებთან ერთად.

არის შემთხვევები, როდესაც გამოცემას წელი არა აქვს მითითებული, არ ახლავს სარჩევი, ან წიგნის სათაურში სრულად არ არის ასახული დაბეჭდილი ტექსტების სახელწოდებები. მაგ., ერთ-ერთ ძველ გამოცემას – „უფლისა ჩუჭინისა იესო ქრისტესი წმიდა სახარება მათესი, მარკოსისი, ლუკასი და ოოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი“ – არც წელი აწერია და არც სრულყოფილად ასახავს წიგნის შინაარსს. მასში შედის იოვანეს გამოცხადებაც, რასაც მოსდევს ანდრია კესარია-კაბა-დოკიელის „თარგმანებაზ იოვანეს გამოცხადებისაა“. ეს გამოცემა იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ბოლოში ერთვის განმარტებითი ლექსიკონი (იგი თავიდან არის დანომრილი და მოიცავს

1 გამოცემები მოცემულია თავის ბოლოს დართულ ლიტერატურის სიაში.

1-24 გვერდებს). მას არა აქვს ნაბეჭდის სახე, ჰგავს ხელნაწერს და შავი ტუშით არის შესრულებული, სათანადო მაგალითები ტექსტიდან მოხმობილი არ არის. ეს არის ლექსიკონის დართვის ერთ-ერთი ადრეული ნიმუში ახალი აღთქმის ტექსტებზე.

წიგნის სათაურის არასრულყოფილად წარმოდგენის მეორე მა- გალითად შეიძლება დავასახელოთ 1879 წლის გამოცემა „უფლისა ჩუმინისა იესო ქრისტესი / წმიდა სახარება მათესი, მარკოსისი, ლუკასი და ოთანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოცი- ქულთანი“, რომელშიც დაბეჭდილია ოთანე მოციქულის გამოცხა- დებაც და ფსალმუნებიც. ოვანეს გამოცხადება სარჩევში აღ- ნიშნულია, ფსალმუნები – არა. 1898 წლის გამოცემის სათაურში მარტო „სახარება მათესი“ წერია, თუმცა დაბეჭდილია მარკოზის, ლუკასა და ოთანეს სახარებებიც.

გვაქვს ფოტოტიპურად გამოცემის ნიმუშებიც. მაგ., 1817 წელს ამ სახით გამოიცა „სახარება მათესი,“ 1883 წელს ცალ-ცალკე წიგ- ნებად – „ახალი აღთქმა უფლისა ჩუმინისა იესო ქრისტესი. სახარე- ბა ოთანესი,“ „სახარება მათესი“ და „სახარება ლუკასი“, 1895 წელს – „სახარება მარკოსისი“, 1900 წელს – „სახარება ლუკასი და სხვ.

ყველა ეს გამოცემა, პირველად დაბეჭდილი სახარების მსგავ- სად, სასულიერო დანიშნულებისა იყო და არც ერთი არ ყოფილა მეცნიერული. შესაბამისად, მათ არც შესავალი ერთვოდათ, არც წინასიტყვაობა და, მითუმეტეს, არც გამოკვლევა. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს თავის ქართული ოთხთავის პირველ აკადემიურ გამოცემაში, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწ- ყისში იყო ცდები ქართული ოთხთავის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის, მაგრამ საქმით სერიოზული არაფერი გაკე- თებულა. მხოლოდ 1908 წელს შეუდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას და 1909 წელს დაბეჭდა მათეს, ხოლო 1911 წელს – მარკოზის სახარება.¹ ორივე სახარების ტექსტი გამოქვეყნებულია ტბეთის ოთხთავის მიხედ- ვით (995 წ.). ძეგლი შევერებულია ოპიზის ოთხთავის (913) ტე- ქსტთან და ვარიანტები წარმოდგენილია სამეცნიერო აპარატში.

1 მსოფლიო ომმა ეს საქმიანობა შეაფერხა.

სწორედ ეს პუბლიკაციებია მიჩნეული ახალი აღთქმის ქართული თარგმანების პირველ მეცნიერულ გამოცემად. თავად სათაურიც უკვე მეცნიერულ ნიშნებს შეიცავს: მასში ასახულია, რამდენი ხელნაწერის მიხედვით და ვის მიერ არის გამოცემული: „სახარებაზოთხავი. ორთა წელნაწერთაგან შიგ და შეე წელთათა გამოსცავლადიმირე ბენეშევიჩმან. ნაკვეთი ა. სახარებაზ მათცს თავისაა.“

1909 წლის გამოცემა პირველია, რომელსაც ახლავს მცირე წინასიტყვაობა (ვლადიმირე ბენეშევიჩისა ქართულად, მხედრული ანბანით, და რუსულად, ორ სვეტად წარმოდგენილი).

იგი იწყება სიტყვებით: „დედა ესე ოთხთავისაა“ და განგვიმარტავს, რომ გამოცემა ეყრდნობა საიმპერატორო საერო წიგნთსაცავში დაცულ და ალექსანდრე ცაგარლის მიერ აღწერილ 995 წლის ხელნაწერს. „დედა“-ში, როგორც რუსული თარგმანიდან ჩანს, დედანია ნაგულისსხმევი. განსხვავებული იკითხვისები გამომცემულს მოცემული აქვს ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერიდან, ე. წ. ოპიზის სახარებიდან. ძირითადი ხელნაწერი აღნიშნული აქვს B, ხოლო ოპიზისა – A ლიტერით. ვარიანტული იკითხვისების ლიტერებით აღნიშნა და სქოლიოებში ჩატანა ოთხთავის ქართული თარგმანების გამოცემებში ქართულ რეალობაში სათავეს ბენეშევიჩიდან იღებს. აქვე გვაქვს შემოკლებათა გამარტებები, წარმოდგენილი მეორე და მესამე გვერდებზე, სადაც ახსნილია გამოცემაში გამოყენებული სიმბოლოების (ჩამატების, გამოტოვებისა და ა. შ.) მნიშვნელობა.

1909 წლის გამოცემა გაგრძელდა 1911 წელს ისე, რომ 1909 წლის ბოლო წინადადება მთავრდება 1911 წლის გამოცემაში. ამიტომ ამ უკანასკნელში წინასიტყვაობა და შემოკლებათა განმარტებები, სადაც ახსნილია გამოცემაში გამოყენებული სიმბოლოების (ჩამატების, გამოტოვებისა და ა. შ.) მნიშვნელობა.

ივ. იმნაიშვილი შენიშნავს ბენეშევიჩის გამოცემის ნაკლოვან მხარეებზე: გამოიცა მხოლოდ მათე და მარკოზი და შიგადაშიგ ბევრი შეცდომა იყო დაშვებული, „ვერ გაიგებდით, სად იწყებოდა ერთი რედაქცია და სად მთავრდებოდა მეორე“ (იმნაიშვილი, 1979: 5). თუმცა მკვლევარი ამ პუბლიკაციას სახარების მეცნიერულად გამოცემულ ტექსტად თვლის.

ამის შემდგომი პუბლიკაციებიც არამეცნიერულობით ხასიათ-

დება. მართალია, გვხვდება ცალკეული სამეცნიერო დეტალების შემცველი გამოცემები, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სურათს ვერ ცვლის. მაგ., 1912 წლის გამოცემაში სქოლიოში მითითებულია ბიბლიურ წიგნთა თავები მუხლების მითითებით. სავარაუდოდ, სად პოვებს ანალოგს ტექსტში დაბეჭდილი ადგილები. ბოლოს ახლავს „უმთავრესნი შეცდომანი“.

1914 წლის გამოცემას „განმარტება სახარებისა, I, სახარება მატერიალის ერთვის ორგვერდიანი შესავალი, რაც პირველი შემთხვევა უნდა იყოს. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველს ჰქვია „ახალი აღთქმა“, სადაც განმარტებულია, რა არის ახალი აღთქმა; შემდეგი ნაწილებია „შედგენილობა ახალის-აღთქმისა“; „გაყოფა ახალ-აღთქმის წიგნთა შინაარსით“; „ენა, რომელზედაც დაწერილია ახალი აღთქმა“. მესამე ნაწილში „გაყოფა...“ აღნიშნულია, რომ შინაარსით ახალი აღთქმის წიგნები განიყოფებიან ოთხ ნაწილად: 1) სჯულდებითნი – ოთხი სახარება; 2) ისტორიული – საქმე მოციქულთა; 3) სწავლითნი, ანუ მოძღვრებითნი – შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და თოთხმეტი ეპისტოლე პავლე მოციქულისა და 4) წინასწარმეტყველებითი – გამოცხადება წმ. იოანე ლვთისმეტყველისა. ამის შემდეგ გვერდნახევარი ეთმობა სახარების შესახებ ინფორმაციას, შემდეგ არის „ოთხი სახარების დამოკიდებულება ერთმანეთთან“, რის შემდეგაც მოცემულია მათეს სახარება განმარტებებით. ამ შესავლის ავტორის ვინაობა მითითებული არ არის. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს სახარების განმარტების ავტორი, მაგრამ არც მისი გვარია აღნიშნული.

1915 წლის გამოცემას უძლვის ორფურცლიანი წინათქმა სახელწოდებით „სახარების განმარტება. სახარება მარკოზისა-გან“, რომელშიც მოყლედ არის საუბარი მარკოზის შესახებ. მას მოსდევს „გარემოებანი მარკოზის სახარების დაწერის პირველი დანიშნულება მისი, დრო და ადგილი მისის დაწერისა, ენა სახარებისა, საზოგადო ხასიათი ამ სახარებისა.“ მთელი ეს ინფორმაცია სამი გვერდის მოცულობისაა.

მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ 1916 წელს ფოტო-ტიპურად გამოსცა ჩვენამდე მოღწეულ ოთხთავის ხელნაწერ-

თაგან უძველესი ქართული თარიღიანი ოთხთავი (ადიშისა, 897) ექვთიმე თაყაიშვილის ვრცელი წინასიტყვაობით. გამოცემას საფუძვლად დაედო ფოტოები, გადაღებული დ. ერმაკოვის მიერ 1910 წელს სვანეთში ექსპედიციის დროს.

ამ ფოტოტიპური გამოცემის მიხედვით, ამერიკელმა ქართველოლოგმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რ. ბლეიკმა მარკოზის თავი ლათინური თარგმანით სტამბურად დაბეჭდა 1928 წელს პარიზში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაზე დაყრდნობით. წარმოადგინა ვარიანტები ოპიზისა და ტბეთის ხელნაწერებიდან. 1933 წელს გამოსცა მათეს სახარების ტექსტი, უფრო მოგვიანებით, 1950 წელს – ფრანგ მეცნიერ მ. ბრიერთან თანამშრომლობით დასტამბა იოვანეს სახარება. ბლეიკის გარდა-ცვალების შემდეგ ბრიერმა ეს საქმე არ შეწყვიტა და 1955 წელს გამოსცა ადიშის ოთხთავის ლუკა მახარებლის ტექსტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადებრივ მეცნიერებათა განყოფილების დადგენილების თანახმად, 40-იან წლებში დაარსდა სერია „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სახელწოდებით, რომლის მიზნად განისაზღვრა ქართული ენის წერილობითი ისტორიის ძველი პერიოდის მთავარი წყაროების გამოცემა და გამოკვლევა. განზრახული იყო, სერიის ფარგლებში გამოცემულიყო ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (კერძოდ, ქართული ოთხთავების უძველესი რედაქციები და ოშკური ხელნაწერი 978 წლისა), ეპიგრაფიკული მასალები V-X საუკუნეებისა, პალიმფსესტებიდან ამოკითხული ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტები, ჭილ-ეტრატის იადგარი (IX-X სს.), იოანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ძველი ლექციონარები და სხვ.

უკვე 1944 წელს ამ სერიით ფოტოტიპურად გამოიცა „ხანმეტი ლექციონარი“, როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, იშვიათი და უშესანიშნავესი ძეგლი, „ქართულ ხელნაწერთათვის მეორე, ადიშის ოთხთავის შემდეგ.“ გამოცემას ერთვის წინასიტყვაობა რუსულ და ინგლისურ ენებზე. ახლავს სიმფონია.

§7. ახალი ოთხთავის მეცნიერული გამოცემები

ქართული ოთხთავის პირველი მეცნიერული გამოცემა ეკუ-
თვნის აკაკი შანიძეს: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია
სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (897, 936, და 973
წწ.). იგი დაიბეჭდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე.
წინასიტყვაობაში აკ. შანიძე სამწუხარო რეალობას უწოდებს იმ
ფაქტს, რომ ქართველებს ჯერაც არა გვაქვს სახარების კრი-
ტიკულად დადგენილი ტექსტი. ამ ძეგლის შემცველი ქართული
ნუსხების ცალ-ცალკე, მონოგრაფიულად გამოცემას იგი ჩვენი
ფილოლოგიური მეცნიერების პირველმნიშვნელოვან ამოცანად
მიიჩნევს. მეცნიერი აყალიბებს პოსტულატებს, რა უნდა გაკეთე-
ბულიყო სახარების ტექსტოლოგიური კვლევის მიმართულებით:
„ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისას უპირველეს ყოვლისა
საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით
ქართული ტექსტი, რა ურთიერთობაშია ძველ ხელნაწერთა ვა-
რიანტები, რა და რა რედაქცია მოგვეპოება და სხვა. მხოლოდ
ასეთი წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ შეიძლება
მართებულად დაისვას და სათანადოდ გადაიჭრას ისტორიულ-ლი-
ტერატურული საკითხები.“¹

ეს ვრცელი წინასიტყვაობა თავებად არის დაყოფილი. პირ-
ველ თავში („ქართული ოთხთავის გამოცემის ისტორიიდან. ამ
გამოცემის მიზანი“), გამოცემის ისტორიის საკითხებთან ერ-
თად, ვეცნობით აკაკი შანიძის მიერ ჩატარებული მეცნიერული
სამუშაოს პრინციპებს. აქ ახსნილია, რომ მეცნიერმა ლექსიკისა
თუ ფრაზის სტრუქტურის მხრივ სამი ერთმანეთისაგან განსხვა-
ვებული ხელნაწერი ორ სხვადასხვა რედაქციად მიიჩნია: ერთი
წარმოდგენილი ადიშის ხელნაწერით და მეორე – წარმოდგენილი
ჯრუჭისა და პარხლის ხელნაწერებით. ამდენად, პირველივე მეც-
ნიერულ გამოცემაში გარკვეულია ხელნაწერთა ურთიერთმიმარ-
თების საკითხი. აკაკი შანიძემ არც ერთი არ მიიჩნია „დედა-ტე-
ქსტად“ (როგორც თვითონ წერს), რის გამოც ისინი ერთმანეთის

1 წიგნის ამ ნაწილს გვერდები არა აქვს. ამიტომ ვერ ვუთითებთ. ქ. გ.

პარალელურად დაბეჭდა. ეს იყო საგამომცემლო სტრატეგია. მისი აზრით, რომელიმე რედაქციის განსხვავებული წაკითხვების ვარიანტებად ჩატანა სქოლიოებში ხელნაწერს, როგორც ცალკე რედაქციას, დამოუკიდებელ ხასიათს დაუკარგავდა, მის ტექსტს კი შენიშვნებში მიმაღლავდა. ამასთან, განსხვავებული წაკითხვების დიდი რაოდენობა იმდენივე ადგილს დაიკავებდა, რასაც ცალკე დაბეჭდვის შემთხვევაში, რაც სქოლიოს ძნელად მოსახმარს გახდიდა. როგორც ჩანს, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რედაქციის არსებობის პირობებში, შანიძემ არც დასვა საკითხი ამ ორი რედაქციის ურთიერთმიმართების გარკვევის შესახებ და ორივეს თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭა.

გამოცემაში წარმოდგენილი ხელნაწერები შედარებულია სხვა ხელნაწერებთან და შესაბამისი ანალიზიც არის მოცემული. ტექსტი დაბეჭდილია ორ სვეტად, მაგრამ ბიძლიის გამოცემის წინა პრაქტიკებისგან განსხვავებით, აქ სხვადასხვა სვეტში სხვადასხვა რედაქციის ტექსტებია მოცემული და არა ერთი ტექსტი 2 სვეტად. პრაქტიკულად, წინა გამოცემებში არც იბეჭდებოდა ტექსტები რამდენიმე რედაქციის მიხედვით. სქოლიოში ჩატანილია რედაქციების ვარიანტული იკითხვისები.

წინასიტყვაობის მეორე თავი ეძღვნება ხელნაწერთა აღნერილობას. შანიძეს გარკვეული აქვს მათი წარმომავლობა. დაწვრილებით წარმოადგენს თავისი გამოკვლევის შედეგებს თითოეულის შესახებ. მოცემულია ხელნაწერთა კოდიკოლოგიური დახსასიათება. აქვე ძალიან მოკლედაა მოცემული (ერთი აბზაცი) ხელნაწერთა ენობრივი თავისებურებები. დახსასიათებულია არშიებზე მინაწერები, ხელნაწერთა მხატვრული გაფორმება, ყდები, ანდერძები და ა. შ. დაწვრილებით არის ახსნილი პირობითი ნიშნები და ტექსტის მოხმარების წესები. გამოცემის 1 ფურცელი ეთმობა ჯრუჭის ოთხთავის ფურცელთა საძიებელს ნაბეჭდ ტექსტში. საძიებელი მოცემულია ოთხივე სახარების მიხედვით.

წინასიტყვაობის მესამე თავია „დაბეჭდილი ტექსტებისათვის“. მასში განმარტებულია ზოგიერთი საკითხი, თუ როგორი პრინციპებით ხელმძღვანელობდა მეცნიერი ტექსტის ამა თუ იმ ადგილის

დადგენის დროს და, საზოგადოდ, როგორია მისი დამოკიდებულება ტექსტისადმი. მოცემულია განმარტებები ტექსტის ენობრივი საკითხების შესახებ, მაგ., როგორ არის გამოცემაში გადაწყვეტილი ორთოგრაფიული თუ სხვა საკითხები, უპირატესობა რა შემთხვევაში რას აქვს მინიჭებული, როდის რა არის გათვალისწინებული და ა. შ. გამოცემის ერთ-ერთ მიზნად აკ.შანიძე თვლის „ქართული ენის ისტორიის საკითხების გაშუქებას.

ივანე იმნაიშვილმა დაასრულა ბენეშევიჩის მიერ წამოწყებული საქმე, რომელსაც გამოუცემელი დარჩა ტბეთის ოთხთავის 2 ბოლო თავი. მეცნიერმა გამოაქვეყნა ეს დარჩენილი თავები ლექსიკონით, ენის მიმოხილვითა და ტაბულებით „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათის“ | ტომში 1953-1963 წლებში (გვ. 65-122); ქართული ენის ისტორიული ქრესტომათის 1970 წლის გამოცემაში დაბეჭდა ლუკას თავი (გვ. 66-112); იოვანეს თავი კი დაიბეჭდა ძველი ქართული ენის კათედრის შრომების მე-20 ტომში (გვ. 165-231).

1979 წელს ივანე იმნაიშვილმა გამოსცა „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“. ეს რედაქცია შეიქმნა ათონის ივირონის მონასტერში. გიორგი მთაწმიდლის რედაქცია გამოცემაში წარმოდგენილია სამი ნუსხის (HIK: ვანის, ეჩმიაძინის, გელათის) მიხედვით, რომელთაც მკვლევარი სახელგანთქმულად მოიხსენიებს, ხოლო ექვთიმეს რედაქციის¹ ოთხეული – ორი ნუსხის (FG: ურბნისისა და პალესტინური) მიხედვით. აქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ტბეთისა და მესტიის (BM) ხელნაწერები, მათი დიდი მეცნიერული მნიშვნელობის გამო, მალე უნდა მოჰყოლოდა ამ პუბლიკაციას.

გამოცემას ერთვის ვრცელი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა. მოცემულია ხელნაწერთა ზედმიწევნითი კოდიკოლოგიური აღნერილობა და ფილოლოგიური ანალიზი, სადაც გარკვეულია ხელნაწერთა გადამწერების ვინაობა, დადგენილია ხელნაწერთა წარმომავლობა, მათი ურთიერთმიმართებანი და სახელების მომდინარეობა (მაგ., რატომ ჰქვია ხელნაწერს ურბნისის და ა. შ.), შესწავლილია არშიათათა მინაწერები. თი-

1 როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, ექვთიმეს რედაქტორობა ეჭვეჭვეშ არის დაყენებული.

თოვეული ხელნაწერის ენობრივი თავისებურებები განხილულია ცალ-ცალკე. გიორგისა და ექვთიმეს რედაქცია დაბეჭდილია ერთმანეთის პარალელურად, ორ სვეტად. „ამ გამოცემით უკვე დასრულდა ახალი აღთქმის წიგნების პუბლიკაცია და თავ-თავის ადგილზე დაბინავება“, – წერს ივ. იმანაიშვილი (გვ. 6).

1950 წელს ილია აბულაძემ აკაკი შანიძის რედაქციით, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა „საქმე მოციქულთა“, რომელ-საც ქართულად და რუსულად ერთვის რედაქტორის ერთგვერ-დიანი წინასიტყვაობა სათაურით – „რედაქტორისაგან.“

მოციქულთა საქმის ქართული ვერსიის ტექსტი ბევრჯერ არის გამოცემული. ადრეულ გამოცემებში, გაუმართავი ორთოგრაფიის გარდა, გაუგებარია დაბეჭდილი ტექსტის წარმომავლობა, რომელ ხელნაწერს ემყარება და ა. შ.

„საქმე მოციქულთა“ მეცნიერულად გამოსცა ილია აბულაძემ 1950 წელს ადრეული 9 ხელნაწერის მიხედვით. გამოცემას დაურ-თო ვრცელი წინასიტყვაობა (ხუთგვერდიანი) და „ტექსტისათვის“ (ერთფურცლიანი). გამოცემაში წარმოდგენილია ოთხივე რედა-ქცია, რომლებიც 4 სვეტად არის დაბეჭდილი, თითოეულ გვერ-დზე 2-2 სვეტად. ოთხივე რედაქციას საფუძვლად უდევს ძველი წუსხები. სხვა წუსხების იკითხვისები კი მოცემულია სქოლიობი. სამეცნიერო აპარატში წარმოდგენილია ყველა წუსხის მიმოხილვა. ლექსიკონი არ ახლავს.

1955 წელს „საქმე მოციქულთა“ სინას ორი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ჟ. გარიტმა.

ახალი აღთქმის შემცველ სხვა წიგნთა მსგავსად, „კათოლი-კე ეპისტოლები“ არაერთხელ არის გამოცემული. მეცნიერული გამოცემა განხორციელდა ქეთევან ლორთქიფანიძის მიერ აკაკი შანიძის რედაქციით 1956 წელს, X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. მას ახლავს აკ. შანიძის ერთფურცლიანი წინასიტყვაობა – „რედაქტორისაგან“. გამოცემა 4 რედაქციას წარმოადგენს: ორ ძველსა და ორ ახალს. ძველი რედაქციები თითო-თითო წუსხით არის დაცული, ახალი რედაქციებიდან კი, ერთისთვის გამოყენებუ-ლია 2 წუსხა, მეორისთვის – 3. ჯერ დაბეჭდილია ძველი რედაქცია

ორ სვეტად, შემდეგ იმავე რედაქციის ნაწყვეტები, რასაც მოსდევს მეორე რედაქციის ნაწყვეტები, შემდეგ კი მესამე და მეოთხე რედაქციების ტექსტი ერთმანეთის გვერდით 2 სვეტად. გამოცემას ახლავს ქეთევან ლორთქიფანიძის გამოკვლევა (ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ენობრივი მიმოხილვა), ბოლოს წარმოდგენილია „ტექსტისათვის“, შემოკლებანი და დათემული ნიშნები.

გამომცემლებმა ტექნიკურად უხერხულად ჩათვალეს ძველი რედაქციების შემცველი ნაწყვეტების მთლიანი ტექსტის პარალელურად დაყენება, რის გამოც ისინი ცალკე გამოყვეს და ნინ დაბეჭდეს (გვ. 1-31), გიორგი მთაწმიდლის რედაქციას კი შეუპირისპირეს ეფრემისეული ტექსტის ვარიანტები, რომლებიც რაოდენობრივად ბევრი არ არის.

ტექსტი მეცნიერულად გამოსცა ივანე იმნაიშვილმა აკაკი შანიძის რედაქციით 1961 წელს. გამოცემას ახლავს 6 ტაბულა, თუმცა ფოტოები დაბალი ხარისხისაა. პირველ სატიტულო გვერდზე ყველა ინფორმაცია მხედრულით არის წარმოდგენილი, სათაური შიდა სატიტულო გვერდზე („გამოცხადება იოვანესი“) მოცემულია ასომთავრულით. ასევე ასომთავრულით არის დაბეჭდილი თავებისა და ქვეთავების სათაურები. სქოლიოში ასახულია სხვა ხელნაწერთა ჩვენებები. ტექსტი მოჰყვება გამოკვლევა (119-162) და ლექსიკონი (165-205).

გამოკვლევაში გარკვეულია „იოვანეს გამოცხადების“ წარმომავლობა და რაობა. უნდა შევნიშნოთ, რომ გამოცემა განიცდის საბჭოთა იდეოლოგიის გავლენას, რაც გასაკვირი არ არის. გამოკვლევის პირველივე გვერდზე, სქოლიოში, ივანე იმნაიშვილს დამოწმებული აქვს ენგელსისა და მარქსის ნაშრომები. მეორე გვერდზე ასევე უხვად – მათი და ლენინის შრომები. ის წერს: „ხანა, რომელმაც წარმოშვა ამ წიგნში ასახული პირვანდელი ქრისტიანობა, ის დრო იყო, როცა თვით რომში და საბერძნეთშიც, აგრეთვე გაცილებით უფრო მეტად მცირე აზიაში, სირიასა და ეგვიპტეში ყოველგვარი ეჭვის გარეშე იღებდნენ და ითვისებდნენ ტლანქი ცრუმორნმუნეობის აბსოლუტურად უკრიტიკო ნარევს, რომელსაც ურცხვი მოტყუებითა და პირდაპირი თვალთმაქცო-

ბით ავსებდნენ; ეს იყო დრო, როცა მთავარ როლს ასრულებდა სასწაულები, ექსტაზები, ხილვანი, მყითხაობა მომავალზე და სხვა სისულეელები. ასეთი იყო ატმოსფერო, რომელშიც წარმოიშვა ადრინდელი ქრისტიანობა, ამასთან წარმოიშვა ისეთი კლასის ადამიანთა შორის, რომელიც სხვაზე მეტად ითვისებდა ასეთ ფანტაზიებს ზებუნებრივი საქმეების შესახებ“ (გვ. 120). ნათევამის განსამტკიცებლად დამონმებული აქვს ენგელსისა და მარქსის ნაშრომები. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი გაანალიზებულია ბელადების ნაშრომების შუქზე, ეს გამოცემის აკადემიურ დონეს არ აკნინებს. საბჭოთა ბელადების ნაშრომებიდან ციტირებები ამ პერიოდის სამეცნიერო საქმიანობის აუცილებელ ნაწილად იყო ქცეული.¹ მიუხედავად ამისა, როგორც ბიბლიის ქართული თარგმანების გამოცემების შესწავლამ გვიჩვენა, ეს სფერო იყო ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაცული საბჭოთა იდეოლოგიური წნევისგან, სადაც ქართველი მეცნიერები ახერხებდნენ მეცნიერული კეთილსინდისიერებით ეკეთებინათ ქართული საქმე.

გამოცემაში დაწვრილებით არის საუბარი ხელნაწერების შესახებ. ახსნილია ძირითადი ტექსტის შერჩევის საფუძველი: სისრულე და სიძველე (978 წ.). დანარჩენი ორი ხელნაწერის იყითხვისური სხვაობანი, ყოველგვარი ხასიათისა, უკლებლად არის ნაჩვენები სქოლიოში. იმ შემთხვევაში, როცა სამი ხელნაწერიდან უფრო ძველსა და სწორ ფორმებს მეორე და მესამე ხელნაწერი იძლეოდა, ტექსტში ამ უკანასკნელთა წაკითხვაა დატოვებული, სქოლიოში კი ძირითადი ხელნაწერის ჩვენებაა ჩატანილი. გარდა ამისა, ამ ხელნაწერის ერთი ნაკლული ფურცლის ტექსტი, რომელიც XVIII საუკუნეში აღუდგენიათ ქალალდზე მრავალი შეცდომით და შიგ ჩაუკერებიათ, გამართულია მეორე და მესამე ხელნაწერების მიხედვით. XVIII-XIX საუკუნეების ხელნაწერები

1 აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც იყო კრებულის „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“ (1966) სარედაქციო კოლეგის წევრი და მისი გამოქვეყნების დროს ცოცხალი აღარ იყო, შესავალ წერილში წერს: „მომზადებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულ ისტორიკოსთა ლეგიონი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ ჩვენი სოციალისტური ხანის შესაფერისი დიდი „ქართლის ცხოვრება“ დაინეროს და ეს ასეც იქნება“ (გვ. 11).

(ექვსია დასახელებული), რომლებიც მხოლოდ თარგმანების ტექსტებს შეიცავს და არც რედაქციულად და არც სხვა მხრივ (გარდა მოგვიანო ხანის ახალი ორთოგრაფიისა) სიახლეს არ გვიჩვენებს, ვარიანტულ სხვაობებში არ არის ასახული. გამოკვლევაში სათანა-დო ყურადღება ექცევა ბერძნულ ხელნაწერებსა და რედაქციებს. ვრცელია ენობრივი მიმოხილვა.

მეცნიერს გათვალისწინებული აქვს აკ. შანიძის მიერ გან-საზღვრული ტექსტის გამოცემის ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „ხელუხლებლად უნდა იქნეს დატოვებული ყველა შესაძლებელი ფორმა და მხოლოდ შეუძლებელი ფორმები და ამკარა ცთომილებანი (sic) უნდა გასწორდეს“ (შანიძე, 1945: 047).

„პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“ გამოსცეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით. წიგნში წარმოდგენილია პავლეს ეპისტოლეთა ყველა (ოთხი) ქართული რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი X-XIV საუკუნეთა 12 ხელნაწერის მიხედვით. 4 რედაქციიდან 2 სრული სახით არის წარმოდგენილი (A და C), ორისა კი (B და D) მხოლოდ განსხვავებული იყითხვისებია სქოლიოში მოყვანილი ვარიანტების სახით. B-ს იყითხვისები A-ს სქოლიოში აღინიშნა, D-სი – C-საში. კ. დანელია აღნიშნავს, რომ რედაქციულ სხვაობათა წარმოჩენისათვის უკეთესი იყო, ტექსტი 4 სვეტად დაბეჭდილიყო: B-ს რედაქციული სხვაობანი A-ს დასდგომიდა გვერდით, D-ს სხვაობანი – C-ს, როგორც ეს სამოციქულოს სხვა თხზულებათა (მოციქულთა საქმისა და პავლეს ეპისტოლების) გამოცემაში გატარებული, მაგრამ ამ სახით დაბეჭდვა პავლეს ეპისტოლეების ისედაც დიდი მოცულობის ტექსტს საგრძნობლად გაზრდიდა, ამიტომ 4 სვეტის ნაცვლად 2 დაბეჭდეს. აქვე ახსნილია ამა თუ იმ რედაქციის შემთხვევაში საყრდენი ხელნაწერის არჩევის წესი: ქრონოლოგიურად ძველი და შედარებით სრული. აქაც რომელიმეს ნაკლული ადგილები სხვა რედაქციებიდან არის შევსებული. როდესაც ხელნაწერებს შორის ორთოგრაფიული სხვაობანი შეინიშნება, უპირატესობა ხან ერთ ხელნაწერს ეძლევა, ხან მეორეს და ა. შ. გამოცემას ლექსიკონი არ ახლავს.

ცალკე უნდა შევეხოთ ხანმეტი ტექსტების გამოცემის საკითხს.

ისინი პალიმფსესტებმა შემოგვინახა და ქართული მწერლობის უძველეს პერიოდს განეკუთვნება. მათში დაცულია ფრაგმენტები ძველი და ახალი აღთქმიდან, ლექციონარიდან, ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან და სხვ. ლამარა ქაჯაიას აზრით, ხანმეტი ტექსტის ორი სხვადასხვა თარგმანი ქართულში ერთმანეთის პარალელურად ადრეული პერიოდიდანვე არსებულა (IV-V სს).

ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები რამდენჯერმე დაიბეჭდა. პირველი პუბლიკაცია განახორციელა ივ. ჯავახიშვილმა 1923 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ ॥ ტომში სათაურით „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, რომელიც 1949 წელს შევსებული სახით მისსავე „ქართულ პალეოგრაფიაში“ შევიდა. გამოცემას ერთვის საკითხავები: მცირე ნაწყვეტები წიგნებიდან: შექმნათაა, წინასწარმეტყველება იერემიასი, სახარება მათესი, მარკოზისი, ლუკასი, იოანესი, საქმენი მოციქულთანი. ხანმეტი ოთხთავის რამდენიმე ნაწყვეტი, საკითხავების სახით, შესულია ხანმეტ ლექციონარშიც, რომელიც 1944 წელს შანიძემ დაბეჭდა.

ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულმა ტექსტებმა დღის წესრიგში დააყენა მათი მეცნიერულად გამოცემის საკითხი. 1971 წელს ჯ. ნ. ბერძოლმა გამოაქვეყნა ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტები ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერის მიხედვით.

1984 წელს ხანმეტი ტექსტების პირველი ნაკვეთი გამოსცა ლამარა ქაჯაიამ, რომელშიც შევიდა ფრაგმანტები ხანმეტი ოთხთავის ტექსტიდან. ტექსტს ახლავს სიმფონია ლექსიკონი და გამოკვლევა ხანმეტი ოთხთავის ტექსტოლოგიური ანალიზითა და ძეგლის ენობრივი თავისებურებებით. გარკვეულია ხანმეტი ოთხთავის რედაქციული შემადგენლობა, განხილულია მისი დამოკიდებულება უცხოენოვან ტექსტებთან, წარმოდგენილია ხანმეტი ოთხთავის შემცველ ხელნაწერთა აღწერილობა, ახსნილია ენობრივი თავისებურებები.

იმის გასარკვევად, თუ რას წარმოადგენს ხანმეტი ოთხთავის ტექსტი და რა ურთიერთობაშია იგი აქამდე ცნობილ IX-X საუკუნეების ოთხთავებთან, ლამარა ქაჯაიამ ხანმეტი ტექსტი შეუდარა

ჩვენამდე მოლწეულ ოთხთავის თარიღიან ხელნაწერებს: ადიშის (897), ოპიზის (913), ჯრუჭის (936), პარხლის (973), ბერთისა (988)¹ და ტბეთის (995). ნუსხათა ვარიანტული და რედაქციული იკითხვისები აპარატშია წარმოდგენილი. აქვეა მოცემული ივ. ჯავახიშვილის გამოცემის განსხვავებული იკითხვისებიც.

ახალი აღთქმის ქართული თარგმანების გამოცემის ისტორია იცნობს ცალკეულ ხელნაწერთა პუბლიკაციების შემთხვევებსაც. მაგ., 2003 წელს ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით დაიბეჭდა ადიშის ოთხთავი (897 წ.); ადიშის სახარება (C, მესტია – 22) შედგება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ორი რედაქციისაგან: ძირითადია ადიშის რედაქცია და ჩანართი ნაწილია პროტოულგატასეული რედაქცია (დახლოებით 1/5 ნაწილი ტექსტისა). ადიშის არქეტიპიდან მოდის საკუთრივ ადიში, ხანმეტი სახარების მცირე ნაწილი, ქსნის ოთხთავის A მუხლები, H-1240-ის მუხლები.

2010 წელს ელგუჯა გიუნაშვილმა გამოსცა სინური ოთხთავი 978-979 წლებისა; ქართული ოთხთავის სინური რედაქციის ტექსტის შესწავლა დაიწყო ზურაბ სარჯველაძის მიერ 90-იან წლებში შექმნილმა ქართული ოთხთავების კრიტიკული ტექსტის დამდგენმა სამეცნიერო ჯგუფმა. ზურაბ სარჯველაძის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო სინური ხელნაწერების ტექსტის შესწავლა და გამოქვეყნება. ეს ტექსტი აღნიშნულ გამოცემაში გამოქვეყნებულია დოკუმენტური ლექსიკონითა და საძიებლებით. ტექსტის დადგენისას სამეცნიერო ჯგუფი ხელმძღვანელობდა ერთი რედაქციის გამოცემის პრინციპებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელუხლებლად არის დაცული ხელნაწერთა მონაცემები (ლაფსუსები, რა თქმა უნდა, შესწორებულია). მაგ., თუ ხელნაწერის სხვადასხვა ადგილას დასტურდება ერთი სიტყვის სხვადასხვა დანერილობა და თითოეული მათგანი დასაშვები ფორმაა ენის ისტორიის გათვალისწინებით, ყველა შენარჩუნებულია თავ-თავის ადგილას (მაგ., ცხოვრება // ცხორება,).

გამოცემა ყურადღებას იქცევს საგამომცემლო სიახლით, კერძოდ, იგი აღჭურვილია სინური ოთხთავის ტექსტის თავისე-

1 ბერთის ოთხთავის სახელით ცნობილია ორი ხელნაწერი: X საუკუნის, რომელიც აშშ-ში ინახება და XII საუკუნის ხელნაწერი, ოპიზის მოქედილი ყდით, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

ბურებათა საძიებლებით, რომლებშიც მოცემულია კლება, მატება, სიტყვათა მნიშვნელობის შენაცვლება, წინადადების წყობის შეცვლა (შეტანილი დადგენილ ტექსტში), ხანმეტურ ოთხთავთან თანმხვედრი პარადიგმები სინური ოთხთავის მათესა და მარკოზის ტექსტებში, მათესა და მარკოზის სახარებათა თანმხვედრი პარადიგმები ჯრუჭ-პარხლურ და ურბნისულ რედაქციებთან, ლუკასა და იოვანეს ოთხთავთა თანმხვედრი პარადიგმები სხვა უძველეს რედაქციებთან. ამას მოსდევს დედნის გავლენით დაკლებული მუხლების საძიებელი, შემდეგ – საკუთარ სახელთა საძიებელი: ა) ადამიანთა; ბ) წარმომავლობის; გ) გეოგრაფიული; რიცხვთა და საზომ-საწყაულთა ერთეულების საძიებელი: მანძილის საზომი ერთეულები, ფულის ერთეულები, რიცხვები, დრო, ასაკი, საზომ-საწყაულები (ყველა შესაბამისი მაგალითების დამოწმებით, გვერდისა და სტრიქონის მითითებით). ამის შემდეგ დართულია ვრცელი ლექსიკონი (მაგალითების დამოწმებით).

2010 წელს მანანა მაჩიხანელმა, დარეჯან თვალთვაძის რედაქტორობით, გამოსცა „ანბანდიდი“, სახარება-ოთხთავის /X საუკუნის ხელნაწერი. როგორც გამომცემელი მიუთითებს, ეს არის „ანბანდიდად“ წოდებული /X საუკუნის ქართული ასომთავრული მანუსკრიპტის პირველი გამოცემა. ხელნაწერს შემოუნახავს ოთხთავის წინაათონური რედაქციის ლუკასა და იოვანეს სახარებები. აქვე განცხადებულია, რომ „ქართული ოთხთავის ნუსხების სისტემური შესწავლა, რედაქციული შრეების გამოვლენა, ფილოლოგიური არგუმენტებით გამართვა და კრიტიკული გამოცემა ჩვენი მეცნიერული პრესტიჟის საქმეცაა და „მოვალეობაც.“ ამასთანავე, ეს არის ამბიციური მიზანიც – აღვადგინოთ ქართველთა ინტელექტუალური ისტორიის ნაწილი და სხვებსაც და ჩვენს თავსაც გავაგებინოთ: როგორ აამეტყველეს ქართულად ძველმა მწიგნობრებმა, ბრწყინვალე მთარგმნელებმა თუ გადამწერ-რედაქტორებმა ის, რაც თქვა და გვასწავლა იქსომ“ (ანბანდიდი... გვ. 5).

„ანბანდიდის“ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გამომცემელს სათაურით „რა ვიცით“ – მოცემული აქვს, რა ვიცით დღეს ქართული ოთხთავის შემცველი ხელნაწერების

ურთიერთმიმართების შესახებ, როგორია ქართული სახარების ტექსტოლოგიური ძიების უმთავრესი და ძირითადი შედეგები, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

აქაც, ისევე როგორც ე. გიუნაშვილის სინური ოთხთავის გამოცემაში, მოცემულია „ანბანდიდის“ პარადიგმების ცხრილი ლუკასა და ოვანეს სახარებების მაგალითზე. წინა გამოცემების ხაზი აქაც შენარჩუნებულია: „შეგნებულად არ აღვადგინეთ ნორმატიულ-გრამატიკული ფორმები, რათა არ დაკარგულიყო გადამწერის ცოცხალი მეტყველების სტილი და შენარჩუნებულიყო ხელნაწერის უნიკალური სახე“, – აღნიშნულია გამომცემლის მიერ. 97-289 გვერდებზე მოცემულია ხელნაწერთა ფოტოპირები. ბოლოს ახლავს სახარების კრიტიკულად გამოცემული ტექსტების სია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადიშის სახარება. ფოტოტიპიურად გამოსცა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ (Матеріали по Археології Кавказа, вып. XIV, Москва, 1916 г.).

2. ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თსუ, თბილისის სახელმწ. პედაგ. ინ-ტი, ფრანკფურტის უნ-ტი, 2003.

3. ანბანდიდი, სახარება-ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონი“, რედაქტორი დარეჯან თვალთვაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2010.

4. ა. პ. განმარტება სახარებისა, I, სახარება მატერიალური, ელექტრო-მბეჭ. სტამბა ა. კერესელიძისა, გაბაევის შესახ. №1, 1913. Издание Правленія Тифлісской Духовной Семинарії.

5. ა. პ. სახარების განმარტება, II, სახარება მარკოზისაგან, გამოცემა სიონის ღვთისმშობლის ძმობისა (არ. მ. კერესელიძის სტ.), თბ., 1915.

6. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება მარკოსისი, ტფილისი, 1883 (ივ. მარტიროსიანცის სტ.). ფოტო-ტიპური გამოცემა.

7. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება იოანესი, ტფილისს. ივან მარტიროსიანცის სტამბა. 1883. ფოტო-ტიპური გამოცემა.

8. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება მათესი. ტფილისს. ივან მარტიროსიანცის სტამბაში. 1883. ფოტო-ტიპური გამოცემა.

9. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება ლუკასი. ტფილისს. ივან მარტიროსიანცის სტამბაში. 1883. ფოტო-ტიპური გამოცემა.

10. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ნაწ. 2, სახარება მარკოსის /„საქართველო-იმერეთის უნმიდესი სინოდის კანტორის ნება-დართვით. 1895. ფოტოტიპური გამოცემა.

11. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება იოანესი, ტფილისს. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქ. №21. 1895.

12. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. წმიდა სახარება მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოცი-ქულთანი და ეპისტოლენი მოციქულთანი, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქ. №21. 1896.

13. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება მათესი. ტფილისს. სტამბა მ. შარაძისა და ამბ., ნიკ. ქ. №21. 1898.

14. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. სახარება ლუკასი, ტფილისი, სტამბა მ. შარაძისა და ამხან., ნიკ., ქ., №21. 1900. ფოტოტიპური გამოცემა.

15. ახალი აღთქმა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმიდა სახარება მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოცი-ქულთანი და ეპისტოლენი მოციქულთანი, ტფილისი, სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი. 1904,

16. ახალი აღთქმა: უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. წმინდა

სახარება მატთესაგან, მარკოზისაგან, ლუკასაგან და იოანესაგან. საქმე მოციქულთა, ეპისტოლენი მოციქულთანი და გამოცხადება იოანე ლუთის-მეტყუელისა (ს. ლოსაბერიძის სტ.). ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახ. №5. 1912.

17. ბაქრაძე, დ. სამი ძველი ვარიანტი ქართული ოთხთავისა ანუ სახარებისა, „ივერია“, თბ., 1883, №5-6.

18. დავითი, ტფილისი, 1709.

19. დავითი, ტფილისი, 1711.

20. დავითი, ტფილისი, 1712.

21. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკველვა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1976.

22. თარგმანება ეკლესიასტისად მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისად, ქართული ძეგლები, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი, I, საეკლესი მწერლობა, №1, ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, 1920.

23. იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1961.

24. „კათოლიკე ეპისტოლეთა“ ქართული ვერსიები X-XIV საუკუნეება ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით. ძველი ქართული ენის ძეგლები, 9. საქ. სსრ მეცნ. აკადემია, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1956.

25. კეკელიძე, კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად, ტომი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980.

26. ლუკას და იოანეს სახარება, 1779 წელი.

27. მაჩაიძე, დ. (შემდგ.). ვახტანგ VI-ის სტამბის გამოცემები (1709-1722), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციის აღნერილობა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ., 2009.

28. მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1981.

29. მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1982.

30. მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1983.

31. მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1985.

32. მცხეთური ხელნაწერი (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1986.

33. მცხეთური ხელნაწერი (სულხან-საბა ორბელიანის მიერ დართული „საძიებელნი მოწმობა“, „ეპრაელთა, ქალდეველთა და იონთა სახელებთა თარგმანებანი“, „საძიებელნი მატიანეთანი“), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მეცნიერება“, რედაქტორი ზ. სარჯველაძე, თბ., 1999.

34. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად

მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ, აკაკი შანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 16, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1974.

35. პაპუაშვილი, ნ. ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი, თბ., 2007.

36. საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით / გამოსცა ილია აბულაძემ; აკაკი შანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის ძეგლები, №7, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბილისი, 1950.

37. სახარება მათესი, ფოტოტიპური გამოცემა, საჩერებე, 1817 (უთავფურცლოა).

38. სახარება. წმიდა სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი, მელიქიშვილის და კამპ. სტამბა, ტფილისი, 1876.

39. სახარება ათხთავი. ორთა წელნაწერთაგან შიგ და შეენლთათა გამოსცა ვლადიმირე ბენეშვერიმან. ნაკვეთი ა. სახარება მათტს თავისაა. С.-Петербург. Типографія Імператорської Академії Hayk. 1909. ნაკვეთი ბ. სახარება მარკოზის თავისაა. 1911.

40. სინური ათხთავი 978-979 წნ., / გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონი“, რედაქტორი უჩა ცინდელიანი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2010.

41. უფლისა ჩუცნისა იესო ქრისტესი წმიდა სახარება მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი, ტფილის, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის გამგეობის სტამბაში, 1879.

42. უფლისა ჩუცნისა იესო ქრისტესი წმიდა სახარება მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი; თარგმანება გამოცხადებისა, ტფილისი (წელი არა აქვს).

43. ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფიკა. ისტორია, თანამედროვეობა, თბ., 2016.

44. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. 1, V-X საუკუ-

ნების ძეგლები / გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო
ი. იმნაიშვილმა; ა. შანიძის რედაქციით; საქ. სსრ განათლ. სამი-
ნისტრო, თსუ ძველი ქართული ენის კათედრა. სამეცნიერო-მეთო-
დური კაპინეტის გამომცემლობა, თბ., 1953-1963.

45. იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართუ-
ლი ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და
ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათე-
დრის შრომები, ტ. 7, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწ.
უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1961.

46. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. გამომცემელი
ივანე იმნაიშვილი; რედაქტორი: ა. შანიძე.

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები №22. თბილისის უნი-
ვერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1979.

47. შანიძე, აკ. ხანმეტი ლექციონარი, ტფილისის უნივერსი-
ტეტის მოამბე // ტომი 9/, ტფ., 1944.

48. შანიძე, აკ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია
სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, და 973 ნე.),
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტფ., 1945.

49. შანიძე, მ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII
საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, ტექსტი, თბ., 1960.

50. ცხორებად იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად მოამზადა
ივ. ჯავახიშვილმა, ძველი ქართული ენის ძეგლები, №3, თბ., 1946.

51. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს.
ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასი-
ტყვაობა და ლექსიკონი დაურთო (ტ. ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., 1970).

52. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,
III, მეტაფრასული რედაქციები (XI-XIII), თბ., 1971.

53. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977.

54. წიგნი ძეულისა აღთქუმისანი, გამოსცა აკაკი შანიძემ, ტ.
I, ნაკვ. 1, თბ., 1947, ტ. I, ნაკვ. 2, თბ., 1948.

55. წიგნი ძეულისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, შესაქმისად, გა-
მოსლვათად, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად

მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. „მეცნიერება“, თბ., 1989. დაბეჭდი „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ სერიის XI₁ ტომში.

56. წმიდა სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი / მათესი, მარკოსის, ლუკასი და იოანესი, ტფილისი, ბრიტანიისა და უცხო ქუეყანათა ღუთისმეტყველების საზოგადოების გამოცემა (მ. შარაძისა და ამხ. სტ.). 1898.

57. წმიდა სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, ტფილისი (მ. შარაძისა და ამხ. სტ.). 1900.

58. წმიდა სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. მატ-თესგან, მარკოზისგან, ლუკასგან და იოანესგან, გამოცემა ბრიტანიისა და უცხო ქვეყნის ბიბლიურ საზოგადოებისა, ტფილისი (ს. მ. ლოსაბერიძის სტ.). 1911.

59. წმიდა სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. მატ-თესგან, მარკოზისგან, ლუკასგან და იოანესგან, ტფილისი (ს. მ. ლოსაბერიძის სტ.). 1915.

60. ხანმეტი ლექციონარი, ფოტოგრაფიური რეპროდუქცია, გამოს-ცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, ძველი ქართული ენის ძეგლები, 1, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1944.

61. ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიმ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1984.

62. ჯავახიშვილი, ივ. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთანაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით), ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, Bulletin De L' Université de Tiflis, II, ტფილისი, თიფლის, 1922-1923.

63. ჯავახიშვილი, ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი III, ნაკვეთი I, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (მეორე გამოცემა). სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1949.

64. Бакрадзе, Д. З. (1887). Древние варианты грузинского четвероевангелия: Труды V-го археологического съезда в Тифлисе. М.

65. Уварова, П. С. Хаханов, А. С. и Такайшвили, Е. С. (ред.). (1916). Адышское евангелие, 200, Фототипических таблиц и предисловие Е. С. Такайшвили, Материалы по археологии Кавказа, вып. XIV, М.

66. Цагарели, А., (1886). Сведения о памятниках грузинской писменности, т. I, вып. I, Спб.

67. Aland, K. (1995). The Text of the New Testament: An Introduction to the Critical Editions and to the Theory and Practice of Modern Textual Criticism.

68. Birdsall, J. N. (1971). Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2, Oriens Christianus, B. 55.

69. Blake, R. P. (1926). The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript, ‘Harvard Theological Review’, vol. XIX, #4.

70. Blake, R. P. (1928). The Old Georgian Version of the Gospel of Mark, from the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet Gospels edited with a Latin translation, Patrologia Orientalist, t. XX, f. 3, Paris.

71. Blake, R. P. (1929). The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos Manuscript, ‘Harvard Theological Review’, vol. XXII.

72. Blake, R. P. (1933). The Old Georgian Version of the Gospel of Matthew, P. O., t. XXIV, Paris.

73. Blake, R. P. and Brière, M. (1950). The Old Georgian Version of the Gospel of John, P. O., t. XXVI, Paris.

74. Blake, R. P. and Brière, M. (1961). The Old Georgian Version of the prophets, critical edition with a Latin translation, ‘Patrologia Orientalis’, t. XXIX, fasc. 2, Paris.

75. Brennan, Br. ‘What Are the Earliest Versions and Translations of the Bible?’

<https://www.bibleodyssey.org:443/en/tools/bible-basics/what-are-the-earliest-versions-and-translations-of-the-bible> (ხელმისაწვდომი იყო 26.09.2018).

76. Brière, M. (1955). La version géorgienne ancienne de l’Evangile de Luc, P. O., t. XXVII, f. 3, Paris.
77. Critical Editions of the New Testament Online
<https://primarysources.brillonline.com/browse/critical-editions-of-the-new-testament-online>
78. Desnitsky, A.S. The Septuagint as a Base Text for Bible Translations in Russia, The Slavonic heritage (IBT translation consultant based in Russia): <https://www.academia.edu/6182553/The-Septuagint-as-a-Base-Text-for-Bible-Translations-in-Russia>
79. Garitte, G. (1955). L’ancienne version géorgienne des Actes des Apôtres d’après deux manuscrits du Sinaï, Louvain (Bibliothèque du Muséon, 38).
80. Garzaniti, M. (2016). Slavic Text Editions of Biblical Content. Problems and Perspectives. An Introduction, Studi Slavistici xiii: file:///C:/Users/W10/Downloads/20431-41465-1-PB.pdf
81. Gregory, C. R. (1907). Canon and Text of the New Testament, New York.
82. Kline, M. and Perdue, S. H. (2008). A Guide to Documentary Editing. Charlottesville: University of Virginia Press.
83. Lang, D. M. (1957). Recent Work on the Georgian New testament, Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, Vol. 19, No. 1,
84. Maas, A. J. (1909). Editions of the Bible. The Catholic Encyclopedia, Volume V. New York: Robert Appleton Company: <http://www.bible-researcher.com/hebrew-editions.html>
85. Samworth, H. What is the Textus Receptus? http://www.sola-group.org/articles/faqs/faq_0032.html
86. Tanselle, G. T. (1995). Critical Editions, Hypertexts, and Genetic Criticism, The Romanic Review, 86/3.
87. Vetus Testam. Hebr. cum var. lectionibus, 2 volumes, Oxford, 1776-1780.
88. Variæ lectiones Vet. Testam., 4 volumes, Parma, 1784-1788.
89. Supplementa ad varias s. text. lectiones, 1798.

გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

1. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7039/1/Vaxtang-VI_Is_Stambis_Gamocemebi.pdf
2. <https://www.skypoint.com/members/waltzmn/TR.html>
3. <https://www.mla.org/Resources/Research/Surveys-Reports-and-Other-Documents/Publishing-and-Scholarship/Reports-from-the-MLA-Committee-on-Scholarly-Editions/Guidelines-for-Editors-of-Scholarly-Editions>
4. https://www.sbl-site.org/assets/pdfs/Intro-ScholarlyEditions-GBS_2.pdf
5. <https://rarebookschool.org/wp-content/uploads/2015/03/syl-E-complete.090302.pdf>

თავი IX

ციფრული ფორმატი და ელექტრონული გამოცემები

§1. ციფრული ფორმატი

ტექსტის კომპიუტერთან ურთიერთობის ისტორია იწყება თავად კომპიუტერის ისტორიაში ორი ნახტომისებური განვითარებით. ესენია: ერთფუნქციური მანქანიდან მულტიფუნქციურ მანქანად გარდაქმნა და მექანიკურიდან ელექტრონულ დიგიტალურ მანქანად გარდაქმნა. ერთფუნქციური მექანიზმის შემთხვევაში, ორი მომენტი იქცევს ყურადღებას კომპიუტერის, როგორც ტექსტის დამუშავების მანქანის, ისტორიისათვის: პირველი არის გამოთვლის ფუნქცია, რაც დღესაც ერთ-ერთი ცენტრალურია კომპიუტერისთვის და მეორე, რომ ის არის საბეჭდი მანქანა.

გამომთვლელი მანქანის, როგორც კომპიუტერის წინამორბედის, ისტორია, იწყება XVII საუკუნეში. 1623 წელს ვილჰელმ შიკარდმა (Wilhelm Schickard) (1592-1635) ტუბინგენიდან შექმნა 6-კბილანიანი დამთვლელი მოწყობილობა, რომელსაც შეეძლო მიმატება და გამოკლება. მან თავის მოწყობილობას საათი დაარქვა, რადგან მექანიზმს ჰქონდა შეხსენების (რემინისცენციის) ფუნქცია. ინსტრუმენტი მთლიანად მექანიკური იყო. ნახევარი საუკუნის შემდეგ ვილჰელმ ლაიბნიცმა დაიწყო ციფრული გამომთვლელის იდეის დამუშავება. მის მანქანას შეეძლო უნივერსალური ლოგიკური სიმბოლოების დამუშავება. ლაიბნიცის მსგავსად, ბრიტანელმა მათემატიკოსმა ჩარლზ ბებიჯმა XIX საუკუნეში შექმნა პროგრამირებადი გამომთვლელი მანქანა, რომელსაც გარკვეული განტოლებების ამოხსნაც შეეძლო.

პირველი ელექტრონული კომპიუტერის შექმნა დაკავშირებულია კონრად ცუზეს სახელთან (1910-1995). 1944 წელს მოლჩიმ და ეპერტგმა გამოიგონეს კომპიუტერი, რომელსაც პროგრამის საკუთარ მეხსიერებაში შენახვა შეეძლო. 1945 წელს მათ შეუერთდა ცნობილი მათემატიკოსი ჯონ ნოიმანი (John von Neumann). ერთ-ერთი პირველი კომპიუტერი გამოიცადა აშშ-ში 1946 წელს.

40-50-იან წლებში კომპიუტერებს ქმნიდნენ ელექტრონული მილაკების საფუძველზე. 1949 წელს იტალიელმა ფილოსოფოსმა და იეზუიტმა მამამ – რობერტო ბუზამ (Roberto Busa) ჩაითვიქა იდეა, კომპიუტერი გამოეყენებინა სამეცნიერო პროექტში, რომელიც მოიცავდა ტექსტს. ბუზამ დაასრულა თავისი უდიდესი ინოვაციური 24-წლიანი პროექტი, რომელიც ეხებოდა თომა აკვინელის შრომას. მისი პროექტი ‘Index Thomasticus’ ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ელექტრონული ტექსტის პროექტი ჰუმანიტარიაში.

ადრეულ 1960-იან წლებში კომპიუტერის პიონერ დუგლას ენგელბარტს (Douglas Engelbart) ჰქონდა უფრო დიდი მოლოდინები კომპიუტერულ ტექსტთან მიმართებით. თავის 1963 წლის ესეში (‘A conceptual framework for the augmentation of man’s intellect’) მან ჩამოაყალიბა, როგორ შეიძლებოდა, ტექსტური მანიპულაციების დაწინაურებული ფორმა აზროვნების დამზარე მექანიზმად ექცია. ის ეძებდა საშუალებას, რომ გამოეყენებინა ენა გარკვეულ ტექნოლოგიურ არტეფაქტებთან კომბინაციაში, ასევე გამოეყენებინა ტრენინგები ადამიანთა შესაძლებლობების გაზრდისთვის. მისი ტექნოლოგიური მიდგომები გარკვეულწილად უსარგებლო იყო.

პირველი მანქანა, რომელსაც რეალურად ერქვა ელექტრონული რედაქტორი და შეეძლო ტექსტის ბეჭდვა, გამოიგონეს საოფისე ხმარებისთვის 1964 წელს. ეს იყო მაგნიტურ ხაზზე დაფუძნებული მანქანა. ამას 1969 წელს მოჰყვა გაუმჯობესებული თაობა. ასეთი ერთფუნქციანი მანქანები, რომლებსაც შეეძლოთ მხოლოდ ტექსტური დამუშავება, დარჩა ბაზარზე 1990-იანი წლების დასაწყისამდე. თეოდორ ჰოლმ ნელსონმა (Theodor Holme Nelson) პროგრამირების პროექტის ფარგლებში 1960 წელს შექმნა ვორდის პროცესორი (word processor), ფუნქციურად იმავე სახის, რასაც დღეს მთელი მსოფლიო იყენებს. მას სურდა შეექმნა ისეთი სისტემა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემდა, გაეკეთებინა ტექსტის რევიზია, შედარება, ამოჭრა, ნაშლილი ტექსტის დაბრუნება და ა. შ. 1965 წელს ნელსონმა შექმნა ჰიპერტექსტის ცნება, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა აზროვნებისა და

წერის პროცესები. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა სქოლიოს ციფრული განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ 1950-იან წლებში ტექსტის დამუშავების შესაძლებლობების წინაპირობები თეორიულად უკვე არსებობდა, word processing-ის განვითარება, როგორც ფუნქციური ცნებისა, ძალიან ნელი იყო. 50-იანი წლებიდანვე დაიწყეს მაღალი დონის დაპროგრამების ენების შექმნა. 70-იან წლებში უკვე 500-ზე მეტი დაპროგრამების ენა გამოიყენებოდა.

1968 წელს გამოვიდა კომპიუტერი ინტეგრალურ სქემებზე. 1969 წელს აშშ-ში შეიქმნა პრე-ინტერნეტი, როგორც ქსელური მოწყობილობა. 1974 წელს ვინტონ სერფმა (Vinton Cerf) და რობერტ კანმა (Robert Kahn) პროტოკოლ TCP/IP-ის (Transmission Control Protocol / Internet Protocol) შექმნით საფუძველი ჩაუყარეს ინტერნეტს. მან გავრცელება დაიწყო 1983 წელს. ტიმ ბერნერს-ლიმ (Tim Berners-Lee) გამოიგონა ‘web’-ი 1989-1990 წლებში უენევაში. 1993 წელს შეიქმნა პირველი ბრაუზერი „მოზაიკა“. ამ დროიდან დაიწყო ინტერნეტის გავრცელება ჯერ აშშ-ში მთავრობის ინვესტიციით, შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში და ბოლოს – მთელ მსოფლიოში. ინტერნეტის საშუალებით 1990-იან წლებში ახალი ტექსტური მედიუმი გავრცელდა.

1997 წლის დეკემბერში ინტერნეტს უკვე 100 მილიონი ადამიანი მოიხმარდა. 2000 წლის დეკემბრისთვის უკვე 300 მლნ. მომხმარებელი იყო.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ ციფრულ ეპოქაში ჩვენი შეხედულებები ლიტერატურული ნაწარმოების თაობაზე რევიზიას განიცდის, კერძოდ, გადასასინჯია, რა ფაქტორები განსაზღვრავს მის საზღვრებსა და ფორმას, რას ვგულისხმობთ „ტექსტის“ ქვეშ და რა მთავარი მარკერები ახასიათებს მას. ახალი ტექნოლოგიების პირობებში, დროულად მიიჩნევენ გადაიხედოს ისეთი ტერმინებიც, როგორიცაა წიგნი და კოდექსი, რომლებიც წარმოადგენს ჩვენი ტექსტური ტრადიციების ლირებულ და მდგრად მოწმეებს. ელექტრონული წიგნის განხორციელებულმა პროექტებმა აღნიშნული საკითხები თავისთავად დააყენა დღის წესრიგში.

ინფორმაციის გადაცემა-გავრცელების ახალმა მედიუმმა ტე-ქსტს ახალი სიცოცხლე შესძინა. ავტორებს შეუძლიათ, ყოველ-დღიურ რეჟიმში თვალი მიადევნონ თავიანთი ინტელექტუალური პროდუქტის მკითხველის მიერ მიღების პროცესს, გაეცნონ მათ აზრს, მოისმინონ კრიტიკა და ა. შ. სხვა მედიუმებისაგან განსხვა-ვებით, ინტერნეტმა არა მხოლოდ ყველა რგოლი დააკავშირა წარ-მოების, გადაცემისა და მიღების კომუნიკაციურ ჯაჭვში, არამედ ვირტუალურად შეაერთა ყველა არსებული მედიუმის მონაპოვარი.

შესაბამისად, ინტენსიური გახდა დებატები კომპიუტერული პროგრამების გამოყენებასა და ლირებულებაზე ლიტერატურული წარმოებების აკადემიური გამოცემების მომზადებისა და მათი მკითხველის წინაშე წარდგენის პროცესში. ტრადიციული კრიტი-კული გამოცემა, რომელიც განისაზღვრება წიგნის ფორმატის, ქაღალდისა და ბეჭდვის შეზღუდვებით, დღეს ბევრი მეცნიერის მიერ მიჩნეულია, როგორც შეუფერებელი ადამიანური წარმო-სახვის რთული, მულტიმიული და მულტიტექსტური უნარების გამოხატვისა და ინტერაქტიურებისთვის.

გამოცემათმცოდნეობამ, როგორც ჰუმანიტარულმა სამეც-ნიერო დისციპლინამ, ახალი დატვირთვა და შინაარსი შეიძინა ციფრულ ეპოქაში. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მთელი სისრულით გამოცემის შესაძლებლობები და გადაიშალა ახალი პერსპექტივები მის განსავითარებლად. აკადემიურმა საგამომცემლო პრაქტიკურმა განიცადა ღრმა სტრუქტურული და თეორიული ცვლილებები. ასეთი ცვლილებები დაკავშირებულია კომპიუტერის ათვისებას-თან ორივე მიმართულებით – საგამომცემლო შრომის მხარდა-საჭერად და მის გასავრცელებლად. ტრადიციული საგამომცემლო პრაქტიკები და თეორიები განვითარდა და ჩამოყალიბდა ბეჭდური კულტურის წიაღში, მაგრამ ციფრული გამოცემის პირველი წა-ბიჯის შემდეგ ახალი საგამომცემლო მოდელები გამოჩნდა ახალ შრომით პროცესებთან ერთად.

როგორც მიუთითებენ, ელექტრონული აკადემიური გამო-ცემის შესახებ საუბარი მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში XX

საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ მაშინ ამ ტერმინში მოიაზრებდნენ ციფრულ ფორმატში გადაყვანილ, ტრადიციული სტრუქტურისა და შინაარსის მქონე მასალას. ტექნიკისა და პროგრამირების სწრაფმა განვითარებამ ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა. აკადემიური გამოცემის ელექტრონული ფორმატი განვითარდა სამი ძირითადი მიმართულებით: 1. მომხმარებელთა ჩართულობისა და სოციალიზაციის მიზნით, ტექსტი გახდა დინამიური. 2. შესაძლებელი გახდა ტექსტის ყველა ავთენტური წყაროს ციფრული ასლისა და ტრანსკრიპტის წარმოდგენა „ვარიორუმში“. 3. ჰიპერტექსტური ბმულების მეშვეობით ტექსტის სიბრტყე მრავალგანზომილებიანი გახდა და დაიტია უამრავი დამატებითი ინფორმაცია.

1990-იანი წლებიდან სისტემატურად განიხილავდნენ ციფრული გამოცემის ასპექტებს. ისინი მოიცავდა შემთხვევის ანალიზებს, სხვადასხვა მოსაზრებებს იმ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩართულია აკადემიური გამოცემების მომზადებაში.

დღეს ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა არნახულ აღმავლობას განიცდის ევროპასა და ამერიკის შემთხვებულ შტატებში. ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტი ელექტრონული აკადემიური გამოცემა გამოდის და ამ ახალი ფორმატის შესახებ შექმნილი თეორიული ნაშრომების რიცხვიც სწრაფად იზრდება. არსებობს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ მომავალში სამეცნიერო აპარატი მთლიანად ელექტრონულ გამოცემებში გადაინაცვლებს, ბეჭდური წიგნები კი დარჩება ტექსტების საკითხად (Gabler, 2010: 43-56). იმის წყალობით, რომ ციფრული ფორმატი იძლევა ამის საშუალებას, ელექტრონულ აკადემიურ გამოცემებში შესაძლებელი ხდება ყველა ავთენტური წყაროს სრულად წარმოდგენა, ტექსტისა და გამოსახულების სინქრონიზაცია, საზოგადოებასთან ინტერაქცია და სხვ.

ელექტრონულ აკადემიურ გამოცემას დაერთვის მწერლის სიცოცხლისდროინდელი ყველა ნაბეჭდი წყაროსა და ავტოგრაფის ფოტოპირი, თავისი ტრანსკრიპტებით. მომხმარებელს შეუძლია

ჩამონათვალიდან თავად აირჩიოს, რომელი წყაროების ნახვა უნდა, პარალელურ ფანჯრებში გამოაჩინოს ისინი და შეადაროს. გამოცემის ფორმატი საშუალებას იძლევა, ეკრანზე წარმოდგენილ რომელიმე წყაროში მონიშნოს ფრაზა და უზრუნველყოს მისი სხვადასხვა ვარიანტის ჩვენება დამატებით ფანჯრებში. ვარიანტები შეუძლია ნახოს როგორც ფოტოსალის, ისე მისი ტრანსკრიპტის სახით და ორივეგან მონიშნული იქნება მის მიერ არჩეული ფრაზა.

თუ ბეჭდურ აკადემიურ გამოცემებში, თანხის დაზოგვის მიზნით, ვიზუალური მასალა მწირად იყო წარმოდგენილი და ისიც, ძირითადად, შევ-თეთრი გამოსახულებით, ელექტრონულში ასეთი ჩანართები უხვად შეგვიძლია გამოყიყნოთ და, თუ საჭიროა, მედია მასალითაც (აუდიო, ვიდეო) გავამდიდროთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ეს უნდა იყოს ფუნქციური და არა დეკორატიული.

თანამედროვე ელექტრონული აკადემიური გამოცემის ერთ-ერთ დადებით მხარედ მოიაზრება მისი ინტერაქტიულობა. მომხმარებელს შეუძლია, რომ ის მასალა, რომელიც გამოცემაშია, თავისი ინტერესების შესაბამისად განალაგოს, მაგალითად, გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტები დაალაგოს ან ქრონოლოგიურ, ან ანბანურ რიგზე, წარმოაჩინოს მხოლოდ ერთი არქივის, ან ერთი გამოცემის მასალები, ძირითად ტექსტად აირჩიოს ის წყარო, რომელიც მას უნდა, ეკრანის განტვირთვის მიზნით დატოვოს მასზე მხოლოდ ის ფილტრები, რომლებიც აინტერესებს და სხვ.

ელექტრონული გამოცემის კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ იგი მარტივად განახლებადია – სწორებების შეტანა მინიმალურ ძალისხმევასა და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული აკადემიური გამოცემა – მონაცემთა ბაზებში განთავსებული უამრავი საჭირო ინფორმაციით, მეტაფორული სტრუქტურით, სინქრონიზაციის ინსტრუმენტებით, მოხერხებული საძიებო და სანავიგაციო საშუალებებით და მარტივი ინსტრუქციებით, მკვლევარს უქმნის უნიკალურ სამუშაო პირობებს: მინიმალური დროის ხარჯვის პირობებში აწვდის მაქსიმალურ ინფორმაციას

სხვადასხვა, მისთვის სასურველი ფორმატით, ამდიდრებს, განავრცობს კითხვის და ტექსტის აღქმის პროცესს. არის საუკეთესო გარემო ავტორის შემოქმედებითი სამყაროს გასაცნობად და მის საკვლევად. თანამედროვე ტექნოლოგიები მოასწავებს, რომ მომავალში ყველა გამოცემა იქნება ციფრული ფორმით.

თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონულ გამოცემებს ამზადებენ არა მხოლოდ ფილოლოგები, არამედ ისტორიკოსები, ხელოვნების ისტორიის სპეციალისტები, ფილოსოფიის მკვლევარები და არაერთი სხვა დისციპლინის წარმომადგენლები. ბუნებრივია, გამოსაცემი მასალის მიხედვით სხვადასხვაგვარია გამოცემათა სპეციფიკაც.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ელექტრონული გამოცემების არსებობის აუცილებლობაზე და ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილებაზე მსჯელობა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ზურაბ სარჯელაძის ხელმძღვანელობით გერმანელ ქართველოლოგ იოსტ გიპერტთან თანამშრომლობით წამოიწყო პროექტ „არმაზის“ განხორციელება. სამეცნიერო ჯგუფმა მოამზადა ქართული ოთხ-თავის ელექტრონული კრიტიკული გამოცემა.¹ იგი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გაეცნოს ტექსტის სკანირებულ ფოტოს, ტრანსკრიპტსა და კრიტიკულად დადგენილ ტექსტს.

2003-2007 წლებში აღნიშნული პროექტის ქვეპროექტის – „სინას წმინდა ეკატერინას მონასტრის კავკასიურ-ალბანური პალიმფსესტების დიგიტალიზება“ – ფარგლებში მიზნად იქნა დასახული სინას კავკასიურ-ალბანური პალიმფსესტისა და ვენის ქართული პალიმფსესტის (ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკა) ახალი ტექნოლოგიით გამოკვლევა და გამოცემისთვის მომზადება. მულტისპექტრული ფოტოგრაფიის მეთოდით პროექტის პარტნიორებმა (ი. გიპერტი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, უ.-პ. მაე) თითქმის სრულყოფილად აღადგინეს ხელნაწერების ქვედა შრე.

2001 წელს მამუკა ხანთაძისა და კახა დავითურის თა-

1 იხ. <http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm>

ნამშრომლობის შედეგად მომზადდა პირველი ელექტრონული ლიტერატურული გამოცემა „გალაკტიონი“. ეს იყო დისკი, რომელზეც ჩაწერილი იყო გალაკტიონის წერილები, ფოტოარქივი, დოკუმენტური ფილმი მის შესახებ, რითაც თანდათანობით დაიწყო გაცნობიერება იმისა, რომ ელექტრონული წიგნი ჩვენს სინამდვილეში უკვე ტრადიციული წიგნის გვერდით მკვიდრდება.

ტექსტოლოგებისა და გამოცემათმცოდნების პარალელურად, ელექტრონული გამოცემებისა და ლინგვისტური კორპუსების მომზადების, ციფრული ჰუმანიტარიის განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართული ენათმეცნიერები.

აღსანიშნავია, რომ უკვე სისტემატურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. მეცნიერთა განხილვის საგანია ისეთი საკითხები, როგორიცაა ელექტრონული ლექსიკონების შექმნისა და პუბლიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ლექსიკონების მომზადების მსოფლიო გამოცდილება და მსგავსი ქართულენოვანი ლექსიკონების არსებობის აუცილებლობა, ქართული ენის შემსწავლელი ელექტრონული კურსები, კორპუსული ლინგვისტიკა და სხვა.

თეორიული კვლევის პარალელურად, ენათმეცნიერთა მიერ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ „დიდი ქართული დიალექტური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი“ (GEDA). აღნიშნული კორპუსი 2.054.705 სიტყვას მოიცავს.

როგორც პროექტის ავტორები მიუთითებენ, მათი მიზანი იყო საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნების ფართო-მასშტაბიანი კომპიუტერული დოკუმენტირება. ხოლო პროექტის მნიშვნელობა მათ მიერვე ამგვარადაა განსაზღვრული: „ქართული ენობრივი მრავალფეროვნების აღძეჭდვა, შენახვა და შენარჩუნება სცილდება სამეცნიერო სფეროს და საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. ქართული დიალექტური კორპუსი საშუალებას იძლევა, წარმოადგინოს ქართული ენობრივი სინამდვილის

სივრცული, დროითი და სტილური რეალიების ფართო სპექტრი, ამასთან ის არის მეოცე საუკუნის საქართველოს ზეპირი ისტორიაც. ქართული დიალექტების კორპუსი იქმნება, როგორც ქართული ეროვნული კომუნიკაციური მოდელის ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, როგორც ქართული არამატერიალური კულტურის უპრეცედენტო ძეგლი.“

ძალიან მნიშვნელოვანია ილიას უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მეგაპროექტი – „ქართული ენის კორპუსი“, რომელიც 2009-2015 წლებში შეიქმნა. ამ ეტაპზე იგი მოიცავს 100.000.000-ზე მეტ სიტყვა-ფორმასა და შედგება მონოლინგვური და ბილინგვური ქვეკორპუსებისგან. მონოლინგვურ კორპუსში წარმოდგენილია ორი ძირითადი სექცია: 1. ძველი და საშუალი ქართული ენა; 2. ახალი და უახლესი ქართული ენა.

იგივე ინსტიტუტი ახორციელებს სხვა კვლევით პროექტებსაც შემდეგი მიმართულებებით: ციფრული ჰუმანიტარია, კომპიუტერული ლინგვისტიკა, ციფრული ეპიგრაფიკა... უკვე განხორციელებულ პროექტთაგან განსაკუთრებით საინტერესოა „ვეფხისტყაოსანი“ – პარალელური კორპუსი. როგორც პროექტის ავტორები აღნიშნავენ, „ვეფხისტყაოსანის“ ინტერდისციპლინური, მულტილინგვური პორტალის მიზანი იყო, პოემის ტექსტური და ვიზუალური (ილუსტრაციები, კალიგრაფია, ყდა) მემკვიდრეობის დოკუმენტირება თანამედროვე ლინგვისტური და ტექნოლოგიური სტანდარტების მიხედვით, „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი და ბიბლიოგრაფიული მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია, გამოქვეყნება და კვლევა. პორტალში წარმოდგენილია რამდენიმე ძირითადი ბლოკი:

1. ტექსტების ბლოკი ორი ნაწილისგან შედგება: ა. „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემები, ბ. „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერები. ამ ბლოკში შესულია პოემის ყველა ქართულენოვანი ბეჭდური გამოცემისა და საქართველოში დაცული ხელნაწერების ელექტრონული ვერსიები.

2. „ვეფხისტყაოსანის“ პარალელური კორპუსის ბლოკში დაბა-

ლანსებულია პოემის ყველა ქართულენოვანი გამოცემის, ხელ-ნაწერებისა და ინგლისურენოვანი თარგმანების ტექსტები. ამ უკანასკნელში შეტანილია მარჯორი უორდროპის, სტივენსონისა და ნათელა ურუშაძის თარგმანები, სულ ხუთი გამოცემა. ბლოკში ძიება შესაძლებელია როგორც ცალკეული გამოცემის, ხელნაწე-რებისა და ინგლისური თარგმანების, ასევე ყველა არსებული ტექსტური რესურსის მიხედვით.

3. ვიზუალური მექანიდრეობის ბლოკი მომზადდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით. „ვეფხისტყაოსნის“ პარა-ლელურ კორპუსში განთავსდა თითო გვერდი ილუსტრირებული ხელნაწერებიდან, ასევე კალიგრაფიისა და ყდის ნიმუშები.

4. სამეცნიერო ლიტერატურის ბლოკში წარმოდგენილია პოე-მის ირგვლივ არსებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა.

5. ხელნაწერთა მინაწერების ბლოკში არის სხვადასხვა ეპოქის ხელნაწერებზე დართული მეტატექსტები, რომელთა უმეტესობა პირველად ქვეყნდება.

ელექტრონული გამოცემების კუთხით საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით რამდენიმე სტატია და მონოგრაფია „კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული აკადემიური გამოცემა“. ეს წიგნი ერთი მხრივ, აჯამებს თანამედროვე ტექსტოლოგიური კვლევების მსოფლიო გამოცდილებას, ძირითად წანამძღვრებსა და მეთოდოლოგიებს, მეორე მხრივ, გვაცნობს პრაქტიკულ კვლე-ვებს, რომლებიც მასში აღნიშნული მიდგომებისა და პრინციპების საფუძველზეა შესრულებული. წიგნში მონიშნულია ყველა ნაპრა-ლი, რომელთა ამოვსების გარეშეც წარმოუდგენელია დარგის შედეგიანი განვითარება.

ციფრულ ფორმატთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ელექტრონული სწავლების ონლაინ პროგრამები ერთგვარი მულტიმედიური სახელმძღვანელოებია შესაბამისი სტრუქტურითა და კომპონენტებით. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ ჩვენ მიერ მომზადებული „პირველი ონლაინ პროგრამა მასწავლე-

ბელთა პროფესიული განვითარებისთვის“, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ სილაბუსს, ორიენტირებულია სამიზნე ჯგუფზე, მაქსიმალურად იყენებს ციფრულ შესაძლებლობებს და გვთავაზობს მკაცრად სტრუქტურირებულ მრავალფეროვან და მდიდარ მასალას: აუდიო და ვიდეო ლექციებს, დავალებების პაკეტებს, სექტემბრისა და სხვ.

ელექტრონული გამოცემის მომზადების პროცესი.

ზოგადად, ელექტრონული გამოცემის დაგეგმვის პროცესში უმთავრესი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ მისგან მკითხველი / მომხმარებელი ელოდება მაქსიმალურად ბევრ შესაძლებლობას, მრავალგვარ ფუნქციას. როდესაც ადამიანი ირჩევს ელექტრონულ გამოცემას, ბეჭდურის ნაცვლად, ბუნებრივია, სურს ისარგებლოს ყველა იმ უპირატესობით, რაც მისი წარმოდგენით უნდა ჰქონდეს ამ ტიპის გამოცემას. მომხმარებლის ინტერესებზე დაყრდნობით, ჩვენს გამოცემას უნდა მივუსადაგოთ, რამდენადაც შესაძლებელია, მეტად მრავალფეროვანი ციფრული ხელსაწყოები (Digital Tools).

ბუნებრივია, ციფრულ ხელსაწყოთა გამოცემასთან მისადაგება უნდა მოხდეს ტექსტის თავისებურების გათვალისწინებითაც, რათა თითოეული ხელსაწყო იყოს ფუნქციური და გამოყენებადი მოცემულ მასალაზე მუშაობისას. აქვე უნდა ითქვას, რომ ელექტრონული გამოცემის მოსამზადებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ მზა ფორმატი, რომელსაც გვთავაზობს ესა თუ ის საიტი.

ელექტრონული გამოცემები უნდა შეიცავდეს სპეციალურ ტექსტურ ესეს, გზამკვლევს, რომელიც მომხმარებელს აუსინის გამოცემის თითოეული დეტალის არსებით მახასიათებლებს და აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა იქნეს ისინი (მახასიათებლები) გამოყენებული. იგი უნდა შეიცავდეს ნათელ ფორმულირებას შემადგენელი ელემენტების შესაბამისი მოხმარების შესახებ, განსაკუთრებით იმ ელემენტებისა, რომლებიც დაცულია საავტორო უფლებით, ან გამოყენებულია ნებართვით.

ციფრული გამოცემის რედაქტორმა ყურადღება უნდა მიაქ-

ციოს ისეთ საკითხს, როგორიცაა **კოდირება**. როდესაც გამოცემა მომზადებულია ელექტრონული ფაილებით, მნიშვნელოვანია, რომ ეს ფაილები კოდირებული იყოს ღია, ყველასთვის ხელმი-საწვდომ (დაუპატენტებელ) ფორმატში – მაგ., *TEI XML*-ში, და არა *Microsoft Word*-ში, ან *Word Perfect*-ში. შეიძლება რედაქტორი ჩართულიც იყოს კოდირებაში, მაგ., აპლიკაციის შექმნაში, ან შრიფტის კოდირებაში. თუ ტექსტთან დაკავშირებული ავტო-მატური პროცესებია დაგეგმილი, რედაქტორმა ყველა შესაძლო რისკი უნდა გაითვალისწინოს, რათა არ დაუშვას გაუთვალისწინებელი შედეგები. მაგ., უნდა შეამოწმოს, კოდირებულია თუ არა უნიკოდი გამოცემაში *ISO* სტანდარტის მიხედვით? არის თუ არა თარგმნისა და გარდაქმნის ინსტრუქციები, მაგ., სტილების ცხრილები, ტექსტურ პროცესორებში კოდირებული *ISO* სტან-დარტის გრამატიკაში, როგორიცაა, მაგ., *XSL*? იყენებს გამოცემა *ISO* სტანდარტის ფორმატებს (როგორიცაა, მაგ., *JPEG, PNG*) თავისი ციფრული სურათების დისტრიბუციული ასლებისთვის? თუ გამოცემაში არის დროზე დამოკიდებული მედიაელემენტები (მაგ., აუდიო, ან ვიდეო), არის ისინი კოდირებული *ISO* სტანდარტის ფორმატების (მაგ., *MPEG / MP3*) გამოსაყენებლად? არის მულტი-მედიური ელემენტების (სურათი, ხმა, ვიდეო) დისტრიბუციული ასლები საკმარისად მაღალი რეზოლუციისა, რომ უზრუნველყოს ახლოდან დაკვირვება? არის განსაზღვრული მეთოდები, რომლის საშუალებითაც ფოტოგრაფიული და ციფრული რეპროდუქციები ამუშავებს ტექსტს (რომელსაც ზოგჯერ უფრო დიდ მკაფიოო-ბამდე მივყავართ), ნათლად აღნერილი? არის მულტიმედიური ელემენტების დისტრიბუციული ასლები განთავსებული შესა-ფერისი ზომის ფაილებში? არის წყაროები ამ დისტრიბუციული ასლებისთვის არქივირებული? არის ეს წყაროები მოპოვებული საკმარისად მაღალი რეზოლუციით, რომ უზრუნველყოს მაღალი რეზოლუციის დისტრიბუციული ასლების სამომავლო წარმოება?

აქვს გამოცემას *DTD*, ან სქემა, ან სხვა რომელიმე ვალიდუ-რი აპლიკაცია *DTD*-ის, ან სქემის საპირისპიროდ? არის *DTD*, ან

სქემა გამოყენებული გამოცემის ადეკვატური დოკუმენტირების მონიშვნისთვის (მაგ., ბიბლიოთეკასთან)? თუ გამოცემა მოიცავს ერთ ან მეტ მონაცემთა ბაზას, არის რეფერენსული ერთიანობა უზრუნველყოფილი მონაცემთა ბაზებთან? არის მონაცემთა ბაზების სქემები დოკუმენტირებული? არის სტილების ცხრილები (ან სხვა თარგმნის ინსტრუქციები) დოკუმენტირებული ისე, რომ უზრუნველყოს გამიზნული ეფექტი?

არის შემოთავაზებული ტექნიკური, აღნერითი და ადმინისტრაციული მეტა მონაცემები გამოცემის ყველა კომპონენტის-თვის და იყენებს ის საბიბლიოთეკოდ დამტკიცებულ სქემას (როგორიცაა, მაგ., METS)? თუ რომელიმე პროგრამული უზრუნველყოფა სპეციალურად შემუშავდა ამ გამოცემისთვის, არის წყარო კოდი ამ პროგრამული უზრუნველყოფისთვის ხელმისაწვდომი და დოკუმენტირებული? გამოცემის ასლი და მისი სურათები, პროგრამული უზრუნველყოფა, სტილის ცხრილები და დოკუმენტაცია შენახულია ბიბლიოთეკაში, ან სხვა გრძელვადიან ციფრულ საცავში?

თითოეულ აპლიკაციას უნდა ახლდეს შესაფერისი განმარტებები. მაგ., ტექსტის კოდირების საწყისი გზამკვლევი (*Text Encoding Initiative guidelines*). თუ ასე არ არის, მაშინ გამოცემას უნდა ახლდეს სხვა სახის გზამკვლევი.

რეპროდუქცია და არქივაცია (დაარქივება). ელექტრონული გამოცემა უნდა გვთავაზობდეს შესაფერის აპლიკაციას. გამოცემის წარმოების დროს გამოყენებული ყველა ელექტრონული ფაილი უნდა დაარქივდეს. სასურველია, დაყენებულ იქნეს შემოწმების ფაილი (correction file), რათა შესაძლებელი იყოს პირველი პუბლიკაციის მარტივი აღდგენა. შემოწმების ფაილის არსებული მდგომარეობა შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მკითხველებისთვისაც (მაგ., ვებგვერდზე).

აკადემიური გამოცემების არქივების შექმნა ახალი მედიის გამოყენებით ნიშნავს, რომ ახალი სახეობებია გახსნილი აკადემიურ და პროფესიულ კომუნიკაციებს შორის, რომელიც წინათ

მეტ-ნაკლებად იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან. პროგრა-
მისტები და პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინერები, ერთი
მხრივ, და ტექსტოლოგები, გამომცემლები და ბიბლიოგრაფები,
მეორე მხრივ, ერთად მუშაობენ ციფრული გამოცემების პროექტ-
ზე. აკადემიური გამოცემების ორგანიზაცია და არქიტექტურა,
ისევე როგორც ამოცანის განაწილება სხვადასხვა მედიას შორის,
იცვლება მედიის ეკოლოგიის ცვლილების მსგავსად.

§2. ელექტრონული ბიობიბლიოგრაფიები აკადემიური სამეცნიერო აპარატით

ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ანუ ბიობიბლიო-
გრაფია, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღნუსხავს ამა თუ
იმ ხელოვანის ღვაწლს და, როგორც ისტორიულ-ბიოგრაფიული
დოკუმენტური გამოცემა, უმნიშვნელოვანესი წყაროა მკვლევარ-
თათვის. ქართველი მეცნიერების – ილია გორგაძისა და ნოდარ
გურგენიძის მიერ 1987-2003 წლებში გამოქვეყნებული ილია
ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და იაკობ
გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანები დიდი
პოპულარობით სარგებლობდა და ათწლეულების მანძილზე რჩე-
ბოდა სამაგიდო წიგნებად.

ბეჭდური სახით გამოცემული მატიანები ძნელი მოსახმარი
იყო. მაგალითად, 1987 წელს დაბეჭდილ „ილია ჭავჭავაძის ცხო-
ვრებისა და შემოქმედების მატიანეში“ წლები ყველგან მითითე-
ბული იყო მხოლოდ პირველი თვის დასაწყისში. ამის გამო, როცა
ვეცნობოდით ინფორმაციას წლის ბოლოს, მაგ. 31 დეკემბერს
მომსდარი ფაქტის შესახებ, თორმეტი თვის ანოტაციების უკან-
უკან ფურცვლა იყო საჭირო, რომ გვენახა, რომელი წელი ეწერა
მათ წინ და რომელ 31 დეკემბერს გულისხმობდა ანოტაცია. მატიანების ძველ გამოცემებში წყაროები აქა-იქ გვხვდებოდა.
ისინი ტექსტშივე იყო ჩართული, არ ჰქონდა მიჩენილი გამოკვე-

თილი ადგილი და ანოტაციისგან მხოლოდ ფრჩხილები ყოფდა, რაც მათ მიგნებას საგრძნობლად ართულებდა.

2017 წლიდან ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა დაიწყო ბიობი-ბლიოგრაფიის შექმნის პროცესის ინტეგრირება ტექსტოლოგიურ კვლევებთან და ელექტრონული მატიანების გამოცემა. ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება აინტერესებთ არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებს, არამედ ფართო საზოგადოებას. ამიტომ გამომცემელთა მიზანი იყო, რომ მატიანე, ერთი მხრივ, მეცნიერულად სანდო ყოფილიყო, ხოლო მეორე მხრივ – იოლად საკითხავი და ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამ მიზნის მიღწევაში მათ დაეხმარა ამ ტრის გამოცემისთვის პირველად გამოყენებული ორშრიანი ელექტრონული ფორმატი. მატიანის ძირითადი ტექსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განლაგებული ციფრული დოკუმენტის ზედაპირზე, თითოეული ანოტაციის ბოლოს კი არის ღილაკი, რომელზე კურსორის დაჭრითაც იხსნება ქვედა შრე – სამეცნიერო აპარატი, რომელიც, ძირითადად, სპეციალისტთა ინტერესებს ემსახურება.

მატიანის ჰიპერლინკები მოიცავს რუბრიკებს: „წყარო“, „ატრი-ბუცია“, „დათარილება“, „პირთა იდენტიფიკაცია“, „პირთა ანოტა-ციები“ და „ფოტო / დოკუმენტი“. ბმულზე მოთავსებულ ასეთ-სავე ღილაკზე კურსორის დაჭრით მკითხველი ბრუნდება იმავე გვერდზე, რომელსაც კითხულობდა.

„გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატია-ნეს“, მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაემატა რუბრიკა „გეოგრაფიული სახელები“. ეს გამოიწვია იმან, რომ ავტორს უხ-დებოდა ყოფნა აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ კავკასიისა და თურქეთის გეოგრაფიულ პუნქტებში, რომელთა დასახელებებიც დოკუმენტურ წყაროებში ზოგჯერ არასწორად არის მითითებული, ზოგიერთის სახელი კი დღესთვის შეცვლილია. ბუნებრივია, ასეთ ფაქტს გამოცემაში სათანადო კომენტარი სჭირდება და იმი-სათვის, რომ მატიანის ძირითადი ტექსტი არ გადატვირთულიყო, ეს განმარტებაც განთავსდა შესაბამის რუბრიკაში.

რუბრიკა „წყარო“ მკითხველს წარმოუდგენს იმ ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებს, რომელთა საფუძველზეც მომზადდა ანოტაცია. „ატრიბუცია“ – სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც ასაბუთებს მატიანეში შეტანილი ტექსტის ამ ავტორისადმი კუთვნილებას, „დათარიღება“ – ნაშრომებს, რომლებშიც დადგენილია დრო, ხოლო „პირთა იდენტიფიკაცია“ – პუბლიკაციებს, რომლებშიც გარკვეულია მოხსენიებულ პირთა ვინაობა. მითითებების გარდა, ამავე რუბრიკებში არის მოკლე შენიშვნებიც, მაგ., რას ეყრდნობა დათარიღება, რა ფორმით არის მოხსენიებული წყაროში ესა თუ ის პირი და სხვ. „პირთა ანოტაციები“ მკითხველს აწვდის მოკლე ინფორმაციას მოხსენიებული პირების შესახებ, „ფოტო / დოკუმენტი“ კი სთავაზობს იმ ფოტოს, ან დოკუმენტის ციფრულ ასლს, რომლის შესახებაც არის საუბარი ანოტაციაში. ამისათვის გამოყენებულია მასალები საქართველოს ეროვნული არქივიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმიდან. ელექტრონულ მატიანებში წლები თითოეულ ანოტაციასთან არის მითითებული, რაც მკითხველისთვის ძალზე მოსახერხებელია.

გარდა ამისა, ახალი ელექტრონული მატიანები მზადდება აკადემიური პრინციპების მიხედვით შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე. მაგალითად, ბეჭდურ მატიანებებში შეტანილი იყო პირთა გარდაცვალების შემდგომი მოვლენებიც: პანაშვიდები, გამოსვენება და დაკრძალვა. ელექტრონულ მატიანებებში კი ფაქტების აღნუსხვა წყდება მათი გარდაცვალებით, რადგან სიცოცხლის შემდეგდროინდელი მოვლენები ვერ თავსდება სათაურის შინაარსში: „ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“. ამავე პრინციპის მიხედვით, მატიანეში არ უნდა ყოფილიყო შეტანილი ამ ავტორთა ის წიგნები, რომლებიც მათი გარდაცვალების წელს, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. ზღვარის გავლება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან წიგნებზე გამოცემის მხოლოდ წელია მითითებული, მაგრამ გამოსვლის დროის დაზუსტება შესაძლებელი გახდა იმდროინდელ გაზეთებში განთავსებული განცხადებე-

ბის მეშვეობით, რომლებშიც ახალ წიგნებზეა საუბარი.

ბეჭდურ მატიანებში იყო თემატური ციტირებები ამ და სხვა ავტორთა ნაწერებიდან. რამდენადაც ეს ტექსტები არაერთგზი-საა გამოცემული, ციფრულადაც მოიპოვება და ყველასთვის ხელმისაწვდომია, ინფორმაციულობაზე ორიენტირება კი ძალზე მნიშვნელოვანია დოკუმენტური გამოცემის ფუნქციური მოქნი-ლობისთვის, ელექტრონული მატიანები ასეთი ციტატებისგან განტვირთულია.

მატიანის ანოტაციებში ასახული თითოეული ფაქტი ერთ პირს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა წინადადება უნდა დაწყებულიყო მისი ხსენებით. იმის გამო, რომ ერთნაი-რი დასაწყისები ხელს შეუშლიდა მკითხველს მრავალფეროვანი ინფორმაციის სწრაფ აღქმაში, მისი სახელი გამოტოვებულია ყველგან, სადაც ეს გაუგებრობას არ გამოიწვევდა. მაგ., იმის ნა-ცვლად, რომ წერის: „ილია ჭავჭავაძე იღებს პეტრე უმიკაშვილის ბარათს“, წერია: „იღებს პეტრე უმიკაშვილის ბარათს“ და სხვ.

მატიანები ყველა პირი სახელითა და გვარით არის მოხსენიე-ბული, მაგრამ, თუ ერთი და იმავე სახელისა და გვარის მქონე ორი სხვადასხვა პირი გვხვდება, ანოტაციებში მითითებულია მამის სახელებიც.

XIX საუკუნეში გვარების ქართულ დაბოლოებებს ცვლიდნენ რუსულით. მატიანები ისინი უნიფიცირებულია და ქართული ფორმით წერია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რუსული დაბოლოე-ბა გვხვდება ციტატაში, ის უცვლელად არის დატოვებული და საძიებელში ეს ფორმაც არის მითითებული. ასევე უცვლელად არის წარმოდგენილი უცხოური გვარ-სახელების დაწერილობაც.

წყაროებში, რომლებსაც მატიანის მომზადებლები ეყრდნობიან, პიროვნებები ზოგჯერ მოხსენიებულნი არიან მხოლოდ სახელით, გვარით, ინიციალით, ფსევდონიმით ან სხვაგვარი მინიშნებით. ანოტაციაში ყველა იხსენიება სახელითა და გვარით, მაგრამ ინ-ფორმაციული სიზუსტისთვის რუბრიკაში „პირთა იდენტიფიკაცია“ მითითებულია, თუ როგორ იყვნენ ისინი მოხსენიებულნი წყაროში.

იმის გამო, რომ მატიანეში შეტანილი მასალის ერთი ნაწილის დათარიღება მიახლოებითია, წინასიტყვაობაში მითითებულია გამოყენებული აღნიშვნები და ქრონოლოგიაში ჩასმის პრინციპი: „თვის დასაწყისში“ იგულისხმება პირველი სამი დღე, „ბოლოში“ – ბოლო სამი და „შუა რიცხვებში“ – თარიღები 14-დან 16-ის ჩათვლით. „თვის პირველ ნახევარში“ მოიაზრება რიცხვები 1-დან 15-ის ჩათვლით, ხოლო „მეორე ნახევარში“ – თვის დანარჩენი ნაწილი. სავარაუდო ზოგადი თარიღი მოვლენათა თანმიმდევრობაში შეტანილია იმავე პერიოდის ზუსტი თარიღების ბოლოს. როცა დადგენილია მოვლენის მხოლოდ წელი, იგი მოთავსებულია ამ წლის ყველა კონკრეტულთარიღიანი ანოტაციის ბოლოს. როცა დადგენილია წელი და თვე, იგი მოთავსებულია ამ წლისა და ამ თვის კონკრეტულთარიღიანი ანოტაციების ბოლოს.

„1870-მდე“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ მითითებული წელი დროის ინტერვალში არ შედის და ანოტაცია თავსდება ამ წლის კონკრეტულთარიღიანი მასალის წინ. „1847-დან“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ მითითებული წელი დროის ინტერვალში შედის და ინფორმაცია თავსდება ამ წლის კონკრეტულთარიღიანი ანოტაციების ბოლოს. „1875-დან 10 ოქტომბერი“ და მსგავსი ტიპის დათარიღებები გულისხმობს, რომ იგულისხმება 1875 წლიდან მწერლის გარდა-ცვალებამდე რომელიმე 10 ოქტომბერი და მას ვათავსებთ მითითებული წლის, თვისა და რიცხვის მასალის შემდეგ. როდესაც ანოტაციას აქვს გაფართოებული თარიღი, ქრონოლოგიურ რიგში ის თავსდება დროის ზედა ზღვარზე ორიენტირებით.

მატიანებში ასობით პირია მოხსენიებული, რის გამოც მას ერთვის პირთა ანოტირებული საძიებელი. განსამარტავად გამოტანილია წიგნის ძირითად ნაწილში მოხსენიებული ყველა სახელი და გვარი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებებისთვის ვრცელი ანოტაციის გაკეთება ზედმეტად არის მიჩნეული და მხოლოდ მოკლედ არის მითითებული, ვისზეა საუბარი. პირთა ანოტირებულ საძიებლებში, ძირითადად, შეტანილია ისეთი ცნობები, რაც მატია-

ნეში არ არის ასახული, მაგრამ, თუ ანოტაციაში მოხსენიებული პირის შესახებ სხვა არავითარი წყარო არ იძებნება, ინფორმაცია ამ პირის შესახებ გატანილია მატიანის ტექსტიდან.

თუ დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც მატიანე მოიცავს, საქართველოში გამოიყენებოდა იულიუსის კალენდარი, შესაბამისად, ქრონოლოგიაში წარმოდგენილი ყველა თარიღი მოცემულია ე. წ. ძველი სტილით.

მატიანეში შემოკლებები გამოიყენება იმ ორგანიზაციიდან მიმართებით, რომლებიც ხშირად იხსენიება და წინასიტყვაობაში მითითებულია მათი სრული დასახელებები.

§3. ელექტრონული აკადემიური გამოცემის

პერსპექტივები საქართველოში

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე მსოფლიოში ელექტრონული აკადემიური გამოცემების მომზადების მდიდარი ტრადიცია არსებობს. ციფრული აკადემიური გამოცემების მომზადების პარალელურად, ინერება თეორიული ნაშრომები, რომელთა ავტორები, ელექტრონულ გამოცემათა არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მსჯელობენ ამ ტიპის გამოცემათა სპეციფიკის დახვეწასა და ახალ-ახალ გამოწვევებზე.¹

ქართული გამოცემათმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს გამოწვევათაგან ერთ-ერთია სწორედ ელექტრონული გამოცემების, განსაკუთრებით კი, ელექტრონული აკადემიური გამოცემების მომზადება.

ვფიქრობთ, დღეისათვის ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებობს საკმარისი წინაპირობები, რომ მომზადდეს ელექტრონული აკადემიური გამოცემა, მაგ., გალაკტიონ ტაბიძის თხზულე-

1 მაგალითად, უშაუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს შეეხება 2016 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების კრებული: „ციფრული აკადემიური გამოცემა: თეორია და პრაქტიკა“ (Digital Scholarly Editing: Theories and Practices) ან კიდევ: „ციფრული აკადემიური გამოცემა: თეორიები მოდელები და მეთოდები“ (Digital Scholarly Editing: Theories, Models and Methods), 2015.

ბათა ციფრული აკადემიური გამოცემა. ეს არჩევანი განაპირობა, ერთი მხრივ, გალაკტიონის, როგორც პოეტის, მნიშვნელობამ და მასტერაბურობამ, ასევე მისი აკადემიური გამოცემის მომზადების აუცილებლობამ, მეორე მხრივ კი – იმ წინაპირობებმა, რომლებიც არსებობს ამ გამოცემაზე მუშაობის დასაწყებად. ვგულისხმობთ გალაკტიონ ტაბიძის „აკადემიურ თორმეტომეულს“, საარქივო გამოცემის ოცდახუთწიგნეულს, ახალ აკადემიური გამოცემას – თხუთმეტომეულს, რომელზე მუშაობა კვლავ გრძელდება.

სადოქტორო პროგრამის „ტექსტოლოგია და გამოცემათც-მოდნეობის“ ფარგლებში პროექტის წევრებმა ხელმძღვანელების რეკომენდაციითა და დახმარებით შეისწავლეს არაერთი უცხოენოვანი ელექტრონული გამოცემა. გაირკვა, რომ აკადე-მიური გამოცემის სტანდარტებს ყველაზე მეტად შეესაბამებოდა „ბეოვულფის“ აკადემიური გამოცემა (online version of Electronic Beowulf). ამის გამო, გადაწყდა, რომ სამუშაო ჩარჩოდ აგველო მისი ფორმატი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ „ბეოვულ-ფი“ ერთი მთლიანი ნაწარმოებია, ხოლო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება აერთიანებს რამდენიმე ათას ტექსტს, ბუნებრივია, „ბეოვულფის“ ელექტრონული აკადემიური გამოცემის ჩარჩოს, მისი ფორმატს ზუსტად ვერ გავიმეორებთ და ამგვარი იდენტუ-რობა არც არის საჭირო.

გალაკტიონის თხზულებათა ციფრული გამოცემა ინტერდის-ციპლინური პროექტია, რომელშიც ჩართული იქნებიან მეცნიერები (ტექსტოლოგები, გამოცემათმცოდნები, გალაკტიონოლოგები, ენათმეცნიერები), არქივისა და ლიტერატურის მუზეუმის თა-ნამშრომლები, პროგრამისტები და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ციფრული ჰუმანიტარიის სპეციალისტები.

პროექტი განხორციელდება ორ ეტაპზე გა-ციფრდება ყველა ის მასალა, რომელიც საჭიროა ელექტრონულ გამოცემაზე მუშაობისთვის, ასევე მომზადდება ტრანსკრიპტები. პარალელურად, პირველ ეტაპზევე შეიქმნება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, რადგან ამგვარი მატიანე აკადემიური

გამოცემის მზადების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, მასში თავს მოიყრის სრული ინფორმაცია მწერლის თხზულებებთან და მათ წყაროებთან დაკავშირებით.

მეორე ეტაპზე პროექტში უკვე აქტიურად ჩაერთვებიან ცი-ფრული ჰუმანიტარიის სპეციალისტები და უზრუნველყოფები ელე-ქტრონული გამოცემის კონცეფციისამებრ მიტანას მკითხველამდე.

გალაკტიონ ტაბიძის ელექტრონული აკადემიური გამოცემის საწყის, მთავარ გვერდზე წარმოდგენილი იქნება პროექტის ავ-ტორთა მიერ ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. აქვე გან-თავსდება განმარტებები, როგორ უნდა გამოყიყენოთ ეს გამოცე-მა, რომ მაქსიმალურად ავითვისოთ შემოთავაზებული რესურსი.

ელექტრონული გამოცემის მთავარ გვერდზე არსებული შესა-ბამისი მენიუ გადაგვიყვანს ნაწარმოებთა ძირითადი ტექსტების ჩამონათვალზე, ხოლო ჩამონათვალიდან – უშუალოდ ჩვენ მიერ შერჩეულ ტექსტზე. ამ ტექსტებში სიტყვების გარკვეული რაო-დენობა (ის ლექსიკური ერთეულები, რომელთა განმარტება ან კომენტირებაა საჭირო) იქნება განსხვავებული ფერის შრიფტით წარმოდგენილი და მასზე დაწკაპუნების შემთხვევაში ეკრანზე გამოჩენდება შესაბამისი განმარტება ან კომენტარი.

ტექსტის გახსნის შემდეგ, შესაბამისი მენიუს გააქტიურების შემთხვევაში, გავეცნობით ამ ტექსტის შესახებ მონაცემებს – პას-პორტს, რომელშიც იქნება მხატვრული ნაწარმოების ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროთა ჩამონათვალი. ამ ჩამონათვალის თითოეულ ერ-თეულზე დაწკაპუნებისას გადავალთ წყაროს ციფრულ ვერსიაზე.

ხელნაწერები წარმოდგენილი იქნება მაღალი რეზოლუციით. პარალელურად, საჭიროებისამებრ, შეგვეძლება გავააქტიუროთ ტრანსკრიპტის ჩვენების ფუნქცია. სურვილისამებრ, ავტოგრაფი-სა და ტრანსკრიპტის ეკრანზე განლაგებას, ორიენტაციას, ზომას შეარჩევს მკითხველი.

ზოგიერთი ხელნაწერის ცალკეულ ფრაგმენტებზე იქნება მო-ნიშნული მუქი ფერის კვადრატები. ეს შეეხება ძირითადად იმ მო-ნაკვეთებს, რომლებიც გამოცემაზე მომუშავე ჯგუფმა სხვადასხვა-

გვარად ამოიკითხა, ან ამოკითხვა ვერ მოხერხდა. ამ კვადრატების გააქტიურების შემთხვევაში, გავეცნობით შესაბამის კომენტარს.

თითოეულ ნაწარმოების მენიუში იქნება განყოფილება „ბი-ბლიოგრაფია“. იგი გადაგვიყვანს ამა თუ იმ ტექსტის შესახებ დაწერილ ნაშრომთა ჩამონათვალზე და ამ ჩამონათვალის რომელიმე ერთეულზე დაწკაპუნების შემდეგ გაგვაცნობს კონკრეტული ნაშრომის სრულ ტექსტს.

გალაკტიონ ტაბიდის ელექტრონული აკადემიური გამოცემა პერიოდულად განახლდება და მკვლევარებსა თუ მკითხველებს წარმოდგენა შეექმნებათ არა წიგნის თავდაპირველი ვერსიის შექმნის პერიოდში გალაკტონოლოგიაში არსებულ ვითარებაზე, არამედ, მიმდინარე პროცესებზე, არსებულ სიახლეებზე.

შ4. ცოდნის შენახვის ტრადიციული და ციფრული საშუალებები

ტექსტური ინფორმაციის გადაცემა-გავრცელებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია მისი შენახვა-დაარქივება, რასაც საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა და კვლავაც ემსახურება ისეთი ცენტრები, როგორიცაა ბიბლიოთეკები, მუზეუმები, არქივები. თანამედროვე ციფრული ბაზებისა და არქივების შექმნამდე მათ განვითარების საინტერესო გზა განვლეს.

საქართველოში ხელნაწერები და ხელნაწერი წიგნები ძველად ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა და მათ მოვლა-შენახვაზე სასულიერო პირები ზრუნავდნენ. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა. განსაკუთრებით დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა-წიგნსაცავები ჰქონიათ მცხეთის საკათალიკოსო საყდარს, დავით გარეჯის უდაბნოსა და გელათის მონასტრებს, უცხოეთში – იერუსალიმის, ათონისა და სინას მთის მონასტრებს; ქართველ მეფეებს: დავით აღმაშენებელს, არჩილ მეორეს, ვახტანგ მეექვსეს, ერეკლე მეორეს, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს, მწერლებსა და მეცნიერებს: თეიმურაზ და იოანე ბატონიშვილებს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, სოლომონ დოდაშვილს, პლატონ იოსე-

ლიანს, დავით ჩუბინაშვილს, დიმიტრი ბაქრაძეს და სხვ.

სამონასტრო წიგნსაცავებიდან წიგნების გატანა აკრძალული ყოფილა. ზ. ჭუმბურიძე იმოწმებს სინას მთის მონასტრის ერთ-ერთი წიგნის (№77) ანდერძს: „ვინც ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხუასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს, ანუ სენაკსა შინა დაიდვას, ანუ ეკლესისა სენაკასა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა გაუქსნელად“ (ჭუმბურიძე, 2017: 33).

ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, ძირითადად, შემოწირული რესურსით ივსებოდა. დიდ წიგნსაცავებში შედგენილი ჰქონიათ იქ დაცული წიგნების სია (კატალოგი). X საუკუნისთვის შედარებით უკეთ იყო ორგანიზებული წიგნების დაცვის, სარგებლობისა და აღნუსხვა-აღწერის საქმე. მაგ., ნიკო მარმა სინას მთის ერთ-ერთი ხელნაწერის შიგნით აღმოაჩინა რომელიდაც მონასტრის წიგნსაცავის კატალოგის ნაწილი, რომელიც X საუკუნეში შეუდგენიათ. აქ 22 წიგნია ჩამოთვლილი. XVIII საუკუნეში ათონის მთის მონასტრები მოუვლია ვ. ბარსკის, რომლის ინფორმაციითაც, ქართველთა მონასტრის წიგნსაცავი ათონის ყველა სხვა მონასტრის ბიბლიოთეკაზე დიდი ყოფილა და 3000 ხელნაწერზე მეტს შეიცავდა. ქართულ წიგნსაცავებს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, დიდი ზიანი ადგებოდათ მტრის შემოსევებისა და უამთა სიავისგან. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილია გადარჩენილი. XIX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს ათონის მონასტერში აღ. ცაგარელს მხოლოდ 76 ხელნაწერი დახვდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი კოლექციები თავს იყრის ცალკეულ სწავლულთა და გამოჩენილ მოღვაწეთა ხელში, შემდეგ კი თანდათანობით გადადის სამუზეუმო ფონდებში. ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ერთ-ერთ მდიდრულ კოლექციას საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში გიორგი XII-ის ოჯახში. 1880 წელს ეს კოლექცია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტო-

რია 1846 წლიდან იწყება თბილისში მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსებული „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკით“. 1955 წლიდან 1990 წლამდე სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სახელწოდებით ფუნქციონირებდა. 1990 წელს ეწოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, 1996 წელს – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2000 წლიდან ბიბლიოთეკა იღია ჭავჭავაძის სახელობისაა.

1990 წლიდან ბიბლიოთეკამ, სხვა დიდი ბიბლიოთეკების მსგავსად, დაიწყო ელექტრონული კატალოგის წარმოება. 2001 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი. შესაბამისად, არსებითად შეიცვალა მისი მართვის პოლიტიკა. წარსულში თუ აუცილებელი იყო მის შენობაში მისვლა და კატალოგის ნახვა, დღეს ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ შეგვიძლია გავეცნოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების, უურნალების, გაზეთების, ფოტოებისა და სხვა იშვიათი გამოცემების ელექტრონულ ვერსიებს, აგრეთვე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ იმ მნიშვნელოვან დოკუმენტთა ელექტრონულ ასლებს, რომლებიც მათმა მფლობელებმა ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცეს.

2006 წელს დაარსდა პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკა ლიბ.გე (lib.ge). იგი შემდეგ განყოფილებებს აერთიანებდა: პროზა, პოეზია, დრამატურგია, სამეცნიერო, ისტორიული, საბავშვო, ფოლკლორი, ესეისტიკა, ინტერვიუ, სამართალი, ახალი წიგნები, პერიოდიკა, გალერეა, ღია ბლოგი, პრეს-ანონსი, სახელოვნებო აფიშა. პორტალის რედაქტორები ახალგაზრდა ავტორები იყვნენ: გიორგი კეკელიძე, ქეთო ნინიძე, დიანა ანფიმიძიდი, ნათია ნაცვლიშვილი, გიორგი ქავთარაძე და სხვები.

lib.ge-ს არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2000-იან წლებში, რადგან ქართულენოვანი მხატვრული ნაწარმოებების ელექტრონული ვერსიები იმ პერიოდისათვის ბევრად უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე დღეს.

ამჟამად lib.ge-ს მსგავსი სხვა არაერთი პორტალი არსებობს.

ელექტრონულ ბიბლიოთეკათა ნაწილი კომერციული ხასიათი-საა. მათ შორისაა saba.com.ge – განსხვავებული ელექტრონული სივრცე ქართველი მწერლებისა და მკითხველებისთვის. ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“ აერთიანებს მრავალფეროვან ლიტერატურას, ქართული და უცხოური კლასიკის შედევრებს, თანამედროვე ბესტსელერებსა და ლიტერატურული კონკურსის – „საბას“ ნომინანტ და ლაურეატ წიგნებს. ეს ელექტრონული პლატფორმა შესანიშნავი საშუალებაა თანამედროვე ადამიანისთვის, თვალი მიადევნოს ლიტერატურულ პროცესს. აღსანიშნავია ისიც, რომ „საბა“-ზე განთავსებული თუნდაც ექსკლუზიური გამოცემების ფასი ყოველთვის იაფია ბეჭდურთან შედარებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნული ელექტრონული ბიბლიოთეკის ერთი ფუნქცია: იგი ნებისმიერ რეგისტრირებულ ავტორს საშუალებას აძლევს (გარკვეული ფორმალური მხარის მოგვარების შემდეგ), საკუთარი წიგნი ელექტრონული სახით გამოაქვეყნოს პორტალზე.

ბეჭდური გამოცემის ელექტრონული ვერსიების რაოდენობა თანდათანობით იზრდება. ციფრული ფორმატით არსებული ტექსტები კი აუცილებელი მასალაა ტექსტოლოგებისთვის და გამოცემათმცოდნებისთვის. ისინი ამარტივებს, თუნდაც აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას, დამხმარე ტექსტების კორპუსის მომზადების პროცესს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნაწარმოების კომენტირებისას.

ბიბლიოთეკებმა დაიწყეს ელექტრონული ტექსტების გაზიარება სხვა ინსტიტუტების მომხმარებლებთანაც ‘Metadata Harvesting Protocol of the Open Archives Initiative (OAI-MHP)’-ისა და ‘The Open URL’ სტანდარტის საშუალებით. უფრო მეტიც, მათ თავიანთი კოლექციები გაუსწინეს კომერციული საძიებო სისტემების ქსელებს, როგორიცაა გუგლი, ისე რომ, ინფორმაციული რესურსები, რომლებსაც ფლობენ ბიბლიოთეკები, შეიძლება ვიპოვოთ და გამოვიყენოთ. ისეთი ინიციატივები, როგორიცაა ‘OCLC’s Open WorldCat Libraries’, ‘Google Scholar’, ‘Google Book

Search' და 'Yahoo', ხელს უწყობენ ბიბლიოთეკების გარდაქმნას ვირტუალური დანიშნულების ადგილებად.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ზემოთ ნახსენები saba.com.ge, ასევე მსგავსი ელექტრონული ბიბლიოთეკა lit.ge და კიდევ არაერთი სხვა კომერციული ხასიათის პორტალებია და, უმეტესად, მკითხველს სთავაზობს ნაბეჭდი ტექსტის ელექტრონულ ვერსიას და არა ელექტრონულ გამოცემას. პროექტი „ივერიელიც“ მხოლოდ უკვე არსებული ნაბეჭდი მასალის გაციფრებას გულისხმობს, ან კონკრეტულ გამოცემათა PDF ვერსიების საიტზე განთავსებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი ელექტრონული წიგნი დაიბადა 1971 წლის ივლისში, როგორც პროექტი გუტენბერგის ელექტრონული ტექსტი №1. თავად პროექტი ამუშავდა მიქაელ ჰარტის (Michael Hart) მიერ. მისი მიზანი იყო, შეექმნა ლიტერატურული ნაწარმოებების ელექტრონული ვერსიები და ისინი გაევრცელებინა მთელ მსოფლიოში. როგორც მარი ლებერტი (Lebert, 2009) აღნიშნავს, XVI საუკუნეში გუტენბერგმა საშუალება მისცა ხალხს, ჰექონდა ბეჭდური წიგნი მცირე ფასად და XXI საუკუნეში პროექტმა გუტენბერგმა საშუალება მისცა ხალხს, ჰექონდა ციფრული ბიბილიოთეკა უფასოდ. 2008 წლისთვის გუტენბერგის პროექტის წარმადობა შეადგენდა თვეში 340 ახალ წიგნს. პროექტის ვებგვერდიდან ყოველდღიურად 10 ათასობით წიგნი იტვირთება. მისი ვებგვერდები არსებობს აშშ-ში, ავსტრალიაში, ევროპაში, კანადაში და სხვ. გუტენბერგის პროექტი პირველი დიგიტალური ბიბლიოთეკაა.

ციფრული ფორმატის გამოცემების წამკითხველი სპეციალური მოწყობილობების გამოგონებამ და დახვეწამ საგრძნობლად გაზარდა როგორც ელექტრონულ გამოცემებზე მოთხოვნა, ისე ამ ფორმატის წიგნების მკითხველთა რაოდენობაც. კერძოდ, თუ ელექტრონული გამოცემების წასაკითხად თავდაპირველად შედარებით მოუხერხებელი და ძვირადღირებული ე. წ. „პლანშეტური კომპიუტერები“ გამოიყენებოდა, XXI საუკუნეში ელექტრონული

წიგნებისთვის უკვე სპეციალური მოწყობილობები გამოჩნდა. ასეთი მოწყობილობა დაახლოებით სტანდარტული წიგნის ზომაა.

2007 წლიდან ელექტრონული წიგნების ბაზარზე გადატრიალება მოახდინა ე. წ. „ელექტრონული ქაღალდის“ ტექნოლოგიის გამოჩენამ. ამან გამოიწვია როგორც მწარმოებლების მატება, ასევე წარმოებული მოდელების რაოდენობის ზრდაც.

Amazon Kindle-ისა და სხვა მსგავსი ელექტრონული ინფორმაციების წამკითხველი მოწყობილობების პარალელურად, 2010-იანი წლების დასაწყისისთვის საქართველოში მომზადდა „იოტა რიდერი“ – ელექტრონული წიგნების წამკითხველი პირველი ქართული პორტატული მოწყობილობა. მისი არსებობის აუცილებლობა განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ქართულენოვანი ელექტრონული გამოცემები ზოგ შემთხვევაში არ იყო თავსებადი ინფორმაციის უცხოურ წამკითხველებთან – ტექნიკური მონაცემების გამო ვერ ხერხდებოდა ქართული შრიფტის აღქმა. იოტა-რიდერში კი სპეციალურად დამზადებული ქართული პროგრამა ჩაიტვირთა, რის გამოც იგი ბევრად უფრო მოსახერხებელი გახდა ქართულენოვანი მომხმარებლისთვის. თუმცა, წლებთან ერთად, Amazon Kindle დაიხვენა. მის მესამე თაობის მოდელებს აქვს დამატებითი შრიფტებისა და საერთაშორისო, Unicode სიმბოლოების მხარდაჭერა. ეს შესაძლებელს ხდის ქართული Unicode-ით დაწერილი ტექსტის წაკითხვას. სავარაუდოდ, ამ ფაქტმაც განაპირობა იოტა-რიდერების წარმოების შეწყვეტა. დღეს იგი მხოლოდ აპლიკაციის სახითღა არსებობს.

ბიბლიოთეკების მსგავსად, თავიანთი რესურსების გაციფრება დაიწყებს მუზეუმებმა და არქივებმა. ანტიკურ საპერძეოში მუზეუმი იყო საგანმანათლებლო ინსტიტუტი, სადაც სწავლულები იკრიბებოდნენ და ხელოვნებისა და სწავლების საკითხებზე მსჯელობდნენ. ყველაზე ცნობილი მუზეუმი იყო ალექსანდრიის მუზეუმი ეგვიპტეში, აშენებული სამეფო სასახლის ახლოს, დაახლოებით 280 წელს ჩვ.წ.აღ-მდე პტოლემი I სოტერის (Ptolemy I Soter) (მეფობდა 323-283 ქისტემდე) მიერ.

მეცნიერთა დიდი ნაწილი მუზეუმის ისტორიას სწორედ ალე-

ქსანდრიის მუზეუმით იწყებს. ბევრი ადრეული მუზეუმი იყო კერძო, დაარსებული შეძლებული პირების მიერ. შემდეგ თანდა-თან გაჩნდა საჯარო მუზეუმები. პირველი საჯარო მუზეუმები მსოფლიოში გაიხსნა ევროპაში XVIII საუკუნის განმანათლებლობის ეპოქაში. კერძოდ, 1756 წელს რომში, ვატიკანის მუზეუმების კომპლექსში, გაიხსნა მუზეუმი ‘The Museo Sacro’, ბრიტანეთის მუზეუმი ლონდონში დაარსდა 1753 წელს და საჯაროდ (საჯარო ნახვისთვის) ხელმისაწვდომი გახდა 1759 წლიდან. უფიცის გალერეა (Uffizi Gallery) ფლორენციაში დაარსდა XVI საუკუნეში.

მუზეუმების ინტენსიური მშენებლობის პერიოდი, როგორც ინტელექტუალური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით, რეალიზებულ იქნა გვიან XIX და ადრეულ XX საუკუნეებში (ამას დაერქვა „მუზეუმის პერიოდი“). უნივერსიტეტებმა დაიკავეს მუზეუმების ადგილი, როგორც ინოვაციური კვლევების ცენტრებმა აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, თუმცა მუზეუმები დღემდე ავრცელებენ ახალ ცოდნას თავიანთ სფეროებში და აგრძელებენ კოლექციების შექმნას, რომელიც სასარგებლოა როგორც კვლევისთვის, ისე საჩვენებლად.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში მუზეუმების ფუნქციები კიდევ უფრო გაიზარდა. მუზეოლოგის თანამედროვე მიმართულებებმა გააფართოვა წვდომა კოლექციებზე. ამოქმედდა ინტერაქტიული გამოფენები, რომლებიც კარგი საშუალებაა გამოცდილების გა-საცვლელად. ინტერნეტის გამოჩენამ გაზარდა ვირტუალური გა-მოფენების რიცხვი. დღეს ინტერნეტ სივრცეში დაინტერესებული ადამიანები გამოფენის არაერთ ვებ ვერსიას ნახავენ.

რესურსების გაციფრება დაიწყეს არქივებმაც. უდიდესი სიკე-თეა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივების გაციფრება და მათზე ხელმისაწვდომობა, რაც მათ თხულებათა ელექტრონული გამოცემების მომზადებას შეუწყობს ხელს. ციფრული არქივი საუკეთესო საშუალებაა როგორც კონკრეტულ მასალაზე წვდომის, ასევე, ამ მასალის დაცვისა და გადარჩენის თვალსაზრისით. გა-მომდინარე მისი ფუნქციისაგან, ციფრული // ელექტრონული არ-

ქივი შეიძლება მრავალგვარი იყოს. ყველაზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივი არქივები, მუზეუმები ან ის დაწესებულებები, სადაც მნიშვნელოვანი მასალაა დაცული, ქმნიან ციფრულ არქივებს, ანუ აციფრებენ იმ მასალას, რომელიც მათთან ინახება.

ციფრული არქივების შექმნა 1990-იანი წლების ბოლოდან იწყება და დღეისათვის უკვე არქივის ეს ტიპი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. თანამედროვე ეპოქაში ხდება არა მხოლოდ ისტორიულად მნიშვნელოვანი მასალის, დოკუმენტების, ავტოგრაფების გაციფრება, არამედ, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების „არქივის“ მომზადება-შენახვაც კი. სწორედ ამას გულისხმობს ‘Personal Digital Archiving’. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს რომელიმე უცნობი ადამიანის ციფრული არქივი? ამ კითხვას ასეთი პასუხი აქვა: იმდენად, რამდენადაც საინტერესოა ერთი, ჩვეულებრივი პიროვნების ცხოვრება. მოსალოდნელია, რომ ყოველგვარი ციფრული მასალის საარქივოდ გამოყენება თანდათან მეტ მასშტაბებს შეიძენს და სამომავლოდ ეს მნიშვნელოვანი ბაზა ხელმისაწვდომი იქნება მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთათვის.

საზოგადო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად წარმოებული ტექსტოლოგიური კვლევების ფუნდამენტური ეტაპი მისი არქივის შესწავლაა. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში უმნიშვნელოვანესია საარქივო მასალის ხელმისაწვდომობა მკვლევართათვის. ამის ერთადერთი გარანტი დღემდე მათი ფიზიკური ინსტიტუციონალიზაცია იყო, დღეს კი გაჩნდა ახალი საშუალება ელექტრონული არქივის სახით.

როგორც მიუთითობენ, პირადი არქივის დაცულობის ორი ფორმა არსებობს: ინსტიტუციური და კერძო არქივები. რა თქმა უნდა, ელექტრონული სახე ორივე არქივს შეიძლება მიეცეს. თუ ინსტიტუციური არქივის შემთხვევაში არქივის გაციფრებაზე ის კონკრეტული დაწესებულება ზრუნავს, სადაც ეს მასალაა დაცული, განსხვავებული ვითარებაა საოჯახო არქივების შემთხვევაში.

არქივს ოჯახში, ძირითადად, ინახავს ამ მოღვაწეთა შთამომა-

ვალთა პირველი, იშვიათ შემთხვევაში კი მეორე თაობა, ანუ ისინი, ვისაც პირადი შეხება ჰქონდა მათთან. არქივთან განშორებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ემოციური ფაქტორიც ართულებს ხოლმე, რის გამოც ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასალა ხშირად არ არის ხელმისაწვდომი მკვლევართა ფართო წრისათვის.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ამ პრობლემის გადაჭრის ახალი გზა შემოგვთავაზა – არქივების დიგიტალიზაცია. არქივის მთელი წერილობითი, დოკუმენტური და ფოტო მასალა შეიძლება ისე გაციფრულდეს, გასაჯაროვდეს და ხელმისაწვდომი გახდეს მკვლევართათვის, რომ თავად არქივი ისევ ისეთი ერთიანი და ხელშეუხებელი სახით დარჩეს მოლვანის მემკვიდრეობთან. თანამედროვე ტექსტოლოგიაში არსებობს ისეთი მეთოდები და ტექნოლოგიები, რომლებიც ციფრულ მასალაზე დაყრდნობით არქივის სრულყოფილი შესწავლის საშუალებას იძლევა. საარქივო მასალა, როგორც არტეფაქტი, რჩება მფლობელის ხელში, რაც ნაკლებ ემოციურ ზიანს აყენებს მათ, იმ წერილობითი მემკვიდრეობის ციფრული ასლი კი, რომელიც არა მხოლოდ ერთი ოჯახის, არამედ მთელი ერის საკუთრებაა, ხდება ყველასთვის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ამ საქმის განხორციელებას უკვე მოვკიდეთ ხელი ჩვენი პროექტის ფარგლებში დაარსებული ორგანიზაციის – ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციის – ეგიდით, რომელიც, მემკვიდრეთა თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს კერძო არქივების დიგიტალიზაციას და, საჭიროებისამებრ, მათ კატალოგიზაციას თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით.

ვფიქრობთ, ეს არაჩვეულებრივი წამოწყებაა და იგი აუცილებლად უნდა გამოიყენონ ცნობილ საზოგადო მოლვანეთა იმ მემკვიდრეებმა, რომელთა მფლობელობაშიც არის მათი არქივები.¹

პირველი მასშტაბული პროექტი, რომელიც ელექტრონული არქივების მომზადების კუთხით განახორციელა ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციამ, არის „გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი“. მწერლის

1 ელექტრონული არქივების შესახებ ვრცლად იხ. ხითარიშვილი, მანია, 2018.

არქივი ინახებოდა მისი დის – მარინე რჩეულიშვილის ოჯახში. დღეისათვის ამ არქივში დაცული მასალა მთლიანად არის გაციფრებული. ხელნაწერები დასკანერებულია მაღალი რეზოლუციით და, რაც მთავარია, მომზადებულია ამ არქივის როგორც ჩვეულებრივი, ისე ელექტრონული კატალოგი; აღნუსხულ ერთეულთა რაოდენობა 1000 ერთეულს აჭარბებს. ელექტრონული არქივის შექმნა თითქოს დაცულობის ერთგვარი იმედია, მემკვიდრეებს აღარა აქვთ შემი, რომ დოკუმენტები შეიძლება დაიკარგოს ან ძნელად ხელმისაწვდომი გახდეს და უფრო იოლად იღებენ მათი ინსტიტუციონალიზაციის გადაწყვეტილებას. გურამ რჩეულიშვილის არქივი, რომელიც 2019 წლამდე ოჯახში ინახებოდა, მისი გაციფრულების შემდეგ მაღევე გადაეცა გიორგი ლეონიძის ქართული ლიტერატურის მუზეუმს.

ვფიქრობთ, ეს წამოწყება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. მით უფრო, რომ თანამედროვე მსოფლიოში დღესათვის არაერთი უცხოელი ავტორის ციფრული არქივი არსებობს. სიტყვა „არქივის“ ნაცვლად ხშირად გვხვდება „ონლაინ პროექტი“ (Project Online). გარდა კონკრეტული ავტორებისადმი მიძღვნილი არქივებისა, არსებობს უამრავი თემატური არქივი. მაგალითად, მონასტიციზმისადმი მიძღვნილი ციფრული არქივი, რომელიც აერთიანებს ხელნაწერებს, წიგნების ტექსტებს, ლექსიკონებს, თარგმანებს – ყველაფერს, რაც ამ საკითხის კვლევისათვის არის საჭირო. ან კიდევ თემატური არქივი, რომელიც წინარე ვიქტორიანული ეპოქის ქალ მწერალთა ტექსტებს გვაცნობს.

თუმატურ არქივებზე უფრო ხშირად გვხვდება ერთი მწერლისადმი მიძღვნილი ვებარქივები, სადაც ამ ავტორთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია მარკ ტვენის ციფრული არქივი. მასალაზე დაკვირვებისას უურადღებას იპყრობს წერილები: აյ წარმოდგენილია არა მხოლოდ წერილის ტექსტის ელექტრონული, სკანირებული ვერსია და ტრანსკრიპტი, არამედ ამ წერილის კონვერტიც კი.

სასურველი ციფრული არქივის მოძიების შემდეგ, უპირველე-

სად ვკითხულობთ მომხმარებლის გზამკვლევს (User Guide). უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის განმარტებითი მასალა აქვს ციფრულ არქივთა დიდ უმრავლესობას. უნდა გავეცნოთ ასევე ზოგად ინფორმაციას არქივის შესახებ (განყოფილება About...), სადაც მასალის აღწერილობასა და არქივის სპეციფიკაში გავერკვევით, ასევე დავაზუსტებთ, თუ რომელი ორგანიზაციის / ორგანიზაციების მიერ არის მომზადებული კონკრეტული პროექტი. მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ არქივის სხვა ფუნქციების შესწავლა-გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იობაშვილი, თ. ელექტრონული წიგნი ტრადიციული წიგნის გვერდით მკვიდრდება. უურნალში „ბიზნესი და მენეჯმენტი“, N3 (27), 2010
2. ნინიძე, მ. ამირხანაშვილი, ი., ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, 2017, <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia-Chavchavazis-Cxovrebis-da-Shemoqmudebis-Matiane.pdf>
3. ნინიძე, მ. გიგაშვილი, ქ. ტექსტოლოგია, თბ., 2018.
4. ნინიძე, მ. კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული აკადემიური გამოცემა, თბ., 2016. <https://www.dropbox.com/s/eta-8x71tfkn5zur/Maia%20Ninidze.%20Modern%20Technologies%20and%20Scholarly%20Editions%20%281%29%20%281%29.pdf?dl=0>
5. ლურნკაია, ზ. მესხია, მ. ვიზუალური დაპროგრამების საფუძვლები, თბ., 2012.
6. Burnard, L. O'Brien O'Keeffe, and Unsworth (eds.). (2006). Electronic Textual Editing. The Modern Language Association of America, New York.
7. Deegan, M. Sutherland, K. (2016). Text Editing, Print and the Digital World, Routledge, London and New York.
8. Gabler, H. W. (2010). Theorizing the Digital Scholarly Edition'Literature Compass 7.2.

9. Gold, M. K. and Klein, L. F (eds.) (2016). Debates in the Digital Humanities. University of Minnesota Press. Minneapolis, London.
10. Khitarishvili, K. and Mania, E. (2018). New Form of Private Arches Publication – Digital Archive. *Litinfo*. V. 12.
11. Lebert, .L (2009). A Short History of eBooks, NEF, University of Toronto: <http://www.etudes-francaises.net/dossiers/ebookEN.pdf>
12. Pierazzo, E. (2015). Digital Scholarly Editing. Theories, Models and Methods. Ashgate.
13. Robinson, P. (2002). What is a Critical Digital Edition?, Variants: The Journal of the European Society for Textual Scholarship, 1.
14. Sahle, P. (2016). What is a Scholarly Digital Edition? Digital Scholarly Editing: Theories and Practices.
15. Tonta, Y. (2008). Libraries and museums in the flat world: Are they becoming virtual destinations? Library Collections, Acquisitions, & Technical Services 32: file:///C:/Users/W10/Downloads/Libraries-and_museums-in-the-flat-world.pdf
16. Well, A. V. D. (2016). Changing Our Textual Minds, Towards a Digital Order of Knowledge, Manchester University Press.

გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

<http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm>

<https://www.nplg.gov.ge/geo/History-of-the-Library>

თავი X

საავტორო უფლებები

ინგლისელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის, ჯონ ლოკის (John Locke), თანახმად, ყოველი ინდივიდი იბადება ბუნებრივი უფლებით, დაიცვას თავისი საკუთარი ცხოვრება, თავისუფლება და საკუთრება.

ანტიკური ხანის ადრეულ პერიოდში შემოქმედი ადამიანი ღმერთსა და საზოგადოებას შორის შუამავლად მიიჩნეოდა, რის გამოც შემოქმედებითი პროდუქტი ავტორისთვის ღირებულებას არ წარმოადგენდა. მისთვის მთავარი იყო მორალური კმაყოფილება. ამის გათვალისწინებით, საავტორო უფლებების საჭიროებაც არ იდგა. ნაწარმოებების ხელნაწერებს (მანუსკრიპტებს) ნივთად განიხილავდნენ და არა კულტურულ პროდუქტად. ის ავტორები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ნაშრომზე, უარყოფით პირებად მიიჩნეოდნენ, თუმცა ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიის სწავლულები და მასწავლებლები პირველები იყვნენ, ვინც აღიარებულნი იყვნენ, როგორც ავტორები.

საავტორო უფლებების (Copyright) ისტორია იწყება ევროპულ ქვეყნებში: საბერძნეთში, ბრიტანეთში, რომში, საფრანგეთში, შემდეგ გაგრძელდა ამერიკაში, აფრიკაში და სხვა ქვეყნებში. საავტორო უფლების კანონის ბუნება და წარმოშობა უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში არის შედეგი იმ ძალისხმევისა, რომელსაც სწევდნენ ეკლესიები და მთავრობები, რათა დაერეგულირებინათ და დაეწესებინათ კონტროლი ინტელექტუალურ პროდუქტიაზე.

ჩვენს წ.აღ-მდე VI საუკუნის განმავლობაში ბერძნულ საზოგადოებაში წარმოიშვა „თავად ინდივიდის“ ('individual self') ცნება, პერსონალური იდეალების, ამბიციის, შემოქმედებითის (კრეატიულის) ჩათვლით. ძველი ებრაული თალმუდის კანონში მოიპოვება ავტორის მორალური, ეკონომიკური და საკუთრების უფლებების აღიარება.

საავტორო უფლებები არის საკუთრების უფლება, რომელიც

არსებობს სხვადასხვა სახის ნაშრომებზე, მაგ., ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, ხელოვნების ნიმუშებზე, მუსიკალურ ნაწარმოებებზე, ხმის ჩანაწერებზე, ფილმებზე, მაუნყებლობებზე და სხვ. ეს არის კანონის ცნება, დადგენილი მთავრობების მიერ, რომელიც ავტორს აძლევს ექსკლუზიურ უფლებას თავის ნაშრომზე. ამ კანონის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომელთაც სურდათ ესარგებლათ სხვების ინტელექტუალური საკუთრებით.

ჯავაჰარლალ ნერუ (Jawaharlal Nehru) თავის სტატიაში, რომელშიც ეხება საავტორო უფლებების დაცვის რელიგიურ მხარეს, იმოწმებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: „ნუ გული გითქუმის ცოლისა მოყვასისა შენისათვის!“ „არა იპარო“, და აღნიშნავს, რომ საკუთრების დაცვის აუცილებლობა ღვთის სიტყვაში უკვე ძევს. ორი მცნება გულისთქმისა და მოპარვის შესახებ არსებობს ყველა რელიგიაში, იქნება ის ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი თუ სხვა.

საერთაშორისო ისლამურმა აკადემიამ (International Islamic Fiqh Academy) 1405 წელს მიიღო დადგენილება, რომელიც იცავდა საავტორო და გამოგონების უფლებებს.

1501 წელს პაპმა ალექსანდრე VI-მ გამოსცა კანონი, რომელიც ზღუდავდა რომში არალიცენზირებული წიგნების ბეჭდვას და ასეთი წიგნების სიაც გამოაქვეყნა.

ფრანგული საავტორო უფლებები გადმოცემული იყო კანონში ‘Code de propriété intellectuelle’. იგი იცავდა მესაკუთრულ და მორალურ უფლებებს. ეს უფლებები განვითარდა ბრიტანული საავტორო უფლებებისგან განსხვავებულად. ფრანგული კანონი მეტ ღირებულებას ანიჭებდა ავტორის შემოქმედებით წვლილს, ვიდრე ინგლისური კანონი. XVIII საუკუნეში „კოპირაიტის“ ნაცვლად აქ გამოიყენებოდა ავტორის უფლება (The right of an author).

წებისმიერი ევროპული ქვეყნის მსგავსად, საფრანგეთშიც ყველა წიგნს სჭირდებოდა დადასტურება ოფიციალური ცენზურის მხრიდან. ავტორებსა და გამომცემლებს წიგნის დაბეჭდვამდე უნდა მოეპოვებინათ სამეფო წებართვა. იმართებოდა ნაციონალუ-

რი დებატები სამეფო საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სამეფო პრივილეგია მიენიჭებინათ ავტორის მემკვიდრისთვის და არა გამომცემლისთვის. პირველი უფლება გაიცა პენრი მეორის მიერ 1551 წელს. ეს უფლებები მიენიჭათ კონკრეტულ რედაქტორებს 3 წლის ვადით. შემდეგ ნაწარმოები საჯარო სივრცის კუთვნილება ხდებოდა. 1566 წელს კანონი დაუწესეს ბიბლიოთეკარებსა და რედაქტორებს, რომ მოეთხოვათ ბეჭდვის პატენტი, თუმცა აქ ავტორებს არ ახსენებდნენ.

არაერთი სამეფო დეკრეტი გამოიცა სამეფო პრივილეგიების რეფორმამდე. ერთი რეგულაცია საავტორო უფლებას იცავდა 10 წლით ავტორის სიცოცხლის განმავლობაში. თუ გამომცემელი იყიდიდა ამ უფლებას, იგი შეიძლებოდა გაგრძელებულიყო დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ დეკრეტის პრობლემა ის იყო, რომ ის კრძალავდა ნაწარმოების უფლების გაგრძელებას. ასე რომ, ვადის ამონურვის შემდეგ ავტორის ნაწარმოები ხდებოდა საჯარო სივრცის კუთვნილება და ნებისმიერს ჰქონდა უფლება, გაეყიდა, გადაელო ასლი, ან გაევრცელებინა.

1793 წელს საფრანგეთში ახალი კანონი გამოიცა, რომლითაც ავტორებს, კომპოზიტორებსა და მსახიობებს მიეცათ ექსკლუზიური უფლება, გაეყიდათ და გაევრცელებინათ თავიანთი ნაწარმოებები. შემდეგ ეს უფლება გაფართოვდა და გავრცელდა მათ მემკვიდრეებზე 10 წლით ავტორის გარდაცვალებიდან. საავტორო უფლებების დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ ეს კანონი განათავსა თვალსაჩინო ადგილას და მას უწოდა ‘Declaration of the Rights of Genius’.

ბეჭდვის კულტურის დამკვიდრებას უარყოფითი მოვლენებიც ახლდა თან, რაც ავტორებს აზიანებდა, კერძოდ, ლეგალური ტირაჟების გვერდით გაჩნდა არალეგალურიც, რაც გამომცემელთა გარკვეული ნაწილის შემოსავლის სერიოზულ წყაროდ იქცა. ხშირი იყო წიგნის შინაარსის გადაკეთებისა და მისი მითვისების შემთხვევებიც. კეთილსინდისიერი გამომცემლები ამის საპირისპიროდ ითხოვდნენ მხარდაჭერას ხელისუფლების მხრიდან, რომელიც

მათ უპირატესობას მიანიჭებდა წიგნების ბეჭდვაზე. ასე თანდათან დაისვა სიგელების გაცემის, ანუ პრივილეგიების მინიჭების საკითხი დღის წესრიგში. კლუბერის მიხედვით, პირველი პრივილეგია გაიცა 1489 წელს, მაგრამ უცნობია, რომელ ნაწარმოებზე. პუნქტერის მიხედვით კი, პირველი პრივილეგია გაიცა ციცერონის ეპისტოლებზე 1469 წელს. პოუილეტი თვლიდა, რომ პირველი პრივილეგიის მფლობელი იყო ვენეციის სენატის ტიპოგრაფიისტი ალდი, რომელმაც არისტოტელეს თხზულებები გამოსცა. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ცალკეული შემთხვევები იყო და სისტემურ ხასიათს არ ატარებდა.

პრივილეგიების სისტემა ჩამოყალიბდა 1529 წელს პენრი მე-7-ის აქტით და ბეჭდვა მოექცა საკანცელარიო საქონლით მოვაჭრეთა კომპანიის კონტროლქვეშ. ამ კომპანიას ჰქონდა უფლება, დაერეგისტრირებინა წევრები, დაერეგულირებინა ბეჭდვა, დაეწესებინა ჯარიმები, მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება და კონფისკაცია მოეხდინა უნებართვო ასლებისა.

1557 წელს ესპანეთის მეფე ფილიპ II-ისა (Philip II of Spain) და დედოფლალ მერი I ტიუდორის დროს (Mary I Tudor), შეიქმნა სამეფო ქარტია, რომლის მიზანი წიგნების, პამფლეტებისა და სხვა პროდუქციის საკუთრების დაცვის რეგულირება იყო. ზოგი მკვლევარი საავტორო უფლებების ისტორიას სწორედ ამ წლით იწყებს. ამ დროს იქნა პირველად გამოყენებული ‘copy right’, რომლის საფუძველზეც მეფეს უფლება ეძლეოდა, მოეხდინა დაუმტკიცებელი წიგნების კონფისკაცია. 1695 წლის კანონით, „კოპირაიტის“ ცნება გულისხმობდა პერმანენტულ მონოპოლიას რუკებისა და წიგნების ბეჭდვაზე. ამ მონოპოლიას კი ფლობდნენ მბეჭდავები და წიგნების გამყიდველები.

საავტორო უფლებების კანონის ისტორია ინგლისში იწყება გვიან XV საუკუნეში. რამდენადაც სტამბების რიცხვი გაიზარდა, ხელისუფლებას უნდა ეკონტროლებინა წიგნების ბეჭდვა მბეჭდავებისთვის ბეჭდვაზე მონოპოლიის უფლების მინიჭებით. ჩარლზ მეორემ მიიღო ბეჭდვის ლიცენზირების აქტი 1662 წელს პარლამენტის აქტის საშუალებით. იგი გარკვეულ შეზღუდვას უნესებდა

1557 წლის ქარტიას, კერძოდ, ამის მიხედვით, თუკი მოვაჭრე დაარეგისტრირებდა ნაწარმოების ასლს მოვაჭრეების კომპანიაში, სხვა მოვაჭრეს უფლება აღარ ჰქონდა, დაებეჭდა ეს ნაწარმოები.

1662 წლის ლიცენზიის აქტი ამტკიცებდა, რომ მონოპოლია და ლიცენზირებული წიგნების რეგისტრაციის დაწესება ადმინისტრირებული უნდა ყოფილიყო მოვაჭრეების კომპანიის მიერ, რომელიც შედგებოდა მბეჭდავების ჯგუფისგან და ჰქონდა უფლებამოსილება, მოეხდინა პუბლიკაციების ცენზურა. 1662 წლის აქტი გაუქმდა 1665 წლის აქტით.

ინგლისისა და შოტლანდიის პარლამენტები გაერთიანდა და შეიქმნა ანგლო-შოტლანდიური კავშირი. ამ ახალმა პარლამენტმა შეცვალა კანონები ორივე ქვეყანაში. 1709 წელს მიღებულ იქნა აქტი, რომელიც ცნობილია, როგორც ‘Statute of Anne’. სახელი დაერქვა დედოფლადი ანას საპატივსაცემოდ. 1710 წელს ავტორების ინდივიდუალური უფლებები გამოიცა. ასე რომ, 1710 წლის ‘Statute of Anne’ იყო მსოფლიოში პირველი საავტორო უფლებების კანონი. აქ გარკეული იყო ფინანსური სარგებელიც, რომელიც ნაშრომიდან უნდა რგებოდა ავტორს. ანას აქტი ასევე ითხოვდა მბეჭდავისგან, რომ თითოეული წიგნის ასლები განეთავსებინა ინგლისის 4 და შოტლანდიის 5 ბიბლიოთეკაში. იგი ასევე რთავდა სხვა ქვეყანაში დაბეჭდილი წიგნების იმპორტირების ნებას. აქტი ასევე ითვალისწინებდა რეგულაციას, რომ შენარჩუნებულიყო წიგნების გონივრული ფასები.

ანას აქტმა პირველად შემოგვთავაზა ნაწარმოების ავტორის ცნება, როგორც თავისი საავტორო უფლების მესაკუთრისა. მან დააწესა ავტორის საავტორო უფლების საკუთრების პრინციპები და დაადგინა სავტორო უფლების მქონე წიგნების დაცვის ვადა – 14 წელი კვლავ განახლების უფლებით – ისევ 14 წლით, თუ ავტორი ცოცხალი იყო პირველი 14 წლიანი ვადის ამონურვის დროისთვის.

ამდენად, 1710 წლის ანას კანონი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო საავტორო უფლების ისტორიაში: მან პირველმა ჩაანაცვლა

პბეჭდავებისა და წიგნების გამყიდველების მონოპოლია ავტორის უფლებებით. დღეს ანას კანონი ითვლება საავტორო უფლებების პირველ კანონად.

ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა ‘copyright’ პირველად გამოყენებულ იქნა ლორდთა სახლში ცოტა მოგვიანებით, 1735 წელს. როდესაც ხელოვანმა უილიამ ჰოგარტმა (William Hogarth) აღმოაჩინა, რომ მბეჭდავები ყიდდნენ მის გრავიურებს მისი ნებართვის გარეშე, მისი მეგობრები შევიდნენ პარლამენტში და მიაღწიეს იმას, რომ მიეღოთ გრავიურების საავტორო უფლებების აქტი. ამ მომენტიდან ეს კანონი შეეხებოდა არა მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებს, არამედ ხელოვნების ნიმუშსაც.

პირველი ხმაურიანი პროცესი საავტორო უფლებების შესახებ გაიმართა 1841 წელს. სასამართლომ დამნაშავედ ცნო არქივისტი, რომელმაც თავის უურნალში თვითნებურად გამოაქვეყნა აშშ-ის პირველი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის, წერილები.

1911 წელს მიღებულ იქნა იმპერიის საავტორო უფლებების აქტი ბრიტანეთის იმპერიაში, რომელიც განახლდა 1956 წლის მეფის აქტით (‘Crown copyright act’). ის ეხებოდა ნაწარმოებებს, რომლებიც პირველად ქვეყნდებოდა მეფის ნებართვით და არა ყველა ნაწარმოებს, რომლებიც ასევე მეფის ნებართვით ქვეყნდებოდა.

კანონმდებლობა, რომელიც ეფუძნებოდა ანას აქტს, თანდა-თანობით გამოჩნდა სხვა ქვეყნებშიც, მაგ., აშშ-ში. ამერიკაში საავტორო უფლებებს კონსტიტუციის მიღებამდეც ექცეოდა ყურადღება. კონფედერაციის მოხსენებები მოუწოდებდნენ თი-თოეულ შტატს ამ საკითხის მოწესრიგებისკენ და 1782 წელს ავტორმა და გამომცემელმა ნოე ვებსტერმა (Noah Webster) შეძლო, საკანონმდებლო ორგანოსთვის მიეღებინებინა საავტორო უფლებების კანონი. 1783 წელს სამი კანონი მიიღეს, რომლებიც ლი-მიტირებული იყო 5-7 წლით. ამ დროს კონგრესს არა ჰქონდა ძალაუფლება, რომ მიეღო რაიმე კანონი საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. თუმცა, ავტორების მხრიდან ბევრი ჩივილის გათვალისწინებით, კონგრესმა შეძლო მიეღო რეზოლუ-

ცია, რომელიც იცავდა გამომცემლისა და ავტორის ნაშრომებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

სამა შტატმა გამოსცა საავტორო უფლებების კანონი 1783 წელს საკონტინენტო კონგრესის რეზოლუციამდე და მომდევნო 3 წელიწადში ყველა დანარჩენმა შტატმაც მიიღო ეს კანონი, დე-ლავერის შტატის გარდა.

კანონი აისახა ამერიკის კონსტიტუციაშიც, კერძოდ, 1787 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა: „ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს, დაცვას განსაზღვრული დროით ავტორებისა და გამომგონებლობის განსაკუთრებული უფლებები მათ ნაწერებსა და გამოგონებებზე“ (სტატია 1, ნაწილი 8, მუხლი 8). საავტორო უფლებების დაცვის ხანგრძლივობა აშშ-ში იყო 14 წელი. ავტორს შეეძლო მიემართა მეორე 14-წლიანი უფლებისთვისაც.

ამერიკის პირველმა კონგრესმა დანერგა კონსტიტუციის სავტორო უფლებების დებულება 1790 წელს. ის იყო ანას აქტის სიტყვა-სიტყვით გამეორება. იგი შესწორდა 1802 წელს და მოიცვა გრავიურები, ნახატები მხოლოდ 14-წლიანი ვადით, გადავადების გარეშე. 1831 წლის თებერვალში აშშ-ის პირველმა დემოკრატმა პრეზიდენტმა ანდრე ჯექსონმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ისტორიულად ცნობილია, როგორც 1831 წლის საავტორო უფლებების აქტი. ეს იყო პირველი სერიოზული კანონი, რომლითაც გადაიხედა 1790 წლის აქტი. მან გააფართოვა საავტორო უფლებების დაცვის ვადა 28 წლამდე 14 წლიანი ვადის განახლებით. საავტორო უფლებების გაზრდილ სიას დაემატა მუსიკალური ნაწარმოებები. 1909 წელს კვლავ მიიღეს საავტორო უფლებების აქტი, რომელმაც დაადგინა 28-წლიანი ვადა მეორე 28 წლის განახლების უფლებით. ყველა ეს კანონი უზრუნველყოფდა საავტორო უფლების დაცვას სახელმწიფოსა და ფედარალური ხელისუფლების მიერ.

XIX ს-მდე საავტორო უფლებების კანონმდებლობა არაკონიდინირებული იყო საერთაშორისო დონეზე. 1886 წელს ბერნის (შვეიცარია) კონვენციამ გამოაცხადა საავტორო უფლების ორმხრივი აღიარება ეროვნულ სახელმწიფოებს შორის და დაადგინა,

რომ ხელს შეუწყობდნენ საავტორო უფლების საერთაშორისო სტანდარტების განვითარებას. ბერნის კონვენციამ გააუქმა ნაშრომების დარეგისტრირების საჭიროება ცალ-ცალკე თითოეულ ქვეყანაში და ეს კანონი მიღებულ იქნა მსოფლიოს თითქმის ყველა ერის მიერ (კერძოდ, მსოფლიოს 190 ეროვნული სახელმწიფოდან 140-ის მიერ).

აღნიშნული კონვენციის მიზანი იყო მის მიმღებ სახელმწიფოთა საავტორო უფლებების ურთიერთაღიარების უზრუნველყოფა და მათ დასაცავად საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

კონვენცია ასევე შეიცავს მორალურ უფლებებს. ეს არის უფლება იმისა, რომ პრეტენზია განაცხადო ნაშრომის ავტორობაზე, წინააღმდეგობა გაუწიო ნებისმიერ დამახინჯებას, დეფორმაციას და სხვა მოდიფიკაციას.

დაცვის გაგრძელების ხანგრძლივობა მოიცავს 50 წელს ავტორის გარდაცვალებიდან. არსებობს ამ წესის გამონაკლისები, მაგ., ანონიმური და ფსევდონიმის მქონე ავტორის ნაწარმოებების შემთხვევაში, დაცვის ხანგრძლივობა ინურება 50 წლის შემდეგ ნაშრომის კანონიერად გასაჯაროვების დღიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ფსევდონიმი არანაირ ეჭვს არ ბადებს ავტორის იდენტობის თაობაზე, ან თუ ავტორი გამოააშკარავებს თავის ვინაობას ამ პერიოდის განმავლობაში. აუდიო-ვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოების შემთხვევაში, დაცვის მინიმალური ვადა არის 50 წელი ნაშრომის საჯაროდ წარდგენის დღიდან. გამოყენებითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული მასალის შემთხვევაში, მინიმალური ვადა არის 25 წელი ნაშრომის შექმნის დღიდან.

ბერნის კონვენცია აწესებდა გარკვეულ შეზღუდვებს და გამონაკლისებს ეკონომიკურ უფლებებზე. ეს არის ის შემთხვევები, როდესაც დაცული ნაწარმოებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის ნებართვისა (ავტორიზაციის) და კომპენსაციის გადახდის გარეშე. ამ შეზღუდვებს ზოგადად მოიხსენიებენ, როგორც დაცული ნაწარმოებების „თავისუფალ გამოყენებებს“.

ბერნის კონვენციის პარიზული აქტის დამატება წესას რთავს განვითარებად ქვეყნებს, დააწესონ არანებაყოფლობითი ლიცენზიები ნაწარმოებების თარგმნაზე და რეპროდუქციაზე გარკვეულ შემთხვევებში, საგანმანათლებლო ღონისძიებებთან კავშირში. ბერნის გაერთიანებას აქვს ასამბლეა და აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის წევრებიც აირჩივიან გაერთიანების წევრებიდან, შვეიცარიის გარდა. ბერნის კონვენცია გადაიხედა პარიზში 1896 წელს, ბერლინში 1908 წელს, თავად ბერნში 1914 წელს, რომში 1928 წელს, ბრიუსელში 1948 წელს, სტოკჰოლმში 1967 წელს, პრიზში 1971 წელს, სადაც კვლავ შევიდა ცვლილებები 1979 წელს.

1989 წელს აშშ შეუერთდა ბერნის კონვენციას. ეს კანონი დღეს ფარავს 177 ქვეყანას, მათ შორის არის საქართველოც¹.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ცვლილება, რაც განხორციელდა ბერნის კონვენციით, იყო საავტორო უფლებების გავრცელება გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე და რეგისტრაციის მოთხოვნის გაუქმება. იმ ქვეყნებში, სადაც ბერნის კონვენცია მოქმედდებს, ეს ნიშანავს, რომ ინდივიდი (ან ორგანიზაცია, რომელშიც ეს ინდივიდი მუშაობს) ფლობს საავტორო უფლებას ნაშრომზე, რომელსაც ისინი ქმნიან, განურჩევლად იმისა, რა სახით არსებობს ეს ნაშრომი, ჩანაწერის, შავი პირის, ფირის სახით თუ სხვ.

1998 წელს მიღებულ იქნა ციფრული ათასწლეულის საავტორო უფლებების აქტი (The Digital Millennium Copyright Act), რომლის მიზანიც იყო, შენინააღმდეგებოდა სავტორო უფლებების დარღვევას ციფრულ ეპოქაში.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ოფისი (The Intellectual Property Rights Office), რომელიც სხვანაირად ცნობილია, როგორც ‘IP Rights Office’ da aseve, rogorc ‘The IPRO’, შეიქმნა იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბებულიყო ცენტრალური საერთაშორისო თვალსაზრისი დეპოზიტის შესახებ გამოუქვეყნებელ ნაშრომებზე მთელ მსოფლიოში საავტორო უფლებების რეგისტრაციის სერვისის (Copyright Registration Service) საშუალებით. მას შეუძლია

1 <https://copyrighthouse.org/countries-berne-convention>

შემოგვთავაზოს რეგისტრაციის სტანდარტული მოდელი ბერნის კონვენციით დაფარული ქვეყნების ყველა მოქალაქისათვის.

1828 წელს საავტორო უფლების ცნებამ შეაღწია რუსეთშიც. მომ-დევნო პერიოდებში სხვადასხვა ქვეყნის საავტორო სამართალში გაჩნ-და ახალი ობიექტების დაცვის ნორმატიული აქტები, რომლებიც ითვა-ლისწინებდა კინოფილმების, ფოტონამუშევრების, არქიტექტურული პროექტების, კომპიუტერული გრაფიკის, სამხატვრო დადგმებისა თუ წარმოდგენების, ფონოგრამებისა და სხვა ობიექტების დაცვას.

ბერნის კონვენციის გამოხმაურებას წარმოადგენდა 1887 წელს საავტორო უფლებების ნორმების გაერთიანება რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. იმ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და საავტორო უფლებაც ნორმატიულად რუსეთის კანონებით რეგულირდებოდა. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რუსეთში შენარჩუნებული იყო სახელმწიფოს მონოპოლია წიგნის გამოცემასა და ვაჭრობაზე.

შემდგომში წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული საავტორო უფლებების საკითხს ცენზურის ნორმები არეგულირებდა. „ცენ-ზურის წესდება“ /22.04.1828/ შეიცავდა ნაწილს „შემოქმედთა და წიგნის გამომცემელთა შესახებ“, რომელიც სიცოცხლეში ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებდა, გარდაცვალების შემდეგ კი მემკვიდრეებს 25 წლის განმავლობაში უნარჩუნებდა ამ უფლებას. შემდგომში ეს ვადა 35 წლამდე გაიზარდა. ალნიშნული კანონი, ფაქტობრივად, პირველი ნორმატიული აქტი იყო საავტორო უფლე-ბების შესახებ რუსეთში. ამის შემდეგ შეიქმნა სახელშეკრულებო დოკუმენტების ფორმები, გაიზარდა საავტორო ჰონორარები.

1911 წელს მიღებულ იქნა კიდევ ერთი კანონი: „დებულება საავ-ტორო უფლებების შესახებ“. ამ დებულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა რუსეთის იმპერიაში საავტორო უფლებების განვითა-რების თვალსაზრისით. თუმცა იგი სრულად არ მოიცავდა ბერნის კონვენციის წევრი ქვეყნების ავტორთა უფლებებს.

რუსეთი ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს საერთაშორისო შეთანხ-მებებში მონაწილეობით, ამიტომ რუსეთში მოქმედი საავტორო

უფლებები ვრცელდებოდა მხოლოდ მის ტერიტორიაზე. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების ავტორთა უფლებები გამუდმებით ირღვეოდა მეფის მთავრობის მიერ გატარებული იმპერიული პოლიტიკით, რომელიც გულისხმობდა ნაციონალური კულტურის, ენისა და ლიტერატურის განვითარების შეზღუდვას.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ გააუქმა კერძო გამომცემლობები, ხოლო საგამომცემლო საქმიანობის მონოპოლისტის ფუნქცია იტვირთა სახელმწიფომ. მხარი დაუჭირეს და წაახალისეს სოციალისტური, პროლეტარული ნაწარმოებების ავტორები, მათი ნაწარმოებები დიდი ტირაზით იბეჭდებოდა, მათ ეძლეოდათ იმ დროისათვის მაღალი ჰონორარები. 30.01.1925 წელს გამოვიდა საბჭოთა სახელმწიფოს პირველი ნორმატიული აქტი საავტორო უფლებებთან დაკავშირებით – „საავტორო უფლებების საფუძვლების შესახებ“, რომელიც ამკვიდრებდა საავტორო ჰონორარის მყარ ნიხრებს.

30-იან წლებში საბჭოებში შეიქმა შემოქმედებითი კავშირები, რომლებიც კურირებდა საავტორო უფლებების დაცვას დარღების მიხედვით. საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, თეატრალურ მოღვაწეთა, უურნალისტთა, არქიტექტორთა და დიზაინერთა შემოქმედებითმა კავშირებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა საქართველოში საავტორო უფლებების მართვის ორგანიზებისა და განხორციელების მიზნით დააფუძნეს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო საკავშირო სააგენტოს წინაშე. ეს უკანასკნელი შუამდგომლობდა ავტორებსა და გამოცემებს შორის, საბჭოთა ავტორებსა და უცხოურ გამომცემლობებს შორის, უცხოელ ავტორებსა და საბჭოურ გამომცემლობებს შორის და არეგულირებდა საავტორო ანაზღაურების მოკრებისა და განაწილების საკითხს. საბჭოთა რესპუბლიკებმა თავად დაიწყეს საავტორო უფლებებთან მიმართებაში კანონების მიღება. ყველა რესპუბლიკამ, მათ შორის საქართველომაც, მიიღო სამოქალაქო კოდექსი, რომლის 4 ნაწილი ეხებოდა საავტორო უფლებებს.

საავტორო უფლებების სამართლებრივ რეგულირებას ხელი შეუწყო შექმნილმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა. მათ მიერ ინარმოებოდა საავტორო უფლებების დაცვის კონტროლი და რეგისტრაცია. ასე, მაგალითად, აშშ-ში 1870 წლიდან ამ საქმიანობას ეწეოდა კონგრესის პიბლიოთეკა, რუსეთში კი – რუსი დრამატული მწერლების საკრებულო.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში არ გვქონდა საავტორო უფლებების დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. შესაბამისად, სახელმწიფო სტრუქტურებში არ არსებობდა საავტორო უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო.

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება და სახელმწიფომ იკისრა საავტორო უფლებების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაცვის ვალდებულება.

1999 წლამდე საავტორო უფლებებს საქართველოში არეგულირებდა სამოქალაქო კოდექსი. 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი და ამით საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის განვითარებას. კანონის შესაბამისად, იმავე წელს, ავტორთა და შემსრულებელთა მიერ დაარსდა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – „საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა ასოციაცია“ (GESAP), რომლის მიზანს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა და რეალიზაცია წარმოადგენდა. ასოციაცია დღეისათვის აერთიანებს 2000-ზე მეტ ადგილობრივ წევრს.

2006 წელს, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, GESAP-მა ხელახალი რეგისტრაცია გაიარა და დარეგისტრირდა, როგორც „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ (SAS). ამ დროიდან დაიწყო უცხოეთის ქვეყნების მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება და ურთიერთნარმომადგენლობის ხელშეკრულებების გაფორმება.

2011 წელს სახელმწიფომ ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა გამოაცხადა. 2011 წლის 9 ივლისს, საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით, ორგანიზაციამ კვლავ იკისრა მომიჯნავე უფლებების დაცვის ვალდებულება. ამასთან, შეიცვალა მისი სახელწოდება, ორგანიზაციას ეწოდა „საქართველოს სავტორო უფლებათა ასოციაცია“ (GCA) და დაიწყო მისი რეფორმირების აქტიური პროცესი.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების ეფექტური დაცვისა და ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, ასოციაციამ მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. განახლდა წევრებთან არსებული ხელშეკრულებები და აქტიურად დაიწყო ასოციაციაში ახალი წევრების მიღების პროცესი, რის შედეგადაც, GCA-ის წევრთა როდენობა ყოველდღიურად იზრდება. ასოციაცია დღემდე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ერთადერთი ორგანიზაციას საქართველოში.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მონაცემთა ბაზაზე. მე-5 მუხლის (საავტორო უფლების ობიექტები) მიხედვით, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

1995 წელს იუნესკომ 23 აპრილი მსოფლიო წიგნისა და საავტორო უფლების დაცვის დღედ დააწესა. ეს დღე მიგელ დე სერვანტესისა და პერუელი ისტორიკოსის – გარსილასო დე ლა ვეგას გარდაცვალების, ასევე უილიამ შექსპირის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღისა. ამ დღის აღნიშვნის ტრადიცია „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ინიციატივით 2003 წლიდან დამკვიდრდა და წლებია სხადასხვა ტიპის კულტურული ღონისძიებებით ყოველწლიურად აღინიშნება, კერ-

ძოდ, იმართება წიგნების ერთდღიანი გამოფენა-გაყიდვა, სადაც სხვადასხვა გამომცემლები იღებენ მონაწილეობას და მკითხველს ფასდაკლებით სთავაზობენ ყველა უანრის ლიტერატურას.

საერთაშორისო დონეზე საავტორო უფლებების დაცვა იტვირთა იუნესკოს ორგანიზაციამ. 1952 წელს ხელი მოეწერა ჟენევის კონვენციას. იგი არ ცვლიდა ბერნის კონვენციას, უფრო მეტიც, მასზე უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევდა ნაციონალური რეჟიმის პრინციპს, რაც ხელს უწყობდა განსხვავებული საავტორო უფლებების სისტემათა მქონე ქვეყნების გაერთიანებას. დღესდღეობით კონვენციაში 80-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს.

შეიქმნა საერთაშორისო სტრუქტურებიც. სტოკოლმში 1967 წელს ხელი მოეწერა „კონვენციას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების შესახებ“ (ისმო), რომელიც ძალაში შევიდა 1970 წელს. ისმო იქმნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, როგორც მისი ერთ-ერთი სპეციალიზებული დაწესებულება. ისმო-ს საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა სხვადასხვა ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების საკანონმდებლო ნორმების ჰარმონიზაციას, საავტორო უფლებების მართვის თანამედროვე მიდგომების პროპაგანდას, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური გადაწყვეტილების მიღება-განზოგადებას.

2000 წელს, ინტელექტუალური საკუთრების სისტემის სხვადასხვა დარგში ერთიანი საკანონმდებლო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქართველოს“ შეუერთდა საავტორო უფლებათა სახელმწიფო სააგენტო.

2005 წლის 3 ივნისს და, უფრო მოგვიანებით, 2010 წლის 4 მაისს კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში ავტორთა და სხვა უფლებამფლობელთა ქონებრივი უფლებების მართვა ხორციელდება კოლექტიურ საფუძვლებზე, რაც გულისხმობს საავტორო გასამრჯელოს აკრე-

ბა-განაწილების პროცესის წარმართვას შესაბამისი კოლექტიური მართვის საზოგადოების მეშვეობით.

ცნება საავტორო უფლება დინამიკურად ვითარდება. ეს გარემოება მისი ვადის მოქმედების გაზრდასა და საავტორო უფლებების სუბიექტებისა თუ ობიექტების გაფართოების კენა მიმართული. ამ ფაქტს ხელს უწყობს საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების მუშაობა საავტორო უფლებების სხვადასხვა საკითხზე და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ამ პროცესთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე, ლ. როცა გადამწერის შრომა უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე თავად ავტორისა – საავტორო უფლებების ისტორია: 2015, 28 მაისი: <http://www.gurianews.com/article/mtavari/sazogadoeba/28203>
2. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16198?publication=10>
3. Nehru, J. (2015). The Exhaustive History of Copyright, კრებულში: The history of the concept of Copyright, Prepared by Asherry Magalla: file:///C:/Users/W10/Downloads/THE_HISTORY_OF_COPYRIGHT.pdf
4. Patterson, L. R., and Stanley, W. (1991). Lindberg. The Nature of Copyright: A Law of Users' Rights. Athens: University of Georgia Press.
5. Patterson, L. R. 1968). Copyright in Historical Perspective. Nashville: Vanderbilt University Press.
6. Rose, M. 1993). Authors and Owners: The Invention of Copyright. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
7. Samuels, E. (2000). The Illustrated Story of Copyright. New York: St. Martin's Press.
8. Vaidhyanathan, S. (2001). Copyrights and Copywrongs: The Rise of Intellectual Property and How It Threatens Creativity. New York: New York University Press.

მოკლე ლექსიკონი

- Acts of the Apostles – საქმე მოციქულთა
Apocalypse – აპოკალიფსი
Apocryphal – აპოკრიფული, არავანონიკური
Apostolic – სამოციქულო
Base text – ძირითადი ტექსტი
Canonical – კანონიკური
Catholic Epistles – კათოლიკე ეპისტოლები
Conventional symbols – პირობითი სიმბოლოები
Copy-text – ასლი-ტექსტი. ამა თუ იმ ტექსტის უადრესი ვერ-
სია, რომელიც გამოიყენებოდა ახალი გამოცემის საყრდენად.
Emendation – ტექსტის შესწორება
Epistles – ეპისტოლები
Gospel – სახარება
Inscription – წარწერა
Masoretic text – მასორეტული ტექსტი. ბიბლიის ებრაულ სწა-
ვლულთა მიერ საუკუნეების განმავლობაში წერილობით და ზეპირ
ტრადიციაზე დაფუძნებით გამართული ებრაული ბიბლიის ტექს-
ტი, რომელსაც დამატებული აქვს ხმოვნები და მახვილები.
New Testament – ახალი აღთქმა
Old Testament – ძველი აღთქმა
Pentateuch – ხუთწიგნეული
Press – საბეჭდი დაზგა, სტამბა
Print edition – ბეჭდური გამოცემა
Printer – საბეჭდი
Proof – კორექტურა
Proofreading – კორექტურის კითხვა
Psalter – ფსალმუნი
Reading – იკითხვისი
Sacred text – საღმრთო ტექსტი, წმინდა ტექსტი
Scripture – წმინდა წერილი, ბიბლია

- Scroll – გრავნილი
- Textual apparatus – სამეცნიერო აპარატი
- Textual critic – ტექსტოლოგი
- Textual essay – განყოფილება „ტექსტისათვის“ აკადემიურ გამოცემაში
- Textual notes – ტექსტოლოგიური შენიშვნები
- Textual scholar – ტექსტოლოგი
- Textus receptus (TR) – საყოველთაოდ მიღებული ტექსტი. ბიზანტიურ ტრადიციაზე დაფუძნებული ბერძნული ახალი აღთქმის ბეჭდური გამოცემა, რომელიც რეფორმაციის პერიოდში იქცა საყრდენ ტექსტად სხვადასხვა ენაზე თარგმანების შესასრულებლად.
- Trinity – სამება
- Type – შრიფტი
- Typescript – საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი
- Variant readings – ვარიანტული წაკითხვები
- Woodblock print – ბეჭდვა ხის ბლოკებით, რომლებზეც კვეთის გზით ამოჭრილია ის ადგილები, რომლებიც ანაბეჭდზე თეთრად უნდა ჩანდეს და, ამონეულია ადგილები (ტექსტის შემადგენელი ასოები ან გამოსახულება), რაც ქაღალდზე უნდა აღიბეჭდოს.
- Watermark – ჭვირნიშანი
- Working drafts – სამუშაო მასალა, შავი მასალა
- ვულგატა – ბიბლიის ლათინური თარგმანი
- მონასტიციზმი – ბერმონაზვნობა
- პოლიგლოტი ბიბლია – ბიბლიის გამოცემის ტიპი, რომლის ტექსტი შეიცავს თარგმანებს სხვადასხვა ენაზე, განყობილს პარალელურ სვეტებში.
- სეპტუაგინტა – ებრაული ბიბლიის (ძველი აღთქმის) უძველესი ბერძნული თარგმანი, რომელიც შეიქმნა ბევრი გადამწერის შრომის შედეგად სხვადასხვა სკრიპტორიუმში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში.

სარჩევი

შესაგალი 5

თავი I

გამოცემათმცოდნეობა, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი 8

§1. გამოცემათმცოდნეობის, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის, არსი, კვლევის საგანი, მიზნები და ამოცანები 8
§2. გამოცემათმცოდნეობის მონათესავე დისციპლინები გამოცემათმცოდნეობისა და ტექსტოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი 11

თავი II

გამოცემის წინარე ისტორია 16

§1. ეპიგრაფიკული ძეგლების ტრადიცია 18

§2. ხელნაწერი ტრადიცია 45

§3. კვლევები ხელნაწერის შესახებ 62

§4. ხელნაწერი წიგნის ტრადიცია 76

§5. ქართველ რედაქტორ-შემდგენელთა საქმიანობა (გაბრიელ მცირის მაგალითზე) 88

თავი III

ბეჭდური ერა წიგნის ისტორიიდან 109

§1. ბეჭდვის ადრეული (გუტენბერგამდელი) სახეობები 110

§2. ბეჭდური წიგნის ისტორიის სათავეებთან 114

§3. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი 122

§4. საგამომცემლო საქმიანობის სათავეებთან საქართველოში 123

§5. ქართული სტამბა რუსეთში 126

თავი IV

პრესის ისტორიიდან 129

§1. პერიოდული გამოცემების სათავეებთან 129

§2. ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ისტორია 140

§3. უცხოეთში გამომავალი ქართული პრესა.....	153
§ 4. სპეციფიკური თემები და გამოცემები	154

თავი V

გამოცემის თეორია	164
ძირითადი ეტაპები საგამომცემლო თეორიის ისტორიაში კვლევის მეთოდები.....	164
§1. ანტიკურობიდან რენესანსამდე.....	166
§2. რენესანსის პერიოდი	168
§3. XVII საუკუნე	173
§4. XVIII საუკუნე	174
§5. XIX საუკუნე	179
§6. XX საუკუნე	184
§7. საგამომცემლო მიდგომები და კვლევის მეთოდები ციფრულ ეპოქაში.....	197

თავი VI

აკადემიური გამოცემის თეორია	218
საგამომცემლო კონცეფცია და სამეცნიერო აპარატი	218
§1. აკადემიური გამოცემის მომზადების პროცესი. საგამომცემლო კონცეფციის განსაზღვრა.....	221
§2. აკადემიური გამოცემების სარედაქციო სტრატეგიასთან დაკავშირებული პრობლემები.....	243
§3. საგამომცემლო კონცეფცია გალაკტიონ ტაბიდის თხზულებათა გამოცემების მაგალითზე	245

თავი VII

სხვადასხვა ჟანრის ტექსტების აკადემიური გამოცემების საგამომცემლო კონცეფცია	263
§1. ეპისტოლური ჟანრის აკადემიურად გამოცემის კონცეფცია	264
§2. ვოდევილის აკადემიურად გამოცემის კონცეფცია.....	272
§3. ფრაგმენტული ზეპირი გამოსვლების აკადემიურად გამოცემის	

კონცეფცია.....	278
§4. უბის წიგნაკებისა და კერძო ჩანაწერების გამოქვეყნების მნიშვნელობა	283
§5 სუპსტრატისა და საპუბლიკაციო ერთეულის დიფერენცირება. 295	
§6. სხვათა ტექსტებიდან გაკეთებული ამონაწერების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია.....	303
§7. მინაწერების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია	308
§ 8. დღიურების აკადემიურად გამოცემის კონცეფცია	317
თავი VIII	
გამოცემის პრაქტიკა და საგამომცემლო გადაწყვეტილებები.....	328
§1. ბიბლიის ებრაული ტექსტის ადრეული გამოცემები	331
§2. ახალი აღთქმის ადრეული გამოცემები	338
§3. ბიბლიის რუსული თარგმანების გამოცემა.....	343
§4. ძველი აღთქმის ქართული თარგმანების გამოცემის ისტორია .	348
§5. ახალი აღთქმის წიგნების ქართული ვერსიები	354
§6. ახალი აღთქმის წიგნების ქართული თარგმანების ადრეული გამოცემები	358
§7. ახალი აღთქმის მეცნიერული გამოცემები	364
თავი IX	
ციფრული ფორმატი და ელექტრონული გამოცემები.....	384
§1. ციფრული ფორმატი	384
§2. ელექტრონული ბიობიბლიოგრაფიები აკადემიური სამეცნიერო აპარატით	397
§3. ელექტრონული აკადემიური გამოცემის პერსპექტივები საქართველოში.....	402
§4. ცოდნის შენახვის ტრადიციული და ციფრული საშუალებები 405	
თავი X	
საავტორო უფლებები.....	417

კურთუამზე განთხოვსებულია X საუკუნის ფილოციურის ფრაგმენტი,
რომელიც დაცულია საქართველოს
ეროვნულ არქივში

ISBN 978-99858-2195-0



9 789985 821959